საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები

ნაკვეთი I

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1969

9 (c4)
9 (47. 91)
ჩ 833

ნარკვევებში განხილულია ჩრდილო კავკასიის ხალხების — ადიღეელების, ჩერქეზების, ყაბარდოელების, ყარაჩაელებისა და ბალყარების, ოსების, ინგუშების, ჩეჩნებისა და დაღესტნელ ხალხთა სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და ეკონომიური ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე.

საქართველოს საუკუნეების მანძილზე მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ამ ხალხებთან და, ბუნებრივია, ამან ნარკვევებში გარკვეული ასახვა ჰპოვა. ამითვე აიხსნება ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესი საკუთრივ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიისადმიც,

1—6—4
141—1968 ადგ

წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ნარკვევების პირველ ნაწილს ჩრდილო კავკასიის მოძმე ხალხების შესახებ, რომლებთანაც ქართველ ხალხს თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე მჭიდრო და მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა. ბევრი ამ ხალხთაგან გენეტურად ენათესავება ქართველებს. ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ჩვენს სასიქადულო მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს, როდესაც წერდა: „ჩემი ღრმა რწმენით, ...ყოველი გაანათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ენისა და ქვეყნის“.

ნარკვევებში მოცემულია ჩრდილო კავკასიის ხალხთა მოკლე ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს. ბოლომდე. კრებულის ავტორებია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის განყოფილების მეცნიერთანამშრომლები: პროფ. ზ. ანჩაბაძე (ავტორთა კოლექტივის ხელმძღვანელი, I თავი და V თავის მე-2 და მე-3 პარაგრაფები), ისტ. მეცნ. კანდიდატები თ. ბოცვაძე (IV თავი და V თავის მე-6 პარაგრაფი), გ. თოგოშვილი (III თავი და V თავის მე-4 და მე-5 პარაგრაფები), მ. ცინცაძე (II თავი და V თავის 1 პარაგრაფი).

ნარკვევების მეორე ნაწილი მიეძღვნება ჩრდილო კავკასიის ხალხთა XIX—XXს. ისტორიას.

ყველა საქმიან შენიშვნას ავტორთა კოლექტივი მადლობის გრძნობით მიიღებს.

ჩრდილო კავკასიის ხალხები და ენები
(შესავლის მაგივრ)

თავისი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით ჩრდილო კავკასია საბჭოთა კავშირის ყველაზე ჭრელი რაიონია.

ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად, მოცემული ტერიტორიის ავტონომიურ წარმონაქმნებში ცხოვრობს — 4 ავტონომიურ რესპუბლიკასა (დაღესტნის, ყაბარდო-ბალყარეთის, ჩრდილო ოსეთის და ჩეჩნეთ-ინგუშეთის) და ორ ავტონომიურ ოლქში (ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის).

ეთნო-ლინგვისტური კლასიფიკაციის მიხედვით ჩრდილო კავკასიის ხალხები იყოფიან სამ ჯგუფად: იბერიულ-კავკასიური („პალეოკავკასიური"), თურქულენოვანი და ინდოევროპული.

ყველაზე მრავალრიცხოვანია იბერიულ-კავკასიურ ხალხთა ოჯახი. მათ შორის პირველ ადგილზე დგას კავკასიური ოჯახის დაღესტნური ჯგუფი, რომელშიც შედიან: ავარელები (ხუნძები) — 270,4 ათასი, ლეზგები—223,1 ათასი. დარგიელები—158,1 ათასი, ლაკები—63,5 ათასი, ტაბასარანები — 34,7 ათასი სული. გარდა ამ, შედარებით მსხვილი, ხალხებისა დაღესტანში არის მრავალი წვრილი ხალხი, როგორც მაგალითად, წახურები — 7,3 ათასი, აგულები — 6,7 ათასი, რუთულები — 6,7 ათასი სული და სხვ. აქვე არის რამდენიმე აული, რომელთა მოსახლეობა საკუთარ, დამოუკიდებელ, ენაზე ლაპარაკობს (არჩი, გოდობერი, გინუხი და სხვ.). სულ დაღესტანში ანგარიშობენ 30-ზე მეტ ხალხსა და ეთნიკურ ჯგუფს. ისტორიულ წყაროებში ეს მრავალტომიანი მოსახლეობა ხშირად ერთიანდებოდა რომელიმე ერთი სახელწოდების „ლეზგი", „ლეკი" და სხვ. ქვეშ.

იბერიულ-კავკასიურ ხალხთა მეორე ჯგუფს ჩრდილო კავკასიაში წარმოადგენენ ე. წ. ვეინახები — ჩეჩნები — 418,8 ათასი და ინგუშები — 106 ათასი სული[1]. ჩეჩნები და ინგუშები ახლო მონათესავე ენებზე ლაპარაკობენ და ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში მათ ზოგჯერ აერთიანებენ ერთ ეთნიკურ ერთეულად — „ნახი", „ვეინახი" (ჩეჩნურ-ინგუშურად „ჩვენი ხალხი").

---

1 ვეინახების მონათესავე ბაცბეელები (წოვა თუშები) და ქისტები ცხოვრობენ აღმოსავლეთ საქართველოს მთებში.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის მესამე ჯგუფი ჩრდილო კავკასიაში წარმოდგენილია ადიღებისა და აბაზელების სახით. ადიღები შედგებიან სამი ხალხისაგან: ყაბარდოელები—203, 6 ათასი, ადიღეელები — 79,6 ათასი და ჩერქეზები — 30,5 ათასი სული. ყაბარდოელები და ჩერქეზები ლაპარაკობენ ერთ ენაზე („ყაბარდო-ჩერქეზულზე"), რომლისგანაც გარკვეული ზომით განსხვავდება ადიღური („კიახური") ენა.

აბაზელები (19, 6 ათასი სული) ძირითადად ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. მათი ენა აფხაზური ენის ახლო მონათესავე ენაა.

ყველა დასახელებული ხალხი და მათი ენები გენეტურ ნათესაობაში არიან ქართველებთან და ქართველურ ენებთან, რომლებიც, როგორც ცნობილია, შეადგენენ იბერიულ-კავკასიური ეთნო-ენობრივი ოჯახის სამხრეთ (ყველაზე მრავალრიცხოვან) ჯგუფს[2].

ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის მეორე ჯგუფს ეკუთვნიან ინდოევროპული ხალხები. ესენია, უწინარეს ყოვლისა, ოსები — 412,6 ათასი სული[3] — ჩრდილო ოსეთის ასსრ ძირითადი მოსახლეობა და მცირერიცხოვანი ხალხი — ტატები (11,5 ათასი სული). ტატები ძირითადად დაღესტნის ასსრ-ში ცხოვრობენ. ახლო წარსულში მათი უმრავლესობა იუდაიზმს აღიარებდა, რის გამოც კავკასიოლოგიურ ლიტერატურაში მათ ხშირად „მთის ებრაელებს" უწოდებენ.

ჩრდილო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის მესამე ჯგუფს შეადგენენ თურქულენოვანი ხალხები: კუმიკები (უუმუხები), — 135 ათასი სული (ცხოვრობენ უმთავრესად დაღესტანში), ყარაჩაელები — 81,4 ათასი, ბალყარელები 42,4 ათასი და ნოღაელები — 38,6 ათასი სული. უკანასკნელნი ცხოვრობენ, უპირატესად, ჩრდილო დაღესტანში („ყარა-ნოღაელები") და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში („აკ-ნოღაელები").

გარდა მკვიდრი კავკასიელი ხალხებისა, ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობს მრავალრიცხოვანი მოსული მოსახლეობა: რუსები, უკრაინელები, სომხები და სხვ. ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მათი დასახლება ძირითადად დაიწყო XVII საუკუნიდან და ინტენსიურად გაგრძელდა XVIII—XIX სს.

---

2 მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მკვლევარი არ თვლის დამტკიცებულად დებულებას იბერიულ-კავკასიური ოჯახის ყველა — ოთხი ჯგუფის გენეტური ნათესაობის შესახებ.

3 აქედან 141,2 ათასი ცხოვრობს საქართველოს სს რესპუბლიკაში.

თ ა ვ ი I

ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა ძველ ხანაში

§ 1. წინაგვაროვნული საზოგადოება (ადრეპალეოლითი)

ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე ქვის ხანის (წინაშელის, შელის, ადრეაშელური) ძეგლები არ არის აღმოჩენილი. აქ მოპოვებულ კულტურის ძეგლთა შორის უძველესნი მიეკუთვნებიან გვიანაშელის პერიოდს (200—100 ათასი წლის წინათ). ამათ შორის, ჯერჯერობით, უფრო ადრეული სადგომები მიკვლეულია ჩრდ. დასავლეთ კავკასიაში: აულ ხაჯოხთან, მდ. ბელაიაზე, მაიკოპის მახლობლად, მდ. ფორთეპიანკაზე; სტანიცა სმოლენსკაიასთან მდ. აფიპსზე; სტანიცა ბაკონსკაიასთან მდ. ფსეკუპსზე და სსვ.

აშელის ძეგლები აღმოჩენილია, აგრეთვე, დაღესტნის ტერიტორიაზე. ამ ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი სადგომია ჩუმუს-ცნიცკის სადგომი ზღვისპირა ზოლში. აშელის ტიპის ცალკეული ძეგლები ნაპოვნია ჩრდილოეთი კავკასიის მთიან რაიონებში, კერძოდ აკუშის მახლობლად უსიშის ხეობაში.

ამ დროისათვის ჩრდ. კავკასია ხასიათდებოდა რბილი, ზომიერად თბილი ჰავით და მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით (სპილო, მარტორქა, ირემი, ბიზონი და სხვ.).

როგორც ჩანს, კავკასიონის მთიანეთი არ წარმოადგენდა გადალახავ დაბრკოლებას. იმდროინდელ ადამიანსა და ცხოველებს ამერკავკასიიდან ჩრდ. კავკასიაში შეეძლოთ შეეღწიათ როგორც ზღვის სანაპიროდან, ასევე მთის გადალახვით. შემთხვევითი არ არის, რომ ჩრდ. კავკასიის ძველი ქვის კულტურა, განსაკუთრებით დაღესტნისა, დიდ მსგავსებას იჩენს ამერკავკასიის სინქრონული ძეგლებისადმი.

აშელის პერიოდის ბოლოსათვის გამყინვარების ეპოქის დაწყებასთან დაკავშირებით კავკასიაში მკვეთრად აცივდა, რის შედეგადაც გადაშენდნენ ან სამხრეთისაკენ გადასახლდნენ ჰიპოპოტამები, სითბოს-

ყვარე სპილოები, მარტორქები და სხვ. მათი ადგილი დაიკავეს მა-
ნტებმა და ციმბირის მარტორქებმა, გამრავლდნენ გამოქვაბულის
ომები და დათვები, ბიზონები, გარეული ცხენები და სხვ.

გამყინვარების ეპოქას ემთხვევა საზოგადოების ისტორიის ახალი
ეპოქა და მისი კულტურა — მუსტიეს ეპოქა (დაახლოებით 100—40
ასი წლის წინანდელი). შედარებით დაიხვეწა ქვის იარაღების კეთე-
ის მეთოდი. მუსტიეს ეპოქის მნიშვნელოვანი კულტურული მიღწევა
ყო ხელოვნური ცეცხლის მიღება. არსებითად ამ ხანისათვის გრძელ-
ება ადამიანის ფიზიკური ჩამოყალიბების პროცესი და თანდათანობით
ითარდება ე. წ. ნეანდერტალელი, რომელიც წარმოიშვა გვიანაშ-
ელში და რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა თანამედროვე ადამიანს.
კელაფერმა ამან საშუალება მისცა მუსტიეს ეპოქის ადამიანს არა მა-
ტო გადაელახა დიდი სიძნელენი გამყინვარების პერიოდში, არამედ
ასახლებულიყო შედარებით დიდ ტერიტორიაზე.

ჩრდ. კავკასიაში მუსტიეს ადგილსამყოფელები წარმოდგენილია
აკმაოდ ფართოდ. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ყუბანის-
პირეთში სტანიცა აბაძეხსკაიასთან მიკვლეული ადრემუსტიეს ხანის სა-
დგომი, რომელიც წარმოადგენდა გვიანაშელიდან მუსტიეში გარდამა-
ვალ საფეხურს. ჩრდ. კავკასიაში მუსტიეს ეპოქის ძეგლთაგან ყველა-
ზე საინტერესოა სოფ. ილსკაიას სადგომი, რომელიც აღმოჩენილი იყო
1898 წელს სტანიცა ილსკაიასთან (დასავლეთ ყუბანისპირეთი). იგი
წარმოადგენდა პირველყოფილი მონადირეების ღია სადგომს, სადაც
მონადირეები ცხოვრობდნენ ტყავებისაგან გაკეთებულ კარვებში,
არაღს აკეთებდნენ კაჟისაგან, რიყის ქვისაგან, ძვლისაგან და ხისაგან.
„ილელები" ნადირობდნენ უმთავრესად დომბებზე (Зубр), გარეულ
ცხენებზე, კანჯარზე და კეთილშობილ ირემზე.

ჩრდ. დასავლეთ კავკასიის ზღვისპირა ზონაში მუსტიეს ეპოქას
ეკუთვნება ახშტირის და ნავსლიშენის გამოქვაბულთა ძეგლები, ად-
ლერის მახლობლად. მუსტიეს ძეგლები ცნობილია აგრეთვე ცენტრა-
ლურ იმიერკავკასიაში. მაგალითად ინგუშეთში, სოფ. ტამურზიევის
მახლობლად ნაპოვნია მუსტიეს დროის სახელოსნოს ნარჩენები, სადაც
ქვას ამუშავებდნენ.

მუსტიეს დროის მეორე ადგილსამყოფელი აღმოჩენილია ჩეჩნეთ-
ში მაღალმთიან სოფ. კაზენთან. ცნობილია აგრეთვე ადრე მუსტიეს
დროინდელი აღმოჩენები ჩრდ. ოსეთში — ქ. ორჯონიკიძის მახლობლ-
ად. სოფ. გიზელში.

მნიშვნელოვანი რაოდენობის მუსტიეს დროინდელი ძეგლები აღ-
მოჩენილია დაღესტანში, როგორც დაბლობ, ასევე მთის ძირა და მთიან

ზონაში. მუსტიეს ეპოქაში ადამიანი უკვე ფართოდ დასახლდა დაღეს-
ტნის თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

პირველყოფილ-თემური წყობილების განვითარების საწყის ეტა-
ზე საზოგადოებრივი ეკონომიკის ერთადერთ ფორმას წარმოადგენდ-
მოპოვებითი მეურნეობა, უპირველეს ყოვლისა, ნადირობა.

მუსტიეს ეპოქაში პირველყოფილი მონადირეობითი მეურნეობ-
ადის ახალ საფეხურზე, რაზეც მეტყველებს მუსტიეს სადგომებში აღ-
მოჩენილი ცხოველების — მამონტების, გამოქვაბულის დათვების, პ-
ზონების, გარეული ცხენებისა და სხვათა ძვლების გროვა. ასე, მაგალ-
თად, ილსკაიას სადგომში აღმოჩენილი იყო 2400-ზე მეტი ბიზონ-
ძვლები, რაც დანარჩენი ძვლების დაახლოებით 60 პროცენტს შ-
ადგენდა.

მუსტიეს პერიოდის მიწურულში ჩნდება ქვის შუბის წვერები, ხ-
ლო უფრო ადრე, სავარაუდებელია, იხმარებოდა უბრალო ხის შუბებ-
და ორკაპები. იხვეწებოდა კოლექტიური ნადირობის ფორმები.

ნადირობის გვერდით, პირველყოფილი ადამიანის „მეურნეობაში
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე პირველყოფილ შეგროვება-
შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველყოფილი ადამიანისათვის გარე-
ლი ნაყოფი და ფესვები წარმოადგენენ საკვების მნიშვნელოვან ნ-
წილს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი საკვები მაინც ხორცი იყო.

პირველად წინაგვაროვნულ კომუნის შიგნით არ იყო შრომის არა-
ვითარი განაწილება: მამაკაცები და ქალები ერთსა და იმავე სამუშ-
ოს ასრულებდნენ, ერთნაირად იღებდნენ მონაწილეობას როგორ-
ნადირობაში, ასევე შეგროვებაში; მხოლოდ მუსტიეს ეპოქაში თან-
დათან ხდება შრომის განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით. ნა-
დირობა ძირითადად მამაკაცების ხელში გადადის, ხოლო შეგროვებ-
ქალს ეკისრება. განსაზღვრულ შრომას ასრულებდნენ მოზარდები დ-
მოხუცები.

პირველყოფილი საზოგადოების ძირითად სოციალურ უჯრედს-
ადრეპალეოლითის ეპოქაში, წარმოადგენდა ე. წ. წინაგვაროვნულ-
ენდოგამური კომუნა, რომელიც პირველ ხანებში შედგებოდა რამდ-
ნიმე ათეული კაცისაგან (პირველყოფილი „ჯოგი"). კოლექტივის ყვ-
ლა წევრის საერთო შრომამ გამოიწვია საწარმოო საშუალებების სა-
ერთო საკუთრება. პირველად არ არსებობდა არავითარი ქორწინებ-
და ოჯახი. დაშვებული იყო თავისუფალი სქესობრივი კავშირი.

საკვების ძებნაში პირველყოფილი ადამიანი ერთი ადგილიდ-
მეორეზე გადადიოდა. ადამიანთა ამ უძველესი ჯგუფების წინამძღო-
ლებად სტიქიურად ხდებოდნენ შედარებით გამოცდილი ადამიანები.

მაგრამ მუსტიეს ეპოქაში ჩნდება ბინადარი ცხოვრების პირველი

ნიშნები. ამის დამახასიათებელ მაგალითს იძლევა ილსკაიას სადგომი და ახტირის გამოქვაბული მდ. მზიმთაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ მუსტიეს ეპოქაში, უმთავრესად მის უკანასკნელ დასკვნით ეტაპზე, ჩნდება ხელოვნებისა და აგრეთვე პრიმიტიული რელიგიის პირველი ჩანასახები.

მუსტიეს ეპოქის ბოლო პერიოდზე მოდის საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როცა ხდება წინაგვაროვნული კომუნის თანდათანობითი გადასვლა გვაროვნული თემის მატრიარქალურ ფორმაში.

§ 2. მატრიარქალურ-გვაროვნული თემი (გვიანი პალეოლითი; მეზოლითი, ნეოლითი)

მუსტიეს ეპოქას სცვლის გვიანი ანუ ზედა პალეოლითი, რომელიც თარიღდება დაახლოებით 40—13 ათასწლეულით ძვ. წ-ით. გვიანი პალეოლითი ემთხვევა გამყინვარების უკანასკნელ ფაზას, როცა ყინვარების გავრცელება შედარებით შემცირდა; მაგრამ ჰავა მაინც მკაცრი რჩებოდა.

გვიანპალეოლითში გადასვლა გამოიხატა იმაში, რომ მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნიკაში, მეურნეობის ფორმებში, ცხოვრების ხასიათში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში და ადამიანის ფიზიკურ ტიპში, რომელმაც მიიღო თითქმის თანამედროვე ადამიანის სახე.

ჩრდ. კავკასიაში ზედა პალეოლითის ძეგლები ჯერჯერობით მეტად მცირე რაოდენობით არის ნაპოვნი. ამ პერიოდს განეკუთვნება მაგალითად გამოქვაბულების სოსრუკოს და სოსის ძირა კულტურული ფენები: კალა-ტიუბეს სადგომი ბალყარეთში, ჩეჩნური აულების: კეზენის, ხოის და მაკაიოის აღმოჩენები და აგრეთვე მდ. იამან-სუს და დაღესტნის მთიანეთში ჩოხის სადგომის აღმოჩენები.

აქ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი შემდეგდროინდელი — მეზოლითური ეპოქა (12—6 ათასწლ. ძვ. წ-ით)

ამ პერიოდში გამყინვარების მოვლენები მინიმუმამდე ეცემა და ჰაეაც თანამედროვე კლიმატს უახლოვდება.

მეზოლითური ძეგლები აღმოჩენილია ყარაჩაიში, ადგილ იავორაში, ზემოხსენებულ სასრუკოს გამოქვაბულში, ჩეჩნეთში სოფ. ვედენოში და მთიან დაღესტნის რაიონებში: რუგუჯაში, უსიშაში, გროტში, მეკეგეში და სხვ.

განსახილველ ეპოქაში წამყვან დარგს ისევ ნადირობა წარმოადგენს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ პირველყოფილი ადამიანის მე-

ურნეობის ეს დარგი საგრძნობლად განვითარდა და ნადირობის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სატყორცნი იარაღების (შუბი, ხელშუბი) შემოღებამ, ხოლო გვიანი პალეოლითის ბოლოსათვის კავკასიაში მშვილდისრის გაჩენამ, მაშინდელი ხალხის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. საჭმელად ვარგის მცენარეთა შეგროვებამ ნიადაგი შეამზადა მიწათმოქმედებისათვის, რომელიც წარმოიშვა მეზოლითის ეპოქის ბოლოს.

ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ცვლილებანი ხდება საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. კერძოდ, ზედა პალეოლითში ჩაისახა ეგზოგამია[1], რასაც მივყავართ ე. წ. ჯგუფურ ქორწინებამდე, რომლის დროსაც საქორწილო ურთიერთობანი აკავშირებდა ერთი თემის დებს მეორე თემის ძმებთან. ასეთ პირობებში შამა, როგორც წესი, არ იყო ცნობილი, ამიტომ შვილები ეკუთვნოდნენ ქალებს და მათ გვარს საზღვრავდნენ ქალის მიხედვით.

ქალის მიერ შემოღებულმა პრიმიტიულმა მიწათმოქმედებამ — წარმოებითი მეურნეობის პირველმა ფორმამ, პირველყოფილი თემის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა. ამიტომ ქალი გახდა საზოგადოებრივი ცხოვრების წამყვანი ძალა. ასე წარმოიშვა მატრიარქატი, რომელიც გვაროვნული წყობილების ადრეულ და შედარებით ტიპიურ ფორმას წარმოადგენდა.

მატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების გაფურჩქვნა ემთხვევა ნეოლითის ეპოქას, რომელიც თარიღდება დაახლოებით ძვ. წ. X—VI ათასწლეულით. ამ ეპოქაში ხალხმა ისწავლა თიხის ჭურჭლის კეთება, ქვის იარაღის გაპრიალება, ქვის გახვრეტა, გახეხვა და, რაც მთავარია, საბოლოოდ გადავიდა მოპოვებითი მეურნეობიდან საწარმოო მეურნეობაზე. ნეოლითში ჩნდება პირველი შინაური ცხოველები (უპ. ყოველისა ძაღლი) და ვრცელდება თოხის მიწათმოქმედება.

ნეოლითური კულტურის ნარჩენები აღმოჩნდა ჩრდ. კავკასიის ბევრ რაიონში.

ნეოლითის ადრე (ე. წ. წინაკერამიკული) ეტაპი კარგად არის წარმოდგენილი დაღესტანში ბუინაკსკის და ტარნაირის სადგომებით. განათხარ მასალაში ძირითად მასას შეადგენენ მიკროლითური ნაკეთობანი (წვრილი ქვის იარაღები), მაგრამ, გარდა ამისა, ჩნდება ახალი, ნეოლითისათვის ტიპიური მაკროლითური (მსხვილი) საჩეხი იარაღები, გაკეთებული ატკეცის და გახეხვა-გაპრიალების გზით.

---

[1] ეგზოგამია—ქორწინება სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებს შორის (ბერძ. — „ეკზონ" — გარე, „გამოს" — ქორწინება)

შთიან დაღესტანში დიდ ინტერესს იწვევს მალინ-კარატის სადგომი გუნიბის რაიონის სოფ. რუგუჯის მახლობლად. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სადგომის ინვენტარში თიხის ჭურჭლის ნატეხების მოჩენას, რომლებიც დაღესტანში დღესდღეობით ცნობილ კერამიკულ ნაწარმს შორის ერთ-ერთი უძველესია.

დამახასიათებელია ის, რომ თავის ტექნოლოგიური ნიშნებით კერამიკა ძალიან ჰგავს ყუბანისპირეთში ქვემო შილოვკასა და სარეთველოში ოდიშისა და ანასეულის ნეოლითურ სადგომებში მოპოვებულ კერამიკას.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ნეოლითური ეპოქის აღმოჩენები ცნობილია აღალმთიან ტბა კეზენოი-ამთან, სოფ. კეზენოისთან ახლოს. ნეოლითური სოლისებრი ცულები აღმოჩენილია სტანიცა ვოზნესენსკაიასთან. ამ რაიონის ნეოლითური სადგომები ამჟღავნებენ მსგავსებას დაღესტნის ნეოლითთან.

ერთ-ერთი ადრე ნეოლითური ნამოსახლარი მიკვლეულია ყაბარდო-ბალყარეთში ნალჩიკის მახლობლად, მდ. კენჟაზე, სადაც აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანისაგან ნაკეთები მიკროლითური იარაღები.

ყაბარდო-ბალყარეთის მთიან ნაწილში ნეოლითის ძეგლები აღმოჩენილია სოსრუკოს და კალა-ტიუბეს გამოქვაბულის ზემო ფენაში.

ამ დროის ადამიანები ცხოვრობდნენ მიწურებში, რომლის კედლებიც კეთდებოდა მჭიდრო ორმაგი წნულით, რომელშიც ჩაყრილი იყო მიწა. მისდევდნენ ჯიხვებზე, გარეულ ღორებზე, დომბაზე, ირემზე და დათვებზე ნადირობის და ბუნების მზა პროდუქტების შეგროვებას. მაგრამ მათთვის უკვე ცნობილი იყო შინაური (მწყემსური) მესაქონლეობა და თიხით მიწათმოქმედება. აგრეთვე, პრიმიტიული მეთუნეობა. კერამიკულ ჭურჭელს ხელით ძერწავდნენ. თიხაში შეიმჩნევა ქვიშის ჭარბი მინარევი. ჭურჭლის გამოწვა ხდებოდა ცეცხლზე. რის გამოც პროდუქციის ხარისხი დაბალი იყო.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში უნდა აღინიშნოს ჩერკესკის მახლობლად მდ. ოვეჩკაზე ნაპოვნი ნეოლითური ნასოფლარი, სადაც აღმოჩნდა ტრაპეციის მოყვანილობის ფირფიტები, რომლებსაც ანალოგიები მოეპოვებათ აფხაზეთისა და მთელი დასავლეთი ამიერკავკასიის ნეოლითურ ძეგლებთან.

ჩრდ. დასავლეთ კავკასიაში ცნობილია ბევრი ნეოლითური სადგომი, რომლებიც აღმოჩენილია შუა ყუბანისპირა ზოლში ტამანის ნახევარ კუნძულზე და შავი ზღვის სანაპიროზე. ე. წ. „სანაპირო ნეოლითის“ დამახასიათებელი ნიშანია მეთევზეობის დაწინაურება, მაგრამ ამასთან ერთად აქ მეღავნდება პრიმიტიული მიწათმოქმედების ჩანა-

სახები. მაგ. სოჭა-აღლერის ნეოლითურ სადგომებში აღმოჩენილ ხელსაფქვავები, ქვის თოხი, ხოლო მდ. მზიმთას ხეობაში აღმოჩენილ სპეციალური სახელოსნო, სადაც ამზადებდნენ თოხებს.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ნეოლითის ეპოქა ემთხვევა მატრი ქალურ-გვაროვნულ წყობილებას. საზოგადოების ძირითად უჯრ შეადგენდა დიდი ოჯახი დედის ხაზით, რომელიც შედგებოდა თაობის კაცებისაგან და ქალებისაგან. ასეთი ოჯახის წევრთა რიცხ აღწევდა 200 და მეტს.

დედის გვარის სათავეში იდგა უხუცესი ქალი. მონათესავე გვა ბის ერთიანობა ქმნიდა ტომს.

ადამიანთა გვაროვნული კუთვნილება ისაზღვრებოდა დედის ხ ზით. მეუღლეთა დასახლება (ე. წ. წყვილადი ოჯახის დროს) ატარ და მატრილოკალურ ხასიათს, ე. ი. ქმარი ჩვეულებრივ სახლდებ ცოლის სახლში.

ჩრდ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში და ფოლკლო ში შემონახულია მატრიარქალური ურთიერთობის ბევრი გადმონაშ მაგალითად: საზოგადოებაში უხუცესი ქალის პატივისცემა, დედის ძმ ბის განსაკუთრებული პატივისცემა(ავუნკულატი), გარდაცვლილი ც ლის დაზე დაქორწინება (სოროორატი), ქვრივის მაზლზე დაქორწინ (ლევირატი) და სხვ.

მთიელთა ფოლკლორში დიდ ყურადღებას იქცევს გვარის უხ ცესი ქალის — სათანას (შატანას) სახე, რომელიც ნართების ეპოს ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა. აღსანიშნავია მაგ. დაღესტნუ ანდაზები „მამით ნათესავი ქონებით, დედისა — სულით", „პური შამასთან გატეხე, ან ძმასთან", რაც მატრიარქატის დროინდელი უნ იყოს.

მატრიარქალური ეპოქის რწმენა-წარმოდგენები იძლევიან ს შინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ნათელ სურათს. თითოეუ გვარს ყავდა თავისი მფარველი ღვთაება, რომელიც ითვლებოდა მ ცემული გვარის წინაპრად (ტოტემი). თუ ასეთ მფარველად იყ ვთქვათ დათვი და მოცემული გვარის წევრი მას მოკლავდა ნადირობ დროს, როგორც ამას ეთნოგრაფიული ცნობები გვამცნობენ, იგი უნ „მობოდიშებოდა" მას.

მიწათმოქმედების ღვთაებათა დიდი ნაწილი წარმოდგენილი იყ მდედრობითი სქესით, ხოლო ნადირობის ღვთაებანი-მამრობითი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ნაყოფიერების ქალ ღმერთი, რომლის გამოსახულებები ნაპოვნია ჩრდ. კავკასიის მრავალ ნამოსახლარსა და სამარხში. ასეთი, საკმაოდ უხეშად შესრულებულ ქანდაკება, მაგალითად, აღმოჩნდა აგუბეკოვის ნამოსახლარზე.

(ენეოლითი, ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანა)

მატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების დაშლისა და პატრიარ-ატის თანდათანობითი განმტკიცების პერიოდი არქეოლოგიურად ძი-ბითადად ემთხვევა ენეოლითის პერიოდს (სპილენძ-ქვის ხანა), როცა ჩნდება პირველი სპილენძის იარაღები. ქვის ხანიდან ბრინჯაოს ხანაში ვარდამავალი ეტაპი შედარებით ხანმოკლე იყო — ის გრძელდებოდა დაახლოებით ძვ. წ.-ის V ათასწლეულის ბოლოდან ძვ. წ.-ის III ათას-წლეულის შუა ხანამდე. კავკასიის ენეოლითური ძეგლები ქმნიან თა-ებურ კულტურულ წრეს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ობელ რაიონებში გავრცელებულ სხვა სინქრონულ კულტურები-კან. ტერიტორიულად ის მოიცავდა მთელ ამიერკავკასიას, ცენტრა-ლურ კავკასიონსა და დაღესტანს. სპილენძი ჩრდ. კავკასიაში შემოდიო-დ ამიერკავკასიიდან და მხოლოდ მოგვიანებით იწყეს მისი ადგილზე ოპოვება.

ჩრდ. კავკასიის ენეოლითის მნიშვნელოვანი ძეგლია ნალჩიკის სა-შაროვანი, რომელიც კიდევ ატარებს ნეოლითის ნიშნებს. ყველა იარა-ღი აქ ნაკეთებია ქვის ან ძვლისაგან, მხოლოდ ერთ-ერთ სამარხში აღ-მოჩნდა სპილენძის ბეჭედი.

დაახლოებით ძვ. წ-ის III ათასწლეულის შუა ხანებში პრაქტიკა-ში შემოდის სუფთა სპილენძის ნივთების ყალიბში ჩამოსხმის წესით დამზადება, ხოლო შემდეგ გადადიან ბრინჯაოზე (ესაა სპილენძის შე-ნადნობი 5—6 პროცენტ დარიშხანთან). ასე ეყრება საფუძველი ბრი-ნჯაოს ხანას ჩრდ. კავკასიაში. ბრინჯაოს იარაღები გაცილებით მაგარი და ბასრი იყო, ვიდრე სპილენძისა, თუმცა მათაც ვერ შესძლეს მთლი-ანად გამოედევნათ ქვის იარაღები.

დასავლეთსა და ცენტრალურ კავკასიაში ადრებრინჯაოს კულტუ-რის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია მაიკოპის ყორღანი, რის მიხე-დვითაც მთელი კულტურა „მაიკოპურის" სახელს ატარებს. მაიკოპის კულტურა გავრცელებული იყო მთიან ზონაში ტამანიდან ჩეჩნეთის ჩათვლით, თარიღდება ძვ. წ-ის III ათასწლეულის მეორე ნახევრით.

ცნობილი მაიკოპის ყორღანი (დაახლოებით ძვ. წ-ის 2400 წ.) გა-თხრილ იქნა 1897 წ. მისი სიმაღლე იყო დაახლოებით 11 მ. მიწაყრი-ლის ქვეშ მდებარე ხის ძელებით შემოფარგლული სამარხი კამერა გა-ჟოფილი იყო ტიხრით ორ არათანაბარ ნაწილად. უფრო მოზრდილში აღმოჩნდა მამაკაცის, ხოლო მეორეში 2 ქალის ჩონჩხი. სამივე დაფა-რული იყო წითელი საღებავით. მამაკაცის ძლიერ მოხრილ და გვერდ-ზე მწოლარე ჩონჩხს ზემოდან ეყარა ლომებისა და ხარების გამოსახუ-

ლებანი, ოქროს ბალთები, ოქროს ბეჭდები და მძივები. კამერაში იყო 2 ოქროს და 14 ვერცხლის ჭურჭელი. იქვე ნაპოვნია ბალდახინის ნარჩენები, რომელიც დაყრდნობილი იყო ვერცხლის ექვს მილზე. ამ მილებს თავზე ჩამოცმული ჰქონდათ ხარის ვერცხლისა და ოქროს გამოსახულებანი. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ოქროს ბევრი ხვია, ფირუზისა და სარდიონის მძივები და სხვ. მაგრამ რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ყორღანში იყო კაჟის ისრის წვერები და ქვის სხვა იარაღები, აგრეთვე სუფთა სპილენძის ცულები, სატეხი და სხვა. გარდა ამისა, სამარხეულ კომპლექსში ყურადღებას იქცევდა თიხის ჭურჭელიც.

მაიკოპის ყორღანი წარმოადგენდა ძლიერი ტომის ბელადის სამარხს, რომლისთვისაც ჩაუტანებიათ „შეწირული“ ცოლებიც.

მაიკოპის ტიპის ყორღანები ცნობილია ყუბანისპირეთის სხვა რაიონებში, მაგ. კაზანსკაიას, ბელორეჩენსკაიას, არმავირისა და სხვ. გარდა ამისა, ასევეთვე ტიპის ყორღანები ცნობილია პიატიგორსკში, ყაბარდო-ბალყარეთში (ძველი ურუხი და ძველი ლესკენი), ჩრდ. ოსეთში (ბოზდოკის მახლობლად) და ჩეჩენ-ინგუშეთში (მეკენსკის და ბამუტის სტანიცებთან).

მაიკოპის კულტურის მეორე — უფრო გვიანი ეტაპი ატარებს ნოვოსვობოდნაიას კულტურის სახელწოდებას, სტანიცა ნოვოსვობოდნაიასთან გათხრილ ყორღანთან დაკავშირებით. ამ ტიპის სამარხის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს ყორღანში ქვის საფლავების — დოლმენების არსებობა. დოლმენის ირგვლივ კეთდებოდა ქვის წრე. ჩონჩხი აქაც მოხრილ მდგომარეობაში იყო, თავით სამხრეთისაკენ; აღმოჩენილ იქნა ბეწვის, შალისა და ტილოს ტანისამოსის ნაშთები. სამარხის ინვენტარი მდიდრულად იყო წარმოდგენილი. აქ აღმოჩნდა: ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, სარდიონის, მთის ბროლისა და პასტის მძივები; სუფთა სპილენძისაგან ნაკეთები იარაღი როგორც საბრძოლო, ასევე შრომისა; ბრინჯაოს დიდრონი ჭურჭლები, კაჟის ისრის წვერები და თიხის ნაკეთობა.

ნოვოსვობოდნაიას ტიპის ყორღანები აღმოჩენილ იქნა ფსებაისკაიას, ანდრუკოვსკაიას და სხვათა მახლობლად.

ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე, გარდა სამარხებისა, ცნობილია მაიკოპის კულტურის ნამოსახლარის ნაშთები, თუმცა ამ ტიპის ძეგლები გვხვდება შედარებით იშვიათად.

ერთ-ერთ ასეთ ძეგლს წარმოადგენს დოლინსკის ნამოსახლარი ნალჩიკის მახლობლად, თარიღდება ძვ. წ. III—II ათასწლეულთა მიჯნით. აქ აღმოჩენილ სწორკუთხოვან ქოხებს ჰქონდათ თიხით შელესილი წნული კედლები, თიხატკეპნილი იატაკი და კერა. ასეთი სამოსახლო კომპლექსის აუცილებელი ატრიბუტია: საოჯახო კერა, საბრძოლო და

შრომის იარაღები (ისრის პირები, ნამგლის ჩასართები ნაკეთებია კაჟისა და ობსიდიანისაგან). ბევრი იყო ქვის ხელსაფქვავი. კერამიკა წარმოდგენილია თიხის კერებით, დიდი და პატარა ზომის ჭურჭლით. ლითონის ნაკეთობა აქ არ არის ნაპოვნი, მაგრამ აღმოჩენილი შრომის იარაღები და კერამიკა საშუალებას გვაძლევს დოლინსკის ნამოსახლარი შევიყვანოთ მაიკოპის კულტურის წრეში.

მაიკოპის ტიპის ნამოსახლარი აღმოჩენილია აგრეთვე მდ. მეშოკოს ველზე (ადიღეში მდ. ბელაიას შენაკადთან).

დაღესტანისა და ნაწილობრივ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე გავრცელებული იყო მაიკოპის კულტურასთან ახლო მდგომი მტკვარ-არაქსის ტიპის ადრებრინჯაოს კულტურა. ამ კულტურის მთავარი არე იყო ამიერკავკასია (მტკვარსა და არაქსს შუა) და მცირე აზიის აღმ. რაიონები. მტკვარ-არაქსის კულტურა თარიღდება დაახლოებით ძვ. წ.-ის IV ათასწლეულის დასასრულითა და III ათასწლეულის I ნახევრით.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში ამ პერიოდს მიეკუთვნება ლუგოვოეს ნამოსახლარი სოფ. მუქიჩისთან და ორი ნამოსახლარი სოფ. სერქენიურტში, ყორღანული სამარხები სოფ. ბამუტში და მეკენსკაიაში. დაღესტანში ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები აღმოჩენილია კაიაკენტში, გილიარში, ველიკენტში, მანრაშში, ხაჯალ-კალაში, მეკეგში და სხვ. აქ ნაპოვნია საცხოვრებლის ნაშთები, რომლებსაც ჰქონდათ ქვის საძირკველზე დაფუძნებული თიხით შელესილი წნული კედლები. აღნიშნულ ნასახლარებზე ჩნდება დიდძალი თიხის ჭურჭელი, ნამგლის ჩასართები, ხელსაფქვავები, შუბის პირები და სხვ.

ჩრდ. კავკასიაში ამ ხანისათვის მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა. ჭარბობდა მსხვილი რქოსანი საქონელი (ჯოგის 80 პროცენტი) და ღორები.

ამ პერიოდის ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მიწათმოქმედება. ხმარებაში შემოვიდა პრიმიტიული ხის გუთანი, თესდნენ ხორბალს, ქერს. მოსავალს იღებდნენ კაჟის ჩასართიანი ნამგლებით.

მაღალ დონეს მიაღწია მეურნეობამ, რასაც მოწმობს დიდძალი ჭურჭელი, ქოთნები, თასები, თიხის ტაფები, კერის სადგარები და სხვ. ჭურჭელი კეთდებოდა საგანგებოდ განლექილი თიხისაგან და გამოსწვავდნენ არა ცეცხლზე, არამედ სპეციალურ ჭურებში. ზოგიერთი მონაცემებით, უკვე ამ ეპოქის ბოლოს ჩნდება პრიმიტიული სამეთუნეო ჩარხი.

ვითარდება ფეიქრობა. შალის ნაჭრის ნაშთები, რომლებიც ნოვოსვობოდნაიას ყორღანში აღმოჩნდა, მოწმობენ პრიმიტიული საფე-

ქერო დაზგის არსებობას. ქსოვილის ხარისხზე შეიძლება ვიმსჯელოთ ლუგოვოეს ნამოსახლარის მასალების მიხედვითაც.

მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ადგილობრივმა მეტალურგიამ. თუ მაიკოპის კულტურის ადრეულ ეტაპზე სპილენძი შემოჰქონდათ ამიერკავკასიიდან და წინა აზიიდან, ნოვოსვობოდნაიას ეტაპზე უკვე გვაქვს ადგილობრივი მეტალურგიული წარმოება — პირველად სპილენძის ჩამოსხმა, შემდეგ კი ბრინჯაოსი.

მეურნეობის ისეთი დარგი, როგორიც ნადირობაა, საბოლოოდ გადავიდა მეორე პლანზე და მიიღო დამხმარე ხასიათი. მხოლოდ მაღალმთიან ზონაში მცხოვრებთათვისღა თამაშობდა იგი მნიშვნელოვან როლს.

მაშინდელი დროისათვის ფართო მასშტაბებს მიაღწია საგარეო ეკონომიურმა და კულტურულმა კავშირებმა. ადრებრინჯაოს ეპოქაში ჩრდ. კავკასიის მოსახლეობა მჭიდრო კავშირშია მეზობლებთან.

ბევრი ფუფუნების საგანი (თასები, ლომების, ხარების სკულპტურები, სარდიონის მძივები და სხვ.), ნაპოვნი მაიკოპის ყორღანში, როგორც ჩანს, მომდინარეობდა ამიერკავკასიიდან და წინა აზიიდან.

ჩრდ. კავკასიის მცხოვრებთა საზოგადოებრივმა წყობამ ადრე ბრინჯაოს დასაწყისი პერიოდისათვის მიიღო ჩამოყალიბებული პატრიარქატის ხასიათი. უწინდელი წყვილადი ოჯახის სანაცვლოდ შემოდის ე. წ. დიდი პატრიარქალური ოჯახი, რომელიც შედგებოდა ახლო ნათესავების რამდენიმე თაობისაგან, და რომლის სათავეშიც იდგა უხუცესი მამაკაცი. ამიერიდან ცოლი სახლდებოდა ქმრის ოჯახში, ხოლო შვილები ატარებდნენ მამის გვარს.

პატრიარქატის დამკვიდრება გამოწვეული იყო იმით, რომ მეურნეობის ახალ დარგში — საიალაღო მესაქონლეობაში და გუთნით მიწათმოქმედებაში წამყვან როლს თამაშობდა მამაკაცი, ხოლო ქალი თავის საშინაო საქმეებით მეორე პლანზე გადავიდა. გარდა ამისა, ჭარბი პროდუქტებისა და ქონების დაგროვებამ, რაც გამოწვეული იყო საწარმოო ძალების განვითარებით, გაახშირა სამხედრო შეტაკებები ტომებს შორის.

ასეთ სიტუაციაში მეომარი-მამაკაცის როლი არსებითად დიდდება.

შედარებით მაღალ საფეხურზე ადის ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურა. პატრიარქალურ ზედაფენების მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე მიუთითებს მაიკოპის, ნოვოსვობოდნაიას და სხვა ყორღანთა სამარხების ინვენტარი, სადაც ფართოდაა გამოყენებული მდიდრული ორნამენტაცია. მაგალითად, მაიკოპის ერთ-ერთ ფერცხლის თასზე გაკეთებულია კავკასიონის ქედის გამოსახულება იალბუზითა და ყაზბეგით და მაღალ მთებიდან გამომდინარე ორი მდინარით, რომლებიც ერ-

თმანეთის საწინააღმდეგოდ მიედინებიან. ეს მდინარეები, როგორც ჩანს, თერგი და ყუბანია. თასებზე გამოსახულია აგრეთვე ადგილობრივი კავკასიური ცხოველები.

ფართოდ იყო გავრცელებული თიხის ჭურჭლის შემკობა. აღსანიშნავია კოპებდაძერწილი და ორნამენტული თიხის ჭურჭლები. ამათგან ზოგ ორნამენტს საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

იმ პერიოდის რელიგიური რწმენები დაკავშირებულია მზის კულტთან და მიწათმოქმედებასთან. ამაზე მიუთითებს სამარხთა გარშემო შემოვლებული ქვის წრეები. წინაპართა კულტზე ლაპარაკობს მრავალრიცხოვანი სამარხეული ინვენტარი. კვლავ ინარჩუნებენ გავლენას ძველი რწმენა-წარმოდგენები, სადაც გალმერთებულნი არიან ცხოველები, მცენარეები და სხვ.

* * *

ძვ. წ-ის II ათასწლეულში წიხაკავკასიის ტერიტორიაზე განსაკუთრებით კი მაიკოპის კულტურის ბაზაზე იქმნება შუა და განვითარებული ბრინჯაოს კულტურა, რომელიც ცნობილია „ჩრდილო კავკასიური კულტურის“ სახელწოდებით. იგი არსებობდა ძვ. წ-ის 1700 წლიდან ძვ. წ-ის 1100 წლამდე. ამ პერიოდის სამარხები წარმოადგენენ ყორღანებს ქვეშ მოქცეულ ორმოსამარხებს, რომლებიც გამაგრებულია ქვითა და ხით. ამ კულტურის ადრეულ ეტაპზე ჩონჩხები მოხრილ მდგომარეობაშია ჩასვენებული, შემდეგ — გასწორებული, თავით დასავლეთისაკენ ან აღმოსავლეთისაკენ. სამარხებში პოულობენ სპილენძისა და ბრინჯაოს ბევრ ნაკეთობას, აგრეთვე ძვლისა და ქვის ნივთებს. ბევრია თიხის ჭურჭელი, საცხოვრებელთა ურმების თიხის მოდელები, გარდა სამარხებისა, ამ კულტურისათვის დამახასიათებელია მელითონეთა „განძებიც“, რომლებშიც წარმოდგენილია: ბრინჯაოს ცულები, სატეხები, სატევრები, შუბის პირები და სხვ.

მეტალურგია ამ პერიოდში დიდად ვითარდება. ჩამოსხმა ხდებოდა ქვის ან თიხის ფორმებში. დაახლოებით ძვ. წ-ის II ათასწლეულის შუა ხანიდან ჩრდ. კავკასია იქცა ლითონის ძირითად მიმწოდებლად ჩრდ. შავი ზღვისპირეთისა და ვოლგისპირეთისათვის. ამ ბაზაზე მკვეთრად დიდდება წინაკავკასიის ხალხის ურთიერთობა ჩრდილო სტეპების ტომებთან. ადრინდელი ინტენსიური კავშირი ამიერკავკასიასთან, პირიქით, შედარებით სუსტდება.

ამ პერიოდისათვის ჩრდ. კავკასიის კულტურა არ იყო აბსოლუტურად ერთიანი, არამედ იყოფოდა სამ ძირითად ლოკალურ ვარიანტად, რომლებიც განსხვავდებოდნენ თავიანთი დამახასიათებელი ნიშნებით: ყუბანისპირა, ცენტრალურ-კავკასიური და აღმოსავლური,

რომელიც მოიცავდა ჩეჩენ-ინგუშეთის და ნაწილობრივ ჩრდ. დაღესტნის ტერიტორიას.

ამ პერიოდში მეცხვარეობა იქცა მესაქონლეობის წამყვან დარგად და მიიღო საიალაღო ხასიათი. მწყემსებად საზაფხულო და საზამთრო საძოვრებზე გამოყოფილი იყო მამაკაცების განსაზღვრული ჯგუფი, ხოლო მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი რჩებოდა თავის სადგომებში და ეწეოდა ბინადარ ცხოვრებას. ასრსებით როლს თამაშობდა ვინწათმოქმედება, რაზედაც მეტყველებს ნამგლების, თოხების, ხელსაფქვავების, ხორბლის ორმოების, ხორბლეულისათვის განკუთვნილი ჭურჭლისა და სხვათა აღმოჩენა.

რელიგიური წარმოდგენებისათვის უწინდებურად დამახასიათებელი იყო წინაპართა კულტი, რწმენა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. აღმერთებდნენ ცის ენათობებს, წმინდა ტყეებს, ან ხეებს და სხვ.

განსახილველ ეპოქაში, ჩრდ. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროებში გამეფებული იყო განსაკუთრებული კულტურა, რომლის მატარებლები მიცვალებულებს მარხავდნენ დიდრონ დოლმენებში. სპეციფიური იყო დაღესტნის ბრინჯაოს კულტურა II ათასწლეულში.

მთელ II ათასწლეულში და განსაკუთრებით მის I ნახევარში ცენტრალურ და აღმოსავლეთ წინაკავკასიაში ჩრდილოეთიდან შემოდიოდნენ ე. წ. კატაკომბური კულტურის მატარებელი ტომები. ეს სახელწოდება მათ ვიიღეს მიცვალებულების კატაკომბებში დამარხვის გამო (სამარხის ორმოს კედლებში გამოღებული სათავსოები). ზოგი მკვლევარის აზრით, „კატაკომბელები" იყვნენ ინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ხალხი. კავკასიაში მათი შემოსვლა გამოწვეული იყო საძოვრებისა და ლითონის შეძენის სურვილით. მათთვის დამახასიათებელი იყო თავის ქალის დეფორმაციის ჩვეულება და გრეხილ ორნამენტიანი თიხის ჭურჭელი.

„კატაკომბელები", რომლებიც მოხვდნენ ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და დაღესტნის ვაკეებზე, მალე ასიმილირებულ იქნენ ადგილობრივი ტომების მიერ, რომლებიც ისტორიული განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე იდგნენ.

* * *

ძვ. წ-ის XII—VII საუკუნეებში ცენტრალური კავკასიის ჩრდილოეთ ფერდობებზე, ყუბანის სათავეებიდან დასავლეთ ჩეჩნეთამდე ბატონობდა ყობანის კულტურა, რომელმაც თავისი სახელი მიიღო ჩრდ. ოსეთის აულ ზეეო ყობანის მიხედვით, სადაც ის პირველად იქნა აღმოჩენილი (1869 წ.). ამ ეპოქას განეკუთვნება ცნობილი დიდი სამაროვნები: ყობანში, ფასკაუში, ლუგოვოეში და სხვ. და აგრეთვე ზმეისკის, სერჟენ-იურტოვსკოეს და სხვა ნამოსახლარები.

ამ კულტურის წამყვანი ნაკეთობაა ორიგინალური ბრინჯაოს ცულები მომრგვალებული პირით, ქამრის ბალთები, საკინძები, სპირალური სამაჯურები, საწვივეები და სხვა ნივთები, შემკული გეომეტრიული ორნამენტითა და ცხოველების გამოსახულებებით.

„ყობანელთა“ დამარხვის წესი გამოირჩეოდა იმით, რომ ისინი მაღალმთიან რაიონებში ხმარობდნენ სწორკუთხოვან ქვის ყუთებს, ხოლო ქვაშემოწყობილ ორმოსამარხებს მთისძირა ზოლში. ინდივიდუალურ სამარხებში ჩონჩხები ჩასვენებული იყო მოხრილ მდგომარეობაში, რომელიმე გვერდზე მწოლარე.

ჩრდ. დას. კავკასიაში არსებობდა ე. წ. ყუბანისპირა კულტურა, ყობანის კულტურასთან ერთდროული და ახლონათესაური, რომელიც ვრცელდებოდა ყუბანის მარცხენა სანაპიროს სათავეებამდე.

ყუბანისპირა კულტურის ბრინჯაოს ნაკეთობანი ზოგ დეტალში განსხვავდება ყობანის ბრინჯაოსაგან. მაგ., ცულებს აქვთ უფრო ვიწრო და თითქმის სწორი პირი. განსხვავდებიან ნამგლები, სატეხები, მასრიანი შუბისპირები და ზოგი სამკაული.

ყუბანისპირა კულტურა აღმოცენდა მის წინამორბედ ჩრდ. კავკასიის კულტურის აღმოსავლეთ და დასავლეთ ვარიანტებისაგან და ჩრდ. დას. კავკასიის შავი ზღვის სანაპირო რაიონების დოლმენური კულტურის ბაზაზე.

ჩეჩნეთისა და დაღესტნის ტერიტორიაზე, იმ პერიოდში, გავრცელებული იყო დამოუკიდებელი გვიანბრინჯაოს კულტურა, რომელიც ცნობილია კაიაკენტ-ხოროჩოის კულტურის სახელწოდებით, რაც მან მიიღო დაღესტნის აულ კაიაკენტის და მთიან ჩეჩნეთის აულ ხოროჩოის მიხედვით, სადაც აღმოჩენილი იყო მისთვის უფრო დამახასიათებელი ძეგლები. ეს კულტურა იყოფა ორ ვარიანტად — დასავლეთის (მთიანი დაღესტანი და ჩეჩნეთი) და აღმოსავლეთის (ზღვისპირა დაღესტანი).

ეს კულტურა წარმოდგენილია, უმთავრესად, სამარხებით. მიცვალებულებს მარხავდნენ მოხრილ ან მჯდომარე მდგომარეობაში. სწორკუთხა ქვის სამარხებში. სტაბილური არ იყო ორიენტირება. ზოგ ადგილას (მაგ. ჩოხის სამარხში) მიცვალებულებს ათავსებდნენ ოვალურ ჭებში.

კაიაკენტ-ხოროჩოის სამარხების ინვენტარი ხასიათდება ბრინჯაოს საგნების სიმცირით და საბრძოლო იარაღის უქონლობით. სამკაულებად გამოყენებული იყო ბრინჯაოს და სპილენძის საკიდები, ანთიმონის მძივები და სხვ. თიხის ჭურჭელი ნაძერწია ხელით და ზედაპირგადალესილია.

ზემოთ ჩამოთვლილი სამივე კულტურა ძალიან მჭიდროდ იყო

დაკავშირებული მეზობლად არსებულ სინქრონულ კულტურებთან. მაგ., ყობანის კულტურა იმდენად ახლოა დასავლეთ ქართულ (ყოლხიდის) კულტურასთან, რომ ზოგი მკვლევარი აერთიანებს მათ ერთიან ყობან-ყოლხიდის კულტურად. რაც შეეხება კაიაკენტ-ხოროჩოის კულტურას, ის ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული აღმ. ამიერკავკასიის ხოჯალი-ქედაბეკის კულტურასთან.

გვიანბრინჯაოს კულტურის დასკვნით ეტაპზე აქ ჩნდება რკინის ნაკეთობა, ჯერ სამკაულის სახით, შემდეგ კი იარაღი. უფრო ადრეული რკინის ნაკეთობა აღმოჩენილია მაგ. სერეენ-იურტის ნამოსახლარში(ნამგალები, დანები, სადგისები) და თარიღდება ძვ. წ-ის IX—VII საუკუნეებით.

პირველი რკინის ნივთები ჩრდ. კავკასიაში შემოტანილი იყო ამიერკავკასიიდან და ურარტუდან.

ძვ. წ.-ის VII—VI საუკუნეებში ჩრდ. კავკასიაში იწყება რკინის საკუთარი წარმოება. ამ დროიდან ადგილობრივი საზოგადოება შედის რკინის საუკუნეში, როცა რკინის იარაღები წამყვან როლს თამაშობს, მაგრამ შეშორჩენილია ბრინჯაოს ნივთებიც. პერიოდს, რომელიც ცენტრალურ წინაკავკასიაში მოიცავს რკინის საბოლოო გამარჯვებას, ეწოდება გვიანყობანური კულტურის ხანა და თარიღდება ძვ. წ. ა. VII—VI საუკუნეებით.

ზემოთ განხილულ ეპოქას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის ისტორიაში. ამ პერიოდში დიდ მასშტაბებს აღწევს მესაქონლეობა. ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, ნაწილობრივ, იმ გარემოებამ, რომ II—I ათასწლეულის მიჯნაზე მოშინაურებულ იქნა ცხენი, რამაც ხელი შეუწყო მესაქონლეობის შემდგომ განვითარებას. მთის ძირა და დაბლობ რაიონებში ვითარდება მოხვნითი მიწათმოქმედება, რომლის პერსპექტივები რკინის გაჩენასთან ერთად ძლიერ იზრდება. ფართო მასშტაბებით ვითარდება მაშინდელი დროისათვის შესაფერისი გარე ეკონომიური და კულტურული კავშირები.

ახალ საფეხურზე ადის საზოგადოებრივი ურთიერთობანი. პატრიარქალურ-თემური წყობილება შევიდა თავის რღვევის ბოლო სტადიაში. ეს იყო მისი განვითარების დასკვნითი ეტაპი, რაც „სამხედრო დემოკრატიის“ სახელით არის ცნობილი.

„სამხედრო დემოკრატიის“ წყობა კარგად არის ასახული ნართების ეპოსში, რომელიც შექმნილი იყო ცენტრალურ და დასავლეთ წინაკავკასიის ხალხთა მიერ. „ნართების ეპოსი“ არ წარმოუქმნია რომელიმე ერთ ეთნიკურ წრეს — ივი ზოგად კავკასიურია და უმღერის გუ-

ლად მეომრებს, რომელთა სათავეში იდგნენ რჩეული სამხედრო ხელმძღვანელები. მათი მთავარი საქმიანობა ომი იყო.

„ნართები იყვნენ ძლიერნი, შეუდრეკელნი სულითა,
გაჰქუხდა მათი სახელი ძალითა არნახულითა,
ომობდნენ მთელი სიცოცხლე, ლომნი ლომისა გულითა“.

მთელი ნართების ეპოსი სამხედრო ყოფით არის გამსჭვალული. მისი მთავარი პერსონაჟები არიან უპირველესად ყოვლისა მეომრები სოსრუკო თუ ბათრაზი, რომლებიც დადებით გმირებს წარმოადგენენ და მამაცი მეომრები არიან; სირდონი გაიძვერა მეომარია, ხოლო ურიზმაგი — გამოცდილი და ბრძენი ხელმძღვანელი.

ნართების ერთ-ერთი გმირი წარმოთქვამს;

„მე ვარ სოსრუყო მრისხანე,
ნართი მკვესარე თვალებით;
მიყვარს რბევა და მოლხენა,
მტრის ქლეტა ცეცხლის ალებით“.

ნართები—ჯერ კიდევ არ არის კლასი ან ფენა, მაგრამ არც მთელი ხალხი. თუმცა ნართების შორისაც უკვე აღარ არის თანასწორობა. არიან „უფროსი“, „უმცროსი“, „მდიდარი“. „ღარიბი“, „გვარიანი“ და „უგვარო“ ნართები.

ამგვარად, სამხედრო დემოკრატიის პირობებში, თანდათან ყალიბდება მომავალი საზოგადოებრივი კლასების ჩანასახები, მაგრამ ეს კანონზომიერი პროცესი ჩრდ. კავკასიაში ძალზე შეაფერხა საგარეო გართულებებმა.

პირველი უცხოური ტალღა, რომელიც შემოიჭრა ჩრდ. კავკასიაში, და რომელთა სახელიც ჩვენამდე შემოინახა ძველ აღმოსავლურ და ძველ ბერძნულ წყაროებში, იყვნენ კიმერიელები, რაც დასტურდება კიდევაც ტოპონიმიკური ძონაცემებით („კიმერიის ბოსფორი“, „კიმერიული გადასასვლელები“, „კიმერიული კედელი“. „კიმერიკი“). კიმერული ტომების ტერიტორიულ ცენტრს წარმოადგენდა ქერჩის და ტამანის ნახევარკუნძულები. კიმერიელები პირველად მოიხსენიებიან ლურსმულ წარწერებში (ძვ. წ-ის VII ს.) და „ოდისეაში“.

როგორი იყო მათი ტერიტორია და ეთნიკური კუთვნილება, ძნელი სათქმელია წყაროთა სიმცირის გამო. ზოგი მკვლევარი სთვლის რომ ისინი იყვნენ კატაკომბური კულტურის მატარებელი ტომების მემკვიდრენი და ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ ინდოევროპულ ენაზე.

დამოუკიდებლად იმისაგან, თუ ვინ იყვნენ კიმერიელები ეიწრო

ეთნიკური თვალსაზრისით, ეჭვს გარეშეა, რომ ამ ტერმინში ერთიანდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, რომელიც გაერთიანდა VIII—VII საუკუნეებში კიმერიის ტომობრივ კავშირში. ამ შემთხვევაში გამონაკლისი არ იყო აგრეთვე ზოგი ძველი კავკასიელი ტომი, უპ. ყოვლისა ადიღების წინაპრები. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ იმ „კიმერიელებს“ შორის, რომლებმაც მოცემულ პერიოდში მოახდინეს მძარცველური თავდასხმები ამიერკავკასიაზე და წინა აზიაზე, იყვნენ ჩრდ. კავკასიური ტომებიც. მეორე მხსვილი ეთნიკური ჯგუფი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩრდ. კავკასიის ისტორიაში, იყვნენ სკვითები. მათი წარმოშობის საკითხიც ბუნდოვანია. მათი ენა მიეკუთვნება ჩრდ. ირანულ ენების ჯგუფს. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით აღმ. ევროპაში გამოჩენამდე ისინი ცხოვრობდნენ სადღაც სამხრეთ ციმბირში ან შუა აზიაში, მათთან მეზობლად მცხოვრებ და მონათესავე სხვა ჩრდ. ირანულ ტომებთან — მასაგეტებთან, საკებთან, სოგდებთან და სხვ. ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ. წ-ის V ს.) გვამცნობს, რომ აზიაში მცხოვრები „მომთაბარე სკვითები, შევიწროებულნი მასაგეტების მიერ, გამოეშურნენ კიმერიის მიწა-წყალზე“. მათი დაწოლით კიმერიელების ნაწილი გადასახლდა წინა აზიაში.

საბოლოოდ სკვითების ტომობრივი კავშირი შეიქმნა ძვ. წ-ის VIII—VII სს. მასში შევიდნენ არა მარტო მომთაბარე ირანულენოვანი ტომები, არამედ ჩრდ. შავიზღვისპირეთისა და კავკასიის მიწათმოქმედი მოსახლეობა. ამ კავშირში წამყვან ძალას წარმოადგენდნენ ე წ. „მეფის სკვითები“, რომლებიც, ჰეროდოტეს ცნობით, დანარჩენ სკვითებს სთვლიდნენ თავის მონებად და ეკავათ ტერიტორია ქვემო დნეპრის მარცხენა ნაპირიდან ქვემო დონამდე.

სკვითების ისტორიის პირველ პერიოდში (VII—V სს.), სკვითური არისტოკრატიის გამდიდრების მთავარ წყაროს წარმოადგენდა მძარცველური ლაშქრობები, ხარკის აკრეფა დაპყრობილი ხალხებისაგან. ჰეროდოტეს სიტყვით, სკვითები „ყველა ხალხს აკისრებდნენ ხარკს, მაგრამ გარდა ამისა, ახდენდნენ თავდასხმებს და ძარცვავდნენ მათ“.

სკვითებმა შექმნეს იმ დროისათვის მაღალი საომარი ტექნიკა. განსაკუთრებით განთქმული იყო სკვითური რკინის შუბები, ბრინჯაოს მაკრიანი და ფხიანი ისრის წვერები და განსაკუთრებით რკინის მოკლე სატევრები ანუ აკინაკები. ომში ისინი იყენებდნენ შემდეგ ტაქტიკას: ჯერ ესროდნენ ისრებს, შემდეგ შეერეოდნენ და იწყებდნენ ბრძოლას აკინაკებით. იყენებდნენ აგრეთვე შუბებს, ხელშუბებს და სხვა.

ძვ. წ-ის VII საუკუნის პირველ ნახევარში სკვითები ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდათ, დაიპყრეს ჩრდ. კავკა-

სიის ველები და მთისძირა ტერიტორია. ადგილობრივი მოსახლეობა დიდ წინააღმდეგობას უწევდა მათ, რასაც სასტიკად უსწორდებოდნენ. არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებენ, რომ ამ დროს განადგურებულ იქნა ადგილობრივი ტომების ბევრი სამოსახლო, რის ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს სერეენ-იურტის ნამოსახლარი (ჩეჩნეთი). აქ არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოაშკარავა, რომ VII საუკუნეში ეს სამოსახლო მთლიანად იყო გაძარცული სკვითების მიერ, ხოლო მოსახლეობა განადგურებული.

ამრიგად, სკვითების შემოსევებმა უარყოფითი როლი ითამაშეს ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიაში, შეანელეს მათი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარება.

ძვ. წ.-ის VII საუკუნეში ისინი აწყობდნენ ლაშქრობას ამიერკავკასიაში და წინა აზიის ქვეყნებზე. საერთოდ კი ამიერკავკასიაში შედიოდნენ დარუბანდისა და დარიალის გადასასვლელებით, ბელორეჩენსკის, ქლუხორის, მამისონისა და სხვ. გზებით, სკვითებმა ამ ლაშქრობებში ჩაითრიეს ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი.

§ 4. ჩრდილოეთ კავკასია ანტიკურ ხანაში

ეთნიკური შემადგენლობა. ანტიკურ ეპოქაში (ძვ. წ-ის V ს. — ჩვ. წ-ის V ს.) ჩრდ. კავკასიის მიწა-წყალზე ჯერ კიდეე არ იყო ჩამოყალიბებული მსხვილი ეთნიკური ერთეულები. ჩრდ. კავკასიის მოსახლეობა, ამ პერიოდში, ეთნიკურად დაქუცმაცებული იყო ცალკეულ ტომებად და პატარა-პატარა ხალხებად, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდა ამ მხარის თანამედროვე ხალხთა წინაპრებს.

კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი რაიონები, დონის ქვემო დინების ჩათვლით, ეკავათ ძველ ადიღურ ტომებს. ზოგჯერ ანტიკური დროის ავტორები მათ აერთიანებდნენ მეოტების საერთო სახელწოდებით. მეოტურ ტომებს ეკუთვნოდნენ: სინდები, თორეტები, კერკეტები, ფსესები, ფატეები, დოსხები და სხვ.

კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, ანტიკური ავტორების გადმოცემით, ცხოვრობდნენ სხვადასხვა ტომები: ღარღარები, ისადიკები (სოდები). ჰამიკეთები და სხვ., რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, ვეინახების წინაპრები იყვნენ. მათ აღმოსავლეთით, იმავე ანტიკური წყაროების მიხედვით, ჩრდ. დაღესტნის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: ლეგები, ველები, კასპიები, დიდურები, ანდაკები და უტიელები. ესენი იყვნენ იბერიულ-კავკასიურ ხალხთა დაღესტნური ჯგუფის უშუალო წინაპრები.

მაგრამ ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე, გახსაკუთრებით სტეპებში, აბორიგენული მოსახლეობის გარდა, მკვიდრდებიან აგრეთვე მოსული ირანულენოვანი ტომები, მათ შორის დანდარები, რომლებიც უკვე ძვ. წ-ის V საუკუნეში ლოკალიზებული არიან ჩრდ. დას. კავკასიაში და, როგორც ჩანს, ეკუთვნოდნენ სკვითურ ეთნიკურ მასივს.

ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე ირანულენოვანი ტომების ფართოდ გავრცობა ხდება ძვ. წ-ის III—II სს. ბოლოს, რაც დაკავშირებულია აქ სარმატების შემოსვლასთან, რომლებიც სკვითების მონათესავენი იყვნენ. ჰეროდოტეს ცნობით, სარმატები „ლაპარაკობენ სკვითურ, მაგრამ ძველთაგანვე დამახინჯებულ ენაზე". როგორც ჩანს, სარმატული ენა წარმოადგენდა სკვითური ენის ერთ-ერთ დიალექტს.

ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე შემოჭრილი სარმატები შესდგებოდნენ ორი პოლიტიკური გაერთიანებისაგან — სირაკებისა და აორსებისა. სირაკებმა დაიკავეს იმიერკავკასიის ბარი, აზოვის ზღვიდან თერგსუნჯის შესართავამდე ხოლო მათ აღმოსავლეთით, მდ. სულაკამდე, დასახლდნენ აორსები. შემდეგში უცხოელმა ავტორებმა სახელწოდება „სარმატი" გაავრცელეს ჩრდ. კავკასიის ტერიტორიის მთელ მოსახლეობაზე. ამიტომ აქ სარმატების სახელწოდების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო მოსული ირანულენოვანი ტომები, არამედ ადგილობრივი იბერიულ-კავკასიური მოსახლეობაც.

ჩვ. წ-ის I საუკუნეში აორსთა გაერთიანებიდან დაწინაურდა ალანთა ტომი — დღევანდელი ოსი ხალხის ერთ-ერთი უშუალო წინაპარი. ალანებმა დაიმორჩილეს სხვა სარმატული ტომები და გაავრცელეს მათზე თავისი სახელწოდება, რომელმაც დროთა ვითარებაში დაიკავა ტერმინი „სარმატის" ადგილი, ტერმინი „ალანი" ხანდახან ვრცელდება ჩრდ. კავკასიის არაირანულ მოსახლეობაზეც.

ანტიკური ეპოქის ბოლოს (IV — V სს.) ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე ჩნდებიან თურქულენოვანი ტომები — ჰუნები. ამრიგად, იბერიულ — კავკასიურ და ირანულენოვან ეთნიკურ ჯგუფებს მოემატა თურქულენოვანი ტომები, რომლებიც თანამედროვე ყარაჩაი-ბალყარელებისა და კუმიკების შორეულ წინაპართა რიცხვს ეკუთვნოდნენ.

ს ო ც ი ა ლ უ რ-ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ანტიკური ხანის ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის შესასწავლად ძირითად წყაროს არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს. ჯერ კიდევ რევოლუციამდე აქ აღმოჩენილ იქნა განსახილველი ეპოქის ნამოსახლართა და სამაროვანთა ნაშთები. საბჭოთა პერიოდში არქეოლოგიურად შესწავლილი ძეგლების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ანტიკური ხანის ჩრდ. კავკასიის

შესახებ ცნობებს გვაწვდიან აგრეთვე წერილობითი (ბერძნულ-რომაული) წყაროები.

ისტორიული მონაცემებით მტკიცდება, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობის წამყვან დარგს მიწათმოქმედება წარმოადგენდა; ხოლო მთისძირა და მთიან რაიონებში კი განვითარდა ე. წ. ტერასული მიწათმოქმედება. თესდნენ ხორბალს, ქერს, ღომეულს და სხვ. განვითარებული იყო აგრეთვე მებოსტნეობა, მევენახეობა, მემინდვრეობა. მესაქონლეობაც მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი იყო. დაბლობ რაიონებში უმთავრესად მსხვილფეხა საქონლის და ცხენების მოშენებას მისდევდნენ, მთიან ზონაში სჭარბობდა მეცხვარეობა. უწინდებურად ეწეოდნენ საიალაღო მეცხოველეობას — ზაფხულობით საქონელს არეკავდნენ მაღალმთიან ალპიურ საძოვრებზე, ხოლო ზამთარში ჩამოდიოდნენ იმიერკავკასიის სტეპებში. საფიქრებელია, რომ ამ დროს უკვე გამოყვანილ იქნა კავკასიური ნაგაზი.

რაც შეეხება მოსულ სარმატ-ალანებს, ისინი თავდაპირველად მომთაბარეობას მისდევდნენ, გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის გავლენით თანდათანობით ხელი მიჰყვეს მიწათმოქმედებას და ბინადარ ცხოვრებაზე გადადიოდნენ.

დიდი განვითარება ჰპოვა ხელოსნურმა წარმოებამ. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი საწარმოო და საბრძოლო იარაღები, კერამიკული ჭურჭელი და სხვ. გვანცვიფრებენ თავისი შესრულების ხელოვნებით. ზღვისპირა რაიონებში მისდევდნენ მეთევზეობას. მნიშვნელოვნად განვითარდა შინა და საგარეო ვაჭრობა. ვაჭრობაში წამყვანი ადგილი დაიკავა მთის და ბარის მოსახლეობის ურთიერთკავშირმა.

ჩრდ. დასავლეთ კავკასიას სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ანტიკური სამყაროს ქვეყნებთან — საბერძნეთთან და რომთან. ამ ვაჭრობაში შუამავლის როლს თამაშობდნენ ბოსფორის სამეფო და ის ბერძნული პოლისები, რომლებიც ჩრდ. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე იყვნენ განლაგებულნი. ჩრდ. კავკასიის ხალხებს, გარდა ამისა, მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობანი ჰქონდათ ამიერკავკასიის ქვეყნებთან და წინა აზიასთან. სტრაბონის ცნობით, დარიალისა და დარუბანდის გადასასვლელებზე გავლით ვაჭრობდნენ „ინდური და ბაბილონური საქონლით, რომელსაც იღებდნენ სომხებისა და მიდიელებისაგან და გადაჰქონდათ აქლემებით“.

მაგრამ ეს სავაჭრო ურთიერთობანი, რა თქმა უნდა, არ არღვევდნენ იმ ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობებს, რაც დამახასიათებელი იყო ადგილობრივი წარმოებისათვის. მოსახლეობის სავაჭრო-ეკონომიურ დაწინაურებას ხელი შეუშალა კავკასიაში სარმატების შემოჭ-

რამ. მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ურთიერთობაში თანდათანობით ისინიც ჩაებნენ.

უაღრესად რთულ საკითხს წარმოადგენს ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების დონის განსაზღვრა ამ პერიოდისათვის.

მეცნიერების უმრავლესობა სთვლის, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ანტიკური პერიოდის მთელ მანძილზე არ გამოსულა ე. წ. სამხედრო დემოკრატიის, ე. ი. პირველყოფილ-თემური წყობილების უკანასკნელი საფეხურის ჩარჩოებიდან. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის; ჩრდ. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე არსებობდა შედარებით მნიშვნელოვანი პოლისები (ქალაქ-სახელმწიფოები), შექმნილი ბერძენი კოლონისტებისა და ადგილობრივი მკვიდრების მიერ. ამ პოლისების რიცხვს ეკუთვნოდა: ფანაგორია (აწინდ. სენნაია), ჰერმონასა (ტამანსკაია), გორგიპია (ანაპა), ბატა-პატუსი (ნოვოროსიისკი) და სხვ. ეს პოლისები მონათმფლობელური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები იყო. გარდა ამისა, V ს-ის მეორე ნახევარში სინდიკის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფო, რომლის ცენტრსაც გორგიპია წარმოადგენდა. ამ სახელმწიფოს მეფეები სპრიდნენ საკუთარ მონეტას. თავისი სოციალურ-ეკონომიური ტიპით სინდიკა, როგორც ჩანს, ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოს წარმოადგენდა.

სავარაუდოა, რომ ადრეკლასობრივი ურთიერთობანი უკვე არსებობდა რიგ სხვა ადგილობრივ ტომებში. ანტიკური ხანის ავტორები არა ერთხელ მოიხსენიებდნენ ადგილობრივ „მეფეებს", როგორც მაგ. ფატეების მეფე არიფარნს, დანდარების მეფეს და სხვ. ყუბანისპირეთის ყორღანებში, სადაც მსგავსი „მეფეებია" დაკრძალული, ნახულობენ მათი ცოლების, მონებისა და ცხენების უამრავ ჩონჩხებს.

კლასობრივი ურთიერთობანი არსებობდა სამხრ. დაღესტნის ზღვისპირა მოსახლეობაშიც, რომელიც ალბანეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ჯერ კიდევ ძვ. წ-ის I საუკუნიდან.

სარმატ-ალანთა ზედაფენაც ადრეკლასობრივ წოდებას წარმოადგენდა. წყაროები ისსენიებენ სარმატთა მეფეებს — ზორსიმს და ევნონს, ასევე სარმატთა ბელადებს — „სკეპტუხებს" (სკიპტროსნებს), რომლებიც ემორჩილებოდნენ „მეფეებს". ეს მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს ჩრდ. კავკასიის წამყვან რაიონებში უკვე ჩამოყალიბდა თუმცა პრიმიტიული, მაგრამ მაინც კლასობრივი საზოგადოება.

საზოგადოების სოციალური დაყოფა განსაკუთრებით რელიეფურად მეღავნდება სამარხეულ მასალებში. გაბატონებული ზედაფენებისადმი კუთვნილ მდიდრულ სამარხთა გვერდით აღმოჩენილია რიგითი

შეომრების სამარხები და ძალზე ღარიბული სამარხები, რომლებიც ეკუთვნოდა მონებს და გაღატაკებულ მეთემეებს.

ადგილობრივი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია პატრიარქალურ-თემურ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი გადმონაშთების არსებობა როგორც ეკონომიურ, ასევე სოციალურ სფეროში. ეს გადმონაშთები განსაკუთრებით შესამჩნევია სარმატულ-ალანურ საზოგადოებაში. IV საუკუნის ავტორი ამიანე მარცელინი ალანების შესახებ წერს: „მათ არ ჰქონდათ არავითარი წარმოდგენა მონობაზე, იყვნენ რა ყველა ერთნაირად კეთილშობილური წარმოშობისა". ავტორი აქ არა მარტო აიდეალებს ალანთა ყოფას, არამედ ამჟღავნებს ადრეკლასობრივი საზოგადოების სპეციფიკაში გაურკვევლობას. საქმე იმაშია, რომ ალანთა ზედა ფენას მართლაც არ ჰყავდა მონები ალანთა წრიდან, მაგრამ სამხედრო თავდასხმების დროს იძენდა მათ და სხვა ქონებას დაპყრობილი ტომებიდან, რაც იწვევდა ალანთა ზედა ფენის გამდიდრებას და სოციალურ გადაგვარებას.

სარმატების ადრეკლასობრივ ურთიერთობათა პრიმიტიულობაზე მიუთითებს მატრიარქატის ძლიერი გადმონაშთების არსებობა. სარმატებში ქალი თამაშობდა მნიშვნელოვან როლს. ჯერ კიდევ ფსევდოჰიპოკრატე (ძვ. წ-ის V ს.) წერდა: „გათხოვებამდე მათი (სარმატების. — ზ. ა.) ქალები დაჯირითობენ ცხენებზე, ისვრიან მშვილდს, ტყორცნიან ხელშუბებს და ამხედრებულნი ებრძვიან მამაკაცებს".

სარმატი ქალების სამარხებში ხშირად პოულობენ საბრძოლო იარაღს და ცხენების ჩონჩხს. ამ ფაქტმა ბიძგი მისცა ბერძნული ლეგენდების შექმნას კავკასიელი „ამაზონელების" (მეომარი ქალების) შესახებ.

მაგრამ ზემოთ ნათქვამი სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩრდ. კავკასიის მთელი მოსახლეობა შევიდა თავისი სოციალური განვითარების კლასობრივ სტადიაში. ბევრ რაიონში, უმთავრესად მთაში, მოსახლეობა განვითარების პატრიარქალურ საფეხურზე იდგა, რაც გამოწვეული იყო მთიელების საშინაო და საგარეო ურთიერთობათა მეტისმეტი სისუსტით, მათი გეოგრაფიული იზოლაციით, სამეურნეო ურთიერთობათა დაბალი დონით და სხვ. მთიელი მოსახლეობის ჩამორჩენილობასა და იზოლაციას ხელს უწყობდა ბარში გაბატონებული სკვითურ-სარმატულ-ალანური ტომების მძლავრობა.

ყველაფერმა ამან გამოიწვია, ის, რომ ჩრდ. კავკასიელი მთიელები გაცილებით ჩამორჩებოდნენ შავიზღვისპირა მოსახლეობას, რომელიც დაკავშირებული იყო ბოსფორის სამეფოსთან, მთელ ანტიკურ სამყაროსთან.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა. ჩრდ. კავკასიის მოსახლეო-

ბის პოლიტიკური ბედი ანტიკურ ხანაში იყო რთული და ხანდახან ტრაგიკული ხასიათისაც.

V საუკუნეში ყირიმის აღმ. ნაწილში შეიქმნა ბოსფორის სამეფო არქეანაქტიდების სამეფო საგვარეულოს მეთაურობით. მისი დედაქალაქი პანტიკაპეა მდებარეობდა თანამედროვე ქერჩის ადგილას. ბოსფორის მეფეები თანდათანობით ავრცელებდნენ თავის გავლენას ჩრდ. დასავლეთ კავკასიის ბერძნულ-მეოტურ პოლისებზე და სინდიკის სახელმწიფოს უშუალოდ გაუმეზობლდნენ. სინდთა ზედაფენას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბოსფორის მმართველ წრეებთან. მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს ვარაუდი იმის შესახებ, რომ სპარტოკიდების ახალი სამეფო დინასტიის დამაარსებელი ბოსფორის სამეფოში — სპარტოკი სინდიკის ზედაფენების წარმომადგენელი იყო.

ძვ. წ-ის IV ს. შუა წლებში მეფე ლევკონ I (389 — 349 წწ.) დროს სინდიკა მშვიდობიანად შეუერთდა ბოსფორის სამეფოს. ამ შეერთების მიზეზები ერთი მხრივ, იყო სინდიკის და ბოსფორის ზედა ფენების მისწრაფება ეკონომიური ურთიერთკავშირის შემდგომი გაძლიერებისაკენ, ხოლო მეორე მხრივ, ერთობლივი მისწრაფება გაერთიანებულიყვნენ და საერთო ძალით გამკლავებოდნენ სკვითურ-სარმატულ ტომთა სამხედრო შემოტევას.

დროთა ვითარებაში ბოსფორის მეფეებმა დაიმორჩილეს დანარჩენი მეოტური ტომები: ფატეები, ფსესები და სხვ., რომელთა მმართველ წრეებს აწყობდა ბოსფორთან პოლიტიკური და ეკონომიური სიახლოვე, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა ბოსფორელთა ბატონობა აუტანელი ხდებოდა, მაშინ მეოტური ტომები ჯანყდებოდნენ მათ წინააღმდეგ.

ძვ. წ-ის III ს-ის ჩრდ. კავკასიამ განიცადა ირანულენოვანი მომთაბარე სარმატების შემოსევა. სარმატები ყველაფერს ანადგურებდნენ და ბევრი ადგილობრივი ტომი დაიპყრეს, დაიმორჩილეს ან აიძულეს მთებში ვაბიზნულიყვნენ. დიოდორე სიცილიელის (ძვ. წ-ის I ს.) ცნობით, „სარმატებმა დამარცხებულების მოსპობით ქვეყნის უმეტესი ნაწილი უდაბნოდ აქციეს". მთებში შეხიზნული მოსახლეობა თანდათან იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა დამპყრობთ, რადგანაც მათი მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი საიალაღო მესაქონლეობა აუცილებლად საჭიროებდა ზამთრის საძოვრებს, რომლებიც გადაჭიმული იყო ჩრდ. კავკასიის ველებში. გარდა ამისა, მთიელები თანდათანობით ამყარებდნენ სამხედრო კავშირს სარმატების ზედა ფენასთან და მათთან ერთად იღებდნენ მონაწილეობას ამიერკავკასიაზე და წინა აზიაზე მოწყობილ თავდასხმებში.

საქართველოს მმართველები იძულებული იყვნენ მიეღოთ საგანგებო ზომები გადმოსასვლელი გზების, განსაკუთრებით დარიალის, გა-

სამაგრებლად. მაგრამ მეზობლებთან ომის დროს ისინი იყენებდნენ სარმატების, შემდეგ კი ალანთა ძალებს და შემოყავდათ ისინი თავის ტერიტორიაზე. სტრაბონის ცნობით, იბერიის მეფეებს „საჭიროების შემთხვევაში შეუძლიათ გამოიყვანონ ათეულ ათასობით მეომრები როგორც საკუთარი, ასევე სკვითური და სარმატული ტომებიდან“.

ძვ. წ-ის I ს-ში კავკასიელი ხალხები პონტოს მეფე მითრიდატ IV მიერ შექმნილ სამხედრო კოალიციის შემადგენლობაში აწარმოებდნენ ბრძოლას რომაელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მონაწილეობდნენ როგორც ჩრდ. დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა (ბოსფორის ჯარების შემადგენლობაში), ასევე დაღესტნური ტომები (ალბანთა ლაშქრის რიგებში).

რომაელების გამარჯვებისა და საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ რომაელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას, განსაკუთრებით ქართველი მეფეებისადმი, წარმოადგენდა ის, რომ ჩაეკეტათ მთიანი გადასასვლელები და არ შემოეშვათ სარმატები მცირე აზიის რომაულ სამფლობელოებში.

ახალი წ-ის I ს-ში ჩრდ. კავკასიაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საგრძნობლად გაძლიერდნენ და პოლიტიკურად გაბატონდნენ ალანები. ალანური ტომების სამშობლო იყო ჩრდილო კასპიისპირეთი და მისი აღმოსავლეთი რაიონები. კავკასიაში ისინი მოვიდნენ სარმატებთან ერთად. ალანებმა ისარგებლეს სარმატებს შორის ატეხილი ბრძოლით. ხელთ იგდეს აორსების მიერ დამარცხებული (ჩვ. წ-ის I ს-ის შუა ხანები) სირაკების მნიშვნელოვანი ტერიტორია და შემდეგ თვით აორსები შეავიწროვეს: ამიანე მარცელინის ცნობით, ალანებმა „რეგულარული თავდასხმებით თანდათანობით დაასუსტეს მეზობლები და გაავრცელეს მაგრაზე თავისი სახელი“.

ალანები, ისევე როგორც სარმატები, ხშირად აწყობდნენ ლაშქრობებს ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში (უმთავრესად დარიალის გადმოსასვლელით). აღმ. საქართველოს მმართველები თავისი ინტერესების შესაბამისად ალანებს ხან გამოატარებდნენ ამ გზით, ხან კი დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ.

ჩვენი ერის დასაწყისში შეიმჩნევა ძველდაღესტნური ტომების პოლიტიკური კონსოლიდაცია. მთიანი დაღესტნის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ანტიკური ავტორები აერთიანებდნენ „ალბანების“ სახელწოდებით. რაც ლათინურ ენაზე ნიშნავს „მთების ქვეყანას“ (ამასვე ნიშნავს „დაღესტან“ თურქულ ენაზე).

ალბანეთის პოლიტიკური გაერთიანების პროცესი აღნიშნული იყო სტრაბონის მიერ, რომელიც წერდა, რომ ალბანეთის მეფე „ახლა ყველაზე ბატონობს, ხოლო უწინ ყოველ ხალხს ჰქონდა თავისი ენა და

ჰყავდა თავისი მეფე". გაერთიანებული ალბანეთის სამეფო შეიქმნა ძვ. წ-ის I საუკუნეში. ალბანეთის პოლიტიკური საზღვრები მოიცავენ დღევანდელი აზერბაიჯანის ჩრდ. რაიონებს და სამხრ. დაღესტნის ნაწილს, დაახლოებით მდ. სულაკამდე.

IV საუკუნის 70-იან წლებში ჩრდ. კავკასიის მოსახლეობას თავს დაატყდა ახალი დამპყრობელი. ამჯერად შემოიჭრენ ცენტრალური აზიიდან მოსული ჰუნები. მათ დაამარცხეს ალანები და საგრძნობლად შეავიწროეს ისინი. ალანური მოსახლეობის ნაწილი იძულებული გახდა მთებში შეხიზნულიყო. ამიერიდან ალანური სამოსახლოები ჩნდება დიდი კავკასიონის მთიან რაიონებში, ყუბანის შესართავიდან მდ. სუნჯამდე.

სისტემატური თავდასხმები (სკვითები, სარმატები, ალანები, ჰუნები და სხვ.) ხელს უშლიდა ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას, ხშირად ნადგურდებოდა მთელი ტომები, იწვევდა პოლიტიკური ძალების ახალ-ახალ დაჯგუფებებს, რასაც არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიულ ბედზე.

კ ულ ტ ურ ა. პოლიტიკური მდგომარეობა თავის მხრივ გავლენას ახდენდა ჩრდ. კავკასიის მოსახლეობის კულტურაზე. განუწყვეტელი შემოსევები აფერხებდა მათ კულტურულ განვითარებას. გარდა ამისა, მოსული ელემენტი თავის კულტურით გავლენას ახდენდა ადგილობრივ მოსახლეობის კულტურაზე. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ძვ. წ. დასასრულისათვის შეიმჩნევა ადგილობრივი კულტურის საგრძნობი სარმატიზაცია. ამ პერიოდის სამარხებში, და ნასახლარებში პოულობენ სარმატული წარმოშობის ბევრ ნივთს, განსაკუთრებით საბრძოლო იარაღს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა თავისი უფრო მაღალი კულტურით დიდ გავლენას ახდენდა სარმატულ-ალანური კულტურის შემდგომ განვითარებაზე. ეს განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა მას შემდეგ, რაც ნომადები ბინადარ ცხოვრებაზე გადავიდნენ.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ინარჩუნებდა თავის უძველეს კულტურულ ტრადიციებს. არქეოლოგიური ძეგლები მიუთითებენ რომ ჩრდ. კავკასიის მთის ძირა და განსაკუთრებით მთიანი ზოლის მოსახლეობა აგრძელებდა და ანვითარებდა ყუბანისპირეთის, ყობანის და კაიაკენტ-ხოროჩოის გვიანბრინჯაოს ხანის კულტურათა ტრადიციებს.

ვითარდებოდა აგრეთვე კულტურული გაცვლა-გამოცვლა ადგილობრივ მოსახლეობასა და გარე სამყაროს შორის. სისტემატურ ხასიათს ატარებდა კავშირები მეზობლებთან, განსაკუთრებით ბოსფორის

სამეფოსთან და ამიერკავკასიასთან. კულტურული კავშირი ჰქონდათ უფრო შორეულ ქვეყნებთანაც — რომთან, საბერძნეთთან, წინა აზიასთან. ეგვიპტესთან, ინდოეთთან და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის კულტურულმა განვითარებამ ანტიკურ ხანაში გარკვეულ პროგრესს მიაღწია.

თავი II

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა V — X საუკუნეებში

ადრეფეოდალური ხანა, რომელიც ძირითადად V — X სს. იფარგლება, კავკასიის ხალხთა ისტორიაში ახალი უაღრესად მნიშვნელოვანი ეპოქის დასაწყისია. ისევე, როგორც მთელი მაშინდელი კულტურული სამყარო, კავკასიაც თავისი მრავალფეროვანი მოსახლეობით შევიდა სოციალურ ურთიერთობათა განვითარების ახალ ფაზაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ერთი მხრივ ადრეული ფეოდალიზაციისათვის ნიშანდობლივი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ძვრები, ხოლო მეორე მხრივ კი სხვადასხვა ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობათა გაღრმავება და გართულება.

კავკასიის მთიანეთი თავისი მეტად თავისებური და ხელსაყრელი მდებარეობის გამო შეუძლებელია დარჩენილიყო იმ მოვლენათა მიღმა, რაც მაშინდელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ განიცადა. და მართლაც თუ ჩვენ თვალს გავადევნებთ ამ ეპოქასთან დაკავშირებულ წერილობით წყაროებს, არქეოლოგიურ მასალებს, მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებსა და პირდაპირ თუ არაპირდაპირი ხასიათის წყაროებს, ვნახავთ, რომ კავკასიის მთიანეთში მცხოვრები ხალხი უძველესი დროიდანვე აქტიურ როლს თამაშობდა როგორც საკუთრივ კავკასიის ისტორიულ განვითარებაში, ასევე მეზობელი და შედარებით შორეული ქვეყნების ცხოვრებაშიც კი.

ცნობილია, რომ კავკასიის მოსახლეობა თავისი შინაგანი „კონომიური“ და სოციალური განვითარების დონით არ ყოფილა ერთფეროვანი. კავკასიის სამხრეთ კალთებზე და ამიერკავკასიის ბარში მდებარე ქვეყნები ხასიათდებოდნენ შედარებით მძლავრი და დაწინაურებული ეკონომიური ბაზისით, რაც მახლობელი აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან სიახლოვის და მჭიდრო ურთიერთობათა პირობებში ხელს უწყობდა აქ შესაბამისად მაღალ განვითარებულ სოციალურ ურთიერთობათა არსებობას. რაც შეეხება ჩრდ. კავკასიას, იგი უძველესი დრო-

იდანვე რამდენადმე ჩამორჩებოდა სამხრეთ კავკასიას, მაგრამ თუ, მაგალითად, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში ეს განსხვავება შედარებით უმნიშვნელო იყო, ამიერკავკასიაში კლასობრივ. საზოგადოებათა და სახელმწიფოთა ჩამოყალიბების შემდეგ (ანტიკური ხანა) ის თანდათანობით უფრო საგრძნობი ხდებოდა. ასე რომ ადრეფეოდალური ხანის დამდეგისათვის როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური და სოციალური განვითარების დონით ამიერკავკასიამ საგრძნობლად გაუსწრო წინ ჩრდ. კავკასიას, რაც კიდევაც განსაზღვრავდა ამ ორ რაიონს შორის ურთიერთობათა თავისებურებებს და ხასიათს.

განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომ ჩრდ. კავკასიის ხალხისათვის V — X სს. იყო ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვისა და განვითარების ხანა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ თუ საქართველო-ალბანეთ-სომხეთში უკვე X საუკუნისათვის მოხერხდა ახალი ფორმაციის სრული გამარჯვება, ჩრდ. კავკასიის ხალხებში ადრეფეოდალურ ხანისათვის დამახასიათებელი ურთიერთობანი კიდევ დიდხანს არსებობდა, ხოლო ზოგიერთ მხარეში (ბაგ ადიღეელებში) მან თითქმის XIX ს.-დე შემოინახა თავი.

ჩრდ. კავკასიის მთიანეთისა და მთის ძირა ველების აბორიგენულ მოსახლეობას V — X სს. წარმოადგენდნენ ადიღური მოდგმის ტომები, ალან-ოსური გაერთიანებები, ჩეჩენ-ინგუშები და დაღესტნური მოსახლეობა.

აქ ჩამოთვლილ ხალხებს უხდებოდათ ცხოვრება მეტად რთულ გარემოში, რადგანაც ადრეფეოდალური ხანა, როგორც ჩრდ. კავკასიაში, ასევე ამიერკავკასიაშიც ხასიათდებოდა დიდი ქარტეხილებით; პოლიტიკურ სარბიელზე ჩნდებოდნენ ახალი ძალები, იქმნებოდა დრამატიზმით აღსავსე პოლიტიკური სიტუაციები, ხოლო ყოველივე ამის ფონზე გზას იკაფავდა ახალი რელიგია — ქრისტიანობა, რომლის გავრცელებასაც განსაკუთრებით მტკივნეულად კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა განიცდიდა. იმის გამო, რომ მთაში ამ დროს ფეოდალური ურთიერთობანი სუსტად იყო განვითარებული და, მაშასადამე, აქ ჯერ კიდევ არ არსებობდა ის სოციალური ფენა, რომელსაც ქრისტიანობა დაეყრდნობოდა. ქრისტიანობის გავრცელება ასეთ საზოგადოებაში ყოველთვის საჭიროებდა „მცირედ მახვილის წარმართვას" ან კიდევ სხვა სახის აქტების განხორციელებას, რაც უპირატესად „ხარკის დამძიმებასა" და სხვა სახის ზემოქმედებაში გამოიხატებოდა.

§ 1. ადიღები V—X საუკუნეებში

ადიღური ტომებით დასახლებული ტერიტორია V — X საუკუნეებისათვის რამდენადმე შემცირებული იყო. კერძოდ, ადიღური მოსახ-

ლეობის ერთი ნაწილის განადგურება და ჩრდ. საზღვრების საგრძნობი შემცირება უნდა გამოეწვია ჰუნთა შემოსევებს, რომლებიც უკვე IV საუკუნიდან მტკიცედ გამაგრდნენ ყუბანისპირეთში და ყირიმში. გარდა ამისა, V საუკუნიდან ადიღური ტომების შევიწროება უნდა მომხდარიყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდანაც, სადაც მოხდა ჰუნებისაგან დევნილი ალანების კონცენტრირება. სწორედ ამ ხანებში ხდება ალანების მიერ მდ. ყუბანის სათავეებისა და მის დასავლეთით მდებარე მიწების მიტაცება, რაც პირველ რიგში, აფხაზეთიდან ჩრდ. კავკასიაში გარდამავალი ეზების ხელში ჩაგდების სურვილითაც იყო ნაკარნახევი.

ადიღური მოსახლეობის გადაადგილება და მათი საზღვრების ცვალებადობა, სხვათა შორის, გაკვრით აისახა „ქართლის ცხოვრებაში", სადაც XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი წერს: „და განვიდეს (ვახტანგ გორგასალი — მ. ც.) პაჭანიკეთს, რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი მოსაზღვრეულ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისა წიაღ და ჯიქეთი მუნვე იყო, შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თურქთაგან; და წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა".

მიუხედავად ცნობაში დაცული ანაქრონიზმისა (პაჭანიგები ვახტანგ გორგასლის დროს ჯერ კიდევ არ იყვნენ) „ქართლის ცხოვრებაში" მოცემულია საკმაოდ რეალური მინიშნება იმ ფაქტზე, რომ V საუკუნის შუა ხანებში ჯიქების საზღვრები უფრო ვრცელი იყო, ვიდრე ლეონტი პროველის დროს.

შემდგომ საუკუნეებში ადიღური ტომების საცხოვრისი დიდ ცვლილებას აღარ განიცდის. მთელი რიგი წყაროების (ანონიმი, პროკოფი კესარიელი, კოსტანტინე პორფიროგენეტი, „ქართლის ცხოვრება" და რუსული ქრონიკები) მიხედვით ადიღთა საზღვრები V—X სს. ასე გამოიყურებოდა: დასავლეთით ტამანის ნახევარკუნძული და შავი ზღვა, ჩრდილოეთით მდინარე ყუბანი, აღმოსავლეთით ოსეთი. აქ საზღვარი სავარაუდოა მდ. ლაბის სექტორზე, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან აფხაზეთი, რომელთა შორის საზღვარი ცვალებადი იყო. ხოლო აფხაზეთის სამთავროს ძლიერების ხანაში (X ს.) იგი ნიკოფსიასთან უნდა ყოფილიყო.

აღსანიშნავია, რომ V—X სს. ბიზანტიურ წყაროებში ადიღური ტომები ძირითადად „ზიხების" სახელით მოიხსენიებიან, რაც ქართული წყაროების „ჯიქების" შესატყვისია, ხოლო არაბულ და რუსულ წყაროებში კი მათ „კოსოგებს" ან „კასოგებს" უწოდებენ, რაც ქართულად ქაშაგს უდრის. საყურადღებოა, რომ სვანები დღეს ადიღეელებს „ქაშაგებს" ან „ქაშქებს" უწოდებენ.

ადიღური ტომების ერთი ნაწილი უძველესი დროიდანვე მჭიდ-

როდ იყო დაკავშირებული ბოსფორის სამეფოსთან და მათ მძლავრ კულტურულ და ეკონომიურ ზემოქმედებას განიცდიდა, ამიტომაც ეს ტომები ადრევე დაწინაურდნენ როგორც სოციალურად, ასევე ეკონომიურადაც.

რაც შეეხება მთიან ადიღეს, სადაც შეხიზნული იყო ადიღ ტომთა ერთი ნაწილი, იგი განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე იდგა.

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ზღვისპირა ადიღესა და ყუბანისპირეთის მეურნეობაში V—X სს. წამყვანი დარგი მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო. ადიღური ტომების სოფლის მეურნეობაზე და განსაკუთრებით მიწათმოქმედებაზე მეტად უმნიშვნელო ცნობებია დაცული წერილობით წყაროებში. მაგრამ არქეოლოგიური მასალებისა და სხვა არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე ზოგადად მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

როგორც ცნობილია, ყუბანისპირეთი, აზოვისპირეთი და ტამანის მხარე უძველესი დროიდანვე ეკონომიურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული რომთან და საბერძნეთთან. იგივე კავშირები მეტნაკლები ინტენსივობით გრძელდებოდა ბიზანტიურ ხანაშიც. ეცხო ქვეყნების ეკონომიურ დაინტერესებას უპ. ყოვლისა, განაპირობებდა ის, რომ აღნიშნული მხარე წარმოადგენდა მდიდარ სასოფლო-სამეურნეო რაიონს, საიდანაც დიდი რაოდენობით გადიოდა მემინდვრეობის პროდუქტები. ამდენად ის ადიღური ტომები, რომლებიც მდ. ყუბანის დელტისა და ტამანის ნახევარკუნძულის მიდამოებში სახლობდნენ, ბუნებრივია, მისდევდნენ ინტენსიურ მიწათმოქმედებას. ამის მატერიალურ საბუთს იძლევა ის არქეოლოგიური კომპლექსები, რომლებიც ადიღეს შავი ზღვისპირეთშია მოპოვებული და რომლებიც V—VII სს. თარიღდება (ბორისოვსკის სამაროვანი). ყუბანისპირეთშიც V—IX სს. დათარიღებულ ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე (სოფ. კოშეხაბლში, ხოძში, ნეკრასოვსკაიაში და სხვ.,) მოპოვებულია ისეთი მასალები, რომლებიც აშკარად მიუთითებენ რომ ბარის ადიღური ტომები წარმოადგენდნენ ბინადარ მიწათმოქმედებს. აქ ნაპოვნი ნამგლის პირები, თოხები, ხელსაფქვავები და აგრეთვე შინაურ ცხოველთა ძვლები, რომელთა შორის ბევრი ხარისაა, აშკარად მიუთითებენ ადიღეში პურეული კულტურების არსებობაზე და საკმაოდ განვითარებულ მიწათმოქმედებაზე.

ამავე არქეოლოგიურ კომპლექსებში მოპოვებული სათევზაო ხემსკაუები, სპეციალური სანადირო ისრის პირები და სხვა მასალები მიუთითებენ იმასაც, რომ ადიღ ტომთა მეურნეობა იყო მრავალდარგოვანი.

[IX. ს. არაბი ისტორიკოსის მასუდის ცნობით, ადიღები მისდევდნენ სელის მოყვანასაც და მისგან აკეთებდნენ საკმაოდ მაღალხარისხოვან ქსოვილებს. რომლებსაც ადგილობრივ ენაზე „ტალა" ეწოდებოდა. ადიღური „ტალა" დიდი მოწონებით სარგებლობდა საერთაშორისო ბაზარზე]

ბუნებრივი პირობები ადიღეში მესაქონლეობის განვითარების დიდ შესაძლებლობას ქმნიდა და თუ არქეოლოგიური მონაცემებით ვიმსჯელებთ. მეურნეობის ეს დარგი საკმაოდ დაწინაურებული იყო ადიღ ტომთა შორის. კერძოდ, კოშეხაბლის, ხოძის, ბორისოვსკის და სხვა სამაროვნებზე მოპოვებულია: ღორის, ცხვრის და ძროხის ძვლები, რომელთა შორისაც რაოდენობრივად ცხვრის და ძროხის ძვლები ჭარბობს. როგორც ჩანს, V—IX სს. მესაქონლეობას საკმაოდ დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა ადიღებში. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ყაბარღული ჯიშის ცხენის ჩამოყალიბებას ადრეფეოდალურ ხანაში ჩაეყარა საფუძველი. საყურადღებოა, რომ ვახტანგ გორგასალმა ოსეთ-ჯიქეთის დალაშქვრის შემდეგ თითქოს ჯიქებისაგან მიიღო დიდი ხარკი, რომელშიც ცხენები და მსხვილფეხა საქონელი შედიოდა.

არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ადიღეს ტერიტორიაზე V—X სს. დათარიღებულ სამარხებშია მოპოვებული, მიუთითებენ ხელოსნების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე. [მიუხედავად ჩრდ. კავკასიის ხალხთა კულტურის სარმატიზაციისა და ადიღ ტომებზე V—X სს. ოსეთის დიდი გავლენისა, არქეოლოგიურ კომპლექსებში კარგად ჩანს ამ ხალხის თვითმყოფადი კულტურა, რომელშიც ერთ-ერთი წამყვანი როლი ადიღ ხელოსანთა ნაწარმს უკავია.]

შრომისა და საბრძოლო იარაღების, სამკაულების და ლითონის სხვა ნაკეთობათა აღმოჩენა ტიპიურ ადიღურ კომპლექსებში მიუთითებენ არა მარტო განვითარებულ მელითონეობაზე, არამედ მაღალკვალიფიციურ ხელოსანთა არსებობაზეც, რომლებიც წარმატებით ანვითარებდნენ ადგილობრივ ტრადიციებს.

ასევე განვითარებული ჩანს მეთუნეობა. მონაცრისფრო და ბოწითალო კეციანი, საკმაოდ მრავალფეროვანი და კარგად გამომწვარი თიხის ნაკეთობა მიუთითებს ხელოსნობის ამ დარგის განვითარებაზე. მეთუნეობაში გამოყენებული იყო ჩარხი.

რაც შეეხება მასუდის ცნობას ადიღებს შორის ტილოს წარმოებაზე, იგი მრავალმხრივაა საყურადღებო. ტილოს წარმოება თავისთავად გულისხმობს სპეციალური საქსოვი დაზგების არსებობასაც, და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, მასუდის სიტყვით, ისეთი მაღალხარისხოვანი ტილო, როგორიც ადიღებში იყო, არსად არ მზადდებოდა,

მაშინ ნათელი გახდება, თუ რა დონეზე მდგარა ტილოს მქსოველ ხელოსანთა კულტურა X ს.

ბუნებრივია, V—X სს. ადიღე ჩაბმული იყო საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობაში. ბიზანტია ასეთი ურთიერთობისათვის ფართოდ უხსნიდა გზას ადგილობრივ მოსახლეობას შავი ზღვისპირეთის სავაჭრო ცენტრებისაკენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადიღეზე გადიოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც სათავეს ყუბანის დელტასთან იღებდა და ჩრდილოეთ კავკასიის გავლით შუა აზიისაკენ მიემართებოდა. მართალია, მომთაბარე თურქულენოვან ტომთა თარეში ძალზე ანელებდა ადიღეს საერთაშორისო კავშირებს, მაგრამ ვაჭრობა თუ აღებ-მიცემობა მაინც ვითარდებოდა. ამაზე მიუთითებს სამარხეული მასალების ის ჯგუფი, რომელთა შორის მრავალი ნივთი თუ მასალა შემოტანილია ბიზანტიიდან, საქართველოდან, ოსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. (მაგ. სამკაულები, მინის ჭურჭელი, მონეტები. ძვირფასი ქსოვილები და სხვ.) მასუდის ცნობითვე ვიგებთ, რომ ადიღ ტომებს ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ ტრაპიზონთან.

სავაჭრო ურთიერთობაში უპირატესად ადიღეს დაბლობი და ზღვისპირა ნაწილი იყო ჩართული. თუ უფრო გვიან საუკუნეების მონაცემებს გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ რომ შიდა სავაჭრო ურთიერთობებისათვის ადიღეში ნატურალური გაცვლა-გამოცვლა უნდა ყოფილიყო გაბატონებული, ხოლო სამარხებში აღმოჩენილი მონეტები კი უპირატესად საგარეო ბაზარზე იხმარებოდა.

ადიღთა სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა V—X სს. ადრეული ფეოდალიზაციის პროცესი, როგორც ჩანს, ადიღ ტომებს სხვადასხვა გვარად შეეხო. ამ მხრივ უფრო დაწინაურებული ყუბან-ტამანისა და შავი ზღვისპირეთის ტომები უნდა ყოფილიყვნენ.

პროკოპი კესარიელის მიერ დასახელებული ზიხთა „მეფე", რომელიც თავის ინსიგნიებს ბიზანტიისაგან ღებულობდა, მკვლევართა მიერ ტომის ბელადად მიჩნეული.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ადიღეს ტერიტორიაზე მრავალი სამაროვანი გამოავლინა, სადაც სამარხეული ინვენტარის შედგენილობის საფუძველზე ქონებრივი დიფერენციაცია აშკარად შეიმჩნევა. მაგრამ მიუხედავად ამისა კლასობრივი საზოგადოების ძებნა ადიღეში შეუძლებლია იმის გამო, რომ ფეოდალიზაციის პროცესი მათში მხოლოდ დასაწყის სტადიაში იმყოფებოდა. საყურადღებოა, რომ ადიღეს ტერიტორიაზე შესწავლილ სამაროვნებში ყველაზე უღარიბესი მამაკაცის სამარხშიც კი საბრძოლო იარაღია ჩატანებული.

ამჟამად არსებული ისტორიული წყაროებისა და სხვა მასალის სა-

ფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ V—X სს. ადიღე კვლავ სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე იმყოფებოდა, სადაც თავისუფალ მეთემეთა ფენის მთლიანობას ალბათ მცირეოდენი ბზარი თუ ექნებოდა გაჩენილი. სამხედრო ხელისუფალნი, ან კიდევ ტომთა მეთაურები, ბუნებრივია, წაროადგენდნენ იმ ძირითად ბირთვს, რომელიც ფეოდალურ ურთიერთობათა თანდათანობით გაღრმავებასთან ერთად იქცეოდა ექსპლოატატორულ კლასად. ბიზანტიის გავლენა და აფხაზური ფეოდალური სამთავროს მეზობლობა, საფიქრებელია, ხელს უწყობდა ადიღ ტომთა ფეოდალიზაციის პროცესს.

ა დ ი ღ ტ ო მ თ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ V—X სს. ადიღური ტომების შინაპოლიტიკურ ურთიერთობათა შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. მაგრამ ერთი რამ საყურადღებოა: არც V—X სს. და არც შემდგომ ადიღებში არ ყოფილა ცალკეულ ტომთა ერთიანების რაიმე მნიშვნელოვანი ცდა. ყოველ შემთხვევაში ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია დაცული.

ადრეფეოდალურ ხანაში ადიღურ ტომებს ანუ ზიხებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ალანებთან, ბიზანტიასთან, საქართველოსთან, ბოლგარელებთან და სხვ. თურქულენოვან ტომებთან.

უახლოესი მეზობლებიდან V—X სს. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდნენ ალან-ოსები. ალანები, რომლებსაც ადრე უზარმაზარი ტერიტორია ეჭირათ, ჰუნების გამანადგურებელი შემოსევებით ძალზე შევიწროებულნი აღმოჩნდნენ. მათი ნამოსახლარ-ნაქალაქარები ბარში უკვე აღარ აღდგენილა. ალან-ოსთა ერთი ნაწილი ამ ძნელბედობის ხანაში შეეფარა ცენტრალურ კავკასიონის ხეობებს და აქ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია დაიკავა. სწორედ ამ ხანებში დაიწყო ოსების ძიერ ყუბანის სათავეებში და უფრო დასავლეთით დასახლება, რასაც თან ახლდა შეტაკებები ადიღურ მოსახლეობასთან. მაგრამ, ამის გარდა, გამორიცხული არ იყო მათთან თანამეგობრობაც, განსაკუთრებით საომარი საქმიანობისას. მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, საქართველოს წინააღმდეგ ალანების კოალიციაში ჩანან ჯიქები. ალან-ოსებმა ადიღეს ჩამოყალიბების საქმეში საკმაოდ თვალსაჩინო როლი შეასრულეს.

VI საუკუნიდან განსაკუთრებით გაცხოველდა ადიღების ურთიერთობა ბიზანტიასთან. რომელიც ამ დროისათვის, საკმაოდ გაძლიერებული იყო. ამიერიდან ბიზანტიამ დაიმორჩილა ლაზიკა, ხოლო ყოფილი ყირიმის სამეფოს ტერიტორია და ტამანის მხარე თავის პროვინციებად აქცია, წამოიწყო უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება ადიღ ტომთა მიმართაც.

ბიზანტიის პოლიტიკურ ექსპანსიას თან ერთვოდა ეკონომიური

და რელიგიური ხასიათის ღონისძიებებიც. VI საუკუნიდან ბიზანტიის დაწოლით კვლავ გაძლიერდა ადიღებს შორის ქრისტიანობის გავრცელების პროპაგანდა.

[526 წ. კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრების სიებში მოხსენებულია ჯიქეთის ეპისკოპოსი დამიანე] იუსტინიანეს სახელი ადიღურ ზეპირსიტყვიერებაში ლეგენდებითაა მოსილი.

ადიღ ტომებზე ჰეგემონობისათვის, ბიზანტიის წინააღმდეგ ხაზარები გამოდიოდნენ, მაგრამ არაბთა შემოსევების შემდეგ საერთო მტრის დაძლევის სურვილმა ეს ორი მეტოქე გააერთიანა.

საერთოდ ხალხთა დიდი გადასახლებების პერიოდმა ჩრდ. კავკასიის ხალხთა ისტორიაზე მეტად მტკივნეულად იმოქმედა. არ დაძრულა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტალღა, რომ ნაწილობრივ მაინც არ შეხებოდა ჩრდ. კავკასიას. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჰუნები. ჰუნთა ბატონობა, რომელიც თითქმის VI ს-მდე გაგრძელდა, ძალზე მწვავედ განიცადეს ყუბანისპირეთის ადიღმა ტომებმა.

ასევე დიდი როლი ითამაშეს მათ ცხოვრებაში ბოლგართა ტომებმა (VI ს.). როგორც ჩანს, მათ საკმაოდ დიდი მიწები ეჭირათ ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, მაგრამ კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში მხოლოდ ის ნაწილი ერეოდა, რომელიც განსახლებული იყო აზოვისპირეთისა და ყუბანის ქვემო წელზე. VII ს. ხაზარეთისა და სხვა თურქულენოვან ტომების დაწოლით აზოვისპირელ ბოლგართა სამეფო დაიშალა და მათი ნაწილი ვოლგის შუა წელზე გადასახლდა. X ს. კი ჩრდ. კავკასიაში მომთაბარე პაჭანიკები შემოიჭრნენ, რომლებმაც შეამზადეს ნიადაგი ხაზართა სამეფოს დასაშლელად. ამავე საუკუნიდან იწყება ადიღ ტომთა მჭიდრო ურთიერთობა რუსებთან. 944 წ. თავად იგორის დროს რუსები შეიჭრნენ აზოვისპირეთში და შექმნეს მცირე სამთავრო ცენტრი — ტმუტარაკანი, რომელსაც თანამედროვე ტამანთან აიგივებენ. 966—967 წწ. სვიატოსლავი ჩრდ. კავკასიის გავლით ყუბანისპირეთიდან შევიდა ტმუტარაკანში. ეს იყო კავკასიის დასავლეთ პერიფერიაზე მდებარე რუსული სამთავროს ძლიერების ხანა. შემდგომ პოლიტიკურ გართულებათა გამო და პაჭანიკთა შემოსევათა წყალობით რუსეთის სწრაფვა სამხრეთისაკენ შეჩერებულ იქნა. ამიტომაც არასლავურ გარემოცვაში მოქცეული ტმუტარაკანის სამთავროს რუსული მოსახლეობა თანდათანობით გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, ხოლო ძირითად ადგილობრივ მოსახლეობას კი ამ ხანისათვის აქ ადიღური ტომები შეადგენდნენ.

X ს. ბოლოსათვის, ტმუტარაკანის სამთავროს არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ადგილობრივი ხალხის ისტორიაში,

მაგრამ ეს იყო დიდ ურთიერთობათა პირველი ხაბიჯები, რომლებმაც გვიან ფეოდალურ ხანაში იჩინა თავი (XVI—XVII სს.).

VII—IX სს. ადიღეს მახლობლად ყალიბდება ძლიერი აფხაზური სამთავრო, რომელიც დას. საქართველოში გაბატონებისათვის ბრძოლებში, როგორც ჩანს, ადიღური ტომების სამხედრო ძალასაც ეყრდნობოდა. მაგალითად, გიორგი აფხაზთა მეფეს (X ს. დასაწყისში) ხელი ჯიქეთზეც მიუწვდებოდა, რადგანაც კახეთში წარმოებული ბრძოლების დროს შეპყრობილი ციხე მარნის პატრონი ხანხუა არსიის ძე „მეფემან წარსცა პყრობილად ჯიქეთს". V—X საუკუნეებში ჯიქეთთან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა საკუთრივ ქართლის სამეფოს. გარდა ვახტანგ გორგასლის ლაშქრობის ცნობილი ფაქტისა, საყურადღებოა ისიც, რომ ჯიქეთის ეპარქია გარკვეული დროით მცხეთის საკათალიკოსოს ექვემდებარებოდა. იქ სასულიერო პირთა ხელდასხმა საქართველოს საეკლესიო ცენტრის მეშვეობით ხორციელდებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ ადიღე იდგა ეკონომიურ და სოციალურ ურთიერთობათა დაბალ საფეხურზე, ქრისტიანობამ მოსახლეობის ფართო მასებში ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდა, მიუხედავად იმისა რომ სათანადო ღონისძიებები დაინტერესებულ ქრისტიანულ სახელმწიფოებს ამ მხრივ არ დაუკლიათ.

ადიღ ტომთა კულტურა V—X სს. V—X სს. ადიღ ტომთა მატერიალურ კულტურაზე მსჯელობა გვიხდება ძირითადად არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით. განათხარი მასალებიდან ჩანს, რომ უკვე საფუძველი ჰქონდა ჩაყრილი შემდგომში კარგად ცნობილ ადიღურ ოქრომჭედლობისა და საბრძოლო იარაღის წარმოების საქმეს. მართალია, ადიღებს დამწერლობა არ გააჩნდათ, მაგრამ ჰქონდათ ზეპირგადაცემათა ათვისების და შენარჩუნების დიდი კულტურა. მაგალითად XIX ს. იმ თქმულება-გადმოცემებში, რომელიც შორა ბეკმურზინ ნოგმოვმა ჩაიწერა, მოხსენებულნი არიან ადრეფეოდალური ხანის ის პიროვნებები და ის სახელმწიფოები, რომლებმაც განსაკუთრებით დიდი კვალი დააჩნიეს ადიღურ ტომების ისტორიას (ჰუნების ბელადი ატილა, იმპერატორი იუსტინიანე, ხაზართა სამეფო და სხვა).

განსაკუთრებით საყურადღებო და მნიშვნელოვანი V—X საუკუნეთა ადიღურ ტომების კულტურულ ცხოვრებაში იყო ქრისტიანობის თანდათანობით გავრცელება, რასაც ენერგიულად ანხორციელებდა ბიზანტიის ხელისუფლება, ხოლო უფრო მოგვიანებით კი აფხაზთა სამეფოც.

განათხარი არქეოლოგიური კომპლექსები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ მიუხედავად ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კულტურის ძლი-

ერი სარმატიზაციისა, ადრე ფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ადიღურმა ტომებმა შექმნეს და შემდგომ თაობებს დუტოვეს უკვე მკაფიოდ ჩამოყალიბებული კულტურა. ადიღური სამარხეული კომპლექსი — მიუხედავად მასში მდიდრულად წარმოდგენილი იმპორტული საგნებისა, არის თავისთავადი და განსხვავებული სხვა კულტურებისაგან იმით, რომ მასში ძალზე კარგადაა წარმოდგენილი როგორც ადგილობრივი წარმოშობის ნივთიერი მასალა, ასევე — მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული მთელი კომპლექსი (დაკრძალვის წესი, სამარხთა მოწყობის თავისებურებანი და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ X საუკუნის ერთ ბერძნულ წყაროში მოხსენებულია ზიხთა ქვეყანაში არსებული ოთხი ქრისტიანული ეპარქია (ნიკოფსიის ,მატრეგის, ზიროპოლისის და ფანაგორიის), უნდა ვიფიქროთ, რომ ადიღური ტომების უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით მთიან ზონაში, მისდევდა წარმართულ რელიგიას, რომელიც წარმოშობილი იყო მისსავე წიაღში და რომელიც პასუხობდა მათსავე სულიერი კულტურის მოთხოვნილებებს.

§ 2. ალან-ოსები V—X საუკუნეებში

V—X საუკუნეებში ალან-ოსებს ეკავათ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომელიც მოქცეული იყო მდ. თერგის ზემოწელსა და მდ. ყუბანის სათავე-შენაკადებს შორის. ოსეთის სამხრეთ საზღვარს კავკასიონის ქედის ბუნებრივი ბარიერი და მის სამხრეთით მდებარე საქართველო წარმოადგენდა, ხოლო ჩრდილოეთისას კი თურქულენოვანი ტომებით დასახლებული ვრცელი ტრამალები, რომლებიც უშუალოდ ეკვროდა კავკასიონის ქედს.

ჩრდილოეთ კავკასიის ის ნაწილი, რომელიც V—X საუკუნეებში ალან-ოსურ მოსახლეობას ეჭირა, ხასიათდებოდა ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო-პირობებითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, რაც უაღრესად დიდ გასაქანს ანიჭებდა მეურნეობას და მისი წინსვლის რეალურ შესაძლებლობას ქმნიდა.

მაგრამ, გარდა ამისა, ალან-ოსეთის სწრაფ დაწინაურებაში უაღრესად დიდი როლი ითამაშა ქვეყნის სტრატეგიულმა მდებარეობამ. როგორც ისტორიულ წყაროთა ანალიზი ცხადჰყოფს, კავკასიონის ჩრდილოეთი მხრიდან ოსეთი კონტროლს უწევდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საუღელტეხილო გადასასვლელებს, როგორიც იყო დარიალის, დვალეთის, თაკუერის გზები და აფხაზეთის ანუ წებელდის გადასასვლელი (გარდა ამისა, არა ერთი საცალფეხო ადგილობრივი მნიშვნელობის გადასასვლელიც ფუნქციონირებდა).

ეს გზები. მათ შორის განსაკუთრებით დარიალისა და წებელდისა, უაღრესად დიდ როლს თამაშობდნენ კავკასიელ ხალხთა პოლიტიკურსა და ეკონომიურ ურთიერთობაში. გარდა ამისა მათ საერთაშორისო მნიშვნელობაც ჰქონდათ; ამ გზების მეშვეობით ხორციელდებოდა უპირატესად ის დიდი ლაშქრობები და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ჩარევა ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ საქმეებში, რომლებიც არც თუ იშვიათადაა აღწერილი უძველეს ისტორიულ წყაროებში.

ალან-ოსები, როგორც ცნობილია, მრავალი ურთიერთმონათესავე ტომებისაგან შედგებოდნენ, რომლებიც ერთი მეორისაგან თავისი სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონით განსხვავდებოდნენ. დროთა ვითარებაში ხდებოდა ამ ცალკეულ ჯგუფთა დაახლოება და თანდათანობით წარმოიქმნებოდნენ ოსურ ტომთა კავშირები, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ნაბიჯი ოსი ხალხის ჩამოყალიბების საქმეში გადაიდგა ადრეფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებში. ქვეყნის შინაგანი პროგრესი, როგორც წესი, უპირველესად ყოვლისა, დამოკიდებული იყო მეურნეობის განვითარების დონეზე.

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. წყაროების მტკიცება, თითქოს ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ალან-ოსები, მხოლოდ მომთაბარენი იყვნენ, არ შეეფერება სინამდვილეს, რადგანაც ის ნამოსახლარ-სამაროვნები, რომლებიც ისტორიული ოსეთის ტერიტორიაზეა შესწავლილი, აშკარად მიუთითებენ აქ ბინადარი ცხოვრების არსებობაზე. კერძოდ მდ. თერგსა და სუნჯაზე III—IV საუკუნეებით დათარიღებულ კომპლექსებში ჩნდება ქვასანაყები, ხელსაფქვავები, ქვის სატეხები, დიდრონი თიხის ჭურჭლები, რკინის სამეურნეო იარაღები, რომელთაგანაც განსაკუთრებით რამდენიმე ტიპის თოხები გამოირჩევა. უფრო მოგვიანო კომპლექსში, ყოველივე ამასთან ერთად, გვაქვს ხორბლეულის, ქერისა და ჭვავის მარცვლებიც. ოსეთის მიწათმოქმედების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადიუხის ნამოსახლარზე აღმოჩენილ მასალებს, სადაც საკმაოდ მდიდრადაა წარმოდგენილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ადიუხის ნამოსახლარს ის ფენა, რომელმაც მოგვცა ეს საყურადღებო მასალა, დათარიღებულია IX—XI საუკუნეებით და მიუთითებს იმ პროგრესზე, რაც ალანთა სამიწათმოქმედო კულტურას განუცდია ადრე ფეოდალური ხანის ბოლო საუკუნეებისათვის. X საუკუნემდე, როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, ოსები ხორბლეულს კონუსური ფორმის შიგნიდან ამოლესილ ორმოებში ინახავდნენ, ხოლო იმის გამო, რომ X საუკუნიდან ეს ორმოები აღარ გვხვდება, გამოთქმულია მოსაზრება მიწისზედა ხორბლეულსაცავების შემოსვლის შესახებ,

ე. ი. ოსი გლეხის კარმიდამოში გაჩენილა სპეციალური ნაგებობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახად ყოფილა განკუთვნილი. ამიტომ არაბი ავტორის მასუდის ცნობა, რომ ალანთა მიწები კარგადაა დამუშავებული, სრულიად ბუნებრივი ჩანს.

მართალია, ოსეთის არქეოლოგიურ მასალებში სახნისები შედარებით გვიან ჩნდება (IX—X სს.), მაგრამ უნდა ვიეარაუდოთ, რომ სახვნელი აქაურ მიწათმოქმედისათვის გაცილებით ადრე იყო ცნობილი.

ისტორიული ცნობებისა და არქეოლოგიური მასალების შეჯერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ადრეფეოდალურ ურთიერთობათა პირველ ხანებში ალან-ოსების ერთი ნაწილისათვის შეიძლება დამახასიათებელი ყოფილიყო მომთაბარეობა, მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქცეულა ბინადარ მიწათმოქმედებად, რომელთა მეურნეობის თანდათანობით განვითარება კარგად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებით.

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. მიწათმოქმედების გარკვეული დაწინაურების მიუხედავად ადრეფეოდალური ხანისათვის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მესაქონლეობა წარმოადგენდა, რადგანაც ბუნებრივი პირობები ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე მეურნეობის ამ დარგის განვითარების ძალზე დიდ შესაძლებლობებს ქმნიდა.

განათხარ კომპლექსებში და ნამოსახლარებზე, თითქმის ყველგან ჩნდება შინაურ ცხოველთა დიდძალი ძვლები, მაგრამ განსაკუთრებული სიმრავლით ცხვრის ძვლები გამოირჩევა, რაც ოსებს შორის მეცხვარეობის მძლავრ განვითარებაზე მიუთითებს. სხვათა შორის მეცხვარეობის უპირატეს როლზე და, საერთოდ, დიდ პოპულარობაზე მიუთითებს სამარხებში ცხვრის საკრეჭი მაკრატლის — დუქარდის აღმოჩენის არა ერთი შემთხვევაც.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადიუხის ნასახლარზე, სხვადასხვა ნაგებობათა გვერდით, აღმოჩენილ იქნა მოგრძო სპეციალური შენობები, რომლებიც საქონლისათვის იყო განკუთვნილი.

მესაქონლეობა საიალაღო ხასიათის ყოფილა; ზამთარში საქონელი იდგა სამოსახლოებთან ახლოს, ხოლო ზაფხულში — საძოვრებზე. მესაქონლეებს იალაღებზე ჰქონდათ სპეციალური საზაფხულო სამოსახლოები — ბინები, რომელსაც ოსურად „კოშ“ ეწოდებოდა.

V—VIII საუკუნეებით დათარიღებული ასეთი „კოში“ შესწავლილია მდ. უზუნ-კოლზე, სადაც, საცხოვრებელ ნაგებობათა გვერდით, აღმოჩნდა სწორკუთხა ქვის შენობები მსხვილფეხა საქონლისათვის და ოვალურად შემოყრილი მოედანი ცხვრისათვის, სადაც 1500 სული ცხვარი შეიძლებოდ დატეულიყო.

ძესაქოხლეობის ჭარბი პროდუქტები გადიოდა, როგორც შინაურ, ისე საგარეო ბაზარზე.

გარდა მეცხოველეობისა, არქეოლოგიური მასალები მიუთითებენ მეფრინველეობის, მონადირეობის, მეთევზეობისა და მეურნეობის სხვა დარგების განვითარებაზე.

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა. ალანური პერიოდის სამაროვნები ს.ოფ. სუარგომიდან, ბალთადან, ყობანიდან, კამუნტადან და სხვა პუნქტებიდან იძლევა VI—X საუკუნეებით დათარიღებულ დიდძალ ნივთიერ მასალას, რომელთა შორისაც განსაკუთრებით გამოირჩევა ლითონის იარაღსაჭურველი და მრავალფეროვანი სამკაულები, რომელთა უდიდესი ნაწილი ადგილობრივი წარმოების ჩანს. ეს ფაქტი კი უკვე საკმაოდ კარგად მიუთითებს ოსებში ხელოსნობისა და მისი დამხმარე დარგების განვითარებაზე. მართალია, ალან-ოსები კავკასიაში მოსული ხალხი იყო, მაგრამ ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან შერევის შემდეგ მაინც ითვლებიან ძველი მელითონეების ტრადიციების განმგრძობებად.

შედარებით მოგვიანო ცნობებით ალანები ამზადებენ საუცხოო საჭურველსა და აბჯრებს.

ნედლეული ბაზების სიუხვე, საწვავი მასალის სიმრავლე და წარმოების ჩვევათა მრავალფეროვნება, როგორც ჩანს, ხელს უწყობდა ხელოსნობის სწრაფ აღმავლობას.

არა ნაკლებ საყურადღებო მასალებს გვაწვდის ძველი ნამოსახლარები და სამარხები ხელოსნობის სხვა დარგების განვითარების შესახებაც. კერძოდ, სამარხებში ხშირად ჩნდება კერამიკის, ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანისამოსის ნაშთები, აგრეთვე კვირისთავები, ნემსები, ძვლის და ბრინჯაოსი, ქვის „უთოები", რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავახასიათოთ ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი.

ამავე პერიოდში ჩანს ჩამოყალიბებული მამაკაცისა და ქალის კოსტუმიც, რომლის აღდგენა თითქმის მთლიანად ხერხდება სამარხეული მასალებით.

ხელოსნობის სხვა დარგებს შორის, განსაკუთრებით განვითარებული ჩანს მჭედლობა, ხოლო მჭედლები კი, როგორც ხალხური პოეზია (ნართები) გადმოგვცემს, განსაკუთრებით პატივსაცემი პიროვნებები ჩანან. ისინი ნართების გმირთა შორის არიან.

ხელოსნობის განვითარებას ოსეთში ხელს უწყობდა მეზობელ, უფრო დაწინაურებულ, სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობა, საწარმოო ჩვევათა გაცვლა და იმპორტული ნაწარმის მძლავრი ნაკადის არსებობა, რაც ოსეთში უპირატესად საქართველოს გზით აღწევ-

V—VII საუკუნისათვის ოსური ხელოსნური ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი ოქროსაგან მზადდებოდა. VIII საუკუნიდან კი ოქრომ იკლო და ვერცხლის საგნებმა იმატა, რაც უნდა აიხსნას ერთის მხრივ იმით, რომ ოსეთის პოლიტიკური დასუსტების გამო შემცირდა ოსთა ლაშქრობები და მძარცველური ექსპედიციები უცხო ქვეყნებში, ხოლო მეორეს მხრივ კი იმით, რომ ოსეთში ამ პერიოდიდან სწრაფად განვითარდა ვერცხლის საბადოთა დამუშავება.

საქალაქო ცხოვრების შექმნა-განვითარებაში მზარდმა ხელოსნობამ დიდი როლი ითამაშა.

ვ ა ჭ რ ო ბ ა. იმის გამო, რომ ოსეთი მდებარეობდა უძველეს სავაჭრო გზებზე, რომელთაგანაც ორს მაინც (დარიალი და „გზა აფხაზეთისა") საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, ბუნებრივია ეს ქვეყანაც ჩარეული იყო იმ სავაჭრო ურთიერთობებში, რაც მახლობელ აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ ქვეყნებს შორის იყო გაჩაღებული.

თუ როგორი იყო სავაჭრო ურთიერთობები ოსურ გაერთიანებებს შიგნით, ამაზე ისტორიულ წყაროებს არ შემოუნახავთ ცნობები, მაგრამ არქეოლოგიური მასალების შესწავლა და პირდაპირი ზოგიერთი ისტორიული ცნობის გამოყენება საშუალებას იძლევა გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ალან-ოსების საგარეო ეკონომიურ ურთიერთობაზე.

უპირველესად ყოვლისა ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ოსეთის ტერიტორიაზე მდებარე ნაქალაქარები. საერთოდ ქალაქის არსებობა თავისთავად უკვე გულისხმობს ხელოსნობისა და სავაჭრო ურთიერთობის არსებობას. თუ დავაკვირდებით ოსთა ნამოსახლარების და ძველი ქალაქების ტოპოგრაფიას, შევამჩნევთ, რომ ისინი ძირითადად სავაჭრო არტერიების გარშემო არიან თავმოყრილნი. ასე, მაგალითად მდ. ბაქსანზე ოთხი ნაქალაქარია აღრიცხული და შესწავლილი. ზაქარია რიტორის სიტყვით (VI ს.) ალანებს ხუთი ქალაქი ჰქონდათ. მასუდი მოიხსენიებს ალანთა დედაქალაქ მაასს და სხვ.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქალაქთა ასეთი სიმრავლისა და ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციისა, ოსებს არ გასჩენიათ საკუთარი ფულის მოჭრის საჭიროება. ოსური ქალაქების წარმოშობას ხშირად განაპირობებდა და აჩქარებდა სავაჭრო მაგისტრალების არსებობა და მათი ინტენსიური მოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთულ პროცესში ოსური მოსახლეობაც მონაწილეობდა.

V—X საუკუნეებისათვის ოსეთი იდგა აღმავალი ფეოდალიზაციის გზაზე და იგი სოციალურ ურთიერთობათა პროგრესის მიხედვით სულ უფრო და უფრო აქტიურად ებმებოდა იმ ეკონომიურ ურთიერთობაში, რაც მზარდი ფეოდალიზმისათვის იყო დამახასიათებელი. ამ

მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსეთისათვის ერთიან ფეოდალურ საქართველოს, რომელსაც იგი საკმაოდ მტკიცედ დაუკავშირდა ადრეფეოდალურ ურთიერთობათა უკანასკნელ საუკუნიდან.

ოსეთის ტერიტორიაზე გათხრილ მრავალრიცხოვან სამაროვანთა შორის დიდძალი უცხოური ნივთებია აღმოჩენილი. თავისი წარმომავლობით ერთნი ბალტიისპირეთთანაა დაკავშირებული (მაგ. ქარვა), სხვანი ხმელეთშუა ზღვის აუზთან, ქერჩთან (ამფორები, ზეთი, ღვინო), ამიერკავკასიათან და სხვ. მაგრამ ამ ნივთების ანალიზის დროს დიდი სიფრთხილის გამოჩენა გვმართებს, რადგანაც მათი ოსეთში აღმოჩენა ყოველთვის სავაჭრო ურთიერთობათა ფაქტზე არ მიუთითებს. ბევრი რამ ოსეთში შეიძლება მოხვედრილიყო, როგორც დავლა. მაგალითად, სომხეთთან სავაჭრო ურთიერთობის საბუთად ხშირად ახსენებენ აშოტ სომხეთის მთავრის ბეჭედს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია აშოტს თავისი საბეჭდავი ბეჭედი ოსეთში გასაყიდად გაეგზავნა. უდავოა ის ჩრდილოეთ კავკასიაში ნადავლის სახითაა მოხვედრილი. რა თქმა უნდა, ეს თავის მხრივ იმას არ ნიშნავს, რომ სომეხი ვაჭრები დარიალისა და სხვა ტრანსკავკასიური სავაჭრო გზებით არ სარგებლობდნენ. მართალია, საკუთარი მონეტა ოსეთში არ იჭრებოდა, მაგრამ როგორც სამარხეულ კომპლექსებში დაცული უცხოური მონეტები გვიჩვენებენ, საგარეო ეკონომიურ ურთიერთობებში ოსეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ფულს იყენებდა. ოსეთის ცალკეულ პროვინციებს შორის სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარებას მისი პოლიტიკური დაქსაქსულობაც უწყობდა ხელს.

საქალაქო ცხოვრების და სავაჭრო ურთიერთობების აყვავება ოსეთში მოსდა უფრო გვიან XII—XIII საუკუნეებში.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი. ადრე ფეოდალური ხანის დამდეგიდან საწარმოო ძალთა თანდათანობით აღმავლობამ დიდი ცვლილებები შეიტანა ალან-ოსთა საზოგადოებრივ ურთიერთობებში. ადრე ფეოდალურ ეპოქის დადგომას თან ახლდა შრომის ახლებური განაწილება და კლასთა შორის ურთიერთობათა ახლებურ პრინციპზე ჩამოყალიბება. ადრეფეოდალური ხანისათვის კლასობრივი დიფერენციაცია ოსური მოსახლეობისათვის უცხო რომ არ იყო, ეს კარგად ჩანს არქეოლოგიური მასალებიდან.

V—VII საუკუნეებით დათარიღებულ ბაითალ-ჩაპკანის, უზუნკოლისა და სხვა სამაროვნები გვაძლევენ საკმაოდ მდიდარ მასალებს არა მარტო ალან-ოსთა ეკონომიური დონისა და ხელოსნობა აღებმიცემობის შესახებ, არამედ ნათელს ფენენ ამ ქვეყნის მოსახლეობის

სოციალურ ურთიერთობათა საკითხებსაც. კერძოდ, აღნიშნული სამართვნები ყურადღებას იქცევენ იმით, რომ მათში აშკარად შეიმჩნევა ქონებრივი დიფერენციაცია.

როგორც ჩანს, მდიდრული სამარხები, რომლებიც თავისი ინვენტარის შედგენილობითა და მრავალფეროვანებით აშკარად გამოირჩევიან რიგითი სამარხებისაგან, ეკუთვნოდა საგვარეულო არისტოკრატიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც, როგორც ჩანს, უკვე V—VII საუკუნეებშივე ცხოვრობდნენ და არსებობდნენ თავიანთ თანატომელთა ხარჯზე.

ეს გაბატონებული ზედა ფენა ადრეფეოდალური ხანის დამდეგისათვის, როგორც წესი, თანამეტომეთა სამხედრო ორგანიზაციის მეთაურები იყვნენ და სარგებლობდნენ გარკვეული უპირატესობითა და უფლებებით, თავს არიდებდნენ სხვა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას.

ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური მასალები ამჟამად საშუალებას იძლევა ადრეფეოდალურ ოსეთში ვეძებოთ განვითარებული „სამხედრო დემოკრატია". იგი გარდამავალი ეტაპია გვაროვნულიდან კლასობრივ საზოგადოებაზე და მასში სოციალური დიფერენციაციის პროცესი აშკარად იჩენს თავს.

ოსურ საზოგადოებაში კლასობრივ ურთიერთობათა გაღრმავებას, შემდგომში, დიდად უწყობდა ხელს საომარი საქმიანობა და ლაშქრობები, როგორც დამოუკიდებელი მიზნებით, ასევე სხვა სახელმწიფოთა მხედრიონში.

ოსეთის შეიარაღებული ძალების ქირით გასვლას სხვა ქვეყნებში, გარდა იმისა, რომ მათთვის ეს ეკონომიურად იყო ხელსაყრელი, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმითაც, რომ მჭიდრო კონტაქტს ამყარებდნენ შედარებით უფრო მოწინავე ქვეყნებთან, სადაც ეკონომიური ბაზისი და სოციალური ურთიერთობანი უფრო განვითარებული იყო.

ფეოდალიზაციის გზაზე დამდგარი სამხედრო არისტოკრატია ნადავლისა და ქირის განაწილებისას უდიდეს ნაწილს თვითონ ითვისებდა. ამას თუ დავუმატებთ იმ დიდ საჩუქრებს, რასაც ისინი პირადად ღებულობდნენ, აშკარა გახდება, რომ ამ გზით მიღებული უზარმაზარი შემოსავალი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ოსური მოსახლეობის სოციალურ დიფერენციაციას და კლასების ჩამოყალიბებას. სწორედ დაწინაურებული სამხედრო არისტოკრატიის წარმომადგენლები უნდა იგულისხმებოდნენ უცხოურ და ქართულ ისტორიულ წყაროებში, როდესაც ალან-ოსებს და მათ „მეფეებს" მოიხსენიებდნენ. მაგალითად, მენანდრე ალანთა წინამძღოლ საროდის (საროსის) იუსტინიანე

პირველთან (527—565 წწ.) დაახლოებულ პიროვნებად წარმოგვიდგენს, რომელიც თურქ ელჩებს, პრობიზანტიურ პოლიტიკის პოზიციებიდან გამომდინარე, საკმაოდ მტრულად ღებულობს. ცოტა უფრო ადრე (IV ს.) ქართლის ცხოვრება მოიხსნიებს ოსთა „მეფეებს“— ფეროშს, კავტიას და სხვ. მიუხედავად ამისა, ადრე ფეოდალური ხანის დასაწყისი ეტაპისათვის ოსეთში, რა თქმა უნდა, ჩამოყალიბებულ კლასობრივ საზოგადოებას თავისი სამეფო ხელისუფლებით ვერ ვიგულისხმებთ, მაგრამ არც ისეთი უკიდურესობა უნდა იყოს მართებული, როდესაც ოსეთში სახელმწიფოს არსებობის რაიმე ნიშანწყალსაც ვერ ხედავენ ადრე ფეოდალური ხანისათვის. V—X საუკუნეებში ოსეთი იდგა ფეოდალიზაციის აღმავალ გზაზე, რაც შუასაუკუნეებისათვის ოსეთში ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვებით დამთავრდა.

ჩვენთვის წყაროების სიმცირის გამო ძალზე რთულია წარმოვიდგინოთ, თუ როგორი იყო გაბატონებული კლასის სტრუქტურა, მათი კატეგორიები, ან კიდევ თავისუფალ მეთემეთა რა პროცენტი იყო ჩათრეული ფეოდალურ ურთიერთობებში და რა უფლება-მოვალეობებით სარგებლობდნენ ისინი. მაგრამ ზოგიერთი შედარებით მოგვიანო ცნობით და აგრეთვე პარალელური მასალების მოშველიებით უნდა ვიგულისხმოდ, რომ ოსური ფეოდალური ურთიერთობანი ქართლის მსგავსი იქნებოდა. ასე, მაგალითად, ოსთა მეფე დორღოლელს, ბაგრატ IV ცოლის ძმას (XI ს.) „მატიანე ქართლისაი“ „დიდის“ ეპითეტით ამკობს. როგორც ამავე წყაროდან ჩანს, დორღოლელს ყოლია დიდი ამალა, შემდგარი ხელქვეითი თავადებისაგან. ისინი, ჩანს, წვრილი ფეოდალები იყვნენ, რომლებიც ცნობდნენ დორღოლელის უზენაეს ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, XI საუკუნისათვის ფიქსირებული ეს ცნობა უფრო ადრეული ხანისათვისაც გამოდგება. სწორედ ფეოდალურ ურთიერთობათა წარმატებით განვითარების მანიშნებელი უნდა იყოს ის, რომ X საუკუნიდან ოსეთში ინტენსიურად იწყო გავრცელება ქრისტიანობამ. საქართველოს აქტიური მონაწილეობა ოსეთის გაქრისტიანებაში თავისთავად საყურადღებო ფაქტია და მიუთითებს ამ უკანასკნელის როლზე ჩრდ. კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში.

ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ბოლო საუკუნისათვის ეკონომიურად მოღონიერებული ოსეთი განიცდიდა ძლიერ პროგრესს სოციალურ ურთიერთობათა სფეროში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არქეოლოგიური მონაცემებით ოსეთს საკმაოდ განვითარებული საქალაქო ცხოვრება ჰქონდა. მრავალ ასეთ ნაქალაქარს აქვს შიდაციხე რომელიც განკუთვნილი იყო გაბატონებული კლასისათვის (მაგ. ადიუხი).

ეკონომიური ბაზისის სწრაფმა განვითარებამ, სოციალურ ურთიერთობათა გაღრმავებამ და ქვეყნის ფეოდალიზაციამ განაპირობა ოსურ ტომთა საკმაოდ მჭიდრო შეკავშირება და ისეთი მძლავრი გაერთიანების წარმოქმნა, რომელიც საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნებისათვის.

დინასტიური ქორწინებები და ოსეთის მმართველთა დანათესავება საქართველოს, ბიზანტიისა და რუსეთის სამეფო სახლებთან მიუთითებს ოსეთში ძლიერ ფეოდალური არისტოკრატიისა და მათი მეთაური „მეფის“ ოჯახის არსებობაზე, რომელთანაც საქმეს იჭერდნენ მეზობელი ქვეყნები.

ბუნებრივია, როდესაც ოსეთში ადრე-ფეოდალურმა ურთიერთობებმა გაიმარჯვეს და წარმოიშვა გაბატონებული ფეოდალური ზედაფენა, იქმნებოდა ექსპლოატირებული მასაც და აქედან გამომდინარე სოციალური ხასიათის უთანხმოებანიც.

სოციალურ ურთიერთობათა და კლასთა ბრძოლის შესახებ, მართალია, რაიმე ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ოსურმა ნართებმა შემოგვინახა საკმაოდ საყურადღებო მონაცემები იმის შესახებ, რომ ოსეთში მართლაც ადგილი ჰქონდა კლასთა ბრძოლებს.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის, თუ როგორი იყო ოსეთის შინაპოლიტიკური ურთიერთობები. თითქმის არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. საფიქრებელია, რომ ქვეყნის შიგნით მიდიოდა ტომთა კონსოლიდაციისა და გაერთიანების ნელი პროცესი, რაც ხშირად გარკვეულ წინააღმდეგობებს ბადებდა და საშინაო ომებსაც კი იწვევდა. შინაპოლიტიკურ ურთიერთობათა მძლავრი პროცესის ლოგიკური შედეგი იყო ადრეფეოდალურ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნთა ჩამოყალიბება ოსეთში.

ალან-ოსთა საგარეო ურთიერთობათა ხასიათს V—VI საუკუნეებისათვის მნიშვნელოვნად განაპირობებდა ირანსა და ბიზანტიას შორის კავკასიისათვის ატეხილი მრავალწლიანი ომი. ამ პერიოდისაბვის ირანს დაპყრობილი ჰქონდა ალბანეთი, სომხეთის უდიდესი ნაწილი და ქართლის სამეფო, ხოლო ბიზანტიას კი ლაზიკა.

აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ქართლის დაპყრობის გამუდმებული ცდების დროს (V ს.) სპარსეთს სურდა მცხეთა ჩრდ. კავკასიის ხალხთა მიმართ აქტიური შეტევის პოლიტიკის ფორპოსტად ექცია, მაგრამ სპარსეთის გაძლიერებას საქართველოში ყოველმხრივ უშლიდა ხელს ბიზანტია, რომელიც ხშირად ამ მიზნებისათვის ჩრდ. კავკასიის ხალხს იყენებდა. მაგ. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით: „გარდამოვიდეს ოვსნი ურიცხუნი და მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკუარისათ ვიდრე ხუნანამდე, და მოაოხრეს ველნი, არამედ ციხეა-

სიმაგრენი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს, და წარიყვანეს დაი ვახტანგისი მირანდუხტ, სამი წლის ქალი... განვლეს კარი დარუბანდისა, რამეთუ გზა სცეს დარუბანდელთა, და შევიდეს ოვსეთს გამარჯვებულნი".

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოსები, სპეციალური მიზნით, სათარეშოდ გადმოსულან ქართლში და რომ მათ დარიალის კარიდან კი არ შემოუღწევიათ (იგი ქართლის ხელშია), არამედ სხვა უფრო დასავლეთით მდებარე გადმოსასვლელიდან. ვფიქრობთ, ეს იყო ბიზანტიის მიერ პროვოცირებული თავდასხმა ე. წ. „სპარსეთის საშფლობელოებზე" და ამიტომ საფიქრებელია, რომ ოსები (დას. საქართველოს რომელიმე გადმოსასვლელით) ანაზდეულად იჭრებიან მტკვრის ზემოწელში.

როგორც ქართლის ცხოვრებიდანვეა ცნობილი, ოსთა ლაშქრობას მოგვიანებით მოჰყვა ვახტანგ გორგასალის საპასუხო დამსჯელი ლაშქრობა ოსეთში. ვახტანგ გორგასალი დიდი ლაშქრით გადალახავს დარიალის უღელტეხილს, სადაც თერგზე ბრძოლაში „იძლივნეს ოვსნი და ივლტოდა ბანაკი მათი". ამ გამარჯვების შემდეგ მემატიანეს სიტყვით ვახტანგ გორგასალის ლაშქარი კი „განიბნივეს ტყუევნად ოვსეთისა, შემუსრნეს ქალაქნი მათნი, და აიღეს ტყუე და ნატყუევნავი ურიცხვ".

საყურადღებოა, რომ ვახტანგ გორგასალი ოსეთის შემდეგ ჯიქეთში შედის და იქიდან სამშობლოში აფხაზეთის გამოვლით ბრუნდება, სადაც ბრძოლას აწარმოებს „აფხაზთა ციხეების" ასაღებად. ეს ალბათ იმის საპასუხოდ, რომ ოსეთის ლაშქარმა დასავლეთ საქართველოს რომელიღაც გადასასვლელით (წებელდის?) შემოაღწია ქართლში.

VI საუკუნეში სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ასეთ ვითარებაში სპარსეთს პირადად სურდა ხელში სჭეროდა დარიალის სტრატეგიული უღელტეხილი და ცდილობდა საქართველოს დაპყრობას და VI საუკუნის 30-იანი წლებისათვის კიღევაც შესძლო სამეფოს გაუქმება. ამის შემდეგ ჯერი ლაზიკაზე მიდგა, რადგანაც ლაზიკაში გამაგრებული ბიზანტია ფლობდა რამდენიმე ხელსაყრელ საუღელტეხილო გზას, საიდანაც ჩრდ. კავკასიის ხალხთა და განსაკუთრებით ოსეთის სამხედრო ძალების გადმოყვანით საფრთხეს უქმნიდა სპარსელებს.

იუსტინიანეს ბიზანტია აქტიურ პოლიტიკას აწარმოებდა ჩრდ. კავკასიის, განსაკუთრებით ოსეთის მიმართ. ალანებთან კავშირის უზრუნველყოფას ბიზანტიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბიზანტიის ხელისუფალნიც ყველა ღონეს ხმარობდნენ ამ ურთიერ-

თობათა განსამტკიცებლად. შუამავალი რგოლი ბიზანტია-ოსეთის ურთიერთობაში ეკუთვნოდა ლაზიკას. ლაზიკის გზით ბიზანტია გარდა დიდძალი ქირა-ქრთამებისა და საჩუქრებისა გზავნიდა ქრისტიანობის მქადაგებლებსაც და ცდილობდა ოსეთის გაქრისტიანებას.

პროკოპი კესარიელის ცნობით, ლაზიკის მეფემ, ბიზანტიის მოკავშირემ გუბაზმა კავშირში ჩაითრია ალანები და საბირები, რომლებმაც აღუთქვეს სამ კენდინარად არა თუ აუოხრებელი დაეცვათ ლაზებისათვის მათი მიწა-წყალი, არამედ იბერიაც ისე გაეუკაცრიელებინათ, რომ სპარსელებს ამიერიდან აღარ შეეძლებოდათ უკვე იქ შესვლა. ქირას ოსეთის ლაშქრისათვის კისრულობდა ბიზანტია. იმავე პროკოპი კესარიელის ცნობით, VI საუკუნეში ალანები ქრისტიანები არიან. შესაძლებელია, VI საუკუნის შუა ხანებისათვის ოსეთის სამხედრო არისტოკრატიის თავკაცებმა და ტომთა გაერთიანებების მეთაურებმა ბიზანტიელთა აგიტაციით მიიღეს ქრისტიანობა, მაგრამ იგი ხალხის მასებში, ჩანს, არ გავრცელებულა.

ალანების ბიზანტიასთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის შესახებ მოგვითხრობს VI საუკუნის ბიზანტიელი მწერალი მენანდრეც, რომელიც ალანებს და მის წინამღოლს — საროსს წარმოგვიდგენს, როგორც შუამავალს ჩრდ. კავკასიის სხვა ტომებსა და ბიზანტიას შორის.

ლაზიკის სამეფოზე მდებარე გადასასვლელები გარდა პოლიტიკურისა დიდი ეკონომიური მნიშვნელობისაც იყო ბიზანტიისათვის VI საუკუნეში. სპარსეთთან მეტოქეობის გამო „აბრეშუმის გზა“ მახლობელ აღმოსავლეთიდან დასავლეთ კავკასიაში იქნა გადმოტანილი და მისი ერთი მონაკვეთი ოსეთზე იდო, რაც კიდევ უფრო აახლოებდა ოსეთს ერთის მხრივ ბიზანტიასთან, ხოლო მეორეს მხრივ საქართველოსთან. სპარსეთი კარგად გრძნობდა რა ამ ახალი საგზაო მარშრუტის მნიშვნელობას, ცდილობდა მის გადაჭრას. მაგრამ რადგანაც ოსეთს ამ საქარავნო გზისაგან დიდი სარგებლობა ჰქონდა, იგი (და განსაკუთრებით დას. ოსეთი) განუხრელად ატარებდა პრობიზანტიურ პოლიტიკას.

VI საუკუნის ბოლოსათვის ბიზანტიის უპირატესობა კავკასიაში აშკარა გახდა, მაგრამ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოს მთელი ოსური მოსახლეობა იყო ბიზანტიის მხარეზე.

სპარსეთის გავლენის სფეროში მყოფი დაღესტნის სიახლოვეს მცხოვრები ოსები ხშირად სპარსულ კოალიციაში ჩანან და აქტიურად მონაწილეობენ ბიზანტია-საქართველოს პოლიტიკური დაჯგუფებების წინააღმდეგ.

V—VI საუკუნე იყო ოსურ ტომთა გაერთიანების სიძლიერის ხანა და მათი როლიც მაშინდელ საერთაშორისო ცხოვრებაში საკმა-

ოდ რელიეფურად ჩანს, მაგრამ VII საუკუნის დასაწყისიდან ხაზართა კაგანატის გაძლიერების შედეგად ოსური პოლიტიკური ერთეულები საგრძნობლად ზარალდებიან და თანდათანობით კარგავენ ძალას. ხაზარებმა არა მარტო ხშირი ლაშქრობა-დარბევებით შეაწუხეს ოსები, არამედ საკმაოდ დიდი ტერიტორიებიც წაართვეს მათ. რამაც აღმოსავლეთით მცხოვრები ოსების სრული განადგურება და ასიმილირება გამოიწვია. VII საუკუნის შუა ხანებიდან ამას დაემატა არაბთა შემოსევა კავკასიაში, რომლებიც უპირველესად ყოვლისა, კავკასიონის უმთავრეს გადასასვლელს დარიალს დაეპატრონენ და ამით საგრძნობი ეკონომიური და პოლიტიკური დარტყმა მიაყენეს ჩრდ. კავკასიის ხალხებს.

VII საუკუნის ბოლო და VIII საუკუნე მთელმა კავკასიამ არაბებთან უთანასწორო ბრძოლას შეალია. ამ ბრძოლებში დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი საქართველოსა და სომხეთის მხარეზე არა ერთხელ გამოსულან ოსებიც. ბალაძორის ცნობით, არმენაკების თემის პატრიკი არაბი სარდლის წინააღმდეგ იბრძვის ალანების, აფხაზებისა და ხაზარების მაშველ ჯარებთან ერთად. როგორც ჩანს, VIII საუკუნის I ნახევარში ოსეთს კიდევ ჰქონდა შერჩენილი გარკვეული ძლიერება, რადგანაც ისტორიულ წყაროებში კვლავ ფიგურირებენ, როგორც ბიზანტიის სასურველი მოკავშირეები არაბთა წინააღმდეგ. კერძოდ აქ საყურადღებოა იუსტინიანე II-ის ელჩების ცდა ალანების გამოყენებისა არაბების წინააღმდეგ, რომლებსაც იმ ხანად დასავლეთ საქართველო ჰქონდათ დაპყრობილი. მიუხედავად ოსების განცხადებისა, რომ „აბაზგებთან „ჩვენ ახლო ურთიერთობა გვაქვს და ჩვენი ეაჭრები გინუწყვეტლივ დადიან იმათ ქვეყანაშიო“, ბიზანტიელები მაინც ახერხებენ ოსების შესევას აბაზგიაში, როგორც არაბთა სამფლობელოში.

თუ ყოველივე ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, აშკარა გახდება, რომ ბიზანტია-ალანეთის პოლიტიკური ურთიერთობის მთელი ისტორია (V—VIII სს.) გამოიხატებოდა იმაში, რომ ოსეთი თავისი საკმაოდ ძლიერი შეიარაღებული ძალით მეტწილად გამოდიოდა პრო-ბიზანტიური პოლიტიკის გასატარებლად. ეს იყო ბიზანტიური პოლიტიკის გამარჯვება, მაგრამ ასეთ ურთიერთობებს უდავოა ოსებიც თავის სასარგებლოდ მიიჩნევდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზანტიის დიპლომატია ალან-ოსებთან ურთიერთობებში ასეთ წარმატებებს ვერ მიაღწევდა.

VII—VIII საუკუნეებში კავკასიაში გაბატონებისათვის არაბები ებრძოდნენ ჩრდ. კავკასიის ყველაზე უფრო ძლიერ მეტოქეს — ხაზარებს და დიდ მატერიალურ ზარალს აყენებდნენ ჩრდ. კავკასიის ხალ-

ხებს. დარიალის მთავარი უღელტეხილის გასწვრივ მცხოვრები ოსები განსაკუთრებით მძიმედ ზარალდებოდნენ. მეორე მხრივ კასპიისპირეთიდან შავ ზღვამდე გაბატონებული ხაზარებიც არ აკლებდნენ ხელს, რის გამოც ოსეთი, ჩანს, კარგავდა არა მარტო მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს, არამედ ტერიტორიასაც. მიუხედავად ოსეთის დასუსტებისა და კავკასიაში მურვან ყრუსა და ბუღა თურქის ლაშქრობებისა. ოსეთსა და ამიერკავკასიას შორის პოლიტიკური ურთიერთობები მთლად არ შეწყვეტილა.

VIII საუკუნის ბოლოდან და განსაკუთრებით IX საუკუნიდან კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება. ამ პერიოდისათვის აღმავალი ფეოდალიზმის გზაზე დამდგარ საქართველოსა და სომხეთში, მწვავე კლასობრივი ბრძოლების პირობებში, წარმოიშვებიან ცალკეული ძლიერი ფეოდალური სამეფო-სამთავროები. ოსეთის უშუალო მეზობლად საფუძველი ეყრება ძლიერ ფეოდალურ სახელმწიფოს — საქართველოს, რომელსაც, როგორც ჩანს, სრულიად ახლებურად უნდა გადაეწყვიტა თავისი პოლიტიკური ურთიერთობები ჩრდ. კავკასიის ხალხებთან. მაგრამ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნას ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდებოდა. აფხაზეთის, კახეთის, ჰერეთისა და ტაოკლარჯეთის სამეფო-სამთავროთა წარმოშობისთანავე საქართველოში მათი ეკონომიური მოთხოვნილებათა შესაბამისად, იწყება ხანგრძლივი ბრძოლა პირველობისათვის, რაც იმავე დროს საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლასაც გულისხმობდა.

ამ ბრძოლებში კი ჩრდ. კავკასიაში მცხოვრებმა ოსმა ხალხმა კვლავ საყურადღებო ადგილი დაიკავა. იმის გამო, რომ აფხაზეთის ანუ უკვე მთელი დას. საქართველოს მეფეები ძალზე ხელსაყრელი წებელდის გზით დას. ოსეთს უშუალოდ ემეზობლებოდნენ, ისინიც მათ ბუნებრივ მოკავშირეებად იქცნენ.

ასეთი კავშირების გაბმა ოსურ მოსახლეობასთან შეეძლო ქართლსაც, მაგრამ ამას IX საუკუნეში ანულებდა ორი ფაქტორი. 1) ქართლში ერისმთავრობა მოსპობილი იყო და ფაქტიურად ქართულ სამთავროთა პირველობისათვის ბრძოლა „ქართლსა ზედა" სწარმოებდა. 2) აღმ. ოსეთი გაინიცდიდა ხაზართა მძლავრობას და ის რეალური ძალები, რომლებიც შესძლებდნენ აღმ. საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებას, შედარებით სუსტი იყო.

აფხაზთა სამეფო საკმაოდ მოქნილად და ენერგიულად იყენებდა ოსეთთან პოლიტიკურ კავშირს და ოსეთის მხედრიონიც არა ერთხელ ჩანს მათ მხარეზე (მაგ. „მატიანე ქართლისაის" ცნობით 888 წელს ბაგრატ აფხაზთა მეფის ლაშქარში ოსებიც მონაწილეობდნენ).

IX საუკუნიდან არაბთა ხალიფატის და ხაზართა კაგანატის თანდათანობით დასუსტებამ ხელი შეუწყო ერთი მხრივ ბიზანტიის თანდათანობით გაძლიერებას, ხოლო მეორე მხრივ კავკასიის სახელმწიფოთა და ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულთა სწრაფ დაწინაურებას.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით ოსეთის ქვეყანას ეტყობა სწრაფი ეკონომიური აღმავლობა.

IX—X საუკუნეები პოლიტიკური აღმავლობის წლები იყო ოსეთში. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ბიზანტიისა და აფხაზთა სამეფოს ენერგიული ცდები ურთიერთობა დაამყარონ ოსეთთან. ამ ორივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ დას. საქართველოს მმართველი წრეები, რომლებიც ჩრდ. კავკასიაზე პოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად შეუდგნენ ქრისტიანული რელიგიის ინტენსიურ პროპაგანდას ოსურ მოსახლეობაში. რა თქმა უნდა, ეს აქტი მოწონებას იმსახურებდა ბიზანტიის მმართველ წრეებშიც, რადგანაც ბიზანტია ჯერ კიდევ არ ივიწყებდა ძველ პრეტენზიებს დას. კავკასიის მიმართ. ამასობაში ფეოდალურ ურთიერთობათა გაღრმავებამ ოსეთში წარმოშვა სახელმწიფოებრივი ვაერთიანებები, რომლებიც ფეოდალური არისტოკრატიის მეთაურობით განუხრელად მიილტვოდნენ საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობების განმტკიცებისაკენ.

X საუკუნის შუა ხანებიდან, როდესაც პაჭანიგთა ურდოებისა და, ბოლოს, რუსეთის მთავარ სვიატოსლავის ლაშქრობით ხაზართა სამეფო დაეცა. ჩრდ. კავკასიაში ოსეთი იქცა საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად, რომელიც ამიერკავკასიასთან ურთიერთობებში პირველობას იჩემებდა, და რომელიც რეალურ და ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა.

X—XI საუკუნეები იყო ოსეთსა და გაერთიანებულ საქართველოს შორის მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა-თანამშრომლობის ხანა, რაც საფუძვლად დაედო უფრო მეტ სიახლოვეს XII—XIII საუკუნეებში.

ალან-ოსების კულტურა V—X საუკუნეებში. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დაგროვილი ნივთიერი კულტურის ძეგლთა შესწავლა და მათში ადგილობრივი წარმოშობის საგანთა დიდი ჯგუფის გამოყოფა საშუალებას გვაძლევს დავახასიათოდ ალან-ოსების მატერიალური კულტურა და მისი განვითარების დონე V—X საუკუნეებისათვის. მართალია, ირანულენოვანი ოსები კავკასიის აბორიგენებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ადრეფეოდალური ხანის დამდეგისათვის ისინი უკვე ისე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კავკასიასთან, რომ კულტურის მხრივ ტიპიურ კავკასიელებად გვევლინებიან. ადგილობრივმა იბერიულ-კავკასიურმა ეთნიკურმა ელემენტმა

არა მარტო თავისი შედარებით მაღალი კულტურა მოახვია თავს მოსულ ოსებს, არამედ საგრძნობი ცვლილებები შეიტანა თვით ინდოევროპული წარმოშობის ოსურშიც, რომელმაც გაიმარჯვა დამხვდური მოსახლეობის ენაზე.

ოსეთის მატერიალური კულტურის ჩამოყალიბებაში, გარდა ძველი იბერიული-კავკასიური კულტურის ელემენტებისა, დიდი როლი ითამაშა მეზობელ ხალხთა კულტურულმა ზემოქმედებამაც. ოსეთს საქმიანი და საომარი ურთიერთობა ჰქონდა ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან, ბოსფორთან, ხაზარეთთან და ამიერკავკასიის გავლით მახლობელ აღმოსავლეთთან, რასაც უეჭველად დიდი როლი უნდა ეთამაშა ოსური მოსახლეობის კულტურული განვითარების საქმეში.

ოსური მატერიალური კულტურის ჩამოყალიბების საქმეში ადრეფეოდალური ხანის დამდეგისათვის დიდი როლი ითამაშა სარმატულმა კულტურამაც, მაგრამ მიუხედავად ასეთი მრავალმხრივი ზეგავლენებისა, ადრეფეოდალურ ხანაში ოსური მატერიალური კულტურა უითარდებოდა ადგილობრივი შინაგანი ძალების მძლავრი ზემოქმედებით და საფუძველი ეყრებოდა სრულიად განსხვავებულ კულტურულ-ისტორიულ მოვლენას, რომელიც მხოლოდ ოსეთისათვის იყო დამახასიათებელი.

ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე ამჟამად შესწავლილ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ ძეგლებს შორის ალანურ-ოსური მატერიალური კულტურის დასახასიათებლად საყურადღებოა: ჩმის, ბალთას, ყობანის, კაკადურის, დარგავსის, ჯიმარას, კამუნტას, ფასკაუს, ზედა რუტხის, კუმბულტისა და ზმეისკის ნამოსახლარ-სამაროვნები, რომლებიც როგორც მონაპოვარი მასალითა და სამარხეული კომპლექსებით, ასევე აქ აღმოჩენილი ბიზანტიური, სასანური და არაბული მონეტების მიხედვით კარგად თარიღდებიან VI—X საუკუნეებით.

ალან-ოსური მატერიალური კულტურის სახე განსაკუთრებით კარგად ჩანს სამარხეულ კომპლექსებში, სადაც გამოიყოფა შემდეგი ძირითადი სამარხეული ჯგუფები: 1) ქვაყუთები, რომლებიც მაგარი ჯიშის თხელი ფილებისაგანაა ნაგები და რომლებშიც თითო-თითო მიცვალებული ასვენია. 2) ნახევრად მიწისქვეშა ან მთლად მიწაში მჯდარი ქვაყუთები თუ კოლექტიური აკლდამები, რომლებიც ნაგებია დუღაბზე ფლეთილი ან რიყის ქვებისაგან და რომლებშიც საშუალოდ 5—8 ინდივიდია ჩასვენებული. 3) კატაკომბები, ხელოვნური ზცირე გამოქვაბულები — გორაკთა ფერდობებზე, რომლებშიც გვხვდება, როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური დაკრძალვის შემთხვევები.

კატაკომბური კულტურა ყველაზე ვრცლადაა გავრცელებული

ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე და მასში მოპოვებული ინვენტარი ყველაზე უფრო კარგად ახასიათებს V—X საუკუნეთა ოსეთის მატერიალურ კულტურას.

ვვიანალანური კატაკომბური კულტურის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ოსების მეურნეობაში IX—X საუკუნეებში წამყვან დარგად უკვე მიწათმოქმედება ითვლება.

განსაკუთრებით უხვად კატაკომბურ კულტურაში VI—X საუკუნეებში ჩანს მინის ნაწარმი, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი მრავალფეროვნებით. როგორც ფორმათა შედარებით, ასევე ქიმიური ანალიზების ჩატარების შედეგად დადასტურებულია, რომ ოსეთის მოსახლეობა მინის ნაწარმით ადრეფეოდალური ხანიდანვე საქართველოდან მარაგდებოდა.

თუ შევადარებთ ერთმეორეს ფეოდალური ხანის ოსეთისა და საქართველოს ტიპიურ არქეოლოგიურ კომპლექსებს, ვნახავთ, რომ მათ შორის ძალზე დიდი მსგავსებაა.

როგორც ჩანს, ალანურ-ოსური მატერიალური კულტურის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი მიუძღვის ქართულ მატერიალურ კულტურასაც.

საქართველოს ოსეთთან კულტურულად დაახლოებას კი უკვე ადრეფეოდალური ხანის დამდეგიდან ხელს უწყობდა ქრისტიანული რელიგიის გავრცელება. ცნობილია, რომ ქრისტიანობა პირველ ხანებში ოსეთში სათანადო ბაზისის უქონლობის გამო ძნელად ვრცელდებოდა. მაგრამ ფეოდალურ ურთიერთობათა გაღრმავებასთან ერთად ქრისტიანული რელიგია საკმაოდ მკვიდრად იკიდებს ფეხს ოსეთში. იმ ხანებში, როდესაც ფეოდალური ურთიერთობანი ოსეთის ძირითად ნაწილში იმარჯვებენ — ბაზა, ასე ვთქვათ ამოსავალი წერტილი, ქრისტიანობის გავრცელებისათვის ჩრდ. კავკასიაში არის უკვე საქართველო, ჯერ აფხაზთა სამეფო, შემდეგ საქართველოს ფეოდალური მონარქია.

ეს მომენტი, როგორც ჩანს, საერთოდ განსაზღვრავდა ოსეთზე ქართული კულტურის გავლენის თავისებურებებს და ამიტომაც მატერიალურ კულტურის ძეგლებში აღმოჩენილი სიახლოვეც არ უნდა იყოს გასაკვირი.

ს უ ლ ი ე რ ი კ უ ლ ტ უ რ ა. IV—X საუკუნეებში ოსეთში რელიგია დიდ ცვლილებებს განიცდიდა. მიუხედავად VI—VII საუკუნეთა მანძილზე ჩატარებული ღონისძიებებისა, ქრისტიანობის გავრცელებას ოსურ მოსახლეობაში წარმატება არ მოჰყოლია და ისინი უპირატესად წარმართებად რჩებოდნენ. ქრისტიანობის გავრცელების პირველი ეტაპი მთლიანად ბიზანტიასთან და მის კავკასიურ პოლიტიკას-

თანაა დაკავშირებული, ხოლო ბიზანტიის დასუსტების შემდეგ ეს პროპაგანდა შეწყდა. ქრისტიანობის გავრცელების მეორე ეტაპზე, როდესაც ამ საქმის მედროშედ საქართველო გამოვიდა, განუზომლად იზრდებოდა ოსეთის ინტერესი ქრისტიანული სამყაროს კულტურული მონაპოვარისადმი. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდ. კავკასიაშიც, პირველ რიგში ჩერქეზებსა და ალანებში. ამ დროიდან ქართული კულტურის ბაზაზე აღზრდილ ოსების რიცხვი საკმაოდ უნდა გაზრდილიყო.

ოსებს უძველესი დროიდანვე ჰქონდათ სურვილი დამწერლობის შექმნისა. ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნდა, რომ ქართულ ანბანს ოსებიც იყენებდნენ. ანბანის შექმნის ცდებს ეტყობა მართლაც ჰქონია ადგილი ოსეთში. მაგალითად ადრეფეოდალური ხანის ბოლოთი დათარიღებულ ერთ საფლავის სტელას ზელენჩუკიდან აქვს ბერძნული ასოებით შესრულებული ოსური წარწერა.

ოსური კულტურის წინსვლის მანიშნებელია ნართების ეპოსის შექმნა, რომელიც ეტყობა უძველეს დროიდანვე იყო ჩამოყალიბებული და რომელიც ადრეფეოდალურ ხანაშიც ივსებოდა და მდიდრდებოდა ხალხური გონებრივი საუნჯის უშრეტი ფონდიდან.

§ 3. ვეინახები V—X საუკუნეებში

ვეინახური ანუ ჩეჩნურ-ინგუშური ტომები, კავკასიის უძველესი აბორიგენებია და ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩრდ. კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად აქტიურ როლს თამაშობენ როგორც ჩრდ. კავკასიის, ასევე ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში.

ისტორიული წყაროების უკიდურესი სიღარიბის გამო ჩვენ ძალზე ცოტა ვიცით მათ შესახებ, მაგრამ ის თითო-ოროლა უმნიშვნელო ცნობა, რაც უპირატესად ქართულ და სომხურ წყაროებშია შემონახული და აგრეთვე არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული გზითაა მიღებული, საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მათ ყოფა-ცხოვრებაზე და პოლიტიკურ ისტორიაზე V—X საუკუნეებისათვის.

ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის, როგორც ჩანს, ჩეჩენ-ინგუშებს წინა საუკუნეებთან შედარებით მცირე ტერიტორია ეკავათ. თუ ქართლის ცხოვრებაში დაცული ტრადიციით ჩეჩენ-ინგუშების ლეგენდარული წინაპრის „კავკასოსის“ საცხოვრისი თითქმის მთელ ცენტრალურ ჩრდილო კავკასიას მოიცავდა, V საუკუნისათვის სურათი საგრძნობლად იყო შეცვლილი. დარიალი და მაშასადამე მდ. თერგის ზემო წელი ეჭირათ ოსებს. ოსებსავე ჰქონდათ უკვე დაკავებუ-

ლი მთელი ცენტრალური კავკასიონი და საფიქრებელია, რომ მათ აქ მოახდინეს სწორედ „კავკასოსის“ იმ მემკვიდრეთა ასიმილირება, რომლებიც ალბათ ვეინახური მოდგმისანი იყვნენ.

ადრეფეოდალური ხანისათვის ასევე შემცირებული უნდა ყოფილიყო ჩეჩენ-ინგუშების საზღვრები ჩრდილოეთ ველების მხრიდან და აღმოსავლეთიდანაც, სადაც ხაზართა სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ თითქმის მთელი დაღესტნის ბარი მათ ხელში აღმოჩნდა. ვეინახური მოდგმის ტომების კუთვნილი ტერიტორია V—X საუკუნეებში მდ. არღუნისა და მისი შენაკადების აუზით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. ეს საზღვრები, ჩანს, შემდგომ საუკუნეებში საგრძნობლად აღარ შეცვლილა.

საქართველო თავისი მთიანეთის ერთი მონაკვეთით (ხევსურეთი, თუშეთი) უშუალოდ ემეზობლებოდა ჩეჩენ-ინგუშებს, რაც მტკიცე საფუძველს ქმნიდა ამ ტომებთან მჭიდრო ურთიერთობისათვის, მაგრამ უმთავრესი გზა, საიდანაც ჩეჩენ-ინგუშები ამიერკავკასიის ხალხებს და მახლობელ აღმოსავლეთს უკავშირდებოდნენ, რა თქმა უნდა, დარიალი წარმოადგენდა. ხევსურეთისა და თუშეთის ზონაში მოქცეული დანარჩენი გადასასვლელები უფრო ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო.

ქართული წყაროები ჩეჩენ-ინგუშებს ძირითადად დურძუკების სახელით მოიხსენიებდნენ, თუმცა ხშირად ღლიღვიც იხმარება. სახელწოდება ქისტი, რომელიც საკმაოდ ძველი ეთნონიმია ქართულ წყაროებში, მხოლოდ გვიანფეოდალურ ხანაში იხმარება.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინგუშური და ჩეჩნური ენები ადრე ფეოდალური ხანისათვის ერთი ენის ძალზე ახლო მდგომი დიალექტები იყვნენ, რადგანაც ეხლაც კი ინგუშს და ჩეჩენს კარგად ესმით ერთიმეორის; იმის გამო, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი სუსტადაა ჩატარებული, ჯერჯერობით ამ ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის სევრი საკითხი ბურუსითაა მოცული, მაგრამ ამ ბოლო წლებში გაწეული შრომის შედეგად ძველ ნასახლართა და სამაროვანთა შესწავლამ საშუალება მოგვცა დავადგინოთ, რომ შეურნეობრივად ჩეჩენ-ინგუშები დიდად არ გამოირჩეოდნენ ალან-ოსებისაგან და მესაქონლეობის გვერდით ხეობათა დაბლობ ზონებში წარმატებით ვითარდებოდა მიწათმოქმედება. ახალი სამარხეული მასალები, რომლებიც ძირითადად VI—X საუკუნეებითაა დათარიღებული, შეიცავენ დიდძალ სამკაულს, შრომისა და ბრძოლის იარაღებსა და სხვა. მაგალითად, ცაინ-ფხედას ნეკროპოლზე (მალხისტა) გამოიყოფა შედარებით არქაულ სამარხთა ერთი ჯგუფი, რომელიც ძირითადად ქვაყუთების

სახითაა წარმოდგენილი და რომელიც ზოგადად ადრეფეოდალური ხანით თარიღდება.

საყურადღებოა, რომ სამარხებში ხშირად ჩნდება ცეცხლის დანთების კვალი და ხის ნახშირი, რაც გარკვეულ მასალას იძლევა ვეინახური ტომების რწმენა-წარმოდგენების შესახებ ადრეფეოდალურ ხანაში. აღსანიშნავია, რომ ადრეფეოდალური ხანით დათარიღებული სამაროვნები არღუნის აუზიდან დიდ მსგავსებას იჩენს პანკისის ხეობაში, ერწოს ველზე და საქართველოს სხვა კუთხეებში აღმოჩენილ სამარხებთან, როგორც სამარხთა მოწყობის წესით ასევე ინვენტარით. რაც შეეხება დაკრძალვის წესს (მაგ. ჩონჩხის პოზა) ცაინ-ფხედის სამაროვანი დიდ მსგავსებას იჩენს სოფ. მატნის იაღსარის სამაროვანთან. სადაც მიცვალებულები (აგრეთვე ქვის სამარხებში, ან კიდევ ქვის სახურავიან ორმოსამარხებში) ზოგ შემთხვევაში წვანან გვერდზე, ოდნავ მოხრილ პოზაში.

ადრეფეოდალური ხანის სამაროვნებიდან საყურადღებოა სამარხთა კიდევ ერთი ტიპი — ნახევრადმიწისზედა აკლდამები, საიდანაც შუა და გვიანფეოდალურ ხანაში განვითარდა საფეხუროვანთაღიანი მიწისზედა აკლდამები. სწორედ ამ პერიოდში უნდა ჩასახულიყო ცნობილი ინგუშური კოშკების მშენებლობაც, რომლებსაც აგერთვე საფეხუროვანი სახურავი აქვთ და რომლებიც განსაკუთრებით გვიანფეოდალურ ხანაში ვრცელდებიან.

თუ ადრეფეოდალური ხანით დათარიღებულ სამარხეულ ინვენტარს დავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ: 1) წამყვანი ადგილი ამ პერიოდის მეურნეობაში ეკუთვნის მესაქონლეობას, რადგანაც შრომის იარაღებიდან ძირითადად ამ დარგთან დაკავშირებული ინვენტარია აღმოჩენილი (დუქარდი), მაშინ როდესაც ოსეთში და ადიღეში შესაბამისი პერიოდის სამარხებში უკვე გვხვდება თოხები და სასნისებიც კი. მესაქონლეობის განვითარებაზე მიუთითებს სამარხებში შინაურ ცხოველთა ძვლების აღმოჩენაც. 2) განვითარებული ჩანს ხელოსნობა, რაც ლითონის სამკაულებისა და საკულტო საგნების დამზადებაში გამოიხატებოდა. კარგად ჩანს ჩეჩნეთ-ინგუშეთის კავშირი საქართველოსა და სხვა მეზობელ თუ შორეულ კუთხეებთან. რომლებთანაც, როგორც ჩანს, ვეინახურ ტომებს ჰქონდათ აღებმიცემობა და საერთოდ მჭიდრო ურთიერთობა. (მაგალითად სოფ. ხურხოხში აღმოჩენილია თეოდოსი II ბიზანტიური ოქროს მონეტა).

რაც შეეხება სოციალურ ურთიერთობათა საკითხებს, იგი კიდევ უფრო ბურუსითაა მოცული. მაგრამ თუ ისევ არქეოლოგიურ მასალებს მივმართავთ შევამჩნევთ, რომ ადრეფეოდალური ხანის სამარ-

ხებში უკვე შეიმჩნევა ქონებრივი დიფერენციაციის გარკვეული ნიშ-ნები. რაც შეიძლება მანიშნებელი იყოს თემურ ურთიერთობათა რღვევის დასაწყისისა. შედარებით დიდრონი და კარგად ნაგები აკ-ლდამებისა და შემდგომში საბრძოლო კოშკების გაჩენა მიუთითებს ცალკეულ გვართა და დიდ ოჯახთა ეკონომიურ და აქედან გამომდი-ნარე სოციალურ დაწინაურებაზე.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ადრეფეოდალურ ხანაში ცნობილი იყო ვეინახური მოდგმის ხალხთა რამდენიმე ტომობრივი გაერთიანება. მაგალითად, მოსე ხორენელი კავკასიის მთიელთა ჩა-მოთვლისას ასახელებს: ნახჩამატებს, კუსტებს და ცხოვატელებს.

სახელწოდება — ჩეჩენი და ინგუში გვიანფეოდალურ ხანაში გაჩენილი ეთნონიმები ჩანს.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. სავარაუდოა, რომ ვეინახური ტომები ადრეფეოდალურ ხანაში ნებით თუ უნებლიეთ აქტიურად მონაწილეობდნენ ყველა იმ დიდ პოლიტიკურ ძვრაში, რაც მაშინდელ კავკასიასა და კულტურულ სამყაროში ხდებოდა.

რომ დურძუკების ურთიერთობას ამიერკავკასიის სახელმწიფო-ებთან და განსაკუთრებით სპარსეთთან და საქართველოსთან ადრე-ფეოდალურ ხანაზე ადრე ჩაეყარა საფუძველი, ამას „ქართლის ცხოვ-რება“ და სხვა წყაროებიც ადასტურებენ და ეს ურთიერთობანი მოე-დენო საუკუნეებშიც გრძელდებოდა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, პირველი ქრისტიანი ქართველი მეფე მირიანი დიდ ბრძოლებს აწარ-მოებდა „ხაზარებთან“, ანუ ჩრდ. კავკასიაში მოთარეშე თურქულე-ნოვან ტომებთან.

იმ დიდ ბრძოლებში, რომელსაც მემატიანეს სიტყვით, საქართვე-ლო აწარმოებდა დარუბანდის კარების გასამაგრებლად, ბუნებრივია, მას მოუხდებოდა კონტაქტების დამყარება როგორც დაღესტნურ, ასევე ვეინახურ ტომებთან. სპარსეთ-ბიზანტიის დიდ ბრძოლებში ისი-ნი უდავოდ მონაწილეობდნენ, რასაც „ქართლის ცხოვრებაც“ ადას-ტურებს. კერძოდ პრობიზანტური პოლიტიკის გამტარებელი ქართ-ლის კუროპალატი ვუარამი, მემატიანის ცნობით, ხშირად მონაწილე-ობდა ბიზანტია-სპარსეთის ომებში და ყოველთვის მხარს უჭერდა პირველს. „მაშინ წარმოსცა კეისარმან განძი დიდი გუარამ კურო-პალატისა თანა და უბრძანა რათა მით გამოიყვანნეს ჩრდილოთ ლაშ-ქარნი და შეაერთნეს თანა სპანი ქართველთანი, და შეგზავნეს სპარ-სეთს, ხოლო გუარამ ყო ეგრე: გამოიყვანნა ოვსნი დურძუკნი და დიდონი, წარუძღვანნა წინა ერისთავნი ქართლისანი. შევიდეს ადარ-ბადაგანს, დაუწყეს ტყვევნად“.

როგორც ჩანს, დურძუკ-დიდოთა მონაწილეობა ჩრდ. კავკასიის

მოქირავე ლაშქარში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ასეთი მოქირაველობა და მოლაშქრეობა ხელს უწყობდა ვეინახურ ტომებში სამხედრო არისტოკრატიის დაწინაურებას, რომლებიც, ალბათ, კეისრისაგან გაჩენილი „დიდი განძის“ მოზრდილ ნაწილს თვითონვე მიიკუთვნებდნენ.

მაგრამ ქართლის ცხოვრებისავე ცნობებით ირკვევა, რომ თუ მთელი დურძუკეთი არა, მისი დიდი ნაწილი ადრეფეოდალური ხანის პირველი ნახევრისათვის უკვე დახარკული ყოლიათ ხაზარებს.

ასევე საგულისხმოა კავკასიის ხალხთა ბრძოლებში არაბი დაპყრობლების წინააღმდეგ ვეინახური ტომების მონაწილეობა, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი უმთავრესი დარტყმა, გარდა დარიალის გადასავლელისა, არაბებმა დარუბანდის კარებისადმი წარმართეს.

ადრეფეოდალური ხანის II ნახევარში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ცალკეული სამთავროების გაძლიერება დაიწყო, ვეინასური ტომები, ჩანს, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კახეთთან, მზარდი კახეთი ხევსურეთ-თუშეთის გზით არა მარტო პოლიტიკურ, არამედ კულტურულ გავლენას ახდენდა არღუნის აუზში მსხდომ დურძუკებზე. კახეთის გავლენა ვეინახურ ტომებზე განსაკუთრებით მას შემდეგ უნდა გაძლიერებულიყო, რაც ხაზართა სახელმწიფოს ბოლო მოეღო და პირიქით კავკასიაში უფრო აქტიური პოლიტიკის გატარება გახდა შესაძლებელი.

მთისა და ბარის ურთიერთობაში არსებულ კანონზომიერებათა გამო ურთიერთ თანამშრომლობით ორივე მხარე იყო ხოლმე დაინტერესებული. ბარისათვის მთა და ამ შემთხვევაში კახეთისათვის ხევსურეთ-ფშავისა და პირიქით კავკასიონის მდიდარი საძოვრები აუცილებელი იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის. მთა, აგრეთვე წარმოადგენდა ძნელბედობაში საიმედო თავშესაფარსაც. ისევე როგორც ქრისტიანობის გავრცელებისას ურჩი „მთეულნი“ გადარბოდნენ პირიქითა თუშეთში, ასევე ბარის მოსახლეობაც გამანადგურებელ ლაშქრობათა (მაგ. მურვან ყრუ) დროს ეხიზნებოდა მიუვალ მთიანეთს. თავის მხრივ მთა ეკონომიურად და პოლიტიკურად დიდად იყო დამოკიდებული ბარზე. ბარში იგი იძენდა საჭირო პროდუქციის იმ ნაწილს, რომელიც მათ არ ჰქონდათ და ასაღებდა მეცხოველეობის ჭარბ ნაწარმს. ამასთანავე ბარი იყო მთაში წარმოქმნილი ჭარბი მოსახლეობის განტვირთვის მთავარი ბაზა.

კახეთის სამთავრო და შემდეგში გაერთიანებული საქართველო მთაში პოლიტიკური ბატონობისათვის ავრცელებდნენ ქრისტიანობასაც. როგორც ჩანს, ქრისტიანული რელიგიის პროპაგანდა, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა მთაში IX—X საუკუნეებში ვეინახურ

ტომებშიც მყარ ნიადაგზე მდგარა, რადგანაც ამ ქვეყანაში არა ერთი ეკლესიაა შემორჩენილი. მათ შორისაა თხაბა-ერდის ეკლესია, რომელიც თარიღდება XII საუკუნით. აშკარაა, რომ თვით ქრისტიანული რელიგია და ქრისტიანული ხუროთმოძღვრება დურძუკეთში შესულია საქართველოდან.

კ ულ ტ ურ ა. ვეინახური ტომების მატერიალური და სულიერი კულტურა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, ყალიბდებოდა და ვითარდებოდა როგორც საკუთრივ ამ ხალხის შემოქმედებითი ნაყოფი, მაგრამ იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სხვა მეზობელ ხალხთა კულტურასთან და განიცდიდა მათ ნაყოფიერ ზემოქმედებას. ამ მოსაზრებას ადასტურებს როგორც არქეოლოგიური, ისევე ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემები, რომლებიც ამ უკანასკნელი ხანისათვის საკმაოდ მრავლად დაგროვდა.

ჩეჩენ-ინგუშებს, ისევე როგორც სხვა ხალხებს, ჰქონდათ საკუთარი კულტურა, მაგრამ ამ კულტურის ჩამოყალიბება-გაფორმებაში, გარდა ეროვნული საწყისისა, დიდ როლს თამაშობდნენ მეზობელი ხალხებიც. ადრეფეოდალური ხანისათვის ვეინახური ტომები ჩრდილოეთიდან უმთავრესად განიცდიდნენ ჯერ ირანულენოვანი ტომების სარმატების და ალანების ზემოქმედებას, შემდეგ კი თურქულენოვანი ურდოების მიერ დაარსებული ხაზარეთისას, ხოლო სამხრეთიდან კი ვეინახური ტომების (პირველ რიგში დურძუკთა) საუკუნოვანი ბეზობელი იყო აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო. ამიტომაც ჩეჩნურ-ინგუშური მატერიალური კულტურის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ კულტურულ გავლენათა სწორად წარმოჩენას. სამარსეულ კომპლექსთა შედგენილობის მიხედვით ჩანს, რომ ჩეჩნურ-ინგუშური ტომების წინაპრების კულტურას განუცდია სარმატიზაცია. რაც შეეხება თურქულენოვან ტომებს და განსაკუთრებით ხაზარებს, მათ ვეინახური ტომები უფრო პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქციეს.

ჯერ კიდევ საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებიდან იწყება მთიან რაიონებში ქრისტიანობის გავრცელების ცდები. თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და სხვა მთიელთა ძალით მოქცევა ხარკის დამძიმებითა და მახვილის მოშველიებით უნდა შეხებოდათ დურძუკებსაც. ასე თუ ისე, ადრე ფეოდალურ ხანაში ჩანს ქრისტიანობა საკმაოდ ღრმად იჭრება არღუნის ხეობაში, რაზედაც მიუთითებს ადრეფეოდალური ხანის ბოლოსათვის აქ გაშლილი საეკლესიო მშენებლობა. ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, რომელიც ჩანს ძირითადად კახეთის გზით წარმოებდა ვეინახურ ტომებში, თანდათანობით იკვლევდა გზას ქართული ენა და ანბანი. ქართუ-

ლი წარწერების აღმოჩენა ეკლესიის კედლებზე და აგრეთვე ძველ ქართულ ხელნაწერთა პოვნის შემთხვევები ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე ამის მანიშნებელი უნდა იყოს. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა IX—XII საუკუნეებით დათარიღებული თხაბა-ერდის ეკლესია, რომელიც, მკვლევართა აზრით, ღვთაების ეკლესიას უნდა ნიშნავდეს.

არღუნის ხეობაში არა ერთი ქართული წარმოშობის ტოპონიმია შემონახული, რაც გარკვეულ ხანაში ქართული ეთნიკური მასის შეღწევასაც გულისხმობს ამ რაიონში. ჩეჩენურ-ინგუშური ტომების მდიდარი სულიერი კულტურა ასახულია ნართების ეპოსში.

§ 4. დაღესტანი V—X საუკუნეებში

ადრეფეოდალურ ხანაში დაღესტანს ეჭირა აღმოსავლეთ კავკასია, ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა ხაზარეთი, დასავლეთიდან და ჩრდ.-დასავლეთიდან ჩეჩენ-ინგუში ტომები. სამხრეთიდან ალბანეთის ბარი და, ნაწილობრივ, აღმოსავლეთი კახეთი (ჰერეთი), ხოლო აღმოსავლეთიდან კი კასპიის ზღვა. ამ პერიოდში დაღესტანში გამოირჩეოდა შემდეგი ტომები და პოლიტიკური ერთეულები: ჩოგი ანუ ჩორი, ლეგები ანუ ლეკები, ზირიხგერანები ანუ უწბუხები, ხაიდაკები, დიდოები, სერირი, სამსამისა და კამკამის სამთავრო, დარგიელები, ავარები, რუთულები და სხვა.

მართალია, დაღესტნის ტომთა დიდი ნაწილი ამ პერიოდში მთაში იყო განლაგებული, მაგრამ მთის მდინარეთა ხეობებში და მთის ძირა ზოლში შექმნილი ბუნებრივი პირობები და ქვეყნის ეკონომიური განვითარების დონე ქმნიდა იმის პირობას, რომ დაღესტნის მეურნეობაში წამყვანი ადგილი მიწათმოქმედებას სჭეროდა. მაღალმთიან რაიონებში ჰარბობდა მესაქონლეობა.

მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა. ხაზარების გამანადგურებელმა თავდასხმებმა და სპარსეთის გაბატონებამ ალბანეთში საგრძნობლად შეაფერხა დაღესტნის განვითარება. მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომელიც ბარში ცხოვრობდა მოისპო ან აიყარა ძველი ადგილებიდან. ასეთ ვითარებაში ბარის მოსახლეობის ერთადერთ საიმედო თავშესაფარს ისევ მთა წარმოადგენდა, სადაც მოსახლეობის კონსოლიდაციასთან ერთად უნდა დაწყებულიყო მეურნეობის ინტენსიფიკაცია. მაგრამ მთის პირობები არ იძლეოდა მიწათმოქმედების განვითარების დიდ საშუალებას. აბიტომ დაღესტნის მთელ ისტორიას თან გასდევს სახნავ-სათესი ფართობების სიმცირე და აქედან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შინაგანი რესურსების უკმარობა, რაც კიდევაც განაპირობებდა მთის ურთიერთობას ბართან.

დაღესტნის სოციალურად და ეკონომიურად დაწინაურებულ რაიონებში მიწათმოქმედებაში წამყვანი ადგილი ეკავა პურეულ კულტურებს. როგორც ადრეფეოდალური ხანის განათხარი მასალები მიგვითითებენ, ზღვისპირა დაღესტანი და დაბლობი რაიონები წარმოადგენდნენ დამჯდარ მიწათმოქმედებს, რომელთა განკარგულებაში, გარდა რკინის სახნისისა, იყო სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღებიც. ჩვეულის შიგნით ცალკეულ ტომთა შორის არსებული სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა სხვადასხვა დონე წარმოადგენდა საერთო წინსვლის მუხრუჭს, მაგრამ უდავოა ის, რომ პოლიტიკურად დაღესტნის სწორედ ის კუთხეები დაწინაურდნენ, სადაც განვითარებული იყო დამჯდარი მიწათმოქმედება და, ვანსაკუთრებით, მემინდვრეობა. პურეულის გარდა დაღესტანში მოყავდათ ქერი, ღომი, შვრია და სხვ.

დაღესტნის დაბლობისა და მთის ძირა რაიონებისათვის, გარდა ამისა, დამახასიათებელი იყო მევენახეობა და მებაღეობა. ის დიდი ტრადიციები, რაც ამ მხრივ კავკასიის ალბანეთს ჰქონდა, წარმატებით გრძელდებოდა მათივე მემკვიდრეების ბარელი დაღესტნელების ხელერ — სწორედ მთის ძირა და დაბლობ რაიონებში. საერთაშორისო ბაზარზე მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქტებს დიდი გასავალი ჰქონდა.

მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა. მაღალ მთიან დაღესტნის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა, რომელიც იალღურ ხასიათს ატარებდა. ისინი უმთავრესად საქონლის მოშენებას მისდევდნენ. თუმცა განათხარ მასალაში საკმაოდ დიდი პროცენტი ცხვრის ძვლებიც ურევია. დაბლობი და თბილი რაიონებისათვის დამახასიათებელი იყო მეკამეჩეობა, რომელიც სასარგებლო იყო როგორც ხვნა-თესვაში, ასევე მერძევეობაშიც. მთის ზონაში ისტორიულად ჩამოყალიბდა საქონლის ადგილობრივი ჯიშები. მესაქონლეობის პროდუქტები წარმოადგენდა მთის მოსახლეობის ძირითად წყაროს, ხოლო ჭარბი პროდუქცია კი ბარში პურზე გაცვლის მთავარ საშუალებას

ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა. დაღესტანში ხელოსნობა და აღებ-მიცემობა იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებული ჩანს. ისეთი მსხვილი და დაწინაურებული სავაჭრო-ეკონომიური ცენტრები როგორიც იყვნენ ჩოგი, დერბენტი, ვარაჩანი, ყოლაგი, ბალში და სხვა წარმოადგენდნენ ხელოსნობის განვითარების მთავარ კერებსაც, მაგრამ დაღესტნისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ის, რომ თუ ხსენებულ ქალაქებში ხელოსნობის განვითარებას მათი სავაჭრო გზების გასწვრივ მდებარეობა და სათანადო დიდი ბაზრის არსებობა განაპირობებდა, დაღესტნელთა შორის შუაგულ მთაში განვითარებული იყო

ხელოსნობა. რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ხელოსნობის განვითარებას მთიან დაღესტანში ხელს უწყობდა მელითონეობის მაღალი კულტურა.

ხელოსნობა განსაკუთრებით დაწინაურებული იყო ყუბაჩელებს შორის. აღსანიშნავია რომ სპარსელები მათ უწოდებდნენ დერგერანებს, რაც ნიშნავს აბჯრის მკეთებლებს. არაბულ წყაროებში ისინი მოიხსენიებიან ზირიხგერენების სახელით, რაც უდრის ჩაჩქანის მკეთებლებს. მეზობელ დაღესტნურ ტომებში კი მათ ეწოდებოდათ უხბუხები, რაც იარაღის მკეთებელ ხალხს აღნიშნავს.

ადრეფეოდალურ ხანაში, განსაკუთრებით V — VII სს., თუ განათხარ მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, განვითარებული ყოფილა: ბრინჯაოს ჩაპოსხმა, ოქრომჭედლობა, იარაღის ხელოსნობა, კერამიკული წარმოება და სხვ. მაგ. ერმიტაჟში დაცული ბრინჯაოსა და ვერცხლის V — VII სს. დათარიღებული ნაკეთობა: თასები, ქანდაკებები, ჭურჭლები ხელოვნების მაღალმხატვრულ ნიმუშებს წარმოადგენენ. მხატვრულ შემკულობათა შორის აულ ყუბაჩში აღმოჩენილ ნივთებზე ძალიან ხშირად გვხვდება სიცოცხლის ხის მოტივი, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო წინა აზიისა და ამიერკავკასიისათვის. როგორც ჩანს, მაღალმთიან დაღესტნის ზოგიერთი ტომისათვის მესაქონლეობასთან ერთად შემოსავლის საგრძნობ წყაროს ხელოსნობაც წარმოადგენდა. აღებ-მიცემობაში ამ დროს მთელი დაღესტანი იყო ჩაბმული, მაგრამ განსაკუთრებით მისი ზღვისპირა ზოლი, სადაც გადიოდა ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო საერთაშორისო გზა. მიუხედავად იმისა, რომ ამ გზამ დაღესტნურ ტომებს და საერთოდ აღმოსაელეთ ამიერკავკასიას არა ერთი უსიამოვნება შეამთხვია, იგი მაინც წარმოადგენდა მეტად მნიშვნელოვან მოვლენას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ასეთი დიდი სავაჭრო გზის არსებობა ხელს უწყობდა დაღესტნის ეკონომიურ დაწინაურებას და აპირობებდა სოციალურ ურთიერთობათა გაღრმავებას.

ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას დაღესტანში ძალზე დიდი ზიანი მიაყენა არაბთა ბატონობამ. არაბობის ხანა არის სამეურნეო დეგრადაციისა და დაცემულობის ხანა აღმ. ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით დაღესტანში. სწორედ ამ დროიდან იწყება ისლამის თანდათანობით გავრცელება ამ კუთხეში.

ადრეფეოდალური ხანის II ნახევარში არაბებისაგან რამდენადმე დაცული მთიელი დარგელების ტომი დაწინაურდა, სადაც აგრეთვე მაღალ დონეზე იდგა ხელოსნობა და გაცვლა-გამოცვლა.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ე ბ ი. დაღესტნის ბარში

მდებარე ცალკეული ტომები თუ პოლიტიკური ერთეულები ადრეფეოდალური ხანის დამდეგისათვის სოციალურად უკვე საკმაოდ წინ იყვნენ წასული. ალბანეთის სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ბარის დაღესტნელთა დიდი ნაწილი, წარმოადგენდა კლასობრივ ურთიერთობებზე აღმოცენებულ საკმაოდ ძლიერ სახელმწიფოს.

ალბანეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ცალკეულ დაღესტნურ ფეოდალურ ერთეულებში კვლავ გრძელდებოდა აღმავალი ფეოდალიზაციის პროცესი. მაგრამ სპარსელების, ხაზარების, არაბებისა და სხვათა გამუდმებულმა თავდასხმებმა და ბატონობამ დაღესტნურ ხალხებს და შესატყვის პოლიტიკურ ერთეულებს ძალზე შეუცვალა ნაციონალური სახე. რაც შეეხება მთიან დაღესტანს, აქ შედარებით სხვა სურათი შეინიშნება. მართალია, მთიან დაღესტნის ტომთა შორისაც იყო გარკვეული განსხვავებანი და ყველანი ერთ დონეზე არ მდგარან, მაგრამ ძირითადად დაღესტნის მთიანეთი ადრეფეოდალურ ხანაში იდგა თემურ ურთიერთობათა რღვევის საფეხურზე, სადაც ხშირად გადამწყვეტ როლს სამხედრო არისტოკრატია ასრულებდა.

შედარებით უფრო დაწინაურებული იყო სამურისპირეთში მცხოვრები დაღესტნური ტომები, რომლებმაც ადრე ფეოდალური ხანისათვის კლასობრივი დიფერენციაციის საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწიეს. პრივილეგირებულ ფენას სამურისპირეთში ეწოდებოდა „ბამაშირა".

მაგრამ კურახისა და ჩირახ-ჩაის აუზებში მცხოვრებმა დაღესტნურმა ტომებმა უფრო დიდხანს შეინარჩუნეს გვაროვნული წყობილების ნიშნები. ადრეფეოდალური ხანისათვის ისინი ძირითადად თემთა კავშირების სახით იყვნენ გაერთიანებულნი. მაგრამ VIII ს. აქ არაბი დამპყრობლების დამკვიდრებით უკვე დაჩქარდა მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრების პროცესი.

დაღესტნის ტომებზე არაბთა ბატონობის თანდათანობით შენელების შემდეგ ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივ ურთიერთობებში შეიმჩნევა ადგილობრივი „არისტოკრატიის" როლის ზრდა. ეს „არისტოკრატია" ფაქტიურად წარმოადგენდა შეძლებული პატრიარქალური თემის — თუხუმის წევრებს, რომლებიც უკვე ხელში იგდებენ მთელი ხეობის მართვა-გამგეობასაც კი.

სოციალური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოდ ვითარდებოდა დარგოელთა ტომები. დარგოელები იყოფოდნენ სამხედრო ერთეულებად—ხურებებად. სახელწოდება ხური შემონახულია სამხედრო დემოკრატიის დროიდან, როდესაც ომიანობა და სამხედრო ორგანიზაცია სატომო-სახალხო ცხოვრების რეგულარულ საქმიანობად იქცევა.

ადრეფეოდალური ხანისათვის დარგოელები ნელ-ნელა სამხედრო დემოკრატიის საფეხურიდან შედიან კლასობრივ ურთიერთობებში სწორედ ამ დროს წარმოიშვებიან მათ შორის ცალკეული ქვეყნები: აკუშალა-დარგა, კაბაა-დარგა, ბურკუნ-დარგა, ხამურ-დარგა, კაიტამ-დარგა და სხვ. ამ „ქვეყანათაგან" სოციალურად უფრო დაწინაურებული იყვნენ ხეობის ქვემო წელის მცხოვრებლები.

რომ დაღესტნის მთაში უმეტესობა ადრეფეოდალურ ხანაში სამხედრო დემოკრატიის საკმაოდ განვითარებულ სტადიაზე იდგნენ. ამას მოწმობს ყუბაჩელთა სოციალური დონეც. მათ ჰქონდათ სრულიად ჩამოყალიბებული სამხედრო ორგანიზაცია ბატირტებისა, რომელთაც გააჩნდათ თავიანთი მტკიცე წესები, ბაზირებული იყვნენ ჩაბკან-ცი-ებში (სპეციალურ კოშკებში) და მხოლოდ სამხედრო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

სოციალურად შედარებით უფრო დაწინაურებული იყო ავართა სახელით ცნობილი მრავალრიცხოვანი დაღესტნური წვრილ-წვრილი ტომები, თუმცა საფიქრებელია, რომ ისინი სამხედრო დემოკრატიის სტადიიდან ძალიან შორს არ იყვნენ წასულნი.

ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის დაღესტნის ტერიტორიაზე ყალიბდება რამდენიმე ფეოდალური სამთავრო. მაგალითად, დარუბანდის საამირო, ს ე რ ი რ ი, ხუნძახის სანუცალო და სხვ. მაგრამ ამ პოლიტიკურ ერთეულთა ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს არაბული სამყარო თამაშობდა, თუმცა ადგილობრივი არისტოკრატიის მონაწილეობაც გამორიცხული არ არის. მაგალითად, შახპალთა ვვარი ადგილობრივი წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. სოციალურ ურთიერთობათა გაღრმავებას თან სდევდა მძაფრი კლასობრივი ბრძოლები, რაც კარგადაა ასახული დაღესტნურ ზეპირსიტყვიერებაში.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის დაღესტნის უდიდესი ნაწილი პოლიტიკურად ალბანეთში შედიოდა და. საფიქრებელია, რომ ალბანეთის ბარის დიდი ნაწილი იმავე მოდგმის ტომებით იყო დასახლებული. 461 წლიდან ალბანეთის მეფე ვაჩე II-ის დროს სპარსელებმა დაიპყრეს ალბანეთი, გააუქმეს სამეფო ხელისუფლება, დაეპატრონენ დაღესტნის უდიდეს ნაწილს, რამაც უაღრესად დიდი გავლენა მოახდინა დაღესტნის შემდგომ პოლიტიკურ ბედზე. სასანური სპარსეთი ბიზანტიასთან ჭიდილში დიდი ხანია ცდილობდა კავკასიაში ფეხის მოკიდებას და განსაკუთრებით კი საუღელტეხილო გზების ხელში ჩაგდებას, რაც უკვე უშუალოდ იყო დაკავშირებული დაღესტანთან. VI ს. სპარსეთს ბი-

ზანტიის გარდა კავკასიაში გაუჩნდა ახალი მეტოქე. ხაზართა კაგანატი.

ხაზარეთის ტერიტორია გადაჭიმული იყო უზარმაზარ სივრცეზე დერბენტიდან მოყოლებული ვოლგის ქვემო წელამდე და მოიცავდა ჩრდ. კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ველების დიდ ნაწილს. ხაზარები, რომელთაც სავირებთან ერთად არაერთხელ ულაშქრიათ ამიერკავკასიის ქვეყნებში, კავკასიის ხალხთათვის ადრევე იყვნენ ცნობილი. მაგრამ მათი გაძლიერება იწყება VI ს, როდესაც თათართა კაგანატისა და სავირების განადგურების შემდეგ ხაზარეთი ჩრდ. კავკასიასა და ქვემო ვოლგაზე ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. გაძლიერებულმა ხაზარეთმა ჯერ ჩრდ. დაღესტანი შეიერთა, ხოლო შემდეგ დარუბანდის ხელში ჩაგდებით მათ ფეხი შემოდგეს აღმ. ამიერკავკასიაშიც კი. ამ პერიოდიდან ხაზარეთი უაღრესად დიდ როლს თამაშობდა დაღესტნური ტომების ცხოვრებასა და მომავალ განვითარებაში.

ხაზარები ასევე აქტიურად ერეოდნენ ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა ცხოვრებაში და ვითარცა სასანური სპარსეთის უშუალო მეტოქე, ხშირად ბიზანტიელთა მხარეზე გამოდიოდნენ (მაგ. თბილისის აოხრება 627 წ.). განსაკუთრებით დიდ ბრძოლებს ხაზარეთი არაბთა ბატონობის წინააღმდეგ აწარმოებდა კავკასიაში. ამ შემთხვევაში ხაზარეთი იცავდა რა „დერბენტის" ქვეყანაში მდებარე გასასვლელს არაბთა ძალმომრეობისაგან, გამოდიოდა როგორც დაღესტნური ტომების დამცველი და მფარველი.

ხაზარები არაბებთან ხანგრძლივ ბრძოლაში დამარცხდნენ და VIII ს. 30-იან წლებში დედაქალაქი ქალაქ სემენდერიდან ვოლგაზე მდებარე იტილში გადაიტანეს. ამ დროიდან იწყება ხაზარეთის ძლიერების თანდათანობითი შესუსტება. პაჭანიგების გამანადგურებელი შემოსევებით იგი ისე დასუსტდა, რომ X ს. ბოლოს რუსთა მთავრის სვიატოსლავის დარტყმა საკმარისი აღმოჩნდა მისი ლიკვიდაციისათვის.

VII — IX სს. დაღესტანი უკვე არაბთა უცილობელი ბატონობის მხარეა, მაგრამ დაღესტნის მოსახლეობა საუკუნეთა მანძილზე გმირულ ბრძოლებს აწარმოებდა მათთან. საყურადღებოა, რომ საკუთრივ არაბთა ბატონობის ხანაში დაღესტანი გადაურჩა არაბული კულტურის ზემოქმედებას და ინარჩუნებდა თავის ნაციონალურ სახეს, თუმცა ზოგან ისლამი უკვე შეღწეული იყო.

ადრეფეოდალური ხანის ბოლოსათვის მთიან დაღესტანში თანდათანობით ყალიბდებიან ცალკეული პოლიტიკური გაერთიანებები,

რომლებიც მუდმივ ბრძოლებს აწარმოებდნენ დამოუკიდებლობისათვის.

დაღესტნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდნენ დერბენტის საამირო და შირვანი. რომლებიც არაბული ტიპის მცირე სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ დაღესტნის ტერიტორიაზე.

მთიანი დაღესტანი პოლიტიკურად და ეკონომიურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთანაც. ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის საქართველოს ამიერკავკასიის მიმართ განსაკუთრებული ინტერესები ამოძრავებდა. პოლიტიკურად ქართლის სამეფო საკმაოდ დიდ გავლენას ავრცელებდა ყოფილ ალბანეთის ტერიტორიაზე, რაც ამ მხარეში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებაშიც გამოიხატებოდა. ადრეფეოდალური ხანის ქართლის სამეფო ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა მთასთან ურთიერთობის საკითხს და გარკვეულ გავლენასაც ავრცელებდა მასზე. ადრეფეოდალური ხანის ქართლის სამეფოს დაღესტანზე აქტიური პოლიტიკური ზემოქმედება IV — VIIსს. თარიღდება. სასანურ სპარსეთთან ბრძოლის მომენტში დაღესტნური ტომები ხშირად ჩანან ქართველთა ლაშქარში.

არაბთა ბატონობამ ეს ურთიერთობანი საგრძნობლად შეასუსტა. მაგრამ საქართველოს ერთ მთლიან ფეოდალურ სახელმწიფოდ გაერთიანების წინა ხანებში IX — X სს. ძველი პოლიტიკური და, შესაბამისად, ეკონომიური ურთიერთობები დაღესტანთან აღდგა. როგორც ჩანს დაღესტნის მიმართ ასეთი პოლიტიკის განხორციელებას სათავეში ედგნენ კახეთისა და ჰერეთის ძლიერი სამთავროები.

X საუკუნისათვის ასეთი აქტიური პოლიტიკის ნაყოფი უნდა იყოს ის, რომ დაღესტანში კვლავ აღორძინდა და გავრცელება დაიწყო ქრისტიანობამ. მაგალითად სოფ. დათუნში შემონახულია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრული სტილით ნაგები ქრისტიანული ეკლესია, რომელიც X ს. თარიღდება. ხოლო ხუნძახში აღმოჩენილი ქვის ჯვარი, რომელზედაც ქართული ასოებით ქართულ-ავარული სიტყვებია ამოკვეთილი, მიუთითებს იმ აქტიური პოლიტიკის ნაყოფზე, რასაც საქართველო ახორციელებდა დაღესტნის მიმართ.

კ ულ ტ ურ ა. დაღესტნის მრავალრიცხოვანი, ენობრივად ერთიმეორისაგან განსხვავებული ტომები ქმნიდნენ ერთ, საკმაოდ დიდ კულტურულ წრეს, რომელიც ზოგადად დაღესტნურად წარმოგვიდგება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალები კუბაჩიდან, დარგოდან, ხუნძახიდან თვალნათლივ გვიჩვენე-

ბენ დაღესტნური მატერიალური კულტურის თვითმყოფადსა და დამოუკიდებელ საწყისებს.

დაღესტნელები განსაკუთრებით ლითონის წარმოებით და საიუველირო ნაკეთობით იყვნენ ცნობილი. ლითონის მხატვრული ნაკეთობით და საერთოდ დახვეწილი ოქრომჭედლობით დაღესტანი ერთ-ერთი მოწინავე კუთხეა მსოფლიოში. და ესაა მისი წვლილი ზოგადი საკაცობრიო კულტურის განვითარებაში. როგორც ჩანს, დაღესტნელმა ხელოსნებმა და ოქრომჭედლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს სასანური ირანის მატერიალური კულტურის ჩამოყალიბების საქმეშიც. ეს გავლენა ვრცელდებოდა ამიერ-კავკასიაზეც. განსაკუთრებით კიდი გავრცელება მოიპოვა სპილენძის ნაწარმმა.

დაღესტნის მატერიალური კულტურა კიდევ უფრო მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ზღვისპირა დაღესტანში, სადაც ადრეფეოდალური ხანის არაერთი გრანდიოზული ნაგებობაა დადასტურებული. თავდაცვითი ხასიათის ბევრი ხუროთმოძღვრული ძეგლი (მაგალითად, იცარის კოშკი და სხვ.) მიუთითებს შიდა დაღესტანში სამშენებლო ხელოვნების მაღალ დონეზე. ქრისტიანული მოძღვრების შექმნაში, როგორც ჩანს, დაღესტანში ძირითადად ქართველები მონაწილეობდნენ. განათხარი მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადრე ფეოდალური ხანისათვის დაღესტნის ტომების ძირითად რელიგიას წარმართობა წარმოადგენდა.

ქრისტიანული რელიგიის გავრცელება დაღესტანში საზოგადოების ზედა ფენების ხარჯზე ხორციელდებოდა, ხოლო თვით ხალხი კი იხარჩუნებდა ბუნების ძალების გაღმერთებასთან დაკავშირებულ უძველეს რწმენა-წარმოდგენებს. დაღესტნის ცალკეულ ტომებს ჰქონდათ ღვთაებათა საკუთარი პანთეონი. შესაძლოა ადამიანთა ის ქანდაკებები, რომლებიც დაღესტანში უხვად ჩნდება, ამ ღვთაებათა გამოსახულებები იყოს.

მდიდარი და მრავალფეროვანია დაღესტნელთა ზეპირსიტყვიერება, სადაც ასახულია მთის მოსახლეობის მდიდარი სულიერი კულტურა და ცოდნა. ადრე ფეოდალურ ხანაში ადგილი ჰქონია დამწერლობის შექმნის ცდებსაც, ქართული ანბანის ბაზაზე, რაზედაც მიუთითებს დაღესტნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წარწერები. დაღესტნის ტომებში ისლამის გავრცელებაში აქტიური როლი შეასრულა დერბენტის სახანომ, სადაც მოღვაწეობდა მაჰმადიანური უმაღლესი სასულიერო სკოლა.

თავი III

ჩრდილო კავკასიის ხალხები XI—XV სს.

§ 1. ადიღეელები XI—XIV სს.

მეურნეობა. ადიღეელები ადრიდანვე ბინადარი მიწათმოქმედი ტომები იყვნენ. არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული სამიწათმოქმედო იარაღები — ნამგლები, თოხები, კავები მიუთითებენ საკმაოდ განვითარებულ მოხვნით მიწათმოქმედების არსებობაზე. ეს განსაკუთრებით ითქმის მის ველის რაიონებზე. მოჰყავდათ ღომი, ქერი, ხორბალი. მდინარეთა ნოყიერ ველებზე მიწათმოქმედება კარგად იყო განვითარებული.

XIII ს-დან უკვე წერილობით წყაროებშიც გვხვდება ცნობები ადიღეელთა მიწათმოქმედებაზე, იგი არამარტო შინაგან მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა მარცვლეულზე, არამედ გარკვეული ოდენობით სხვაგანაც გაჰქონდათ. 1268 წ. იტალიაში დიდ შიმშილთან დაკავშირებით ვენეციელმა დოჟმა ლორენცო ტიეპოლომ განკარგულება გასცა შეესყიდათ პური უცხოეთში. „თათრებმა, ალანებმა, ზიხებმა (ადიღებმა), რუსებმა, თურქებმა, სომხებმა და ბერძნებმა მისცეს იმ დროს პური ვენეციელებს“.

გ. ინტერიანო (XV ს. ავტორი) წერდა, რომ ადიღეელებს აქვთ ბევრი ღომი და მარცვლეული, რომლისგანაც ამზადებენ პურსა და სხვა საჭმელებს. ი. ბარბაროც ხაზს უსვამდა, რომ პური ამ ქვეყანაში საკმარისი მოდისო.

ადიღეელებში მიწათმოქმედება ექსტენსიური იყო.

გავრცელებული ყოფილა ხილეული კულტურებიც. მათ არა მარტო საკვებად, არამედ XIII—XV სს. საექსპორტოდაც იყენებდნენ.

ადიღეელთა სამეურნეო საქმიანობის ძირითადი დარგი იყო მესაქონლეობა. მას დიდი ტრადიცია ჰქონდა. აშენებდნენ მსხვილფეხა პირუტყვს, ცხენებს, ღორებს. XIV ს. არაბი ავტორი ალ-ომარი აღ-

ნიშნავდა, რომ ჩერქეზთა ქვეყანაში დიდი რაოდენობით აშენებენ მერძეულ საქონელს. შილტბერგერის (XIV—XV სს. ავტორი) ცნობით, ჩერქეზები აშენებდნენ ძროხას და ცხვარს. მეცხვარეობა მესაქონლეობის მთავარი დარგი იყო. XIII—XV სს. ადიღეადან გენუელთა კოლონიებში გასატან საქონელში დიდ ადგილს იკავებდა ცხვრისა და სხვა საქონლის ტყავები და მატყლი.

მნიშვნელოვანი იყო მეცხენეობა. ჩერქეზთა ცხენები, ი. ბარბაროსა და გ. ინტერიანოს ცნობით, თათრულს სჯობდა. მათზე დიდი მოთხოვნილება იყო.

ადიღეელთა მეურნეობაში გარკვეულ როლს ასრულებდა მ ე ფ უ ტ კ რ ე ო ბ ა, მ ე თ ე ვ ზ ე ო ბ ა და ნ ა დ ი რ ო ბ ა. ალ-ომარის ცნობით, რუსებს, ჩერქეზებს და ოსებს აქვთ კარგი გემოს მქონე თეთრი ფერის თაფლი. თაფლისაგან სასმელს ამზადებდნენ. დიდი რაოდენობის თაფლსა და ცვილს ჰყიდნენ სხვა ქვეყნებშიც.

მეთევზეობას ეწეოდნენ შავი და აზოვის ზღვების სანაპიროზე მდინარეთა შესართავებში, სადაც მრავლად იყო თევზი. XIII—XV სს. ადიღეელთა ექსპორტში ხიზილალა, დამარილებული და გამხმარი თევზი დიდ ადგილს იკავებდა.

მონადირეობა, ისევე როგორც მეთევზეობა, მეურნეობის დამხმარე დარგი იყო.

ადიღეელებში კარგად იყო განვითარებული ხელოსნობის დარგები. მაღალ დონეზე მდგარა მჭედლობა. არქეოლოგიურ კომპლექსებში მრავლად გვხვდება რკინის ნაწარმი — სამიწათმოქმედო და საბრძოლო იარაღი, ჭურჭელი. მრავლად გვხვდება ცხენის აკაზმულობის ნაწილები, ძვირფასი და მატყლის ქსოვილების, ნაბდების ნაშთები. ქალთა სამარხებში გვხვდება ხის ნივთები, ხის დასამუშავებელი იარაღები — ხერხი, ცული. საჭრეთელი, ხელეჩო, ძვლის დასამუშავებელი ინსტრუმენტები. ადიღეელთა შორის იყვნენ ოქრომჭედლები, მადნეულის ოსტატები, რომლებიც იყენებდნენ ადგილობრივ რკინის, სპილენძის, ტყვიისა და ვერცხლის მადნებს. გავრცელებული იყო თიხის ჭურჭლის დამზადებაც.

წარჩინებული წრის ქალები ქსოვა-ქარგვით იყვნენ განთქმულნი, ღარიბალი წოდების ქალები კი ართავდნენ მატყლს, ქსოვდნენ შალს, თელავდნენ ნაბადს, კერავდნენ ტანსაცმელს.

ადიღთა შინაგანი გაცვლა-გამოცვლისა და ვაჭრობის შესახებ კონკრეტული ცნობები არა გვაქვს. იგი ნატურალური გაცვლა-გამოცვლის ხასიათს ატარებდა.

გაცილებით მნიშვნელოვანი იყო საგარეო ვაჭრობა. ამას წერი-

ლობითი წყაროების გარდა, არქეოლოგიური მასალებიც კარგად ადა-ტურებენ.

ადიღეელებს გაცელა-გამოცვლა ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან: საქართველოსთან (გენსაცუთრებით აფხაზეთთან), ოსებთან, დაღეს-ტანთან, ყირიმთან, ყივჩაღებთან, ვოლგისპირეთთან, ავრეთვე უფრო შორეულ ქვეყნებთანაც.

საქართველოდან ადიღეში ჯვრები, საკულტო საგნები, მინის ჭურჭელი, სამაჯურები, ტილო და სხვ. საგნები ხვდებოდა. ოსები ადიღედან ღებულობდნენ ღომს, სვიას, ცხვრის ტყავებს. XIV—XV სს. ოსურ აკლდამებში მრავლადაა ჩერქეზული წარმოშობის ლითო-ნის სამკაულებიც. ჩერქეზთა ყორღანებში ოსური წარმოშობის ნივ-თები მრავლად გვხვდება.

დაღესტნიდან მოდიოდა ვერცხლისა და სპილენძის საგნები, სამ-კაულები.

მაგრამ ადიღეელთა საგარეო ეკონომიური ურთიერთობაში ყველა-ზე მნიშვნელოვანი იყო გენუელთა კოლონიებთან ვაჭრობა. ეს კო-ლონიები ყირიმისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმო-ცენდა და განმტკიცდა XIII ს-ში. გენუელთა კოლონიები იყო კაფა (ფეოდოსია) — ყირიმში, სებასტოპოლისი (სოხუმი), ბიჭვინტა, ანაკო-ფია, კალოლიმენი (ნოვოროსიისკის ადგილზე), მავრო ლოსო (გელენ-ჯიკი), ალბა ზიხია და კავო ბუქსო გელენჯიკსა და ანაპას შორის, მა-პა (ანაპა), სანტა-კრუჩე — ტამანის კონცხზე, პეშე — ყუბანის შესართავ-ში, კოპა—ყუბანის ქვემო დინებაზე, მატრიგა-მატრეხა-მატრახა (ახლ. სტ. ტამანსკაიას ადგილზე). გენუელები სავაჭრო ფაქტორიებს ქვეყ-ნის შიგნითა რაიონებშიც აშენებდნენ (ასეთ ნაგებობების ნაშთებს ხედავდნენ ქლუხორის უღელტეხილით გამავალი ძველი სავაჭრო გზის ტრასაზე მდ. აქსაუტზე, დიდ ზელენჩუკზე, ბეჟგონზე და სხვ.).

გენუელებს მოჰქონდათ მარილი, ბრინჯი, ქსოვილები (ბამბის, სელის, მაუდის, აბრეშუმის, ხავერდის, ტილოს), ხალიჩები, სპილოს ძვალი, ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მდიდრულად შემკული ჭურჭელი, აგრეთვე მინისა და თიხის ჭურჭელი, ხმლის პირები ღერბე-ბითა და წარწერებით, სამკაულები. სამაგიეროდ გაჰქონდათ პი-რუტყვი და მეცხოველეობის პროდუქტები, ვერცხლის შემცვე-ლი მადანი, მატყლი, ხე-ტყე. თაფლი, ცვილი, ხილი, ხორბალი, თევზი და ხიზილალა.

გენუელებს დიდი მოთხოვნილება ჰქონდათ მონებზე. მონათა მნიშვნელოვანი ბაზრები XIII—XV სს. იყო კაფა, ტანა (აზოვი), სებ-ასტოპოლისი და კოპა. გენუელებს მარტო დამიეტისა და ალექსანდ-რიის ბაზრებზე ყოველწლიურად 20 ათასი მონა გაჰყავდათ, რომელ-

და უმრავლესობა ჩრდილო კავკასიელ ხალხთაგან იყვნენ. ადიღე-ჩერქეზები მრავლად იყვნენ სირიელ და ეგვიპტელ მამლუქთა რაზმებში, ხოლო ქალები აღმოსავლეთის ჰარამხანებს ავსებდნენ.

გენუელებს მონებს აწვდიდნენ ადიღეელი წარჩინებულები. ისინი იტაცებდნენ თავის ქვეშევრდომთა ბავშვებს, ახალგაზრდა ქალ-ვაჟებს და გენუელებზე ჰყიდნენ.

გენუელებთან ვაჭრობაც ძირითადად გაცვლას ემყარებოდა, თუმცა ფულადი ურთიერთობის ელემენტებიც იყო. მიმოქცევაში იყო გენუური ასპრები, ოქროს ურდოს მონეტები. იმპორტული საქონლის ძთავარი მომხმარებელი იყო ფეოდალურ-გვაროვნული არისტოკრატია.

ქვეყნის შიდა რაიონებში სამონეტო მიმოქცევა სულ არ იყო და მის მაგივრობას ტილოს ნაჭრები ასრულებდნენ.

სოციალური ურთიერთობა. განხილულ პერიოდში გრძელდებოდა თემურ-გვაროვნული წყობილების ადრე დაწყებული რღვევა და მის საფუძველზე ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება. ექსპლოატატორული ფეოდალური კლასი XIV—XV სს. უკვე ჩამოყალიბებულად უნდა ჩაითვალოს. წერილობითი წყაროები იხსენიებენ „წარჩინებულებს" (ინტერიანო), „მეფეებს" (ალ-ომარი), „ხელმწიფეებს" (ი. ბარბარო) „თავადებს" (გენუური წყაროები). იხსენიება ნაგ. კრემუხის „ხელმწიფე" ბიბერდი, ზიხი თავადი პეტროზოკი, კოპის თავადი ბელზეკი.

ამათ მისდევდნენ უბრალო წარჩინებულები — „აზნაურები" (ი. ბარბარო), „ბარონები" (გენუური წყაროებით). თავადებსა და აზნაურებზე დამოკიდებული იყვნენ წვრილი აზნაურები — რაზმელები, რომელთაც ინტერიანო ვასალებს უწოდებს. ვასალები სიუზერენისაგან სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ საქონელს, ტანსაცმელს, იარაღს.

პრივილეგირებულ წოდებას ეკუთვნოდნენ სასულიერო პირებიც (მიტროპოლიტ-ეპისკოპოსები და უფრო დაბალი რანგის მღვდლები).

წარჩინებულ პირებს ჰყავდათ „სერვები" (ინტერიანო). მათში დაყმევებული გლეხობა უნდა იგულისხმებოდეს. ჰყავდათ მონებიც, ოგრამ მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო. მათ საოჯახო მეურნეობაში იყენებდნენ.

მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემეები. ისინი ორგანიზებულნი იყვნენ სასოფლო თემებში. მათ მფლობელობაში იყო მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი.

თემი ადიღეელებში XIII—XV სს. კვლავ ინარჩუნებდა დიდ მნიშვნელობას. მისი სიმყარე აფერხებდა ფეოდალიზაციის პროცესს. ფე-

ოდალური ურთიერთობები გახვეული იყო პატრიარქალურ სამოსელში. ფეოდალური საკუთრება მიწაზე გადახლართული იყო სათემო მიწათსარგებლობის სისტემასთან, რის გამოც ფეოდალური ექსპლოატაცია გვაროვნული ადათებისა და ტრადიციების სამოსელში ინიღბებოდა.

ადიღელ წარჩინებულებს თავის ბატონობის რეალიზაცია ფიზიკური ძალის გამოყენებით უხდებოდათ. ამას მოწმობს ინტერიანოს ცნობა, რომ წარჩინებულები მოულოდნელად ესხმიან თავს ღარიბ გლეხებს, სტაცებენ პირუტყვსა და ბავშვებს, რომელთაც შემდეგ სცვლიან და ჰყიდიან.

ადიღეში გაბატონებული და დამორჩილებული კლასის ურთიერთობის, კლასობრივი ბრძოლის შესახებ ცნობები ძალიან ცოტა გვაქვს. ადიღური საზოგადოების განვითარება კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა, იმის მიუხედავად, რომ მის სიმძაფრეს ერთგვარად ანელებდა პატრიარქალური ტრადიციების სიძლიერე.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. საკუთარი დამწერლობისა და. ამდენად, ისტორიოგრაფიის უქონლობის გამო ადიღეელთა პოლიტიკური სტრუქტურის შესახებ ცოტა ვიცით. ადიღური ტომები დაქსაქსულად ცხოვრობდნენ. არ იყო ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც შესძლებდა ამ ტომთა გაერთიანებას. ამ დაქუცმაცებულობას ა. ს. არაბი ავტორი მათი სისუსტის მიზეზად თვლიდა. ეს დაქუცმაცებულობა ადიღელებმა ვერც შემდეგში გადალახეს. გ. ინტერიანო XV საუკუნისათვის აღნიშნავს, რომ წარჩინებულთა შორის არიან ისეთები, რომლებსაც ჰყავთ ვასალები. ყველა ცხოვრობს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არ სცნობენ არავის ხელისუფლებას, ღმერთის გარდა. არ ჰყავთ მოსამართლეები და არ აქვთ დაწერილი კანონები. ძალა, მოხერხება და საშუამავლო სასამართლო წყვეტენ დავას.

რა თქმა უნდა, ადიღურ საზოგადოებაში ცალკეული მსხვილი ფეოდალები ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანებას, მაგრამ ასეთი ცდები სხვა თავადებისა და მფლობელების ძლიერ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

რა პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდა ადიღური საზოგადოება გარესამყაროსთან?

ადიღეელებს XI ს-ში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ ტმუტარაკანის რუსულ სამთავროსთან. იგი ყუბანის შესართავთან, ტამანის ნახევარკუნძულზე მდებარეობდა და რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სანავსადგურო პუნქტიც იყო, რომელიც დიდ როლს თამაშობდა ჩრდილო დასავლეთ კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ეს სამთავრო რუსებს სა-

შუალებას აძლევდა არამარტო ზღვასთან ყოფილიყვნენ დაკავშირებულნი, არმედ ჩრდილო კავკასიის მეზობელი ხალხებიც დაეხარკათ.

რუსული მატიანეს ცნობით, 1022 წ. მთავარმა მსტისლავმა ილაშქრა კასოგებზე (ე. ი. ადიღეელებზე). ბრძოლის ბედი გადაწყვეტილა მსტისლავისა და კასოგთა თავადის რედედის ორთაბრძოლით, რომელშიც მსტისლავმა გაიმარჯვა. გამარჯვებულმა კასოგებს ხარკი დააკისრა. ამ ხარკს XI ს-ში ადიღეელები სისტემატურად უხდიდნენ რუს მთავრებს.

ადიღეელები ოსებთან კავშირში ებრძოდნენ რუს მთავართა ხელისუფლებას.

XI ს. ბოლოდან რუსები კარგაღენ ტმუტარაკანს. ადგილზე მყოფი რუსული მოსახლეობა ჰკარგავს თავის ეთნიკურ სახეს და ასიმილირდება ადგილობრივ გარემოში. XII საუკუნეში ტამატარხა (ტმუტარაკანი) უკვე ბიზანტიის ხელში მოჩანს.

XIII ს. პირველ ნახევარში ჩრდილო კავკასიის ხალხებს თავს დაატყდა მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევები. 1235 წელს რუსეთსა და კავკასიაში მოეწყო ბათო ყაენის ლაშქრობა. ბათო მოეშველა ჩინგიზის მიერ ადრევე გამოგზავნილ სუბეედე-ბაღათურს, რომელსაც დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ასუტების (ოსების), სერკესუტების (ჩერქეზები-ადიღეელები) და სხვა ხალხებისაგან.

1237—38 წწ. მონღოლებმა ილაშქრეს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ადიღელთა წინააღმდეგ. რკინისებური დისციპლინის მქონე, კარგად შეიარაღებულ და მრავალრიცხოვან მონღოლ-თათართა ურდოებს წინ ვერაფერი უდგებოდა.

სპარსელი ავტორები ჯუზჯანი და რაშიდ ად-დინი (XIII ს.) აღნიშნავენ, რომ მონღოლებმა დაიმორჩილეს ყიკჩაღები, რუსები, ჩერქეზები და ასები

მონღოლთა შემოსევებს თან სდევდა მოსახლეობის მასობრივი ტყლეტა, ძარცვა, ნგრევა. ისინი დაპყრობილ ხალხებს აღწერდნენ და სასტიკად ბეგრავდნენ. მონღოლი გადასახადის ამკრეფი მოხელეები— ბასკაკები სისასტიკისა და შეუბრალებლობის სინონიმებად იქცნენ.

ადიღეელებს, ისევე როგორც სხვა დაპყრობილ ხალხებს, მონღოლები აიძულებდნენ მონაწილეობა მიეღოთ მათ სამხედრო ღონისძიებებში. ალ-ომარი აღნიშნავს, რომ ოქროს ურდოს ხანს ჰყავდა რუსთა, ჩერქეზთა და ოსთაგან შემდგარი რაზმი. რუსული მატიანის ცნობით, ისინი 1380 წ. იბრძოდნენ მამაის ლაშქარში. შერეფედ-დინ ალი იეზდის (XV ს. ავტორი) ცნობით, თემურლენგის წინააღმდეგ გაბოყვანილ თოხთამიშის ლაშქარში სხვა ხალხებთან ერთად ჩერქეზთა ლაშქარიც იყო.

მონღოლ-თათართა მეორე დიდი შემოსევა ადიღებზე დაკავშირებულია თემურლენგის სახელთან. 1395 წ. მან მდ. თერგზე სასტიკად დაამარცხა ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში, აიღო და გადაწვა სარაიბერკე, კაფა, აზოვი და ასტრახანი და დაიძრა ყუბანისაკენ. შერეფ ადდინ იეზდის ცნობით, ჩერქეზებმა გადაწვეს აზოვისა და ყუბანს შორის არსებული ველები, რის შედეგადაც თემურის ლაშქრის დიდძალი პირუტყვი უქმელობით დაიხოცა.

თემური იალბუზამდე მივიდა და ყველაფერი მიწასთან გაასწორა, მოსახლეობა გაჟლიტა, ნაგებობანი დაანგრია, დაიმორჩილა.

მონღოლ-თათართა შემოსევები ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მძიმედ ალანებს დაატყდა. ისინი გამოდევნილ იქნენ ველის რაიონებიდან. ეს რაიონები მონღოლებმა თავისი ჯოგების საძოვრებად აქციეს.

მაგრამ მონღოლები აქ დიდხანს არ დარჩენილან. ამასთან, ადიღეური ტომები მონღოლებისაგან ისე არ დაზარალებულან, როგორც ალანები. ეს უმთავრესად აიხსნება იმით, რომ ოქროს ურდოს მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო დარიალისა და დარუბანდის გადასასვლელებისაკენ ილხანებთან ურთიერთობის გამწვავების გამო.

ადიღი ფეოდალების ნაწილმა ისარგებლა ალანთა დასუსტებით და მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობისათვის საუკეთესო მიწები დაიკავა მდ. ლაბასა და მდ. თერგს შორის. ეს მოხდა XII—XIV სს.

ადიღი ტომების აღმოსავლეთით წამოწევა XI ს. დაწყებულად მიიჩნიათ. მონღოლთა მიერ ოსების განადგურებამ გამოიწვია ამ პროცესის გაღრმავება და დაჩქარება. რასაც შედეგად მოჰყვა ადიღთა დამკვიდრება ცენტრალური კავკასიის მოისძირობაზე. ადიღთა ამ ნაწილს, რომელიც დაშორდა თავის ძირითად სამოსახლოს, ყაბარდოელები ეწოდათ, ქვეყანას კი ყაბარდო.

XIV საუკუნისათვის ყაბარდოელებს ეკავათ ტერიტორია პიატიგორიედან თერგის მარცხენა სანაპირომდე. XV საუკუნეში ისინი თერგის მარჯვენა ნაპირზეც გადადიან. ამ ნაწილს შემდეგში მცირე ყაბარდო ეწოდა. ყაბარდოელები ცალკე ეთნიკურ ერთეულად ჩამოყალიბდნენ.

XIII—XIV სს. ადგილი ჰქონდა აფხაზთა მონათესავე აბაზინების ნაწილის—შემდეგდროინდელ ტაპანტელების წინაპრების—განსახლებას ჩრდილო კავკასიაში. ისინი მანამდე მდ. ბზიფისა და ტუაფსეს შორის, აგრეთვე აფხაზეთის ზოგიერთ მთიან რაიონში ცხოვრობდნენ მათი ნაწილი ადიღეელთა შორის ადრიდანვე განსახლდა.

აბაზინელმა ფეოდალებმა საძოვრების ძიებაში იწყეს სანჭაროს მარუხის, ქლუხორისა და სხვა გადასასვლელი გზებით კავკასიონის

ქედის ჩრდილო კალთებზე და ადიღეელთა შორის დასახლება. ამ პროცესის შედეგად ხდებოდა ამ ხალხის კულტურულ-ეთნიკური დაახლოება ადიღეელებთან.

ადიღეელთა ისტორიაში გარკვეული როლი შეასრულა შავი ზღვის სანაპიროზე გენუელთა კოლონიზაციამ, რომელიც დაიწყო XIII ს. მეორე ნახევრიდან და გაგრძელდა XV ს-მდე. კოლონიებში შერეული მოსახლეობა ცხოვრობდა, მაგრამ მმართველობის სადავეები გენუელთა ხელში იყო. ისინი ეაჩაღურ, უთანასწორო ვაჭრობას ეწეოდნენ ადგილობრივ ხალხთან. ადიღეელი სოციალური ზედაფენები მათთან საერთო ენას ნახულობდნენ, უბრალო ხალხი კი მტრულად იყო გამსჭვალული გენუელთა მიმართ და ებრძოდა მათ ყველა საშუალებით. გენუელებს უხდებოდათ კოლონიებისა და ფაქტორიების გამაგრება, შეიარაღებული გარნიზონების შენახვა. ადიღეელი ფეოდალები მათ ბუნებრივ ჰოკავშირედ გამოდიოდნენ.

1453 წ. თურქებმა კონსტანტინეპოლი აიღეს. 1460 წ. დაეცა ტრაპიზონის იმპერია. თურქების მიერ 1475 წ. კაფის (გენუის მთავარი დასაყრდენი პუნქტი შავ ზღვაზე) აღების შემდეგ შავ ზღვაზე თურქების ბატონობა დამყარდა. გენუელთა კოლონიები დარბეული და გაძარცული იქნა. ისინი თანდათან დაქვეითდნენ და გაჰქრნენ.

ადიღეელების საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში ამიერიდან თურქეთი და მისი ვასალი ყირიმი იკავებენ ძირითად ადგილს. ადიღე ხალხი იწყებს ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლას მათი ბატონობის წინააღმდეგ.

ადიღეელებს განსაზღვრული ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. ძველი ქართული წყაროები მათ ჯიქების სახელწოდებით იცნობდნენ. ბუნებრივია, მათთან ურთიერთობა აფხაზეთის მეშვეობით ხორციელდებოდა, რომლის ტერიტორიაზეც გადადიოდა საუღელტეხილო გზები, რომლებიც ქლუხორის, მარუხისა და სხვა უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი უღელტეხილების გავლით მდ. ყუბანის აუზსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლში მცხოვრებ ხალხებს დასავლეთ საქართველოს რაიონებს უკავშირებდა.

XI ს. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი ადიღეელებს იცნობს ჯიქების სახელით, რომლებიც თურქთაგან "დევნილნი „დაემკჯიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა".

როგორ წარიმართა ადიღეელებთან ურთიერთობა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან, ამაზე წყაროები რაფერს გვეუბნებიან. მიზეზი, ჩანს, ისაა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში უპირატესად ცენტრალური კავ-

კასიის მოსახლეობით შემოიფარგლებოდა. სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხებთანაც მათი მეშვეობით მყარდებოდა ურთიერთობა.

ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების ხანაში ადიღე ტომების ნაწილი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ჯიქები, კერძოდ, მოიხსენებიან ჯალალედინის წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოს ლაშქრის შემადგენლობაში.

XIII ს. შუა ხანებიდან მონღოლთა ბატონობასთან დაკავშირებით საქართველოს ურთიერთობა ადიღეველებთან საგრძნობლად დასუსტდა და ამიერიდან მხოლოდ ეპიზოდურ შეხვედრებსღა თუ ჰქონდა ადგილი. ადიღთა ნაწილი ჯიქების სახელით XV ს. მეორე ნახევარში აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის გამგებლობაში იმყოფებოდა. შემდგომში ეთნიკური ტერმინი ჯიქი დავიწროვდა და გავრცელდა საძებზე, აფხაზი სალხის ერთ-ერთ შტოზე.

ადიღე-საქართველოს ურთიერთობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ბევრი რამ საერთო მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში. ურთიერთობით უნდა აიხსნას. ვახუშტი ნაშრომში „აღწერა საამეფოსა საქართველოსა“ წერდა, რომ ჯიქეთი არის მსგავსი „ყოველითურთ აფხაზეთისა: მოსაელითა და ცხოველით, წესით და ქცევითაცა... გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი, და იარაღნი, და საჭურველნი ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“.

ქართველებსა და ადიღეელებს შორის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც ბევრი საერთო შეიმჩნევა. ფეიქრობაში, მატყლის, შალის, სელის წარმოებაში ქართველებსა და ადიღეელებს შორის ბევრი მსგავსებაა. ქართული წარმოშობის სიტყვები ადიღეელთა ენაში მათ შორის ინტენსიური ურთიერთობის არსებობას მოწმობს.

კ ულ ტ ურ ა. ადიღეელთა და XIII—XV სს. მათგან გამოყოფილ ყაბარდოელთა მატერიალური კულტურის შესახებ წარმოდგენას ვავაძლევს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მდიდარი მასალა და წერილობითი წყაროების ცნობები.

ადიღეელების საცხოვრებელი იყო მსუბუქი, წნული და თიხით შელესილი ქოხები, გადახურული ჩალით, ლელით ან ლერწმით. ინტერიანო (XV ს.) წერდა, რომ ჩერქეზების ქვეყანაში არ არის კედლებით გამაგრებული არც ერთი ქალაქი. ისინი ალიზისა და ხისაგანაა აშენებული. წარჩინებულს დიდ სირცხვილად მიაჩნია ციხე-დარბაზი ააგოს მაგარი კედლებით. ამით ის დაამტკიცებს, რომ მშიშარაა და არ შეუძლია თავის დაცვა. ამიტომ ჩალანგარა ქოხებში ცხოვრობენ, იშვიათად ხის სახლებში. თუ სადმე გვხვდება ძველი ქალაქის ნანგრევები

და კიდლები, ამით მხოლოდ გლეხები სარგებლობენ, რომელთაც მაი დაცვა აქვთ დავალებული.

რა თქმა უნდა, ნაგებობის დასახელებული ტიპი მშიშრობის დაწამების შიშით არ აიხსნება, არამედ სამეურნეო-ეკონომიური მოტივებით. აულების ადგილიდან ადგილზე გადატანის საჭიროებისას ქვის შენობის აგებას აზრი არ ჰქონდა.

ადიღეელთა ნაწილი გენუელთა კოლონიებში ცხოვრობდა. მათთვის დამახასიათებელი იყო ბინადარი ცხოვრება.

წარჩინებულ ადიღთა საოჯახო საგნებს შეადგენდა ოქროს ვერცხლის, სპილენძის, მინის, თიხის ჭურჭელი. რიგითი ადიღეელები ძირითადად, სპილენძის. თიხისა და ხის ჭურჭლით კმაყოფილდებოდნენ. სამკაულებიც სპილენძისა და დაბალი სინჯის ვერცხლისა ჰქონდათ.

XI—XV სს. ადიღური ტანსაცმელი XIX ს. კარგად ცნობილი ჩერქეზული ნაციონალური ტანსაცმლის პროტოტიპად არის მიჩნეული.

რაც შეეხება ადიღეელთა სულიერ კულტურას, მის შესახებაც წერილობითი წყაროების ცნობები არა გვაქვს და ფრაგმენტული უცხოური წყაროების ტყვეობაში ვიმყოფებით.

ადიღეელები ადრიდანვე განიცდიდნენ ქრისტიანული ბიზანტიური კულტურის გავლენას. XI—XIII სს. ბიზანტიური გავლენა ადიღეელებზე კვლავ გრძელდება, მაგრამ მას გარკვეული აზრით საქართველოდან მომდინარე გავლენაც დაერთო. ეს გავლენა ქართული ფეოდალური მონარქიის ძლიერების ვანმტკიცების კვალობაზე იზრდებოდა. ამ პერიოდში ქაშაგები (ადიღეელები) საქართველოს ყმადნაფიც ხალხთა შორის იხსენიებიან. ადიღეელებზე საქართველოს კულტურული გავლენა აფხაზეთის გზით ხორციელდებოდა. მონღოლთა შემოსევების შემდეგ ეს გავლენა დასუსტდა.

XIV—XV სს. ადიღეელები ფორმალურად ქრისტიანებად რჩებოდნენ. ზღვის სანაპირო ზოლში განაგრძობდნენ არსებობას ჯიქეთის, ფანაგორიის, ნიკოფსიისა და მატრახის (ტამანის) ეპარქიები, სოტიროპოლის (ბიჭვინთის) კათედრის გავლენა XIII—XIV სს. ვრცელდებოდა ჩრდილო კავკასიაშიც.

ღვთის მსახურებაში ბერძნული ენა იხმარებოდა, რომლის მნიშვნელობაც არ ესმოდათ. გ. ინტერიანო აღნიშნავს, რომ ადიღეელები ინათლებოდნენ მოზრდილები და წირვას ეკლესიის ეზოში, ცხენზე მჯდომნი ისმენდნენ. 60 წლის ასაკამდე ეკლესიაში არ შედიოდნენო.

ქრისტიანობა ადიღეში, ისევე, როგორც საერთოდ ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებში შეეგუა მათს ქრისტიანობამდელ რწმენა-წარმოდგენებს და გარეგნულად მათ ქრისტიანული ფორმა მისცა.

თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ქრისტიანობა დასუსტდა. ამას მოჰყვა ისლამის განმტკიცება. მას ავრცელებდა ოქროს ურდო, შემდეგ კი თემურლენგი (ისლამის გავრცელების უფრო ადრინდელ ცდებსაც ჰქონია ადგილი, რასაც მოწმობს ქვ. არხიზში ქვის ფილებზე XI ს. არაბული წარწერები). XIII ს. ჩნდება მუსლიმანური მავზოლეუმი სტ. უსტ-ჯეგუტინსკაისთან, XIII ს. თარიღდება კუფური წარწერები მაჯარიდან და სხვ. ჩნდება შეჩეთებიც პიატიგორიეს რაიონში, ზემო და ქვემო ჯულათში.

ადიღეელებს თავისი დამწერლობა არ ჰქონიათ. ინტერიანო წერს: რომ ისინი არც იყენებდნენ დამწერლობას თუ დასჭირდათ წერილის გაგზავნა, ამ საქმეს ებრაელებს ავალებდნენ, რომლებიც ებრაულ ენაზე წერენო. არქიტექტურის ძეგლებზე ბერძნული წარწერები და ყორღანულ სამარხებში საწერი მოწყობილობის აღმოჩენა მოწმობს, რომ წერაკითხვის მცოდნენი მათ შორის მაინც იყვნენ. მაგრამ რა ენაზე წერდნენ. ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ადიღეელებმა შექმნეს მდიდარი ხალხური ფოლკლორი: სიმღერებსა და თქმულებებში ძირითადად მათი XIV—XV სს. ისტორიის რეალური ამბები აისახა. შორა ნოგმოვი ადიღეელ სიმღერის შემსრულებლებს კეკუოკებს უწოდებს. მათი შემოქმედება ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

§ 2. ალან-ოსები XI—XV სს.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ჩრდილო კავკასიის ფართო ტერიტორიაზე განსახლებული ალანები ანუ ოსები XI საუკუნიდან თავის ისტორიული განვითარების ახალ ფაზაში — ფეოდალურ-კლასობრივი საზოგადოების შემდგომი განმტკიცების ფაზაში შევიდნენ. ამ პროცესის ეკონომიური საფუძველი იყო მათი მეურნეობის შემდგომი განმტკიცება — საწარმოო ძალების ზრდა და მათი შესაბამისი წარმოებითი ურთიერთობის თანდათანობითი შექმნა.

ალან-ოსების (რომლებიც მონღოლთა შემოსევამდე ძირითადად ბარის მცხოვრებნი იყვნენ) სამეურნეო საქმიანობის მნიშვნელოვანი დარგი მიწათმოქმედება იყო. X ს. არაბი მწერალი მასუდი ალანთა სამეფოს მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანას უწოდებდა, რომლის ნიწა კარგად მუშავდებოდა

სტანიცა ზმეისკაიასთან (ჩრდ.ოსეთში) ვათხრილ იქნა X—XII სს. სამოსახლო და სამაროვანი. ამ გათხრებმა უაღრესად საინტერესო მასალა მოგვცეს ოსთა სამეურნეო ცხოვრების შესახებ. ამ მასალის მიხედვით, მეურნეობის წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება.

ან ნაპოვნია ხორბლის მარცვლები, მარცვლის შესანახად განკუთვნილი ორმოები, ხელსაფქვავები, ნამგლები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი. მიწათმოქმედება მოხვნითი უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდში ქართული გუთანი ჯავრცელებულია ოსებში.

დომინიკანელი ბერი იულიანეს (XIII ს. 40-იანი წლები) განცხადება, რომ მისი ორი თანამგზავრი ვერ გაიყიდა ოსებში, რადგან ხვნა-თესვა არ იცოდნენ, კარგად მოწმობს მონღოლებამდელ პერიოდის ოსეთში მიწათმოქმედების დიდ მნიშვნელობას. იგივე იულიანე როდესაც ეხება ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და ანარქიის არსებობას ოსეთში, აღნიშნავს, რომ სახნავად მთელი სოფელი გამოდიოდა შეიარაღებული.

სამოსახლოთა ნაშთების სიმრავლე ოსეთის მაშინდელ რაიონებში — ყუბანის შუა დინებაზე, ზელენჩუკზე, ყაბარდოს ტერიტორიაზე, მდ. თერგის ზემოწელზე, სუნჯაზე წარმოუდგენელია განვითარებული მიწათმოქმედების გარეშე. იქაც ასევე აღმოჩნდა ქერის, ფეტვისა და ხორბლის მარცვლები, მარცვლის შესანახი ორმოები, ხელსაფქვავები და სხვა ინვენტარი.

საერთოდ ალანთა, კავკასიაში დამკვიდრება და მათი ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლა სწორედ მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან არის დაკავშირებული, რომლის ხვედრითი წონა მათ მეურნეობაში უძველესი სამიწათმოქმედო კულტურის ქვეყანასთან — საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის გავლენით თანდათან უნდა გაზრდილიყო.

განსახილველი პერიოდის ოსეთში — მის მთიან და ბარის რაიონებში მესაქონლეობა კვლავ ინარჩუნებს უპირატესობას. არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროების ცნობები ადასტურებს მესაქონლეობის დიდ როლს. ოსეთის ყორღანული სამაროვნები მრავლად შეიცავენ ცხვრის საკრეჭ დუქარდებს.

სამაროვნებში აღმოჩენილი ძვლოვანი მასალა მესაქონლეობის რიოულ შედგენილობას ავლენს. დასტურდება მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის, ცხენისა და ღორების არსებობა. სამარხებში დუქარდების სიმრავლე და ცხვრის გამოსახულებანი მეცხვარეობის განსაკუთრებულ მდგომარეობაზე უნდა მიუთითებდეს.

დიდი ადგილი ეკავა მეცხენეობას. ოსებს დიდი რაოდენობის მხედრობა გამოჰყავდათ, რომელიც საკუთარი ცხენებით კმაყოფილდებოდა. ფართო ველებზე მოსახლეობა მეცხენეობის განვითარებისათვის დიდ შესაძლებლობებს ჰქმნიდა.

ნადირობა და მეფუტკრეობა ოსთა მეურნეობის დამხმარე დარგებს წარმოადგენდნენ. ნადირობა, ფოლკლორული მასალების მიხე-

ღვით, თვალსაჩინო როლს ასრულებდა ოსი ხალხის ყოფაში. დიდი გამოყენება ჰქონდა თაფლსაც. მისგან თაფლიან კვერებს, სასმელ რონგს აკეთებდნენ. ეგვიპტის სულტნის მდივანი ალ-ომარი (XIV ს.) აღნიშნავდა, რომ რუსებს, ჩერქეზებსა და იასებს (ოსებს) აქვთ კარგი გემოს თეთრი ფერის თაფლი. გასაკვირი არაა, რომ ოსურ რელიგიურ პანთეონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ნადირობის მფარველ ღმერთს აფსატის და მეფუტკრეობის მფარველ ღმერთს ანიგოლას.

მაღალ განვითარებას მიაღწია ლითონის დამუშავებამ. ეს ტრადიცია ოსების ტერიტორიაზე ბრინჯაოს ხანიდან მოდის. სამარხებში აღმოჩენილია შესანიშნავი ნახელავი ცულები, ხანჯლები, ხმლები, სხვადასხვა სამკაულები და ნივთები.

მჭედლობა, ოსური ნართული ეპოსის თანახმად, უძველესი დარგია, რომელსაც თავის მფარველი ღმერთები ჭურდალაგონი და საფა ჰყავს.

ზმეისკაიას გათხრებმა შესანიშნავი მასალა მოგვცეს ოსთა მატერიალური კულტურისა და შეიარაღების ვასათვალისწინებლად. იქ ნაპოვნი იქნა ოდნავ მოხრილი ხმლები. ხმლებს ატარებდნენ ხის ქარქაშით, რომლებიც მოჭედილ-მოსევადებული იყო ვერცხლით და ვერცხლის ან რკინის ბუნიკით თავდებოდა. აღმოჩენილია შუბის და ისრის პირები, ხანჯლები, ჩუგლუგები, კაპარჭები, უნაგირები, რომლებიც კარგად განვითარებულ უნაგირთა ტიპს განეკუთვნებიან.

ეს ყველაფერი ძირითადად ადგილობრივ უნდა წარმოებულიყო. ოსებს დიდი ჯარი გამოჰყავდათ, რომელთა შეიარაღება ადგილობრივი წარმოების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. XIII ს. მოგზაური ბერი რუბრუკი აღნიშნავდა, რომ ალანები აბჯრებს კარგად აკეთებენ და აწრთობენ. XV ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი ლაონიკ ხალკონდილასიც ამტკიცებს, რომ ალანები ამზადებენ საუკეთესო აბჯრებს, აგრეთვე სპილენძისაგან ამზადებენ იარაღს, რომელსაც ალანური ეწოდება.

ოსურ ენაში არსებობს ოქრომჭედლის აღმნიშვნელი ტერმინი ზარინქუერდ. ოქრომჭედლობა და სამკაულების დამზადება ალან-ოსთა ხელოსნობის უძველესი დარგია.

მჭედლობა და ლითონის დამამუშავებელი ხელოსნობის არსებობა შეუძლებელია სათანადო ნედლეულის ბაზის გარეშე. ოსეთში იყო რკინის, ტყვიის, ვერცხლისა და სხვა მადნები, რომელთაც ისინი კიდეც იყენებდნენ. ვახუშტი XVIII საუკუნისათვის აღნიშნავს, რომ „არა უწყიან ხელოვნება გამოღებისა, რათამცა იხმარონ მრავლად", მაგრამ ეს ეხება პერიოდს, როცა ოსეთში და საერთოდ მთელ ჩრდილო კავკასიაში ადგილი ჰქონდა სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგის დაქვეითებას. ამიტომ ალან-ოსთა მონღოლებამდელ პერიოდს ასეთი დახასიათება არ შეესაბამება.

განსახილველ ხანის ალანურ სამარხებში თუ სამოსახლოებში დიდი რაოდენობით ჩანს თიხის ჭურჭელი. კერამიკული წარმოება მაღალ დონეზე მდგარა. ზმეისკაიას გათხრებმა ამ მხრივაც მრავალგვაროვანი და მაღალხარისხოვანი კერამიკის ნიმუშები მოგვცა. ეს მოწმობს დახელოვნებულ ოსტატთა არსებობას, რომელთაც თავის საკუთარი დაღი ჰქონდათ ჭურჭლის ფსკერზე.

ოსებს კარგად სცოდნიათ მატყლისა და ტყავის დამუშავება, ნაბდებისა და შალის დამზადება. ამ დროს მიაჩნიათ ჩამოყალიბებულად მთის კოსტუმი (ე. წ. ჩერკესკა), რომელიც სავსებით ადგილობრივ ნედლეულზეა აღმოცენებული.

განსახილველი ხანის ოსებისათვის უნდა ვივარაუდოთ შინაგანი გაცვლა-გამოცვლის არსებობა. წერილობითი წყაროები ამ საკითხზე ცნობებს არ გვაძლევენ, მაგრამ ოსური საზოგადოების განვითარების ცონე მის გარეშე წარმოუდგენელია. განსხვავებული სამეურნეო პირობების მქონე რაიონების, მთისა და ბარის არსებობა ასეთი გაცვლა-გამოცვლის ბუნებრივი საფუძველი იყო.

შინაგანი გაცვლა ნატურალური ხასიათის უნდა ყოფილიყო. ოსური საზოვადოება საკუთარი მონეტის შექმნის საჭიროებამდე ვერ მივიდა, რაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს ამ გაცვლა-გამოცვლის მასშტაბზე.

მეტნაკლებად განვითარებული საშინაო გაცვლა-გამოცვლა გულისხმობს ქალაქების არსებობას. იყო თუ არა ოსეთის ქალაქები ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრები? წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ ოსებს ჰქონდათ ქალაქები. ჯერ კიდევ ბიზანტიელი მწერალი ზაქარია რიტორი (VI ს.) წერდა, რომ ალანებს ხუთი ქალაქი აქვთო. მასუდი (X ს) ლაპარაკობდა ალანთა დედაქალაქ მაასზე. რუსულ წყაროებში (1277 წ. დაკავშირებით) იხსენება იასთა სახელოვანი ქალაქი დედიაკოვი, რომელიც გაძარცვეს და დაანგრიეს. ჯუანშერი (X ს.) ვახტანგ გორგასალს მიაწერს ოსთა ქალაქების შემუსვრას.

არქეოლოგიურმა გათხრებმაც ოსთა მაშინდელ სამოსახლო ტერიტორიაზე არაერთი ნაქალაქარი გამოავლინა: ქ. ორჯონიკიძესთან, ჯულათი ანუ ტატარტუფი (სტ. ელხოტოვოსთან), მაჯარი მდ. კუმაზე. დიდი ნაქალაქარი ქრისტიანული ტაძრების კარგად შემონახული ნაშთებით აღმოჩნდა მდ. ზელენჩუკის ხეობაში. ნაქალაქარი 7 კმ-ზეა გაჭიმული.

სათანადო მასალების უქონლობა არ იძლევა საშუალებას ვიმ-

სკელოთ საქალაქო ცხოვრების შესახებ ოსეთში. საკმარისი არაა ჩვენი ცოდნა ვაჭრობა-ხელოსნობის შესახებ ამ ქალაქებში, თუმცა არქეოლოგიური გათხრები მის შესახებ განსაზღვრულ მასალას იძლევიან. ალახური ნაქალაქარების შემდგომი არქეოლოგიური შესწავლა გაადვილებს ჩვენს წარმოდგენებს მათი ხასიათისა და მნიშვნელობის შესახებ.

აღნიშნულ ნაქალაქართა მნიშვნელოვან სავაჭრო—საქარავნო გზებზე მდებარეობა განაპირობებდა მათ დიდ როლს ვაჭრობასა და ხელოსნობაში. ალანური პერიოდის სამარხებში უცხოური წარმოშობის საგნები მოწმობენ მათ ფართო საერთაშორისო კავშირებს, რომლებიც ნაწილობრივ ამ ქალაქებში ხდებოდა.

შუა საუკუნეების ვაჭრობისათვის დამახასიათებელი იყო იარმარკებისა და ბაზრობების არსებობა, რომლებიც გარკვეულ დღეებში ეწყობოდა. ასეთი ბაზრები და იარმარკები არც ოსთათვის უნდა ყოფილიყო უცხო.

შედარებით მეტი ცნობები გვაქვს საგარეო ვაჭრობის შესახებ. ალანური პერიოდის სამოსახლეობის თუ სამარხების გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა უხვად შეიცავს უცხოური წარმოშობის ნივთებს: ყელსაბამებს, პასტისა და მინის მოოქროვილ მძივებს, ოქროს საყურეებს, ბეჭდებს ფერადი ქვებით, ვერცხლის არბალეტურ ფიბულებს, ფიგურულ საკიდებს, ამიერკავკასიური და სირიული წარმოშობის მინის ჭურჭელს (ფიალებს, კათხებს, სასმისებს, ვაზებს) და სხვ.

XI საუკუნიდან ჩრდილო კავკასიის როლი საერთაშორისო ვაჭრობაში იზრდება. იგი იქცევა აღმოსავლეთის ქვეყნების დასავლეთ ევროპასთან დამაკავშირებელ უმნიშვნელოვანეს გზაჯვარედინად. ეს როლი შეპირობებული იყო, ერთის მხრივ, ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძულების სიახლოვით, რომლებთანაც ბიზანტიასა და იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს (კენუას, ვენეციას, პიზას და სხვ.) ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დამყარებული, მეორეს მხრივ, კასპიის და შავი ზღვების დამაკავშირებელი გზის მცირე აზიიდან (იქ თურქ-სელჩუკების გაბატონების გამო) ჩრდილო კავკასიაში გადმონაცვლებით, დარიალისა და სხვა გადმოსასვლელებით მისი ამიერკავკასიასთან დაკავშირების სიადვილით.

ასეთ პირობებში ოსეთის სამეფო, რომელიც მონღოლთა შემოსევებამდე ჩრდილო კავკასიაში მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა, ვერ დარჩებოდა იმ ფართო საერთაშორისო ეკონომიურ ურთიერთობათა მიღმა, რომლებიც მაშინ მყარდებოდა. დარიალის გზით, ისევე როგორც სხვა საუღელტეხილო გზებით მიდიოდა საქონელი ამიერ-

კავკასიიდან ჩრდილოეთით და პირიქითაც, ჩრდილოეთის ქვეყნებიდან — სამხრეთით.

დარიალის გზის ეკონომიური მნიშვნელობა ამ დროისათვის დიდად გაიზარდა. ამ გზით ქართველი ვაჭრები ჩრდილოეთის ქვეყნებთან ინტენსიურ სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდნენ. შემთხვევითი არაა საქართველოს სავაჭრო წრეების (თბილისის ამირა აბულ-ასანის სახით) აქტივობა თამარის საქმროდ რუსი უფლისწულის გიორგის მოყვანის საკითხში. გიორგის მოყვანა დაეკისრა ვაჭარ ზანქან ზორაბაბელს, რომლისთვისაც, ჩანს, ჩრდილო კავკასიის ხალხებთან და უფრო დაშორებულ ჩრდილოურ ქვეყნებთან მიმოსვლა სავაჭრო მიზნით ჩვეულებრივი ამბავი იყო. ამ გზაზე მიმოსვლა კარგად იყო ორგანიზებული.

იხსენიებიან ალანი ვაჭრები, რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს აწარმოებდნენ ყირიმის სანაპირო ქალაქებში — კაფაში, სუდაკში, ხერსონესში, ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში — სარკელში და სხვ. წყაროები ამ ქალაქებში იხსენიებენ რუს, ხაზარ, ყივჩაღ, ებრაელ, ეგვიპტელ, ირანელ, სკანდინავიელ და სხვ. ვაჭრებს, რომლებიც გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდნენ ერთმანეთთან, მათ შორის ოსებთან. გაცხოველებულ სავაჭრო მიმოსვლა ჰქონდათ ალანებს საქართველოს სამეფოსთან, მაშინაც, როცა მონღოლები შემოესივნენ. ალანთა ეპისკოპოსი თეოდორე XIII ს. 40-იანი წლებისათვის ადასტურებს ალანი ვაჭრების ლაზთა ქვეყანაში სავაჭრო მიზნით სიარულს. ყამთა

მონღოლთა შემოსევებმა ოსეთის საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა აღმავალი განვითარება შეაჩერეს. ამ შემოსევათა დამღუპველი შედეგების აღმოფხვრა ოსეთმა ვეღარ შესძლო და ხანგრძლივ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ჩიხში მოექცა.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. ალანურ-ოსური საზოგადოება მეორე ათასწლეულში შემოვიდა როგორც ადრეფეოდალური საზოგადოება საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო ორგანიზაციით.

ოსური ადრეფეოდალური საზოგადოების სათავეში იდგა მეფემას ჰქონდა სატახტო ქალაქი, ციხე-სიმაგრეები, ჰყავდა ჯარი, ადმინისტრაციული აპარატი, რომლის მეშვეობით განაგებდა იგი სახელმწიფოს. არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სამეფო ადმინისტრაცია ძლიერი იყო. ადგილობრივი წერილობითი წყაროების უქონლობა საერთოდ ოსური დამწერლობის არ არსებობის გამო აძნელებს ოსური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სურათის შექმნას. ამ საკითხების განხილვისას უცხო წყაროთა ფრაგმენტული მონაცემების ჩარჩოებში ვართ მოქცეული.

სოციალური კიბის შემდგომ საფეხურზე მეფის შემდეგ იდგნენ „მთავრები“ და „თავადები“ (ეს არის XI—XIV სს. ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ტერმინოლოგია ოსეთის სოციალური სინამდვილის ასასახავად).

XIII საუკუნისათვის ოსეთში წვრილ მფლობელთა არსებობაზე ლაპარაკობს დომინიკანელი ბერი იულიანე. იგი აღნიშნავს, რომ ოსეთში რამდენი ხევიცაა, იმდენი მფლობელია და მათგან არც ერთი არ ფიქრობს მეორის მორჩილი იყოს. მონღოლთა ისტორია ე. წ. „იუან-ში“ ეხება რა მონღოლების მიერ ალანთა დაპყრობას, აღნიშნავს ცალკეულ ალან მფლობელთა (ფეოდალთა) მონღოლთადმი დამორჩილებას ნებაყოფლობის საფუძველზე, რათა თავის პრივილეგირებული მდგომარეობა შეენარჩუნებინათ. მაგ. იხსენიება „ხან-ხუსი, რომელიც წარჩინებულობით იყო ასი“. როცა უგედე მისი სამფლობელოს საზღვრებს მოადგა, იგი თავისი ხალხით დაემორჩილა მას, რისთვისაც მიეცა „ბადურას“ („ბაჰადური“) წოდება და ოქროს ფირფიტა თავის მიწასა და ხალხზე მისი ხელისუფლების დასადასტურებლად. ასევე ასი (ოსი) იყო იუან-ში. მამამისი ე-ლე ბადური დამორჩილდა უგედეს. მას ებრძანა ყოფილიყო გვარდიაში. დასახელებულია კიდევ რამდენიმე პიროვნება— მათარშა, კოურძი, ატაჩი და სხვ. მონღოლთა ყაენებს ოსებისაგან დაკომპლექტებული სპეციალური დაცვა „ასი დარუგაჩები“ ჰყავდათ. მრავალმა მათგანმა მონღოლთა სამსახურში, თავის ქვეყნიდან შორს, ბრწყინვალე სამხედრო კარიერა გაიკეთა.

პირდაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ ოსეთში გაბატონებული

კლასის გვერდით, ეკვსგარეშეა, არსებობდა ექსპლოატირებული კლასი. მის მხრებზე გადადიოდა გაბატონებული კლასის შენახვის მთელი სიმძიმე. კონკრეტულად რა ხასიათის ურთიერთობა იყო გაბატონებულ კლასსა და დამოკიდებულ გლეხთა კლასს შორის ძნელი სათქმელია მასალების უქონლობის გამო.

ოსურ საზოგადოებაში თავისუფალ მეთემეთა ფენა მრავალრიცხოვანი და ძლიერი უნდა ყოფილიყო. ამ ფენის დაშლა-რღვევის ბაზაზე, ამ ფენაზე შეტევის წარმატების კვალობაზე უნდა განვითარებულიყო ფეოდალური ურთიერთობანი. მონღოლთა ბატონობის დამყარებამ შეაჩერა ეს პროცესი (ოსეთის განადგურება-აოხრების გზით) და ფეოდალიზმი ვეღარც განვითარდა.

ამ თავისუფალ მეთემეთაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი ოსი ფეოდალების სამხედრო რაზმები და საერთოდ ოსეთის სამეფოს შეიარაღებული ძალა.

ოსეთის საზოგადოებას სცოდნია პატრიარქალური მონობაც. ისინი ხშირად მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში, რომელთაც შედეგად სდევდა ტყვეების შეძენა. ტყვეები უპირატესად მონებად იქცეოდნენ და მათ საოჯახო მეურნეობაში იყენებდნენ.

უცხოური წყაროები ისსენებენ ალან ვაჭრებს. მაგრამ რა ადგილი ეჭირათ მათ ოსეთის საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში არ ვიცით.

არქეოლოგიური მასალა ეჭვს არ იწვევს ოსეთში მრავალი დარგის ხელოსნობის (მჭედლების ,იუველირების. ქვის და ხის დამუშავების ოსტატების, თიხის ჭურჭლის დამამზადებლების და მრ. სხვ.) არსებობას. მაგრამ იყო თუ არა ხელოსნობის დარგები ცალკე გამოყოფილი, ამაზე კონკრეტული მსჯელობისათვის მასალა არა გვაქვს. არც ამ ხელოსანთა შრომის ორგანიზაციის პირობები ვიცით.

როგორც ყოველი კლასობრივი საზოგადოება, ოსეთის საზოგადოებაც კლასობრივი ბრძოლის გზით ვითარდებოდა. მონღოლთა ბატონობის დამყარებას მხოლოდ უნდა გაემწვავებინა ეს ბრძოლა. ეფიქრობთ. ასე უნდა გავიგოთ ბერი იულიანეს ცნობა, რომ ოსებს სახნავად მთელი სოფლებით და შეიარაღებულთ შეუძლიათ მხოლოდ გამოსვლაო. ამ კლასობრივ ბრძოლაში გაბატონებული კლასი ვნიშვნელოვნად დასუსტდა, რის გამოც ოსეთის საზოგადოებას ფეოდალიზაციის პროცესის გზაზე რიგი სტადიების გავლა ხელახლა დასჭირდა.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. [მონღოლთა შემოსევამდე ოსების სახელმწიფო ჰქონდათ, რომელსაც სამეფოს უწოდებდნენ. ქართული ისტორიული წყაროების მონაცემებით ოსეთში XI ს-დან

ცენტრალიზებული ხელისუფლება ჩანს. სახელმწიფოს სათავეში დგას მეფე, მას ჰყავს „თავადები“ — დიდებულები, რომლებთან ერთადაც იკი წყვეტს სახელმწიფოებრივ საკითხებს და ლაშქრობას. XII ს-დან ოსთა ერთიან სამეფოს რღვევის ნიშნები ეტყობა. სახელმწიფო სამეფო-სამთავროებად ქუცმაცდება. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1118 წელს ოსეთში გადასულ დავითს „მოეგებნეს მეფენი ოსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი“. რამდენიმე მეფე იგულისხმება ოსეთში თამარის დროსაც. თამარის ხელის სათხოვნელად „მოსრულ იყვნეს ოსთა მეფეთა შვილნი“. ერთ-ერთი ასეთი მეფის ძე იყო დავით სოსლანი.

ოსეთის სახელმწიფოს იარაღით ხელში უხდებოდა თავის ტერიტორიის დაცვა ჩრდილო კავკასიაში არაერთხელ მოვარდნილ მომთაბარულ ტალღისაგან. ერთ-ერთ ასეთ ტალღას წრმოადგენდნენ ყივჩაღები. XII ს. დასაწყისიდან ვლადიმერ მონომახის მიერ შევიწროებული ყივჩაღები ჩრდილო კავკასიაში მოვიდნენ და ოსები შეავიწროვეს. ამ ნიადაგზე მათ შორის მტრობა დაიწყო. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლების საკითხთან დაკავშირებით შეარიგა ოსები და ყივჩაღები, რის შემდეგაც ოსებმა ისინი დარიალის გზით საქართველოში გამოატარეს.

XI საუკუნიდან ფართოვდება ალანთა საერთაშორისო კავშირები. ეს კარგად მოჩანს მეზობელ ხელმწიფეთა ქორწინებებში ალანთა მეფეების ასულებზე. ოსთა მეფის ასულებზე ქორწინდებოდნენ ბიზანტიის იმპერატორები. მაგ. კონსტანტინე IX მონომახი დაქორწინებული იყო იქ მძევლად მყოფ ალანთა მეფის ასულზე. ალექსი I კომნინის ძმა დაქორწინებული იყო ალანთა მეფის ასულ ირინეზე.

ოსთა სამეფოს ურთიერთობა ჰქონდა ძველი რუსეთის სამთავროებთან. ეს უპირატესად მშვიდობიანი ურთიერთობა იყო, თუმცა ხშირად სამხედრო შეჯახებაც ხდებოდა. XI—XII სს. აღსანიშნავია ტმუტარაკანის რუსულ სამთავროსთან ურთიერთობა.

განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ოსებს საქართველოსთან ჰქონდათ. საქართველო თავის ჩრდილოეთის საზღვრის უშიშროების უზრუნველყოფისათვის და აგრეთვე სამხრეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით აქტიური შეტევითი პოლიტიკის წარმოებისათვის, აგრეთვე მტრების შემოსევების მოგერიებისათვის ოსთა სამხედრო ძალის გამოყენების მიზნით ცდილობდა ოსებთან კეთილმეზობლური და სამოკავშირო ურთიერთობა დაემყარებინა. ამ მიზანს ემსახურებოდა ის ხშირი დინასტიური ქორწინებანი, რომელთაც გაერთიანებული საქართველოს მეფემ გიორგი I (1014—1027) დაუდო სათავე, როცა ოსთა მეფის ასული შეირთო ცოლად. მისი შვილი პირ-

ველი ცოლისაგან ბაგრატ IV (1027—1074) დაქორწინებული იყო ოსთა მეფის ურდურეს ასულზე, დორღოლელის და ბორენაზე.

ბაგრატ IV ოსებთან ამ დაახლოებით გაიმაგრა ზურგი ჩრდილოეთიდან და მტრებთან ბრძოლაში საიმედო მოკავშირე გაიჩინა. ამირა ფადლონის წინააღმდეგ მას ცოლისძმა დორღოლელი 40 ათასიანი ჯარით მოეშველა და ბრწყინვალე გამარჯვება მოაპოვებინა.

დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების გადმოყვანის ორგანიზაციასთან დაკავშირებით ოსებთან უშუალო ურთიერთობა გაბა, ხელში აიღო დარიალის გზის სიმაგრეთა კონტროლი და მშვიდობიანად გამოიყვანა ისინი. დავით აღმაშენებელი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ოსებთან ურთიერთობას, რომ თავის ერთ-ერთი ასული ოსთა მეფეს მიათხოვა. დავითის დროიდან ოსეთის სამეფო საქართველოს ყმადნაფიცად ითვლებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ოსებს ევალებოდათ სამხედრო ძალით გამოსულიყვნენ საქართველოს მეფეების მხარდასაჭერად.

ოსებთან ურთიერთობის განმტკიცების პოლიტიკას ატარებდა გიორგი III (1156—1184), რომელსაც მამამისმა დემეტრემ თავის სიცოცხლეშივე მოჰგვარა ცოლად ოსთა მეფის ხუდანის ასული ბურდუხანი, რომლის სილამაზესა და სათნოებას თამარის ისტორიკოსი ანგანგებოდ უსვამს ხაზს. გიორგის ოსთა მხარდაჭერა არამარტო საგარეო მტრების წინააღმდეგ გამოუყენებია, არამედ ქვეყნის შიგნითაც თავის პოზიციების განსამტკიცებლად.

კიდევ უფრო მჭიდრო გახდა ოსეთის ურთიერთობა საქართველოსთან თამარ მეფის დროს, რომელიც 1189 წ. დაქორწინდა ოს მეფისწულ დავით სოსლანზე.

დავით სოსლანი თამარის მამიდა რუსუდანის კარზე იზრდებოდა. მისმა ასულმა საქართველოს სამეფო ტახტზე ოსთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში კიდევ უფრო გაზარდა. ოსთა სამხედრო რაზმები, დავითს რომ ახლდნენ, თამარის ეპოქის წარმატებული ბრძოლების აქტიური მონაწილენი იყვნენ.

ოსეთის პოლიტიკური მესვეურები დიდად აფასებდნენ საქართველოსთან მტკიცე ურთიერთობის დამყარებას. ეს არამარტო ეკონომიურად იყო ხელსაყრელი, არამედ მათ პოლიტიკურ მნიშვნელობასაც ამაღლებდა მეზობელი ქვეყნებისა და საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის თვალში, ხელს უწყობდა მათი პოლიტიკური ბატონობის განტკიცებას.

მაგრამ ოსი ხალხის მშვიდობიან ურთიერთობას საქართველოსთან და სხვა მეზობელ ხალხებთან ბოლო მოუღო მონღოლ-თათართა გამანადგურებელმა შემოსევებმა. ამიერკავკასიიდან დერბენტის გასავ-

ლით ჩრდილო კავკასიაში გადასულმა მონღოლმა სარდლებმა ჯებე და სუბუდაიმ 1222 წელს მოახერხეს ოს-ყივჩაღთა გათიშვა და მათი ცალ-ცალკე განადგურება.

მონღოლებმა 1239 წ. ოსეთი დაიპყრეს და ვოლგაზე დაბრუნდნენ. ყამთააღმწერლის ცნობით ბათო ყაენს „ჰქონდა ოვსეთი და დიდი ყივჩაღეთი, ხაზარეთი და რუსეთი, ვიდრე ბნელეთამდის და ზღვამდე დარუბანდისა“.

ოსებმა დამპყრობლებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. პლანო კარპინი (1246 წ.) აღნიშნავდა, რომ ალანთა მხოლოდ ნაწილი ემორჩილება მონღოლებს. მეორე ევროპელი მოგზაური ვ. რუბრუკი (1254) ხაზს უსვამს ალანთა ბრძოლას მონღოლთა წინააღმდეგ. მისი ცნობით, ბათების ხეობაში შესული ოსები მოულოდნელად ესხმოდნენ ველზე მონღოლთა ჯოგებს და იტაცებდნენ. ამის გამო მონღოლები იძულებულნი იყვნენ დიდი ძალები დაებანდებინათ ოსთაგან თავის ჯოგების დასაცავად. ბათოს მემკვიდრე სარტახის ლაშქრიდან ყოველი ათი კაციდან ორს ასეთი ყარაულობა უწევდა. XIII—XIV სს. მიჯნაზე ალანთა ტერიტორიაზე მუდმივად იდგა მონღოლთა 10 ათასიანი ლაშქარი.

1254 წელს მონღოლებმა აღწერეს დაპყრობილი ხალხები, მათ შორის ოსები და მძიმე გადასახადებით დაბეგრეს. სხვა ვალდებულებებთან ერთად ისინი იძულებული იყვნენ მონღოლთა მძიმე და განუწყვეტელ ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა. ალ-ომარის ცნობით, ოქროს ურდოს ხანს ჰყავდა ჩერქეზთა, რუსთა და ოსთაგან შემდგარი ჯარი. 1380 წ. მამაის ლაშქარში კულიკოვოს ველზე იხსენიებიან ოსები. 1391 წელს თემურის წინააღმდეგ მებრძოლ თოხთამიშის ლაშქარში რუსები, ჩერქეზები, ალანები, ყივჩაღები და სხვები შედიოდნენ.

მონღოლთა ძიერ დაპყრობილი ხალხები ძაინც განაგრძობდნენ ეთანასწორო ბრძოლას. ჯუვეინი და რაშიდ ად-დინი აღნიშნავენ რომ მონღოლთა დასავლეთით ლაშქრობისას (XIII ს. 40-იანი წლები) მონღოლთა ზურგში აჯანყება მოხდა, რომლის მთავარი მონაწილენი იყვნენ ბოლგარები და ყივჩაღები. მასში მონაწილეობა მიიღო ასმა (ალანმა) წინამძღოლმა კაჩირუკულემ. აჯანყებას სერიოზული ხასიათი ჰქონია. ბათომ სასწრაფოდ გაგზავნა მათ წინააღმდეგ სარდლები სუბედე და მუნკე, რომელთაც დიდი დრო დასჭირდათ მის ჩასაქრობად.

ალ-ომარი იძლევა ცნობას, რომ ოქროს ურდოს ყაენი იასთა მხრივ ურჩობის გამოვლინების შემთხვევაში გამანადგურებელ თავდასხმებს აწყობს მათ წინააღმდეგ, ყლეტს, ტყვეებად მიპყავს და ჰყიდის სხვადასხვა ქვეყნებში.

მძიმედ დაატყდა თავს ოსებს ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის ამტყდარი ბრძოლა XIII ს. მეორე ნახევარში. ბრძოლის ასპარეზად

იქცა ოსეთის ტერიტორიაც. ოსებს ამ ბრძოლაში ილაახთასკის დაუჭერიათ მხარი. 1263 წლის ბრძოლის შემდგომ, ბერქა ყაენი (ოქროს ურდო) იწყებს ოსთა დევნას. ისინი იძულებული არიან საქართველოში გადმოვიდნენ და აქ ეძიონ თავშესაფარი.

მონღოლები ოსთა წინააღმდეგობის გასატეხად იყენებენ სხვა ხალხებსაც. 1277 წ. ყაენ მენგუთემირის ბრძანებით, და მასთან ერთად, რუსმა მთავრებმა ილაშქრეს ოსეთზე. ალყა შემოარტყეს და აიღეს მათი სახელოვანი ქალაქი დედიაკოვი, იშოვეს დიდი ნადავლი, მოსახლეობა გაჟლიტეს, ქალაქი კი ცეცხლს მისცეს.

მონღოლთა შემოსევების შედეგად ოსებმა დაჰკარგეს იმიერკავკასიის ველები და სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ. მრავალი უთანასწორო ბრძოლაში ამოწყდა. ოსთა ის ნაწილი, რომელიც კავკასიის მთებში შემოვიდა, იძულებული გახდა საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად ქართლის ბარში შემოჭრილიყო. XIII ს. 60-იანი წლებიდან იწყება ქართლში ოსთა მასობრივი დამკვიდრება. ეს პროცესი ინტენსიური გახდა XIII ს. დამლევისათვის. შიდა ქართლში ოსთა ფართოდ განსახლებას საზღვარი დაუდო გიორგი ბრწყინვალემ (1314—1346). მან ოსებს ქართლის ბარის რაიონებიდან მთიან რაიონებში დაახევინა. შიდა ქართლის ჩრდილო რაიონებში შეიქმნა კომპაქტური ოსური მოსახლეობა, რომელიც სამხრეთ ოსეთის საფუძველი გახდა (ოსთა უფრო მცირე ჯგუფების მოსახლეობას ქედს გადმოღმა მანამდეც ჰქონდა ადგილი.)

თემურლენგმა უკანასკნელი მახვილი ჩასცა ჩრდილო კავკასიაში გადარჩენილ ოსებს. 1395 და 1400 წწ. თოხთამიშთან მისი ბრძოლა ჩრდილო კავკასიაში გაიშალა. თოხთამიშის დამარცხების შემდეგ მან ადგილობრივი ხალხებიც — ოსები, ჩერქეზები და სხვები სასტიკად გაანადგურა გაძარცვა. შერეფ ედ-დინ იეზდის ცნობით „Из врагов те, которые остались в живых, оказались бродящими, растерянными и бездомными“.

ჯერ მონღოლთა, შემდეგ კი თემურის ლაშქრობებს ოსთათვის მძიმე შედეგები ჰქონდა. ოსთა სახელმწიფო დაეცა, მოსახლეობა გაწყდა ან გადასახლდა ძნელად მისადგომ მთებში, დაინგრა მატერიალური კულტურის ძეგლები.

XV ს. იტალიელი მოგზაური იოსებ ბარბარო ალანთა შესახებ წერდა, რომ „ეს ხალხი, რომელიც აღიარებს ქრისტიანობას, ამოწყვეტილი და განდევნილი იქნა თავის საცხოვრებლიდან“. ამის შემდეგ ველის რაიონები მნიშვნელოვნად დაიცალა. მათზე დასავლეთიდან წინწამოწეული ყაბარდოელები სახლდებიან, ხოლო აქ

ღახვედრილი მცირერიცხოვანი მოსახლეობა ასიმილაციას განიცდის. მთიან ზოლში იალბუზიდან დიგორიამდე ალან-ოსებს სდევნიან მოხეოლთა შემოსევების შედეგად აქ შემოსული თურქული ტომები, რომლებიც ყარაჩაი-ბალყარების საფუძველი ხდებიან.

ასე, რომ XV ს. ბოლოსათვის ოსთა საცხოვრებელი ჩრდილო კავკასიაში ოთხი ხეობითღა (თაგაურის, ქურთათის, ალაგირის და დიგორიის) განისაზღვრებოდა.

კ ულ ტ ურ ა. ალან-ოსთა მატერიალური კულტურის შესახებ არქეოლოგიური გათხრები კარგ მასალას იძლევიან. ველზე მათი საცხოვრებელი ალიზისაგან შენდებოდა, მთაში ქვის ნაგებობანი იცოდნენ. ცხოვრობდნენ სოფლებად.

არქეოლოგიური მასალა ავლენს ტანსაცმლის ტიპსაც. განსახილველ ხანაში ეს იყო მთის კოსტუმი ე. წ. „ჩერქესკა". მის მასალად გამოიყენებოდა ან ადგილობრივი მატყლის უხეში, ან უცხოური წარმოშობის ძვირფასი ქსოვილი (ეს დამოკიდებული იყო ამა თუ იმ პირის სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე). ტანსაცმელს ბრინჯაოს ფირფიტებით ან მოოქროვილი ტყავის აპლიკაციებით ამკობდნენ.

ფეხსაცმელს ტყავისაგან ამზადებდნენ — წაღების ფორმის. ატარებდნენ პაჭიჭებს.

ქუდები ტყავისაგან მზადდებოდა, გარედან ქსოვილს აკრავდნენ და მუზარადის ფორმას აძლევდნენ. ქალის ქუდების ზედაპირს ოქროს ან ვერცხლის მძივით ამკობდნენ.

დამარხვის წესი ერთფეროვანი არ იყო. მიცვალებულს მარხავდნენ ქვის სამარხებში, მიწისქვეშა ან ნახევრად მიწისქვეშა აკლდამებში, იშვიათად ყორღანულ სამარხებში. ძალიან გავრცელებული იყო ატაკომბებში დამარხვაც. მიცვალებულებს ატანდნენ სამკაულებს (ბრასლეტებს, ბეჭდებს, ყელსაბამებს, მძივებს), სარკეებს, მაკრატლებს, ნემსებს, თიხისა და მინის ჭურჭელს. მამაკაცებს ატანდნენ საბრძოლო იარაღს. სამკაულები და სხვა ნივთები ხშირად თავისი შესრულების ტექნიკით, კომპოზიციით მაღალ დონეზე იდგნენ.

X ს. დასაწყისიდან ოსეთში ოფიციალურად გავრცელდა ქრისტიანობა. მაგრამ მან ღრმად ვერ გაიდგა ფესვები. არსად და არასოდეს არ ყოფილა წარმართობასთან გაწყვეტილი სრული კავშირი. ვ. აბაევის აზრით, ეს იყო ახალი ცნებებისა და სახელწოდებების ადაპტაცია ბველი შინაარსისადმი. ოსური სინამდვილე ამის შესანიშნავი დადასტურებაა. ვ. რუბრუკი (XIII ს.), ალანი ეპისკოპოსი თეოდორე (XIII ს. 40-იანი წლები), ბერი იულიანე (იმავე ხანაში) ერთხმად ადასტურებდნენ, რომ ალანები გარეგნულად არიან ქრისტიანები, ნამდვილად კი მარტოოდენ ქრისტეს სახელი გაუგიათ და მისი წესების შესახებ არაფერი იციან. იგი წარმართობასთან არისო შერეული.

ალან-ოსებში აშკარად ჩანს, რომ ძველმა წარმართულმა ღვთაებებმა მიიღეს ახალი, ქრისტიანული სახელები, მაგრამ მათი ბუნება, მათთან დაკავშირებული საკულტო დღესასწაულები და წესჩვეულებანი დიდხანს ძველებური რჩებოდა. ასეთი იყო მაგალითად წმინდა გიორგი (ვაცგერგი) წმ. ილია (ვაც-ილლა), წმ. ნიკოლოზი (ვაცნიკოლა) და სხვ.

ქრისტიანული რელიგია ოსეთში თავიდან ბიზანტიის ინიციატივით ვრცელდებოდა, აფხაზეთის სამეფოს მეშვეობით. მაგრამ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის დროიდან იგი ენერგიულად იწყებს ჩრდილო კავკასიის ხალხებზე რელიგიის მეშვეობით თავისი გავლენის განმტკიცებასაც. ეს ბიზანტიის გავლენის გამოდევნების გზით უნდა მომხდარიყო. ეს უკანასკნელი ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ჩრდილო კავკასიაზე. მან დამკვიდრებული ტრადიციაც კი დაარღვია და 1240-იან წლებში ალანთა ეპისკოპოსად ალანური წარმოშობის პირი თევდორე დანიშნა, რათა მათთვის მშობლიურ ენაზე ექადაგა და ამ გზით თავის გავლენა აღედგინა.

თევდორეს ადგილზე მძიმე მდგომარეობა დახვდა. ქართველ მისიონერებს იქ უკვე მტკიცე პოზიციები ეკავათ — სამღვდელო პირებად უკურთხებიათ თავის მომხრე პირები ადგილობრივი წრეებიდან. თევდორემ მათი გადაყენება ვერ მოახერხა და ხელმეორედ აკურთხა.

საქართველოს იდეოლოგიური გავლენა ოსებზე მონღოლებამდელ პერიოდში მტკიცე იყო. ქრისტიანობამ ოსეთში ხელი შეუწყო საკულტო არქიტექტურის, დამწერლობის ელემენტების გავრცელებას. ოსეთის ტერიტორიიდან მრავლად არის წარმოდგენილი როგორც ბერძნული, ასევე ქართული დამწერლობის გამოყენების მაგალითები.

ოსი ხალხი ქართველ ხალხთან მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. ამან სათანადო გავლენა მოახდინა ოსურ ენაზე. იგი მდიდრდებოდა ქართული ენიდან შეთვისებული ლექსიკური მასალით და თავის მხრივაც ახდენდა გავლენას მისი ლექსიკონის განვითარებაზე.

უდამწერლობო ოსმა ხალხმა შექმნა მდიდარი და საინტერესო ფოლკლორი, რომელშიც აისახა მათი ყოფისა და ზნე-ჩვეულებების მრავალი ელემენტი. ოსურ ფოლკლორში თვალსაჩინო ადგილს იკავებს მსოფლიო მნიშვნელობის ნართული ეპოსი, რომელიც განსახილველ ხანაში ჩამოყალიბდა. იგი ოსთა ცხოვრების სარკედ არის მიჩნეული. მისი გავრცელება ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებში ამ ხალხთა კულტურულ-ისტორიული ერთობისა და შემოქმედებითი თანამშრომლობის მაჩვენებელია.

ოსებში ფართოდაა გავრცელებული ამირანის ეპოსი (ქართული

ამირანის გავლენად ძიჩხეული), აგრეთვე თქმულებები ტარიელზე. ეს უკანასკნელი ოსებს შორის „ვეფხისტყაოსნის“ დიდ პოპულარობას მოწმობს. ყველაფერი ეს იმ ეპოქის პროდუქტია, როცა ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხები მჭიდრო პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ.

მონღოლთა შემოსევების შედეგად ოსი ხალხის კულტურული განვითარება დიდი ხნით შეფერხდა.

§ 3. ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხები

ყ ი ვ ჩ ა ღ ე ბ ი. ჩრდილო კავკასიაში ადგილობრივი კავკასიელი ხალხების გარდა ცხოვრობდნენ თურქულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებიც. განსახილველ ხანაში ესენი იყვნენ მომთაბარე ყივჩაღები, რომლებიც წინა კავკასიის ცენტრალურ ველებზე XI ს. დასაწყისიდან დამკვიდრდნენ. ისინი თურქული მოდგმის ტომებს წარმოადგენდნენ. ჩრდილო კავკასიაში ყივჩაღები შეეჯახნენ ალან-ოსებს, რომელთაც ამ დროისათვის იქ გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ და საკმაოდ ერცელი ტერიტორია ჩამოაცალეს სამომთაბაროდ.

წინაკავკასიის ფართო ველები იქ ყივჩაღთა მოსვლის დროიდან „დეშტ-ი-ყივჩაღის“ („ყივჩაღთა მიწის“) ნაწილად იქცა.

ყივჩაღები აშენებდნენ ცხვარს, მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, ცხენებს, აქლემებს. XII ს. შუა ხანებიდან ისინი გადადიან ბინადარ ცხოვრებაზე. XIII ს. შედგენილ „კოდექს კუმანიკუსში“ იხსენება საბენელი. მათ მოჰყავთ ფეტვი (პროსო), ხორბალი, ნესვი, საზამთრო, ხახვი, ნიორი. კოდექსში იხსენიებიან პურის მცხობლებიც (რაც აღრე არ ჰყავდათ). საოჯახო წარმოებისა და ხელოსნობის შესახებაც შეიცავს იგი ცნობებს. იხსენიება პროფესიები მეწაღის, ბეწვეულის ოსტატის, ყასაბის, მხატვრის, ხუროს მეუნაგირის, შვილდისტის და მახვილების მკეთებლების; ხელოსნობის დარგები — დალაქობა, თერძობა, მჭედლობა, დურგლობა და სხვ.; ვაჭრები, მეტრაქტირეები.

ყივჩაღები მრავლად ცხოვრობდნენ ქალაქებშიც. სარკელში, შარუკანში, სუგროვსა და ბალინში, ყირიმისა და ტამანის ქალაქებში. ისინი ვაჭრობდნენ მეზობლებთან — ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, რუსეთთან, საქართველოსთან.

ყივჩაღებში უკვე გზას იკაფავდა ადრეფეოდალური ურთიერთობანი, მაგრამ გვაროვნული ტრადიციები ჯერ ძლიერი იყო. მათი ლაშქარი გვარების მიხედვით იყო ორგანიზებული, გვარებად ეწოდნენ მომთაბარეობასაც. მათ ჰყავდათ მთავრები, რომლებიც თავის გარეშოცვასთან ერთად გვარჩვნული არისტოკრატიის ფეოდალურ არისტოკრატიად განვითარებას წარმოადგენდნენ.

საქართველომ ანგარიში გაუწია ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულ ამ ახალ ძალას. მისთვის საჭირო იყო ამ ძალის არამარტო უვნებელყოფა (საქართველოზე თავდასხმებისაგან შეკავება), არამედ ჩრდილო კავკასიაში განსაზღვრულ პოლიტიკური წონასწორობის შექმნა. საქართველომ საგანგებოდ გაამაგრა ჩრდილო კავკასიის გადმოსასვლელები. ამ ღონისძიების მიზანი კარგად ჩანს ვახტანგ გორგასალის ისტორიაში შეტანილ გვიანდელ ჩანართში, რომელიც იმ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს, როცა ყივჩაღები უკვე რეალურ ძალას წარმოადგენდნენ: „ხოლო დაიმორჩილა (ვახტანგ გორგასალმა — გ. თ.) ოვსნი და ყივჩაღნი, და შექმნა კარნი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიალისად უწოდთ და აღაშენა მას ზედა გოდოლნი, დაადგინა მცველად მახლობელნი მთეულნი. არა ჴელეწიფების გამოსვლად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაღთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა“.

ჩანს, XI ს. ყივჩაღებთან ურთიერთობა საქართველოსათვის უპირატესად არამშვიდობიანი იყო, რაკი მათგან თავდაცვა ასეთი რიგის ღონისძიებათა გატარებას საჭიროებდა. ყივჩაღები ცდილობდნენ კავკასიონის სამხრეთითაც გაევრცელებინათ თავისი გავლენა.

XII ს. საქართველოს ურთიერთობაში ყივჩაღებთან ახალი ფაზა დაიწყო. 1103 წ. კიევის მთავარმა ვლადიმერ მონომახმა მძიმე მარცხი მიაყენა მათ. ამის შემდეგ მათი ნაწილი დონზე გადავიდა და დონსა და ვოლგას შუა დამკვიდრდა, მეორე ნაწილი კი ათრაქა შარაღანისძის (რუს. წყაროების ოტროკ) მეთაურობით ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრდა.

დავით აღმაშენებელმა, რომელმაც მიზნად დაისახა თურქ-სელჩუკთა ამიერკავკასიიდან საბოლოოდ განდევნა, გადაწყვიტა ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლება და მათგან მუდმივი ჯარის შექმნა. საამისოდ პოლიტიკური ნიადაგიც შეამზადა მათი მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასულზე დაქორწინებით. მართლაც, როცა „წარავლინა კაცნი სარწმუნონი და მოუწოდა ყივჩაღთა და სიმამრსა თჳსსა“, მათ „სიხარულითა მიითუალეს. ჴარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოესთაჴან“.

დავითი მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელთან ერთად ჩავიდა ოსეთში, შეარიგა ყივჩაღ-ოსები, აიღო ხელში გადმოსავალ გზებზე მდებარე ციხეების კონტროლი და გადმოიყვანა ყივჩაღთა დიდი რაოდენობა ოჯახებიანად, რომელთაც შეეძლოთ 40 ათასიანი ლაშქრის გამოყვანა. დავითმა მისცა მათ ცხენები, საჭურველი, მათგან 5 ათასი საუკეთესო მეომარი (წინასწარ გაქრისტიანებული) პირად მცველ რაზმში ჩარიცხა.

დავითმა ხელი არ ახლო მათ ორგანიზაციას, რომელიც ფეოდალურ-გვაროვნულ პრინციპზე იყო მოწყობილი. „ესენი რა ერთად შემოიკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი მბრძანებელნი“.

დავითის ისტორიკოსი ყივჩაღების როლზე წერს, რომ „მათითა ხელითა მოსრნა სრულიად სპარსეთისა ძალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყნისათა, და მათითა თანადგომითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი“.

ყივჩაღები მონაწილეობდნენ 1121 წლის დიდგორის ომში, 1122 წელს თბილისის გაჯთავისუფლებაში. ყივჩაღებს შინაფეოდალურ ბრძოლაშიაც იყენებდნენ. გადმოსახლებული ყივჩაღები თანდათან ასიმილირებულ იქნენ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

ყივჩაღებთან ურთიერთობა არც შემდეგში წყდება. გიორგი III-ს ყივჩაღებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე აღნიშნავს, რომ გიორგიმ „ოვსთა და ყივჩაღთა რაოდენნი ათასი უბრძანის, მოვიდიან“. ზოგი მათგანი ერთგული სამსახურით ქართული ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობამდე ამირსპასალარობამდე აღწევს (ყუბასარი).

ყივჩაღებთან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა მაღალ დონეზე დგას თამარის ეპოქაშიც. ცნობილია, რომ თამარის საქმროდ რუსი უფლისწული გიორგი ყივჩაღთა ხანის კარიდან (მდ. სუნჯაზე იყო) წამოიყვანეს.

არ წყდება ყივჩაღთა ახალ-ახალი რაზმების გადმოყვანა საქართველოს სამხედრო სამსახურში. თამარის კარზე გამართულ მნიშვნელოვან აღლუმს ხსნიან „ოვსნი და ყივჩაღნი ახალნი“. ყივჩაღები მონაწილეობდნენ 1195 წ. შამქორის ომში, სადაც ისინი ლაშქრის ავანგარდს წარმოადგენდნენ.

1222 წ. ჩრდილო კავკასიაში გადასულმა მონღოლებმა ჯებე და სუბუდაის სარდლობით გათიშეს და ცალცალკე დაამარცხეს ოსები და ყივჩაღები. ამის შემდეგ ყივჩაღები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტნენ, ზოგი ადგილზე დარჩა და მონღოლებში გაითქვიფა, ზოგიც ამიერკავკასიაში შემოვიდა და აქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ცხოველი მონაწილეობა მიიღო.

მონღოლთაგან დამარცხებამ საზღვარი დაუდო ყივჩაღეთის, როგორც პოლიტიკური ერთეულის, არსებობას. ყივჩაღთა იმ ნაწილმა, რომელიც კავკასიის მთების ხეობებს შეეფარა, განსაზღვრული წვლილი შეიტანა ჩრდილო კავკასიის ისეთ ხალხთა ფორმირების პროცესში, როგორიც იყვნენ ყარაჩაელები, ბალყარები და ყუმიყები.

ყ ა რ ა ჩ ა ე ლ ე ბ ი დ ა ბ ა ლ ყ ა რ ე ბ ი. ჩრდილო კავკასიაში

მონღოლთა შემოსევებმა და დაპყრობებმა აქ მოსახლე ხალხებში მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები გამოიწვიეს. ამ დროიდან იწყება თურქულ ენაზე მოლაპარაკე ისეთი ხალხების ფორმირება, როგორიც არიან ყარაჩაელები და ბალყარები, ცენტრალური კავკასიონის კალთებზე აფხაზეთის, სვანეთისა და ლეჩხუმის გადაღმა, მდ. ყუბანისა და თერგის შენაკადების სათავეებში.

ამ ხალხთა წარმოშობის შესახებ ადრიდანვე მრავალი შეხედულება არსებობდა. მათ წინაპრებად ასახელებდნენ ჰუნებს, სლავებს, ყაბარდოელებს, ნოღაელებს, ყირიმელ თათრებს, ალანებს. ასეთი შეხედულებები მოკლებული იყო მეცნიერულ არგუმენტაციას.

ბალყარები და ყარაჩაელები XIII—XIV სს. თავისებურ პირობებში ფორმირდებიან თურქულენოვან ხალხებად. შევეხოთ მოკლედ ამ პროცესს.

ყარაჩაელთა და ბალყართა განსახლების ტერიტორიაზე მონღოლთა შემოსევამდე ცხოვრობდნენ ალანები, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი კავკასიური ტომებისა და ირანულენოვანი ტომების შერევის შედეგს წარმოადგენდნენ. ამ მოსახლეობას მონღოლთა შემოსევის შემდეგ დაეფინა თურქული ელემენტი, რის შედეგადაც მივიღეთ ყარაჩაელები და ბალყარები. ყარაჩაი-ბალყარულ ენაში არის ალანური ენობრივი სუბსტრატის აშკარა კვალი.

ალანებისა და ყარაჩაი-ბალყარების მატერიალური და სულიერი კულტურის მრავალ მხარეში ჩანს მათ შორის გენეტიკური კავშირის განსაზღვრული ნიშნები. როგორიცაა დამარხვის წესის ცალკეული დეტალები, ყოფისა და სამკაულების მრავალი ნივთის (ჭურჭელი, ინსტრუმენტები, ამულეტ-მედალიონები, სამკაულები, ორნამენტის დეტალები და სხვ.) მსგავსება.

აღნიშნულ გარემოებას უნდა ადასტურებდეს ის ფაქტი, რომ XIV ს. არაბი ავტორი აბულფედა ყარაჩაელებს „ალანების", ბალყარელებს კი „ასების" სახელით იხსენიებს. ორივე ეს სახელწოდება ალან-ოსებთანაა დაკავშირებული. ყარაჩაელებს სახელწოდება „ალანი" შემდეგშიც, XIX ს. შუა ხანებამდე შენარჩუნდა, ხოლო მეგრელები მათ დღესაც ამ სახელით იცნობენ. რაც შეეხება ბალყარებს, ქართული წყაროები მათ ბასიანებს უწოდებდნენ.

ითვალისწინებენ რა ყარაჩაი-ბალყართა ფორმირებაში ალანთა დიდ როლს, აგრეთვე ტერმინ „ალანის" ყარაჩაელთა შორის ერთმანეთისადმი მიმართვაში ხმარებას, თურქული ტოპონიმებისა და ეთნონიმების თურქული რუნული წარწერების არსებობას ყარაჩაის ტერიტორიაზე, მკვლევართა ერთი ჯგუფი (უ. ალიევი, შ. აკბაევი ა. ბაუჩიევი, კ. ლაიფანოვი) აყენებს საკითხს თვით ტერმინ „ალანის" თურქული წარმო-

შობის შესახებ სიტყვა „ოოლან“-იდან, აგრეთვე შეხედულებას, რომ ალანთა ნაწილი ადრიდანვე იყო თურქული. მათი აზრით, ეს ნაწილი გახდა სწორედ ძირითადი კომპონენტი ყარაჩაელთა და ბალყართა ფორმირებაში.

აღნიშნულ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ყარაჩაელთა და ბალყარელთა წინაპრები არ შეიძლება ყოფილიყვნენ ბოლგარები და ყივჩაღები, რადგან მათ ფოლკლორში არ არის ამ ხალხების ხსენება, არც აირდაპირი ლინგვისტიკური კავშირია ყარაჩაელთა და ბალყართა ენებისა რომელიმე თურქულ ენასთან. ასეთ პირობებში გაუგებარი რჩება ალანების ნაწილობრივ გათურქებაც და ის ეთნოგენეტური პროცესიც, რომლის შედეგადაც ახალი ხალხი წარმოიშვა

ჩრდილო კავკასიაში თურქული ტომების ყარაჩაი-ბალყართა ეთნოგენეზის პროცესში მონაწილეობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება.

წინაკავკასიაში თურქული მოდგმის ბოლგარები ახალი წელთაღრიცხვის დასაწყის საუკუნეებში იხსენიებიან. VII სს. ისინი ჩრდილო კავკასიის ზოგ ხეობაში აღწევენ ჯერ ავარების, შემდეგ ხაზარების მოწოლის გამო. XIII ს. ხდება ყივჩაღთა მასიური შესახლება ყარაჩაის ტერიტორიაზე. ამ გარემოებამ განამტკიცა იქ თურქულენოვანი მოსახლეობა და გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის ენობრივი ასიმილაცია.

ყარაჩაი-ბალყარული ენა თურქული ენების ყივჩაღურ შტოს ეკუთვნის. ეს კარგად მტკიცდება ამ ენების შედარებით.

ამიტომ არასწორად გვეჩვენება იმ ავტორთა განცხადება, რომლებიც თვლიან, რომ ყივჩაღები ყარაჩაელთა და ბალყართა წინაპრები არ შეიძლება ყოფილიყვნენ. ის ფაქტი, რომ მათი ენა ყივჩაღური ენის მონათესავეა და რომ მათი ფორმირება სწორედ ყივჩაღთა იქ შესახლებით დაიწყო, მოწმობს, რომ ყივჩაღებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს ყარაჩაელთა და ბალყართა ეთნოგენეზის საკითხში. ცხადია, ადგილობრივი ალანური თუ არა ალანური — კავკასიური ტომები ასიმილირებულ იქნენ მოსულთა მიერ. ეს პროცესი გააადვილა იმ გარემოებამ, რომ თურქული ელემენტი აქ ადრიდანვე იჭრებოდა ბოლგარების და ყივჩაღთა ადრინდელი ტალღების სახით. XIV საუკუნეში ერთიანი ყარაჩაი-ბალყარი ხალხი უკვე ჩამოყალიბებულია.

ყარაჩაელთაგან ბალყარების გამოყოფა — მათი ნაწილის ჯერ ელტარკაჩზე, შემდეგ კი ბაქსანზე გადასახლება უფრო გვიანდელ ხანას განეკუთვნება და დაკავშირებულია აბაზინური ტომის ყიზილბეკების მოწოლასთან.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ყარაჩაი მთაგორიანი ქვეყანა იყო, მის ტერიტორიაზე სამიწათმოქმედო კულტურის მრავალი ნაშთია. მინდვრები

ინმინდებოდა ქვაღორღისაგან. მას დიდ გროვებად ალაგებდნენ, მიწის დამუშავებაში ხელი რომ არ შეეშალა ნაკვეთები დაფარული იყო სხვადასხვა დანიშნულების რუებით (ილიპინებით), რომელთაგან უმრავლესობა მორწყვას ემსახურებოდა, ზოგი კი ნაკვეთებიდან ნიაღვრებისა და საერთოდ ზედმეტი წყლის მოცილებას.

მთის კალთაზე მრავალწლიანი ჰვავის ნაშთებია. ძირითადი სამეურნეო კულტურა იყო ქერი (არპა). ის სიმაღლეს კარგად იტანდა და აგვისტოს ბოლოსათვის ასწრებდა დამწიფებას. შემთხვევითი არ არის, რომ მათს გადმოცემებში ყველგან ქერი ფიგურირებს. თესავდნენ ღომსაც (პროსო).

ყარაჩაელები მიმართავდნენ მიწის გაპატიებას. ადრინდელი ხანის სამიწათმოქმედო იარაღებზე ცნობები არა გვაქვს, მოგვიანებით კი ისინი ხის რკინის სახნისიანი გუთნით („კალაჯუკ") ხნავდნენ, რომელშიც ხარებს აბამდნენ. მიწა ღრმად არ იხვნებოდა, რადგან ნიადაგის ფენა თხელი იყო. ნახნავი მოთესვის შემდეგ ხის ტოტებისაგან დაწნული ფარცხით იფარცხებოდა. ქერის მკას ქალები ასრულებდნენ რკინის ნამგლებით. მარცვალი თავდაპირველად ხელსაფქვავებით იფქვებოდა, შემდეგ კი წყლის წისქვილების გამოყენებაც დაიწყეს. მოგვიანო ხანის ეს სამიწათმოქმედო ტექნიკა არის საგულვებელი ყარაჩაელთა განსახილველი ხანის ყოფაში.

ყარაჩაიში მრავლადაა გავრცელებული ვაშლი, მსხალი, ალუჩა და სხვა. ჩანს, ადრე მებაღეობის ზოგიერთი დარგი მათთვის უცხო არ ყოფილა.

ყარაჩაელთა ეკონომიკის მთავარი დარგი იყო მესაქონლეობა. ძსინი აშენებდნენ მსხვილფეხა საქონელს, ცხენებს, თხებს, უპირატესად კი ცხვრებს. ზაფხულში პირუტყვი მაღალმთიან საძოვრებზე მიჰყავდათ, შემოდგომაზე კი მთისწინა ველებზე მიერეკებოდნენ.

XV ს. მთისძირობა საშემოდგომო საძოვრები ყაბარდოელებმა და აბაზინელმა ფეოდალებმა მიიტაცეს. ამან გაამწვავა მათთან ყარაჩაი-ბალყარელთა ურთიერთობა. ყარაჩაელთათვის უბედურება იყო ცხელი ზაფხულიც და თოვლიანი ზამთარიც, რადგან საკვების უკმარობის გამო დიდძალი პირუტყვი იხოცებოდა.

ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია გარეული ნადირის მრავალი სახეობა: ჯეირანი, ჯიხვი, ფსიტი, დომბი, დათვი, მგელი, კვერნა. ამის გამო მონადირეობას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ყარაჩაელთა ეკონომიკაში.

ყარაჩაელები ჩრდილო კავკასიის სხვა მთიელების მსგავსად ნატურალური მეურნეობის პირობებში ცხოვრობდნენ. ყველაფერი აუცილებელი სახლში მზადდებოდა. ქალები ართავდნენ მატყლს, ქსოვ-

დნენ ქსოვილებს, აკეთებდნენ ნაბდებს, თავსაბურებს, ზოლებიან თექას — კიიზებს (ასეთივე ლამაზ კიიზებს უფრო ადრე აკეთებდნენ ყივჩაღები), კერავდნენ ტანსაცმელს და ტყავის ფეხსაცმელს.

მამაკაცები აკეთებდნენ ხის ნივთებს: ჭურჭელს, ავეჯს, იცოდნენ ხუროობა. ზოგი მათგანი ეწეოდა მადნის მოპოვება-დამუშავებას და მჭედლობას. ისინი აკეთებდნენ სახვნელის რკინის ნაწილებს, ჭურჭელს, ისრის პირებს, დანებს, მაკრატლებს და სხვა.

სცოდნიათ სპილენძის მადნის დამუშავებაც და მისგან საჭირო ნივთების დამზადება.

გავრცელებული იყო ცხენის აკაზმულობის დამზადებაც.

ყარაჩაელთა შინაგანი ვაჭრობის შესახებ განსახილველ ხანაში მასალები არა გვაქვს, თუმცა უნდა დავუშვათ მათ შორის გაცვლა-გამოცვლის განსაზღვრული მასშტაბით არსებობა.

ყარაჩაელებს გაცვლა-გამოცვლა ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან — ადიღეელებთან, აფხაზებთან, სვანებთან. მეზობელ ხალხებთან გაცვლა-გამოცვლაზე დადებით გავლენას ახდენდა მათ ტერიტორიაზე გამავალი სავაჭრო გზები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში არსებულ გენუელთა კოლონიებს აკავშირებდნენ საქართველოსთან ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებით. ამ გზებით ხვდებოდა, უეჭველია, ყარაჩაის და ბალყართა სამარხებში ნახული აბრეშუმის ქსოვილები, სამკაულები.

ყარაჩაელი წარჩინებულები ყაბარდოელ და აბაზინელ წარჩინებულებთან ერთად მონებით ვაჭრობდნენ გენუელებთან, რომლებსაც შემდეგ მცირე აზიის, კონსტანტინეპოლის, სირიის, ეგვიპტისა და სხვა ბაზრებზე ჰყიდიდნენ.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. XIV—XV სს. ყარაჩაელებში ძლიერად იყო შემორჩენილი პატრიარქალური გვაროვნული ურთიერთობის ნიშნები. გვაროვნული კავშირები ძლიერი იყო. მიწათმფლობელობა სათემო ხასიათს ატარებდა. არსებობას განაგრძობდა პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენები—სისხლის აღება-გამოსყიდვის წესი, საშუამავლო სასამართლო შრომაში, გაჭირვებაში, მოუსავლობაში თანამოგვარის ინტერესების დაცვა. გვაროვნული უხუცესების დიდი როლი გვარის ცხოვრებაში და სხვა. სადავო საკითხები ადათის მიხედვით წყდებოდა.

ყარაჩაელები გვაროვნულად სახლდებოდნენ. გვარს სოფელში ცალკე კვარტალი ეკავა. ქორწილზე თუ ქელესში მთელი გვარი იკრიბებოდა. მიცვალებულსაც გვაროვნულ სასაფლაოზე ასაფლავებდნენ. გვარი ეგზოგამიურ ხასიათს ატარებდა — მის შიგნით ქორწინება აკრძალული იყო. ყოფილა შემთხვევები გვარში სხვა გვარის წევრების

შილებისა. ასეთები უპირატესად მესისხლეობის ნიადაგზე იყვნენ გაწოქცეულები სვანეთიდან, სამეგრელოდან, აფხაზეთიდან, ყაბარდოდან და სხვა ადგილებიდან.

საცხოვრებელთან ახლო მყოფ მიწებს ყარაჩაელები გვარებს შორის ინაწილებდნენ, შორეულ მიწებს კი სურვილის მიხედვით იკავებდნენ.

გადმოცემებით მიწა და პირუტყვი საგვარეულო საკუთრებაში იმყოფებოდა. სარწყავი რუები საერთო სარგებლობაში იყო. მაგრამ XIV—XVსს. ყარაჩაელებში გვაროვნული წყობილება უკვე რღვევის გზაზე იდგა. თანდათანობით იქმნებოდა კლასობრივი ფეოდალური საზოგადოება. ეს არცაა გასაკვირი. ის ძირითადი ეთნიკური კომპონენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ყარაჩაელთა წარმოშობას — ყივჩაღები და ალანები მაშინ ადრეფეოდალურ კლასობრივ სტატიაზე იმყოფებოდნენ.

ყარაჩაელთა გადმოცემები ლაპარაკობენ წარჩინებულ გვარებზე. ასეთი გვარი იყო კრიმშამხალოვები. ესენი სახნავ და სათიბ მიწას თანდათანობით ხელთ იგდებდნენ. მიწათსარგებლობა მიწათმფლობელობად იქცეოდა. მხოლოდ საძოვრები რჩებოდა სათემო სარგებლობაში.

ყარაჩაის ისტორიის მკვლევარები „თემის ყველაზე გავლენიანი წევრების“ წარმოშობას სსნიან იმ სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, რომელშიც ამ ხალხს უხდებოდა ცხოვრება. მას საქონლისა და ტყვეების გასატაცებლად ხშირად ეახმოდნენ მეზობელი ტომები. ისინი იძულებული იყვნენ ყოველი ხეობის გასასვლელში სათანადო დაცვა ჰყოლოდათ, რათა დროზე ეცნობებინათ მტრის მოახლოება. ქვეყნის დაცვისას, თუ უცხო ქვეყანაში ნაძარცვის მოსაპოვებლად ლაშქრობისას, რაზმებს მეთაურობდნენ ვაჟკაცობითა და მოხერხებით ცნობილი პირები. მათ ხვდებოდათ ნადავლის ძირითადი ნაწილი. პატივი და გავლენა ხალხში. ასეთი პირები ხალხის დამცველებიდან მისი ექსპლოატატორები ხდებოდნენ.

როგორც ყოველ განუვითარებელ, ადრეფეოდალური ურთიერთობის პირველ ეტაპზე მდგარ საზოგადოებაში, ყარაჩაიში მოსახლეობის ძირითადი მასა თავისუფალი მეთემეები იყვნენ, რომელთაც ოზდენები ეწოდებოდათ. განსახილველი ხანისათვის მათი ურთიერთობა წარჩინებულ გვარებთან ბუნდოვანია.

ყარაჩაელებს ჰყავდათ მონები — ყულები. ესენი იყვნენ ტყვეები ან ნაყიდები. სხვა ხალხიდან გამოსული პირი მონა ქალზე — კარაუაშზე თუ დაქორწინდებოდა, ყულად იქცეოდა. ყულს შეეძლო თავისუფლების მოპოვება, მაშინ იგი აზატი ხდებოდა. ყულების რიცხ

ხვი უმნიშვნელო იყო, ისინი საოჯახო მონების მდგომარეობაში იყვნენ.

სოციალური ურთიერთობის განვითარების იმ საფეხურზე, რაზეც XIV—XV სს. ყარაჩაელები იდგნენ, კლასობრივ წინააღმდეგობებსა და ბრძოლას დიდ სიმწვავემდე არ მიუღწევია. ამ ბრძოლით თავისუფალი მეთემეები იცავდნენ თავისუფლებას ყოველგვარი ხელყოფისაგან, მაგრამ მის შესახებ კონკრეტული ისტორიული მასალა არ შემოგვრჩა.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ურ თ ი ერ თ ო ბ ა. ყარაჩაელთა საშინაო პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ XIV—XV სს. თითქმის არაფერი ვიცით. ისინი რაიმე პოლიტიკურ ერთეულად ორგანიზებული არ ყოფილან და არც არსებობდა ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელიც შეაკავშირებდა მათ. ისინი მხოლოდ საგარეო საფრთხის წინაშე ერთიანდებოდნენ. ეს საგარეო საფრთხე კი მომდინარეობდა ჯერ თემურლენგის ურდოებისაგან, შემდეგ კი XV ს. შექმნილ ყირიმის სახანოსაგან. თემურლენგი იალბუზამდე შევიდა, მოსახლეობა უწყალოდ დაარბია, გაქალიტა, დაატყვევა, სიმაგრეები დაანგრია. ამ დროს უნდა დანგრეულიყო ქვ. არხიზის, ხუმარის და სხვა ქალაქები. ყარაჩაელებს და ბალყარებს მძიმე ბრძოლები უხდებოდათ ყაბარდოელი და აბაზინელი ფეოდალების წინააღმდეგ მთისძირობა საძოვრებისათვის. ეს ბრძოლები მათ ვადმოცემებში კარგად აისახა. ძალთა უთანასწორობის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ ამ ფეოდალთა მეხარკეობა ეკისრათ.

ყარაჩაელები თავიდანვე მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ დასავლეთ საქართველოს ისეთ რაიონებთან, როგორიც იყო რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო, აფხაზეთი. არც ოსებთან ურთიერთობა შეწყვეტილა. მათ ოსებთან იმდენად ბევრი საერთო ჰქონდათ, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ბალყარეთს ბასიანის სახელწოდებით ოსეთს აკუთვნებდა და ისეთივე დახასიათებას აძლევდა, როგორსაც ოსეთს.

კ უ ლ ტ უ რ ა. XIV—XV სს. ყარაჩაელთა კულტურის შესახებ მასალა თითქმის არა გვაქვს. მათი სამოსახლოს ტიპი შეიძლება დადგინდეს შემდგომი საუკუნეების მასალების მიხედვით. ისინი ცხოვრობდნენ ვდინარეთა ხეობებში გრძლად გაჭიმულ სოფლებად. თითოეული სოფელი შედგებოდა საცხოვრებელთა ჯგუფებისაგან, რომლებიც თითო ან რამოდენიმე გვარისაგან შედგებოდა. ასეთ საგვარეულო უბნებს ტიირეს უწოდებდნენ და მათს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ ღრომდე შემორჩა. მათი საცხოვრებელი ხისაგან (ფიქვის ხის მორებიდან) კეთდებოდა.

ყარაჩაელები ფლობდნენ ხელოვნების ისეთ ფორმებს, როგო-

რიცაა ქვაზე და ხეზე კვეთა. საიუველირო საქმე. ქალები კერავ-
დნენ და ქარგავდნენ ოქროს, ვერცხლისა და აბრეშუმის ძაფებით.
მათი ორნამენტის დამახასიათებელი მოტივებია: როზეტები, გეომეტ-
რიული ფიგურები, ცხვრის თავების სტილიზებული გამოსახულებანი.
მცენარეულ ორნამენტსაც საკმაო გავრცელება აქვს.

XIV—XV სს. ყარაჩაელები ნაწილობრივ ქრისტიანები, ნაწილო-
ბრივ წარმართები იყვნენ. აბულფედა ალანებს და ასებს (მათში უკვე
ყარაჩაელები და ბალყარები იგულისხმებიან) ქრისტიანებად თვლის.
ეს არცაა გასაკვირი. ალანთა ეპარქია XIV ს. დასასრულამდე—თემურ-
ლენგის შემოსევამდე არსებობდა ყარაჩაელთა ტერიტორიაზე და არ
შეიძლებოდა მას იქ ქრისტიანობა არ გაევრცელებინა. თემურ-
ლენგის შემოსევიდან (1396 წ.) ეკლესიები და სალოცავები დაინგრა და
ისლამის გავრცელება დაიწყო.

ადრე ამ ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ინიციატო-
რებად გამოდიოდნენ ქართველი და ბიზანტიელი მისიონერები. ახლა
XIV—XV სს. არც ერთს ამ სახელმწიფოთაგან უკვე აღარ ჰქონდათ სა-
შუალება გაეგრძელებინა ეს საქმიანობა. საქართველო პოლიტიკურად
დასუსტდა და დაქუცმაცდა, ბიზანტიაც 1453 წელს საბოლოოდ დაეცა.

ყარაჩაელებს დამწერლობა არ ჰქონდათ. ადრე მათ ტერიტორია-
ზე საღვთისმეტყველო მიზნებით ბერძნული და ქართული ენა და და-
მწერლობა გამოიყენებოდა. ქართული ენის ეპიზოდური ცოდნა ყა-
ყარაჩაელებსა და ბალყარებში შემდგომაც უნდა ყოფილიყო, რადგან
ისინი სისტემატიურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ აფხაზებთან, მე-
გრელებთან, სვანებთან და რაჭველებთან.

წერილობითი ლიტერატურის მაგივრობას მათ უწევდა მდიდარი
ხალხური ფოლკლორი, რომელიც მათი ცხოვრების მრავალ მხარეს
ასახავდა. მასში ასახულია ყარაჩაელთა და ბალყართა გმირული
ბრძოლა უცხოელ მოძალადეთა წინააღმდეგ.

§ 4. ვეინახები (ჩეჩენ-ინგუშები) XI—XV სს.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე XI—XIII
სს. მიმდინარეობდა საწარმოო ძალთა განვითარების პროცესი. შემ-
დგომ განვითარებას ნახულობს მოხვნითი ხასიათის მიწათმოქმედება.
ქართული დიდი გუთნის გავრცელება მათ შორის სწორედ ამ ხანებ-
ში ივარაუდება და მიწათმოქმედების მზარდ როლზე მიუთითებს (სა-
ხვნელის ჩეჩნური სახელწოდებაა „გუოთა“, ინგუშურად კი „გუოთა“
ნიშნავს სახვნელ იარაღთა კომპლექსს).

არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებენ მიწათმოქმედების
საკმაოდ მაღალ დონეს. მრავლად არის აღმოჩენილი სამიწათმოქმედო

იარაღები, ხორბლის. ქერის, ფეტვის, მარცვლები, მარცვლის შესანახი ორმოები. ამასვე მოწმობს სამოსახლოების ხშირი ქსელი.

მონღოლთა შემოსევის დროისათვის ვეინახებს ძირითადად მთიანი რაიონები და მდ. სუნჯის მთისწინა ზოლი ეკავათ. ამიტომაც, გასაგებია, რომ მიწათმოქმედების განვითარება მთისწინა ზოლს ეხება.

რაც შეეხება მთიან რაიონებს, აქ მესაქონლეობა უნდა ყოფილიყო მთავარი. მას საიალაღო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ XII ს-დან ჩრდილო კავკასიის ველებში ყივჩაღების დამკვიდრების შედეგად ველის საძოვრები მათ დაიკავეს. მთიელებს საიალაღო მესაქონლეობისათვის საჭირო მიწების გამოყენება აღარ შეეძლოთ და ამან მხარის ეკონომიური ცხოვრება ერთგვარად დაარღვია. შემდეგ ეს ველები მონღოლებმა დაიკავეს და ვეინახები გარკვეული ხნით მთებში ჩაკეტილი აღმოჩნდნენ. მონღოლები თავის ჯოგებით ხშირად ჩერდებოდნენ თერგისა და სუნჯის ნაპირებზე. მონღოლთა დასუსტების შემდეგ კი ამ ადგილებზე ყაბარდოელები სახლდებიან.

ვეინახებს ბარში გაბატონებულ მომთაბარეებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. ცხადია, ეს ეკონომიურ ნიადაგზე იყო აღმოცენებული. მთის პირობებში შეუძლებელი იყო ტრადიციული საიალაღო მეცხვარეობის განვითარება. სახნავი მიწებიც სწრაფად იფიტებოდა და მოსახლეობა თავის არსებობის შესანარჩუნებლად იძულებული იყო ბარის ნაყოფიერი მიწებისაკენ გადასახლებულიყო. ოქროს ურდოს დასუსტების კვალობაზე ისინი XIV ს-დან სახლდებიან სუნჯის სამხრეთით და აქედან აღმოსავლეთით კაჩკალიკის ქედამდე.

გადასახლების პროცესს მეთაურობდნენ მაღალმთიანი რაიონების საზოგადოებანი. აკის მთებიდან გამოსულებმა, ხალხური თქმულებით, ველზე უკვე XIV ს. ბოლოს დაარსეს ჩეჩნური სოფლები ნარჩხოი და იურტ-აული. რუსული წყაროები მათ ოკოკებს უწოდებდნენ, მათ მიერ დასახლებულ ადგილებს კი — ოკოკთა მიწებს (окоцкие земли). ესენი იმავდროულად სახლდებიან ყუმიყთა დაბლობის დასავლეთ ნაწილში. სუნჯის ტყიან მთისძირობაზე გაჩნდა ვეინახთა სოფლები — ვერმენჩუკი, ჩეჩენ-აული, პონტოროი, კურჩალი, შალი და სხვ.

გადმოსახლებულ ვეინახთა ეკონომიური ცხოვრება გაუმჯობესდა, მაგრამ ყაბარდოელ, ყუმიყ და დაღესტნელ ფეოდალთა დამოკიდებულებაში მოქცევის ხარჯზე.

ვეინახებში არსებობდა ხელოსნური წარმოებაც. წერილობითი წყაროები დუმან ამის შესახებ, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების მასალები ავლენენ ლითონის ნაწარმს. საყოველთაო გავრცელება და განვითარება მოიპოვა თიხის ჭურჭლის დამზადებამ. ს. დუბა-იურტთან XI—XIII სს. დათარიღებული ჭურჭლის გამოსაწვავი ღუმელი აღმო-

ჩნდა, იშხოი-იურტთან კი XIII—XV სს. გუმბათიანი ქურა წუნის ნაშთებით. გამოყენებული. ყოფილა სამეთუნეო წრე. არქეოლოგიური მასალა მოწმობს საბრძოლო იარაღის დამზადების, საიუველირო, ქვის დამუშავების, ქსოვის, სამშენებლო და სხვ. დარგების არსებობას.

XI—XV სს. ვეინახებში უნდა არსებულიყო გარკვეული სახის შინაგანი გაცვლა-გამოცვლა. მთისა და ბარის რაიონების არსებობა ასეთი გაცვლა-გამოცვლის ბუნებრივი საფუძველი იყო.

უფრო ფართო მონაწილეობა უნდა მიეღოთ ვეინახებს იმდროინდელ საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელშიც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის ხელსაყრელობის შედეგად ჩაბმული აღმოჩნდა ჩრდილო კავკასიაც. ვეინახელები დაკავშირებული იყვნენ დარიალის გზასთან, მათ ტერიტორიაზე გადადიოდა შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი სავაჭრო მაგისტრალიც. ალანთა ამდროინდელი ქალაქები ჩრდილო კავკასიაში ვეინახებისათვისაც წარმოადგენდნენ სავაჭრო ცენტრებს.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. საწარმოო ძალთა განვითარება ჩეჩნეთ-ინგუშეთში ორგანულადაა დაკავშირებული პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობების რღვევისა და ადრეფეოდალური ურთიერთობების ჩასახვა-განვითარების პროცესთან. ცნობილია, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთის დასავლეთი რაიონები ალან-ოსთა სახელმწიფოში შედიოდნენ. ისინი, ბუნებრივია, იმ სოციალური ურთიერთობების მიღმა ვერ დარჩებოდნენ, რომლებიც ალან-ოსთა სახელმწიფოში ჩამოყალიბდა.

მონღოლთა შემოსევამდე ვეინახებში უნდა ყოფილიყო გაბატონებული სოციალური ფენა, რომელიც ფეოდალური ნიშნით ვითარდებოდა. თამარის ისტორიკოსი — „ისტორიანი და აზმანის" ავტორი XIII ს. დამდეგის ამბებთან დაკავშირებით იხსენიებს „დურძუკთა მეფეებს", რომლებიც სხვა არა არიან, თუ არა ფეოდალურ კლასად ჩამოყალიბების პროცესში საკმაოდ დიდი გზა გავლილი ტომთა ბელადები. ფეოდალიზაციის გზით მიდიოდა საგვარეულო არისტოკრატიაც. ვეინახებში ამ პროცესის საკმაოდ ინტენსიურ ხასიათს უნდა მოწმობდეს ქრისტიანობის გავრცელება ცენტრალურ ჩრდილო კავკასიაში და XI—XII სს. რიგი ქრისტიანული ტაძრების აღმოცენება ინგუშეთის მთებში, უპირატესად — მდ. ასსის ხეობაში. ეს რელიგია კლასობრივი იყო და მისი თუნდაც გარედან გავრცელება ქვეყნის შიგნით გარკვეულ კლასობრივ (ფეოდალურ) დიფერენციაციას გულისხმობდა.

გაბატონებული კლასის გვერდით უნდა არსებულიყო დამორჩილებული კლასიც, რომელიც დამოკიდებული იყო „მეფეებსა" და

ბელადებზე. ჩვენ არ ვიცით როგორი სოციალური ურთიერთობა არსებობდა განსახილველი პერიოდის ვეინახებში, რა მიმართებაში იყვნენ ცალკეული სოციალური ფენები ერთმანეთთან, მაგრამ შეიძლება დავუშვათ რომ სახნავი მიწები უკვე მიტაცებული ჰქონდათ ძლიერ გვარებს. ესეთ გვართა ბელადები იქცეოდნენ ფეოდალურ კლასად.

დამოკიდებული ფენები მრავალრიცხოვანი ვერ იქნებოდნენ, ვინაიდან გვაროვნული წყობის რღვევა ჯერ ინტენსიური არ იყო და მისი ძლიერი ტენდენციები ფეოდალიზაციის პროცესს აფერხებდა. საზოგადოების ძირითად ნაწილს თავისუფალი მეთემეები შეადგენდნენ, რომლებიც ფხიზლად, გვაროვნული ორგანიზაციის მეშვეობით წარმატებით უმკლავდებოდნენ ფეოდალურ ტენდენციებს და შეინარჩუნეს თავისუფლება.

ვეინახებში ადგილი ჰქონდა პატრიარქალურ მონობასაც. მონებად უპირატესად სამხედრო ტყვეობის ნიადაგზე იქცეოდნენ. მათ საოჯახო მეურნეობაში იყენებდნენ.

XI—XV სს. ვეინახების სოციალური ურთიერთობანი უნდა შეფასოთ როგორც ადრეფეოდალური ურთიერთობის ადრინდელი სტადია. მისი განვითარება შეფერხდა ჩრდილო კავკასიაში მონღოლთა შემოსევის შედეგად.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. ვეინახელი ხალხის ისტორიის XI—XIII სს. ხანა ცენტრალურ ჩრდილო კავკასიაში ალან-ოსთა სახელმწიფოს არსებობის ხანას ემთხვევა. ალანთა სახელმწიფო აღმოსავლეთით მდ. არღუნამდე აღწევდა და ვეინახური ტომების ნაწილსაც მოიცავდა. მათი პოლიტიკური ისტორიაც ალანებთანაა დაკავშირებული. ვეინახების აღმოსავლეთი ნაწილი არ შემოდიოდა მასში.

ვეინახების ის ნაწილი რომელიც მთიანეთის რაიონებში ცხოვრობდა, XI-ს-დან დაწყებული საქართველოს პოლიტიკურ გავლენაში ექცევა. დავით აღმაშენებელის დროიდან, განსაკუთრებით თამარ მეფის დროს, საქართველოს გავლენა მათზე უნდა განმტკიცებულიყო და მათი ურთიერთობა ყმადნაფიცობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული. ამას მოწმობს „ისტორიანი და აზმანი“-ში დაცული ის ფაქტი, რომ როცა დიდოელები და ფხოველები აუჯანყდნენ საქართველოს ხელისუფლებას. აჯანყების ჩასაქრობად მისულმა ივანე ათაბაგმა მთელი საქართველოს მთიელები შემოიყარა და დიდოელთა და ფხოველთა მთაზე მოხერხებული პოზიცია დაიკავა — „ერთკერძო დაურჩა დურძუკეთი და ერთკერძო დიდოეთი და ფხოეთი“.

„ცნეს რა მისლვა ათაბაგისა, მოვიდეს ძღუნითა მეფენი დურძუკთანი, მოსცეს ლაშქარი და დაუდგეს გვერდსა“. როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება შიშობდა, რომ დურძუკები შეიძლება

აჯანყებულებს მიუდგნენ და ისეთი პოზიცია დაიკავა. რათა გაეთიშა ეს ძალები, არ მიეცა შეერთების საშუალება. დურძუკები იძულებული იყვნენ ლაშქრით შეერთებოდნენ საქართველოს ჯარს და მონაწილეობა მიეღოთ აჯანყების ჩაქრობაში.

საქართველო-ვეინახების ურთიერთობას ორმხრივი საფუძველი ჰქონდა. საქართველოსათვის ვეინახები წარმოადგენდნენ ძალას, რომლის გამოყენება შეეძლო როგორც საგარეო, ასევე შინაგანი მტრების წინააღმდეგ. ვეინახები წარმოადგენდნენ ერთგვარ ფარს ჩრდილოეთიდან მომთაბარეთა შემოტევის წინააღმდეგ, ანგრეთვე პლაცდარმს ჩრდილოეთის მიმართულებით საქართველოს პოლიტიკური ექსპანსიისათვის.

ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ვეინახებს თავის მსრივ საქართველოსთან კავშირს უკარნახებდნენ. სამხედრო მხარდაჭერისათვის ისინი გარკვეულ საზღაურს იღებდნენ. მათი სოციალური ზედაფენები საქართველოს მხარდაჭერას იყენებდნენ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

დურძუკთა ვასალური დამოკიდებულება საქართველოზე გრძელდება თამარის შემდეგაც — მონღოლთა შემოსევამდე. ყამთააღმწერლის (XIV ს. ისტორიკოსი) ცნობით რუსუდან მეფემ ჯალალედინის მეორე შემოსევისას 1226—27 წწ. შეკრიბა თავის სამეფოს ლაშქარი, „განუხუნა კარნი დარიალისანი და გამოიყვანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი. შეკრბეს ნაჭარმაგევს სიმრავლე ურიცხვ, და წარავლინა მეფემან ბრძოლად ხუარაზმელთა“.

საქართველო თავის პოლიტიკური გავლენის გავრცელებისათვის ვეინახელებში (ისევე როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა მთიელებში) ქრისტიანობის გაძლიერებულ პროპაგანდას ეწეოდა, რასაც მატერიალურ საფუძველსაც უქმნიდა ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობის გზით.

XII ს. მოყოლებული ინგუშეთის მთებში ჩნდება ტაძრები, „ალბიერდი“, ტარგიმი, ტხაბაერდი“ (ნიშნავს „ღვთაების ტაძარს“). ამ უკანასკნელთან, რომელიც აღსანიშნავია თავისი მოცულობითაც და დეკორატიული გაფორმებითაც, ყოფილა მონასტერი და საეპისკოპოსო კათედრა. ამ ტაძრებზე XII—XIII სს. ქართული წარწერების ფრაგმენტებია, ფსალმუნიც აღმოჩნდა ასსის ხეობაში. ყველაფერი ეს საქართველოს გავლენის სიძლიერეს მოწმობს.

ვეინახებს ამ პერიოდში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ ხალხებთანაც — ოსებთან, რომელთაც ველზე მცხოვრებნი კიდეც ემორჩილებოდნენ, ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულ ყივჩაღებთან, აღმოსავლეთით დაღესტნელებთან — ავარებსა და დიდოელებთან.

XIII ს. 20-იან წლებში, კერძოდ 1222 წ. ჩრდილო კავკასიაში გამოჩნდნენ მონღოლები ჯებე და სუბუდაის სარდლობით. მათ ცალცალკე დაამარცხეს ოსები და ყივჩაღები. საბოლოო დაპყრობა ცენტრალური ჩრდილო კავკასიისა, მათ შორის ჩეჩნეთ-ინგუშეთისა 1238—39 წწ. მოხდა და დაკავშირებულია მანგუ ყაენის სახელთან. დაპყრობილი ტერიტორიები შევიდა ოქროს ურდოს შემადგენლობაში. მათ თერგისა და სუნჯის ბასეინების ნაყოფიერი ველები თავის საძოვრებად აქციეს, ადგილობრივი მოსახლეობა კი ქოთებში ჩაკეტეს.

ვეინახებისათვის მონღოლთა უღელი უფრო სამძიმო შეიქმნა, როცა XIII ს. მეორე ნახევრიდან თერგისა და სუნჯის ბასეინი ულაგუიდებისა (ილხანებისა) და ოქროს ურდოს ყაენების სისხლისმღვრელი ბრძოლების ასპარეზი გახდა. ბრძოლაში ხან ერთი მხარე იმარჯვებდა, ხან მეორე, ადგილობრივი ხალხებისათვის კი შემდგომი ნგრევა და აოხრება მოჰქონდათ.

XV ს. მეორე ნახევრიდან ოქროს ურდო დაიშალა. 1380 წელს კულიკოვის ველზე რუსების მიერ მიყენებული მარცხის შემდეგ ოქროს ურდო წელში ვეღარ გაიმართა. ეს გამოიყენა შუა აზიელმა დამპყრობელმა თემურლენგმა. მისი ბრძოლა თოხთამიშთან 1395—96 წწ. ჩრდილო კავკასიაში — თერგისა და სუნჯის მიდამოებში გაიშალა. თემურმა სასტიკად დაამარცხა თოხთაქიში და შემდეგ ჩრდილო კავკასიელ ხალხთა განადგურება-დამორჩილებას შეუდგა.

ოქროს ურდო XV ს. დაიშალა ცალკეულ ულუსებად. ჩრდილო კავკასიის ხალხებზე მისი ბატონობაც შეწყდა. მონღოლთა ბატონობის დასუსტების კვალობაზე დასავლეთიდან წამოსული ყაბარდოელები იკავებენ თერგისა და სუნჯის სანაპიროებს და სახლდებიან იქ.

XV ს. შუა ხანებიდან ჩრდილო კავკასიას ახალი მტერი უჩნდება ყირიმის ხანების სახით. ეს გარემოება, აღმოსავლეთით გამოჭრილ ყაბარდოელებთან ერთად, აიძულებდა ვეინახებს მდინარეთა ხეობების შესავალში (მდ. მდ. არღუნზე, ფორტანგაზე, ასსზე, ხულხულაუზე), აგრეთვე მთისძირობის სხვა პუნქტებში (გამურზიევო, მდ. გერჩოჩთან და სხვ.) თავდაცვითი ხასიათის ნაგებობანი — კოშკები აეგოთ. ასეთ კოშკებს სათოფურები და მაშიყულები ჰქონდათ. ეს თავდაცვითი ნაგებობანი მთიანი რაიონებისაკენ ველზე დამკვიდრებულ ხალხთა შემოჭრას აკავებდნენ. მთიდან ეკონომიური მიზეზების გამო ველზე გადმოსახლებული ვეინახური სოფლები ყაბარდოელ და დაღესტნელ ფეოდალთა დამოკიდებულებაში ექცეოდნენ.

საქართველოსთან ვეინახების ურთიერთობა მონღოლთა შემოსევების გავლენით შეიცვალა. მონღოლთა ბატონობაში მოქცეული საქართველო დასუსტდა და მას ჩრდილო კავკასიაზე თავის პოლიტიკური გავლენის შენარჩუნება აღარ შეეძლო. როგორც კი გიორგი V ბრწყინ-

ვალემ (1314—1346) მოახერხა მონღოლთა ბატონობის უღლის მოშორება, მაშინვე სცადა კავკასიის მთიანეთში საქართველოს გავლენის აღდგენა. მისი ლაშქრობა დარიალის ხეობისაკენ ამ მიზანს ისახავდა. მას უნდა ეცადა ვეინახებზე თავის გავლენის აღდგენისათვის ქრისტიანული პროპაგანდა განეახლებინა. ამ მიზნით ის გზავნიდა მისიონერებს, მშენებლებს, რომლებიც ეკლესია-მონასტრებს აშენებდნენ. ამ საქმიანობას მოწმობს თიხის ჭურჭელი ქართული წარწერებით, საეკლესიო ჭურჭელი „გალიერდის" ტაძრიდან. საეკლესიო მშენებლობა ძირითადად ადგილობრივი ხელოსნების მიერ უნდა წარმოებულიყო, რადგან ეს ტაძრები (მაგ. „მაგი-ერდი" სოფ. სალგისთან, „ხანგე-სეგი" სოფ. ხანთან, „დელითე" სოფ. კართთან და სხვ.) თავისი არქიტექტურითა და მშენებლობის ტექნიკით ძალიან გვანან ადგილობრივ აკლდამებს

საქართველოს ცალკე სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ ვეინახების ურიერთობა გრძელდება კახეთთან. ვეინახების დამოკიდებულება კახეთზე ამ დროს ნომინალური იყო.

მონღოლთა შემოსევების შემდეგ ადგილი ჰქონდა ვეინახთა კავკასიის ქედის სამხრეთით, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებას, უპირატესად მის მთიან თემებში.

მთის პირობებში მცხოვრები ვეინახები მძარცველურ თავდასხმებსაც აწყობდნენ ფშავ-ხევსურებზე და უფრო სამხრეთითაც.

თუშეთის საზღვრებზე მათი გააქტიურებაც და შემოჟონვაც ამ პერიოდში იღებს სათავეს.

ვ ე ი ნ ა ხ თ ა კ უ ლ ტ უ რ ა. ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა ადგილობრივი ტომების მატერიალური კულტურის უწყვეტი განვითარების მაჩვენებელია.

ვეინახების ძველი საცხოვრებელი ნაგებობანი არ შემორჩა. მრავლად გვხვდება (განს. მთიან ინგუშეთში) მიწისქვეშა და ნახევრადმიწისქვეშა აკლდამები (კაშ-ები). ისინი ქვიტკირით იგებოდა და გადახურული იყო. აკლდამაში შედიოდა ოთხკუთხა ხვრელი. უკანა კედელში დატანებულია ნიშები, სადაც ინახავდნენ ჭურჭელს და წვრილ ნივთებს. მიცვალებულებს კარგი ტანსაცმლითა და სამკაულებით ათავსებდნენ ფიცრის ან ფიქლის თაროზე. აკლდამაში სდებდნენ საოჯახო ჭურჭელს, შრომისა და ბრძოლის იარაღებს.

ნახევრადმიწისქვეშა აკლდამები მთის ან ბორცვის კალთაზე კეთდებოდა. საამისოდ იყენებდნენ ბუნებრივ გამოქვაბულებსა და ნაპრალებს. შინაგანი წყობა ისეთივე იყო, რაც მიწისქვეშისა. ასეთ აკლ-

დამებს VII—XIV სს. ათარიღებენ. ეს მიწისქვეშა და ნახევრადმიწისქვეშა აკლდამები მომავალი აკლდამებისა და კოშკების არქიტექტურულ სათავეს წარმოადგენენ.

დამარხვა ქვის ყუთებშიც სცოდნიათ. მათ დიდი ლოდებისაგან აკეთებდნენ. ისინი X—XIII სს. თარიღდება და საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული (სოფ. ჰამეტთან, ფურტუოგთან, შუანთან, დატტიხში). ქვის ყუთები იარუსებადაა დაწყობილი ერთმანეთზე და მოწმობს მათ ხანგრძლივ ფუნქციონირებას. ქვის ყუთიანი სამარხები ბევრია ჩეჩნეთშიც. დამარხვის ეს წესი (დასავლური ორიენტაცია და მარჯვენა გვერდზე მწოლიარე მდგომარეობაში) სპეციფიკურია. იგი არც ჩრდილო ოსეთში, არც ყაბარდოში არ გვხვდება.

ალანთა დამახასიათებელი კატაკომბური სამარხები ამ პერიოდში ქრება, რაც იმის ნიშანია, რომ ალანები აქ ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვიფნენ.

ყაბარდოელების დასახლებასთან ერთად ჩეჩნეთ-ინგუშეთის ველის რაიონებში ჩნდება მათი დამახასიათებელი ყორღანული სამარხებიც. მიცვალებულს ასეთ სამარხში ზურგზე მწოლს თავით — დასავლეთით ათავსებდნენ და შიგ იარაღს — ხმლებს, ხანჯლებს, ისრის პირებს, სამკაულებს — საყურეებს, ბეჭდებს, ქამრის მორთულობას. სათამაშო კოჭებს და სხვ. ატანდნენ. ასეთი სამარხებია ს. ბამუტთან, აჩხოი-მარტანთან, ბაზორკინოსთან, კანტიშევოსთან, ნაზრანთან და სხვ. ადგილებში.

ოქროს ურდოს ბატონობის მატერიალური ძეგლი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არის ცნობილი ბორგა-კაშის მავზოლეუმის სახელწოდებით (1405—1406 წწ). იგი გაკეთებულია ვინმე ბეკ-სულტანის პატივსაცემად. ბორგა-კაში ვეინახურად ბორგას საფლავს ნიშნავს. ისტორიული ცნობები, ფოლკლორი, ტოპონიმიკა ადასტურებენ, რომ ბორგანებს აქ დიდი როლი უთამაშიათ. ვახუშტი სუნჯას ბორაღნის წყალს უწოდებს, ხოლო თერგში შესართავთან ასახელებს ს. ბორაღნს (ბრაგუნი).

ჩეჩენ-ინგუშეთის მატერიალური კულტურა XIII—XV სს. ერთიანობას ამჟღავნებს ჩრდილო ოსეთსა და უფრო დასავლეთ რაიონების ასეთსავე კულტურასთან. ყველგან გვხვდება ერთი ფორმის ხანჯლები, ისრის პირები, დანები, მაკრატლები, ცულები, სამკაულები და სხვ. ასევე ერთიანი მოჩანს თავის ფორმითა და ორნამენტიკით თიხის ჭურჭელი. ჭურჭელს ფარავდნენ სხვადასხვა დაშტამპული სახეებით (კუთხეები, როზეტები, წერტილები), პარალელური შტრიხებით, ტალღოვანი, ხაზოვანი და ზიგზაგოვანი ორნამენტებით. ეს ამ რაიონების მოსახლეობის საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობას ადასტურებს.

უფრო ნაკლების თქმა შეიძლება განსახილველი ხანის ვეინახების სულიერი კულტურის შესახებ. ეს აიხსნება იმით, რომ მათ საკუთარი დამწერლობა არ ჰქონდათ, სხვა ხალხთა წერილობითმა ძეგლებმა კი მათ შესახებ ძალიან ცოტა ცნობები შემოგვინახეს.

ვეინახების ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების შედეგად გარკვეული ზომით გავრცელდა ქართული დამწერლობა. ამას მოწმობს XII—XIII სს. ქართული ეპიგრაფიკა საკულტო ნაგებობებზე, ფსალმუნის აღმოჩენა ასსის ხეობაში, სადაც იყო ვეინახების ქრისტიანობის მთავარი ცენტრი. ვეინახებს შორის ქართული ენისა და წერაკითხვის მცოდნენი უნდა ყოფილიყვნენ.

ვეინახებში ქრისტიანობის საქართველოდან გავრცელებისა და საერთოდ კულტურული ურთიერთობის შედეგი იყო ქრისტიანულ კულტთან დაკავშირებული ტერმინების საქართველოდან გავრცელება. ჯვარს ჩეჩნ. და ინგუშ. ეწოდება ჯარ, მარხვას — მარხა. აღსანიშნავია კვირეულის სახელწოდებანიც. ჩეჩნ. ქირა, ინგ. კირა, წოვური კვირა აღნიშნავს ქართულ კვირას. ორშაბათს ჩეჩნ. ჰქვია ორშუოთ, ინგ. ორშოთ. პარასკევს — პერისკა (ჩეჩნ.), პარასკ (ინგ.). ვეინახურ და ქართულ ენებში მრავალი საერთო სიტყვაა, რომელთა ნაწილი ამ ენების გენეტიკური ერთიანობით იხსნება, ნაწილი კი ხანგრძლივი კულტურული ურთიერთობის შედეგია.

ვეინახებმა შექმნეს მდიდარი ფოლკლორი, რომელიც გარკვეული ზომით წერილობითი ისტორიის მაგივრობას ეწეოდა. ერთ-ერთ თქმულებაში ლაპარაკია „ცხენებზე ამხედრებული უთვალავი მტრის ურდოების შემოსევაზე, რომელთაც დაფარეს მიწა, როგორც უამინდობისას შავი ღრუბლები ფარავენ მზეს". ფოლკლორში ხშირადაა ლაპარაკი იურტებში მცხოვრებ მოსულთა მიერ მთასა და ველზე სამოსახლეობის განადგურებაზე, კოშკების აღყაზე, მათ წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაზე. ასეთ ლეგენდებში ხშირად იხსენებიან სუბედ (სუბუდაი), მანგა (მანგუ ყაენი), სარტა (სარტახი), თემური — ისტორიული პირები. ეს გარემოება ამ ლეგენდების შეთხზვის დროზე მიუთითებს.

§. 5. დაღესტანი XI-XV სს.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა განსახილველი ხანის დაღესტნის მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს მიწათმოქმედებას. ეს განსაკუთრებით ითქმის კასპიის ზღვის სანაპირო ზოლზე, რომლის ნაყოფიერი ველები ინტენსიური მიწათმოქმედებისათვის (მეგაღლეობა-მევენახეობა) ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. XIII ს. სპარსული გეოგრაფიულ თხზულებებში აღნიშნულია, რომ სერირი (მთიანი დაღესტანი) დიდი და კარგად დამუშავებული ოლქია, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით. XIII ს.

ბატორის ზაქარია ყაზვინის აღწერით, წახურელთა საკვები შედგება ქერის მაგვარი მარცვლეულისაგან, რომელსაც ჰქვია სულტი. თითოეული მცხოვრები თესავს იმდენ სულტს, რამდენიც სჭირდება.

მიწათმოქმედების დიდ როლს მოწმობს ყველაზე კარგად და მდიდრულად გაფორმებული დღესასწაული ავარიაში, დარღოში, ლაკებში, აგულებსა და სხვებთან საგაზაფხულო ხვნის დაწყების დღესასწაული. დაკავშირებული ძველ სამიწათმოქმედო კულტთან.

დერბენტის სამთავრო დაღესტნის ველს მოიცავდა. იქ ცხოვრობდნენ ლეკები (ლეზგინები), ტაბასარანელები, ტატები, აზერბაიჯანელები, აგრეთვე არაბთა ბატონობის ხანიდან დამკვიდრებული არაბები და სპარსელები. მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა იყო მიწათმოქმედება, მებალეობა. ყუმიყთა მიწაზე მდებარე ტარკი XIV ს. დასაწყისში ლაკის შამხალებს წელიწადში 2080 დრაქმ ბრინჯს უხდიდა თითოეულ კომლზე. ავარიის ხანების ყოველწლიურ შემოსავალში თითოეული კომლიდან შედიოდა თითო კილი (წონის ერთეული) ყველა სახის მარცვლეულიდან, რაც ითესებოდა. ყაზიყუმუხის შამხლის ზოგიერთი ქვეშევრდომების გამოსაღებთა შორის დასახელებულია ხორბალი და ბრინჯი.

დაღესტნის მთიან რაიონებში მეჟრნეობის ძირითად დარგს მესაქონელობა, კერძოდ მეცხვარეობა შეადგენდა. მეცხვარეობა გავრცელებული იყო ზღვის სანაპირო ზოლშიც, სადაც განვითარებული მიწათმოქმედება არსებობდა. მთიანეთში სწორედ მრავალრიცხოვანი ჯოგები და საძოვრები იყო ფეოდალური წრეების ბატონობის ეკონომიური საფუძველი. მოსახლეობის დაყმევების ძირითადი საშუალება აქ ფეოდალების მიერ საძოვრების მიტაცება იყო. ცხვრები, ხარები, ცხენები ფეოდალური რენტის ძირითადი სახეობა იყო დაღესტანში. მასალების უქონლობის გამო ჩვენ არ ვიცით მესაქონლეობის მასშტაბი და მისი შენახვის ორგანიზაცია, მაგრამ ცალკეულ საზოგადოებათაგან ფეოდალის სასარგებლოდ სასაძოვრო რენტის სახით ასეულობით ცხვრების, ათეულობით ხარებისა და ძროხების გადახდა კარგად მოწმობს მესაქონლეობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს.

დაღესტნის ბევრი მთიანი აული ხელოსნობის ამა თუ იმ დარგში იყო დასპეციალებული. ეს ხელს უწყობდა ხელოსნობის მაღალ დონეს. აული ყუბაჩი, ადრიდანვე ცნობილი საჭურველის დამზადებით, აღნიშნულ პერიოდშიც აგრძელებს და ავითარებს თავის ტრადიციას. ყუმუხი საიუველირო წარმოებით იყო ცნობილი, ახტი — ხალიჩებით. ანდი — მატყლის დამუშავებით, აკუშა — შალის დამზადებით, სულევკენტი და ბალახარი — თიხის ჭურჭლის წარმოებით, ქალაქი დერბენტი — ტილოს, ხალიჩების საიუველირო და კერამიკული წარმოებით.

დაღესტნელი იუველირები ფართოდ მიმართავდნენ მოსევადებას, გრავირებას და სხვა ხერხებს, რაც მათ პროდუქციას მაღალ მხატვრულ ღირებულებას აძლევდა. დაღესტანში იყვნენ ქვაზე კვეთის შესანიშნავი ოსტატებიც.

ხელოსნობა საოჯახო წარმოების ხასიათს ატარებდა. ხელოსნობის პროდუქცია არა მარტო შინაგან გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობდა, არამედ ქვეყნის გარეთაც მიდიოდა. ეს გარემოება მეურნეობის ნატურალურ ხასიათს, რა თქმა უნდა, ვერ ცვლიდა.

დაღესტნის ხალხებს განსაბილველ ხანაში უეჭველად ჰქონდათ ურთიერთშორის გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ მის შესახებ ისტორიული ცნობები არ შემოინახა. გაცილებით უკეთესად წარმოიდგინება მათი საგარეო ვაჭრობა.

დაღესტნის ზღვის სანაპირო ზოლზე უძველესი დროიდან გადადიოდა ჩრდილოეთის ქვეყნების სამხრეთის ქვეყნებთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი. ამ მაგისტრალზე მდებარეობდა ქალაქი დერბენტი — XI—XII სს. ერთ-ერთი უდიდესი და უმდიდრესი სანავსადგურო ქალაქი კავკასიაში. XIII—XV სს. იგი ასევეთვე სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად რჩებოდა წინა აზიიდან ოქროს ურდოში, რუსეთში და დასავლეთ ევროპაში მიმავალ გზაზე.

დერბენტი დიდ ვაჭრობას აწარმოებდა უცხო ქვეყნებთან. აქედან აზერბაიჯანის და ჩრდილოეთის ქვეყნებში გაჰქონდათ ყუბაჩური საჭურველი, ლეკური და ტაბასარანული ხალიჩები, ტილო, მატყლი, ხენდრო, ხილი.

დაღესტნელებს ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ თავის უშუალო მეზობლებთან — ქართველებთან, შირვანელებთან, ვეინახებთან და სხვ.

სოციალური ურთიერთობა. XI—XV სს. დაღესტანი ადრეფეოდალური ქვეყანაა. მოსახლეობა იყოფა ორ ძირითად კლასად — გაბატონებული ფეოდალური კლასი და დამორჩილებული კლასი. საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის პროცესს ქვეყნის შინაგანი განვითარების პროცესთან ერთად აჩქარებდა უცხო დამპყრობლების (არაბების და სხვ.) პოლიტიკა დაღესტანში.

ადგილობრივი ქრონიკები „ტარიხი-დაგესტან", „ასარი-დაგესტან", „გულისტან-ირამ" დაღისტნის ფეოდალურ ერთეულთა წარმოშობას არაბთა დაპყრობებთან აკავშირებენ, კერძოდ მაისუმები, უცმიები, შამხლები VIII ს. პირველი ნახევრის არაბი სარდლის მასლამას დანიშნულებად მიაჩნიათ. სინამდვილეში კი ტერმინები უცმია, მაისუმი, შამხალი XI—XIII სს. გაჩნდა. არაბებთან თავის გენეალო-

გიების დაკავშირება დაღესტნელ ფეოდალებს სჭირდებოდათ ისლამის მეშვეობით მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედებისათვის.

XI ს. დასაწყისისათვის დაღესტანში იყო მრავალი სამფლობელო: სერირი, გუმიკი, ფილანი, ზირიხგერანი, ტაბასარანი და სხვ. მათი მფლობელები გამაგრებულ ციხეებში ცხოვრობდნენ. ჰქონდათ თავდაცვისა და თავდასხმის საშუალებანი.

XIII—XV სს. ამ სამფლობელოთა ადგილებზე ჩნდება შედარებით მსხვილი ფეოდალური წარმონაქმნები — ავარიის სახანო, ყაზიყუმუხის საშამხლო, კაიტაგის საუცმიო, ტაბასარანის სამაისუმო. ამათ გარდა მთიან დაღესტანში მრავალი ნახევრად ფეოდალური დამოუკიდებელი საფლობელო იყო. თითოეულ ამ სამფლობელოში სხვადასხვა ფეოდალური წესი იყო.

ნიზამ ად-დინ შამი XIV ს. დამლევისათვის ადასტურებს დაღესტანში ლაკის და ავარიის შამხლების, მრავალრიცხოვანი ფეოდალური კლასის, ყუმიყი ემირების, მამასახლისების (ქალანთარების) არსებობას. ბევრი ფეოდალი თემურლენგისადმი მორჩილებით ცდილობდა სიცოცხლისა და სოციალური მდგომარეობის შენარჩუნებას. ისინი იღებდნენ იარლიყებს მფლობელობისა და გადასახადების აკრეფის უფლებაზე. ფეოდალები დამოკიდებულ გლეხთაგან ჰკრეფდნენ ნუკერების რაზმს და მათი მეშვეობით ახორციელებდნენ კლასობრივ ბატონობას.

ასე, რომ დაღესტანში გაბატონებულ კლასს შეადგენენ ხანები, შამხლები, უცმიები, მაისუმები, ბეგები. ექსპლოატირებულნი იყვნენ: დამოკიდებული გლეხების ფართო ფენები, მონები. გლეხები არამარტო ბეგარა-გადასახადებს უხდიდნენ ფეოდალს, არამედ ვალდებულნი იყვნენ მის სასარგებლოდ შრომითი ბეგარაც შეესრულებინათ.

ფეოდალ-მფლობელების მიერ საძოვრების მიტაცებით შედეგად თავისუფალი მეთემეები მათ დამოკიდებულებაში ექცეოდნენ. სათემო მიწების მითვისება ფეოდალებს ბატონობის იურიდიულ საფუძველს აძლევდა. ფეოდალური რენტა კანონად იქცა. ამის შესახებ შესანიშნავ მასალას იძლევა ავარიის სახანოში ნუკალების ყოველწლიური შემოსავლის ჩამოთვლა: ფულად თითოეული ოჯახიდან 3 ვერცხლის დირჰემი; თითო საწყაო მარცვლეულის იმ სახეობიდან, რაც ითესებოდა; ვისაც ცხვარი ჰყავდა ას კომლზე 1 ხარი; ვაჭრობიდან ორ-ორი ნაჭერი აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილი; ვენახის მქონეთგან — ყურძნის განსაზღვრული რაოდენობა. დანაშაულზე ფეოდალის სასარგებლოდ დაწესებული იყო ჯარიმა ცხვრებისა და ხარების სახით. ახალი მფლობელის ტახტზე ასვლისას თითოეული სოფელი ხუთ ხარს იხდიდა. გარდაცვალებისას — ცხენს. მფლობელის ოჯახის წევრთაგან ვინმეს დაქორწინებისას — თითო ძროხას და ორ-ორ ცხვარს.

ყიზიყუმუხის შამხლის ქვეშეურდომები ვალდებული იყვნენ მთებში საძოვრებისათვის ყოველწლიურად ეხადათ: კარახს—500 ცხვარი, კუსრახს — 300, ხიბილალს თითოეულ კომლზე 4 წელიწადში ერთხელ თითო ცხვარი, ჩამალალს — 500 ცხვარი, ტინდალს — 20 ხარი, არჩის — 130 ცხვარი, ხუმზს — 700 ცხვარი, 700 კილო ხორბალი და 60 საწყაო თაფლი, თუმალს — თითოეულ კომლზე ცხვარი და თითო საწყაო ხორბალი; თარგუს — კომლზე 2 სახი ბრინჯი; ბევრ სოფელსა და საზოგადოებას ევალებოდა ბატკნებისა და პროდუქტების გადახდა.

ფეოდალური გამოსაღებები ძირითადად ნატურალური ხასიათის იყო. იხსენიება ფულადი რენტაც, რომელსაც იხდიდნენ რომელიმე წარმოებაში დასპეციალებული აულები (ყუბაჩი, აკუშა, ანდი), მაგრამ არ იყო პირობები ფულადი რენტის ფართოდ გავრცელებისათვის. ფულადი ერთეული მხოლოდ დერბენტს ჰქონდა.

ამ გადასახადთა ჩამოთვლა კარგად გვიჩვენებს, რომ ძირითადი გადასახადი იყო სასაძოვრო რენტა. ფეოდალური ვალდებულებანი სწორედ ამ საფუძველზე იყო აღმოცენებული.

ფეოდალები თავის სამფლობელოში ახორციელებდნენ სასამართლოს, გადასახადების აკრეფას, ლაშქრის შეკრება-წინამძღოლობას.

ბეკები მართავდნენ სოფლებს შამხლების და სხვა მსხვილი ფეოდალების სახელით. ბუნებრივია, ისინი ექსპლოატაციას უწევდნენ მოსახლეობას თავის სასარგებლოდაც.

გაბატონებულ კლასს მიეკუთვნება მუსულმანური სამღვდელოებაც. იგი იდეოლოგიურ საფუძველს უქმნიდა ფეოდალების ბატონობას.

დაღესტნის საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა განისაზღვრებოდა ადათებით. განსახილველ ხანაში ეს ადათები ჯერ კიდევ არ იყო ჩაწერილი.

ფეოდალები ცდილობდნენ გლეხობა მიწაზე მიემაგრებინათ. საზოგადოებიდან გასვლის მსურველები დიდ ჯარიმას იხდიდნენ.

დაღესტნის XI—XV სს. სოციალური სინამდვილე მთელი რიგი ბუნდოვანი მომენტის მიუხედავად (სათანადო მასალების სიმცირის გამო) ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელ ყველა ძირითად ნიშანს შეიცავდა — ფეოდალურ საკუთრებას საძოვრებსა და ჯოგებზე, წვრილ მწარმოებელთა საკუთრებას, ნატურალური მეურნეობის საწარმოო ძალებს, შრომის სუსტ დანაწილებას, ნატურალური მეურნეობის ბატონობას და გარეეკონომიურ იძულებას.

გასაგებია, რომ ფეოდალური ურთიერთობების განვითარების დონე დაღესტანში ერთგვაროვანი არ იყო. მთიან ზოლში იგი შედარებით განუვითარებელი იყო, ზღვისპირა ზოლში კი—განვითარებული. ამ-

ასთან, მთიან დაღესტანში იყო მრავალი წვრილი თავისუფალი თემი (საზოგადოება) რომლებიც მსხვილი ფეოდალური ერთეულების გარშემო ჯგუფდებოდნენ.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. განსახილველ ხანაში დაღესტანი პოლიტიკური ერთეულების მექანიკურ ჯამს წარმოადგენდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დერბენტის სახანო. იგი მოიცავდა დაღესტნის ზღვისპირა ზოლს, აგრეთვე ტაბასარანთა მიწების ნაწილს. დერბენტის მმართველებს ორის მხრიდან უხდებოდათ თავის დაცვა — ჩრდილოეთიდან მომთაბარეთაგან, სამხრეთიდან კი — სელჩუკებისაგან (X I ს-დან), შემდეგ შირვანშაჰებისაგან. დერბენტის მმართველები საკუთარ მონეტასაც სჭრიდნენ.

შტაიცდებოდა ლაკის შამხალთა ხელისუფლება ცენტრით ყუმუხში. სხვა მფლობელთა ხარჯზე ისინი აფართოებდნენ თავის ტერიტორიას. მათ განსაკუთრებით იზიდავდა ზღვის სანაპირო ზოლი, რომელზეც გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა. ამ გზაზე აღზევებას იწყებს ყუმიყთა დასახლებული პუნქტი ტარკი, რომელიც X IV ს. დამდეგამდე ლაკის შამხალთა ვავლენაში იყო.

მთიან დაღესტანში ყველაზე ძლიერი ფეოდალური ერთეული იყო ავარიის სახანო. X IV ს. ბოლოდან ის თავის ბატონობას ავრცელებს ავარიის ფარგლებს გარეთაც.

მნიშვნელოვანი ფეოდალური ერთეულები იყვნენ კაიტაგის საუცმიო და ტაბასარანის სამაისუნო. ამ პერიოდში დაისახა ტენდენცია ქვეყნის გაერთიანებისათვის, მაგრამ ფეოდალურმა დაქუცმაცებულობამ, შინა ომებმა, ეკონომიური ბაზის სივიწროვემ არც შამხალს, არც ავარიის ხანს საშუალება არ მისცეს ქვეყანა გაეერთიანებინათ.

სამხრეთი დაღესტანი X IV ს. ბოლოდან შირვანის ხანებს ემორჩილებოდა. შირვანშაჰები ხალილულახ I (1417—1462) და ფარუხ-იასსარი (1464—1500) ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ იგი თავის გავლენაში. მათი გავლენის ქვეშ იყო წახური, კაიტაგი, ახტი.

განსახილველ ხანაში დაღესტნის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი შემდეგნაირად წარიმართა: X I ს. შუა ხანებიდან დერბენტის სამთავროს სამხრეთიდან თურქ-სელჩუკები უქმნიან საფრთხეს, შემდეგ საქართველო და შირვანის შაჰი ცდილობენ მასზე თავის კონტროლის დამყარებას.

X I I I ს. 20-იან წლებში ამიერკავკასიიდან ჩრდილო კავკასიაში მრავალი მონღოლები ჯგე და სუბუდაის მეთაურობით შირვანიდან დაღესტანს მიადგნენ. მათ დერბენტი ვერ აიღეს, მაგრამ ჩრდილოეთში გასვლა მოახერხეს.

სამაგიეროდ დერბენტი აიღეს მონღოლთაგან დამარცხებულმ

ყივჩაღებმა, რომელთაც როცა თავშესაფარი თხოვნით ვერ მიიღეს, ძალით აიღეს იგი.

შემდეგში დერბენტი მონღოლთა ჯარებმა აიღეს, მას „რკინის კარები" უწოდეს და იქ ოქროს ურდოს ყაენის მოხელე ჩააყენეს. აქედან მონღოლები ლაშქრობებს აწყობდნენ კაიტაგზე, ტაბასარანზე. ლაკებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ლაკების ქალაქი ყუმუხი 8-ჯერ დაუნგრევიათ.

დაღესტანი მალე ოქროს ურდოსა და ილხანების ბრძოლის ასპარეზად იქცა. ომები 100 წელი გრძელდებოდა. ამას მოჰყვა თემურლენგისა და ოქროს ურდოს ყაენ თოხთამიშის ბრძოლა. 1386 წელს თოხთამიში დერბენტით აზერბაიჯანში შემოიჭრა. სამხრეთიდან თემური შემოვიდა და შეებრძოლნენ ერთმანეთს. 1387 წ. თოხთამიში ისევე შემოიჭრა ჩრდილოეთიდან დაღესტანში. თემურიც დიდი ჯარით მოვიდა. მდ. სამურზე თოხთამიში დამარცხდა თემურის შვილის მირან-შაჰთან ბრძოლაში.

ეს ამბები 1388 წელსაც გამეორდა. ჩრდილოეთიდან შემოჭრილი თოხთამიში თემურმა კვლავ დაამარცხა. 1395 წ. თოხთამიშთან სუნჯაზე გამართულ გენერალურ ბრძოლამდე თემურმა კაიტაგელების სოფლები დაანგრია, ხალხი კი გაქცეტა, რადგან თოხთამიშს ემხრობოდნენ.

1396 წელს თერგსა და სულაკს შორის დაბანაკებული თემური თავს ეხმოდა გარშემო მცხოვრებთ. მას ორი მიუდგომელი სიმაგრე კული და ტანუსი შეუმუსრავს.

თემურის სიკვდილის შემდეგ (1405) დერბენტი შირვანის დამოკიდებულებაში მოექცა, დაღესტნის სხვა რაიონებმა კი მოისვენეს.

დაღესტნის ველზე მონღოლთა შემოსევების შედეგად მოხდა ეთნიკური ცვლილებანი. აქ ადრიდანვე ადგილობრივ ტომებს ერეოდნენ სარმატული. შემდეგ კი ხაზარული ეპოქიდან თურქულენოვანი ხალხები. XIII ს. პირველ ნახევარში ყივჩაღთა ენიშვნელოვანი მასების შემოჭრას ამ რაიონში მოჰყვა ეთნოგენეტური პროცესი, რომელიც თურქულენოვანი ყუმიყი ხალხის ფორმირებით დამთავრდა. ყუმიყთა კულტურა და ყოფა ცხადად ადასტურებს ამ პროცესში ადგილობრივი ტომების გადამწყვეტ როლს. ყივჩაღთა როლი ძირითადად თურქული ენის გავრცელებაში გამოიხატა.

XV ს. სეფევიდების ირანი უტევს შირვანსა და დაღესტანს. ირანის შემოსევებს ადგილი აქვს 1451,1488 და 1500 წწ. სპარსელი შეიხები ჯუნეიდი და ხეიდერი სარწმუნოებისათვის ბრძოლის საბაბით აწყობდნენ თავდასხმებს დაღესტანზე, მიჰყავდათ ტყვეები, რომელთაც არდაბილის მონათა ბაზარზე ჰყიდნენ. მაგრამ მისი დაპყრობა ვერ შესძლეს.

XV ს. მეორე ნახევრიდან შირვან-დაღესტანი ურთიერთობას ამყარებენ რუსეთთან. შირვან-დერბენტის მმართველმა ფარუხ-იასსარმა 1465 წელს ელჩი — ჰასანბეგი გაგზავნა მოსკოვში ვოლგისა და კასპიის გზით სავაჭრო ურთიერთობის მოსაწესრიგებლად. 1466 წელს ჰასანბეგი დაბრუნდა რუსული სავაჭრო ქარავანის თანხლებით, რომელსაც ცნობილი რუსი ვაჭარი-მოგზაური ათანასე ნიკიტინი ედგა სათავეში.

დ ა ღ ე ს ტ ნ ი ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ა ნ. საქართველოს განსახილველ ხანაში საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა დაღესტანთან. უკანასკნელის ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო პირობები განაპირობებდა ბართან მისი ეკონომიური ურთიერთობის აუცილებლობას. ეს გარემოება კი პოლიტიკური ურთიერთობისათვის კარგ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანების დაწყებისთანავე ადგილი აქვს ჩრდილო კავკასიის ხალხებზე თავის გავლენის გაბმტკიცების ცდებს. სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში ბაგრატ III შესახებ ნათქვამია: „ხოლო ამან ბაგრატ მეფემან კურაპალატმან დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმპყრობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენამდე, და ადარბადაგანი და შირვანი მოხარკე ყო სომხითისა კელმწიფებითა“...

წყაროებში არ ჩანს, რა ურთიერთობაა დამყარებული საქართველოსა და დაღესტანს შორის დავით აღმაშენებლამდე. დავითის ღროს საქართველო ებრძოდა სელჩუკ სულთანებს ჩრდილო აზერბაიჯანში (შირვანში). ორივე მხარეს აინტერესებდათ დარუბანდის გასასვლელი — ეს უძველესი საქარავნო გზა. 1123 წელს დავითმა შირვანში სასტიკად დაამარცხა სელჩუკი სულთანი. 1124 წლის აპრილში დავითი ჯარით „დაესხნეს შაბურანს, დარუბანდელსა, და მოსწყჳდნეს ქურდნი, ლეკნი და ყივჩაღნი დარუბანდელისანი და აღიხუნეს შარვანისა ციხენი ღასანნი და ხოზაონდი და მიმდგომი მათი ქუეყანა“.

დავითი სათანადოდ აფასებდა დარუბანდის კარების დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას, მას საკმაოდ არ მიუჩნევია სამხედრო ღონისძიებების გატარება და იმ ხალხთა მოსყიდვა-მოშადლიერების ხერხებსაც ზიმართავდა: „...აღავსნა კეთილითა და საბოძვარითა ქურდნი, ლეკნი და თარასნი“. ამ გზით დარუბანდის მთავრებს ლეკების, ქურთებისა და სხვათა სახით დამხმარე ძალა ჩამოაცალა და მათთან ბრძოლა გაიადვილა.

გიორგი III მტკიცედ ეპყრა შირვანის ქვეყანა, რომლის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით იგი „მივიდა ვიდრე ჟართამდის და-

რუბანდისა. მოაოჯრა ქვეყანა მუსკურისა და შარაბამისა. და აღო შაბურანი“.

დაღესტნელები ხშირად ცენტრალური ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალების მოკავშირეებად გამოდიოდნენ. გიორგის წინააღმდეგ გამოსულ დემნა უფლისწულს სხვა დიდებულებთან ერთად მიემხრო ჰერეთის ერისთავიც, რომელმაც გამოიყვანა ლეკები და სხვა მთიელები. გიორგიმ გაგზავნა მის ერთგულებაში დარჩენილი ლაშქარი „მესხნი, თორელნი, ქართლელნი, სომხითარი და თჳთ გაზრდილი მისი მეჯინიბეთ-უხუცესი ჭიაბერი, და მოვიდეს ქვეყანასა ჰერეთისასა და მუნით მოვიდეს ჰერეთს ერისთავი და ყოველნი ჰერნი სრულითა ლეკითა და კავკასითა. და შეექმნეს ომნი ფიცხელნი... და გადააქცივეს ჰერნი, დიდებულნი აზნაურნი, და ლეკნი“...

დავით აღმაშენებლის დროიდან დაღესტნელთა ზოგიერთი თემი საქართველოს მორჩილებაში იყო და ხარკსაც უხდიდა. მაგრამ ეს მორჩილება არ იყო უთუო და უთუმცაო. ისინი ყოველ მომენტს იყენებდნენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. გიორგი რუსის აჯანყებისას მას მიერთო „სიმრავლე ყოვლისა კავკასიისა და მთეულობისა“.

თეიმურაზ ბაგრატიონს, ეხება რა კახთა მეფეებისაგან ლეკთა დამოკიდებულებას და მათთვის ხარკისა და ბეგარის გადახდას, მოჰყავს გადმოცემა ასეთივე მეხარკე-მებეგრეობის შესახებ თამარის დროსაც. ბატკნები ხარკის ანგარიშში ლეკებს ზურგით მოჰყავდათ. რომ არ გამხდარიყვნენ. თანაც ეს სიმბოლურად უფრო დამონებულს ნიშნავდა. როცა თამარს შემოხვდნენ ლეკები, რომლებიც მოერეკებოდნენ ბატკნებს, მან კატეგორიულად მოსთხოვა ზურგით მოეყვანათ ისინი.

საქართველოს სამეფო კარი აქტიურად ერეოდა დაღესტნის პოლიტიკური ერთეულების საშინაო ცხოვრებაში, თავისთვის სასურველ პიროვნებას სვამდა ხელისუფლების სათავეში. ამას აღნიშნავს ბასილ ეზოსმოძღვარი თამარ მეფის შესახებ: „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდეგნილნი სამეფოდვე თჳსად კუალად აგნა... და ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დ ა რ უ ბ ა ნ დ ე ლ თ ა, ღ უ ნ ძ თ ა, ო ვ ს თ ა, ქ ა შ ა გ თ ა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა აქის მიერ იყუნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ შემოგვინახა ცნობები ერთ-ერთი დაღესტნური ტომის — დიდოელების აჯანყების შესახებ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ თამარ მეფის დროს 1204

წელს. აჯანყებაში მონაწილეობდნენ ფხოველებიც (თუშ-ფშავ-ხევსურთა წინაპრები). ეს იყო მთიანეთის აჯანყება ბარის პოლიტიკური ბატონობის წინააღმდეგ. ივანე ათაბაგმა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალების გამოყენებით აჯანყებულნი გადიშა სხვა მეზობელ ხალხთაგან და სამთვიანი ბრძოლის შემდეგ იძულებული გახადა მიეცათ მძევლები და ძველებურად მორჩილება და ხარკი ეკისრათ.

მონღოლთა შემოსევებმა საქართველო პოლიტიკურად დაასუსტა. მათ ეოჰყვა თემურლენგის მრავალგზისი გამანადგურებელი შემოსევა საქართველოსა და საერთოდ კავკასიაზე. ამ ამბებმა მოძრაობაში მოიყვანა მთის ტომებიც. იწყება ზოგიერთი დაღესტნური ტომის სამხრეთით — ბარისაკენ წამოწევა. ღუნძები გზაზე ერეოდნენ ფხოველებს და სამხრეთით მოიწევდნენ, ვრცელდებოდნენ აღმოსავლეთ კახეთის უკიდურეს ჩრდილო რაიონებში.

დაღესტნელები იძულებული იყვნენ თემურლენგის მხარეზე გადასულიყვნენ. ბერი ეგნატაშვილის (XVIII ს.) ცნობით, როცა 1393 წელს თემურმა ქართლ-კახეთი დაარბია და შაქს მივიდა, „მოერთნეს ყოველივე მკვდრნი მის ადგილისანი, დიდებულნი და მცირენი, კავკასიანნი და ლეკნი...“.

თემურის დროიდან დაღესტანში ძალით თუ ნებით ინტენსიურად ვრცელდებოდა ისლამი. ამ ნიადაგზე მათი ურთიერთობა ქრისტიანულ საქართველოსთან თანდათან მტრულ ხასიათს იღებს. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ცდა — აღადგინოს თავისი გავლენა დაღესტანზე, წარმატებას ვერ აღწევს. მართალია, თეიმურაზ ბაგრატიონი ალექსანდრე 1 (1414—1442) მიაწერს, რომ „განდევნა იქიდან მოლები და წინა წესზევე მოაგნა“, მაგრამ ეს ზომები საქმეს ვეღარ შველოდა. მომდევნო ხანაში უკვე იწყება დაღესტნელი ფეოდალების სისტემატური მძარცველური თავდასხმები ქართლ-კახეთზე, რითაც დიდი ზიანი მიაყენეს მას.

კ ულ ტ უ რ ა. დაღესტნის ხალხებმა შექმნეს თვითმყოფი კულტურა. მატერიალური კულტურის ძეგლებიდან პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ხასიათის შენობები (ციხეები, კოშკები). საცხოვრებელი შენობები მთაში ქვისა იყო, ბარში — მიწური. თავდაცვითი ხასიათის ძეგლებიდან მნიშვნელოვანი იყო დერბენტის გამაგრებული კომპლექსი, რომელიც ჩრდილოეთიდან მიმავალ მომთაბარეებს აკავებდა. იგი ზღვის ნაპირებიდან მთის კალთებს მიჰყვებოდა დიდ მანძილზე.

დაღესტანში შუა საუკუნეებში მაღალ განვითარებას მიაღწია ქვაზე კვეთამ. კვეთდნენ ნადირობის, მსხვერპლშეწირვის, გართობის

შრომისა და სხვა იარაღების, ცხოველების გამოსახულებებს. შემორჩა ხეზე კვეთის შესანიშნავი ნიმუშებიც.

დაღესტნურ ენებზე დამწერლობა ჯერ კიდევ არ არსებობდა, მაგრამ მათ შექმნეს შინაარსობლივად მდიდარი და გამომსახველი საწესჩვეულებო პოეზია (საქორწინო სიმღერები, მიცვალებულთა დასატირებელი და ა. შ.), ზღაპრების ციკლები ფრინველებზე, ცხოველებზე, ადამიანებზე.

შუა საუკუნეების დაღესტნურ ზეპირ მეტყველებაში დიდ ადგილს იკავებენ ისტორიული ლეგენდები და გადმოცემები. ისინი მოგვითხრობენ დაღესტნელთა გმირულ ბრძოლაზე უცხოელ დამპყრობელთა (არაბების, მონღოლების, თემურლენგის, სპარსელების) წინააღმდეგ, ქრისტიანობისა და ისლამის ურთიერთობის შესახებ.

დაღესტანში XI—XV სს. არ იყო ერთიანი რელიგია. ქრისტიანობის გავრცელება იწყება ჯერ კიდევ IV ს-დან სომხეთიდან და ალბანეთიდან, ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის დროიდან კი ქრისტიანობა ვრცელდება საქართველოდან. მაჰმადიანობა, VIII ს. პირველი ნახევრიდან გავრცელდა დაღესტანში, არაბი სარდლის მასლამას ლაშქრობასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს ორივე რელიგია განსახილველი პერიოდის დასაწყისში მხოლოდ გაბატონებულ წრეებში იყო გავრცელებული. მოსახლეობის ფართო ფენები წარმართებად რჩებოდნენ. აქ მკაფიოდ გამოსჭვივის რელიგიის კლასობრივი ხასიათი.

განაგრძობდნენ არსებობას ტოტემისტური და კოსმოგონიური წარმოდგენებიც. ბევრ ადგილას რჩებოდა ცეცხლისა და მზის თაყვანისცემის გადმონაშთები. ზოგ ავარულ სოფელში უმაღლესი საფიცარი იყო ცეცხლი და მნათობები. ლაკებში მზის ღმერთი წარმართული პანთეონის უმაღლესი ღვთაება იყო

დაღესტნის საზოგადოების ფეოდალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, საგარეო პოლიტიკური მომენტების — მონღოლების, თემურლენგის, შემდეგ ირანის ლაშქრობების და გავლენის — თავისებურებების შედეგად ღრმავდება ისლამიზაციის პროცესი. მისი გავრცელების ცენტრებია შირვან-დერბენტ-გილანი. პირველად იგი დერბენტსა და სამხრეთ დაღესტანში ვრცელდებოდა. განსაკუთრებით დიდი ღონისძიებები გაატარა ისლამის ძალით გასავრცელებლად თემურლენგმა

XII—XIV სს. დაღესტნის ტერიტორიაზე მრავლად გვხვდება არაბული ეპიგრაფიკის ძეგლები. საზოგადოებაში მრავლდება ყადებისა და მოლების რიცხვი, იზრდება მათი გავლენა. XV ს. უკვე იხსენიებიან მექასა და მედინაში — მაჰმადიანთა „წმინდა“ ადგილებში ნამყოფი დაღესტნელები.

ყუმუხში XI—XIII სს. თარიღდება ისლამის გავრცელება, ყუბაჩ-ში—XV ს-ით. 1395 წელს თემურლენგი ურწმუნოების საბაბით ყუბა-ჩელთა და კაიტაგელთა განადგურებას მოითხოვდა, 1395 წ. მან დაი-მორჩილა ისინი და ისლამი მიაღებინა. ყუბაჩის მედრესეზე 1404 წლის წარწერაა, ყალა-ყორიეშში კი—1422 წლისა.

მუსლიმანობას მრავალი მიმდევარი აღმოაჩნდა ავარებს შორისაც. ამას მოწმობს კუფური წარწერების სიმრავლე ხუნძახიდან. იქვე აღ-მოჩნდა XV ს. დათარიღებული ერთადერთი ადგილობრივი ნაწარმოები არაბულ ენაზე.

XV საუკუნისათვის დაღესტნის გამაჰმადიანება ძირითადად და-მთავრდა.

საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების ხანაში დაღესტანში ვრცელდებოდა ქრისტიანობა, განსაკუთრებით მის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი დავითს დიდ დამსა-ხურებად უთვლის ქრისტიანობის გავრცელებას მეზობელ ხალხებში როცა წერს: „რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ემბაზისად მოიყვანნა და შეაწყუნარნა ქრისტესა“. მაგრამ ქრისტიანობამ მტკიცედ ვერ მოიკიდა ფეხი. თამარის მეფობის დროსაც კი საქართ-ველოს ქვეშევრდომობაში მყოფი დიდოელები ძალიან შორს იყვნენ ნამდვილი ქრისტიანობისაგან. მონღოლთა შემოსევების შემდეგ სა-ქართველოს სახელმწიფო დასუსტდა და იმ ძალით ვეღარ შესძლო სამისიონერო საქმიანობის წარმოება. XIII ს. 70-იან წწ. ბელაქნიდან ლეკთა გაქრისტიანებისათვის იღწვოდა პიმენ სალოსი. ყამთაღმწე-რელის ცნობით, „პიმენ სალოსი... გარეჯით წარმოვიდა და დაემკვდ-რა ბელაქანს ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი ლეკთა წარმართთო-საგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“.

ანწუხში, წახურში, გინუხში ქრისტიანული ეკლესიები იყო. ასე-თივე საყდარი იყო სოფ. დათუნასთან (ხუნძახის ახლოს). მთიან დაღესტანში, მაგალითად ხუნძახსა და სხვაგან მრავლადაა ქრისტიანუ-ლი სამაროვნები.

მრავლად აღმოჩნდა ქვა-ჯვრები ქართული და ქართულ-ავარული წარწერებით ხუნძახის, გუნიბის, უნცუკულის და სხვ. რაიონებში. ქართულ-ავარული წარწერები ქართული გრაფიკის საფუძველზე მო-წმობენ, რომ ადგილი ჰქონია ქართული დამწერლობის ბაზაზე ავარუ-ლი დამწერლობის შექმნის ცდას.

მაგრამ საქართველოს პოლიტიკურმა დასუსტებამ და დაშლამ დაღესტნის მთიანეთში ქრისტიანობის შემდგომი გავრცელება-გა-ნმტკიცება ვეღარ უზრუნველჰყო და მისი ადგილი თანდათან ისლამმა დაიკავა.

დაღესტანში განსახილველ პერიოდში გამოიყენებოდა ფეხლევური და არაბული დამწერლობა. ისლამის გავრცელება-გამტკიცებასთან ერთად არაბული ენა და დამწერლობა ფართოდ ვრცელდებოდა.

XIII ს. ავტორი ზაქარია ყაზვინი სოფ. წახურში ასახელებდა მედრესეს, სადაც იყვნენ მოსწავლეები და მასწავლებლები.

ადგილი აქვს არაბული დამწერლობის ბაზაზე საკუთარი დამწერლობის შექმნის ცდებს. ზაქარია ყაზვინი წახურის აღწერისას აღნიშნავდა, რომ მათ თარგმნეს ორი არაბული წიგნი ლეზგების ენაზე და მით ხელმძღვანელობენო.

ყველაზე ადრინდელი ადგილობრივი ნაწარმოები ჩვენამდე მოღწეულთაგან არის ვინმე ახდიელი ალი მირზას დაწერილი „გახდუნიკის ანდერძი" (1485 წ.).

არაბული დამწერლობის ბაზაზე ხდებოდა ადგილობრივ სასულიერო პირთა მომზადება. XV საუკუნიდან გვხვდება ადგილობრივ პირთა მიერ გადაწერილი არაბი ავტორების თხზულებანი და თხზულებათა კრებულები.

დაღესტნის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურა მეზობელი ხალხების კულტურასთან ურთიერთობით მდიდრდებოდა და ვითარდებოდა.

თ ა ვ ი IV

ჩრდილო კავკასიის ხალხები XVI—XVII სს.

§ 1. ადიღე-ჩერქეზეთი XVI—XVII სს.

XVI—XVII საუკუნეებში ადიღე-ჩერქეზულ ტომებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, თუმცა ადრეულ საუკუნეებთან შედარებით გარკვეული ცვლილებები განუცდია. თუ, მაგალითად, ადრე ეს ტომები მდინარე ყუბანის ორივე მხარეს ფლობდნენ, აღნიშნულ ხანაში ადიღე-ჩერქეზეთის ჩრდილოეთი საზღვარი მდინარე ყუბანია. აღმოსავლეთით სასაზღვრო ხაზი მდინარე ლაბაზეა საგზულისხმებელი, დასავლეთით კი შავი ზღვა (ტამანიდან მდ. შახემდე). სამხრეთით ადიღე-ჩერქეზი ტომები კვლავ ძველ მეზობლებს, თავის მონათესავე აბაზებს ესაზღვრებოდნენ. ასე რომ, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენდა ადიღე-ჩერქეზთა ძირითადი მასის სამკვიდროს, რომელიც ლიტერატურაში უმეტესად დასავლეთ ჩერქეზეთის სახელითაა ცნობილი. ქართულ წყაროებში ადიღე-ჩერქეზები ჯიქების სახელით არიან ცნობილი, ხოლო საკუთრივ მოსახლეობა კი თავის თავს ადიღეს, ანტიხეს უწოდებდა.

აღნიშნულ საუკუნეებში ზემოთ დასახელებული ტერიტორია შემდეგი ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის ტომებით იყო დასახლებული: შაფსუღებით, ნატუხაელებით, ბჟედუღებით, აბაძეხებით, ტემირგოელებით, ხეგაკებით, ხატუკაელებით, ჟანეელებით, მახოშეველებით, ადამიელებით, მამხეგოელებით და სხვ. ცხოვრობდნენ აგრეთვე აბაზინელები და მცირე რაოდენობით ნოღაელები.

XVI—XVII საუკუნეების ადიღე-ჩერქეზთა ეკონომიკის ძირითად დარგებს კვლავ მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ვაჭრობა, შინამრეწველობა, ხელოსნობა და სხვ. წარმოადგენდნენ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ საუკუნეებში შესამჩნევად დაიწყო მიწათ-

მოქმედების დაქვეითება და მისი ხვედრითი წონის შემცირება ადიღე-ჩერქეზთა სამეურნეო ცხოვრებაში.

აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეული იყო ერთი მხრივ თურქეთ-ყირიმხანის გამუდმებული თავდასხმებისა და მათივე წყალობით ისეთი მეურნეობის განვითარებით, როგორიც ტყვე-მონების „წარმოება" იყო, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ ფეოდალიზაციის პროცესში რამდენადმე პროგრესის გზით მიმავალი ნატურალური მეურნეობა საგრძნობლად გაიყინა და კონსერვატული გახდა. ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით (გიორგი ინტერიანო, ჟან დე ლუკა, დორტელი დ'ასკოლი, ჟან ბატისტ ტავერნიე, ჟან შარდენი, ნ. ვიტსენი, პალასი, მ. პეისონელი, ი. გიულდენშტედტი და სხვ.) აღნიშნულ საუკუნეში ადიღე-ჩერქეზები მარცვლეულ კულტურათა შორის უმნიშვნელო რაოდენობით, ან სულ არ თესავდნენ პურეულს. ყველაზე გავრცელებული კულტურა იყო ღომი და სხვა მრავალი სახეობის ფეტვნაირი კულტურები, რომლებიც ფაქტიურად პურის მაგივრობას სწევდნენ. ითესებოდა აგრეთვე ჭვავი, კელიავი და ქერი. ადიღე-ჩერქეზების სოფლის მეურნეობა აქ გავრცელებული მარცვლეული კულტურებით ძლიერ სიახლოვეს იჩენდა დასავლეთ საქართველოსთან, სადაც შედარებით უმნიშვნელო ხვედრითი წონა ჰქონდა აგრეთვე ხორბლეულ კულტურებს და ძირითად საკვებად ასევე ღომი და სხვა ფეტვნაირები გამოიყენებოდა.

თავისთავად ცხადია, რომ ხსენებულ პერიოდში ადიღე-ჩერქეზებს მარცვლეულის მოყვანა-დამუშავების შესაბამისი აგროტექნიკა ჰქონდათ. რამდენადაც ადიღე-ჩერქეზეთი თავისი გეოგრაფიული პირობებით ძირითადად ორ სამიწათმოქმედო რაიონად — მთად და ბარად იყოფოდა, ამდენად ბარსა და მთიანეთის საშუალო ზონაში მიწის დამუშავება თავიდანვე სახვნელებითა და გამწევი ძალით ხდებოდა, ხოლო შედარებით უფრო მიუვალ ადგილებში კი საამისოდ თოხსა და წერაქვს იყენებდნენ.

ადიღე-ჩერქეზებმა აღნიშნულ საუკუნეებში იცოდნენ აგრეთვე ახოს გატეხაც.

მიწათმოქმედების სხვა დარგებს შორის გავრცელებული იყო მებაღეობა, მაგრამ მას ქვეყნის ეკონომიკაში მაინცდამაინც დიდი ხვედრითი წონა არა ჰქონდა. მებაღეობის შედარებით მეტი კულტურა იყო შაფსუღებში, უბიხებში და ნატუხაელებში.

ხილისაგან მზადდებოდა სხვადასხვაგვარი სასმელები. ასე, მაგალითად ვაშლისაგან ამზადებდნენ ღვინოს, არაყს კი მსხლის, ქლიავისა და სხვ. ნაყოფისაგან. XVI—XVII სს. წყაროები არ იცნობენ ადიღე-ჩერქეზეთში კულტურული მევენახეობის არსებობას. ბოსტნეულიდან,

ცნობილი იყო ლობიო, ცერცვი, სტაფილო, ხახვი, პარხალი, კომბოსტო და სხვ.

XVI—XVII სს. ადიღე-ჩერქეზეთის ეკონომიკაში მიწათმოქმედების განვითარების მიუხედავად, წამყვანი ადგილი მაინც მესაქონლეობას ეკავა.

ჟან ბატისტ ტავერნიესა და ნიკოლოზ ვიტსენის (XVII ს.) ტიპიური შეფასებით, ადიღე-ჩერქეზების მთავარ სიმდიდრეს საქონლის ჯოგები წარმოადგენდა, განსაკუთრებით კი მშვენიერი ცხენები და ცხვრები.

მესაქონლეობა ადიღე-ჩერქეზეთში არათანაბრად იყო განვითარებული, ასე, მაგალითად, უფრო მრავალრიცხოვანი ჯოგი ჰყავდათ დაბლობი ადგილებისა და საშუალო ზონის მცხოვრებლებს, ხოლო მაღალ მთიანეთში კი ეტანებოდნენ ისეთი პირუტყვის მოშენებას, რომელიც ნაკლებ საკვებსა და იოლ მოვლას მოითხოვდა—ოხა, სახედარი და სხვ. თუმცა ცხენი აქაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. საერთოდ მესაქონლეობაში წამყვანი იყო მეცხვარეობა და მეცხენეობა.

უცხოურ წყაროებში ადიღე-ჩერქეზთა მიერ დამზადებულ მატყლს იმ სანად ცნობილ ესპანურ მატყლს ადარებდნენ და იგი მათი ექსპორტის ერთ პირველთაგან საგანს შეადგენდა. მატყლი გაჰქონდათ ტამანში, კაფასა და კონსტანტინეპოლში.

ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეჭირა აგრეთვე მეცხენეობას, რომლის განვითარებას განსაკუთრებით აღნიშნულ საუკუნეებში, ალბათ, დიდად შეუწყო ხელი ომიანობის გახშირებამაც.

საუკუნეობრივი დაკვირვებათა და შეჯვარება-შერჩევის გზით, ადიღე-ჩერქეზებმა შექმნეს საქვეყნოდ ცნობილი „ჩერქეზული" ჯიშის ცხენი, რომელიც დღესაც საკმაოდაა ცნობილი.

მართალია, ქვეყნის ეკონომიკაში მსხვილფეხა საქონელს წამყვანი როლი არ ჰქონდა, მაგრამ მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. უცხოური წყაროების მიხედვით, აქაურ მეურნეს სავსებით აკმაყოფილებდა ძროხებისა და ხარების ადგილობრივი ჯიში. ხოლო ამავე წყაროების ცნობებით კი ადიღე-ჩერქეზებს არც თუ ნაკლები რაოდენობის ძროხისა და ხარის ტყავი გაჰქონდათ ყირიმის სახანოში.

XVI—XVII სს. მესაქონლეობაში ყველაზე ნაკლები ყურადღება მეღორეობას ექცეოდა. ასე რომ, მესაქონლეობას, როგორც ვხედავთ, ქვეყნის ეკონომიკაში დიდი და საპატიო ადგილი ეჭირა. პირუტყვი წარმოადგენდა საოჯახო საკუთრებას, მიტაცების, გაცვლის, ხოლო შემდეგ ყიდვა-გაყიდვის უპირველეს საგანს. ამიტომ შემთხვევითი არ

არის, რომ მეკომურის ძლიერება მისი საქონლის რაოდენობით განისაზღვრებოდა და ქართველი მთიელის მსგავსად, ადიღე-ჩერქეზი შემხვედრს მისალმების უმალ საქონლის ავ-კარგს მოუკითხავდა.

ბუნებრივია, რომ მესაქონლეობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ თავისებური ასახვა ჰპოვა კიდეც ადიღე-ჩერქეზის რწმენა-წარმოდგენაში. მათ ღვთაებათა პანთეონში უმნიშვნელოვანესი იყვნენ: ზეგუტი — ცხენებისა და მხედრების მფარველი, ემიში — ცხვრების, ახინი — რქოსანი პირუტყვის, ხაკუსტაში — ხარების მფარველი და სხვ.

ჩამოთვლილ და სხვა მრავალ ღვთაებათა შორის უმთავრესად მიჩნეული იყო აგრეთვე მიწათმოქმედების ღმერთი — ღვთაება სოზერეში.

ასე რომ, XVI—XVII საუკუნეებში შეიძლება ითქვას, რომ მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან შერწყმულ და შეთანაბრებულ მეურნეობის ტიპს ჰქმნიდა.

XVI—XVII სს. მეურნეობის სხვა დარგებიდან განვითარებული იყო აგრეთვე მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მონადირეობა და სხვ.

ასე მაგალითად, ყოველწლიურად ადიღე-ჩერქეზეთიდან სხვა საქონელთან ერთად საკმაოდ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ თაფლი და ცვილი.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის გრძელხორთუმიან ფუტკარს თავისი ნაყოფიერებით დღესაც ბადალი არ მოეძებნება მთელს მსოფლიოში.

მეფუტკრეობასაც ჰყავდა თავისი მფარველი — ღვთაება, რომელსაც მერიემი ეწოდებოდა.

XVI—XVII სს. ადიღე-ჩერქეზეთში წინა საუკუნეებთან შედარებით საგრძნობლად დაეცა მეთევზეობა.

XVI—XVII სს. ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მონადირეობასაც. ესეც თავისებური მეურნეობა იყო და ამდენადვე შემოსავლის გარკვეულ წყაროს წარმოადგენდა. ცოტა უფრო გვიანდელი ცნობებით, მაგალითად ადიღე-ჩერქეზებს ტამანსა და შავი ზღვის სანაპიროს სხვა სავაჭრო პუნქტებში ყოველწლიურად დაახლოები 100 ათასამდე მელიის, ამდენივე მგლისა, 3 ათასამდე დათვისა და სხვ. ცხოველთა ტყავი გაჰქონდათ.

ადიღე-ჩერქეზეთის XVI—XVII საუკუნეების ეკონომიკაში თავისი ადგილი ეჭირა შინამრეწველობასა და ხელოსნობას.

ადიღე-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მოიპოვებოდა თითქმის ყველა ის აუცილებელი ნედლეული, რომელიც ხელოსნობისა და შინამრეწველობისათვის იყო საჭირო. ასე, მაგალითად, სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით იძლეოდა ტყავეულს, მატყლს, ხელს. ხოლო ქვეყნის

წიაღისეული კი საკმაოდ ძდიდარი იყო რკინის, სპილენძის, ტყვიის, ვერცხლისა და სხვათა საბადოებით. დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა აგრეთვე ხე-ტყე. რაკი აღნიშნულ საუკუნეებში ხელოსნობა და შინამრეწველობა ორგანულად იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან, ამდენად ადიღე-ჩერქეზებში შრომის განაწილებაც სათანადოდ ვერ იყო განვითარებული. ამის გამო იყო, რომ ერთი და იგივე ოჯახი რომელიც აწარმოებდა მატყლს, მას ასევე რეცხავდა, წეწავდა, ქსოვდა და კერავდა კიდეც, ასე რომ, ხელოსნები, რომლებიც ქსოვდნენ სხვადასხვაგვარ ქსოვილებს, იმავე დროს ფლობდნენ ნაბდების დამზადების ხელოვნებას, აკეთებდნენ ნოხებს და რკინის უამრავ წვრილ ნივთს. შრომის სპეციალიზაცია მხოლოდ ლითონის გამოდნობა-დამზადებასა და ნაწილობრივ, ხით ხეროობაში შეიმჩნეოდა.

XVI — XVII საუკუნეებში ხშირმა ომიანობამ და გაუთავებელმა თავდასხმებმა წარმოშვა დიდი მოთხოვნილება საბრძოლო იარაღებზე, რამაც გამოიწვია განსაკუთრებით ადგილობრივი იარაღის წარმოება და მასთან დაკავშირებული ბევრი დარგის განვითარებაც — ტყვიის მოპოვება, დენთის დამზადება და სხვ.

ლითონისაგან მზადდება შრომის იარაღებიც: ნამგლები, ცელები, თოხები, სახვნელის ნაწილები, ნალები და სხვ.

აღნიშნულ საუკუნეებში დიდად იყო განვითარებული აგრეთვე საიუველირო საქმეც. ადიღე-ჩერქეზი ხელოსანი საოცარი ოსტატობით ფლობდა ოქრო-ვერცხლით შემკობის ხელოვნებას. ისინი იშვიათი სილამაზით ამკობდნენ თოფ-დამბაჩების სახელურებს, ხმლებისა და დანა-ხანჯლების ბუდეებს, თვით საჭურველ იარაღს. აკეთებდნენ მშვენიერ ყუთებს, ლამაზ ღილებს, ქამრის ბალთებს, ბეჭდებს, თასებს, საოჯახო ჭურჭელს და სხვ.

ადიღე-ჩერქეზებში მეტად მნიშვნელოვანი და გავრცელებული წარმოება იყო მატყლის დამუშავება-დამზადება. აქაური მატყლი, შალის ქსოვილი ძვირად ფასობდა თურქეთ-ყირიმხანისა და რუსეთის ბაზარზე. ქალები ქსოვდნენ სხვადასხვაგვარ ქსოვილებს, მაუდს, ხამ შალს; აკეთებდნენ წითელი ფერის ხამ პერანგებს, ნაბდებს, ხალათებს და ქურთუკებს. ოქრომკედისა და ნაქარგების ხელოვნებაში იშვიათი გემოვნება, სინაზე და სინატიფე იგრძნობოდა. წყაროების მიხედვით, ადიღე-ჩერქეზი ქალები აკეთებდნენ დიდძალ ნაქარგებს და ოქრომკედს. ოქროსა და ვერცხლს ხმარობდნენ უნაგირის, კაპარჭების, მშვილდის, ისრების, ფეხსაცმელებისა და სხვათა მოსართავ-შესამკობად.

ადიღე-ჩერქეზი ხელოსნები ასევე კარგად იყენენ დახელოვნებულნი ტყავის დამუშავებაშიც. რბილი და მოქნილი ტყავისაგან ამზა-

დებდნენ ფეხსაცმელებს, ქამრებს, თამბაქოს ჩასაყრელ ქისებს; სპეციალური ტყავისაგან ამზადებდნენ უნაგირებს, ფაფახებს, ქურქებს, სითხის მოსაკავებელ ჭურჭელს და სხვ.

ადიღე-ჩერქეზეთის ხელოსნობა-შინამრეწველობაში გარკვეული და საპატიო ადგილი ეკავა მეთუნეობასა და ხითხუროობას.

რამდენადაც ლითონის ჭურჭლის შეძენა-წარმოება ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო მისი სიძვირის გამო, ბუნებრივია მის ნაცვლად თავისებური უპირატესობა კერამიკულ ჭურჭელს უნდა მიეღო, რასაც თავის მხრივ ამ ნაწარმის წარმოება უნდა განევითარებინა. ხითხუროობას განსაკუთრებით ტყიანი რაიონების მცხოვრებნი მისდევდნენ. მზადდებოდა დიდი რაოდენობით სასმისები, ფქვილისა და სხვადასხვა სურსათის შესანახი კოთხოები, წნავდნენ კალათებს და ჩრავალსახეობის ჭურჭელს.

კერამიკული და ხის ჭურჭელი ძირითადად ვიწრო ოჯახური საჭიროებისათვის მზადდებოდა და მისი წარმოების მასშტაბიც, რასაკვირველია, საკუთრივ ოჯახური მოთხოვნილებებით შემოიფარგლებოდა.

XVI — XVII საუკუნეების ადიღე-ჩერქეზეთში საგარეო და საშინაო ვაჭრობას დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. საქმე ისაა, რომ ადიღე-ჩერქეზები არ იყენებდნენ ფულს, რაც თავისთავად გასაგებიცაა. ნატურალური, ნახევრად-პატრიარქალური მეურნეობის პირობებში ვაჭრობა ფაქტიურად მზა ნაწარმის გაცვლა-გამოცვლაში გამოიხატებოდა. ნაწარმის ფასი კი ძირითადად განისაზღვრებოდა ტილოს ნაჭრებით, სხვადასხვა ასაკის ტყვემონებით, საქონლით და სხვ. მართალია, მათ საერთოდ იცოდნენ ფულის არსებობაცა და მისი დანიშნულებაც, მაგრამ თვით ქვეყნის შინაგანი ეკონომიური ურთიერთობათა დონე თავისი შინაგანი განვითარებით სამონეტო მოხმარებამდე არ იყო ასული. მეორეც, ადიღე-ჩერქეზებს, როგორც ეს უცნაურად არ უნდა გამოიყურებოდეს, არ ჰყავდათ საკუთარი ვაჭართა ფენა. პირიქით, ვაჭრობა სამარცხვინო საქმედ იყო მიჩნეული და ამდენად თაკილობდნენ კიდეც მასში ქმედითი მონაწილეობის მიღებას, განსაკუთრებით, რასაკვირველია, მაღალი წრის წარმომადგენლები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მათი საქმე ხალხის მართვა, ნადირობა და სამხედრო საქმე იყო (ფერანი XVII ს.). მართალია, იყო თითო-ოროლა ადიღე-ჩერქეზი ვაჭარი, მაგრამ ისინი მეტად უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ქვეყნის საერთო ეკონომიკაში. ვაჭრული კლასის ძირითად ბირთვს კი სომხური ფენა შეადგენდა, ხოლო მათ შემდეგ თურქული და ებრაული.

ამ გარემოებამ XVI—XVII საუკუნეების ადიღე-ჩერქეზეთის

ადგილობრივ ხელოსნობა-მრეწველობის განვითარებაში დიდი დამამუხრუჭებელი როლი ითამაშა, რადგან მთელი ძირითადი მოგება, რომელიც თვით ადიღელ ხელოსან მწარმოებელს უნდა მიეღო, გადადიოდა უცხო წარმოშობის ვაჭართა ხელში, რაც სტიმულს უკარგავდა ადგილობრივ ხელოსნობა-მრეწველობის განვითარებას. ამასთან ვაჭართა მიერ საგარეო ბაზარზე მოგებული ფულიც ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში არავითარ როლს არ თამაშობდა. ასე რომ, ვაჭართა ფენა წარმოადგენდა შუამავალს უცხოურ ბაზარსა და ადიღე-ჩერქეზთა ნატურალურ მეურნეობას შორის, სადაც პირველთან ფულით იყო დაკავშირებული, ხოლო მეორესთან ნატურით, მზა ნაწარმით.

მას შემდეგ რაც ტყვე-მონით ვაჭრობამ ფართო გასაქანი ჰპოვა, განსაკუთრებით უარყოფით როლს თამაშობდნენ ვაჭრები. მწარმოებელი ძალა, საუკეთესო მუშახელი მათი საშუალებით გადიოდა უცხოეთის ბაზარზე, რაც გამოუსწორებელ დაღს ასვამდა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას. მით უფრო, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ დაჩიხულობის პერიოდში ადიღე-ჩერქეზებში არ აღმოჩნდა ისეთი შინაგანი ძალა, რომელიც შეაჩერებდა ამ პროცესს.

მართალია, საგარეო ვაჭრობის მთავარ საგანს ტყვე-მონები შეადგენდნენ, მაგრამ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საგარეო ვაჭრობაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი მესაქონლეობის პროდუქტებსაც ეკავა (მატყლი, ხამი ქსოვილი, ნაბადი, ტყავეული და სხვ.). გაჰყავდათ მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი, ცხენები. გაჰქონდათ ბეწვეული და სხვ.

ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა იმპორტი.

იმპორტში პირველი ადგილი, როგორც წესი, მარილს ეკავა, რომლის მომწოდებელი ძირითადად ყირიმი იყო.

წყაროების მიხედვით XVI — XVII სს. უცხოელ ვაჭრებს ადიღე-ჩერქეზეთში შემოჰქონდათ: მაუდი, უბრალო ჩითი, ტილო, ჭრელი აბრეშუმი, პირსახოცები, საბნები, ქამრები, სხვადასხვა ფერის ძაფი, ყავა, პილპილი, კალა, ვერცხლის წყალი, ტყვია, ფოლადი, რკინა, საპონი, ყურძენი, თამბაქო, ფერუმარილი, ფეხსაცმელი, ცხენის აღვირი, თოფის ლულა, მშვილდი, ლურსმანი, ყირიმული დანა, ნემსი, საფანტი, ცელი და სხვ.

თურქეთ-ყირიმხანის გარდა, აღნიშნულ საუკუნეებში ადიღე-ჩერქეზებს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ სხვა მეზობელ ხალხებთან და სახელმწიფოებთან. ასე, მაგალითად, რუსეთთან, ნოღაეთთან, საქართველოსთან, ყაბარდოსთან და სხვ.

XVI — XVII სს. ვაჭრობა უმთავრესად მიმდინარეობდა შავი

ზღვის ნავმისადგომებში, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტამანი ანუ მატრეგა, რომელიც უცხოური ცნობებით ადიღე-ჩერქეზეთის მთავარი ნავმისადგომი და სავაჭრო ადგილი იყო. სხვა პუნქტებიდან აღსანიშნავია, კაპლუ (ყოფილი კოპა, ახლა სტანიცა სლავიანსკაია), ტუმნეხი, (დორტელი და ასკოლის სიტყვით, იგი ჩერქეზეთის ზღვისპირეთის შუაგულში მდებარეობდა), აბაზა, აჩუ და ტანა ანუ აზოვი. ამასთან აღსანიშნავია, რომ აფხაზები და ჩერქეზები ვაჭრობას აწარმოებდნენ არტსკის ყურესა და კიუტასში. ევლია ჩელების მიერ დასახელებული არტსკის ყურე, როგორც ჩანს, ადიღურ-ჩერქეზული იყო, ხოლო კიუტასი — ტუაფსე.

XVI — XVII საუკუნეებში ადიღურ-ჩერქეზულ საზოგადოებაში ფეოდალიზაციის პროცესი კვლავ აღმავალი გზით ვითარდებოდა თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი ადიღურ-ჩერქეზულ ტომებში ყველგან ერთსა და იმავე დროს არ დაწყებულა. ასე, მაგალითად, ბარისა და შავი ზღვის სანაპიროზე მოსახლე ტომებში იგი შედარებით უფრო ადრე დაიწყო და ამდენად ფეოდალური ურთიერთობათა განვითარებამაც მაღალ საფეხურს მიაღწია, ვიდრე ქვეყნის შიგნით ღრმად მდებარე მთიან რაიონებში, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად უჯრედად ჯერ კიდევ სასოფლო თემი რჩებოდა.

მთლიანად XVI — XVII საუკუნეებში ადიღურ-ჩერქეზული საზოგადოება შემდეგი სოციალური კატეგორიებით იყო წარმოდგენილი: გაბატონებული ექსპლოატატორული — ფშიებითა და უორკებით, ქართული თავადაზნაურობის შესატყვისად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ფში-თავადები ყველა ადიღურ ტომებში არ იყვნენ. ასე, მაგალითად, აბაძეხებში, შაფსუღებში, ნატუხაელებში და უბიხებში.

რაც შეეხება უორკ-აზნაურებს, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი სხვადასხვა ხარისხისანი იყვნენ და ამდენად სხვადასხვა საფეხურზეც იდგნენ. ასე, მაგალითად, აღნიშნულ საუკუნეებში პირველი ხარისხის უორკებს ტლიახოტლიაჟსა და დეჟენუგოებს უწოდებდნენ, მეორე ხარისხისას—ფშეკეუსა და ბესლენუორკებს, ხოლო მესამეს—უორკშაუთლუხოსებს. აზნაურთა ყველა ეს კატეგორიები საკუთრებისა და უფლებრივი ნიშნებით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ.

გაბატონებულ ფენას მიეკუთვნებოდა აგრეთვე უმაღლესი სამღვდელობა და ხანუყოები.

ადიღურ-ჩერქეზული საზოგადოების ექსპლოატირებული მასა ე. წ. „შავი ხალხი“ ძირითადად წარმოდგენილი იყო შემდეგი კატეგორიებით: თლფოკოტლებით, ფშიტლებითა და უნაუტებით. თლფოკოტლები ანუ თავისუფალი მეთემეები იყვნენ ადიღური საზოგადოების მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებლები. მათ ჰქონდათ

უფლება ყმებისა და მონების ყოლისა, ჰყავდათ აგრეთვე პირად საკუთრებაში საქონელი. რაც შეეხება სათიბ-სახნავ მიწებს, საძოვრებსა და ტყეებს, რომლებიც სათემო საკუთრებას შეადგენდნენ, ისინი ყველა ამითი სარგებლობდნენ, როგორც თემის წევრები.

თლფოტლების ფენა არ იყო ერთგვაროვანი. მისი ერთი ნაწილი განიცდიდა ფეოდალურ ექსპლოატაციას. საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფენა უფრო გარდამავალი იყო ორ ანტაგონისტურ დაპირისპირებულ სოციალურ დაჯგუფებებს შორის. საზოგადოების დამოკიდებულ კატეგორიას შეადგენდა ყმა გლეხი ფშიტლი ხოლო ყველაზე დაბალ კატეგორიას კი მონა-უნაუტი. ეს უკანასკნელი აბსოლუტურად უუფლებო იყო და ამასთან ერთად არ გააჩნდა არავითარი საკუთრებაც.

XVI — XVII საუკუნეებში ადიღე-ჩერქეზეთში ფეოდალურ ურთიერთობებთან ერთად ჯერ კიდევ მძლავრად განაგრძობდა თავის არსებობას პატრიარქალურ-თემური წყობილების გადმონაშთები: თემი და სათემო საკუთრება მიწაზე, საძოვრებზე, სახალხო კრება, ურთიერთდახმარება, დაძმობილება, სტუმართმასპინძლობა, ატალიკობა, ურვათი, ლევირატი, პატრიარქალური დიდი ოჯახი, სისხლის აღება და სხვ.

XVI — XVII საუკუნეების ადიღე-ჩერქეზეთში შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად უკვე ჩამოყალიბდნენ ანტაგონისტური კლასები, რის დადასტურებაც ის გამწვავებული კლასობრივი ბრძოლაა, რომელიც აქ განუხრელად მიმდინარეობდა აღნიშნული საუკუნეების მთელ მანძილზე.

XVI — XVII საუკუნეების მიჯნაზე ყირიმის სახანოს წარმოშობამ და მისმა გადაქცევამ თურქეთის ვასალად მდგომარეობა ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში საგრძნობლად შეცვალა. თურქულ-ყირიმული ციხე-სიმაგრეები კაფასა და ქერჩში, ანაპასა და ტამანში, ტემრიუკსა და კოპილში იმ დასაყრდენ პუნქტებად გადაიქცნენ, საიდანაც XVI—XVII საუკუნეების მთელ მანძილზე განუწყვეტლივ ხორციელდებოდა გამანადგურებელი თავდასხმები ადიღე-ჩერქეზეთზე, ყარაჩაი-ბალყარეთზე, ყაბარდოზე და სხვ.

განსაკუთრებით მძიმე იყო ყირიმის ხანის საჰიბ-გირეის თავდასხმები 1545, 1547, 1551 წლებში. ულევ ნაკადად მიედინებოდა თურქეთსა და ყირიმში ტყვე-მონები, საქონელი და ადიღ-ჩერქეზთა სხვა დოვლათი. ამავე ხანებში დაიწყო ისლამის გავრცელება.

XVI საუკუნის შუა ხანისათვის როდესაც აღმავლობის გზაზე დამდგარ ფეოდალურ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს

წინაშე დროის შესაბამისი ახალი ამოცანები დაისახა და ისინი კი რამდენადმე კავკასიასაც შეეხნენ, ამან, რასაკვირველია, კავკასიურ ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობაშიც ჰპოვა თავისი ასახვა და გამოძახილი. პირველი ასეთი ამოცანა იყო ყირიმისა და ყაზანის სახანოების წინააღმდეგ ბრძოლა; წარმატების შემთხვევაში გარკვეული ტერიტორიების შემოერთება სამხრეთ-აღმოსავლეთით. მეორე — შავი და კასპიის ზღვაზე გასვლა ქვეყნის შემდგომი ეკონომიური განვითარების მიზნით. ამ ამოცანებმა კი თავის მხრივ რუსეთის საგარეო პოლიტიკა ჩაითრიეს აღმოსავლეთისა და კავკასიის საერთაშორისო ურთიერთობათა წრეში, ხოლო ამან კი თავისთავად გამოიწვია მისი ინტერესების შეჯახება თურქეთ-ყირიმხანთან, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი გავლენის მოპოვებას ნოღაელებზე, ყაზან-ასტრახანის სახანოებზე და მთელს ჩრდილო კავკასიაზე.

1552 წელს რუსეთმა შემოიერთა ყაზანის სახანო. ამან დააჩქარა ჩრდილო კავკასიის ხალხების ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. ამავე წლის ნოემბერში მოსკოვში ჩამოვიდა ადიღე-ჩერქეზთა პირველი ელჩობა თავადების მაშუკა კანკუკოვის, ივანე ეზბოზლუკოვისა და ტანაშუკის შემადგენლობით. მათ ივანე IV ჩერქეზთა მიწის ქვეშევრდომთა მიღება და ყირიმის ხანისაგან თავდაცვა მოსთხოვეს. „ერთგულების ფიცის“ მიცემის შემდეგ ელჩობა უკან იქნა დაბრუნებული. / მოსკოვიდან ამ ელჩობას გამოყოლილი რუსული ელჩობა ანდრეი შჩეპოტიევის მეთაურობით მოსკოვს კვლავ 1555 წელს დაბრუნდა. ა. შჩეპოტიევმა კი თან ადიღე-ჩერქეზთა ახალი ელჩობა გამოიყოლა, რომელმაც „მთელი ჩერქეზთა მიწის“ „ერთგულების ფიცი“ ჩამოიტანა რუსეთის ქვეშევრდომობაზე. ამჯერადაც ადიღე-ჩერქეზებმა ივანე IV თურქეთ-ყირიმხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვეს. 1556 წელს ასტრახანის სახანოს შემოერთების შემდეგ რუსეთის როლი ჩრდილო კავკასიელი ხალხებისათვის კიდევ უფრო გაიზარდა. 1557 წელს ასტრახანზე გავლით მოსკოვში ჩამოვიდა ყაბარდოს დიდი მთავრის თემურყვაზ ელჩი, რომელსაც ივანე მეოთხისადმი ლევან კახთა მეფის დავალებაც ჰქონდა მოსახსენებელი თურქეთ-ყირიმხანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებისა და რუსეთის ხელდებულად მიღების თაობაზე. 1557 წელს ადიღე-ჩერქეზეთის მსგავსად ყაბარდოც ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. ამიერიდან რუსეთსა და ადიღე-ჩერქეზეთ-საქართველოს შორის ურთიერთობათა ახალი ეტაპი იწყება. რამაც ამ უკანასკნელთ თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში არცთუ მცირე შეღავათი მისცა.

XVI — XVII საუკუნეების მთელ მანძილზე რუსეთთან მჭიდროდ დაახლოებული ადიღე-ჩერქეზთა რაზმები არაერთხელ იღებდნენ აქ-

ტიურ მონაწილეობას რუსეთის საგარეო ომებში. დროდადრო გამუსლიმანებული ადიღე-ჩერქეზთა თავადები თავისი რაზმებით მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თურქეთ-ყირიმხანის ლაშქრობაშიც როგორც საკუთრივ რუსეთზე, ასევე უნგრეთზე, პოლონეთზე. დონის კაზაკობაზე და სხვ.

ადიღე- ჩერქეზებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზეთთან, იმერეთთან, რაჭასთან, სვანეთთან და სხვ. ქართველები ადიღე-ჩერქეზეთს ჯიქეთის სახელით იცნობდნენ.

ვახუშტი წერს მაგალითად, რომ ჯიქეთი არის „ყოველითურთ (მსგავსი) აფხაზეთისა: მოსავლით და ცხოელით, წესითა და ქცევითაცა. გარნა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ“, ადიღურ-ჩერქეზული ორი ტიპის სახვნელია ცნობილი — ოთხმხრივი და ფამფალაკიანი. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს ქართული წარმოშობის სახელი — გუთანი ეწოდება. (შაფსუღურად ;უთან, კუთენ, კუტლამიშ — თ. ბ.). მატყლის დამუშავებასთან დაკავშირებით შაფსუღებში მოწმდება შრომითი ურთიერთდახმარების ის საყურადღებო წესი „ხაპუ“, რომელიც ხევსა და ხევსურეთში ცნობილია, მაგალითად, „საქმის საღამოს“ და „მჩეჩელნის“ სახელწოდებებით. დიდი დამთხვევაა აგრეთვე კანაფის დამუშავების ქართულ და ადიღურ წესებში.

ადრეული წყაროებით ადიღურ-ჩერქეზულ სელის ქსოვილს „ტალა“ ეწოდებოდა, რაც დიდ მსგავსებას იჩენს ქართულ ტილოსთან, რომელიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „სელთა და კანაფთა ლარია“. აღსანიშნავია, რომ ქართველი მთიელები ადგილობრივ შალის ქსოვილს „ტოლს“ უწოდებდნენ, ხოლო მხა ტანსაცმელს კი „ტალავარს“. ინტერესმოკლებული არაა აგრეთვე შაფსუღური თოხის — სვანასა და ნიჩაბის — ლასვანას საკუთრივ სვანურთან კავშირიც. სხვა ტომებშიც სხვათაშორის თოხს „წვან“ ან „ჭვანად“ იხსენიებენ. აბაძეხური საქორწილო წეს-ჩვეულებებიც უამრავ პარალელს პოულობს ქართულთან. ქართული გზით უნდა იყოს შესული ალბათ ისეთი სიტყვებიც როგორიცაა, ოჯახი, რაც სახლის თავნს ნიშნავს, თამათ — თამადა — სოფლის ან ოჯახის მეთაური და მრავალი სხვა.

XVI — XVII საუკუნეების ადიღე-ჩერქეზეთში მიუხედავად თურქეთ-ყირიმხანის გაძლიერებული ექსპანსიისა და აქ მოსახლე ტომების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დგომისა, კონსოლიდაციის პროცესი და ამის შესაბამისად ერთიანი ადიღურ-ჩერქეზული მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარება მაინც არ შეწყვეტილა. ევლია ჩელების ცნობით, ადიღე-ჩერქეზეთში ძირითადად ორ ენაზე —

აფხაზურსა და ჩერქეზულზე ლაპარაკობდნენ, თუმცა მასვე მოეპოვება მეორე ცნობაც, რომლის მიხედვით ქვეყანაში 147 მეტყველებამდე იყო. ჩელების აღნიშნული ცნობა, რასაკვირველია, ძალზედ გადაჭარბებულია, მაგრამ თუნდაც მისი მეოთხედი შეეფერებოდეს სინამდვილეს, ესეც უკვე თავისთავად ბევრის მეტყველია. ადიღე-ჩერქეზებს აღნიშნულ საუკუნეებში არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა, თუმცა არსებობს ვარაუდი ტამანთან ნაპოვნ ქვაზე 1590 წლის ბერძნულ წარწერასთან დაკავშირებით, რომ ადიღე-ჩერქეზებსა და ყაბარდოელებს ჰქონდათ თავისი დამწერლობის ჩანასახები ბერძნულ და ნაწილობრივ სლავურ ანბანზეც. აღსანიშნავია, რომ ზედაფენა სარგებლობდა გარდა რუსული დამწერლობისა, არაბულითაც.

ადიღე-ჩერქეზებმა შემოინახეს უმდიდრესი ფოლკლორული მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ყოფა-ცხოვრებისა და მთელი ისტორიის შესასწავლად რამდენადაც ეს ზეპირსიტყვიერება უმეტესწილად რეალურ მოვლენებზეა აგებული და თავისებურად ერთგვარ წყაროებსაც კი წარმოადგენს.

შუასაუკუნეების ავტორთა ცნობებით, XVI — XVII საუკუნეების ადიღე-ჩერქეზეთში ფაქტიურად სამი სარწმუნოება იყო — წარმართობა, ქრისტიანობა და ნაწილობრივ მუსლიმანობა.

§ 2. ყარაჩაი-ჩერქეზეთი XVI—XVII სს.

XVI — XVII საუკუნეების წყაროები, როგორც ცნობილია, ჩრდილო კავკასიის მთელ ტერიტორიას, მოყოლებულს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ვიდრე ჩეჩნეთ-ინგუშეთში მომდინარე მდ. სუნჯამდე, თითქმის ერთი საერთო სახელწოდებით — ჩერქეზეთად იხსენიებენ. ისტორიულ ლიტერატურაში კი ამრიგად აღნიშნული ჩერქეზეთი პირობითად ორ ნაწილადაა დაყოფილი — დასავლეთ ჩერქეზეთად და ყაბარდოდ. ესე რომ, XVI — XVII სს. პიატიგორიე და თანამედროვე ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ტერიტორია მთლიანად ზემოთ მოხსენებულ ჩერქეზეთში შედიოდა.

დასავლეთ ჩერქეზეთის მოსახლეობა აღნიშნულ საუკუნეებში საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ამასთან ეთნიკურად მეტად ჭრელი იყო. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძირითადად ადიღური და აბაზინური ტომები მოსახლეობდნენ. ხოლო რაც შეეხება ნოღაელებს, ისინი უფრო ანაპის სამხრეთითა და მდ. ყუბანის ქვედა დინების რაიონებში სახლობდნენ.

თვით ყარაჩაელები იტალიელი მოგზაურის ლამბერტისა და ფრა-

ნგი შარდენის სიტყვით (XVII სს.), კავკასიის ქედის ჩრდილოეთ მხარეს ცხოვრობდნენ.

კარტ-ჯურთის, უჩკულანის და ხურზუკის აულებთან და მთელ ულუ-კამსკის ხეობაშიც დღემდე მრავლადაა შემორჩენილი XVI — XVII საუკუნეების ყარაჩაული სამარხი-ყორღანები თავისი სპეციფიკური ფორმებით.

(ყარაჩაელთა ერთი ნაწილი, როგორც 1639-1640 წწ. საქართველოში მომავალ რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარიევის ჩანაწერებიდან ირკვევა, ბაქსანის ხეობაშიც ცხოვრობდნენ.) ამასვე ამტკიცებს აგრეთვე ბაქსანური ყარაჩაული ნასახლარი ელჯურთი, გოშახ-კალეს სიმაგრე და აქვე გათხრილი XVII ს. სამარხი, რომელიც სხვათა შორის, მეტად ტიპიურია სწორედ წმინდა ყარაჩაული კარტ-ჯურთის სამარხისა. ბაქსანელ ყარაჩაელთა გადასახლებას ყუბანის ზედაწელში მკვლევართა დიდი ნაწილი XVII საუკუნის პირველი ნახევრისათვის მიიჩნევს. გადმოცემებით იგი უკავშირდება ყაბარდოს დიდი მთავრის ყაზი ფშეაფშუკის სახელს, რომელმაც თითქოს ისინი ბაქსანიდან გააასახლა. მართალია, XVII საუკუნეზე უფრო გვიანდელი წყაროები ყარაჩაელების ბაქსანზე ყოფნას არ ადასტურებენ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ 1917 წლამდე თვით ბაქსანელი ბალყარლები თავის თავს ყარაჩაელებს უწოდებდნენ. ნიშანდობლივია ამ მხრივ ისიც, რომ ენითა და კულტურით ბაქსანელი ბალყარლები ორგანულ სიახლოვეს უფრო ყარაჩაელებთან ამჟღავნებენ, ვიდრე ჩერეკისა და ჩეგემის ხეობებში მცხოვრებ ბალყარელებთან, განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა საცხოვრებელი ნაგებობების არქიტექტურაში და საშენ მასალებში. როგორც წესი, ყარაჩაელი და ბაქსანელი ბალყარლების სახლები ხისაა, ხოლო ჩეგემელებისა და ჩერეკელებისა კი ქვის. ჩანს XVII ს. ბაქსანიდან ყველა ყარაჩაელი არ გასახლებულა.

(ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიის ერთი ნაწილი მდინარეების ლაბასა და ურუპს შორის ბესლენელებს ეკავათ. ბესლენელები ურუპის უფრო აღმოსავლეთით და ყუბანის ზედაწელში იყვნენ შეღწეულნი. აქვე მათთან მეზობლად მდინარეების — დიდი და პატარა ზელენჩუკის მიდამოებში მოსახლეობდა აგრეთვე ყაბარდოელთა ერთი ნაწილი.)

XVII ს. პირველ ნახევარში ყარაჩაი-ჩერქეზეთში ჩნდებიან მომთაბარე ნოღაელი ხალხები უმეტესად მდინარეების — ზელენჩუკების, ლაბის, ყუბანის ზედაწელისა და კუმას მიდამოებში.

(ყარაჩაელთა მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი მესაქონლეობა იყო. უმეტესად მისდევდნენ მეცხვარეობას; აშენებდნენ მსხვილფეხა საქონელს, ხოლო მაღალმთიან რაიონებში კი ვირები და

თხებიც ჰყავდათ. რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარიევის ცნობით, მათ დიდი რაოდენობით ჰყოლიათ ცხენებიც.[1]

საზამთრო საძოვრებზე ძლიერ ყაბარდოელ ფეოდალთა ბატონობა ყარაჩაელებს იძულებულს ხდიდა მათ დამორჩილებოდნენ და მათივე სასარგებლოდ სათანადო გადასახადებიც ეხადათ.

ა. ლამბერტის ცნობით, მესაქონლეობის შემდეგ ყარაჩაელთა სამეურნეო ცხოვრებაში ნადირობას ეკავა ერთი პირველთაგანი ადგილი; ხალხური მითოლოგიით მსხვილფეხა საქონლის ღვთაება დოლაი იყო, მეცხვარეობისა აიმუში, ხოლო ნადირობისა აფსატი.

მიწის სიმცირე და სიმწირე, თავისთავად ცხადია, ყარაჩაელებს მიწათმოქმედების ფართოდ განვითარების საშუალებას არ აძლევდა და რასაკვირველია, მათი მარცვლოვანი კულტურების რიცხვიც საკმაოდ შემოფარგლული იყო. ყარაჩაელებს მოჰყავდათ მხოლოდ ქერი, შვრია, ფეტვი-ღომი და მეტად მცირე რაოდენობით ჭვავი. ქვედა არხიზში და დიდ ზელენჩუკზე დღემდეა შემორჩენილი ქერი და ჭვავი.

ყარაჩაელებს, მართალია, მიწის ნაკვეთები მთის ფერდობზე ტერასებად ჰქონდათ განლაგებული და მას სათანადოდ ანაყოფიერებდნენ და რწყავდნენ კიდეც, მაგრამ მთელი მოსავალი მხოლოდ 1—2 თვე ჰყოფნიდათ, ისევე როგორც მათ მონათესავე ბალყარელებს. ამიტომ ყარაჩაელები და ბალყარლები საჭირო რაოდენობით მარცვლეულს ყაბარდოელებისაგან იძენდნენ და შემდეგ, როგორც თერგ-ქალაქის სარდალი დაშკოვი 1629 წ. წერდა, თითქმის საკუთარი ხელითა და ზურგით აჰქონდათ მთებში.

ასე რიგად წარმოებულმა მიწათმოქმედებამ ყარაჩაელებსა და ბალყარლებში შედარებით ადრე განავითარა მიწაზე საოჯახო საკუთრების ინსტიტუტი, რადგან მონური შრომით მოპოვებული თითოეული მტკაველი მიწა არც თუ ისე ადვილდასათმობი იყო.

ყარაჩაელთა პანთეონშიც მოიპოვებოდა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ღვთაებები. ასე, მაგალითად, მიწის ღმერთი იყო. დაულე, ხოლო კალოობისა კი ურირეი.

ძალზე სუსტად იყო განვითარებული ყარაჩაელებში მებოსტნეობა და მებაღეობა.

ყარაჩაელთა სამეურნეო ცხოვრებაში თავისი ადგილი ეკავა შინამრეწველობასა და ხელოსნობას. განსაკუთრებით განვითარებული იყო მადნის მოპოვება და ლითონის დამუშავება, რასაც ხელს უწყობდა ყუბანის ხეობაში აულ კარტ-ჯურთან მდებარე რკინისა და სხვადასხვა ადგილებში კი ტყვიის, ვერცხლისა და სპილენძის საბადოები. რკინისაგან მზადდებოდა როგორც საბრძოლო, ისე სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება XVII საუკუ-

ნის ყარაჩაულ სამარხებში. ა. ლამბერტის მოეპოვება აგრეთვე ცნობა. ყარაჩაელების მიერ გოგირდის დამუშავებისა და დენთის დამზადების შესახებ.

ყარაჩაელთა ხელოსნობა-შინამრეწველობაში საპატიო ადგილი ეკავა მატყლისა და მატყლის პროდუქტების დამუშავებას, ტყავის დამუშავებას, ქეჩისა და ნაბდების დამზადებას, ხითხუროობასა ხის საგნების კეთებას.

ყარაჩაელთა მთელი მეურნეობა ნატურალური ხასიათისა იყო და იგი მხოლოდ ცალკეული ოჯახის მოთხოვნილებებს თუ აკმაყოფილებდა. იშვიათ შემთხვევებში მზადდებოდა საგარეო ბაზარზე გასაცვლელი რომელიმე ნაწარმი, მაგალითად ნაბადი, ქეჩა, ქეჩის ქუდები და სხვ. ამიტომ იყო, რომ ყარაჩაელთა ვაჭრობა და საერთოდ გაცვლა-გამოცვლა ადიღე-ჩერქეზებთან, აბაზინელებთან, ყაბარდოელებთან, ოსებთან და ქართველებთან უფრო პერიოდულ ხასიათს ატარებდა ვიდრე რეგულარულს. ყარაჩაის ლითონით მდიდარი საბადოები გვაფიქრებინებს, რომ ყარაჩაიდან უფრო მეტად მაინც ლითონი გადიოდა, ვიდრე სხვა რამ. ყარაჩაელებმა, ისე როგორც ჩრდილო კავკასიის ხალხთა უმრავლესობამ, ფული არ იცოდნენ. ისინი სამუშაოდ საქართველოში რომ ჩამოდიოდნენ, თავის შრომის საზღაურად სპილენძის ან რკინის სხვადასხვა ნაკეთობებს ითხოვდნენ, ან ტილოს ნაჭრებს, მარილს, ხორბალს, თუ ჭურჭელს.

ყარაჩაელებთან ვაჭრობის ერთი მომენტი აქვთ ასახული ელჩინსა და ზახარიევს, საიდანაც ვიგებთ თუ ყარაჩაელებს როგორ მიუციათ მათთვის მაუდის, დანების, სარკეებისა და სხვა ნივთების სანაცვლოდ თავიანთი ოქროსა და ვერცხლის ნივთები.

სავარაუდებელია, რომ ყუბანისპირეთში და „პიატიგორიესთან" მოწყობილ ყოველწლიურ ბაზრობაზე ყარაჩაელებსაც უნდა მიეღოთ ერთგვარი მონაწილეობა. ყარაჩაელთა სამეურნეო საქმიანობა და ვაჭრობა განსაკუთრებით უნდა გამოცოცხლებულიყო XVI ს. მეორე ნახევარში, რუსეთთან დაახლოების შემდეგ, როდესაც რუსეთის მიერ ჯერ სუნჯაზე, ხოლო შემდეგ თერგის შესართავთან ცნობილი თერგქალაქი იქნა ჩადგმული, ცოტა უფრო გვიან კი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მისი მსგავსი აზოვის ციხე-სიმაგრე. ყარაჩაელები და სხვა მთიელები აქ იძენდნენ მათთვის ყველა აუცილებელ საგანს თუ საქონელს.

(XVI—XVII საუკუნეებში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე სრულ მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ ნოღაელები, რომელთა მოძრაობის რადიუსი საკმაოდ შორს კავკასიის მთისძირობა რაიონებიდან ვოლგისა და ურალისპირეთს წვდებოდა.)

ნოღაელების ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა

იყო, ხოლო რაც შეეხება მიწათმოქმედებას. ისინი მას თითქმის სულ არ მისდევდნენ. დორტელი დ'ასკოლის ცნობით, ზედაფენის წარმომადგენლების გარდა, უბრალო ნოღაელები პურს საერთოდ არ ჭამდნენ. მხოლოდ XVII საუკუნის მეორე ნახევრისათვის შეიმჩნევა მათი მიწათმოქმედებით დაინტერესება, როდესაც ნოღაელთა დიდი ნაწილი ყუბანისპირეთში ნახევრადბინადარ ცხოვრებაზე გადავიდა. ევლია ჩელების სიტყვით ნოღაელები თესდნენ ფეტვს, ღომს, ქერსა და სხვ. ძირითადი მასა ნოღაელებისა სრულ ბინადრობაზე გადავიდა XVIII ს. დასასრულისათვის. ნოღაელებშიც, მართალია, რამდენადმე იყო განვითარებული ხელოსნობა, მაგრამ იგი მოსახლეობის მოთხოვნილებების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ ნოღაელები ყველა საჭირო „სამრეწველო" ნაწარმს თავისი საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის გზით შოულობდნენ, რის გამოც ვაჭრობამ მათ სამეურნეო ცხოვრებაში ერთი წამყვანი ადგილთაგანი დაიჭირა. განსაკუთრებით რუსეთთან. XVI ს. რუსული დოკუმენტები მეტად უხვ მასალას იძლევიან ნოღაელ „ვაჭართა" საქმიანობაზე მოსკოვში. ნოღაელები ვაჭრობდნენ რუსეთის სხვა დიდ ქალაქებშიც ცხვრებით, ცხენებით და მესაქონლეობის სხვადასხვა პროდუქტებით. ნოღაელები, მაგალითად, მოსკოვსა და ყაზანში ყოველწლიურად 50000-მდე ცალ ცხენს მიერეკებოდნენ, ხოლო ასტრახანს კი 20000-მდე. აღსნიშნავია ისიც, რომ ნოღაელებისათვის მოსკოვში სპეციალურად განკუთვნილი დასადგომი და ბაზარიც კი არსებობდა. ამასთან ხელისუფლების მიერ სათანადო განკარგულებაც იყო დაშვებული, რათა ისინი შევიწროებულნი არ ყოფილიყვნენ და მათ სავაჭრო საქმიანობასაც ხელი არ შეშლოდა. 1560 წელს ივანე IV ნოღაელებს ყველა მისსადმი დაქვემდებარებულ ქალაქში თავისუფალი ვაჭრობის ნება დართო. ევროპულ საქონელს ნოღაელები უმეტესად რუსეთისაგან იღებდნენ სხვადასხვა საჩუქრების სახით ან იმ გასამჯელოთი, რომლებსაც მათ აძლევდნენ სამხედრო სამსახურისათვის. ევლია ჩელების სიტყვით. ნოღაელები ფართოდ ვაჭრობდნენ ანაპასა და აზოვშიც. ვაჭრობდნენ აგრეთვე თერგქალაქშიც. ვაჭრობა, როგორც წესი, წარმოებდა საქონლის უბრალო გაცვლის ფორმით. მართალია, ნოღაელები იღებდნენ ლითონის ფულსაც, მაგრამ ისინი მას მხოლოდ სამკაულებად იყენებდნენ და არა საცვლელ ერთეულად.

ასე, რომ ფართო მასშტაბით წარმოებული ვაჭრობა ნოღაელებს ფაქტიურად ყველა იმ სავაჭრო სამრეწველო საქონელს აწვდიდა, რითაც ვერ აკმაყოფილებდა საკუთარი შინამრეწველობა და ხელოსნობა. ასეთი იყო მაგალითად, საბრძოლო იარაღები, ცხენის მოკაზმულობა, სხვადასხვა მაუდ-ქსოვილები, ვერცხლის, სპილენძისა და თიხის

ჭურჭელი; სათევზაო მოწყობილობა; ნოხები და ფარდაგები; ხორბლეული, ფეტვეული, ღვინო, არაყი, თაფლი და სხვ.

(XVI—XVII საუკუნეებში ყარაჩაი-ჩერქეზეთის საერთო ეკონომიურ განვითარებას ბევრი საშინაო და საგარეო ფაქტორი უშლიდა ხელს. ასე, მაგალითად, მოსახლეობის ერთი მხრივ ვრცელ დაბლობ ტერიტორიაზე, ხოლო მეორე მხრივ კი ძნელად მისავალ მთებში გაფანტულობა; შინატომობრივი და შინაფეოდალური აშლილობა; თურქეთ-ყირიმხანის ხშირი შემოსევები და მეტად ფეხმოკიდებული ტყვე-მონათა ვაჭრობა. /

XVI—XVII საუკუნეებში ყარაჩაელებისა და ბალყარლების საზოგადოებრივი ურთიერთობა ძირითადად უფრო ადრეფეოდალური იყო, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო თემის საფუძვლები არც თუ ისე ძალზე იყო შერყეული. სასოფლო თემი თავისთავში აერთიანებდა არა მარტო სისხლით მონათესავე ცალკეულ საგვარეულოებს, არამედ სოფლის ყველა მაცხოვრებელს. ამასთან ეს თემი დაფუძნებული იყო არა კოლექტიურ საკუთრებაზე, არამედ კერძოზე. ასე, მაგალითად, კერძო საკუთრებაში იყო საქონელი და ნაგებობანი, საკარმიდამო მიწა, ხოლო სათემოში კი საძოვარ-სათიბები, სახნავ-სათესი მიწების ერთი ნაწილი და ტყეები. სასოფლო თემი ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებისას ის ორგანიზაცია იყო, რომელიც მოთემეებს საშუალებას აძლევდა ფეოდალური მიმძლავრებისაგან რამდენადმე დაეცვათ თავიანთი უფლებები და თავისუფლება. ყარაჩაელებისა და ბალყარლების სასოფლო თემის თავისებურება ის იყო, რომ მასში ჯერ კიდევ ძლიერად იყო შემორჩენილი გვაროვნული წყობილების ნიშნები და ამ უკანასკნელში კი დამატებით კიდევ საოჯახო თემი. მართალია, ყარაჩაელთა და ბალყარლების სოფლები უფრო საგვარეულო უბნების თავშეყრას წარმოადგენდა, მაგრამ ამ საგვარეულოებს უკვე დაკარგული ჰქონდათ ოდინდელი საერთო საკუთრებისა და ქონებრივი თანასწორუფლებიანობის პრინციპები. თემურ ურთიერთობის პირობებში ამ საგვარეულოებში წამყვანი ადგილი დაიჭირა საოჯახო თემმა ე. წ. დიდმა ოჯახებმა, რომლებიც ერთ სამეურნეო ცხოვრებას ეწეოდნენ. მთელი ოჯახი ემორჩილებოდა უხუცესს—უფროსს, რომელიც იმავ დროს იყო თავისი ოჯახის წარმომადგენელიც სასოფლო თემის კრებაზე — ჯამათზე თუ ხასაზე.

XVI—XVII სს. საწარმოო ძალების შემდგომმა განვითარებამ, თავის მხრივ, რასაკვირველია, გარკვეული ცვლილებები გამოიწვია წარმოებით ურთიერთობაშიც. აღნიშნულ საუკუნეებში, შეიძლება ითქვას, ფეოდალურმა ურთიერთობებმა საბოლოოდ დაიკავა წამყვანი ადგილი.

XVII საუკუნის წყაროები იხსენიებენ ყარაჩაელ და ბალყარელ თავადებს ანუ ბეებს, რომლებიც რუსულ დოკუმენტებში უმეტესად ცნობილი იყვნენ მურზების, თავადებისა და მფლობელების სახელწოდებებით. ხოლო მწარმოებელი მასა კი „იასაკის ხალხად". ასე, მაგალითად, ელჩინმა და ზახარიევმა ყარაჩაელ მურზებთან ელბუზდუკთან და გალისტანთან ინადიმეს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ბასიანსა ანუ ბალყარეთში საკმაოდ იყვნენ უკვე მფლობელები და მათზე დამოკიდებული ყმა გლეხები; XIX ს. წყაროების მიხედვით, მაგალითად ბალყარელი ყმების უკვე მეოცე თაობა იყო, რომელიც გარკვეულ ვალდებულებას იხდიდა თავისი მფლობელის სასარგებლოდ, რაც თავის მხრივ ნათლად მეტყველებს თვით ვალდებულების მრავალსაუკუნოვან არსებობაზე. გლეხებისა და ყმების გარდა ყარაჩაულ საზოგადოებაში იყო აგრეთვე ისეთი უუფლებო სოციალური კატეგორია როგორიც იყო მონა-ყული. საერთოდ კი ძირითადი მწარმოებელი მასა თავისუფალი მეთემე გლეხები იყვნენ ე. წ. უზდენები. ყარაჩაული საზოგადოების ზედაფენა აკსიუეკად იწოდებოდა ანუ თეთრ ძვლად, ხოლო ყმა-გლეხობა კი შავ ძვლად.

ყარაჩაელი და ბალყარელი ყმა-გლეხობა მარტო თავიანთ ფეოდალებს არ ემორჩილებოდნენ, ისინი გარკვეულ ფეოდალური ვალდებულებებით იყვნენ დაკავშირებულნი ყაბარდოელ თავად-აზნაურებთანაც, რამდენადაც ამათ ხელში იყო მოქცეული დაბლობი რაიონების მთელი საზამთრო საძოვრები. ასე, მაგალითად, ყარაჩაელები და ბალყარლები ყოველი ოჯახიდან თითო სულ ცხვარს აძლევდნენ ყაბარდოელ ფეოდალებს.

დაყმევებული გლეხების ვალდებულების ძირითადი ფორმები შრომითი ბეგარა და ნატურალური გადასახადი იყო.

ყარაჩაულ და ბალყარულ ფოლკლორში საკმაოდაა შემორჩენილი სოციალური უთანასწორობისა და კლასობრივი ბრძოლის მომენტები. ასე, მაგალითად, სიმღერაში ბეკ-ბოლატზე მოცემულია თუ როგორ იბრძოდა ღარიბთა დასაცავად ბეკ-ბოლატი მოძალადე თავადების წინააღმდეგ და სხვ.

ყარაჩაელთა და ბალყარლების ადრეფეოდალურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების ნიშნები: ათალიკობა, სტუმართმოყვარეობა, ურთიერთდახმარება, სისხლის აღება, შვილობა, დაძმობილობა, ყონაღობა და სხვ.

XVI—XVII სს. ნოღაელთა საზოგადოებაც კლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა. ნოღაელი ფეოდალები რუსულ წყაროებში „ულუსის საუკეთესო ხალხად" ითვლებოდა, ხოლო უბრალო ხალხი კი, როგორც წესი, „შავ ხალხად". თითოეული ნოღაური ურდოს სათავეში

თავადი იდგა, შემდეგ მისი მემკვიდრე ნურადინი და სამხედრო სარდალი ვეკოვატი; ამათ შემდგომ კი მოდიოდნენ მურზები ანუ ულუსთა მემკვიდრეობით მფლობელები და იმავე ულუსთა ე. წ. „უბრალო ხალხის“ ბატონები. ნოღაელ თავადებს დაახლოებით 200000-მდე მეომარი ჰყავდათ. ნოღაელი მურზები მხოლოდ პირობითად სცნობდნენ თავადებს თავიანთ უფროს ძმებად, თორემ რეალურად თითოეული მურზა თავისი ულუსის დამოუკიდებელი გამგებელი იყო. თავადებისა და მურზების მთელი სიმდიდრე საქონელი იყო. დ'ასკოლის სიტყვით, ერთი ნოღაელ თავადს 400000-მდე სული საქონელი ჰყავდა. მდაბიურთაგან გამოსარჩევად ზედაფენის წარმომადგენლები მგლის ტყავისაგან შეკერილ ქურქებს ატარებდნენ. ნოღაელი უშუალო მწარმოებლის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. ისინი ვალდებულნი იყვნენ თავიანთ თავადებსა და მურზებს წაყოლოდნენ ყველგან. ხოლო ლაშქრობისას კი მათთან უნდა გამოცხადებულიყვნენ თავიანთი იარაღითა და სურსათ-სანოვაგით. ნოღაურ საზოგადოებაში იყვნენ მონებიც, რომლებიც ეწეოდნენ ყველაზე მძიმე სამუშაოებს, მაგალითად, ჭების ამოთხრას, საწვავის შოვნას და სხვ. მონების ერთი ნაწილი ჩაკეტილი ჰყავდათ, ხოლო ის ვინც „თავისუფალი“ იყო, მას ნება არ ჰქონდა ჩარდახიან ურემში ღამის გათევისა, თუნდაც მკაცრი ზამთარი ყოფილიყო. მონას გარეთ ღია ცის ქვეშ უნდა სძინებოდა.

ფეოდალთა ძირითადი საკუთრება, მართალია, საქონელი იყო. მაგრამ წყაროების მიხედვით ისინი ფლობდნენ აგრეთვე საძოვარ-სათიბებსა და სანადირო ნაკრძალებსაც.

ყარაჩაელებმა მიუხედავად საკუთარი დამწერლობის უქონლობისა და ადიღე-ჩერქეზთა შორის საუკუნოებრივი თანაცხოვრებისა საკმაოდ სუფთად შეინახეს თავისი ენა — თურქული. შედარებით სხვა მდგომარეობა იყო შექმნილი ნოღაელებთან. შუა საუკუნეების ავტორები მათ, მართალია, თათრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებად მიიჩნევდნენ, მაგრამ ამასთან იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ერთმანეთს შორის ისინი სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობდნენ; ერთ ტომს ხშირად მეორისა არა ესმოდა რა. აღნიშნულ საუკუნეებში არც ნოღაელებს გაჩნდათ თავიანთი დამწერლობა. დიპლომატიური ურთიერთობისას ისინი იყენებდნენ არაბულ, თათრულ, უიღურულ და რუსულ დამწერლობას.

ყარაჩაელთა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები უმეტესად ხის დიდ და საშუალო მორებისაგან იყო აგებული. მთელი მოსახლეობა კვარტალებად იყო განლაგებული და როგორც წესი, თითოეულში სჭარბობდა ერთი რომელიმე საგვარეულო. თითოეული ოჯახის საკარმიდამო საკმაო მანძილით იყო მოცილებული ერთმანეთისაგან.

ნოღაელები XVI—XVII სს. მომთაბარულ ცხოვრებას ეწეოდნენ. მთელი მათი „სახლი“ მოთავსებული იყო ორბორბლიან ურემზე, რომელიც გადახურული იყო სხვადასხვა ტყავეულითა და ქეჩით. თითოეულ ოჯახს რამდენიმე ასეთი იურტა ჰქონდა, ცალცალკე ცოლ-ქმრისათვის, მოხუცებულებისათვის, ბავშვებისათვის და სხვ. გამწევ ძალად იყენებდნენ ხარებს, ძროხებს, ცხენებსა და აქლემებს. ზაფხულ-შემოდგომაზე მოხეტიალე ნოღაელები ზამთრობით ერთ რომელიმე დასახლებულ პუნქტთან ან ციხე-სიმაგრესთან ჩერდებოდნენ და იზამთრებდნენ — მაგალითად, ჩობანკალასთან, ჩობან-ელისთან შანგრისთან, ნავრუზ-კირმანთან და სხვ.

ყარაჩაელებს, ისე როგორც ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებს, ძალზე დიდხანს შემორჩათ წარმართული სარწმუნოება და მისი დღესასწაულები, ვიდრე არ გამაჰმადიანდნენ. XVII ს. ზოგიერთი ავტორის ცნობით კი (არქანჯელო ლამბერტი და სხვ.) ყარაჩაელთა ნაწილი ქრისტიანულ სარწმუნოებასაც მისდევდა. ისლამი ყარაჩაელთა და ბალყარელებს შორის თურქეთ-ყირიმხანმა გაავრცელა, რასაც დიდად შეუწყო ხელი ფეოდალურმა ზედაფენამ, რომელმაც ის იარაღად გამოიყენა უშუალო მწარმოებელზე ექსპლოატაციის გასაზრდელად. ამიტომ იყო, რომ უბრალო ხალხი ისლამს თავიდანვე მტრულად შეხვდა და ისლამმაც საბოლოოდ მხოლოდ XIX ს. დასაწყისში ჰპოვა მათში სრული აღიარება. რაც შეეხება ნოღაელებს, ისინი აღნიშნულ საუკუნეებში მთლიანად მაჰმადიანური სარწმუნოებისანი იყვნენ და მის წეს-ჩეულებებს იცავდნენ.

XV საუკუნეში ყირიმის სახანოს ჩამოყალიბებამ და მისი თურქეთის ვასალად გადაქცევამ ჩრდილო კავკასიის ხალხების XVI—XVII საუკუნეების სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომ განვითარებაში მეტად უარყოფითი როლი ითამაშა. ჩრდილო კავკასია და მისი ხალხები თურქეთ-ყირიმხანს ორი დიდი მიზნისათვის ესაჭიროებოდა: ხალხის ძარცვა-გლეჯისათვის და გზების გამოყენებისათვის, ერთი მხრივ ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალზე გასაჭრელად, ხოლო მეორე მხრივ — ამიერკავკასიაში გასასვლელად და თავის მთავარ მეტოქე-ირანზე ჩრდილოეთის მხრიდან თავდასასხმელად. ჩრდილო კავკასიაში თურქეთ-ყირიმხანი ორი მხრიდან შემოდიოდა — აზოვისა და ქერჩის მხრიდან. თურქეთ ყირიმხანის ეს შემოსევები XVI ს. მთელ მეორე ნახევარსა და XVII საუკუნეში თითქმის განუწყვეტლად გრძელდებოდა.

1552—1556 წლებში რუსეთის მიერ ყაზან-ასტრახანის სახანოების შემოერთებამ ჩრდილო კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ითამაშა, კავკასიის ხალხებმა თურქეთ-ყირიმხანისა

და ირანის მოძალების პირობებში ცხოველი ურთიერთობა გააბეს მასთან. განსაკუთრებით ინტენსიური შეიქმნა ეს ურთიერთობა 1588—1589 წლებში თერგქალაქის აშენებით.

რუსეთთან ურთიერთობა დაამყარეს მომთაბარე ნოღაელებმაც, რომლებიც XVI ს. შუა წლებისათვის შინაფეოდალური აშლილობის შემდეგ ორ ურდოდ გაიყვნენ დიდ და მცირე ნოღაელებად. მცირე ნოღაელებმა გადაინაცვლეს დონის, აზოვისა და ყირიმისაკენ, ხოლო დიდმა კი ვოლგისპირეთის ქვედა რაიონებში. 1557 წელს დიდ ნოღაელთა მთავარმა რუსეთის მეფის ვასალად სცნო თავი და მის მფარველობაშიც შევიდა. რაც შეეხება მცირე ნოღაელებს, ისინი უმეტესად პროთურქული ორიენტაციისა იყვნენ.

ნოღაელები დროდადრო აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ერთი მხრივ რუსეთის ჩრდილოეთის ომებში (ლივონიის ომი), ხოლო მეორე მხრივ კი თურქეთ-ყირიმხანის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. თავის მხრივ რუსეთი პრორუსული ორიენტაციის ნოღაელებს დიდ დახმარებას უწევდა ყალმუხელი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღსანიშნავია, რომ ყარაჩაელები და ბალყარლები დიდად უწყობდნენ ხელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. სამიმოსვლო გზების დიდი ნაწილი მათ ტერიტორიაზე გადიოდა და ისინიც სიამოვნებით სთავაზობდნენ რუს ელჩებს სამსახურს.

§ 3. ყაბარდო-ბალყარეთი XV—XVII სს.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა: XVI—XVII საუკუნეებში ყაბარდოელთა მეურნეობის ძირითად და წამყვან დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა. ყაბარდოს ბუნებრივი პირობები განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობას იძლეოდა მეურნეობის ამ დარგის განვითარებისათვის. ყაბარდოელთა მესაქონლეობა მოიცავდა მეცხვარეობას, მეცხენეობას და ბოლოს მსხვილფეხა რქოსან საქონლის მოშენებას.

XVII საუკუნის ერთ-ერთი ავტორი ჟ. ტავერნიე, როდესაც ეხებოდა ყაბარდოელთა სამეურნეო ცხოვრებას, აღნიშნავდა: „მათ მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენდა საქონლის ჯოგები, განსაკუთრებით კი მშვენიერი ცხენები“. მისივე სიტყვით, ყაბარდოელებს ჰყავდათ, აგრეთვე, დიდი რაოდენობით ცხვრები და თხები, რომელთა მატყლი ისეთივე კარგი იყო, როგორც ესპანური ცხვრისა. ყაბარდოელთა მეცხვარეობის შესახებ, გოტლიბ შობერი (XVIII ს) წერს, რომ „მათი ცხვრები ძალზე მსუქანნი და სასიამოვნო გემოსი არიან ისე როგორც ეს შეიძლება ინგლისში იყოს; ხოლო მატყლი ისეთი თეთრი, სუფთა და რბილია, რომ იგი თითქმის ესპანურს ჩამოჰგავს“.

ასეთ ვითარებაში, რასაკვირველია, ჩვენ არ გვეჩვენება გაზვიადებულად ყირიმში მყოფი ფრანგი კონსულის მ. პეისონელის (XVIII ს.) ცნობები, რომლის მიხედვით ჩრდ. კავკასიიდან ტამანსა, კაფასა და კონსტანტინეპოლში ყოველწლიურად გაჰქონდათ 80—100 ათასამდე ცენტნერი მატყლი და 500 ათასამდე ცხვრის ტყავი და რომ ზემოთ აღნიშნულის თითქმის ნახევარი მოდიოდა მარტო ყაბარდო-ჩერქეზეთიდან.

მეცხვარეობის დიდ განვითარებაზე ყაბარდოში მიუთითებს, სხვათაშორის, ხალხში შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი ჩვეულებაც, რომლის მიხედვით სუფრის თამადას, როგორც წესი, მიერთმეოდა ხოლმე ცხვრის თავი. საერთოდ კი ვინც ცხვარს დაკლავდა მას თავის ნახევარი უნდა მიეტანა გვარის უფროსისათვის ან თემის მეთაურისათვის.

მეცხვარეობის შემდეგ, ყაბარდოელთა მესაქონლეობრივ მეურნეობაში საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა მეცხენეობას. ყაბარდოულ-ჩერქეზული ცხენები XVI—XVII საუკუნეების მთელ მანძილზე და შემდეგშიც ძალზე ძვირად ფასობდა საერთაშორისო ბაზარზე. ხანგრძლივი დაკვირვებითა და შეჯვარება-შერჩევის გზით ყაბარდოელებმა შექმნეს საქვეყნოდ ცნობილი ჯიშის ცხენი, რომელსაც დღესაც „ჩერქეზულს“ უწოდებენ.

შუა საუკუნეების ავტორების: გ. ინტერიანოს, ე. კემპფერის, ნ. ვიტსენის, დორტელი დ'ასკოლის, დე ლა მოტრეს და მრავალ სხვათა ცნობებით, ყაბარდოულ-ჩერქეზული ცხენები თავისი აგებულებით გამძლეობით, სისხარტით და სილამაზით არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ იმ დროისათვის განთქმულ ინგლისურ და ესპანურ ცხენებს. მ. პეისონელის სიტყვით, ეს ცხენები ძალზე ფასობდნენ; იყვნენ მაღალი და კარგი აგებულების, მოქნილები, ძლიერები და სწრაფმავალები. მათი თავი მოგაგონებდათ ყორნის ოდნავ მოკაუჭებულ ნისკარტს. საერთოდ, განაგრძობს პეისონელი, ეს ცხენები ძალზე ჰგავდნენ ინგლისური ჯიშის ცხენებს. ჟ. ტავერნიეს ერთი ცნობით კი ყაბარდოელებს სანადიროდ არ მიჰყავდათ არც ძაღლები და არც სანადირო ფრინველები, რადგან თვითონ ცხენები ღლიდნენ ნადირს, რის შემდეგ მათ მონადირეები ადვილად იგდებდნენ ხელთ.

ყაბარდოში ცხენის ყოლა აღნიშნულ საუკუნეებში სოციალურ განსხვავების ერთ-ერთ ნიშნადაც იყო გადაქცეული. ასე, მაგალითად, ყაბარდოში ფეოდალის გარდა იშვიათად თუ ვინმე მდაბიოს შეეძლო პირად საკუთრებაში ჰყოლოდა ცხენი. ყმა გლეხობის სამეურნეო ცხოვრებაში ცხენი თითქმის არავითარ როლს არ თამაშობდა. რაც შეეხება ფეოდალებს, ისინი მას ძირითადად იყენებდნენ ერთი მხრივ, სწრაფი გადაადგილების ყველაზე საუკეთესო საშუალებად, ხოლო მეორე

მსრივ, მეზობლებზე თავდასხმისა და ტყვეთა მოპოვებისათვის. ყველაზე დიდი და უძვირფასესი საჩუქარი ყაბარდოელისათვის ეს იყო ცხენის ჩუქება. ყველა ოდნავ შეძლებულ ყაბარდოელ ფეოდალს თავისი საკუთარი ცხენსაშენი ჰქონდა.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის — ხარის, ძროხის და სხვ. მოშენება-გამრავლებას ყაბარდოელები აღნიშნულ საუკუნეებში შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

მესაქონლეობრივი მეურნეობის მაღალი განვითარების პირობებში ბუნებრივია, რომ პიროვნების ძლიერება და სიმდიდრე საქონლის საერთო რაოდენობით განისაზღვრებოდა. ს. ბრონევსკი, პირდაპირ წერს, რომ ყაბარდოში „კერძო პირთა მთელი სიმდიდრე საქონლის რაოდენობით იზომებაო“. თავისთავად ცხადია, რომ საქონლის უდიდესი ნაწილი ყაბარდოელ ფეოდალთა ხელში იქნებოდა მოქცეული. ასე, მაგალითად, XVIII ს. შუა წლებისათვის მარტო 7 ფეოდალის ხელში იყო მოქცეული 22000 სული ცხვარი. ამავე საუკუნის დასასრულისათვის ზოგიერთი ყაბარდოელი ფეოდალი ფლობდა 2—3 ათას სულ ცხვარს, 70 თავ მსხვილფეხა საქონელსა და 300-400 სულამდე ცხენს.

XVI—XVII საუკუნეებში ყაბარდოელები მისდევდნენ მიწათმოქმედებასაც, მაგრამ მესაქონლეობასთან შედარებით ის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა.

ვიდრე შევუდგებოდეთ მიწათმოქმედების მოკლე მიმოხილვას, არ შეიძლება არ შევეხოთ ერთ ფრიადმნიშვნელოვან გარემოებას, რომელმაც XVI—XVII საუკუნეებში გარკვეულად იმოქმედა მეურნეობის ამ დარგის შემდგომ განვითარებაზე. ცნობილია, რომ XIII — XIV საუკუნეებამდე ადიღელებს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ყაბარდოელებიც, ძველთაგანვე ჰქონდათ საკმაოდ განვითარებული მიწათმოქმედება. უარეს შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ადიღელებთან „მესაქონლეობა მიწათმოქმედებასთან შერწყმულ და შეთანაბრებულ ტიპს ჰქმნიდა“. ცნობილია რომ ახტიკერ ხანაში ჩრდ. დასავლ. კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ბერძნული კოლონიები ძირითადად მარაგდებოდნენ ადიღელ ტომთა მიერ მოყვანილი პერეულით. პერეული კულტურა ადიღელთა ეკონომიკაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თითქმის XV საუკუნემდე.

XIII საუკუნის შუა ხანებიდან, ჩრდ. კავკასიის შავიზღვის სანაპიროზე არსებული იტალიური ფაქტორიები პურეულით უმეტესად ადიღელებისაგან მარაგდებოდნენ. შემდგომ საუკუნეებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, რაც გამოიხატა იმაში, რომ ადიღელ ხალ-

ებში მესაქონლეობა გახდა მეურნეობის ძირითადი და წამყვანი დარგი.

XVI — XVII საუკუნეებში მიწათმოქმედების დაქვეითება და მისი ხვედრითი წონის შემცირება, როგორც მეურნეობის წამყვანი დარგისა, გამოწვეული იყო, ერთი მხრივ, დამპყრობელ მომთაბარე ტომების გავლენით, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით გაივლიდნენ ხოლმე ადიღეელებით დასახლებულ ტერიტორიებს, თურქეთ-ყირიმხანის დაუსრულებელი ექსპანსიებით და, მეორე მხრივ, თვით ქვეყნის შიგნით გამწვავებული შინაფეოდალური ომებით. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ ვითარებაში შეუძლებელი იყო მიწათმოქმედების ინტენსიური განვითარება. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

მიუხედავად იმისა, რომ XVI — XVII საუკუნეებში, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მიწათმოქმედებამ მესაქონლეობის შემდეგ მეორე ადგილზე გადაინაცვლა, იგი მაინც საკმაოდ გარკვეულ როლს თამაშობდა ყაბარდოელთა სამეურნეო ცხოვრებაში, აკმაყოფილებდა რა ყაბარდოელთა მოთხოვნილებებს. ჩვენ ხელთ არსებული რუსული წყაროების გაცნობისას, უეჭველი ხდება, რომ ყაბარდოელებს აღნიშნულ საუკუნეებში უპირველეს ყოვლისა მოჰყავდათ სხვადასხვა ჯიშის ღომი — ფეტვი და სხვა ფეტვნაირი კულტურები. ი. გიულდენშტედტის ლაკონიური თქმით, „ღომი — პროსო“ ყაბარდოელებთან პურის მაგივრობას სწევდა. XVII ს. იტალიელი მოგზაური დორტელი დ'ასკოლი წერს, რომ „ჩერქეზეთში ხორბლის პური არ იხმარება, თუმცა იგი აქ ითესება. პურის მაგივრად ჭამენ სქლად მოხარშულ უმარილო ღომს და მას ეწოდება პასტა. მოხარშულ ღომს ჭრიან ნაჭრებად და ისე მოაქვთ სუფრაზე“... ღომისა და სხვა ფეტვნაირი კულტურების გარდა, ყაბარდოელები აღნიშნულ საუკუნეებში, მართალია, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც თესდნენ ქერს, ღაშას (полба, მახას ერთ-ერთი სახეობა), ხორბალს და ჭვავს. პურეული კულტურების შეზღუდვა ყაბარდოში ძირითადად გამოწვეული იყო ღომის—პროსოს შემოსვლით და დამკვიდრებით, რამდენადაც მისი მოყვანა-დამუშავების აგროტექნიკა შედარებით ხორბალთა, ქერთან, სიმინდთან და სხვ. საკმაოდ ადვილი და ნაკლებ შრომატევადი იყო. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ღომი—პროსო, პურეული კულტურების მსგავსად, ერთნაირი წარმატებით გამოიყენებოდა როგორც ადამიანთა საკვებად, ასევე საქონლისათვის.

სამიწათმოქმედო შრომის ძირითად იარაღებიდან ამ პერიოდისათვის აღსანიშნავია დიდი გუთანი, ხის კავი, რკინის სახნისიანი კავი, წერაქვი, თოხი, ნამგალი, ცელი, ფარცხი, საცეხველი და სხვ. მარცვ-

ლეულს ლეწდნენ ქვისა და ხის მორგვებით, ჯაჭვით, ხის ფართო მძიმე ბორბლებით, კევრით და სხვ. დიდი გუთანი, რომელსაც 3—4 უღელი ხარი ამუშავებდა წყაროებში პირველად (ი. გიულდენშტედტი, კ. პალასი) XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოიხსენიება. ქართველი ეთნოგრაფების აზრით, იგი ყაბარდოში და საერთოდ ჩრდ. კავკასიაში საქართველოდან უნდა გავრცელებულიყო. ყაბარდოში მიუხედავად დიდი გუთნის არსებობისა, მიწები, უმეტეს წილად. რაიონებისდა მიხედვით, მაინც ხის კავით, რკინის სახნისიანი კავით და თოხით მუშავდებოდა.

მიწათმოქმედების განვითარებასთან, როგორც წესი, ორგანულადაა დაკავშირებული მებაღეობა და მებოსტნეობა, მაგრამ მიწათმოქმედების ამ მეტად მნიშვნელოვან დარგებს, როგორც ისტორიული წყაროები გვიჩვენებს, ყაბარდოელთა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა არა ჰქონდათ. ხილთაგან ყაბარდოში ცნობილი იყო: ვაშლი, მსხალი და სხვ. ბოსტნეულიდან ყაბარდოელებს მოჰყავდათ: სტაფილო, ხახვი, ნიორი, ჭარხალი, ბოლოკი, კიტრი, გოგრა და სხვ. პარკოსანთაგან ბარდა, ცერცვი, ლობიო და სხვ.

XVI — XVII საუკუნეების წყაროები თითქმის ერთნაირად უარყოფენ ყაბარდოში კულტურული მევენახეობის არსებობას.

ყაბარდოელთა სამეურნეო ცხოვრებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფუტკრეობას. იგი იმდენად იყო განვითარებული, რომ ზოგიერთი მას, მესაქონლეობის დარად, მიიჩნევდა მოსახლეობის ძირითად საქმიანობად და სიმდიდრედ. მართლაც ყაბარდოს ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელ მდგომარეობას უქმნიდა მეფუტკრეობას (მინდვრის ყვავილთა სიუხვე, გარეული ხეხილთა სიმრავლე, სასურველი კლიმატი და სხვ.). მ. პეისონელის სიტყვით, ჩერქეზ-ყაბარდოელებს ყოველწლიურად კაფაში გასაყიდად გაჰქონდათ 50—60 ათასამდე ოყა ცვილი, 5—6 ათას ცენტნერამდე სუფთა ან ფიქიანი თაფლი, რითაც ისინი დიდ შემოსავალს იღებდნენ. თაფლისაგან ყაბარდოელები აყენებდნენ სასმელს, რომელიც ძალზე მაგარი იყო. მეფუტკრეობაც ძირითადად საზოგადოების პრივილიგირებულ ფენის ხელში იყო მოქცეული.

XVI — XVII სს. ყაბარდოელთა სამეურნეო ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდა ხელოსნობა. რამდენადაც ყაბარდოში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა და სხვებთან შედარებით დაახლოებით წამყვან დარგებად ითვლებოდა მესაქონლეობა და მიწათმოქმედება, ამდენად ყაბარდოში არსებული ხელოსნობაც უმეტეს წილად მათ ძირითად ინტერესებს ემორჩილებოდა. ხელოსნობა და შინამრეწველობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეო-

ბასთან, იგი მას XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც არ გამოყოფია. ყაბარდოში იშვიათად თუ მოიპოვებოდა რომელიმე ხელოსანი, რომელიც მხოლოდ ერთი პროფესიით იქნებოდა დაკავებული. ასე, მაგალითად, ისინი ვინც ქსოვდნენ სხვადასხვაგვარ ქსოვილებს, იმავე დროს ფლობდნენ ნაბდების კეთების ხელოვნებას, აკეთებდნენ ნოხებს, რკინის წვრილ-წვრილ ნივთებს და სხვ. შრომის სპეციალიზაცია, თუ შეიძლება ასე ითქვას, მხოლოდ ლითონის გამოდნობა-დამზადებაში და, ნაწილობრივ, ხის დამუშავებაში შეიმჩნეოდა. როგორც წესი კი ყველა ხელოსანი იმავე დროს ცოტა მესაქონლე და ცოტა მიწათმოქმედიც იყო.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ევროპული და რუსული წყაროები, ხშირ შემთხვევაში ერთხმად აღიარებდნენ ჩერქეზ-ყაბარდოელი ხელოსან-მწარმოებელთა მაღალ კულტურასა და ხელოვნებას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ყაბარდოში აღნიშნულ საუკუნეში არ არსებობდა სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები — ქალაქები.

ყაბარდოელთა ხელოსნურ წარმოებაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო მატყლის დამუშავება. მატყლისაგან ამზადებდნენ სხვადასხვაგვარ ქსოვილებს, მაუდს, ხამ შალს და სხვ. დიდად იყო განვითარებული ყაბარდოში ნაბდის, ქეჩის, თექისა და ჩულის წარმოება. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით მაინც სარგებლობდა ნაბადი, რომელიც ძირითადად სამი ფერისა მზადდებოდა თეთრი, ყავისფერი და შავი. იგი შესანიშნავი საფარი იყო წვიმა-სიცხე-ქარისაგან; ღამით, გაშლილ სტეპებში კი შეუცვლელი თბილი შემოსაბურგასახვევი. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი თვისებების გამო ყაბარდოულ ნაბადს დიდი გასავალი ჰქონდა საგარეო ბაზარზე. ასე, მაგალითად, მას დიდი რაოდენობით ყიდულობდნენ არა მარტო მეზობელი კავკასიელი ხალხები და სამხრეთ რუსეთის ველებში დასახლებული კაზაკობა, არამედ, თურქეთში, ყირიმის სახანოში და სხვ.

არანაკლები სახელით სარგებლობდა ამ პერიოდისათვის, სხვათა შორის, ყაბარდოული თეთრი მაუდიც. იგი, პეისონელისა და გიულდენშტედტის ცნობებით. თავისი ხარისხით იმდროინდელ ფრანგულ მაუდს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა.

ყაბარდოელებმა აღნიშნულ საუკუნეებში ასევე კარგად იცოდნენ ტყავის დამუშავების ტექნოლოგია. დამუშავებული რბილი და მოქნილი ტყავისაგან ისინი ამზადებდნენ: ფეხსაცმელებს, ქამრებს, თამბაქოს ჩასაყრელ ქისებს, ფაფახებს, ქურქებს; რძის, წყლისა და სხვადასხვა მაგარი სასმელებისათვის ტიკებს, ტიკისმაგვარ ჭურჭელსა და გუდებს. ტყავეულ ნაწარმიდან ყველაზე მეტი აღიარება მაინც

ცხენის უნაგირსა და მის მორთულ-მოკაზმულობას ჰქონდა, რომელ-ზედაც დიდძალი ოქრო-ვერცხლიც გამოიყენებოდა. რუსი პოლკოვნიკი გუსტავ გერბერი, რომელმაც იმოგზაურა ყაბარდოში 1728 წელს, აღფრთოვანებული წერს, რომ კავკასიაში ყველაზე კარგ უნაგირებსა და ცხენის მოსართავებს ყაბარდოელები აკეთებენო. ს. ბრონევსკის თქმითაც, რუსეთში ყაბარდოული უნაგირი და ცხენის სხვა მოსართავ-მოკაზმულობა დიდი პატივისცემითა და სახელით სარგებლობდა.

XVI — XVII საუკუნეებში ხელოსნობის დარგებს შორის ყველაზე უფრო მაღალ განვითარებას მიაღწია ლითონის დამუშავებამ. ყაბარდოელები გარდა ადგილობრივი ლითონებისა (რკინა, ვერცხლი, ტყვია და სხვ.) იარაღ-საჭურველისა და ლითონის სხვა საოჯახო თუ პირადი მოხმარების ნივთების დასამზადებლად ხმარობდნენ დამატებით შემოტანილ ლითონსაც — ფოლადს, რკინას, ტყვიას, კალას, ოქროსა და სხვ. ლითონის გარკვეული ნაწილი იხარჯებოდა აგრეთვე შრომის იარაღების დასამზადებლადაც. ყაბარდოელი ხელოსნები ხმლებისა და მახვილების, მშვილდისა და ისრების, ხანჯლებისა და ბატევრების, თოფებისა და დამბაჩების შესანიშნავი ოსტატები იყვნენ. ხოლო იარაღის ოქრო-ვერცხლით მოჭედვაში მათ თითქმის ბადალიც არ მოეპოვებოდათ მთელს ჩრდილო კავკასიაში. ყაბარდოელები ოქრო-ვერცხლით აჩუქურთმებდნენ დამბაჩის სახელურებს, ხმლებისა და ხანჯლების ბუდეებს, თოფის ტარს, ქამრის ბალთებს, ბეჭდებს, თასებს, ცხენის მთელ რიგ მოსართავ მოკაზმულობას და სხვ.

მიუხედავად იარაღ-საჭურვლის ადგილობრივი დამზადებისა, ყაბარდოელებს ისინი მაინც შემოჰქონდათ სხვადასხვა მხარეებიდან, კერძოდ, რუსეთიდან, თურქეთიდან, ყირიმის სახანოდან, ირანიდან, საქართველოდან და სხვ.

ხელოსნობა-შინამრეწველობაში საპატიო ადგილი ეკავა მეურნეობასა და ხით ხუროობას, მაგრამ მათი წარმოების მასშტაბი მხოლოდ წმინდა ოჯახური მოთხოვნილებებით შემოისაზღვრებოდა. ხელოსნობისა და შინამრეწველობის დახასიათებისას არ შეიძლება არ ავღნიშნოთ ერთი გარემოება. საქმე ისაა რომ თუ ლითონის ნაწარმის დამზადებისას ძირითადად მამაკაცი დომინირებდა, სამაგიეროთ ხელოსნობის სხვა დარგებში, რომლებიც როგორც ორგანიზაციულად, ასევე ტექნიკური აღჭურვილობით უფრო დაბლა იდგნენ (მატყლისა და მატყლის პროდუქტების დამუშავება, ტყავის დამუშავება, ოქრომკედით ქარგვა და სხვ.), ძირითადად ქალები მოღვაწეობდნენ.

საერთოდ კი ყაბარდოული საზოგადოება, როგორც ყოველი საზოგადოება ნატურალური მეურნეობის დროს, შედგებოდა მრავალი ერთგვაროვანი სამეურნეო ერთეულისაგან (პატრიარქალური გლე-

ხური ოჯახებისაგან. პრიმიტიული სოფლური თემებისაგან, ფეოდალური მამულისაგან) და. როგორც წესი, ყოველი ასეთი ერთეული. ვ. ი. ლენინის სიტყვით, ასრულებდა ყველა სახის სამეურნეო საქმიანობას დაწყებული სხვადასხვა სახის ნედლეულის მოპოვებით და გათავებული მოსახმარებლად მისი საბოლოო დამზადებით.

XVI—XVII საუკუნეების ევროპული და რუსული წყაროები. მართალია იძლევიან ცნობებს ყაბარდოელთა საგარეო და საშინაო ვაჭრობაზე, მაგრამ თვით ვაჭრობა სუსტად იყო განვითარებული. იგი რამდენადმე მაინც ვერ მოქმედებდა გაბატონებულ ნატურალურ მეურნეობაზე.

აღნიშნულ საუკუნეებში ყაბარდოელებს არ გააჩნდათ საკუთარი მონეტა—ფული. ადგილობრივი მოსახლეობის ვაჭრობა ძირითადად მზა ნაწარმის გაცვლაში გამოიხატებოდა. 1728 წელს გ. გერბერის ნათქვამი თავისუფლად შეიძლება განვაზოგადოთ წინარე საუკუნეებზეც. გერბერი წერდა, რომ ყაბარდოელები არ სჭრიან არავითარ ფულს — მონეტას, მაგრამ სარგებლობენ კი რუსული, სპარსული და თურქული ფულებით. ნ. კარლგოფის მიხედვით, ნაწარმის ფასი საერთოდ განისაზღვრებოდა როგორც ტილოს ნაჭრებით, ასევე სხვადასხვა ასაკის ადამიანებით (მონებით — თ. ბ.), საქონელით და სხვ. XVI—XVII საუკუნეებში თვით ყაბარდოელები ნაკლებად მისდევდნენ ვაჭრობას. ამ საქმიანობას უმთავრესად სომეხი, რუსი, თურქი, სპარსელი და ებრაელი ვაჭრები ეწეოდნენ.

ყაბარდოელ ვაჭართა ხვედრითი წონა საერთოდ ძალზე მცირე იყო. ავსტრიელი ელჩი, რომელიც XVI საუკუნის მოსკოვში იყო, წერს, რომ მოსკოვში საუკეთესო საქონლით სავაჭროდ ჩამოვიდნენ შორეული ვაჭრებიო: „ყაბარდოელები, ქართველები, ციმბირელები, ჩერქეზები და სხვები“.

XVI—XVII საუკუნეების წყაროებიდან ირკვევა, რომ ყაბარდოელებს შედარებით ინტენსიური ვაჭრობა ჰქონდათ თურქეთთან, ყირიმის სახანოსთან, ირანთან, რუსეთთან და საქართველოსთან (ამ უკანასკნელის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ. — თ. ბ.). ჩრდილო კავკასიელ მეზობლებთაგან: ადიღე-ჩერქეზებთან, ნოღაელებთან, ბალყარლებთან, ჩაჩან-ინგუშებთან, ოსებთან. დაღესტნის ხალხებთან და სხვ.

მართალია, თურქეთთან, ყირიმის სახანოსთან და ირანთან საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი მეცხოველეობის პროდუქტებს ეკავათ: მატყლი, ხამი ქსოვილი, ნაბადი, ტყავეული საქონლისა და ცხვრისა (გარდა იმისა, რომ გაჰყავდათ თვით მსხვილფეხა საქონელი. ცხვრები, ცხენები), მაგრამ მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული ფა-

სი მაინც მონებითა და ტყვეებით ვაჭრობას აქონდა. მონა-ტყვეებზე იმდენად დიდი იყო მოთხოვნილება თურქეთსა, ირანსა და ყირიმის სახანოში, რომ ამ ქვეყნის მმართველები, მთელი საუკუნეების მანძილზე სპეციალურ, საომარ ექსპედიციებსაც კი აწყობდნენ ყაბარდოზე.

მონა-ტყვეთა ყველაზე მსხვილი სავაჭრო ცენტრები იყო კაფა, ანაპა, ფოთი, ბათუმი, სოხუმ-კალე და სხვ. საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი მონებით ვაჭრობა მ. პეისონელს. იგი წერს: „მონებით ვაჭრობას ფართო ხასიათი აქვს. მონები ეკუთვნიან 4 სხვადასხვა ეროვნებას: ჩერქეზულს, ქართულს, ყალმუხურს და აფხაზურს".

მონა-ტყვეთა ვაჭრობას ძირითადად ყაბარდოელი ფეოდალები — ფში-უორკები მისდევდნენ. ამ გზით მიღებული შემოსავალი უზარმაზარი იყო, მაგრამ იგი არ წარმოადგენდა ქვეყნის ნაციონალურ შემოსავალს, მით უფრო, რომ მონაგები ფული ძირითადად ხმარდებოდა გაბატონებული კლასის ფუფუნებით ცხოვრებას.

ყაბარდოში, აღნიშნულ საუკუნეებში, იმპორტით საკმაოდ მდიდარი ასორტიმენტის საქონელი შემოდიოდა. ასე, მაგალითად, ზაუდი, უბრალო ჩითი, ხამი ტილო, ჭრელი აბრეშუმი, პირსახოცები, საბნები, ქამრები, სხვადასხვა ფერის ძაფი, ეარილი, ყავა, პილპილი, კალა, ვერცხლის წყალი, ტყვია, ფოლადი, რკინა, საპონი, ყურძენი, თამბაქო, ფერუმარილი, ფეხსაცმელი, ცხენის აღვირი, თოფის ლულა, მშვილდი, ლურსმანი, ყირიმული დანა, ნემსი, საფანტი, გერმანული ცული, თოფის ბუდე და მრავალი სხვ.

ყაბარდოელთა ეკონომიკის ძირითადი დარგების მოკლე მიმოხილვიდანაც კარგად ჩანს, რომ ყაბარდოელთა სამეურნეო წყობა ხასიათდებოდა ნატურალური მეურნეობით, რომ ყაბარდო ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით არ იყო ერთიანი. მეურნეობის წამყვან დარგს წარმოადგენდა მესაქონლეობა, რაც შეეხება მიწათმოქმედებას, მას შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ყაბარდოელები ამ მხრივ საკმაოდ მდიდარი საწარმოო-სამეურნეო გამოცდილებისა იყვნენ. სამიწათმოქმედო ტექნიკა იყო დაბალი, რუტინული. ვაჭრობა-ხელოსნობაც იყო ნატურალური ხასიათის.

აღნიშნულ საუკუნეებში ყაბარდოელები ეწეოდნენ ნახევრადბინადარ ყოფაცხოვრებას, რაც განპირობებული იყო, ერთი მხრივ, ქვეყნის შინაგანი, სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარებით, ხოლო, მეორე მხრივ, საგარეო ფაქტორებით — თურქეთ-ყირიმხანისა და მომთაბარე მეზობელ ტომთა თავდასხმებით.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა: ყაბარდოელები განეკუთვნებიან იმ ხალხებს, რომელთა შორის ფეოდალური ურთიერთობა განვითარდა არა მონათმფლობელური წარმოების წესის კრიზისისა და

რღვევის, არამედ ძირითადად პატრიარქალურ-თემური წყობილების რღვევისა და რამდენადმე, პრიმიტიულ-მიწათმფლობელური ურთიერთობის ბაზაზე. პატრიარქალურ-თემური წყობილების რღვევის პროცესი ყაბარდოელებში მიმდინარეობდა XVI—XVII საუკუნეებში. დაგვიანებითი ვადასვლა ყაბარდოული საზოგადოებისა ფეოდალიზმში უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო იმით, რომ თვით ყაბარდოელები ეთნიკურად შედარებით გვიან ჩამოყალიბდნენ დამოუკიდებელ ხალსად — არა უადრეს XIII—XIV საუკუნეებისა.

ყაბარდოში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობების თავისებურება XV—XVII სს. ის არის, რომ პატრიარქალურ-თემური წყობილების რღვევა მიმდინარეობდა ერთი მხრივ ყაბარდოს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის პირობებში რუსეთთან და საქართველოსთან, სადაც დიდი ხანია რაც განვითარებული ფეოდალიზმი ბატონობდა და, მეორე მხრივ კი ფეოდალურად ჩამორჩენილ ქვეყნებთან თურქეთ-ყირიმხანთან, ირანთან და ცალცალკე კავკასიურ ფეოდალურ, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ წარმონაქმნებთან — ადიღე-ჩერქეზეთთან, ოსეთთან, დაღესტანთან და სხვ. სადაც მსგავსად ყაბარდოსი ეს-ეს არის ვითარდებოდა ფეოდალური ურთიერთობა.

ყაბარდოს, როშელშიც ყალიბდებოდა ანტაგონისტური კლასები, ადიღე-ჩერქეზეთთან, ოსეთთან, დაღესტანთან და სხვ. შედარებით უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფეოდალურად განვითარებულ საზოგადოებასთან (რუსეთი, საქართველო). ყაბარდოს მიეცა საშუალება მონათმფლობელური ფორმაციისათვის გვერდი აევლო და პატრიარქალურ-თემური წყობილებიდან პრიმიტიული მონათმფლობელურ ურთიერთობის—პატრიარქალური მონობის არსებობის პირობებში პირდაპირ ფეოდალიზმში გადასულიყო. ამ მდგომარეობამ განაპირობა ჩრდ. კავკასიაში ყაბარდოს ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მაღალი დონე, რომელმაც გარკვეული ზეგავლენა მოახდინა საერთოდ ჩრდილო კავკასიელ ხალხებზე.

XVI—XVII საუკუნეების ყაბარდოელი საზოგადოება სოციალურად ადრეფეოდალური საზოგადოება იყო, სადაც მიმდინარეობდა ბრძოლა ერთი მხრივ, მიწის ფეოდალურ საკუთრების დამკვიდრებისათვის, ხოლო მეორე მხრივ თავისუფალ მეთემეთა დამორჩილებისათვის.

ორივე ეს ერთდროულად მიმდინარე და ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული პროცესი გამოხატავდა ფეოდალური ფორმაციის აღმავალ სტადიას — ადრეულ ფეოდალიზმს.

XVI—XVII საუკუნეების ყაბარდოული საზოგადოება ზემოაღნიშნულ მოვლენების საფუძველზე ძირითადად დაყოფილი იყო ორ

მოპირდაპირე კლასად: ფში-უორკებად და ფშიტლებად, ანუ ქართული შესატყვისობით თავად-აზნაურობად და ყმა გლეხობად.

ყაბარდოელი მწარმოებელი საზოგადოება XVI—XVII საუკუნეებში ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი იყო პირადად თავისუფალი — თლფოკოტლები (თავისუფალი მიწის მუშები) და აზატები, ხოლო მეორე—პირად თავისუფლებას მოკლებული, ერთ მხრივ, ყმა-გლეხები — ფშიტლი: ლოგანაპიტები, ოგები და, მეორე მხრივ, უნაუტები და იასირები — მონა-ტყვეები.

ყაბარდოს გაბატონებული კლასი XVI—XVII საუკუნეებში შედგებოდა ორი ნაწილისაგან, ერთი მხრივ, ფშიებისაგან (თავადები) და პირველი ხარისხის უზდენებისაგან (დიდი აზნაურებისაგან) ტლიახოტლიაეებისაგან, რომლებსაც თავისი საკუთარი მიწები გააჩნდათ და, მეორე მხრივ, არამფლობელ მეორე, მესამე და მეოთხე ხარისხის უზდენებისაგან, ანუ მცირე და წვრილი აზნაურებისაგან: დიეენუგოების, ბესლან-უორკებისა, უორკშაუთლუხუსებისა და ფშეკეუებისაგან.

XVI—XVII სს. ტერმინი ფშით უკვე აღინიშნებოდა საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია. XVII ს. ფშის — თავადის ცნება უფრო გაღრმავდა და სოციალური შინაარსის შემცველ კონკრეტულ ტერმინად იქცა. ფშის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა საზოგადოებაში მთლიანად განსაზღვრავდა მის პოლიტიკურ მდგომარეობასაც. ფში და მისი სათავადო ყაბარდოში აღნიშნულ საუკუნეებში გარკვეულ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი როლი მხოლოდ XIX ს. მეორე მეოთხედიდან შემცირდა, როდესაც ყაბარდო თითქმის რუსული მმართველობის სფეროში მოხვდა და ფში „ნებაყოფლობით" იძულებული გახდა უარი ეთქა არა მარტო დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაზე, არამედ საშინაო ხელისუფლების ისეთ ნიშნებზეც, როგორიცაა სისხლის სამართლის დამნაშავეთა გასამართლება-დასჯა.

ფშის წოდებრიობა ყაბარდოში მემკვიდრეობითი იყო და მისი „წმინდა სისხლი" რომ არ შელახულიყო, ადათ-ჩვეულებებში სპეციალური ნორმაც იყო დადგენილი, რომლის ძალითაც ფში აუცილებლად ფშის ქალიშვილზე უნდა დაქორწინებულიყო.

ფში-უორკების ავტორიტეტის შექმნაში არანაკლებ როლს თამაშობდა მათი გვარის უძველესი და უცხოურ წარმოშობაზე შექმნილი გადმოცემები. ერთი გადმოცემით ისინი ეგვიპტურ-ბაბილონურ წარმოშობისანი იყვნენ, მეორეთი — „არაბეთიდან იყვნენ მოსულნი", მესამეთი კი საქართველოდან და ა. შ. ფშის წოდება, როგორც ბარონი სტალი აღნიშნავს, მთელ ჩრდილო კავკასიაში ყველაზე მეტად ყაბარდოში იყო პატივცემული და მას ძალიან „დიდი ძალა ჰქონდა ხალხში".

ფშის თავისი საკუთარი სახნავ-სათიბი მიწები ჰქონდა და მის მიწაზე მჯდომი ყმები მას უხდიდნენ ფეოდალურ რენტას. ფშის სრული უფლება ჰქონდა მიწის გასხვისების, იჯარით გაცემისა და სხვ. მისი მესაკუთრეობა მიწაზე, ისევე როგორც წოდებრიობა მემკვიდრეობით გადადიოდა.

ყაბარდოელ ფშიებზე ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ ზოგიერთი მეზობელი ხალხებიც: აბაზინები, ბალყარლები, ოსები, ჩეჩენ-ინგუშები და სხვ. რომლებიც ყაბარდოელ ფეოდალებს უხდიდნენ განსაკუთრებული სახის ბეგარას — იასაკს.

ჩვენ ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, დიდსა და მცირე ყაბარდოში გაბატონებული იყო ძირითადად ექვსი წარჩინებული საგვარეულო. დიდში — მისოსტოევების, ატაჟუკინების, კაიტუკინებისა და ბეკმურზინების; მცირეში — მუდაროვებისა და ტაუსულტანოვების. ამ ექვსი დიდი ფეოდალური საგვარეულოს ხელში იყო მოქცეული ძირითადად ყაბარდოს მთელი სახნავ-სათიბი მიწები. ყაბარდოს სახნავ-სათიბს ფლობდა აგრეთვე რამდენიმე საგვარეულოც ტლიახოტლიაჟის წოდებიდან — ტამბიევები, კუდენეტოვები და ანზოროვები. მათაც, ფშიების მსგავსად, გააჩნდათ უფლება „თავისუფალი მიწებით სარგებლობისა", „უორკებისათვის მიწების გაცემისა გარკვეული სამსახურისათვის" და სხვ. მათ ჰყავდათ თავისი საკუთარი ყმები და ვასალებად მცირე აზნაურები — უორკ-შაუთლუხუსები. მისი საცხოვრებელი სოფელი (კოჯი) ისევე იყო მოწყობილი, როგორც თავადის უორკ-კოჯი. ივი ისეთივე სრული მესაკუთრე იყო თავისი კოჯისა, როგორც ფში-— უორკ-კოჯისა. ტლიახოტლიაჟები, გარდა პატივისცემისა „არაფრით არ იყვნენ ვალდებულნი" ფშის წინაშე. მასთან უკმაყოფილების შემთხვევაში სხვა საცხოვრებელ ადგილებზეც კი შეეძლოთ გადასულიყვნენ. ვინაიდან უთანხმოების შემთხვევაში ფშის წინააღმდეგ ერთიანდებოდა ყველა ტლიახოტლიაჟი თავისი აულებით, ამიტომ ფში ცდილობდა კეთილგანწყობილების შენარჩუნებას, რადგან მათ შეეძლოთ მისთვის „დიდი ზიანი მიეყენებინათ". ტლიახოტლიაჟს მსგავსად ფშისა თავისი საგვარეულო ღერბი (ტამღა) ჰქონდა. ტლიახოტლიაჟები ერთგვარ კონტროლს უწევდნენ ყაბარდოს მმართველ ვალი-ფშის თავიანთი წარმომადგენელით — კოძათი. ტლიახოტლიაჟის მამულში ფშის უფლება არა ჰქონდა მოეხდინა „ბარანტა"[1], ან დაესაჯა ვინმე.

---

1 „ბარანტობა" ოცეისთავში გულისხმობდა მომჩივნის მიერ მატერიალურ კომპენსაციის მიღებას მისადმი ქონებრივ დანაკლისის ასანაზღაურებლად, შეურაცხყოფის, გადაუხდელი ვალის, მკვლელობის, ქურდობის და სხვ. მრავალ მსგავს შემთხვევათა დროს. „ბარანტობა" იყო კანონიერი ფორმა მომჩივნის ინტერესების დასაცავად და მისი ცნება არასოდეს არ დაიყვანებოდა ჩვეულებრივ ძარცვა-გლეჯვას-

XVI—XVIII სს. მასალებიდან ირკვევა, რომ ყაბარდოში ამ პერიოდისათვის მიწაზე კერძო საკუთრების ძირითადად ორი ფორმა არსებობდა: ფეოდალური საკუთრება — საგვარეულო და სათემო საკუთრება — სასოფლო-სააულო თემის საკუთრების სახით.)მხოლოდ XVIII ს. დასასრულისათვის და XIX ს. დასაწყისისათვის შეიმჩნევა მიწის საკუთრების ახალი ფორმების გაჩენა, სათემოდან — წვრილ-გლეხური, ხოლო ფეოდალურიდან ინდივიდუალური კერძო საკუთრების სახით. ასე, რომ XIX ს. დასაწყისისათვის ყაბარდოში მიწაზე კერძო საკუთრების უკვე სამი ფორმა გვხვდება; ფეოდალური საკუთრება — საგვარეულო და ინდივიდუალური კერძო საკუთრების სახით; სათემო საკუთრება — სასოფლო თემის საკუთრების სახით და წვრილ-გლეხური საკუთრება.

ისე რომ XVI—XVII საუკუნეების მთელ მანძილზე საკუთრების მხოლოდ ორი ფორმაა: ფეოდალური საკუთრება — საგვარეულო და სათემო საკუთრება — სასოფლო-სააულო თემის საკუთრების სახით, იგი ერთ-ერთი მიზეზია ამ პერიოდში საწარმოო ძალების სტაგნაციისა. საქმე ისაა, რომ ოჯახურ-კოლექტიური ანუ საგვარეულო საკუთრების არსებობისას ყმაგლეხთა ექსპლოატაცია საკმაოდ მძიმე და აუტანელი იყო, რაც იწვევდა ყმაგლეხობაში მეურნეობის ინტენსიფიკაციით დაინტერესებულობას, მაშინ როდესაც ფეოდალური ინდივიდუალური კერძო საკუთრების — სათავისთავოს არსებობის დროს პატრონი ძალზე იყო დაინტერესებული თავისი საკუთარი მეურნეობის ინტენსიფიკაციით. ამ შემთხვევაში ყმაგლეხთა ექსპლოატაცია შედარებით პირველთან უფრო მსუბუქიც იყო და პატრონი მათ რამდენადმე „წყალობდა" კიდეც. ამას ერთვოდა ისიც, რო ფშიებისაგან და ტლიახოტლიაქებისაგან, კეთილშობილური სამსახურის საფუძველზე დროებით სარგებლობაში — ბენეფიციუმ[2] მიღებული წვრილ მემამულეთა — უორკთა (ბესლან-უორკი, უორკ-შაუთლუხუსი, ფშეკეუ) რიცხვი ყაბარდოში საკმაოდ დიდი იყო./ასე, მაგალითად, XIX ს. დასაწყისისათვის მათი რიცხვი 1220 აღწევდა მაშინ როდესაც ფში-ტლიახოტლიაქებისა —255-ს. ვფიქრობთ, XVI—XVII საუკუნეში განსხვავება ამ შეფარდებათა შორის მაინცდამაინც დიდი არ იქნებოდა. ამ გარემოებას კი

თან, ან ქურდობასთან. იგი თავისი წარმოშობით პატრიარქალურ-თემური წყობილების მოვლენაა, მაგრამ როგორც ძალმომრეობის ფორმა, საესებით გამოსადეგი აღმოჩნდა პატრიარქალურ-თემური წყობილებიდან ფეოდალიზმში გარდამავალი პერიოდისათვისაც.

2 დას. ევროპული ბენეფიციუმი იდენტურია ყაბარდოული უზდენის წილისა (узденская дань) და უორკტინისა, რომელიც თავისთავად ნიშნავს საუზდენო ნადელს ანუ ყმათა ოჯახს, ცხერებს, მიწის ნაწილს, რკინის სხვადასხვა ნივთებს და სხვ.

ყაბარდოს საწარმოო ძალების განვითარებაში საკმაოდ უარყოფითი გავლენა ჰქონდა. ცნობილია, რომ უორკის მეურნეობა არ იყო რენტაბელური; იგი არ არყევდა გაბატონებული ნატურალური მეურნეობის საფუძვლებს, რადგანაც მისთვის აუცილებლად საჭირო არ იყო ტექნიკური პროგრესი, ხოლო თუ გამოჩნდებოდა რაიმე ახალი გამოგონება, მის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობა, იზოლაცია ფეოდალურ სინამდვილეში. უორკის მეურნეობის ძირითადი პროდუქცია ადგილზევე ხმარდებოდა და მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი აღწევდა ბაზრამდე. უორკების ბამულში ყმაგლეხთა ექსპლოატაციის ხარისხი მძიმე იყო, რადგანაც უორკი თავის „საუზდენო წილს“ დროებით ფლობდა და ისიც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ამოექაჩა უშუალო მწარმოებლებისაგან. ვინაიდან გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეზე მთლიანად „საუზდენო წილის“ მოცულობაზე იყო დამოკიდებული, ბუნებრივია, რომ უორკი დაინტერესებული არ იყო ერთ ადგილზე ყოფნით და იგი დღენიადაგ დაეძებდა უფრო მოზრდილ „საუზდენო წილს“. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ყაბარდოში მიწათმოქმედების განუვითარებლობისა, რადგანაც ეს უკანასკნელი მეტ დროს, შრომასა და ენერგიას მოითხოვდა, ვიდრე მესაქონლეობა. რასაკვირველია, ყველა უორკი არ იყო ასეთ „მომთაბარულ“ ცხოვრებით დაინტერესებული; გარკვეული ნაწილი თავგადადებით ცდილობდა, რათა დროის განმავლობაში თავისი ნადელი გადაექცია საკუთარ სამკვიდრო ყმამამულად, რომელშიც შესული იქნებოდა არა მარტო „საუზდენო წილი“, არამედ საკუთარიც, თუ შეიძლება ითქვას, თანმოყოლილი ყმამამულიც.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაზე ასევე უარყოფით გავლენას ახდენდა ის გარემოება, რომ ყაბარდოში მიწის ფეოდალური საკუთრების ეკონომიური რეალიზაცია ლოგანაპიტების მხრიდან — ყაბარდოს უშუალო მწარმოებლების ძირითადი მასისა — წარმოებდა ძირითადად შრომითი რენტის სახით, ხოლო ოგებისა — უშუალო მწარმოებელთა მეტად უმნიშვნელო ნაწილისა — პროდუქტების სახით. საქმე ისაა, რომ შრომითი რენტის ბატონობისას ლოგანაპიტი დაინტერესებული არ იყო წარმოების შემდგომი განვითარებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, რამდენადაც იგი მხოლოდ მიწის კერძო საკუთრების ძალით იყო იძულებით ვალდებული. ლოგანაპიტი, რომელიც ფლობდა შრომის პირობებს და პროდუქტების ინდივიდუალური წარმოებით იყო დაკავებული, რაც თავის მხრივ ბადებდა ნინააღმდეგობას წარმოების პროცესის ინდივიდუალურ ხასიათსა და ფეოდალურ საკუთრებას შორის და რომელიც ასევე თავის მხრივ ზრდიდა ანტაგონიზმს უშუალო მწარმოებელსა და ფეოდალს შორის, არ იყო

დაინტერესებული ბატონის მეურნეობაში შრომის ხარისხის აძაღლებით. ვინაიდან ლოგანაპიტის სამუშაო დრო და სამუშაოთა რაოდენობა ბატონის მეურნეობისათვის განუსაზღვრელი იყო. ამიტომ მისი შრომითი რენტა არც თუ ისე ძალზე განსხვავდებოდა საერთოდ მონობის ბატონობისას არსებული შრომითი რენტისაგან, თვით ყაბარდოში კონკრეტულად უნაუტებისაგან. შრომის ნაყოფიერების ზრდისადმი გულგრილ დამოკიდებულებას კი თავისთავად დიდი ზიანი მოჰქონდა ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, მითუმეტეს, რომ ნატურალური მეურნეობა წვრილ გლეხთა ხელში იყო, რომლებიც ტექნიკის უკიდურესად დაბალი და რუტინული მდგომარეობის არსებობის პირობებში ისედაც „გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებულები იყვნენ“.

საწამოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე ასევე უარყოფითი გავლენა იქონია იმ გარეშეობამ, რომ აღნიშნულ საუკუნეებში, ყაბარდოელი — ფში-უორკი კვლავ რჩებოდა თემის წევრად, რის გამოც იგი სარგებლობდა ყველა იმ უფლებით, რითაც სარგებლობდნენ თემის სხვა წევრები. რასაკვირველია, ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით მას გააჩნდა ტრადიციით დამკვიდრებული სხვა მრავალი პრივილეგიაც. ასე, მაგალითად, სათემო მიწების განაწილებისას უფლება პირველ ნაკვეთზე, უფლება განაწილების შემდეგ დარჩენილ მიწაზე, უფლება მიწის იმ რაოდენობის მიღებაზე რამდენი სული ყმა გლეხიც ჰყავდა, უფლება სათიბზე, საკუთარი საქონლის რაოდენობის მიხედვით, და სხვ. სარგებლობდნენ რა თავისი ასეთი მდგომარეობით, ყაბარდოელი ფში-უორკები შესანიშნავად იყენებდნენ თემის ცხოვრებაში საუკუნეებით დამკვიდრებულ ადათ-ჩვეულებებს, როგორიც იყო მაგალითად, ათალიკობა, სტუმართმოყვარეობა, ურთიერთდახმარება, სისხლის აღება, შვილობა, დაძმობილება, ყონაღობა, ლევირატი და სხვ.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული შინაგანი მოვლენებისა და მასთან ერთად არახელსაყრელი საგარეო პირობებისა, XVI—XVII სს. ფში-უორკთა სოციალური დაწინაურება მაინც სწრაფად და თანმიმდევრულად მიმდინარეობდა. ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა მათ მიერ უშუალო მწარმოებელ საზოგადოების დამორჩილების პროცესი.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. მწვავე კლასობრივი ბრძოლის პირობებში და მის შედეგად იქმნებოდნენ „სამთავროები“ თუ „სათავადოები“, რომელნიც თანდათან, იმავე კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე ყალიბდებოდნენ გარკვეულ ფეოდალურ პოლიტიკურ ორგანიზაციებად.

უეჭველია, რომ XVI—XVIII სს. წყაროებში ნახსენები ე. წ. „ალეგუკინის ყაბარდო“, „მუდაროვის ყაბარდო“, „ანზოროვის ყაბარდო“, „ყაზიევის ყაბარდო“, „იბაკოვთა ყაბარდო“, „კაიტუკინის ყაბარდო“, „თავად ალაი ისლამოვის კარი“, „თავად ყასაის კარი“ და სხვ. წარმოადგენდნენ სწორედ იმ სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც საკმაოდ ძლიერები იყვნენ იმისათვის, რომ გამკლავებოდნენ, ერთი მხრივ საკუთარ გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ხოლო მეორე მხრივ, მეზობელ მთავართა თუ თავადთა მტაცებლურ ზრახვებს.

XVI—XVIII სს. ყაბარდო იდგა ადრეფეოდალური ურთიერთობის პირველ („პოლიტიკური დაშლილობის“) საფეხურზე. მართალია, კეთილმყოფელურ პირობებში საზოგადოებრივი განვითარების შემდგომი საფეხური, მიუხედავად პოლიტიკური დაშლილობისა, გულისხმობდა ადრეულ წვრილ-წვრილ გაერთიანებათა ბაზაზე უფრო მსხვილ გაერთიანებას, ახალი საფეხურის შესაფერის პოლიტიკურ ფორმას, რომლის შემდეგ ისტორიულად უკვე იწყებოდა ქვეყნის მთლიანი გაერთიანება. მაგრამ, სამწუხაროდ, ყაბარდოს ისტორიის სინამდვილეში ამას ადგილი არ ჰქონდა. ასე, რომ არსებულ ფეოდალურ გაერთიანებათა უფრო მსხვილ გაერთიანებისათვის ან თვით მეფის ხელისუფლების წარმოშობისათვის ყაბარდოში შესაფერისი პირობები აღნიშნულ საუკუნეებში არ ყოფილა.

ქვეყნის ფეოდალურ დაქუცმაცებულობის მიუხედავად, XVI—XVII საუკუნეების მანძილზე კვლავაც განაგრძობდა არსებობას პატრიარქალურ-თემური წყობილებიდან შემორჩენილი ჩვეულება წარჩინებულ საგვარეულოდან „მთელი ყაბარდოს მიწებისათვის საერთო სახალხო შეყრილობაზე“ რიგ-რიგობით „დიდი თავადის“ (შემდგომში ვალი-ს სახელწოდებით ცნობილი) არჩევისა.) ასე, მაგალითად, XVI საუკუნის 60—70-იან წლებში ყაბარდოს „დიდი თავადი“ იყო თემურყვა იდარის-ძე; 80-იან წლებში მისი ძმა კამბულატი, შემდეგ ოსლამბეკ კაიტუკინი, იანსოხი, სოლოხ ტაპსარუკოვი და სხვ. „დიდი თავადის“ არჩევის რიგი, რასაკვირველია, ყოველთვის არ იყო დაცული და ხშირად ძალმომრეობის გამოყენებით „დიდ თავადებად“ ჯდებოდნენ ე. წ. „რიგგარეშე პირები“, რაც თავისთავად იწვევდა ისედაც არსებულ შინაფეოდალური ომების უფრო მეტ გამწვავებას. იყო შემთხვევები, როდესაც ყაბარდოს „განაგებდა“ ადათით გათვალისწინებული არა ერთი, არამედ ორი „დიდი თავადი“ ცალ-ცალკე მცირე და დიდი ყაბარდოსათვის. ამ შემთხვევებს განსაკუთრებით XVIII საუკუნეში ჰქონდა ადგილი.

XVI—XVII საუკუნეების მთელ მანძილზე „დიდი თავადები“ „ირ-

ჩეოდნენ“ ერთიანი ყაბარდოს „საერთო სახალხო შეყრილობაზე“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ფში-უორკებთან ერთად მდაბიონიც, პირველ ხანებში, ალბათ, განუსაზღვრელად. ხოლო მოგვიანებით „წარმომადგენელთა“ სახით.

XVI—XVII სს. წყაროები ამ „სახალხო შეყრილობაზე“ XVIII საუკუნესთან შედარებით ყრუ ცნობებს გვაწვდის. ასეთი „სახალხო შეყრილობა“ უნდა ყოფილიყო, მაგალითად, 1589 წელს, როდესაც რუსი ელჩები მოემართებოდნენ საქართველოში და გზად ყაბარდოში შეჩერდნენ. ამ წელს ყაბარდოს „დიდმა თავადმა“ იანსოხმა რუსეთის მეფის ერთგულების დასამტკიცებლად მოუხმო ყველა ფში-უორკს და საერთოდ „ყაბარდოს მთელ მიწას“.

XVIII ს. წყაროები უფრო დაწვრილებით ეხებიან იმ „სახალხო შეყრილობას“, რომელშიც ფში-უორკებთან ერთად იხსენიებიან „ხალხის სტარშინები“. შეყრილობისას ყველა სოციალურ დაჯგუფებას თავისი განკუთვნილი ადგილი ჰქონდა.

ვალის — „დიდი თავადის“ ინსტიტუტის არსებობა ყაბარდოში XVI—XVIII საუკუნეებში განპირობებული იყო ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით. ვალი თავისი მნიშვნელობით ყაბარდოში „ცენტრალური ხელისუფლების“ მსგავსი რამ ინსტიტუტი იყო, რომლის საშუალებით ფში-უორკები თავიანთ პოლიტიკურ ძალაუფლების გამოყენებით ახორციელებდნენ ადრეფეოდალურ ურთიერთობის მნიშვნელოვან მოვლენას,- მიწაზე გლეხთა მიმაგრებას, უშუალო მწარმოებელზე არასრული საკუთრების განმტკიცებას, რომლის დროს აუცილებლად საჭირო იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება კლასობრივი წინააღმდეგობის ასალაგმავად. შესაძლებელია ცალკეულ ფში-უორკს რამდენადმე შეეძლებოდა კიდეც ამის განხორციელება საკუთარი ძალებით, მაგრამ ვინაიდან იყო კიდევ დამატებითი საშუალება, „დიდი თავადების“ არჩევის არსებული წესი, ამიტომ მათ არ დააყოვნეს თავიანთ კლასობრივი ინტერესებისათვის მისი გამოყენება. მითუმეტეს, რომ ამ პროცესის დროს განსაკუთრებით შეაფრდებოდა კლასობრივი წინააღმდეგობა. ხოლო ყოველი ძალა, რომელიც კი იმოქმედებდა ასეთ შემთხვევაში, მათ სასარგებლოდ, ყოველნაირად მისაღები იყო. დაბოლოს ვალის — „დიდი თავადის“ ინსტიტუტის არსებობისათვის მხარდაჭერა არა მარტო ფეოდალთა იმ ჯგუფის მოთხოვნა იყო, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების შექმნით და მისი გამოყენებით გლეხთა მიმაგრების საქმეში, არამედ ვაჭრების, ხელოსნებისა და გლეხობისაც, რამდენადაც ცენტრალური ხელისუფლება მათ დაიცავდა, ერთი მხრივ, ფეოდალურ შინაომებისაგან და მეორე მხრივ, კი

საგარეო ომებისაგან. მაგრამ ვალი — „დიდი თავადი“ მთლიანობაში მაინც ვერ პასუხობდა „ცენტრალური ხელისუფლების“ დანიშნულებას. ჯერ ერთი, რიგრიგობით არჩევითობის გამო იგი მოკლებული იყო ხანგრძლივად თავისი სტრატეგიული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის გატარებას; მეორე — მისი ხელისუფლება შეზღუდული იყო ტლიახოტლიაკთა სოციალური ჯგუფით, რამდენადაც ეს უკანასკნელი ვალის უნიშნავდა თავისი წრიდან მოადგილე-მრჩეველს; მესამე — თავისუფალი თემის არსებობის პირობებში, მისი ხელისუფლება გარკვეული ზომით მაინც ვალდებული იყო ამისათვის ანგარიში გაეწია, რასაც, სხვათაშორის, მოწმობს ვალისთან არსებული „მდაბიო ხალხის დეპუტატი“, რომელიც „მდაბიო ხალხის“ ყველა საქმეებს უნდა დასწრებოდა, როგორც მათი წარმომადგენელი.

ყველაფერი ეს ერთად აღებული, მიუთითებს XVI—XVIII საუკუნეებში ფაოდალური ურთიერთობის განვითარების დაბალ დონეზე. მიუხედავად ამისა, ყაბარდო შედარებით ჩრდილო კავკასიის სხვა ფეოდალური პოლიტიკურად დაქუცმაცებულ წარმოქმნებთან — ადიღე-ჩერქეზებთან, ჩრდილო ოსეთთან, დაღისტანთან და სხვ. განვითარების მაღალ საფეხურზე იყო ასული, რასაც, სხვათაშორის, ისიც მოწმობს, რომ მათი არისტოკრატიული ეტიკეტი — „ადიღე-ხაბზე“, მოქცევა, ჩაცმულობა და ყოფის მრავალი დამახსიათებელი ნიშანი, კავკასიელ მეზობლების მიერ თითქმის ერთიან ნორმად იყო მიღებული.

§ 4. ~~ჩრდილო~~ ოსეთი XVI—XVII სს.

მ ე ურ ნ ე ო ბ ა: XVI—XVII საუკუნეებში ოსები ცხოვრობდნენ ჩრდილო კავკასიის მთიანი რაიონის ცენტრალურ ნაწილში. მათი ჩრდილო საზღვარი იმიერკავკასიის მთისძირა ველამდე მიდიოდა, საიდანაც შემდეგ ყაბარდოელ ფეოდალთა სამფლობელოები იწყებოდა. აღმოსავლეთით საზღვარი გადიოდა მდ. თერგის აუზის გასწვრივ, დასავლეთით კი მდ. თერგის შენაკად ურუხზე. ამ არც ისე ფართო მასშტაბის ტერიტორიაზე განლაგებული იყო 4 დიდი ოსური საზოგადოება-თემი თაგაურია. ქურთათი, ალაგირი და დიგორია.

ყველა ეს საზოგადოება-თემი ცხოვრობდა თითქმის ერთმანეთისაგან გამოყოფილ საკუთარ ხეობებში, თუმცა ეს პრინციპში ხელს არ უშლიდა მათ ორგანულ ურთიერთ სიახლოვეს.

მკაცრმა ბუნებრივმა პირობებმა რამდენადმე განსაზღვრა ოსური მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა. უმეტესად მთაგორიანი რელიეფის — მაღალი მთების, ციცაბო და ნიადაგ გადარეცხილი ფერდობების არსებობამ, რასაკვირველია, თავიდანვე მიწათმოქმედების განვითარებაზე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა, მაგრამ ამის

გამო ოს მოსახლეს მიწათმოქმედებაზე ხელი მაინც არ აუღია. ოსები ნიადაგის ნაყოფიერების გასაზრდელად ფერდობ ადგილებზე მიწას ასუფთავებდნენ ქვებისაგან და მათ ალაგებდნენ ფერდობების ქვედა მსარეს ყორის სახით, რაც ხელს უშლიდა ნიადაგის გადარეცხვას. ამ ნაკვეთებზე ორიგინალური სარწყავი არხებით შემოყავდათ მთის ნაკადულის წყალი, შეჰქონდათ სასუქი და ამ გზით სისტემატურად აუმჯობესებდნენ ნიადაგის სტრუქტურას. შედარებით უფრო ციცაბო და კლდოვან ფერდობებზე კეთდებოდა ხელოვნური ტერასები, რომელსაც ავსებდნენ მოტანილი მიწით, ხოლო მთის ღვართქაფებს რომ არ ჩაერეცხათ იქვე სპეციალურ წყალგამყვან არხებს, ან ქვაყრილებს აგებდნენ. ასე რომ მთის მიწათმოქმედება ძალზედ მძიმე და დიდი შრომატევადი სამუშაო იყო და არც თუ იშვიათი მოვლენა იყო მეწყერი, რომელიც ყოველივე ამას პირწმინდად ანადგურებდა.

ასეთი ნაკვეთები, ბუნებრივია, უმეტესად მცირე ფართობისა იყო და მისი დამუშავება ზოგჯერ უსახნისოდაც ხერხდებოდა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მიწათმოქმედება ვერ გადაიქცეოდა მოსახლეობის ძირითად და წამყვან მეურნეობად.

ოსები უმეტესად თესდნენ ქერს, ჭვავს, ხორბალსა და შვრიას. მაგრამ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მოსავალი მცირენაყოფიერი იყო, ხოლო ხშირად მოსავალი არც მოდიოდა ნაადრევი ყინვების დადგომის გამო. შრომის იარაღები მეტად პრიმიტული იყო. სახვნელს მისი ლითონის ნაწილის სახნისის გარდა თვით გლეხი აკეთებდა. ფარცხად გამოყენებული იყო რამდენიმე ერთად შეკრული ხის ტოტი, რომელზეც ან ვინმე დგებოდა, ან კიდევ ზედ რაიმე სიმძიმეს ადებდნენ. მოსავალს იღებდნენ თვითნაკეთი ნამგლებითა და ხის დიდი ჩანგლებით. ბალახს თიბავდნენ ცელით. მარცვლეულის ცეხვა მსხვილი რქოსანი საქონლის ფეხით ზედ შედგომის წესით ხდებოდა. ფქვავდნენ მარცვლეულს მთის მდინარეებზე შეყენებულ პატარა წისქვილებში.

მართალია, მებაღეობის დიდი განვითარებისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა, მაგრამ ოსი მოსახლე, როგორც ჩანს, მას მაინც შეძლებისდაგვარად ანვითარებდა, რასაც მოწმობს. გვიანდელ წყაროებში დამოწმებული გაგარეულებული ხეხილი, ბაღები ვაშლისა, მსხლისა, ქლიავისა და სხვ.

XVI—XVII საუკუნეებში ოსი მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა იყო.

მესაქონლეობის სხვადასხვა დარგიდან მეცხვარეობა შედარებით უფრო თვალსაჩინო როლს თამაშობდა. აშენებდნენ მსხვილ რქოსან საქონელს, მაგრამ მას ცხენთან და სახედართან ერთად უმეტესად როგორც გამწევ ძალას იყენებდნენ. ცალკეული შეძლებული ოჯახები მე-

ცხენეობასაც კი მისდევდნენ, მაგრამ მისი ხვედრითი წონა ქვეყნის ეკონომიკაში შეტად უმნიშვნელო იყო.

საერთოდ მესაქონლეობის განვითარებისთვისაც ოსეთში არ იყო სახარბიელო მდგომარეობა. საქმე ისაა, რომ მთის პირობები საქონლის მთელი წლით საძოვარზე ყოფნის საშუალებას არ იძლეოდა, რადგან საამისო დრო ეთებში ძალზედ ხანმოკლე იყო, ხოლო სათიბი ფართობების სიმცირე კი ფაქტიურად გამორიცხავდა საქონლის ბაგურ კვებაზე გადაყვანას. ასე რომ, ოსი მესაქონლე გაზაფხულ-შემოდგომაზე იძულებული ხდებოდა თავისი საქონელი ველის საძოვრებზე გადაერეკა, რომელიც ყაბარდოელ ფეოდალთა საკუთრებაში იყო და რომელსაც ოსინი აქირავებდნენ. თავისთავად ცხადია, რომ დაქირავების საშუალება უმეტესად შეძლებულებს ჰქონდათ და ამდენად საქონლის დიდი რაოდენობაც მათ ხელში იყო მოქცეული. ხდებოდა ასეც, რომ დაბალი ფენის წარმომადგენელი თავის საქონელს ატანდა ამ შეძლებულს, რისთვისაც შემდეგ გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობდა მის წინაშე, რადგან სხვა საშუალებით მას არ შეეძლო თავისი საქონელი საკუთარი ოჯახის არსებობისათვის შეენარჩუნებია.

ოსების ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდა მონადირეობა. ნადირობდნენ ირემზე, შველზე, ჯიხვზე, თხაზე, ღორზე, დათვზე და სხვა გარეულ ცხოველებზეც.

ზამთრობით ნადირობა მთის მკაცრ პირობებში ძალზედ ძნელი იყო და ამიტომ იგი ამ პერიოდში კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. სანადიროდ გაემართებოდა ხოლმე 30—40 კაციანი ჯგუფი. ნადირობა მტკიცედ დაცული ტრადიციის მიხედვით წარმოებდა. ნადირობის წარმატებით დამთავრებისას, უკან დაბრუნებულები ყოველ შემხვედრს აძლევდნენ გარკვეულ წილს, ხოლო ბოლოს კი ამ ნანადირევს დიდ გაწყობილ სუფრაზე ერთად მიირთმევდნენ.

XVI—XVII საუკუნეებში ოსთა მეურნეობა ძირითადად ნატურალურ ხასიათს ატარებდა. ისტორიულ წყაროთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ მამაკაცისა და ქალის შრომა მკაცრად დიფერენცირებული ყოფილა. ასე, მაგალითად, მამაკაცები ეისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, ნადირობას; ამზადებდნენ საბრძოლო და შრომის იარაღებს. ქალის სამოღვაწეო სფეროში კი შედიოდა ტყავისა და მატყლის დამუშავება-დამზადება, ქსოვდნენ მაუდს. ქალებისვე ხელით მზადდებოდა მამაკაცისა და ქალის ყოველგვარი ტანსაცმელი, ქეჩა და ნაბადი, ქურქები, ფაფახები და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა მათი ნაქარგები და ოქრომკედი. ქალებივე ამზადებდნენ არაყს, ლუდს, ბურახს, ყველს და სხვ.

აღნიშნულ საუკუნეებში ხელოსნობა და შინამრეწველობა სუსტად

იყო განვითარებული. მთის პირობებში მისი გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა. შედარებით განვითარებულობას ამეღავნებდა მჭედლობა, ქვის დამუშავება, საბრძოლო და შრომის იარაღების. ცხენის აკაზმულობისა და უნაგირის წარმოება. ოსებისათვის არ იყო უცნობი ტყვიისა და დენთის წარმოებაც. ასე რომ, XVI—XVII საუკუნეებში ჩრდილო ოსეთში საწარმოო ძალების განვითარების დონე საკმაოდ დაბალი იყო. თავისთავად ცხადია, რომ ამ გარემოებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ოსეთის საშინაო და საგარეო ვაჭრობაზე. მაგრამ მიუხედავად ამისა ოსებს ინტენსიური ვაჭრობა ჰქონდათ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელ ქვეყნებთან. ესე, მაგალითად, საქართველოში ისინი ჰყიდდნენ თავის შინამრეწველობის საგნებს — მაუდს, ნაბდებს, ახალუხებს, ყაბალახებს, აგრეთვე ტყავეულსა და ყველს. აქვე იძენდნენ ისინი აბრეშუმის ქსოვილებს, ბამბეულს, ოქროქსოვილს, რკინას, რომლიდანაც შემდეგ ამზადებდნენ სახნისებს, ნამგლებს, დანებს, ხანჯლებს, ხმლებს, ჯაჭვს და სხვ. ყაბარდოში ოსები თავის საქონელს ცვლიდნენ მარილზე, იარაღზე და სხვ. XVI—XVII საუკუნეებში ვაჭრობაც ნატურალურ ხასიათს ატარებდა. ფულის მაგივრობას სწევდა ტილო, პირუტყვი და სხვ.

ვაჭრობის შემდგომ განვითარებას ხელს უშლიდა ფეოდალური დაქუცმაცებულობა, საწარმოო ძალთა განუვითარებლობა და მასთან ერთად გვაროვნულ-თემური წყობილების ჯერ კიდევ არსებული ძლიერი გადმონაშთები.

მთის პირობებში, მიწათმოქმედების მდგომარეობიდან გამომდინარე, ფეოდალიზაციის პროცესი ცოტა თავისებურებით წარიმართა ოსეთში. მიწაზე წარმოებული მეტად მძიმე და შრომატევადი სამუშაოების გამო, თემის მიწათმოქმედი წევრი ამ ნაკვეთს უკვე თავის საკუთრებად თვლიდა, ამის შედეგადაც თემში შემავალი ცალკეული სახლი-ოჯახი хадзар ან „დიდი ოჯახი“ ადრე გადაიქცნენ ამ სახნავი და სათიბი მიწების მესაკუთრეებად. ასეთი მიწების გასხვისების ინსტიტუტის წარმოშობამ კი გვაროვნულ-თემური წყობილების უფრო ინტენსიური ნგრევა დაიწყო და ფეოდალიზაციის პროცესიც დაჩქარდა.

ნელ-ნელა გაჩნდნენ „ძლიერი“ და „ცნობილი“ გვარები, რომელთაც თანდათანობით და თანმიმდევრობით ჯერ სათემო მიწების, ხოლო შემდეგ საძოვრებისა, ტყეებისა და სხვ. მიტაცება დაიწყეს. თემებს შორის თავდასხმებისა და მეზობელ ქვეყნებთან მტრობის პირობებში საჭირო იყო შეიარაღებული ყარაულები, საქონლის ჯოგებისა და საძოვრების დაცვა, რაც დროის ვითარებაში ამ „ძლიერი“ და „ცნობილი“ გვარების ხელში აღმოჩნდა, რამდენადაც იმ ხანად სხვებზე მე-

ტად ისინი იყვნენ შეიარაღებულები და საკუთარი რაზმეულებიც გააჩნდათ. ხალხი თავდაპირველად მათ უყურებდა, როგორც მსახურებს და საერთო სათემო შემოსავლიდან ცალკე განსაკუთრებულ წილს უყოფდა. ასე თანდათან საძოვრისა და საქონლის დაცვა შეერწყა სათემო მიწების უზურპაციასა და საქონლის მიტაცებას. ადრინდელი „საჩუქრები", რომელსაც მათ ხალხი უკეთებდა, შემდეგში ამ ხალხის ადათით დაკანონებულ ვალდებულებად იქცა.

XVI—XVII საუკუნეებში, შეიძლება ითქვას, რომ ოსმა ფეოდალებმა ძირითადად შეძლეს მთელი სათემო მიწების მისაკუთრება და ასევე თავისუფალი მეთემეების ძირითადი მასის დაყმევება, მაგრამ ფეოდალური ურთიერთობის დონე აქ მაინც ადრეფეოდალური იყო და იგი განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობით არ დასრულებულა; რასაც ჯერ კიდევ ხელს უშლიდა გვაროვნულ-თემური წყობილების ძლიერი ნაშთები.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. XVI—XVII სს. ჩრდილო ოსეთი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ოთხი დიდი საზოგადოებათემისაგან შედგებოდა, რომლებიც თავისი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების დონით ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდებოდნენ — დიგორია, თაგაურია, ქურთათი და ალაგირი.

ფეოდალურად ყველაზე მეტად მათ შორის განვითარებული იყო დიგორია, რომელიც თავის მხრივ კიდევ სამ დიდ რაიონად იყოფოდა — ტაფანდიგორია, სტირდიგორია და დონიფარსდიგორია.

დიგორიაში საზოგადოება იყოფოდა ორ ანტაგონისტურად განწყობილ კლასად. გაბატონებულ კლასად ბადელიატებისა და ექსპლუატირებულ კლასად, რომელშიც შედიოდნენ ადამიხატები, ყუმიაგები და ქოსაგები. გაბატონებული კლასის სახელწოდება მომდინარეობდა ლეგენდარულ ვინმე ბადელიდან, რომელიც თითქოსდა მოსული იყო მაჯარიდან (მდ. ყუმა).

ბადელიატებს განეკუთვნებოდა შვიდამდე ფეოდალური საგვარეულო — ტუგანოევები, კუბატიევები, კარაჯაევები, აბისალოვები და სხვ. რომლებიც თავის წარმოშობას ბადელას შვილებიდან იწყებდნენ. ბადელიატები თავის წოდებას უკვე მემკვიდრეობით გადასცემდნენ. ქორწინება, როგორც წესი ხდებოდა მათ წრეში ან სხვა ოსურ ხეობების ფეოდალურ წრეებთან, ანდა უფრო ზევით ყაბარდოელ ფეოდალებთან.

უშუალო მწარმოებელ მასას დიგორიაში შეადგენდნენ ადამიხატები („შავი ხალხი"). რომლებიც განაწილებული იყვნენ ბადელიატების ფეოდალურ ოჯახებს შორის. მათ უფლება ჰქონდათ ერთი ბადელიატის ოჯახიდან მეორესთან გადასულიყვნენ, მაგრამ ამით, რასაკვირველია,

მათი ვალდებულებები არ მცირდებოდა. ადამიხატების მოძრავი და უძრავი საკუთრება მთლიანად ბადელიატის მფლობელობაში იყო. მიწას ადამიხატი ფლობდა, მაგრამ თუ მას უნდოდა მისი გაყიდვა, იგი პირველ რიგში ბადელიატისათვის უნდა შეეთავაზებინა. თუ ადამიხატი უმემკვიდრეოდ კვდებოდა, მაშინ მისი მთელი მოძრავ-უძრავი საკუთრება ბადელიატის ხელში გადადიოდა, ხოლო დარჩენილი ოჯახი — ცოლი და ქალიშვილები კი ბადელიატის კარზე მოსამსახურეებად გადადიოდნენ.

ბადელიატს შეეძლო სურვილისამებრ მოქცეოდა და გამოეყენებია ადამიხატის საქონელი — მაგალითად, წაეყვანა დროებით ცხენი, ხარი და სხვ. ადამიხატი საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული ადათებითა და ტრადიციებით ვალდებული იყო ქალიშვილის გათხოვებისას ერთი ხარი მიერთმია ბადელიატისათვის; ასევე ერთი ხარი იყო განკუთვნილი მამის სიკვდილის შემდეგ შვილებს შორის ქონების განაწილებისას; ხოლო წელიწადში ერთხელ მამის მოსაგონებლად კი ერთი ცხვარი უნდა მიეყვანა. დაკლული საქონლის გარკვეული ნაწილიც ბადელიატის ხვედრი იყო, ხოლო ნადირობისას მოკლული გარეული ცხოველის ტყავიც ასევე მას გადაეცემოდა.

ყველაზე მეტად გამოირჩეოდა ასე ვთქვათ „საძოვრის რენტა", წელიწადში — ორი ცხვარი, რომელსაც ყველა ადამიხატის ოჯახი უხდიდა ბადელიატს იმისათვის, რომ იგი ინახავდა ყარაულებს საძოვრების დასაცავად.

თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული ვალდებულებანი სრულებითაც არ იყო ერთხელ და სამუდამოდ მკაცრად განსაზღვრული და იგი ბადელიატების სურვილის და ძალის მიხედვით მუდმივ ცვალებადობაში იყო ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ) გარდა რენტა პროდუქტებისა, მთისძირა ბადილიატები ითხოვდნენ აგრეთვე შრომით რენტასაც. ასე, მაგალითად, მთისძირა ადამიხატები კვირაში ერთხელ მთელი დღით ვალდებულები იყვნენ თითო ოჯახიდან გამოეყოთ ერთი კაცი თავისი სახვნელით და შრომის სხვა იარაღებით, რათა მოეხნათ მიწა, აეღოთ მოსავალი და მოეტანათ იგი ბადელიატის კარზე. ამასთან ერთად, ადამიხატი ვალდებული იყო აგრეთვე თავისი მოსავლიდან მარცვლეულის განსაზღვრული ნაწილი მიეტანა, ორი ცხვარი მიეყვანა, ურემი შეშა მიეტანა და ერთი „საპეტკა"[1] თაფლიც მიეცა.

დიგორიაში ფეოდალურად დამოკიდებულ მეორე სოციალურ ფენას შეადგენდნენ ყუმაიაგები. ეს ფენა ძირითადად შედგებოდა ფეოდალთა იმ ცოლებისგან შეძენილი „მემკვიდრეებისაგან", რომლებიც (ცოლები) თავისი სოციალური წოდებით უფრო დაბალ საფეხურზე

[1] საპეტკა—ოყა.

მდგომნი იყვნენ. მართალია, „არაკანონიერი“ ცოლებისაგან (ნომილუს) შეძენილი შვილები იზრდებოდნენ „კანონიერ“ შვილებთან ერთად და ითვლებოდნენ ვითომდა მათ „უმცროს“ ძმებად, მაგრამ მათ შორის საერთო მხოლოდ ის იყო, რომ ფეოდალი მამა ვალდებული იყო რაიმე შემთხვევისას შური ეძია და „შვილიც“ ასეთ შემთხვევაში ვალდებული იყო „მამა“-მფლობელის მსგავსად მოქცეულიყო. სხვა შემთხვევაში ეს ცოლ-შვილი ფეოდალის სახლის კარზე ცხოვრობდა მონის მდგომარეობაში და ასრულებდა ყველა სამუშაოს, როგორც მინდვრის ისევე სახლისას. ნომილუსი თავისი შვილებით ბატონის სიკვდილამდე ცხოვრობდა მის კარზე. მისი სიკვდილის შემდეგ თუ მას ბიჭი ჰყავდა, შეეძლო ცალკე წასულიყო, ხოლო თუ ქალიშვილი, ან სულ არა ჰყავდა შვილი, მაშინ იგი კვლავ ძველ ადგილზე რჩებოდა საცხოვრებლად.

ყუმაიაგები გამოყოფის შემთხვევაში იღებდნენ ბატონისაგან მიწის მცირე ნაკვეთს, ერთ უღელ ხარს, ქვაბს, თოკსა და ნაჯახს. როგორც წესი, ისინი რჩებოდნენ იმავე აულში და შეადგენდნენ დამოკიდებული სოციალური წოდების ცალკე კატეგორიას. ისინი ძირითადად იგივე ვალდებულებებს ასრულებდნენ, როგორც ადამიხატები, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი მათზე უფრო მძიმეს.

დამოკიდებული ფენის ყველაზე დაბალ კატეგორიას წარმოადგენდნენ მონები — ქუსაგები. მონების გაჩენის წყარო ტყვეობა და ყიდვა-გაყიდვა იყო. მონათვაჭრობა განსაკუთრებით გავრცელებული იყო ჩერქეზ-ყაბარდოელებსა და ყუმიკებში. მონათვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდნენ ენდერი (ყუმიკეთში) და ადიღე-ჩერქეზეთის შავი ზღვის ნავმისადგომები, სადაც ამ დიდძალ ტყვე-მონებს თურქები ყიდულობდნენ. ოსეთში მონები ძირითადად უცხოური წარმოშობისანი იყვნენ მათ არავითარი უფლება არ ჰქონდათ. შეიძლებოდა მათი გაყიდვა, გაჩუქება. დასჯა და მოკვლაც კი. ისინი ცხოვრობდნენ ბატონის კარზე და ასრულებდნენ ყოველგვარ სამუშაოს. იშვიათ შემთხვევაში მათ შეეძლოთ შეეძინათ მოძრავი და უძრავი ქონება.

მონები შეიძლებოდა ყოლოდათ არა მარტო ფეოდალებს, არამედ ადამიხატებსაც და ყუმაიაგებსაც.

დამოკიდებულ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ აგრეთვე ხეხესები; ესენი იყვნენ მეზობელ ხევ-ხეობებიდან გადმოსახლებულნი, რომელნიც თავისუფლებად ითვლებოდნენ, მაგრამ რაკი ფეოდალის მიწაზე ისხდნენ, ამდენადვე გარკვეული ვალდებულებითაც იყვნენ შეწერილი.

ფეოდალური ურთიერთობა დიგორიაში ვითარდებოდა და ყალიბდებოდა მწვავე კლასობრივ ბრძოლაში. უშუალო მწარმოებელთ მიაჩნდათ, რომ ბადელიატებმა მიისაკუთრეს სათემო ტყეები, საძოვრები

და მიწები, რომ გადასახადები მათი ვალდებულება კი არ არის, არამედ ნებაყოფლობითი საჩუქრებია და ბოლოს ბადელიატებს მათზე არავითარი კანონიერი უფლებები არ გააჩნიათ და ისინი სარგებლობენ უბრალოდ „ძლიერის უფლებით“.

საზოგადოებრივი განვითარების ოდნავ განსხვავებული მდგომარეობა იყო სტირდიგორიაში და დონიფარსში. სტირდიგორიაში ფეოდალური კლასის წარმომადგენლებს ეწოდებოდათ ცარგასატები, დონიფარსში კი გაგუატები. ხალხური გადმოცემებით ცარგასატები და გაგუატები თავის წარმოშობით ვითომ უფრო ძირძველი იყვნენ, ვიდრე ბადელიატები.

სტირდიგორიაში ძველთაგანვე ხუთი აული იყო. ყოველ ოჯახს ჰქონდა სახნავ-სათესის მცირე ნაკვეთი, მაგრამ სტირდიგორელთა მიწის ძირითადი ფონდი ხარესის ველი იყო, რომელიც წარმოადგენდა ძირითად საძოვარ ადგილს. ფეოდალებმა ამ ველის დაცვის ნიშნით ბოლოს მთლიანად დაიქვემდებარეს იგი, ხოლო, სხვასაც რომ ესარგებლა, მათ დააწესეს საამისო უფლებისათვის გადასახადი — ყველით. სტირდიგორელი გლეხობა არა ცნობდა ცარგასატების ამ უფლებას და გააფთრებით იბრძოდა მის წინააღმდეგ. დახმარებისათვის ცარგასატები მიმართავდნენ ყაბარდოელ ფეოდალებს. მიუხედავად ამისა, ამ ბრძოლის შედეგად ცარგასატებმა XVIII საუკუნისათვის თითქმის დაკარგეს თავიანთი „უფლება“ ბეგარასა და ღალაზე.

ცარგასატებზე უფრო ნაკლები გავლენა ჰქონდათ თავის გლეხობაზე გაგუატებს. სტირდიგორიაში, დონიფარსში და ტაპანდიგორიაში დამოკიდებულების ფორმები და ექსპლოატაციის ხარისხი თითქმის განურჩეველი იყო ერთმანეთისაგან, რასაც, მაგალითად, მოწმობს ერთი საერთო სასისხლო გადასახადის ზომა, ერთნაირი რაოდენობის ყალიმი და სხვა. „

2 (სუსტად იყო განვითარებული ფეოდალური ურთიერთობა თაგაურიაშიც. თაგაურიის საზოგადოება კლასობრივი იყო და იგი ორ მოპირდაპირე კლასად იყოფოდა. ფეოდალურ კლასს შეადგენდნენ თაგიათები, ხოლო უშუალო მწარმოებლურს — ფარსაგლაგები, ქაედასარდები და ქუსაგები-მონები. თაგაურიაში ფეოდალურ საგვარეულოს განეკუთვნებოდნენ ტულატოვები, კუნდუხოვები, ალდატოვები, მამსუროვები, თხოსტოვები, ტუგანოვები, ესენოვები, კანუკოვები, შანაევები, დუდაროვები და ჯანტიევები.

მიწის ყველა ფართობი ითვლებოდა თაგიათების საკუთრებად. შედარებით უფრო გვიან თაგიათები იძულებული გახდნენ მიწის დიდი ნაწილი, გარდა იმ ნაკვეთისა, რომელზეც მისი ოჯახი და უშუალოდ მისი მოსამსახურე ხალხი ცხოვრობდნენ, ფარსაგლაგებისათვის მიეყი-

დათ. ამ მომენტიდან ფარსაგლაგები თავის თავს დამოუკიდებლად და თავისუფალ ფენად თვლიდნენ. ზემოთ ჩამოთვლილ 11 ფეოდალურ საგვარეულოდან მხოლოდ ორი — დუდაროვები და კანუკოევები მოითხოვდნენ ფარსაგლაგებისაგან და სხვათაგან ძველებური წესით ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებას. ასე, მაგალითად, ეს უკანასკნელები ვალდებული იყვნენ თითოეული ოჯახიდან ყოველწლიურად თაგიათისათვის მიერთმიათ ბატკანი და დიდი ცხვარი, ერთი ურემი თივა, ერთი ოყა ცხვრის ყველი, ათი გირვანქა კარაქი, ხოლო საქონლის დაკვლისას ხორცის ნაჭერი. სამიწათმოქმედო სამუშაოებისას თითოეული ოჯახი ვალდებული იყო ერთი კაცი გამოეყო.

თაგაურიაში ფარსაგლაგების გვერდით, რომელთაც თავიანთი კერძო მიწები გააჩნდათ და თავისუფალი იყვნენ ფეოდალურ ვალდებულებებისაგან, იყვნენ აგრეთვე სხვა ფარსაგლაგებიც, რომელთაც არ გააჩნდათ თავიანთი მიწები და ისხდნენ თაგიათ-ფეოდალების მიწებზე. მართალია, ამათ შეინარჩუნეს პირადი თავისუფლება და თავის ნებასურვილის მიხედვით შეეძლოთ ამოერჩიათ თაგიათი, მაგრამ ფეოდალური ვალდებულებით ესენი საკმაოდ დაკავებულნი იყვნენ. ასე, მაგალითად, დღესასწაულების, ქორწინებისა და გარდაცვალებისას ისინი თაგიათებს უკეთებდნენ „საჩუქარს", რომელიც უფრო პროდუქტებით რენტას ჰგავდა. თან ახლდნენ თაგიათს ყველა მის მგზავრობაში. ასეთი ფარსაგლაგი გადასახლებისას სხვა ადგილზე ვალდებული იყო თავისი სახლი თაგიათისათვის დაეტოვებია. თაგიათ-ფეოდალი კი თავის მხრივ მფარველობდა მათ და იცავდა გარეშე მტრებისგან.

ფარსაგლაგების მომდევნო ფენას დამოკიდებული კლასისას შეადგენდნენ ქავდასარდები, რომლებიც მსგავსად დიგორელ ყუმიაგებისა წარმოშობილნი იყვნენ ნომილუსებისაგან (ფეოდალის არაკანონიერი ცოლი. — თ. ბ.). ქავდასარდები ფაქტიურად მონის მდგომარეობაში იყვნენ.

ქავდასარდებს ფეოდალის სიკვდილის შემდეგ ჰქონდათ უფლება ცალკე ოჯახად გამოყოფისა და საკუთარი მეურნეობის შექმნისა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ფეოდალურ დამოკიდებულებაში რჩებოდნენ და გარკვეულ ვალდებულებებსაც კისრულობდნენ. ქავდასარდებს შეიძლებოდა ჰქონოდათ მიწა და ჰყოლოდათ მონები. მონაქუსაგებს ისინი ან იძენდნენ ან კი თავდასხმებისას ტყვეებად იგდებდნენ ხელთ.

სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის თითქმის ამავე საფეხურზე იდგა ოსეთის მესამე დიდი საზოგადოება — თემი ქურთათი.

გაბატონებულ ფეოდალურ კლასს შეადგენენ ქურთათები. ძირითად ფეოდალურ საგვარეულოს შეადგენენ ცალიკოევები, ესიეევები, ტე-

ზიევები და გურიევები. ფეოდალურ დამოკიდებულ კლასს შეადგენდნენ ფარსაგლაგები. ესენიც მსგავსად თაგაურელი ფარსაგლაგებისა ორ კატეგორიად იყოფოდნენ — თავისუფალ და დამოკიდებულად. ეს უკანასკნელნი ცხოვრობდნენ რა ფეოდალის მიწაზე შესაბამისად ამისა ფეოდალურად ვალდებულნი იყვნენ. გაზაფხულზე თითო ოჯახი ბატონს აძლევდა ბატკანს. შემოდგომით კი დიდ ცხვარს. მათ ვალდებულებაში იყო აგრეთვე ერთი ტომარა ხორბალი, ერთი ზვინი თივა, ხოლო დღესასწაულებისას ნამცხვრები და ლუდი.

მეორე სოციალურად დამოკიდებული ფენა — ქავდასარდები ბეგარისა და ღალის ვალდებულებას ერთად კისრულობდნენ. სამიწათმოქმედო სამუშაოებისას თითოეულ ოჯახს ბატონისათვის გამოჰყავდა ერთი კაცი.

ᲧᲐᲚᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ **ᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲜᲘ** ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲣᲡᲢᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲐᲪ ᲨᲔᲡᲐᲛᲩᲜᲔᲕᲘ ᲘᲧᲝ.

ფეოდალური ურთიერთობა ვითარდებოდა აგრეთვე მდ. არდონის ზემო წელის აუზში (ნარ-მამისონის ქვაბული — თ. ბ.) მცხოვრებ ოსურ თემებშიც. აქაც იყო „ძლიერი" გვარები, რომლებიც ასევე ფლობდნენ საუკეთესო მიწებსა და საძოვრებს. „ძლიერი" გვარები მფარველობდნენ „სუსტებს" და ნელ-ნელა მოჰყავდათ ფეოდალურ დამოკიდებულებაში. ძირითადი მწარმოებელი მასა აქაც ფარსაგლაგები იყვნენ, მაგრამ ისინი არავითარ ვალდებულებას არ იხდიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალთა მფარველობაში იყვნენ მოქცეულნი. მათი ძირითადი მომსახურეობა ფეოდალისადმი გამოიხატებოდა თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობაში და მეზობელ თემებზე ფეოდალთა თაოსნობით თავდასხმებში.

სხვადასხვა საზოგადოება-თემში მცხოვრები ფეოდალები ერთმანეთში თანასწორნი იყვნენ, რასაც ის გარემოებაც აპირობებდა, რომ ოსეთში აღნიშნულ საუკუნეებში არ იყო განვითარებული ვასალური ურთიერთობა, არ იყო ე. წ. ფეოდალური იერარქია, რაც თავის მხრივ, რასაკვირველია, მიუთითებს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დაბალ დონეზე.

ასე რომ, XVI—XVII საუკუნის ჩრდილო ოსეთის ყველა საზოგადოება-თემში ფეოდალური ურთიერთობა უკვე განვითარებული იყო. თუცმა ყველა მათგანი ერთმანეთისაგან გამოირჩეოდა განვითარების სხვადასხვა ხარისხითა და დონით. საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ეს იყო ადრეფეოდალური ურთიერთობა, სადაც ჯერ კიდევ მთლად ჩანთქმული არ იყო პატრიარქალურ-გვაროვნულ-თემური წყობილება და ამ უკანასკნელის ნაშთები არც თუ უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ქვეყნისა და საზოგადოების საერთო განვითარებაში.

ამის ერთ-ერთი მაგალითი ის იყო, რომ საზოგადოება-თემის უმნიშვნელოვანესი საკითხები იხილებოდა და წყდებოდა საზოგადოებრივ-სახალხო კრება-ნიბასზე, რომელსაც იწვევდნენ საჭიროებისდა მიხედვით.

საზოგადოებრივი ცხოვრება რამდენადმე რეგლამენტირებული იყო ადათ-ჩვეულებებით. ყველა სადავო საკითხი იხილებოდა „სახალხო" სასამართლოთი ან საშუამავლო სასამართლოთი.

ჯერ კიდევ მოქმედებაში იყო სისხლით შურისძიება, წესის დარღვევისათვის ჯარიმა, ყალიმში წილის შეტანა, კოლექტიური ურთიერთდახმარება ნათესავებისა და თანასოფლელებისაგან სამიწათმოქმედო სამუშაოების პერიოდში, სახლის მშენებლობისა და კარ-მიდამოს მოწყობისას და სხვ. ადათის მიხედვით, ვისაც დააკლდებოდა თივა, მეზობლის თივის ზვინიდან შეეძლო აეღო. დადგენილი იყო სამეურნეო სამუშაოებზე გამოსვლის დრო, რომელიც სავალდებულო იყო ყველასათვის ეს მიწათმოქმედებას ეხებოდა თუ თიბვას, მკას, მოსავლის აღებას თუ სხვ. შემორჩენილი იყო სათემო მიწები, რომლებიც ერთობლივად მუშავდებოდა, ხოლო მოსავალი კი სათემო დღესასწაულს ხმარდებოდა. აღსანიშნავია,რომ ასეთ საერთო-კოლექტიურ მუშაობის ფორმებს დროდადრო ფეოდალები თავისი ინტერესებისათვის იყენებდნენ.

განსაკუთრებულ ხელსაყრელ და მომგებიან მდგომარეობაში იყვნენ თაგაურელი ფეოდალები -- თაგიათები და დიგორელი ფეოდალები — ბადელიატები, რომელთა მამულები განლაგებული იყო იმ მთავარ მაგისტრალზე ხევყაბარდოს გზაზე (დარიალის ხეობაზე გაელით), რომელიც აკავშირებდა იმიერსა და ამიერკავკასიას ერთმანეთთან, კერძოდ კი საქართველოსა და ყაბარდოს. ამ გზით შემოსული შემოსავალი რამდენადმე ხელს უწყობდა მათი გავლენის ზრდას თვით ოსეთში, ხოლო მეორეს მხრივ თანმიმდევრობით უმტკიცებდა ეკონომიურ მდგომარეობას თავის ქვეშევრდომებზე მეტი ზემოქმედებისათვის. ბუნებრივია, რომ ამ ფეოდალებს დიდი პატივი ჰქონდათ აგრეთვე საქართველოსა და ყაბარდოს ფეოდალებისაგანაც, რადგან ისინი ერთმანეთთან ურთიერთობისათვის დაინტერესებულნი იყვნენ თაგაურელ და დიგორელ ფეოდალებთან საერთო ენის გამონახვაში.

§ 5. ჩეჩნეთ-ინგუშეთი XVI—XVII სს.

XVI—XVII საუკუნეებში ჩეჩენ-ინგუშები, ისე როგორც ადრეულ საუკუნეებში, უმეტესად მთებში ცხოვრობდნენ მდ. თერგის ზემო წელის აღმოსავლეთით. აღნიშნულ საუკუნეებში, სხვადასხვა წყაროებით ისინი უმეტესად ცნობილი იყვნენ როგორც მიჩკიზელები, მერეჭელები, შუბუტილები, მულკები, კალკანელები, ეროხანელები, ოკო-

კელები, ოკოჩანელები, აკოჩანელები, ღლიღვები, ძურძუკები, ქისტები და სხვ.

ამისდა მიხედვით, როგორც წესი, დასახლებული ტერიტორიებიც მათი სახელისდა შესაბამისად იხსენიებოდა. ასე, მაგალითად, „მიჩიზელთა მიწა“, „შიბუტინელთა მიწა“, „ოკოჩანელთა მიწა“ და სხვ.

საკუთრივ თვით ინგუშთა კრებითი სახელი კი „გალგაი“ ქართულ წყაროებში მოხსენებულ ღლიღვისა და რუსულ წყაროებში ცნობილ კალკანს ეხმაურება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „გალგაი“ კონკრეტულად ერთ-ერთ ინგუშურ ტომურ გაერთიანებასაც ეწოდებოდა, რომლის საცხოვრებელი ადგილი უმეტესად მდ. სუნჯის შენაკადის მდ. ასის ხეობასა და ველს მოიცავდა.

საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის მიერ, თავის გეოგრაფიაში მოყვანილი მდ. კისტინკის შესართავში მდებარე კლდოვანი ადგილი ჯარიეხის სახელწოდება, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ალბათ ერთ-ერთი ხალხის ჯერახების სახელთან, რამდენადაც XVIII—XIX საუკუნის მასალებით ამ მდინარის ხეობაში სწორედ ჯერახები და ქისტები ცხოვრობდნენ. უდავოა, რომ XVI—XVII სს. რუსულ წყაროებშიც მოხსენებული „ეროხანელი ხალხი“ სხვა არა უნდა იყოს რა თუ არა ჯერახები.

მდ. არმხის ანუ კისტინკის ხეობა ორ ცნობილ ველს აკავშირებდა ერთმანეთთან — ასისა და თერგისას. თვით მდ. ასის ხეობა კი სხვადასხვა გადასასვლელებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, კერძოდ თუშ-ფშავ-ხევსურეთთან. შეიძლება ამან განაპირობა ის, რომ ვეინახთა ერთი ნაწილი მოცილდა თავის ძირითად საცხოვრებელ ტერიტორიას და სწორედ ამ სამიმოსვლო გზების გასწვრივ დასახლდა. ასე, მაგალითად, ქისტ-მელხისტინელების აულები (ეს მათი ნამდვილი სახელწოდების — მიხტოს წოვა-თუშური ფორმაა) მდ. სუნჯის შენაკად არგუნის ზემო წელში განლაგდნენ, ხოლო ქისტი-ბაცბეჩი კი უფრო სამხრეთით თუშეთში ჩამოვიდნენ, სადაც მიიღეს კიდეც ახალი სახელწოდება წოვა-თუშები. გადმოსახლების ეს პროცესი ძირითადათ XVI საუკუნის მიწურულისათვის უნდა დამთავრებულიყო. ასე, მაგალითად, 1589-1590 წლებში ალექსანდრე კახთა მეფის წარგზავნილები საქართველოში მომავალ რუს ელჩს ზვენიგოროდსკის თერგქალაქიდან კახეთში მომავალ ერთ-ერთ საუკეთესო გზად სწორედ მიტხოელებსა და ბაცბებზე გამავალ გზაზე მიუთითებდნენ. აღსანიშნავია, რომ კახეთიდან ამავე არგუნის ჩაყოლებით შეიძლებოდა თვით მდინარეების არგუნისა და სუნჯის ჩაყოლებით თერგქალაქში მისვლა.

XVI—XVII საუკუნეების წყაროებისათვის ჯერ კიდევ უცნო-

ბია მაღალმთიან ინგუშური მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ფაქტი, — არ იხსენიება აული ანგუშტიც, რომლის სახელწოდებაც — ინგუშები შემდეგ რუსულმა წყაროებმა მთელ ხალხზე გაავრცელეს.

მდ. ასის აუზის ინგუშურ მოსახლეობას აღმოსავლეთით ემეზობლებოდა ჩეჩნური თემი აკო, რომელიც განსახლებული იყო ძირითადათ მდ. სუნჯის შენაკად გეხის ზედაწელში. XVI საუკუნისთვის მათი ერთი ნაწილი კიდევ უფრო აღმოსავლეთით გადასახლდა და დაიკავა მთისძირობა რაიონები მდინარეების აკსაისა და აკტაშას შორის, მდ. ოავან-სუს გასწვრივ.

აკოელები წყაროების მიხედვით ცნობილნი იყვნენ აგრეთვე აკოჩანების, ოკუკებისა და უფრო გვიან კი აუხელების სახელით.

მდ. სუნჯის ერთ-ერთი პატარა შენაკადის მერეჯის სახელი დაედო საფუძვლად, როგორც ჩანს ერთ ჩეჩნურ თემსაც — მერჟო (მერეჯო).

XVII ს. წყაროები ამ თემის მოსახლეობას მერეჯინელებად იცნობენ.

აღნიშნულ საუკუნეებში ყველაზე დიდი ჩეჩნური გაერთიანებები მოქცეული იყვნენ მდინარეების შარო-არგუნისა და ჩანტი-არგუნის ველებზე. ასე, მაგალითად, შიბუტელები, შატოელები, ჩატინელები, მულკინები და სხვ. XVII ს. წყაროების მიხედვით აშკარად შეიმჩნევა მთიელ ჩეჩენთა საგვარეულობის უფრო ჩრდილოეთით მდ. სუნჯისკენ გადასახლება. XVII ს. შუა პერიოდისათვის, მაგალითად, შიბუტელები გრებენელ კაზაკთა დასახლების ახლო არიან მდ. თერგის მარჯვენა მხარეს.

ისე როგორც სხვა შემთხვევაშიც, მდინარის სახელი დაერქვა კიდევ ერთ ჩეჩნურ თემსაც მიჩიკს (იგულისხმება მდ. სუნჯის მარჯვენა შენაკადი მიჩიკი), რომლის წარმომადგენლებიც რუსულ წყაროებში უმეტესად ცნობილი იყვნენ მიჩიკიზელებად.

XVI ს. მეორე ნახევარში სუნჯასა და თერგზე დროდადრო რუსული ციხე-სიმაგრეების მშენებლობამ, ხოლო 1588 წ. კი საბოლოოდ თერგის შესართავთან თერგქალაქის ჩადგმამ, შეიძლება ითქვას, რომ რამდენადმე დააჩქარა მთიელ ჩეჩნურ-ინგუშური მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების პროცესი XVI ს. დასასრულისათვის, მაგალითად, თერგქალაქთან უკვე ჩანს კიდეც აკოელების პირველი ასეთი უბანი, რომელსაც რუსული წყაროები ოკოჩანელებს უწოდებს, ხოლო დასახლებას კი ოკოცკის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ XVI—XVII საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იყო ფეხმოკიდებული ჩეჩნურ-ინგუშური მოსახლეობის კრებითი სახელები ჩეჩნები და ინგუშები. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ სახელწოდება ჩეჩნები აულ ჩეჩენიდან მოდის, ხოლო ინგუშები კი აულ ანგუშტიდან. ამასთან პირველი წყაროებში მოხსე-

ნებულია XVII ს. დასასრულისა და XVIII ს. დასაწყისში, ხოლო ვეორე კი უფრო გვიან, XVIII საუკუნეში.

მთის მკაცრმა პირობებმა თავისებური დაღი დაასვა ჩეჩენ-ინგუშთა სამეურნეო ცხოვრებას. მოსახლეობის ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მესაქონლეობა იყო, უპირატესად მეცხვარეობა. მთის ფერდობები და ეროზირებული ადგილები მიწათმოქმედების განვითარებისათვის მეტად შრომატევად სამუშაოებს მოითხოვდა. მოსახლეობა, მართალია, ამას არ გაურბოდა, მაგრამ მისი ნაყოფიერება მაინც ძალიან დაბალი იყო, რისთვისაც მთიელები მუდმივად ბარში ჩადიოდნენ პურის სასყიდლად. მდიდარი ალპური ზონები და ტყის ფართო მასივები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდნენ მეფუტკრეობისათვის და ჩეჩენ-ინგუშებიც მას დიდი ხალისით მისდევდნენ. ასეთი პირობები ხელს უწყობდა აგრეთვე მონადირეობის განვითარებასაც. ჩეჩნურ-ინგუშური ფოლკლორი, ადათური ნორმები და რიგი წარმართული წესჩვეულებები სავსეა მონადირეობასთან დაკავშირებული მოვლენებით.

ჩეჩნეთ-ინგუშეთში არსებული შინამრეწველობა და ხელოსნობა ნატურალური ხასიათისა იყო და იგი მოსახლეობის მხოლოდ მინიმუმს აკმაყოფილებდა. რამდენადაც შრომის განაწილება არ იყო სათანადოდ განვითარებული, ამდენად ერთი და იგივე ოჯახი ქსოვდა სხვადასხვა ქსოვილებს და კერავდა კიდეც, ან აკეთებდა ნაბდებს, ქეჩას, ნოხებს, ფარდაგებსა და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ შრომის ერთგვარი სპეციალიზაცია მხოლოდ ლითონის გამოდნობა-დამზადებასა და, ნაწილობრივ, ხით ხუროობაში შეიმჩნეოდა. ჩეჩენ-ინგუში ხელოსნები ლითონისაგან უმეტესად საბრძოლო და შრომის იარაღებს აკეთებდნენ. ჩეჩენ-ინგუშებისათვის უცნობი არ უნდა ყოფილიყო სამთამადნო მრეწველობაც. XVII ს. ერთ-ერთი ცნობით ისინი საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვებდნენ ტყვიას.

ვაჭრობა ჩეჩენ-ინგუშურ მოსახლეობაში და მეზობლებთან მხოლოდ და მხოლოდ ნატურით გაცვლის ფორმით წარმოებდა. რაც თავის მხრივ, რასაკვირველია, სავსებით კანონზომიერი ფაქტი იყო ნატურალური და ნახევრად პატრიარქალური მეურნეობის პირობებისათვის.

აღნიშნულ საუკუნეებში მთიელ ჩეჩნურ-ინგუშური მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს ნადავლისათვის წარმოებული თავდასხმებიც შეადგენდა. შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე ის საჩუქრები ან ბაჟი, რომლებსაც ისინი იღებდნენ მათ ტერიტორიებზე გამავალი რუსი თუ ქართველი ელჩებისაგან, ან კიდევ ვაჭრებისაგან. ასე, მაგალითად, ქართველთა ელჩი ეპიფანე მიტროპო-

ლიტი, რომელიც 1665 წელს ჩავიდა მოსკოვში საქართველოდან ჩეჩნეთ-ინგუშეთზე გავლით. მოსკოვის სამეფო კარზე პირდაპირ ამბობდა, რომ ქრისტები საჩუქრის მიუღებლად არავის არ უშვებენ, ხოლო საჩუქრებს კი ძალზე დიდი რაოდენობით ითხოვენო. ასევე მოხდა, სხვათა შორის, 30-იან წლებშიც, როდესაც საქართველოში ამავე გზით ჩამოვიდნენ რუსი ელჩები ვოლკონსკი და ხვატოვი.

შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდა მეურნეობისათვის თერგ-ქალაქთან მდინარეების აკსაისა და აკტაშს შორის ფეხმოკიდებულ ოკოჩანელთა დასახლებას. ისინი მიწების დიდ ფართობებს ამუშავებდნენ და რწყავდნენ კიდეც. მოჰყავდათ ხორბალი, ფეტვი-ღომი, ქერი, ჭვავი და სხვ. აშენებდნენ მსხვილფეხა საქონელსა და მისდევდნენ ბეცხენეობასაც.

ჩეჩნეთ-ინგუშეთის რიგი რაიონების სამეურნეო ცხოვრების სხვადასხვა პირობებმა თავის მხრივ გამოიწვიეს სოციალურ ურთიერთობათა დონის განსხვავებაც იქ არსებულ თემ-საზოგადოებებს შორის, რომლებსაც რუსული წყაროები იცნობენ „Общество“-ს და „Земли-ца“-ს სახელით.

მკვლევართა ერთი ნაწილი აღნიშნულ ტერმინებს გარკვეულ წარმონაქმნების ფორმად მიიჩნევს. თვით ჩეჩნურ-ინგუშური სახელწოდებებით ახსნა და მასთან შედარებით გვიანდელი მასალების დაპირისპირება უეჭველს ხდის, რომ ე. წ. „ზემლიცები“ და „ობშესტვოები“ ერთ შემთხვევაში ჩეჩნურ-ინგუშურ გვარებს ანუ ტაიპებს გამოხატავენ, ან მათ ნაწილს, ხოლო მეორე შემთხვევაში კი გვაროვნულ ან თვით ტომობრივ გაერთიანებებს, რომელიც თავის მხრივ ცნობილი იყო თოხუმის სახელწოდებით. ასე, მაგალითად, თოხუმი შატი თავის თავში რამდენიმე ტაიპს აერთიანებდა, მათ შორის ტუმსოს. 1647 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში შიბუტის მიწაზე მოხსენებული ტუმსის კაბაკი სწორედ ტუმსის გვარის ანუ ტაიპის მიერ დასახლებული სოფელია. ასე, რომ, წყაროებში მოხსენებული „მიჩკიზის მიწა“ თუ „მიჩკიზელთა კაბაკები“, „შიბუტის მიწა“ თუ „შიბუტელთა კაბაკები“, „კალკანის მიწა“ თუ „კალკანელთა კაბაკები“ ოკოჩანელთა მიწა“ თუ სხვ. ფაქტიურად რიგ ჩეჩნურ-ინგუშურ ტაიპებისა და თოხუმების გაერთიანებებს წარმოადგენენ. „მიჩკიზელთა მიწა“, მაგალითად, XVII ს. 40-იან წლებისათვის 36 აულს აერთიანებდა. „შიბუტინელთა მიწას“ კი ომის შემთხვევაში შეეძლო 1000 მეომრის გამოყვანა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისიც თავის თავში ალბათ ასევე რამდენიმე ტაიპს თუ თოხუმს აერთიანებდა.

XVI—XVII სს. ჩეჩნურ-ინგუშურ თემ-საზოგადოებათა უმრავ-

�obda პატრიარქალურ-გვაროვნულ წყობილების საფეხურზე იდგა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგი მაინც და მაინც მყარი არ იყო და რამდენადმე უკვე მოიცავდა კიდეც ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ელემენტებს.

XVI—XVII სს. არქეოლოგიური მასალა საკმაოდ ნათლად გამოხატავს ამ პერიოდში ჩეჩნეთ-ინგუშეთში არსებულ გვაროვნულ ტიპურ წყობილებას. მთის საძოვრების სათემო საკუთრების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო აგრეთვე ის სახელწოდებებიც, რომლებიც ემთხვეოდნენ ცალკეულ ტაიპების დასახელებას, ასე, მაგალითად, ტუმსოს-ლამი (ლამი ნიშნავს მთას). ცენტოროს-ლამი, ბენოს-ლამი და სხვ. რაც შეეხება სახნავი მიწის ნაკვეთებს, იგი, როგორც ჩანს, აღნიშნულ საუკუნეებში იმ ოჯახთა კერძო საკუთრებაში იყო გადასული, რომლებიც მას ამუშავებდნენ და უვლიდნენ.

XVII ს. მასალებიდან კარგად ჩანს, რომ ჩეჩნურ-ინგუშურ ტაიპებსა და თოხუმებში უკვე საკმაოდ შეიმჩნეოდა საერთო მასას გამოყოფილი უხუცესნი, წარჩინებულები, ბელადები და ე. წ. „საუკეთესონი“ ანუ ისინი რომლებიც დანარჩენ თანატომელებისაგან თავისი ძალით თუ სიმდიდრით გამოირჩეოდნენ. ბუნებრივია, რომ ამ გამოყოფილთაგან და დაწინაურებულთა მიერ ხელისუფლების განმტკიცებამ და მიღწეული წოდებრიობის მემკვიდრეობით გადაცემის უფლების შეძენამ ჩეჩნურ-ინგუშურ ტაიპებსა და თოხუმებში ხელი შეუწყო ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვას და მის შემდგომ განვითარებას. ასე, მაგალითად, 1627 წ. შიბუტინელმა ლავარსან იაზიევმა და ზატიშკო ლავარსანოვმა, როგორც უფროსებმა, რუსეთის ოცი კომლის სახელით შეფიცეს ერგულება. ასეთივე დაწინაურებულები უნდა ყოფილიყვნენ 1647 წ. შიბუტინელთა ოთხი დიდი აულის წარმომადგენლებიც ე. წ. შიბუტინელი თავკაცები, ან კიდევ მიჩკიზელთა 36 კაბაკოფლის „რჩეული ხალხი“, რომელთაც მთელი მიჩკიზის სახელით ყურანზე შეფიცეს და სხვ.

ფეოდალური ურთიერთობა უფრო მეტად უნდა ყოფილიყო განვითარებული ოკოცკის მიწაზე, რის მანიშნებელი თითქოს რუსულ წყაროებში მის მფლობელების მოხსენიებაა. ასე, მაგალითად, XVI—XVII სს. ოკოცკის მფლობელ-მმართველებად ცნობილი იყვნენ შიხ-მურზა იშერიმოვ, აიბირ-მურზა ბატაევი და სხვ. საერთოდ კი რუსული წყაროებით XVI—XVII საუკუნეებში მთელს ჩეჩნეთ-ინგუშეთში სჭარბობდა ე. წ. „თავისუფალი მიწები“ (ვინმეს მფლობელობის გარეშე).

ასე რომ, XVI—XVII სს. ჩეჩნეთ-ინგუშეთში შეიძლება ითქვას, რომ კლასობრივი საზოგადოება ჯერ მთლად ჩამოყალიბებული არ იყო.

რაც შეეხება XVII ს. მოხსენებულ ისეთ ჩეჩნურ აულებს, რო-

გორეც იყო კუდაშევის კაბაკი, ბარანუევის. ტუმცოს, შანდორის, უიშ-ევის და სხვ. კაბაკები, როგორც სამართლიანადაა შენიშნული საბჭო-ურ ისტორიოგრაფიაში, ყველა მათი სახელწოდება გვარის უფროსთა თუ წარჩინებულ ბელადის სახელწოდებიდან უნდა გამომდინარეობდ-ნენ. ტაიპებისა თუ თოხუმებში გარკვეულ პირთა დაწინაურებას, რა-საკვირველია ხელს უწყობდა აგრეთვე ის თავდასხმებიც, რომლებსაც ჩეჩენ-ინგუშები დროდადრო აწარმოებდნენ მეზობელ ხალხებზე.

მათ ხელში გროვდებოდა ტყვეები და საქონელი, რაც თავის მხრივ ზოგიერთ საგვარეულოს ძლიერი რაზმეულების შედგენის საშულებას აძლევდა.

ჩეჩნურ-ინგუშურ ადათებში საკმაოდ ბლომად მოიპოვება ორ ძლიერ და სუსტ ტაიპს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელი უფ-ლებრივი ნორმები.

მოკლულთა შორის ადათებში დადგენილი სისხლის საზღაურის განსხვავება, რასაკვირველია, უკვე იმ უთანასწორობის გამოხატულება იყო, რომელიც ჩეჩნურ-ინგუშურ ტაიპებსა და თოხუმებში არსებობ-და.

XVI—XVII საუკუნეების მასალების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ჩეჩნეთ-ინგუშეთში კლასობრივი საზოგადოება ჯერ მთლად ჩა-მოყალიბებული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მათ საზოგადოებაში არსებობდნენ მონები. ამიერ და იმიერკავკასიის ერთ მთავარ მაგის-ტრალზე (დარიალის ხეობა) ჩეჩენ-ინგუშთა ცხოვრება და განვითარე-ბის შედარებით დაბალი დონე მათ ფეოდალურად მაღალ განვითარე-ბულ მეზობლების (ყაბარდო-დაღესტნისა და კახეთის) გავლენის ქვეშ აქცევდა.

ასე, მაგალითად, XVII ს. 10-იან წლებში კალკანელები ანუ გალგა-ღლიღვები, მცირე ყაბარდოს თავადების ალკასის, აიტეკის, მუდარისა და სხვათა ყმობაში იყვნენ და ამდენად მათ გარკვეულ გადასახადს თუ ხარკს უხდიდნენ. ასე იყო 40-იან წლებშიც, როდესაც შიბუტინელთა მიწის დიეევის სოფელი ყაბარდოელი თათარხან არასლანოვის ქვეშე-ვრდომი იყო და მის სასარგებლოდ გარკვეული ვალდებულებაც ეკ-ისრა. შიბუტინელთა მიწის ერთ-ერთი სოფელი კრავარანდა ავართა ნუსალის მოხარკე იყო. XV—XVI საუკუნეების ერთი ცნობით, დაღეს-ტნის შამხალს, მაგალითად, „მთელი მიჩიკიზის მიწა“ მორჩილებდა და მისგან ის სხვადასხვა გადასახადს იღებდა. მთელი რიგი ჩეჩნური სოფ-ლები მორჩილებდნენ აგრეთვე დაღესტნის მეორე დიდი გაერთიანე-ბის — ენდერის მთავარს სულთან-მუტის და სხვ.

XVI ს. მეორე ნახევრიდან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განახლებამ ჩეჩნეთ-ინგუშეთი კახეთის სამეფო კარის კიდევ უფრო მე-

ტი ყურადღების ცენტრში მოაქცია, რამდენადაც დროდადრო არაგვის საერისთაოსთან შინაფეოდალური აშლილობის გამო, გზას კახეთთან თერგზე მთათუშეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთზე გაელით, პირველხერისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამიტომ მოხდა, რომ XVII ს. 30-იან წლებში, როდესაც არაგვის ერისთავმა ხევ-ყაბარდოს გზა ჩაკეტა, თეიმურაზ I თერგზე გამავალი მეორე გზისათვის, რომელიც თუშ-ფშავ-ხევსურეთ-ჩეჩენ-ინგუშეთზე გადიოდა, სპეციალური ლაშქრობა მოაწყო კავკასიის მთიანეთში, რომ მთიელებს არ შეეფერხებინათ რუსეთ-კახეთის ელჩობის თავისუფალი მიმოსვლა.

ჩეჩენ-ინგუშები ყველაზე ახლო ურთიერთობაში მაინც თუშებთან იყვნენ. XVII ს. 50-იან წლებში, შიბუტინელთა წარმომადგენლები ალხანი, სუსლო და ალგანი თუშებთან ერთად მოსკოვში იყვნენ ჩამოსულები და მათაც მეფეს ერთგულების ფიცი მისცეს. ამავე საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი ცნობიდან კი ირკვევა, რომ შიბუტინელთა გარკვეული ნაწილი თუშებს მორჩილებდნენ და მათ თითოეული სოფლიდან 10 ცხვარს აძლევდნენ.

ყაბარდო-დაღესტნისა და საქართველოს პოლიტიკური ზეგავლენა, რასაკვირველია ართცუ ყოველთვის მყარი იყო თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენ-ინგუშური ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამო.

ჩეჩენ-ინგუშთა ისტორიულ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო თერგის ჭორომებში კაზაკ მოსახლეთა გაჩენა XVI საუკუნის 60-70-იან წლებში. თერგის კაზაკთა დაბები უმეტესად რუსეთის შიდა რაიონებიდან ფეოდალურ ექსპლოატაციასა და მოხელეთა უკანონობას გამოქცეული ყმა-გლეხობა იყო — ყველაზე ადრე ჩერვლენელ და შჩედრინელ კაზაკთა დაბები გაჩნდნენ, რომლებსაც შემდეგ ერთი-მეორეზე მოყოლებით სხვებიც მოჰყვნენ. XVII ს. ოთხმოციან წლებში კი დიდ თერგქალაქის ჩადგმამ ჩრდილო კავკასიის ხალხების ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა, რამდენადაც იგი ერთმანეთთან აერთიანებდა, ერთი მხრივ, თვით ჩრდილო კავკასიისა, ხოლო მეორე მხრივ, ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის სავაჭრო გზებს. თერგქალაქის მნიშვნელობა კიდევ უფრო იმით იყო აღსანიშნავი, რომ იგი უმეტესად სწორედ მოსული ხალხების რუსების, ყაბარდოელების, ოსების, ჩეჩენ-ინგუშების, ქართველებისა და სხვ. ხარჯზე იზრდებოდა.

§ 6. დაღესტანი XVI—XVII სს.

დაღესტნელთა მეურნეობის ერთ-ერთ დარგს, ისე როგორც წინა საუკუნეებში, მიწათმოქმედება წარმოადგენდა, რომელიც ქვეყნის

ბუნებრივი პირობების გამო მთისა და დაბლობ რაიონებში განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგა. მთაში მიწის სიმწირე და სიმცირე რასაკვირველია, გამორიცხავდა დიდმოსავლიანობას, შედარებით პარტან, მაგრამ საერთოდ მიწათმოქმედება აღნიშნულ საუკუნეებში მაინც სუსტად იყო განვითარებული. ეს გაპირობებული იყო, ერთი მხრივ, საგარეო და შინაფეოდალური ომებით, ხოლო მეორე მხრივ, ჩამორჩენილი სასოფლო სამეურნეო ტექნიკისა და გლეხთა დაბალი შრომის ნაყოფიერებით.)

(იმის გამო, რომ მთიან ზოლში უფრო მეტად მესაქონლეობას მისდევდნენ და ბარში კი მიწათმოქმედებას, ამიტომ ორივე მხარე თანდანვე ერთმანეთზე დამოკიდებული შეიქმნა.)

მარცვლეული კულტურებიდან დაღესტანში უმეტესად მოჰყავდათ ფეტვი, ხორბალი, ჭვავი, სიმინდი, ქერი, ბრინჯი და სხვა. თესავდნენ აგრეთვე ბარდასა და ლობიოს. ტექნიკური კულტურებიდან ცნობილი იყო სელი და კანაფი. დაღესტნის სამხრეთ რაიონებში მისდევდნენ მებამბეობას. ხოლო კაიტაღში, ტაბასარანში, დერბენტში, ე. ი. შედარებით თბილ რაიონებში კი მებაღეობასაც.

დაღესტნელთა მეურნეობის ძირითადი წამყვანი დარგი იყო მესაქონლეობა, რომლის განვითარებისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო, კერძოდ, ბევრი საზაფხულო საძოვარი. მოსახლეობის დიდი ნაწილი უმეტესად მისდევდა მეცხვარეობას, აშენებდნენ აგრეთვე დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელს — ძროხას, კამეჩს და სხვა. გარკვეული ადგილი ეკავა მეცხენეობასაც.

ზღვისპირა რაიონების მცხოვრებლები გატაცებული იყვნენ მეთევზეობით, ხოლო ენდერელი ყუმიკები კი თევზის ჭერას მისდევდნენ მდინარეებსა და ტბებში.

მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარების დაბალი დონე სრულიად ვერ აკმაყოფილებდა დაღესტნის ჭარბ მოსახლეობას და ამიტომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი თავისუფალ დროს, როგორც წესი, ხელს ჰკიდებდა ვაჭრობას ან ხელოსნობის რომელიმე დარგს; რამდენადაც პირადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შინამრეწველობის რიგმა პროდუქციამ ბაზარსაც მიაღწია, ამდენად ეს მომენტი თანდათან მასტიმულირებელიც აღმოჩნდა წერილი მრეწველობის განვითარებისათვის. ამასთან ერთად მთელი დაღესტნის მასშტაბით შეიმჩნევა ერთი მეტად თავისებური მოვლენაც — ცალკეულმა აულებმა და ხშირად კი მთელმა რაიონებმაც დაიწყეს დასპეციალება ხელოსნობის მხოლოდ ერთ რომელიმე სახეობაში. ასე, მაგალითად, დარგიელებში, ლაკებში და ავარებში მეტად ფართოდ იყო გავრცელებული ლითონის დამუშავება. კარატახში და აკუშაში ამზადებდნენ მაუდს. ხუნზა-

ხელები და ანდიელები ცნობილი იყვნენ, მაგალითად, ნაბდებისა და ქეჩის დამზადებით; ხოლო კუბაჩელები და გოცატლინები კი თავისი ბრწყინვალე საიუველირო საქმით. დიდი რაოდენობით მზადდებოდა თოფ-ხმალ-ხანჯალ-სატევარი და საერთოდ საბრძოლო აღჭურვილობა კუბაჩელების, ყმუზგინების, ხარბუკების, ყაზიყუმუხების, გოცატლინების, სოგრატლინებისა და სხვათა მიერ. ტაბასარანში, დერბენტში, მიკრახში, ახტში, კასუმკენტში, ხივაში და კაბირში კი ქსოვდნენ ხოხებსა და ფარდაგებს. თიხის ჭურჭლეულობით განთქმული იყო სულევკენტი, ბალხარი, ჯული და ისპიკი; ხით ხეროობაში უნცუკული, ბუკნი, სულეპო, ურშაგი და კუიადი, ხოლო ქვის დამუშავებაში კი კუბაჩი, რუგუჯა, ჩოხი, სუტბუკი, მულებკი, აბდაშკი და ტურაღი.

რამდენადაც სუსტად განვითარებული სოფლის მეურნეობა და თუნდაც შედარებით ფართოდ განვითარებული ხელოსნობა ვერ აკმაყოფილებდა დაღესტნის მოსახლეობის ძირითად საარსებო მოთხოვნილებებს, ამდენად მთიელები დროდადრო ერთგვარ გამოსავალს მეზობელ მხარეთა და კასპიისპირეთში მომავალ სავაჭრო ქარავნებზე თავდასხმებში ხედავდნენ.

(ვაჭრობა დაღესტანში უმეტესად ზღვისპირა რაიონებში უფრო იყო განვითარებული ვიდრე მთაში, რადგან აქ, გარდა ფეოდალურ-ტომობრივ დაქუცმაცებულობისა, დიდათ უშლიდა ხელს აგრეთვე უგზოობა. მართალია, დაღესტანში მიმოქცევაში იყო თურქული, სპარსული, რუსული, ქართული და სხვ. მონეტებიც, მაგრამ ვაჭრობა, როგორც წესი, საქონლის უბრალო გაცვლა-გამოცვლის ფორმით ხორციელდებოდა. ფულის შემცვლელად უმეტესად მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი გამოიყენებოდა. იყო აგრეთვე შემთხვევები ტყვეებისა ფულად ერთეულად გამოყენებისა. დაღესტნის ყველაზე დიდი სავაჭრო ცენტრები მის ზღვისპირა ზოლში იყო მოქცეული დერბენტსა, ტარკსა და ენდერში.) აღსანიშნავია, რომ დაღესტნელი ვაჭრების მოქმედების არე არც თუ პატარა რადიუსისა იყო. ასე, მაგალითად, ისინი აღნიშნულ საუკუნეებში მრავლად ჩანდნენ გილანსა და შემახაში, თბილისში, თავრიზ-ისპაანში, ასტრახან-მოსკოვში და ამ დროის სხვა მრავალ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში.

ვაჭრობის ასე ფართოდ გავრცელებას ხელს ისიც უწყობდა, რომ დაღესტნელი ვაჭარ-ხელოსნები უმეტესწილად განთავისუფლებულები იყვნენ სხვადასხვა საბაჟო ტარიფებისაგან.

დაღესტნური საექსპორტო საქონლის რიცხვში იყო ნაბადი, ბეწვეული, ქეჩა, მაუდი, შალი, ტყავეული, ნედლი აბრეშუმი. ჩული, ცივი იარაღი, ქალის სამკაულები, პირუტყვი და სხვა. ტარკის შამხალ ილდარის ვაჭრებმა მაგალითად 1621, 1623 და 1627 წლებში მარტო

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ 8000 მანეთის ღირებულების საქონელი ჩამოიტანეს. დაღესტანში ფართოდ იყო გავრცელებული აგრეთვე ტყვე-მონათა ვაჭრობა, რომელიც დაღესტნის ფეოდალებსა და ტომთა ბელადებს მეტად დიდ შემოსავალს აძლევდა. ვაჭრობა-ხელოსნობის შედარებით განვითარებულობამ, ბუნებრივია, გამოიწვია ქალაქური და ქალაქ-სიმაგრეთა ტიპის დასახლებული ცენტრების გამრავლება. ასე, მაგალითად, XVII ს. პირველი ნახევრის თურქი მოგზაური ევლია-ჩელები ამ ხანად დაღესტანში 41 ქალაქსა და 56-მდე სიმაგრეს ითვლის, რომელთა შორის უპირველესი ადგილი კვლავ დერბენტს ეკავა, შემდეგ ტარკსა და შაბრანს. ცნობილი იყო აგრეთვე ამ პერიოდისათვის ქალაქი ეშკალი, ენდერი, ბუინაკი და სხვა. მთაში განლაგებული ქალაქ-სიმაგრეთა შორის განსაკუთრებით ყუბაჩი, ახტი, ყუმუხი და ხუნძახი გამოირჩეოდნენ, რომლებიც ზღვისპირა ქალაქებისაგან განსხვავებით უფრო სოფლის მეურნეობასთან იყვნენ დაკავშირებულნი და ამდენადვე აგრარულ ხასიათს ატარებდნენ. გამონაკლისს ამ შემთხვევაში მხოლოდ ყუბაჩი შეადგენდა.

XVI—XVII სს. დაღესტნის მეურნეობის მოკლე შეფასებისას შეიძლება ითქვას, რომ იგი აღნიშნულ საუკუნეებში საკმაოდ შესამჩნევი საერთო გამოცოცხლებით ხასიათდება, რაც თავის მხრივ ორგანულად იყო დაკავშირებული ვაჭრობის ზრდასთან, ადგილობრივ სპეციალიზაციასთან (შრომის გეოგრაფიული დაყოფა) და საერთოდ საწარმოო ძალების შემდგომ საერთო განვითარებასთან.

მიუხედავად ამისა, მთელი მეურნეობა ჯერ კიდევ განვითარების ნახევრადნატურალურ დონეზე რჩებოდა.

(*სოციალური ურთიერთობა.* XVI—XVII საუკუნეებში ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით დაღესტნური საზოგადოების ურთიერთსაპირისპირო კლასებად დაყოფის პროცესი უფრო გაღრმავდა. ფეოდალური იერარქიის უმაღლეს საფეხურზე კვლავ შამხლები, უცმიები, მაისუმები და ხანები იდგნენ, რომლებიც დაღესტნის სახნავ-სათესი მიწების, საძოვარ-სათიბებისა და ტყეების დიდ მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ. შედარებით ქვედა საფეხურზე იდგა აზნაურული წოდება, რომელშიც უმეტესად ბეგები შედიოდნენ. ბეგ-აზნაურები ძირითადად ორ კატეგორიად იყოფოდნენ: მფლობელ და არამფლობელ ბეგ-აზნაურებად. ორივე შემთხვევაში წოდება მემკვიდრეობითი იყო.)

(მფლობელი ბეგი-აზნაურები გარდა იმისა, რომ მსხვილ მიწათმფლობელებს წარმოადგენდნენ, დიდ სამხედრო ძალასაც განაგებდნენ. ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ეს კი მათ უფლებას აძლევდა, დამოუკიდებელი საგარეო

და საშინაო პოლიტიკა ეწარმოებინათ. მთელი რიგი ბეგ-აზნაურები უშუალო მემკვიდრეებიც იყვნენ ძველად დაწინაურებული და წარჩინებული საგვარეულოებისა, თუმცა ახლა შედარებით დამცრობილად გამოიყურებოდნენ შამხლების ძლიერი პოლიტიკური ზეგავლენის გამო.) ასეთებს საშამხლოში, მაგალითად, ყარაჩი-ბეგს ან კარაჩი-ბეის უწოდებდნენ, ხოლო კაიტაღში კი გიმრინელ ბეგებს.

(ყველა ასეთი ბეგი, პრინციპში დეცენტრალიზაციის მოსურნე იყო და უმეტეს შემთხვევაში კიდეც აღწევდა მას.)

(ბეგ-აზნაურთა დიდ ნაწილს, რასაკვირველია, არამფლობელები შეადგენდნენ, მაგრამ მის ბევრ წარმომადგენელს უკვე პირად კერძო საკუთრებაში ჰქონდა მიტაცებული მისთვის ერთგული სამსახურისათვის ადრე ნაწყალობევი მიწა, ყმა-მონა თუ ჯოგი ამ რიგის აზნაურობაც შთამომავლობითი იყო, მაგრამ მათი რიგები შეიძლებოდა გაზრდილიყო თავისუფალ მეთემეთა იმ წევრების ხარჯზე, რომლებიც დაიმსახურებდნენ შამხლის, უცმის, მაისუმის, ხანისა თუ დიდი ბეგის ყურადღებასა და წყალობას.)

(დაღესტნის გაბატონებულ კლასს შეადგენდა აგრეთვე სასულიერო წოდებაც. ამ წოდების უმაღლესი ფენა გაბატონებულ კლასთან ერთად წარმოადგენდა უზენაეს ხელისუფლებას და თავადაზნაურთა ინტერესების ქომაგად გამოდიოდა. სასულიერო პირები დაღესტნელებში დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ და უმაღლესი წოდებაც მათ ანგარიშს უწევდა.)

(XVI ს. მეორე ნახევრიდან დაღესტნის ფეოდალურ კლასში ახალი სოციალური ჯგუფი ჩნდება, რომელიც ცნობილია ჩანკი-ბეგებისა და სალა-უზდენების სახელწოდებით.)

ჩანკები მფლობელ ფეოდალთა უკანონო ქორწინებიდან შეძენილი შვილები იყვნენ და ამიტომ მიწაზე მემკვიდრეობის არავითარი უფლებები არ ეძლეოდათ. ბეგების მსგავსად ისინიც ვასალურ ურთიერთობაში იყვნენ ხანებთან, შამხალებთან და უცმიებთან.

(XVI—XVII საუკუნეებში გაღრმავებულმა ქონებრივმა დიფერენციაციამ უზდენთა მასაში გამოიწვია ერთი ნაწილის დაწინაურება და ფეოდალური იერარქიის პირველ საფეხურზე ასვლა.) უზდენთა ასეთი კატეგორია ყუმიკეთში მაგალითად სალა-უზდენებად იწოდებოდა, ტარკის საშამხლოში ულუ-უზდენებად, ხოლო გვიანდელ რუსულ წყაროებში (XVII ს.) ისინი პირველხარისხოვან უზდენებად იხსენიებიან.

უშუალო მწარმოებლების ძირითადი მასა პირადად თავისუფალი გლეხების—უზდენებისაგან შედგებოდა. გარდა დაწინაურებული ზემო აღნიშნული პირველი ხარისხის უზდენებისა, დანარჩენი უზდენები მეტ- ნაკლებ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ ფეოდალებთან ამ

უკანასკნელთა მიერ სახნავ-სათეს და საძოვარ-სათიბ მიწებზე კერძო საკუთრების გამო, მაგრამ იყო უზდენთა ისეთი ნაწილიც, რომელიც ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის პირად დამოუკიდებლობას.

დაღესტნის ფეოდალებისადმი ყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ აგრეთვე რაიათები, რომლებიც უმეტესად იმ მიწებზე ისხდნენ, რომლის ერთი ნაწილი ბეგებსა და პირველხარისხოვან უზდენებს ჰქონდათ კერძო საკუთრებაში, ხოლო მეორე ნაწილი კი იმავე ბეგებსა თუ უზდენებს დროებით მფლობელობა-სარგებლობაში.

XVI—XVII სს. დაღესტანში ასეთ რაიათთა მთელი რიგი სოფლები არსებობდა. ასე, მაგალითად, ავარიაში — ამიშტა, ტეკიტა, მოსშული და ხინი, ყაზიყუმუხში — ტულიზმა, ხური, ხოლო კაიტაღში კი ტერეკემე.

დამოკიდებულთა კატეგორიას წარმოადგენდნენ აგრეთვე ლაგებიც ანუ მონები, რომელთაც არავითარი უფლებები არ გააჩნდათ და თავიანთ ბატონებს ემორჩილებოდნენ.

(XVI—XVII საუკუნეებში დაღესტანში ჯერ კიდევ საკმაოდ ფესვგადგმული იყო სასოფლო თემი, უმეტესად ორი ძირითადი ფორმით: ერთი — „სამიწათმოქმედო თემის" სახით და მეორე — თემის, რომელიც თავისი შინაარსით ტიპიურ მსგავსებას ამჟღავნებდა დასავლეთ-ევროპულ მარკასთან.)

პირველი თემისათვის ის იყო დამახასიათებელი, რომ არსებული გაუყოფელი და გაუსხვისებელი სახნავ-სათესი მიწები პერიოდულად ნაწილდებოდა მოთემეთა შორის, ხოლო მეორისა ისა, რომ მასში აღარ არსებობდა ასეთი პერიოდული გადანაწილება და ადრე განაწილებული ნაკვეთები კი უკვე კერძო საკუთრებაში იყო გადასული. ასეთ თემს, რასაკვირველია, დაკარგული ჰქონდა თავისი ადრინდელი დამოუკიდებლობა და ამდენად მოქცეული იყო ფეოდალურ ურთიერთდამოკიდებულებაში.

მართალია, დაღესტნის ზღვისპირა და მთისძირობა რაიონებში სამიწათმოქმედო თემი ბატონობდა, მაგრამ XVI—XVII საუკუნეებში შეიძლება ითქვას, რომ მისი ძირითადი პრინციპი პერიოდული განაწილებისა საკმაოდ დარღვეული იყო, რამდენადაც ფეოდალებმა ჯერ ნაკვეთის პირველი არჩევის, ხოლო შემდეგ კი რამდენიმე ნაკვეთის მიღების უფლებები მოიპოვეს და ამით ხელფეხი გაიხსნეს მომავალში ამ მიწების მისაკუთრების საქმეში.

(აღნიშნული საუკუნეების დაღესტანში სასოფლო თემების მთელი რიგი გაერთიანებები არსებობდა, რომლებიც რამდენიმე ძლიერ თუ სუსტ თემებს უყრიდა თავს და რომლებშიც თავის მხრივ თავისებური სათემო ურთიერთობები ისახებოდა. ასეთ სათემო კავშირებს სა-

ერთო სარგებლობაში დიდი ალმენდები ანუ გაუყოფელი სავარგულები ჰქონდათ და ისიც რამდენადმე დაცული იყო კერძო მესაკუთრული ხელყოფისაგან. საერთო სარგებლობაში იყო აგრეთვე მთის მსხვილი საძოვრებიც.)ამ მხრივ ტიპიურია გიდატლინების საზოგადოება, რომლის ძირითად ბირთვს ექვსი სოფელი შეადგენდა—ურადა, გინტა. გიდიბი, ხოტოდა, გოორი და კახიბი, რომლებიც ერთობლივად ფლობდნენ მთას — ახვახ მურულს, მდინარისპირა მიწებს სოფ. ხუჩადასთან. ასევე იყო ურახის საზოგადოებაში, აკუშისა და სხვ.

ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ XIV — XV სს. გამოიწვია წვრილ-წვრილი ფეოდალურ გაერთიანებათა მომძლავრება და მათი XVI ს. დასაწყისისათვის უკვე შედარებით მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებად გადაქცევა. ასე რომ, XVI საუკუნისათვის დაღესტანში საკმაოდ რელიეფურად გამოიკვეთა ისეთი დიდი გაერთიანებები, როგორიც იყო საშამხლო, ავარიის სახანო, კაიტაღის საუცმო, ტაბასარანის სამაისუმო და ამათგან დამოუკიდებლად კიდევ რიგი სასოფლო თემების კავშირები ე. წ. საზოგადოებები.

დაღესტნის ყველაზე დიდმა გაერთიანებამ — საშამხლომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩოპან-შამხლის მმართველობის პერიოდში (გარდაიცვალა იგი 1577 წ.) დაიწყო რამდენიმე ცალკე ერთეულებად, ქართულ შესატყვისობით, სათავადოებად დაშლა. ასე. მაგალითად, ენდერის (შემდეგში ესეც დაიშალა სამად — ენდერის, აკსაისა და კოსტეკის). ყარაჩაგის, ყუმტორკალინის, ყაფირყუმუხის, კაკაშურინის, ერპელის, ყარაბუდაღკენტის, ბოინაკისა და ტიუმენისად.

მართალია, ადათების მიხედვით ყველა ისინი თითქოს შამხალს ემორჩილებოდნენ, რომლის „თანამდებობაც“ ასე ვთქვათ, არჩევითი იყო, მაგრამ ფაქტიურად კი მისგან დამოუკიდებელნი იყვნენ. დროდადრო შამხლები, რასაკვირველია, ცდილობდნენ თავიანთი თანამდებობა და წოდება მემკვიდრეობაში დაემტკიცებიათ და საერთოდ ყრილობებისათვის გვერდი აევლოთ, მაგრამ ამის გაკეთება მათ ძალზედ უძნელდებოდათ, რადგან იგი მუდამ დაუსრულებელ და გამძაფრებულ შინაფეოდალურ ომებს იწვევდა.

XVII საუკუნის დასაწყისისათვის შამხლებმა თავიანთი რეზიდენცია ყაზიყუმუხიდან უფრო ჩრდილოეთით გადმოიტანეს ტარკსა და ბოინაკში. ყაზიყუმუხეთში ისინი მხოლოდ არჩევნების დროსა და ზაფხულობით ჩადიოდნენ. XVII საუკუნისათვის საშამხლოს გამოეყვნენ აგრეთვე წახურელები, რუთულები, აგულები და სხვადასხვა თემ-საზოგადოებები. XVII საუკუნეშივე ჩამოყალიბდა მეხტულინის სახანო.

ასე რომ, XVI — XVII სს. დაღესტანი წარმოადგენდა პოლიტი-

კურად დაქუცმაცებულ ქვეყანას, სადაც ყველაზე მეტად გამოირჩეოდნენ ტარკის შამხლო, ტაბასარანის სამაისუმო, კაიტაღის საუცმიო, დერბენტის სამფლობელო და ავარიის სახანო.

აღნიშნულ ფეოდალურ გაერთიანებებში პოლიტიკური წყობა სავსებით შეესაბამებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონეს. შამხლები, ხანები, უცმიები და მაისუმები თავიანთ საბფლობელოებში სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები იყვნენ. მათ ხელში იყო გადასახადების აკრეფის უფლება, ისინი იყვნენ უმაღლესი მოსამართლენი როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი საქმეებისა; ისინი იღებდნენ ბაჟებს, წყვეტდნენ შეზობლებთან თუ სხვა ვარე ქვეყნებთან ომისა და ზავის საკითხებს და სხვა მრავალ საკონფლიქტო საქმეებს.

ფორმალურად შამხლები, ხანები, უცმიები თუ მაისუმები პატრიარქალურ-ფეოდალურ წარჩინებულთა თავყრილობაზე ირჩეოდნენ უმეტესად დაწინაურებული საგვარეულოდან უხუცესობის პრინციპის დაცვით.

ზემოაღნიშნული მფლობელ-მმართველები თავიანთ ხელისუფლებას ახორციელებდნენ ვეზირების, ხაზინადრების, მოურავებისა და ნუკერების საშუალებით. ვეზირები ძირითადად სამხედრო რაზმებს ხელმძღვანელობდნენ და ამდენად ქვეყნის მმართველობაში მეტად დიდ როლს თამაშობდნენ. ფეოდალის საკარმიდამოს ფაქტიურად მოურავი განაგებდა. ფეოდალის კარზე თავისი ადგილი ეკავათ მთარგმნელებს — აბიზას და განსაკუთრებული მდგომარეობა კი მუსულმანურ სასულიერო წოდების წარმომადგენლებს — მუფტიებს, შეიხებს, ყადიებსა და სხვ.

ფეოდალის ხელისუფლების განმტკიცების საქმეში წამყვანი ადგილი ეკავათ ნუკერებს, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ უმეტესად საპოლიციო ფუნქციებით. ისინი მაგალითად, მონაწილეობას იღებდნენ გადასახადების აკრეფაში, მოჰყავდათ სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილებები, ხელმძღვანელობდნენ ფეოდალთა ციხე-სიმაგრეთა საყარაულოებს, ხოლო საომარი მდგომარეობისას კი ფეოდალთა ლაშქრის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ.

მართალია, დროდადრო დიდი საკითხის გადაწყვეტისას იწვეოდა სახალხო კრებაც, მაგრამ ეს კრებები უკვე XVI — XVII საუკუნეებში ითქმის სამხედრო ხელმძღვანელთა, ბეგებისა, ყადიებისა და მოთემეებს შორის დაწინაურებულთა თავშეყრას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე საერთო-სახალხო კრებას. ადგილებზე ხელისუფლებას ახორციელებდნენ სოფლის მამასახლისები, რომლებიც, როგორც წესი, ირჩეოდნენ სასოფლო კრებაზე — ჯამაათებზე. არცთუ ისე იშვია-

თი იყო შემთხვევები, როდესაც მამასახლისებს უშუალოდ თვით შამხალი, უცმი, მაისუმი ან ხანი ნიშნავდა. მამასახლისები განაგებდნენ ჯამაათების სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრების თითქმის ყველა საქმეს.

დაღესტანში ფეოდალურ გაერთიანებების პარალელურად არსებობდა აგრეთვე ერთ კავშირში გაერთიანებული სასოფლო თემები. ამასთან აღსანიშნავია, რომ ასეთი კავშირები რამდენიმე იყო, მაგალითად, ავარული, დარგუული, ლეზგური და სხვ. ამ კავშირებში გარკვეულმა სოციალურ-ეკონომიურმა განვითარებამ, რასაკვირველია, ადრინდელი სათემო მმართველობის სისტემას დროის შესაბამისად სახე უცვალა და იგი უფრო გაართულა, თუმცა მასში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდა პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილების ელემენტები. ასეთი იყო, მაგალითად, თემის თანამდებობათა არჩევითობა და უბრალო მოთემეების მხრივ მათ მოქმედებაზე კონტროლი. მაგრამ XVII საუკუნისათვის ყველაფერი ეს ფორმალური იყო და ფაქტიურად კი ერთ დროს არჩეულ პირებს თავიანთი თანამდებობები თითქმის მემკვიდრეობითი უფლებებით ჰქონდა მიტაცებული.

XVI—XVII საუკუნეებში დაღესტნური სასოფლო თემების კავშირთა უმაღლეს ორგანოს ისევ ცალკეულ თემთა წარმომადგენლობითი კრება შეადგენდა, რომელიც გარკვეულ დროსა და ადგილს იკრიბებოდა. აღნიშნულ საუკუნეებში ასეთი კრების ძირითად ბირთვს თემთა წარჩინებულები და მუსლიმანური სასულიერო წოდების წარმომადგენლები შეადგენდნენ. კრებებზე იხილებოდა სათემო ცხოვრების როგორც საშინაო, ისე საგარეო საკითხები, ომისა და ზავის საკითხები, იხილავდნენ და ამტკიცებდნენ ახალ ადათ-ჩვეულებებსა და მრავალ სხვას.

დაღესტანში იყო აგრეთვე ე. წ. თავისუფალი თემი-საზოგადოებები, რომლის უმაღლეს ორგანოსაც ამ საზოგადოებაში გაერთიანებულ თავისუფალ თემთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი კრება კი არ შეადგენდა, არამედ აღსაკალების საბჭო ანუ თავისუფალ თემში შემავალ თითოეულ თოხუმის მართველებისაგან შემდგარი საბჭო.

თავისუფალ თემების ძირეული ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული იყო სასოფლო ტერიტორიალური თემი — ჯამაათი, რომელსაც თავისი საკუთარი სამმართველო სისტემა ჰქონდა და რომლის უმაღლეს ორგანოს კი სასოფლო კრება შეადგენდა.

ჯამაათებში სასულიერო საქმეებს სოფლის ყადიები ან ბუდუნები სწყვეტდნენ.

XVI საუკუნის დასაწყისისათვის დაღესტნის სამხრეთით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სეფევიდების ძლიერი სახელმწიფოს, ხოლო

აძავე საუკუნისათვის ყირიმის სახანოს საბოლოოდ ჩამოყალიბებამ და მისი თურქეთის ვასალად გადაქცევამ, დაღესტნის შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი უარყოფითი როლი ითამაშა, რამდენადაც დაღესტანი, თურქეთ-ყირიმხანისა და სეფევიდების ირანის მრავალსაუკუნოვან ბრძოლის ობიექტად გადაიქცა. აღნიშნული ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა XVI ს. მეორე ნახევარში რუსეთის გამოჩენით ჩრდილო კავკასიაში. დაღესტანს თურქეთ-ყირიმხანის, ირანისა და რუსეთის ურთიერთობაში ერთ-ერთი პირველხარისხოვანი როლი მიენიჭა.

ასე, მაგალითად, XVI ს. ოციან წლებში დაღესტნის სამხრეთი რაიონები ხან შაჰ ისმაილის ხელთ იყო, ხან თურქეთის სულთან სელიმ პირველისა; 50-იან წლებიდან კი მათმა თავდასხმებმა დაღესტანსა და აზერბაიჯანში თითქმის განუწყვეტელი ხასიათი მიიღეს და ქვეყნის ნორმალურ სამეურნეო-კულტურული ცხოვრებაც რამდენადმე შეაფერხეს. თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის ბრძოლა 1590 წელს ეროებითი ზავით დამთავრდა, რომლითაც თურქეთმა თითქმის მთელი სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და დაღესტანი ჩაიგდო ხელთ.

დაღესტნის ერთი დიდი გაერთიანების — საშამხლოს აშკარა პროთურქულმა ორიენტაციამ, რომელიც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა ერთი მხრივ ვოლგა-ასტრახანის მაგისტრალს, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის ურთიერთობას ამიერკავკასიასთან, განსაკუთრებით კახეთთან, რუსეთი აიძულა თავის მხრივ გარკვეული ღონისძიებები მიეღო საშამხლოს წინააღმდეგ. 1591, 1593-1594, 1604—1605 წლებში იგი დაღესტანში რამდენიმე ლაშქრობას აწყობს, რომელთა მიზანი შაჰისლის ურთიერთობის გაწყვეტა იყო თურქეთ-ყირიმხანთან და იმავ დროს ამ უკანასკნელისათვის ჩრდილო კავკასიის გზის გადაკეტვა ამიერკავკასიაში შემოსასვლელად. მართალია, რუსეთის დაღესტანში აღნიშნული ლაშქრობები რამდენადმე დამოკიდებული იყო დაღესტან-საქართველოს გამწვავებული ურთიერთობითა და ამ ნიადაგზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობითაც, მაგრამ იგი თავის მხრივ განპირობებული იყო აგრეთვე თურქეთ-ირანის ბრძოლით ამიერკავკასიისათვის და საკუთრივ რუსეთის იმ ინტერესითაც, რომ მას სურდა სამხედრო წარმატებებისა და შემდეგ მოლაპარკების გზით ხელთ ეგდო დერბენტ-ბაქო-შემახა.

რუსეთ-დაღესტნის ურთიერთობა განსაკუთრებით გაინტენსიურდა XVII საუკუნეში. ასე, მაგალითად, მარტო 1614-1642 წლებში მოსკოვში დაღესტნელ მთავართა მიერ 13-ჯერ იქნა გაგზავნილი ელჩები. დაღესტანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით რუსეთი დაღესტნელ ვაჭრებს თითქმის მის ყველა დიდ ქალაქში

უბაკოდ ვაჭრობის ნებასა რთავდა, მიუხედავად იმისა, რომ თვით რუს ვაჭრები დაღესტნელ მთავრებს გარკვეულ ბაჟს უხდიდნენ და ხშირად კი იგივე მთავრები მათ თავს ესხმოდნენ.

დაღესტნელი მთავრების თურქეთ-ყირიმხანის გავლენის ქვეშ მოქცევამ რამდენადმე გაამწვავა XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველო-დაღესტნის შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა. თურქეთ-ყირიმხანის მიერ ტყვე-მონათა შესყიდვის მასშტაბების ზრდამ დაღესტნელ ფეოდალებს რამდენადმე გაუღვიძა ინტერესი მეზობელ მხარეებზე თავდასხმებისა და მოპოვებული ტყვეებით ვაჭრობისა. განსაკუთრებით ხშირი იყო ასეთი თავდასხმები საქართველოზე, რის შედეგადაც ძალზედ ნადგურდებოდა არა მარტო ნათესები, ბაღები და სხვ. არამედ მოსახლეობაც, რადგან მისი ერთი ნაწილი აღნიშნულ ბრძოლებში იღუპებოდა, ხოლო მეორე დიდი ნაწილი კი ტყვეების სახით თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის ბაზრებზე იყიდებოდა. დაღესტნელი ხალხი რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო თავიანთი ფეოდალების ასეთი თავდასხმებისა, მით უფრო რომ უმრავლეს შემთხვევაში ისინი მათ ძალით ერეკებოდნენ საქართველოზე სალაშქროდ. ხალხში შემორჩენილი იყო კიდეც თქმულება, რომ „თავდასხმით მოპოვებული ნადავლი თავდასხმითვე გაქრებაო", ან კიდევ „ვინ იცის საქართველოში საბრალოდ წასული დაბრუნდება კი?!" და სხვ. ქართველი მეფე-მთავრები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი დაღესტნელ მთავრებთან მშვიდობიანი ურთიერთობით, რის გამოც ისინი ხშირად მათთან დინასტიურ დანათესავებაზეც კი მიდიოდნენ. ასე, მაგალითად, ლევან კახთა მეფეს ცოლად ჰყავდა შამხლის ქალიშვილი, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფის შვილ გიორგის კი კრიმ-შამხლის ქალიშვილი.

საგარეო ომებისა და შინაფეოდალურ-შინათემობრივ ბრძოლების პირობებში, რასაკვირველია დაღესტნელი ხალხის კულტურა შედარებით ნელა ვითარდებოდა.

აღნიშნულ საუკუნეებში კულტურის საერთო განვითარებაზე მეტად ცხოველმყოფელი გავლენა იქონია დაღესტნის უფრო ფართო კავშირ-ურთიერთობათა დამყარებამ მეზობელ ქვეყნებთან—რუსეთთან, სომხეთ-აზერბაიჯან-საქართველოსთან, ყაბარდოსთან და სხვ. ვაჭრობის განვითარებამ და დაღესტნის დაახლოვებამ დიდ სავაჭრო გზებთან უპირველესად გამოიწვია მათი საცხოვრებელი ადგილებისა და სახლების ერთგვარი მოდერნიზაცია.

ასე, მაგალითად, ახალი აულ-სოფლები უფრო დაუახლოვა გზებსა და გზა-ჯვარედინებს, ვიდრე ეს ადრეულ საუკუნეებში იყო. ამასთან თუ ადრე თითოეული ოჯახის საცხოვრებელი წარმოადგენდა ერთ-

გვარ ინდივიდუალურ თავდაცვით ნაგებობას, ახლა ასეთად უკვე მთელი სოფელი გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა დაღესტანში კვლავ ჭარბობდა ე. წ. „კლასიკური“ აულები ანუ მთის ფერდობზე მრავალსართულებად განლაგებული სოფლები, სადაც თითოეული ოჯახის სახურავი მეორე ოჯახის ეზოს წარმოადგენდა რთული სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა ჩათვლით. ყველა ასეთი სოფელი უზრუნველყოფილი იყო წყლითა და სინათლით, რამდენადაც დასასახლებლად როგორც წესი მთის „მუდამ მზიანი“ სამხრეთი ფერდი ირჩეოდა. XVI—XVII საუკუნეებში მაღალმთიან რაიონებიდან მოსახლეობის ერთი ნაწილი ნელ-ნელა მთისძირობა და ბარის რაიონებში დაეშვა და ბუნებრივია მათ საცხოვრებელ სახლებმაც სხვა სახე მიიღეს, დაღესტნური სახლი თავისი მინაშენებით რთულ კომპლექსს წარმოადგენდა, ასე მაგალითად, საცხოვრებელი ოთახების გარდა იყო აგრეთვე სასტუმრო, საკუჭნაო, საქონლის სადგომი, საჯინიბო და მრავალი სხვ. ზოგი სახლი თითქმის ექვსი სართულისგან შედგებოდა.

განსაკუთრებით დიდ განვითარებას მიაღწია დაღესტანში ქვაზე, ხეზე და ძვალზე კვეთილმა ხელოვნებამ. ხოლო რაც შეეხება დაღესტნურ სამკაულების, მაგალითად, ბეჭდების, ყელსაბამების, სამაჯურების, საყურეებისა და სხვ. დამუშავების ხელოვნებას. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას რომ იგი მსოფლიო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე მიღწევათაგანია.

იშვიათი ოსტატობითაა აგრეთვე შესრულებულ-გაკეთებული დაღესტნური ლითონის საოჯახო ჭურჭელი, საბრძოლო საჭურველი და სხვა, განსაკუთრებით ყუბაჩური, ხარბუკური და სხვ. რაც შეეხება ლეზგიურ და ტაბასარანულ ნოხებსა და ფარდაგებს, ხოლო ბალხარულ და სულევკენტის კერამიკას — ყველა მათზე მთელ კავკასიაში მეტად დიდი მოთხოვნილება იყო.

დაღესტნის მრავალფეროვანმა ბუნებამ და ხალხმრავლობამ საოცრად მდიდარი და ორიგინალური ფოლკლორი შექმნა, რომელშიც თითქმის ზედმიწევნითი სიზუსტითაა ასახული მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენები, ბრძოლა უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ, ბრძოლა ფეოდალურ ძალმომრეობის წინააღმდეგ და სხვა მრავალი ნახარე მთიელთა მრავალსაუკუნოვან ადათ-ჩვეულებებისა. მაგალითად, სიმღერა ხოჩბარ გიდატლინზე (XVII ს.), რომელშიც გიდატლური საზოგადოების ბრძოლაზეა მოთხრობილი ხუნძახელ ხანების წინააღმდეგ, ერთი ბრწყინვალე ნიმუშთაგანია დაღესტნური ზეპირსიტყვიერებისა, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ლ. ტოლსტოიმ მას აღფრთოვანებით საოცარი უწოდა. მეტად მრავალრიცხოვანი სიმღერები თუ თქმულები აქვთ შემონახული დაღესტნის ხალხს შაჰ-აბასზე.

XVI—XVII საუკუნეებში დაღესტნის კულტურული ცხოვრების შემდგომ განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სამეცნიერო აზროვნების ისეთი ცენტრების ჩამოყალიბებას, როგორიც იყო დერბენტი, კუმუხი, სოგრატლი, უსიშა და მუგი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე წერილობითი ლიტერატურის გაჩენას. ასე, მაგალითად, XVI საუკუნემდე დაღესტანში არაბული დამწერლობისა და ლიტერატურის გავრცელებამ XVI—XVII საუკუნეებში ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში უკვე წამყვანი ადგილი დაიჭირა და ი. კრაჩკოვსკის სიტყვით, დაიწყო ასე ვთქვათ შუასაუკუნოებრივი არაბისტიკის „თავისებური რენესანსი". აქვე აღსანიშნავია, რომ დაღესტნელმა მეცნიერებმა არაბული დამწერლობის თავისებური ფორმა შექმნეს, რომელიც მრავალნოვან დაღესტნელი ხალხებისათვის მეტად ადვილმისაწვდომი და ადვილგასაგები იყო. ამ ასე ვთქვათ დაღესტნურ-არაბულ დამწერლობას დაღესტანში აჯამს უწოდებდნენ, რომლის ნიმუშები, სამწუხაროდ, დღეისათვის თითქმის გამქრალა. ჩვენამდე მხოლოდ ცნობილი დაღესტნელი არაბისტის ტეიგიბის (1663—1668 წწ) მიერ შესრულებულმა კომენტარებმა მოაღწიეს ერთ-ერთ არაბულ ხელნაწერ წიგნზე — „ალ-ვაფი შარხ-აშშაფიეზ".

1639 წ. არაბისტმა შააბანმა, აულ ობოდას მცხოვრების შვილმა, ავარიაში სპეციალური არაბული სკოლა გახსნა. დაღესტნელი მეცნიერები შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურიდან, ისტორიიდან, მათემატიკიდან, მედიცინიდან, ასტრონომიიდან, ლოღიკიდან, და სხვადასხვა ფილოსოფიურ ნაწარმოებებიდან თარგმნიდნენ მთელ რიგ ნიმუშებს და შეძლებისდაგვარადვე ავრცელებდნენ მთელს დაღესტანში.

დაღესტნელი მეცნიერ-არაბისტები ცნობილი იყვნენ არა მარტო კავკასიაში, რამედ თითქმის მთელს მუსლიმანურ აღმოსავლეთში. ასე, მაგალითად, მუჰამედ კუდუტლინელი, დამადან ობოდელი. აბდულ-ბასირი, ომარი, ალი-რიზა, კურბანი, ნაჯმუდინი და სხვ. მრავალი.

თავისებური ადგილი ექირა დაღესტანში მედიცინასაც, განსაკუთრებით ხალხურს. დაღესტნელი ექიმები დიდის წარმატებით იყენებდნენ სხვადასხვა ბალახებს წამლებისათვის, ხოლო ამასთან ერთად ჭრილობებისა და ძვლის მოტეხილობის მკურნალობის საოცარ მეთოდებს ფლობდნენ. ეკლია ჩელები სოფ. ენდერის აღწერისას პირდაპირ წერს, რომ აქ მრავალრიცხოვანი მეცნიერებისა და პოეტების გარდა კიდევ უფრო მრავალრიცხოვნად არიან ექიმები და ქირურგები, რომლებიც საკმაოდ დიდი სახელით სარგებლობენ ხალხშიო.

შუასაუკუნეობრივი დაღესტნის მართლმსაჯულებისა და სამართლის

იშვიათ ძეგლებს წარმოადგენენ XVII ს. ისეთი კრებულები, როგორც იყო მაგალითად, „კაიტაღის უცმის რუსტემ-ხანის დადგენილებები", „ავარელი უმა-ხანის კოდექსი", „გიდატლის თავისუფალ თემთა სასამართლო კრებული" და სხვ. არის აგრეთვე ცნობა, რომ იგივე კაიტაღში XVII საუკუნემდე იყო სხვა უცმიების მიერ შედგენილი მსგავსი კრებულებიც, რომლითაც უცმიები სარგებლობდნენ სხვადასხვა სასამართლოებრივ საქმეების განხილვისას.

ასე რომ, XVI—XVII საუკუნეების დაღესტანში მიუხედავად თურქეთ-ყირიმხანისა და ირანის მოძალებისა, ფეოდალური და თემობრივი შინაარსლობისა ქვეყნის კულტურული მაჯისცემა მაინც თავისი რიტმით განაგრძობდა არსებობას.

თ ა ვ ი V

ჩრდილო-კავკასიის ხალხები XVIII საუკუნეში

§ 1. ადიღეელები XVIII ს.

ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. ადიღეელთა ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები საკმაოდ ხელსაყრელი იყო სამეურნეო ცხოვრების ფართოდ განვითარებისათვის. ბევრი მკვლევარი მიუთითებს ამ ქვეყნის ნიადაგის ნაყოფიერებასა და სარწყავად ვარგისი მდინარეების სიუხვეზე.

ევროპული და რუსული წყაროების გაცნობისას, რაც ადამიანს თვალში ხვდება ისაა, რომ ადიღეელები ამ პერიოდში ძლიერ მცირე რაოდენობით, ან სულ არ თესავდნენ პურეულს. მათ საკმელს ღომეული წარმოადგენდა. ღომს იყენებდნენ თესლბრუნვაში, როგორც ნიადაგის სტრუქტურის აღმდგენელს. არა ნაკლებ გავრცელებული იყო ქერის მოყვანა, რომელიც ძირითადად ცხენების საკვებად იხმარებოდა. მართალია, XVI—XVIII საუკუნეების წყაროებში პურეული კულტურები ადიღეში არ მოიხსენება, მაგრამ რომ პურეულის მოვლა-მოყვანა ადიღეელებმა უძველესი დროიდან იცოდნენ, ეს კარგად ჩანს ადიღეელთა ეთნოგრაფიული ყოფიდან. მაგალითად, ადიღეური თვეების ადგილობრივი სახელწოდებიდან მაისის, სექტემბრის და ოქტომბრის სახელები ხვნა-თესვასა და პურეულის მკა-დაუნჯებასთანაა დაკავშირებული. პურეული კულტურების შეზღუდვა-გაძევებას, ჩვენის აზრით, თავისი მიზეზები ჰქონდა: ადიღეელთა მოსახლეობის ძირითადი მასა XVI—XVIII საუკუნეებში მოსახლეობდა ისეთ ადგილებში. სადაც ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები პურეული კულტურების მოყვანის საშუალებას არ იძლეოდა.

როდესაც ადიღეელთა მიწათმოქმედებაზეა საუბარი. გვერდს ვერ ავუვლით სამიწათმოქმედო იარაღებსაც. რადგანაც სწორედ აქ ჩანს ადიღეელი მეურნის ძირძველი გამოცდილება და სამეურნეო კულტურა. სამწუხაროდ, ისტორიულ წყაროებში ადიღეელი მეურნის მიერ

გუთნის გამოყენების შესახებ, გარდა ი. გიულდენშტედტისა, ცნობა-არავის არ მოეპოვება. ეს საფუძველს აძლევდა ზოგიერთ მკვლევარს ადიღეელთა მიწათმოქმედება ზედმიწევნით პრიმიტიულად ჩაეთვალა. მაგრამ თუ XVI—XVIII საუკუნეების რიგ ავტორთა არაპირდაპირი ცნობებით ვისარგებლებთ ირკვევა, რომ ადიღეში ნიადაგს სახვნელით ამუშავებდნენ. ამ ფაქტზე მიუთითებს ადიღეში გამწევი ძალის — ხარების სიმრავლე, მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ადიღეელთა ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ (1957 წ.) შაფსუღებში აღწერა და შეისწავლა სახვნელის ორი ტიპი, რაც აშკარად მიუთითებს ამ ხალხის საკმაოდ არქაულ სამეურნეო გამოცდილებაზე. სახვნელის პირველი ტიპია ოთხმხრივი სახვნელი, რომელსაც 2—3 უღელი ხარი ამუშავებდა ეს იარაღი მიღებულია კავკასიური სამმხრივი სახვნელის ცალკეული ელემენტების თანდათანობითი განვითარებს შედეგად. მეორე ტიპი ფამფალაკიანი სახვნელია, რომელსაც თითქმის ყველა კავკასიურ ენაზე გუთანი ეწოდება. მეურნისაგან ამგვარი გუთნის გამოყენებაც დიდ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვდა. მიწათმოქმედების ისტორიულად დიდი როლის შესახებ მეტყველებს მათი რელიგიური წარმოდგენები და წესჩვეულებანი. ადიღეელების მთავარი ღვთაება-სოზერეში ითვლებოდა მიწათმოქმედების, ხოლო მეორე არანაკლებ ცნობილი ღვთაება ხაკუსტაში — ხარების მფარველად.

მიწათმოქმედების გვერდით განვითარებული იყო მებაღეობაც. ხალხში გავრცელებული იყო უკეთეს ჯიშთა შერჩევისა და მყნობის პრაქტიკა.

ჩრდილოეთ კავკასიის ბუნებრივი პირობები დიდ შესაძლებლობას იძლეოდნენ მესაქონლეობის განვითარებისათვის. საზამთრო საძოვრები აქ უფრო ვრცელი იყო, ვიდრე საზაფხულო, რაც აუცილებელი პირობაა მესაქონლეობისა და კერძოდ მეცხვარეობის ფართო მასშტაბით განვითარებისათვის.

ისტორიული წყაროების მიხედვით ჩანს, რომ XVI—XVIII საუკუნეების ადიღეელთა ეკონომიკაში მესაქონლეობას წამყვანი ადგილი ეჭირა. ადიღეელებს, ძირითადად, ჰქონდათ სამომთაბარო მესაქონლეობა, რაც კარგად იყო შეხამებული ბაგურ კვებასთან. ისინი ამ მიზნით დიდი რაოდენობით ამზადებდნენ თივას. ადიღეში შემუშავებული იყო მთელი სისტემა საქონლის ჯოგების გამოსაკვებად. როგორც ჩანს, მესაქონლეობის სხვადასხვა დარგებიდან ადიღეელთა ეკონომიკაში შედარებით თვალსაჩინო როლს მეცხვარეობა თამაშობდა. ასევე დიდი ადგილი ეჭირა მესაქონლეობაში მეცხენეობას, რის განვითარებასაც განსაკუთრებით ომიანობის გახშირებამ შეუწყო ხე-

ლი. წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ცხენის ყოლა სოციალური განსხვავების ერთ-ერთ ნიშნადაც კი ქცეულა.

ადიღეს ეკონომიკაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მოშენება.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ადიღეელები სხვადასხვა რაიონებში მისდევდნენ თხების, სახედრების, ჯორების მოშენებას.

მესაქონლეობისადმი დიდი პატივისცემა ასახულია ადიღეელთა რწმენა-წარმოდგენებშიც. მათ ღვთაებათა პანთეონში ცხენებისა და მხედრების ღვთაებას — ზეგუტს — საპატიო ადგილი ეკავა.

ადიღეელთა ეკონომიკაში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მეფუტკრეობა და მეთევზეობა, თუმცა თურქთა ბატონობის წლებში ამ უკანასკნელის წარმოება საგრძნობლად დაეცა.

შ ი ნ ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა დ ა ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა. ადიღეელთა ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შინამრეწველობას და ხელოსნობას.

მართალია, ადიღეელი ტომები განვითარების ერთსა და იმავე დონეზე არ იდგნენ, მაგრამ ძირითადად ამ ქვეყანაში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა, რომელიც უმთავრესად საოჯახო და ნაწილობრივ შეკვეთით ხელოსნობით ხასიათდებოდა. რაც შეეხება საბაზრო ანუ სავაჭრო ხელოსნობას, იგი შედარებით სუსტად იყო განვითარებული, თუმცა საკვლევი პერიოდის ბოლო საუკუნისათვის ისიც აღწევს გარკვეულ წარმატებას.

ხელოსნობა და შინამრეწველობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან. აქ თითქმის არ არსებობდნენ ისეთი ხელოსნები, რომლებიც მხოლოდ ერთი პროფესიით ყოფილიყვნენ დაკავებულნი. მიუხედავად ამისა ისტორიულ წყაროებში ერთხმადაა აღიარებული ადიღეელ ხელოსან-მწარმოებელთა მაღალი კულტურა.

დიდ გამოცდილებას მოითხოვდა საიუველირო საქმე, სადაც ადიღეელ ხელოსანს ჭეშმარიტად დიდი მიღწევები ჰქონდა.

წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხელოსნურ დარგებს შორის ადიღეელებში ყველაზე უფრო დიდ განვითარებას ლითონის დამუშავებამ მიაღწია, მაგრამ იმ დონემდე მაინც ვერ ავიდა, რომ იგი მთლიანად გამოყოფოდა სოფლის მეურნეობას და შეექმნა საბაზრო პროდუქცია. ლითონის წარმოებაში დომინირებდა მამაკაცი. ხელოსნობის დანარჩენი დარგები, რომლებიც, როგორც ორგანიზაციულად, ასევე ტექნიკური აღჭურვილობით უფრო დაბლა იდგნენ (ხეტყლი და მატყლის პროდუქტები, ტყავის დამუშავება, ოქრომკედით ქარგვა, კერვა და სხვ.) ძირითადად ქალის სამოღვაწეო სფეროს შეადგენდა.

ვაჭრობა ადიღეელებში განუვითარებელი იყო. მათი სავაჭრო

ურთიერთობანი ხასიათდებოდა შემდეგი სპეციფიკით: 1. ადიღეელები არ იყენებდნენ ფულს, რაც სავსებით კანონზომიერია ნახევრად პატრიარქალურ-ნატურალური მეურნეობისათვის. ვაჭრობა ძირითადად მზა ნაწარმის გაცვლაში გამოიხატებოდა; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ადიღეელთა საშინაო და საგარეო ეკონომიური ურთიერთობანი გაყინული იყო პირველყოფილ-თემური წყობილების სტადიაზე.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი შრომის განვითარებისა და საქონლის წარმოების ზრდასთან ერთად მზა ნაწარმის მასიდან სტიქიურად გამოიყოფა ცალკეული საგნები, რომლებიც ბაზარზე საყოველთაო ექვივალენტის როლს ასრულებს. ასეთ სტადიაზე ადიღეელები უკვე ასულნი იყვნენ.

საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვან საქონელს წარმოადგენდა ადიღეელი ტყვეები, რომლებსაც უცხოურ ბაზარზე დიდი ფასი ჰქონდათ. ტყვეებით მიღებული შემოსავლის უდიდესი ნაწილი გარედან მოსულ ვაჭართა ხელში გადადიოდა, ხოლო ქვეყანა კარგავდა მოსახლეობის საუკეთესო ნაწილს, რაც გამოუსწორებელ დაღს ასვამდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას.

გარდა ტყვეებისა, საგარეო ბაზარზე გადიოდა: მატყლი, ხამი ქსოვილები, ნაბდები, ტყავეული, თაფლი, ცვილი და სხვ. შემოჰქონდათ: იაფფასიანი ქსოვილები, ძაფი, ყავა, პილპილი, თამბაქო, ფერუმარული, ტყვია, ფოლადი, რკინა, ლურსმანი, დანები, ცელები, საფანტი და სხვ. როგორც წყაროებიდან ირკვევა ადიღეელთა ეკონომიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა ვაჭრობა თურქეთთან და ყირიმის სახანოსთან, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოსათვის დიდად განვითარდა ადიღე-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობანი. რუსეთის საკორდონო ხაზებზე გაჩნდა მუდმივად მომქმედი და ერთდროული ბაზრები, სადაც ადიღეელები თავის საქონელს ეზიდებოდნენ.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა. ადიღეელთა სოციალური მდგომარეობის და საზოგადოებრივი წყობის შესწავლისას კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობა ისტორიულ წყაროთა უკმარისობა, ამიტომაც მკვლევარნი ხშირად იძულებულნი არიან ისარგებლონ XIX საუკუნის ეთნოგრაფიული ჩანაწერებით და ცნობებით, რომლებიც მთის კონსერვატიულობის პირობებში შეიძლება წინა საუკუნეების ვითარების გასარკვევად გამოვიყენოთ.

ქვეყნის ფეოდალიზაციის ერთგვარ დაჩქარებას, ხელი შეუწყო ადიღეს შავისზღვისპირეთში გენუის კოლონიების არსებობამ. იტალიური დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ XV საუკუნისათვის ადიღეში რელიეფურად ჩანს კლასობრივი დაყოფა, ხოლო XVI—XVIII-ს-თვის კი

აშკარად იგრძნობა ქვეყნის ფეოდალიზაციის გაძლიერებული მაჯისცემა.

ადიღეში არსებული სოციალური ჯგუფები იყოფა სამ ძირითად კლასად:

1) გაბატონებული კლასი, სადაც ერთიანდებიან:

ა) თავადები (ფში),

ბ) აზნაურები (ტლიახოტლიაჟი-უორკი),

გ) უმაღლესი სამღვდელოება,

დ) ხანუყოები,

2) თავისუფალ მეთემეთა გარდამავალი კლასი (თლფოკოტლი),

3) ყმა გლეხობა და მონები (ოგები, ფშიტლები, უნაუტები).

თავადი-ფში ითვლებოდა თავისი ხალხის მმართველად და სარდლად. ქვეშევრდომნი ვალდებულნი იყვნენ პატივი ეცათ მისთვის და მორჩილებაში ყოფილიყვნენ. როგორც წარმოშობით კეთილშობილი, თავადი ითვლებოდა გაბატონებული ფენის დანარჩენი ნაწილის მეთაურად. აღსანიშნავია, რომ თავადები ადიღეელთა ყველა ტომს არ ყოლია. სოციალური დიფერენციაცია უფრო სრულად შედარებით დაწინაურებულ ტომებში იგრძნობოდა.

თავადი ფეოდალიზაციის გზაზე დაწინაურებულ ტომებში ითვლებოდა სრულუფლებიან ბატონად. მისი სურვილი კანონი იყო იმ ყმა გლეხობისა და მონებისათვის, რომლებიც მის საკუთრებაში იმყოფებოდნენ. ფშიტლების და უნაუტების სიმრავლე ითვლებოდა თავადის სიძლიერის საზომად. თავადი ყმას ასამართლებდა ერთპიროვნულად, შეეძლო გაეყიდა ოჯახიანად, ამუშავებდა ყოველგვარ სამუშაოზე და სიკვდილით დასჯაც შეეძლო.

აული, სადაც თავადი ცხოვრობდა მთელი თავისი მოსახლეობით და მიწებით, ითვლებოდა მის საკუთრებად, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სახნავ-სათესი მიწები და ტყე ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ შეიძლებოდა პირად მფლობელობაში ჰქონოდა თავადს. აულის მიწების განაწილების საკითხს თავადი უხუცესთა საბჭოს გარეშე ვერ გადასწყვეტდა. მიუხედავად ამისა, გაბატონებული კლასის უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ შეეძლოთ საკუთარ სარგებლობაში აერჩიათ მიწის საუკეთესო ნაკვეთი.

თავადის სასარგებლოდ მოდიოდა გადახდილი ბაჟის ნახევარი და ის ჯარიმები, რომლებსაც წესრიგის დამრღვევთ ახდევინებდნენ.

თავადის გასამართლება არავის არ შეეძლო. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლებოდა თავადის საქმე გაერჩია მხოლოდ თავადთა და წარჩინებულ აზნაურთა წრეს. თავადობა გადაეცემოდა მემკვიდრეობით და ქორწინებისას წოდებრივი პრინციპი მტკიცედ იყო დაცული.

მაგრამ რადგანაც ადიღე იდგა ადრე ფეოდალიზმის გზაზე, თავადთა კლასს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული აბსოლუტური უფლებები. მაგ. ომის წამოწყება, ან დაზავება თავადს სახალხო კრების გარეშე არ შეეძლო. ასევე ხელი არ მიუწვდებოდა მის ქვეშევრდომ აზნაურთა აულებზე.

გაბატონებული კლასის ძლიერ და საკმაოდ მრავალრიცხოვან ფენას წარმოადგენენ აზნაურები — უორკ-ტლიახოტლიაჟები.

აზნაურთა ფენა რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. იმ ტომებში, რომლებსაც თავადები არ ჰყავდათ, დიდებული აზნაურები თითქმის იმავე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც თავადები თავიანთ სამფლობელოებში, მაგრამ იმ ტომებში, რომლებსაც თავადები ჰყავდათ, აზნაურობა შედარებით შეზღუდული იყო. აზნაურთა შორის განსაკუთრებით გამოიყოფოდა დიდ აზნაურთა ჯგუფი — ტლიახოტლიაჟები.

გაბატონებული კლასის შემადგენლობაშივე შედიოდა ახალი სოციალური ფენა ხანუყოებისა, რომლებიც თურქეთის ბატონობის პერიოდში წარმოიშვნენ.

ყირიმის ხანების კეთილგანწყობილების ძიებაში, რაც პოლიტიკური კრიზისებით იყო ნაკარნახევი, თითქმის ყველა ადიღეელმა დიდგვაროვანმა გაიჩინა კარზე ხანის ოჯახის წარმომადგენელი. ასე ჩამოყალიბდა გაბატონებული კლასის ახალი იმპორტული ფენა, რომელიც იმთავითვე ენერგიულად ჩაება ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში.

ადიღეელთა გაბატონებულ ფენებში ისლამის გავრცელების შემდეგ (XVIII საუკუნის II ნახევარი) წარმოიშვა სასულიერო პირთა ახალი ფენა, რომლის უმაღლესი წრეებიც გაბატონებულ კლასთან ერთად წარმოადგენდნენ უზენაეს ხელისუფლებას. უმაღლესი სასულიერო პირები ადიღეში უდიდესი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, უფლება ჰქონდათ ყოლოდათ ყმები და ეძლეოდათ მუდმივი გასამრჯელო.

ადიღეში არსებობდა გარდამავალი კლასი — თლფოკოტლებისა.

თლფოკოტლები, როგორც სოციალური ფენა, ხასიათდებოდა გარდამავალი კლასის ტიპიური ნიშნებით. მათვის პირველ რიგში ნიშანდობლივი იყო სისტემატური დიფერენცირება სოციალურ და ეკონომიურ სფეროში. გაძლიერებულ მეთემეთა მცირე ნაწილი ასერსებდა გზა გაეკაფა უორკების წოდებისაკენ, უმრავლესობა კი ფეოდალიზაციის კანონების გარდუვალობით იდგა იძულებით გაყმევების გზაზე.

XVIII საუკუნის მანძილზე ადიღეელი თავად-აზნაურობა ცდილობდა თლფოკოტლების უფლებების შეზღუდვას და მათში

ახალ-ახალ ვალდებულებათა დაკანონებას. ამიტომაც თლფოკოტლე-ბის თავისუფლება თანდათანობით მოჩვენებითი ხდებოდა.

ადათის მიხედვით თავისუფალი მეთემე უსასყიდლოდ ს ოგებ-ლობდა მიწებითა და ტყით, მაგრამ ეს თავისუფლება საგრძნობლად იყო შეზღუდული იმით რომ თავად-აზნაურობას ეძლეოდათ მიწების საუკეთესო ნაწილის არჩევის საშუალება და უდიდესი ნაწილიც მათი იყო. თავისუფალი მეთემეები ვალდებულნი იყვნენ აქტიური მონა-წილეობა მიეღოთ თავადაზნაურთა მიწების დამუშავებაში და სხვა სამეურნეო სამუშაოებში, რაც, რა თქმა უნდა, არ იყო „ნებაყოფლო-ბითი" აქტი. თავად-აზნაურობა თავისუფალ მეთემეებზე ზემოქმე-დების მოსახდენად ოსტატურად იყენებდნენ სახალხო კრებას, რომელ-საც თემი უსიტყვოდ ემორჩილებოდა, მაგრამ სახალხო კრების სა-თავეში ყოველთვის ექცეოდა გაძლიერებულ და პრივილეგირებულ მეთემეთა ის ნაწილი, რომელსაც ადვილად შეეძლო საერთო ენის გამონახვა გაბატონებულ კლასთან. სწორედ ამ დაწინაურებული თლფოკოტლების საშუალებით აბევევდნენ თემს თავის ნება-სურვილს მმართველი წრეები.

თავისუფალ მეთემეთა კლასი ისტორიული განვითარების კანონე-ბით განწირული იყო და თუ თლფოკოტლები მაინც ახერხებდნენ თავისი კლასობრივი ინტერესების ნაწილობრივ დაცვას, ამის მიზეზი ქვეყნის სუსტი ფეოდალიზაცია იყო.

ყველაზე უფრო დაბეჩავებული და დამონებული კლასი ადიღეე-ლებში იყო მწარმოებელი კლასი ფშიტლების და უნაუტებისა. ამავე კლასში ვათავსებთ ოგების სოციალურ ფენასაც. ისინი იყვნენ თავად-აზნაურების მიერ რაიმე დამსახურებისათვის პრივილეგირებული ფშიტლები. ოგებს ეძლეოდათ ოჯახის და ქონების უფლება. ადათით თავადს მათი გაყიდვა არ შეეძლო, მაგრამ საკმარისი იყო რაიმე დანა-შაული, რომ ოგს დაეკარგა ყოველგვარი პრივილეგიები და ისევ ფშიტლის დონეზე აღმოჩენილიყო.

დამონებული კლასის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ ფშიტ-ლები. ისინი იყვნენ მონობის საზღვარზე მდგომი მშრომელები, რო-მელთა მოვალეობანი გაცილებით მძიმე იყო, ვიდრე ოგებისა, ხოლო უფლებები კი მინიმალური და უმნიშვნელო.

ფშიტლების ანუ ყმა გლეხების ჩამოყალიბების ძირითად წყაროს წარმოადგენდა გაღატაკებული თავისუფალი მეთემეები. ამას გარდა მათი რიგები შეიძლებოდა, თავად-აზნაურობის ნებართვით, მონებ-სა და ტყვეებსაც შეევსოთ.

ფშიტლს, მონისაგან განსხვავებით, უფლება ჰქონდა შეექმნა ოჯახი და შეეძინა ქონება, თუმცა უდიდესი შეზღუდვებით. მონისა-

გან მას ისიც განასხვავებდა, რომ თავადს ადათით არ შეეძლო ფშიტ-ლის მოკვლა ან ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა. მათი მთელი შრომა ეკუთვნოდა ბატონს. ფშიტლს მოსავლის ნახევარი ბატონისათ-ვის უნდა მიეცა, ხოლო მეორე ნახევრის გასხვისება მას მებატონის ნებართვის გარეშე არ შეეძლო. ფშიტლი წარმოადგენდა თავად-აზნა-ურობის ეკონომიური ძლიერების წყაროს და ისინიც უმეტესად სასოფლო-სამეურნეო და საოჯახო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

აღნიშნული კლასის ყველაზე დაბეჩავებულ ნაწილს შეადგენდნენ მონები (უნაუტები). მათ არ შეეძლოთ შეექმნათ ოჯახი. მისი შრომა მთლიანად მებატონეს ეკუთვნოდა. ბატონს შეეძლო მისი გაყიდვა. მოკვლა, გაჩუქება. მონების ხვედრითი წონა მწარმოებელ კლასში შედარებით უმნიშვნელო იყო. ასეთ პირობებში მონებს არ შეეძლოთ ეთამაშათ მნიშვნელოვანი როლი მატერიალური დოვლათის წარმოე-ბაში. ფაქტიურად უნაუტები წარმოადგენდნენ სახლის მონებს, რომლე-ბიც პრიმიტიული მონათმფლობელობის სახით კიდევ შემორჩნენ ადრეული ფეოდალიზაციის სტადიას. ფეოდალიზმის თანდათანობითი განვითარება იწვევდა მონების რიცხვის შემცირებას და მათ ფშიტლე-ბის ფენაში გადასვლას, რაც სამეურნეო თვალსაზრისით უფრო რენ-ტაბელური იყო.

ზემოთ მოყვანილ მსჯელობიდან ჩანს, რომ ადიღეელებში საქმე გვაქვს ადრეული ფეოდალიზაციის სტადიაზე მყოფ საზოგადოებასთან. რომლის წიაღშიც ჯერ კიდევ მკაფიოდ იყო შემორჩენილი პატრიარ-ქალური წყობილების გადმონაშთები. მიუხედავად გაბატონებული კლასის ცდისა დაეჩქარებინათ ქვეყნის ფეოდალიზაცია, ის მაინც ნე-ლი ტემპით ვითარდებოდა, იმ ჩამორჩენილი ეკონომიური ბაზისისა და უაღრესად რთული საგარეო და საშინაო ვითარების გამო, რასაც ადგილი ჰქონდა ადიღეელებში მთელი XVI—XVIII საუკუნეების მან-ძილზე.

ა დ ი ღ ე ე ლ თ ა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ. XVIII საუკუნეში ადიღელ ტომებს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავათ ჩრდ. კავკასიის დასავლეთ სექტორში.

ისტორიული განვითარების პროცესში ადიღეელ ტომებში მი-მდინარეობდა ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესი და XVI—XVIII საუკუნეებისათვის მრავალმა ტომმა დაკარგა თავისი სახე, ან სულ გაქრა, ხოლო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევ-რისათვის არასახარბიელო პოლიტიკურმა მდგომარეობამ ბევრი რამ შეცვალა ადიღეელთა ტომობრივ შემადგენლობასა და გეოგრაფიაში.

ადიღეელებში შედიოდნენ შემდეგი ძირითადი ტომები: შაფსუ-ღები, ნატუხაელები, ბჟედუღები, აბაძეხები, ტემირგოელები, ხეგა-

კები, ხატუკაელები, ჟანეელები, მახოშეველები, ადამიელები, მამხეგოელები და სხვ.

ადიღეელთა პოლიტიკური წყობისათვის დამახასიათებელი იყო ძლიერი დაქუცმაცებულობა. როგორც ჩანს, პოლიტიკური დაქსაქსულობის ერთერთ საფუძველს ტომობრივი დაყოფა წარმოადგენდა. თვითონ ამ ტომში ერთიანი ცენტრალიზებული მმართველობა მეტად იშვიათი იყო. ამ გარემოებას ღრმა ეკონომიური საფუძველი ჰქონდა. ეს იყო ადიღეელთა ეკონომიკის დაბალი დონე. ადიღეელთა შორის არ მოიძებნებოდა ისეთი სოციალური ფენა, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობით. ადიღეელთა დაქუცმაცებულობის და ჩამორჩენილობის გაღრმავება გარე ფაქტორითაც იყო განპირობებული. მისი მეზობლები: თურქეთი და ყირიმის სახანო არ იყვნენ დაინტერესებულნი ადიღეელთა ერთიანობითა და სიძლიერით.

თურქეთისა და ყირიმის სახანოს უარყოფით გავლენას კარგად ამჩნევდნენ ადიღეელი ტომები და ამიტომ უმეტესობა იჩენდა რუსეთისადმი მიდრეკილების ტენდენციას, მაგრამ ყველა ტომი ერთნაირ ინტერესს არ იჩენდა რუსეთის მიმართ.

სამწუხაროდ, XVI საუკუნეში ივანე მრისხანეს მიერ ადიღეელებთან დამყარებულ მჭიდრო ურთიერთობას საფუძველი მოეშალა და მთელი XVII საუკუნის მანძილზე რუსეთს აღარ გადაუდგამს რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ახალი ხანა რუსეთ-ადიღეელთა ურთიერთობაში იწყება XVIII საუკუნიდან. რუსეთი ყოველთვის კარგად იყენებდა კავკასიაში შექმნილ ძალთა თანაფარდობას და მეთოდური ბრძოლებით და შედარებით პროგრესული დიპლომატიური ხერხებით სისტემატურად იმაგრებდა პოზიციებს ამ მხარეში. რუსეთის მიზანი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან დაახლოება და მათი ყაბარდოს მსგავსად შემომტკიცება.

1711 წელს რუსეთი იძულებული შეიქმნა თურქეთისათვის დაებრუნებია აზოვი, ხოლო 1739 წ. ბელგრადის ტრაქტატით უარი ეთქვა შავ და აზოვის ზღვაზე ფლოტის მშენებლობაზე. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ XVIII საუკუნის პირველ მესამედში ყუბანისპირეთი კვლავ თურქეთის მტკიცე მფლობელობაში იმყოფებოდა. ეს არის ჩრდ. კავკასიის სრული ისლამიზიციის ხანა, მაგრამ სულ მალე 1769 წ. რუსების ენერგიული მოქმედების ნაყოფი იყო ის, რომ ბესლენეელებმა. ტემირგოელებმა და ყუბანისიქეთა სხვა ხალხებმა რუსეთის მფლობელობაში შესვლის სურვილი გამოთქვეს. მართალია, ამ ჯერად ეს სურვილი მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი იყო, მაგრამ ფაქტები მაინც იმას მეტყველებენ, რომ რუსეთის იარაღის ძალა თა-

ვისას აკეთებდა, ხოლო ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა (1774 წ. 10 ივლისი) აშკარად დაამტკიცა. რომ ჩრდ. კავკასიასა და ყირიმში აღარ არსებობდა ისეთი ძალა, რომელიც შეაჩერებდა რუსეთის წინსვლას.

1777 წლიდან თურქეთმა და ყირიმმა სამზადისი დაიწყეს ომისათვის; რუსეთმა ამას იმით უპასუხა, რომ სუვოროვი საფუძვლიანად გამაგრდა ყუბანის მარჯვენა ნაპირზე. შეიქმნა გამაგრებულ ციხეთა მთელი სისტემა: ალექსანდროვსკის, მარიისკის, კოპილის, ნოვოტროიცკის და სხვ.

1794 წ. აჯანყდნენ შაფსუღები საკუთარი ფში-ორკების წინააღმდეგ, რომლებმაც დახმარებისათვის რუსებს მიმართეს. ამასთან დაკავშირებით 1796 წელს შეტაკება მოხდა რუსებსა და შაფსუღებს შორის მდ. ბზიუყოსთან, რის გამოც ეს ბრძოლა „ბზიუყოზაუს" სახელითაა ცნობილი. ამ ბრძოლაში რუსების დახმარებით გაიმარჯვეს შაფსუღების ზედა ფენებმა. ამ პერიოდიდან იწყება რუსების აქტიური გამოსვლები ჩრდ. დას. კავკასიის დასაპყრობად.

ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან. ადიღეელებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ მეზობელ კავკასიელ ხალხთან და მათ შორის საქართველოსთანაც. აფხაზეთი თავისი გეოგრაფიული ნდებარეობით საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა იმ ძირითად არტერიას, რომლის საშუალებითაც საქართველო უკავშირდებოდა ადიღეელ ტომებს. საქართველო-დასავლეთ კავკასიის დამაკავშირებელი გზა უხსოვარი დროიდანვე იყო ცნობილი. ეს გზა იწყებოდა აწინდელ ანაპასთან, მიჰყვებოდა მდ. ყუბანს, რომლის სათავიდანაც ქლუხორის გადასასვლელით გადმოდიოდა საქართველოში. ეს გზა შეესაბამება აწინდელ სოხუმის სამხედრო გზას. ყუბანის შენაკად ლაბას მეშვეობით შეიძლებოდა ბზიფის ხეობაში გადმოსვლა. ამათ გარდა იყო მარუხის გადასასვლელიც, რომელიც აფხაზეთიდან გადადიოდა მდ. დიდი ზელენჩუკის ხეობაში და შემდეგ უკავშირდებოდა ყუბანის გზას.

როგორც ცნობილია, შუა ფეოდალურ ხანაში ადიღეელ ტომების გარკვეული ნაწილი უშუალოდ იყო მოქცეული საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში. უფრო მოგვიანებით კი ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქართლ-კახეთის მეფეები დამხმარე ძალას ეძებდნენ ჩრდ. კავკასიის ხალხებში. მაგ. ერეკლე II ქვეყნის თავდაცვის საქმეში ფართოდ იყენებდა ადიღეელებსაც.

იმ ხანგრძლივ და უწყვეტ ურთიერთობათა შედეგად, რაც აფხაზეთს და დას. საქართველოს ჰქონდა ადიღეელ ტომებთან, მათ ბევრი რამ გაუჩნდათ საერთო როგორც მატერიალურ, ისე კულტურულ სფეროშიც. ეთნოგრაფიული მასალების გათვალისწინება საშუალებას

გვაძლევს ვილაპარაკოთ მათ სამეურნეო გამოცდილებათა და ჩვევათა სიახლოვეზეც. ადიღეელთა და ქართველთა საერთო ჩვევები დადასტურებულია ფეიქრობაში, მატყლის, შალის, სელის წარმოების ქართულ და ადიღეურ წესებში და სხვ. ადიღეურ ენაში ქართული წარმოშობის მრავალი სიტყვა შევიდა.

დიდ ინტერესს იწვევს ჩეგემის ხეობაში დაცული ეკლესია, რომელიც დღეს „ბაირამის" სახელწოდებით არის ცნობილი, წინათ კი მას წმ. მარიამის სახელით იცნობდნენ. საინტერესოა, აგრეთვე, მეორე ეკლესიის ნაშთი, რომელსაც ქართული წარწერა აქვს.

აღებული პერიოდისათვის ადიღეში ქალაქური ტიპის დასახლება აღარ არსებობდა, სამაგიეროდ ცნობილი იყო სოფლური დასახლების რამდენიმე ტიპი.

სოფლის ძირითადი ტიპი ისეთივეა, როგორც ეს დასავლეთ საქართველოშია ცნობილი: თითოეული სახლი თავისი კარმიდამოთი დაცილებული იყო ერთი მეორისაგან და სოფელიც დიდ მანძილზე იყო გაჭიმული. XVII—XVIII საუკუნეებში ადიღეში ფართოდ გავრცელდა სახელწოდება ა უ ლ ი. XVIII საუკუნისათვის აული ხშირად ნიშნავდა მთელ სასოფლო თემს, რომელშიც შედიოდნენ ცალკეული დასახლებული „კუოჯები" და „კუტანები".

სოფლის ცენტრს წარმოადგენდა მემამულის კარმიდამო, და თუ სოფელში ასეთი არ იყო, მაშინ — სამჭედლო. სოფლის გარშემო შენდებოდა წყლის წისქვილები, ეწყობოდა კალო, იდგმებოდა თივის ბულულები. სოფლის შორიახლო იყო სასაფლაო და წმინდა ადგილები.

ტიპიური კარმიდამო შესდგებოდა სამი ნაწილისაგან, რომელსაც გარს ერტყა საერთო ღობე. მთავარ ეზოში იდგა საცხოვრებელი სახლი. დაოჯახებული ვაჟიშვილების სახლებიც შენდებოდა მთავარი სახლის გარშემო. მთავარ შენობაშივე იყო სასტუმრო განყოფილება, ხოლო იმავე ეზოში: სამზარეულო, პურის საცხობი, საქათმე, სასიმინდე და სხვ. დანარჩენი ეზოები იყო დამხმარე, სადაც შენდებოდა თავლა და ბოსელი. ცალკე იყო გამოყოფილი საფუტკრე და საბოსტნე ადგილი.

ადიღეელთა მატერიალური კულტურის საგანძურში დიდი ადგილი ეჭირა შრომისა და ბრძოლის იარაღებსაც.

განსაკუთრებული პატივისცემით ეკიდებოდა ადიღეელი საბრძოლო იარაღებს. ადიღეური იარაღი არა მარტო საბრძოლო თვისებებით გამოირჩეოდა, არამედ შესრულების სინატიფით და მხატვრული შემკულობით.

ადიღეელთა მატერიალური კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ოქრომჭედლობის ნიმუშებს.

ადიღეელთა ოქრომჭედლობას უძველესი ტრადიცია ჰქონდა, რასაც აქ აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლებიც მეტყველებენ. ადიღეური ნაწარმი: თასები, ჯამები, თუნგები, ხანჯლის ტარები და სხვა ფართოდ იყო ცნობილი საგარეო ბაზარზე. არანაკლები კვალი დასტოვეს ადიღეელმა ქალებმა მატერიალური კულტურის ისტორიაში. მათ მიერ შესრულებული ოქრომკედი, ხალიჩები და ტანისამოსი გამოირჩეოდა სინატიფითა და მდიდარი ორნამენტით.

ადიღეში ისტორიულად ჩამოყალიბდა მამაკაცისა და ქალის ტანისამოსის კომპლექსები, რომლებიც გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად კარგი სახმარი იყო, მხატვრულადაც დიდი გემოვნებით იყო დამუშავებული.

ადიღეური ენა მიეკუთვნება იბერულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს და აფხაზურთან ერთად შეადგენს ცალკე შტოს. ადიღეურ ენათა ჯგუფს უძველესი დროიდანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველურ ენებთან, კერძოდ სვანურთან, რაც ამ ორივე ენის ლექსიკასა და გრამატიკულ წყობაში კარგად აისახა.

ადიღეური სულიერი კულტურის ხარისხი თავისებურად აისახა მათ რელიგიასა და რწმენა-წარმოდგენებში.

ადიღეელთა რწმენა-წარმოდგენებში XVI—XVIII საუკუნეებისათვის ერთიმეორეში იყო არეული წარმართული და ქრისტიანული რელიგიის ელემენტები.

ქრისტიანული რელიგიის ქადაგება ადიღეში უძველესი დროიდან დაიწყო, მაგრამ ქრისტიანობის ათასწლოვანმა ქადაგებამ მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ადიღეელებმა შეითვისეს რამოდენიმე სარიტუალო წესი და წარმართულ რწმენა-წარმოდგენებთან ერთად ჰქონდათ ხმარებაში.

ისლამმა ადიღეში ფეხი უფრო მჭიდროდ მოიკიდა და იგი ბოლოს ადიღეელთა ძირითად რელიგიად იქცა, მაგრამ ეს იყო ადიღეელთათვის უცხო იდეოლოგია, რომელიც ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით იყო შემოტანილი. ყველაზე უკეთ ადიღეელთა სულიერი სამყარო წარმართულ რელიგიაში აისახა. აქ ჩანს ამ რელიგიის ნაციონალური ხასიათი და ხალხური ფანტაზიისა და რწმენა-წარმოდგენების სიმდიდრე და მრავალფეროვნება.

ადიღეში განსაკუთრებით გავრცელებული იყო ხისა და ტყის კულტი. წმინდა ტყე ხელშეუხებლად ითვლებოდა. ადიღეელებს სწამდათ მაგიური ძალები.

ადიღეელი მოსახლეობის ნიჭი, უნარი, ფანტაზიის უსაზღვრო-

ბა და სინატიფე განსაკუთრებით კარგად აისახა ფოლკორსა და ხალხურ მუსიკაში, რომელშიც მოცემულია ადიღეელთა ისტორიის უმნიშვნელოვანესი მომენტები.

ადათები და სამართალი. ადიღეელებს, ისევე, როგორც სხვა ხალხებს, თავისი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში შეუმუშავდათ წესჩვეულებათა მთელი სისტემა, რომელსაც კავკასიის მთიანეთის მცხოვრებნი ადათს უწოდებენ. კავკასიის მთიანეთის მცხოვრებთათვის ადათს რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა: 1) ადათი, როგორც ხალხურ ჩვეულებათა კომპლექსი, 2) ადათი, როგორც სასამართლო საქმეთა გარჩევის საშუალება და 3) ადათი, როგორც კანონი.

XVIII საუკუნისათვის ადათებმა დიდი ცვლილებები განიცადეს ისლამის გავრცელების შემდეგ. მთიელების ყოფა-ცხოვრებაში შემოდის და ფეხს იკიდებს შარიათი. მართალია ადათი, როგორც ჩვეულებითი სამართალი (გარკვეული პერიოდიდან კი გაბატონებული ფენის ზეპირკანონად გაფორმებული ნება-სურვილი) პრინციპულად არ ეწინააღმდეგება შარიათს, მაგრამ მათ შორის იმთავითვე წარმოებდა ბრძოლა, რაც იმით აიხსნება, რომ შარიათი პრომაჰმადიანური ფენის ბაირაღად იქცა.

ყველაზე გავლენიან ორგანოს ადიღეელთა შორის წარმოადგენდა სახალხო კრება, რომელიც ფაქტიურად როგორც კანონმდებელ. ასევე აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა, სახალხო კრება სწყვეტდა ომისა და ზავის საკითხებს, აგვარებდა ტომთა შორის ურთიერთობებს, კონტროლს უწევდა საშინაო მდგომარეობას, წყვეტდა დავას მონების შესახებ და სხვ., რაც გვარის, თემისა თუ ტომის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული.

კლასობრივ ურთიერთობათა გაღრმავებასთან ერთად სახალხო კრება თავის უფლებებს თანდათანობით კარგავდა, მაგრამ ადათები ბოლოს და ბოლოს უკვალოდ კი არ იკარგებოდა, არამედ ხდებოდა მათი კოდიფიკაცია — დაკანონება, რა თქმა უნდა გაბატონებული კლასისათვის სასარგებლო სახით.

ადიღეელებს არ ჰქონდათ ციხე, არ მისდევდნენ ფიზიკურ დასჯას და არ იცოდნენ თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის უმაღლესი ზომა იყო თემიდან მოკვეთა, რიგით დამნაშავეს კი აჯარიმებდნენ. მძიმე დანაშაულად ითვლებოდა ბატონისადმი მონის მიერ გაწეული წინააღმდეგობა, ქმრის ღალატი, სამშობლოს ღალატი, მამის მოკვლა და სხვ.

გარდა იურიდიული საკითხებისა ადათი შეიცავდა სახალხო წესჩვეულებათა მთელ კომპლექსს, რომელიც წარმოადგენდა ადიღეელ ტომთა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა და ურთიერთობის ნა-

ყოფს. მასში ასახული იყო ეროვნული კულტურის და ეთიკის მრავალი დადებითი თუ უარყოფითი მხარე. ხალხურ წეს-ჩვეულებებში ჩანს ეროვნული, სულიერი სამყარო. მასში ასახულია ადიღეელთა ისტორიის ის ძირითადი მოვლენები, რამაც ამ ხალხის ნაციონალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას გარკვეული დაღი დააჩნია.

ხალხურ წეს-ჩვეულებათა რთულ კომპლექსში შედიოდა: ქორწინების, მემკვიდრეობის უფლების, ათალიკობის, სტუმართმოყვარეობის ურთიერთდახმარების, დაძმობილების, სისხლის აღების, შვილად აყვანის, ყონაღობის, დაკრძალვის წესები და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ადიღეელთა კულტურას აქვს საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები.

§ 2. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხები XVIII ს.

XVIII ს. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე შემდეგი ხალხები ცხოვრობდნენ: ადიღეელები ბესლენელებისა და აგრეთვე ყაბარდოელების ერთი ნაწილის სახით, ყარაჩაელები, აბაზელები და ნოღაელები. ბესლენელები მდ. დიდ და მცირე ლაბაზე ცხოვრობდნენ. მათი რიცხვი XVIII ს. მერყეობდა 10—15 ათას სულს შორის. ყარაჩაელები ყუბანის სათავეში ცხოვრობდნენ იალბუზის მთამდე. დასავლეთით ისინი აბაზელებს, სამხრეთით სვანეთს, ჩრდილოეთით ყაბარდოელებს ესაზღვრებოდნენ. წყაროები XVIII ს. მათ რიცხვს 200-დან 600 ოჯახამდე თვლიდნენ. აბაზელები XVIII ს. ორ ეთნიკურ ჯგუფად იყოფოდნენ — ტაპანტელებად და აშხარელებად. ტაპანტელები, რომლებიც რამდენიმე ჯგუფად — ქვემო, შუა, ზემო აბაზელებად და სხვ. იყოფოდნენ, ცხოვრობდნენ დიდ ყაბარდოში: 1723 წ. ყირიმის ჯარები შეიჭრნენ ყაბარდოში და აბაზელები ყუბანის იქით გადაიყვანეს. 1738 წ. ყაბარდოელებმა ყალმუხებთან ერთად ილაშქრეს ყუბანზე და აბაზელები ყაბარდოში დააბრუნეს. აქ ისინი ცხოვრობდნენ მალკაზე, ბაქსანზე და კუმაზე. 40-იან წლებში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დასახლდა ყუბანის სათავეში მდ. დიდ და პატარა ზელენჩუკზე. ტაპანტელთა რაოდენობას 260—800 ოჯახად ვარაუდობდნენ.

აბაზელთა მეორე ეთნიკური ჯგუფი აშხარელები რამდენიმე ტომისაგან შედგებოდა (მისილბაი-ბაშილბაი, ტამი, ყიზილბეკი, ჩეგრეი და ბარაკაი). XVIII ს. ისინი ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთიან რაიონებში ცხოვრობდნენ და ზოგიერთი წყარო „მთიელ აბაზელებს“ უწოდებდა.

რაც შეეხება ნოღაელებს, XVIII ს. მეორე ნახევარში ისინი მომ-

თაბარეობდნენ ჩრდილო კავკასიის ვაკეზე აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვემდე. მათი ნაწილი — ყუბანისპირეთის ნოღაელები ნაწილობრივ აღწევდნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიამდეც.

ეკონომიკა. მესაქონლეობა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხთა მეურნეობის წამყვანი დარგი იყო. ნოღაელებისათვის იგი მეურნეობის ერთადერთ დარგს წარმოადგენდა. გიულდენშტედტი თვლიდა, რომ ჩერქეზებისთვის მესაქონლეობა, უპირატესად კი მეცხვარეობა წარმოადგენდა მთავარ საქმიანობას. ცხვარი კარგ მატყლს იძლევა. მათი ცხენები ძალიან ლამაზია, მაგრამ მცირე რაოდენობით ჰყავთო. ს. ბრონევსკიც თვლიდა, რომ ჩერქეზული ცხვრის მატყლი კარგი ღირსებისაა. პეისონელის ცნობით, მათ წლიურად 40-დან 50 ათას ცენტნერამდე გასუფთავებული მატყლი გააქვთ ბაზარზე.

ჩერქეზები თავის საქონელს საძოვარზე. საცხოვრებლიდან დიდ მანძილზე მიერეკებოდნენ. ასეთივე ხასიათის მესაქონლეობა იყო აბაზელებშიც. მათ თავადებს, ს. ბრონევსკის ცნობით, პატარა საოჯახო ცხენსაშენები ჰქონდათ. მათგან ყველაზე ცნობილი იყო ტრამოვის ცხენსაშენი. ადრე განთქმული ლოოვების ცხენსაშენი XVIII ს. ბოლოსათვის უკვე დაცემული იყო.

ყარაჩაელთათვის მესაქონლეობა მეურნეობის ძირითადი დარგი იყო. მთის პირობებში ცხოვრება აიძულებდა ზაფხულობით და ზამთრობით საქონელი სათანადო საძოვრებზე გადაერეკათ.

ყარაჩაი- ჩერქეზეთის ტერიტორიაზე მომთაბარე ნოღაელებს დიდი რაოდენობის მსხვილფეხა პირუტყვი და ცხვარი ჰყავდათ. მათაც დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბაზარზე მატყლი.

მიწათმოქმედებაც ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხთა ცხოვრებაში საპატიო როლს ასრულებდა. ს. ბრონევსკი ბესლენელეების შესახებ წერდა, რომ მცირე რაოდენობით თესავდნენ ხორბლეულს: ღომს, სიმინდს. ასლს, ქერს. უფრო ადრე გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ მხოლოდ ღომი მოჰყავდათ.

ჩერქეზები სახვნელად იყენებდნენ დიდ გუთანს, რომელშიც რამდენიმე უღელ ხარს აბამდნენ.

გარკვეული განვითარება მიიღო მებოსტნეობამაც. ჩერქეზები თესავდნენ სტაფილოს, ჭარხალს, კომბოსტოს, ხახვს, გოგრას, საზამთროს, რგავდნენ თამბაქოსაც.

ყარაჩაელთა ეკონომიკაში მიწათმოქმედება უფრო ნაკლებ როლს თამაშობდა. ეს გარემოება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით (მთაგორიანობით) აიხსნებოდა. იქ მიწის უმნიშვნელო ფართობები მუშავდებოდა. მათი მთავარი სამიწათმოქმედო კულტურა იყო ქერი. საკუთარი პურის მოსავალი მხოლოდ 2—3 თვეს ჰყოფნიდათ.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე და საერთოდ ყუბანისპირეთში მომთაბარე ნოღაელების ნაწილი თანდათან გადადიოდა ბინადარ ცხოვრებაზე და იწყებდა მიწის დამუშავებას.

ნადირობა და მეფუტკრეობა ყარაჩაი-ჩერქეზეთის ზოგ რაიონში საკმაოდ იყო გავრცელებული.

შინამრეწველობასა და ხელოსნობას გარკვეული ადგილი ეჭირათ მეურნეობაში. ყველაფერი აუცილებელი ყარაჩაი-ჩერქეზეთში შინამრეწველობის წესით მზადდებოდა. მხოლოდ ზოგიერთი დარგი გამოიყო ხელოსნურ დარგად. ასეთ დარგებს წარმოადგენდნენ მჭედლობა და სარაჯობა — ცხენის აკაზმულობის წარმოება. ს. ბრონევსკის ცნობით, ჩერქეზებს, მჭედლებისა და მეუნაგირეების გარდა, ჰყავთ იარაღის მკეთებლები, ქურჭები, მეთასმეები. იყვნენ თოფის წამლის დამამზადებელი ოსტატებიც.

ასეთივე შინამრეწველობა და ხელოსნობა იყო ყარაჩაელებსა და აბაზელებში. ყარაჩაელები ადნობდნენ რკინას, ასხავდნენ ტყვიებს, ამზადებდნენ შალს, ნაბდებს და სხვ.

ნოღაელებში გავრცელებული იყო ისეთი დარგები, რაც ტყავის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული (უნაგირების, ფეხსაცმლის და სხვ.), აგრეთვე მჭედლობა.

ყარაჩაი-ჩერქეზეთში ნატურალური მეურნეობა ბატონობდა. ამან განაპირობა ის, რომ სავაჭრო ურთიერთობანი უპირატესად ნატურალური გაცვლა-გამოცვლის ხასიათს ატარებდა. არ იყო ფულადი ერთეულიც, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ჰქონდათ რუსული და თურქულ-ყირიმული ფულის ნიშნების გამოყენების შესაძლებლობა.

გარე სამყაროსთან ეკონომიურ ურთიერთობას აპირობებდა ის ფაქტი, რომ ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე გადიოდა ისეთი სავაჭრო გზა, რომელიც აერთებდა შავ ზღვას (ყუბანის შესართავს) კასპიის ზღვასთან (თერგის შესართავთან). ეს გზა ყარაჩაი-ჩერქეზეთს მრავალ ხალხსა და ქვეყანასთან აკავშირებდა. ამიერკავკასიასთან მათ აკავშირებდა ქლუხორისა და მარუხის გადმოსასვლელები.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხები ვაჭრობდნენ ყირიმთან, თურქეთთან, რუსეთთან, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან, უშუალო მეზობლებთან. თურქეთ-ყირიმში მათ დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მატყლი. ექსპორტის საგანი იყო ტყავი, თაფლი, ცვილი და სხვ. შემოჰქონდათ ტილოს, შალისა და ბამბეულის ქსოვილები, საპონი, ფერუმარილი, ტყავეულის ნაწარმი, იარაღი, ტყვია და სხვ.

მაგრამ ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხების, მათ შორის ყარაჩაი-ჩერქეზეთის გაცვლა-გამოცვლაში მთავარ ექვივალენტს ცოცხალი საქონელი—მონები შეადგენდნენ. მთელი ვაჭრობა იქ ნახი-

ჩევანელ. ყიზლიარელ და მოზდოკელ სომეხთა ხელში იყო, რომლებიც დაატარებდნენ მათთვის საჭირო საქონელს, საწვრიმალოს და ცვლიდნენ მას მონებზე, პირუტყვზე და მეურნეობის პროდუქტებზე.

XVIII ს. ბოლოდან რუსულ სამოსახლოებთან ადრე არსებული შემთხვევითი გაცვლა-გამოცვლა უკვე რეგულარულ, მოწესრიგებულ ხასიათს იღებს. ამას ხელი შეუწყო კავკასიის ხაზზე სპეციალური პუნქტების (меновые дворы) და საბაჟოების დაწესებამ.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი. XVIII ს. ყარაჩაი-ჩერქეზეთის სოციალური წყობილება ფეოდალური იყო, პატრიარქალურ-თემურ ურთიერთობების ძლიერი გადმონაშთებით. სოციალური განვითარების დონე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირი იყო. ყველაზე დაწინაურებული ამ მხრივ იყვნენ ბესლენეელები.

მიწა ფეოდალების საკუთრებად ითვლებოდა. მათ ეკუთვნოდათ ყველაზე უკეთესი მიწები, რომლებსაც ამუშავებდნენ მათზე დამოკიდებული გლეხები და მონები. მცირე და უვარგისი მიწის ნაკვეთები ეკუთვნოდათ თემის რიგით წევრებს.

ყარაჩაელებს და აბაზელებს თავისი ჯოგების ძოვება უხდებოდათ საძოვრებზე, რომელნიც ყაბარდოელ და ბესლენეელ ფეოდალებს ეკუთვნოდათ. ამის გამო ისინი განსაზღვრულ გამოსაღებებს უხდიდნენ ამ უკანასკნელთ.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის სოციალურ-პოლიტიკური განვითარება კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. მის შესახებ, სამწუხაროდ წერილობით წყაროებში ცნობები არ შემონახულა.

კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით. ყმაგლეხები და მონები ებრძოდნენ ფეოდალურ ელემენტებსა და თავისუფალ მეთემეთა ზედაფენას ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ მეთემეთა ფართო მასები ებრძოდნენ გაბატონებულ წოდებას, სათემო მიწების მისაკუთრებისა და მათი დაყმევების წინააღმდეგ.

კლასობრივი ბრძოლის ფორმები სხვადასხვა იყო. პასიურ ფორმებს ეკუთვნის უარის თქმა გადასახადების გადახდაზე, ახალ ადგილზე გადასახლებაზე, აგრეთვე სხვა რაიონებში (უპირატესად რუსების მხარეზე) გაქცევა. აქტიური ბრძოლის ფორმები იყო ინდივიდუალური თუ ჯგუფური გამოსვლები (აბრაგობა), აშკარა აჯანყება. ფეოდალები სასტიკად იძიებდნენ ხოლმე შურს ურჩ ყმებზე, ფიზიკურად სპობდნენ ან აჩანაგებდნენ.

რუსეთის ხელისუფლები მთიელთა კლასობრივ ბრძოლისადმი ორმაგ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. ხშირად ისინი ღებულობდნენ გაქცეულ გლეხებს, მიაჩნდათ რა ეს ფეოდალების დასუსტების

და, ამდენად, მორჩილების პირობად, ზოგჯერ კი დახმარებას უწევდნენ ფეოდალებს აჯანყებული გლეხობის დათრგუნვაში.

პოლიტიკური წყობილება. XVIII ს. ყარაჩაი-ჩერქეზეთი პოლიტიკურად უკიდურესად დაქუცმაცებული იყო. არსებითად თითოეული თავადი თუ მსხვილი აზნაური თავის ქვეშევრდომთა მიმართ გამოდიოდა არა მარტო როგორც ფეოდალი, არამედ როგორც პოლიტიკური ხელისუფალიც. ამის გამო თითოეული მსხვილი ფეოდალური სამფლობელო იყო არა მარტო სოციალურ-ეკონომიური, არამედ, პოლიტიკური და სამხედრო ერთეულიც. თავადები და მათზე დამოკიდებული აზნაურები შეადგენდნენ ძირითად შეიარაღებულ ძალას, რომელიც სამფლობელოს შიგნით ახორციელებდა ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს.

თავადებსა და მათ ქვეშევრდომებს შორის რაიმე უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში საქმეს „საშუამავლო სასამართლო" განიხილავდა, რომელიც შედგებოდა სხვა თავადების, უზდენებისა და უხუცესებისაგან. გადამწყვეტ როლს, რა თქმა უნდა, თავადები ასრულებდნენ.

ცალკეული ფეოდალური სამფლობელოები ფორმალურად ერთიანდებოდნენ უფრო მსხვილ ტერიტორიულ-პოლიტიკურ გაერთიანებებში, რომლებიც ემთხვეოდნენ ცალკეულ ტომთა ტერიტორიებს. მაგ., ბესლენეელები შეადგენდნენ ასეთ გაერთიანებას თავად კანოკოვების მეთაურობით. კანოკოვები ითვლებოდნენ მთელი ტომის უმაღლეს მმართველებად და მათ ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ სხვა თავადები.

ნოღაელების ურდო იყოფოდა ტომებად, ტომები კი აულებად. მაგ., ყუბანის ურდო ოთხ აულად იყოფოდა, რომელთა სათავეში მურზები და სულთანები იდგნენ. ამათ ხშირად, პოლიტიკური მოტივებით, უხდებოდათ გაერთიანება, მაგრამ მყარი გაერთიანების შექმნისათვის არ არსებობდა სოციალურ-ეკონომიური ბაზა.

ყარაჩაელი და აბაზელი ფეოდალები თავის სამფლობელოში პოლიტიკურ ხელისუფლებასაც ახორციელებდნენ, მაგრამ ამავე დროს ემორჩილებოდნენ ყაბარდოელ და ბესლენეელ თავადებს. მაგ. ყაბარდოელ თავად მ. ბამატოვს ემორჩილებოდნენ დუდარუკოვები, კლიჩევები, ჯანტემიროვები.

ყარაჩაი-ჩერქეზებს საკმაოდ მაღალი სამხედრო ორგანიზაცია ჰქონდათ. ჩერქეზთა ცხენოსანი ჯარი, რომელმაც იცოდა წესიერი შეტევაც და წესიერი უკანდახევაც, საუკეთესოდ იყო აღიარებული. თავადები მებრძოლთა წინარიგებში იმყოფებოდნენ და ბრძოლაში შეუპოვრობის მაგალითს აძლევდნენ ქვეშევრდომებს.

ურთიერთობა მეზობლებთან. მეზობელ ხალხებთან ყარაჩაი-ჩერქეზები ყველაზე მჭიდროდ ყაბარდოსთან იყვნენ დაკავშირებულნი. ბესლენეელები, რომელთაც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოზიციები ეკავათ, დიდ როლს ასრულებდნენ ყაბარდოს ყირიმთან და ყუბანისგაღმელ ადიღეელებთან ურთიერთობაში. მათ შორის უთანხმოებასაც ხშირად ჰქონია ადგილი აბაზელების ერთ ნაწილზე გავლენისათვის, მაგრამ ძირითადად მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ.

აბაზელები XVIII ს. ყაბარდოელ ფეოდალთა დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ და ყოველთვის ცდილობდნენ თავი დაეღწიათ მათგან. ყაბარდოელები რუსების დახმარებით ცდილობდნენ არამარტო აბაზელი ტომის ტაპანტას შენარჩუნებას მორჩილებაში, არამედ აშხარელების დამორჩილებასაც. რუსები ასეთ დახმარებას უწევდნენ ჩრდილო კავკასიაში თავისი გავლენის გავრცელების მიზნით.

ყაბარდოელ ფეოდალთა პოლიტიკურ დამოკიდებულებაში იყვნენ ყარაჩაელებიც. ისინი ზამთრობით თავის ჯოგებს ყაბარდოს საძოვრებზე აძოვებდნენ და ამის გამო ხარკს უხდიდნენ ფეოდალებს. გიულდენშტედტი წერდა, რომ ყარაჩაელები ყაბარდოშივე იძენდნენ რუსულ მარილს, ბამბეულის და ტილოს ქსოვილებს. მასში ისინი ცვლიდნენ მატყლს, შალს, თექას, ბეწვეულს. ყარაჩაელები ბალყარელებთან ერთად, ს. ბრონევსკის ცნობით, ზიზღით ატარებდნენ ყაბარდოელ ფეოდალთა უღელს, მაგრამ საძოვრების უქონლობის გამო სხვა გზა არა აქვთო.

ყაბარდოელი ფეოდალები ცდილობდნენ ყარაჩაელ და სხვა ადგილობრივ ფეოდალებთან კლასობრივი კავშირი განემტკიცებინათ. ამისათვის იყენებდნენ ქორწინებებს და უნათესავდებოდნენ მათ. ამ გზით ისინი საერთო ენას ნახულობდნენ და იადვილებდნენ ქვეშევრდომთა მორჩილებაში ყოფნას.

[ყარაჩაი-ჩერქეზეთის მცხოვრებთ გარკვეული ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან. XVIII ს. ქართველი ისტორიკოსები გვაძლევენ ცნობებს ქართველთა მიერ ჩრდილო კავკასიის ხალხთა, მათ შორის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობის, სამხედრო დახმარების მიღებაზე საგარეო მტრების წინააღმდეგ. 1754 წ. ხუნძახის ხანის ნურსალ ბეგის წინააღმდეგ თეიმურაზ II და ერეკლე II მოიწვიეს ჩერქეზები, ჯიქები, ყალმუხები, ნოღაელები და სხვ. ესენი თავისი უფროსებით მოვიდნენ. ქართველმა მეფეებმა ისინი დიდად დასაჩუქრებულნი გაისტუმრეს. ასეთი ხასიათის კონტაქტები საქართველოსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხებს შორის იშვიათი არ იყო.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხთა ბრძოლა თურქეთ-ყირიმის აგრესიის წინააღმდეგ. XVIII ს. დამდეგს, ისარგებლეს რა რუსეთის ომით შვეციასთან, ყირიმმა და თურქეთმა გააქტიურეს თავის დაპყრობითი პოლიტიკა ჩრდილო კავკასიაში. ამით უნდოდათ რუსეთის კავკასიაში დამკვიდრებისათვის ხელის შეშლა. რუსეთი მხარს უჭერდა ყაბარდოელ ფეოდალთა იმ ნაწილს, რომელიც ებრძოდა ყირიმის ხანის შემოტევას.

1723 წ. ყირიმის ხანის ჯარებმა ყუბანისგაღმა ძალით გადაასახლეს აბაზელები, რომლებიც ბაქსანზე ცხოვრობდნენ.

რუსეთ-თურქეთს შორის 1739 წელს ბელგრადში დადებული ზავით ყაბარდო ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. ყარაჩაი-ჩერქეზეთის საკითხი ღიად დარჩა. ყირიმის ხანი მას თავის ქვეშევრდომად თვლიდა. მაგრამ ყაბარდოელი ფეოდალები და თვით ადგილობრივი მოსახლეობა ყირიმელთა ამ პრეტენზიას არ სცნობდა. ყირიმის ხანმა 1752 წ. ყარაჩაი-ჩერქეზეთში თავის ვაჟის სელიმ-გირეის მეთაურობით 12 ათასიანი ჯარი გამოგზავნა, რათა ბესლენეელები ყუბანის გაღმა გადაესახლებინა და დაემორჩილებინა.

რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის დროს რუსეთმა თავისი საქმიანობა ჩრდილო დასავლეთ კავკასიაში გააქტიურა. რუსეთმა ყირიმის ხანთან 1772 წ. 1 ნოემბრის ზავით აბაზელები, ყარაჩაელები და ნოღაელები ყაბარდოსთან ერთად თავის ქვეშევრდომობაში მიიღო. თურქეთის მრავალგზისი ცდები მდგომარეობის შეცვლისა მარცხით დამთავრდა.

1787—91 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში თურქეთი დამარცხდა. რუსეთის პოზიციები ყარაჩაი-ჩერქეზეთში კიდევ უფრო განმტკიცდა. ყარაჩაი-ჩარქეზეთის ხალხები რუსეთის დასაყრდენად გადაიქცნენ თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

§ 3. ყაბარდო-ბალყარეთი XVIII საუკუნეში

მეურნეობა და საზოგადოებრივი ურთიერთობა. XVIII ს. ისევე როგორც ადრე, ყაბარდოელთა და ბალყარელთა მეურნეობის დარგი იყო მესაქონლეობა. ზაფხულში პირუტყვი ჰყავდათ მთის საძოვრებზე, ზამთარში კი ველზე გაჰყავდათ. ამასთან, წინანდებურად, ბალყარელთა ძირითადი საქმიანობა მეცხვარეობა იყო, ყაბარდოელთა მესაქონლურ მეურნეობაში კი მეცხენეობაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა.

გერმანელი მეცნიერი რაინექსი, რომელიც კავკასიაში იმყოფებოდა XVIII ს. დამლევს, ყაბარდოელთა შესახებ წერდა: „ჯოგების სიმ-

რავლე და ცხენების დიდი რაოდენობა აიძულებენ მათ ზაფხულობით ყოველდღიურად შეცვალონ ადგილი, რათა მოიპოვონ საკვების ახალი მარაგი. ზამთრის მოახლოებისას ისინი კვლავ უბრუნდებიან თავის სოფლებს, სადაც უკვე მომარაგებული აქვთ თივა, ქერი და ღომი".

მიწათმოქმედება ყაბარდოელებში, ისევე როგორც წინათ, ფართოდ გავრცელებული არ ყოფილა და ექსტენსიურ ხასიათს ატარებდა. მიწათმოქმედებას ეწეოდნენ ძველებური პრიმიტიული იარაღებით, მიწის გაპატიებას არ მიმართავდნენ. თესავდნენ ღომს, რომელიც ძირითადი სამიწათმოქმედო კულტურა იყო, ასლს, ქერს, ბაღჩეული კულტურებიდან — სტაფილოს, ჭარხალს, ხახვს, ნიორს, გოგრას და სხვ.

ზოგიერთ ადგილას XVIII ს. ბოლოდან დაიწყეს თამბაქოს მოშენება.

მეურნეობის დამხმარე დარგებს წარმოადგენდნენ მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და ნადირობა.

მესაქონლეობა, ექსტენსიური მიწათმოქმედება, სისტემატური ფეოდალური ომები და უცხოელთა შემოსევები აიძულებდნენ ყაბარდოელებს მუდმივად ეცვალათ თავისი სამოსახლო ადგილები. ამის შესახებ თ. პალასი (XVIII ს. მეორე ნახევარი) წერდა: „საერთოდ ჩერქეზები, კერძოდ კი ყაბარდოელები, ცხოვრობენ სოფლებში, რომლებსაც სტოვებენ განსაზღვრული ხნის შემდეგ. მაშინ მათ მიაქვთ მშენებლობისათვის გამზადებული ხე-ტყე, საოჯახო ქონება, დანარჩენს კი სწვავენ". ეს გადასახლებანი ხდებოდა ამა თუ იმ ფეოდალის ხელქვეითი ტერიტორიის ფარგლებში.

რაც შეეხება ბალყარლებს, ისინი როგორც წესი, ცხოვრობდნენ ერთსადაიმავე მთის სოფლებში, რომელთა მახლობლადაც ჰქონდათ მათ ტერასული მიწის ნაკვეთები. ამ პატარა მიწის ნაკვეთებს აპატიებდნენ საქონლის ნაკელით.

ყაბარდო-ბალყარეთის სოფლებში მრავლად იყვნენ მჭედლები. იარაღის მკეთებლები, ვერცხლეულის ოსტატები, მეუნაგირეები და სარაჯები, ტყავის ოსტატები, კალატოზები. მაღალ განვითარებას მიაღწია იქ აბჯრების, მუზარადების, ხმალ-ხანჯლებისა და სხვ. იარაღების დამზადებამ. ქალებს შესანიშნავი სახეები გამოჰყავდათ ძეირფას ქსოვილებზე ოქროსა და ვერცხლის ძაფებით. მაგრამ ხელოსნობა ჯერ დამოუკიდებელ დარგად ვერ გამოიყო და მჭიდროდ იყო დაკავშირებული სოფლის მეურნეობასთან.

სასოფლო-სამეურნეო და ხელოსნური პროდუქციის ნამეტი მიდიოდა როგორც საშინაო სავაჭრო ბრუნვაში, ასევე მეზობელ ხალხებთან ვაჭრობაში. მაგრამ ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა

ბატონობა და არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარება შეუძლებელს ხდიდნენ ვაჭრობის ფართოდ განვითარებას. ის ძირითადად ნატურალურ, საქონელგაცვლის ხასიათს ატარებდა. იშვიათ შემთხვევაში იხმარებოდა რუსული, თურქული ან ირანული ფულის ნიშნები.

ყაბარდოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური წყობილების საფუძველს წარმოადგენდა ფეოდალური საკუთრება მიწაზე, რომელიც ვრცელდებოდა როგორც სასაძოვრო, ასევე სახნავ მიწებზე. ფეოდალური საკუთრების ძირითადი ფორმა იყო საერთო-საგვარეულო საკუთრება მიწაზე, პირუტყვზე და ყმებზე. მაგრამ ეს არ გამორიცხავდა ცალკეულ შემთხვევებში მიწის ყიდვა-გაყიდვას.

ფეოდალური ურთიერთობის ბატონობის გვერდით ყაბარდოში კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ პატრიარქალურ-თემური გადმონაშთები როგორც ეკონომიკაში, ასევე ყოფაში. ასე მაგ., შენარჩუნებული იყო სათემო საკუთრება მიწაზე, რომელზეც ფეოდალსა და რიგით მეთემეს ფორმალურად ერთნაირი უფლება ჰქონდათ. მაგრამ დროთა განმავლობაში ფეოდალები სულ უფრო და უფრო ცდილობენ სათემო მიწების განკარგულების უპირატეს უფლებას.

ფეოდალური საკუთრების გარდა არსებობდა წვრილგლეხური საკუთრება მიწასა და პირუტყვზე. წყაროებში პირდაპირაა მითითებული, რომ „ხალხს, ისევე როგორც წარჩინებულს, აქვს მიწა". თემის წევრთა პირადი საკუთრება ფორმალურად ხელშეუხებელი იყო, მაგრამ ფეოდალები ყოველთვის ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ იგი.

ბალყარეთში ფეოდალური საკუთრების ინსტიტუტი ყაბარდოსთან შედარებით უფრო სუსტად იყო განვითარებული, მაგრამ აქაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ფეოდალურ-პატრიარქალურ სასოფლო თემს, რომელიც განაგებდა სათემო საძოვრებსა და ტყის მასივებს, ზოგჯერ კი თავის უფლებას ავრცელებდა ზოგიერთ სახნავ და სათიბ მიწებზეც. აქაც ადგილობრივი ფეოდალები სულ უფრო და უფრო უტევდნენ სათემო სამფლობელოებს და ცდილობდნენ განემტკიცებინათ თავისი უზენაესი უფლება თემის ცალკეულ წევრთა საოჯახო ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზეც. ფეოდალური მიწათმფლობელობა ბალყარეთშიც ძირითადად საერთო-საგვარეულო ხასიათს ატარებდა.

ყაბარდოში იყო ფეოდალურად სუსტად განვითარებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უკიდურესად რთული წოდებრივი იერარქია. მოსახლეობა იყოფოდა თავადებად, სასულიერო წოდებად, აზნაურ-უზდენებად (უორკებად), გლეხებად, მონებად.

დიდი ყაბარდო XVIII ს. მეორე ნახევარში გაყოფილი იყო ხუთ თავადურ საგვარეულოს (ჯამბულატოვები, მისოსტოვები, ატაჟუკინე-

ბი, ბეკმურზინები, კაიტუკინები) შორის. თავადური გვარის თითოეულ წევრს ჰყავდა დამოკიდებული ფეოდალ-უორკები და გლეხები, რომლებიც პატრიარქალურ-გვაროვნული გადმონაშთების არსებობის შედეგად მოცემული გვარის წევრებად ითვლებოდნენ. პალასის ცნობით, ატაეუკინების გვარი 4 ათას ოჯახს ითვლიდა და მთელი ყაბარდოს დაახლოებით მესამედს შეადგენდა.

მცირე ყაბარდოში იყო ორი თავადური გვარი: ტაუსულტანოვები და გელეხსტანოვები (მუდაროვები). გელეხსტანოვის მთავარი სოფელი „ახლოვის კაბაკები" მოზდოკიდან თბილისს მომავალ გზაზე (25 კმ-ზე მოზდოკიდან) 500 ოჯახისაგან შედგებოდა. გლეხები ვალდებული იყვნენ თავისი თავადისათვის კომლზე თითო ცხვარი მიეცათ. თავადები არავის არ ემორჩილებოდნენ და ყველა საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობდნენ წარსულის ადათ-ჩვეულებით. მათი რეალური ხელისუფლება დამოკიდებული იყო ვასალებზე — უორკებზე (უზდენებზე), რომლებიც თავადის პოლიტიკურ და სამხედრო ძალას შეადგენდნენ.

უორკები (უზდენები) სამ ხარისხად იყოფოდნენ. უორკებს, განსაკუთრებით მათ ზედა ფენას ტლიაკოტლიაშებს (ტლაკოტლეშებს) ჰყავდათ პირუტყვის დიდი ჯოგები და დამორჩილებული გლეხები.

გაბატონებულ ექსპლოატატორულ ფეოდალურ კლასს ეკუთვნოდა უმაღლესი მუსლიმანური სამღვდელოება, რომლის პოლიტიკური როლი XVIII ს. მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოლები, რომელთაც ხშირად განათლება თურქეთში ან ყირიმში ჰქონდათ მიღებული, თურქეთ-ყირიმის გავლენის აქტიური გამტარებლები იყვნენ.

ფეოდალურად დამოუკიდებელი კლასი გლეხობისა (ფშიტლები) რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იურიდიულად თავისუფალი მეთემეები (ტლფოკოტლები), დამოკიდებულნი თავადებსა და უზდენებზე. პ. პალასის ცნობით, ისინი წლის მანძილზე „ვალდებულნი იყვნენ 3-3 დღე ემუშავათ თავადის ან წარჩინებული პირისათვის მკასა და შეშის ჭრაში. ამის გარდა მათ უნდა მიეცათ ერთი ურემი ანუ 7 ტომარა ღომი თითოეული ხარისათვის, რომელიც ფეოდალებს ჰყავდათ. თითოეული სასიძო ამ კლასიდან ვალდებულია თავის ბატონს მისცეს 2 ძროხა და 2 ხარი". ტლფოკოტლებს ევალებოდათ სამხედრო სამსახურიც, რამდენადაც, პალასისავე სიტყვებით, „თითოეული ადამიანი, რომელსაც შეუძლია იარაღის ტარება, ვალდებულია ახლდეს თავის თავადს ომის დროს". თავის ყოფაში ტლფოკოტლებმა შეინარჩუნეს პატრიარქალურ-თემური ურთიერთობის მრავალი ელემენტი, კერძოდ მათში მტკიცედ შემოინახა დი-

დი ოჯახი, რომელიც შედგებოდა პირდაპირი ხაზის ნათესაეების რამდენიმე თაობისაგან.

ყმა გლეხების — ჩაგარების ანუ ლოგონაპიტების გამოსაღებები მძიმე იყო. ისინი ამუშავებდნენ ფეოდალის მიწას, იღებდნენ მოსავალს, მწყემსავდნენ ჯოგებს, ამზადებდნენ თივას და შეშას ზამთრისათვის, აშენებდნენ საცხოვრებელს და ა. შ.

ყაბარდოს საზოგადოების ყველაზე დაბალ კატეგორიას შეადგენდნენ მონები—უნაუტები. ისინი ფეოდალის სრულ საკუთრებაში იყვნენ. მონებად იქცეოდნენ სამხედრო ტყვეები და ყმები სხვადასხვა დანაშაულისათვის. მონებს ყველაზე მძიმე სამუშაოებზე იყენებდნენ.

XVIII ს. მეორე ნახევრისა და XIX ს. პირველ ნახევრის ბალყარეთში ცნობილი იყო შემდეგი ფეოდალურ-ტომობრივი სტარშინები (ტაუბიები); ჩერეკელებთან — აბაევები, აიდებულოვები, ჟანხოტოვები, მისაკოვები; ხულამელთა შორის — შაკმანოველები; ბეზენგიელებში — სუნშევები; ჩეგემელებთან — ბალყაროვები, კელემეტოვები, ბიტოვები; ურუსბიელებში — ურუსბიევები. თავისი სოციალური კუთვნილებით. ისინი უთანასწორდებოდნენ ყაბარდოელ ტლიაკოტლიაშებს — პირველი ხარისხის უზდენებს. ზოგ მათგანს ჰყავდა დამოკიდებული წვრილი ფეოდალები, რომელთაც აძლევდნენ ე. წ. „უზდენლიკოის“ (შეესაბამება ყაბარდოულ „უორკ-ტინს“).

გლეხობა ბალყარებშიც რამდენიმე ფენად იყოფოდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო „ყარაკიშების“ კატეგორია. ესენი იყვნენ ფეოდალურად დამოკიდებული, მაგრამ იურიდიულად თავისუფალი გლეხები. ზოგი მათგანი თანდათან მდიდრდებოდა და ექსპლოატატორულ ზედაფენებში გადადიოდა, უმრავლესობა კი ღატაკდებოდა და ფეოდალებისა და ყარაკიშების ზედაფენის უფრო მძიმე დამოკიდებულებაში ვარდებოდა.

შემდეგი კატეგორიაა „ჩაგარები“. ესენი ტიპიური ყმა გლეხებია, შეესაბამება ყაბარდოელ ლოგონაპიტებს. თავის მდგომარეობით მათთან ახლოს იდგნენ ე. წ. „იასაკჩი“-ები, თუმცა ფორმალურად თავისუფლებად ითვლებოდნენ. აქაც, ისევე როგორც ყაბარდოში, სოციალური კიბის ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგნენ მონები — „ქაზაკები“ და „ყარავაშები“.

ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება და განმტკიცება ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას ყაბარდო-ბალყარეთში. ყმა გლეხები და მონები ებრძოდნენ თავის ექსპლოატატორებს. თავისუფალი მეთემეები წინააღმდეგობას უწევდნენ ფეოდალთა ცდებს დაეყმევებინათ ისინი. თანამედროვის ცნობით, გლეხები „გულისწყრომით ატარებდნენ მათზე დადებულ უღელს. თავადებისა და აზნაურებისაგან შეწუხებუ-

ლი ხალხი ხშირად მიმართავს აღშფოთებას". ყაბარდოელი და ბალყარელი გლეხობის კლასობრივი ბრძოლა სხვადასხვა ფორმებში მიმდინარეობდა. ამ ბრძოლის ფორმები იყო პასიური (გამოსაღებებზე უარის თქმა, გაქცევა) და აქტიური (შეიარაღებული გამოსვლა).

გლეხები ჯგუფურად და ცალ-ცალკე გარბოდნენ ერთი ფეოდალისაგან მეორესთან. გარბოდნენ რუსულ ქალაქებსა და სიმაგრეებში: მოზდოკში, გეორგიევსკში, ყიზლარსა და სხვ. სადაც თავის ძველ მფლობელთაგან საბოლოოდ თავის დასაღწევად მართლმადიდებლურ ქრისტიანობას ღებულობდნენ.

1790 წ. ფეოდალთაგან 1000-მდე გლეხის ოჯახი წავიდა. ისინი დასახლდნენ მდ. მალკაზე „კავკასიის ხაზის" გაღმა. რუსეთის ხელისუფლები ორმაგ პოლიტიკას ატარებდნენ გაქცეულ გლეხთა მიმართ: ხან აძლევდნენ თავშესაფარს, ხანაც თავის მფლობელებს უბრუნებდნენ.

ყაბარდოელი ფეოდალები, რომლებიც განუწყვეტლივ ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორც კი საჭირო გახდებოდა გლეხთა წინააღმდეგობის დათრგუნვა, ჩაშინვე ნახულობდნენ საერთო ენას. 1785 წ. აპრილში თავადებმა ურთიერთშორის დადეს შეთანხმება, რომელშიც ნათქვამია: „აქამდე მფლობელებისაგან ყონაღად (სხვა ფეოდალთა მფარველობაში. — ზ. ა.) წასული მკვიდრი და შეძენილი ყმები (ხოლოპები) დაუბრუნდნენ ვისაც ეკუთვნიან". 1786 წ. 12 ნოემბერს თავადებმა თხოვნით მიმართეს რუს გენ. პოტიომკინს აეძულებინა გეორგიევსკისა და პავლოვსკის სიმაგრეებთან და ქ. მოზდოკში დასახლებული გაქცეული გლეხები დაბრუნებოდნენ ყოფილ მფლობელებს.

ფეოდალთა მიერ გლეხობის დასაყმობად მიღებული ღონისძიებები მოწმობენ ფეოდალ-ბატონყმურ ურთიერთობათა განვითარებასა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას.

შორა ნოგმოვი „ადიღე ხალხის ისტორიაში" მოგვითხრობს გლეხი მაშუკოს შესახებ, რომელიც ერთგული „აბრაგების" ჯგუფთან ერთად დიდხანს ებრძოდა ფეოდალებს, ვიდრე ამ უკანასკნელებმა მოახერხეს მისი მოკვლა. იმ მთას, სადაც გლეხთა რაზმის მეთაური აფარებდა თავს, ხალხმა მაშუკო უწოდა.

ხალხურ გადმოცემებში შემორჩა ხსოვნა XVIII ს. გლეხთა დიდი აჯანყების შესახებ. მას დამალეი ხელმძღვანელობდა. ის მოუწოდებდა გლეხებს ფეოდალებთან დაუნდობელი ბრძოლისაკენ თავისუფლების მოსაპოვებლად. ფეოდალებმა და მათმა აგენტებმა შესძლეს აჯანყებულთა გათიშვა და დამალეის მოკვლა. ხალხურ გადმოცემებში დამალეის მოწოდება ხალხისადმი ასეა გადმოცემული: „ან დავიხო-

ცებით, ან თავისუფლებას მოვიპოვებთ!.. მანამ არ გვექნება ჩვენ თავისუფლება, სანამ დედამიწას არ გავწმენდთ ყველა თავადისაგან".

მთელი XVIII ს. მანძილზე ყაბარდოში მძვინვარებდა შინაგანი ბრძოლა ცალკეულ თავადებსა და ფეოდალურ დაჯგუფებებს შორის ეს ბრძოლა წარმოებდა სახნავი მიწებისა და საძოვრებისათვის, ძარცვისათვის, შეიარაღებული ძალებისა და პოლიტიკური წონის გაზრდისათვის.

XVIII ს. დამდეგს ყაბარდოში ჩამოყალიბდა ორი, ერთმანეთისადმი მტრული, ფეოდალური დაჯგუფება, რომელთაც იმდროინდელი რუსული წყაროები „პარტიებს" უწოდებენ. პირველ დაჯგუფებას „ბაქსანის პარტია" ეწოდა, რადგან მასში შემავალი ფეოდალების სამფლობელოები მდ. ბაქსანზე, მალკაზე და ჩეგემზე იყო განლაგებული. მას სათავეში ედგა ისლამ-ბეგი, რომლის შეიარაღებულ ძალასაც შეადგენდა 8 ათასი ცხენოსანი მებრძოლი.

მეორე დაჯგუფების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ მდ. ნალჩიკის, შალუშკის და კაშკატაუს მთის რაიონებში. ამ მთის სახელწოდების მიხედვით დაჯგუფებას „კაშკატაუს პარტია" ეწოდა. მას სათავეში ედგნენ როსლანბეკი და ჯანბულათ კაიტუკინები. ბაქსანელებთან შედარებით კაშკატაუელები სუსტები იყვნენ —2 ათასი ცხენოსანი მებრძოლის გამოყვანა შეეძლოთ.

XVIII ს. პირველ მეოთხედში ბაქსანელებმა ყირიმელ თათრებისა და ადიღეელების დახმარებით დიდი ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგე დაჯგუფებას. კაშკატაუელებმა რუსეთს მიმართეს დახმარებისათვის. პეტრე I ბრძანებით ასტრახანის გუბერნატორმა ვოლინსკიმ მოიწვია ორივე „პარტიის" ხელმძღვანელები, აიძულა შერიგებულიყვნენ და რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ბაქსანელებმა კვლავ დაიწყეს ომი და ყაბარდოდან გააძევეს მტრული დაჯგუფების მთავარი წარმომადგენლები. კაშკატაუელთა წინამძღოლი როსლანბეკ კაიტუკინი ყირიმის ხანის სამხედრო რაზმის დახმარებით დაბრუნდა ყაბარდოში, მაგრამ მალე ისევ გააძევეს.

1732 წ. როსლანბეკმა ყაბარდოში მოიყვანა ყირიმელთა და ყალმუხთა ჯარი, რომელთა დახმარებითაც გაბატონებული მდგომარეობა დაიკავა მთელ ყაბარდოში. 1735-1739 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ კაშკატაუელებმა ყირიმის ხანის ფარული მხარდაჭერით გადაწყვიტეს ბაქსანელთა სრული დამორჩილება. უკანასკნელთა მეთაურმა მაგომედ ატაჟუკინმა რუსეთს 500 კაციანი სამხედრო რაზმი გაგზავნა. როსლანბეკი იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა ყაბარდო.

1747 წელს როსლანბეკის ძმები დაეზავნენ მაგომედ ატაჟუკინს

და ყაბარდოში დაბრუნების ნებართვასთან ერთად მიიღეს მიწა და ყმები ბაქსანზე.

მაგრამ ამით ფეოდალურ დაჯგუფებათა მტრობა არ დამთავრებულა. იგი გრძელდებოდა 1747—1753 წწ. 1760 წელს ბაქსანელები თურქეთის აგენტების დახმარებით კვლავ ცდილობდნენ კაშკატაუელთა განდევნას და მათი მიწებისა და ყმების დასაკუთრებას.

თვით ფეოდალური დაჯგუფებების შიგნითაც მიმდინარეობდა ბრძოლა. 1747 წ. მაგომედ ატაჟუკინმა თავის მოგვარე ყაზი ატაჟუკინს წაართვა მამული და განდევნა. 1786 წელს თავადებმა ატაჟუკინებმა, მისოსტოვებმა. კაიტუკინებმა ჩამოართვეს მამული თაკად ბეკმურზინებს. 1791 წ. ჟამბულატოვები და ატაჟუკინები გამოვიდნენ მისოსტოვების წინააღმდეგ: სტაცებდნენ პირუტყვს, ართმევდნენ ქონებას. ამის შედეგად მისოსტოვები იძულებული გახდნენ მდ. მალკის იქით წასულიყვნენ. განუწყვეტელი ბრძოლა მიმდინარეობდა თავადებსა და უორკებს შორისაც. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს უორკების 1785 წ. 25 მარტის საჩივარი გენ. პ. პოტიომკინისადმი. მასში უორკები წერენ, რომ თავადები უკანონოდ ართმევენ მათ პირუტყვს და ცხენებს, აიძულებენ გადაიხადონ მათი ვალები, ართმევენ ბავშვებს და ა. შ.

შინაფეოდალური ბრძოლის მსვლელობაში ესა თუ ის დაჯგუფება და ცალკეული თავადები მიმართავდნენ დახმარებისათვის ხან რუსეთს, ხანაც თურქეთსა და ყირიმს. ეს უკანასკნელნი ცდილობდნენ ამ ბრძოლის გამოყენებას თავისი ინტერესებისათვის.

ფეოდალური განხეთქილება შლიდა საწარმოო ძალებს, აღატაკებდა ხალხს, ასუსტებდა ყაბარდოს და მას უცხოელ დამპყრობთა იოლ ნადავლად აქცევდა.

რუსეთის პოლიტიკა ყაბარდოში და ბრძოლა თურქეთ-ყირიმის აგრესიის წინააღმდეგ XVIII საუკუნეში.

XVIII ს. დამდეგიდან ჩრდილო კავკასიაში თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსიის გაძლიერებასთან დაკავშირებით ყაბარდოს საკითხმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა. ყაბარდოზე გადიოდა ისეთი გზები, როგორიც იყო დარიალის—ჩრდილო კავკასიის ამიერკავკასიასთან დამაკავშირებელი ძირითადი არტერია და შავიზღვისპრეთის კასპიისპირეთთან დამაკავშირებელი გზები. ამიტომაც ჯერ კიდევ პეტრე I მოითხოვდა მდიელ თავადთაგან რუსეთისადმი ერთგულებას. ამავე დროს ყაბარდოელი ფეოდალები ალიმურზას მეთაურობით აზოვის გუბერნატორს აპრაქსინს სთავაზობდნენ თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო კავშირის დადებას.

თურქეთის მთავრობამ 1707 წ. მოაწყო ყაბარდოზე ყირიმის ხა-

ნის ყაფლან-გირეის ლაშქრობა. მან მოითხოვა დიდი კონტრიბუცია და მძევლები მორჩილების ნიშნად. თავადებმა მოჩვენებითი მორჩილება გამოუცხადეს და 20 დღის ვადა ითხოვეს. მე-19 დღეზე მოულოდნელად დაესხნენ ყირიმელებს და სასტიკად დაამარცხეს.

1711 წ. სულთანმა აჰმედმა მრისხანე წერილი გაუგზავნა ყაბარდოელებს, სადაც მათ მუსლიმანობისადმი ღალატსა და რუსეთთან კავშირში სდებდა ბრალს. იგი მოითხოვდა მათ მორჩილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ამოგჟლეტთო. ამ მუქარამ შედეგი ვერ გამოიღო.

ჩრდილო კავკასიის ვითარების შესასწავლად გამოგზავნილი თავადი ბეკოვიჩ-ჩერკასკი პეტრე I მოახსენებდა, რომ თურქები ცდილობდნენ ყუმიყებისა და ყაბარდოელების დაპყრობას. ის ურჩევდა პეტრე I გამოეგზავნა ჯარი ჩრდილო კავკასიის მიწების ოკუპაციისათვის. შვეციასთან ომის (1700—1721 წწ.) გამო რუსეთს ამ გეგმის განხორციელება არ შეეძლო. ამის მიუხედავად, 1718 წ. ყაბარდოელ თავადებს აღუთქვეს დახმარება თურქეთის და ყირიმის თავდასხმის შემთხვევაში.

1720 წ. ყირიმის ხანმა საადათ-გირეიმ ილაშქრა დიდ ყაბარდოზე, რომელმაც უარი განაცხადა განდგომოდა რუსეთს და თურქეთ-ყირიმის ერთგულებაზე დაეფიცა. მან ააოხრა მრავალი სოფელი და შეეცადა უფროს თავადად ისლამბეკ მისოსტოვი დაემტკიცებინა. ყაბარდოელ ფეოდალთა ნაწილი მაინც არ დაემორჩილა მას და რუსეთს მიმართა დახმარებისათვის. ასტრახანის გუბერნატორი ა. ვოლინსკი პეტრე I დავალებით ჩამოვიდა ყაბარდოში და შეარიგა მტრული „პარტიები". ისლამბეკი დააპატიმრეს და უფროს თავადად რუსეთის მომხრე ასლანბეგი აირჩიეს.

1721 წელს პეტრე I ბრძანებით ყაბარდოს საზღვრის მახლობლად, რუსეთის გავლენის განმტკიცების მიზნით აშენდა სვიატო კრესტის სიმაგრე. მისი გარნიზონი რამდენიმე ასეული კაცისაგან შედგებოდა. 1722 წელს პეტრე I დონის ატამანს უბრძანა დახმარებოდა ყაბარდოელებს ყირიმის ხანის შემოსევის შემთხვევაში.

პეტრე I ლაშქრობისას კასპიისპირეთში 1722-1723 წწ. ყაბარდოელი თავადების დიდი ნაწილი მას უჭერდა მხარს. მის არმიას მდ. სულაკზე თავის რაზმებთან ერთად შეუერთდნენ ელმურზა ბეკოვიჩ-ჩერკასკი (პეტრე I სამსახურში მყოფი ალექსანდრე ბეკოვიჩ-ჩერკასკის ძმა) დიდი ყაბარდოდან და ასლანბეკ კაიტუკინი მცირე ყაბარდოდან.

რუსეთ-თურქეთის 1735-39 წწ. ომში ყაბარდო ბრძოლის ასპარეზად იქცა თურქეთ-ყირიმსა და რუსეთს შორის. ყაბარდოელთა რაზმები მონაწილეობდნენ რუსეთის მხარეზე. რუსეთ-თურქეთის 1739 წ. ზავით, რომელიც ბელგრადში დაიდო, ყაბარდო გამოცხადდა ნეიტრა-

ლურ ქვეყნად. მას რუსეთსა და თურქეთს შორის ბარიერის როლი უნდა შეესრულებინა. ამის მიუხედავად, ორივე მხარე თავის აგენტების მეშვეობით ცდილობდა ყაბარდოელი ფეოდალების მოსყიდვას და თავის მხარეზე გადაბირებას. ყაბარდოს ფეოდალების უმრავლესობა რუსეთის მხარეზე იხრებოდა.

რუსეთის მთავრობა ყაბარდოს ფეოდალურ დაჯგუფებათა შორის შუამავლის როლში გამოდიოდა, ყირიმ-თურქეთისათვის ყაბარდოზე თავდასხმების საფუძველი რომ მოესპო. 1755 წელს რუსეთის აქტიური ჩარევით თავიდან იქნა აცილებული ყირიმის ხანის დიდი ლაშქრობა ყაბარდოზე.

ფეოდალურმა შინაბრძოლამ აიძულა მცირე ყაბარდოს თავადი ყურგოკო კანჩოკინი 1759 წ. ეთხოვა ნებართვა რუსეთისაგან, რათა მისთვის მიეცათ უფლება თავის ქვეშევრდომებით დასახლებულიყო მოზდოკის მახლობლად და ქრისტიანობა მიეღო. აქ თანდათან იზრდებოდა ყაბარდოელთა რიცხვი. რუსეთის ხელისუფლება ხელს უწყობდა მათ გადმოსახლებას, ფულად დახმარებასაც (5-11 მანეთს) აძლევდა.

რუსეთის პოლიტიკის აქტივიზაცია ყაბარდოში იწვევდა ყირიმისა და თურქეთის საწინააღმდეგო მოქმედების გაძლიერებას. მათ ანტირუსულ პროპაგანდას ფართოდ ეხმაურებოდნენ მას შემდეგ, რაც 1763 წ. რუსეთმა მოზდოკის სიმაგრე ჩადგა. ყაბარდოელმა თავადებმა ამაში თავის ბატონობისათვის საფრთხე დაინახეს: იქაური საძოვრებით ვეღარ ისარგებლებდნენ, დამოუკიდებლობა შეეზღუდებოდათ და მათი ყმები განთავისუფლების იმედით იქ დაიწყებდნენ გაქცევას.

ყაბარდოელი თავადების სპეციალურმა დელეგაციამ პეტერბურგში მოითხოვა მოზდოკის სიმაგრის მოთხრა, მაგრამ უარი უთხრეს. უკმაყოფილო ფეოდალებმა 1765 წ. ყიზლარს ალყა შემოარტყეს

რუსეთის მთავრობა იძულებული იყო ზოგ დათმობაზე წასულიყო. 60-იან წლებში ყაბარდოელებს უბაჟოდ ვაჭრობის უფლება მისცეს.

რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომში ყაბარდოელ ფეოდალთა ნაწილი რუსეთის მხარეზე იყო, ნაწილი კი თურქეთ-ყირიმს უჭერდა მხარს. რუსეთის სამხედრო ექსპედიციამ გენ. მედემის მეთაურობით 1769 წ. აიძულა მოწინააღმდეგე ფეოდალები რუსეთის ერთგულებაზე დაეფიცათ.

1774 წ. ყაბარდოში შეიჭრა ყირიმის ხანი დევლეთ-გირეი. რუსთა ჯარმა ყაბარდოელებთან ერთად მდ. გუნდელენზე სასტიკად დაამარცხა იგი. თურქეთ-ყირიმი იძულებული გახდნენ ფორმალურად ეღიარებინათ რუსეთის სახელმწიფოსთან ყაბარდოს შეერთება.

ყაბარდოელი ფეოდალები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ რუ-

სეთის ხელისუფლება მათ ყმებს ოფიციალურად უფლებას აძლევდა, რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასულიყვნენ და მათი მფლობელობისაგან თავი დაეღწიათ. მათ 1778—79 წწ. აქტიური მოქმედება დაიწყეს რუსთა წინააღმდეგ, მოითხოვდნენ პავლოვსკის, მარინსკის და გეორგიევსკის სიმაგრეთა მოთხრას.

1779 წ. ბოლოსათვის გენ. იაკობიმ, დაამარცხა რა ყაბარდოელი ფეოდალების ძირითადი ძალები, მთლიანად დაიკავა დიდი და მცირე ყაბარდო და დააფიცა რუსეთის ერთგულებაზე. რუსეთის წინააღმდეგ გამოსულებს დააკისრეს კონტრიბუცია: 10 ათასი მან. ფულად, 2150 ცხენი, 5 ათასამდე მსხვილფეხა პირუტყვი, 4,5 ათასზე მეტი ცხვარი.

XVIII ს. 80-იან წლებში რუსეთმა დიდ პოლიტიკურ წარმატებებს მიაღწია. რუსეთის მფარველობაში შევიდა ქართლ-კახეთის სამეფო, რუსეთმა შეიერთა ყირიმი და სამხრეთ უკრაინის მიწები, 1785 წ. დაარსდა კავკასიის სამეფისნაცვლო ცენტრით ეკატერინოგრადში. ამან გაამწვავა რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგობანი. თურქეთი ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაეთრია კავკასიის მუსლიმანური მოსახლეობა. ის ფართოდ იყენებდა შეიხ მანსურის ხელმძღვანელობით წარმოებულ ანტირუსულ მოძრაობას, რომელიც 1785 წ. დაიწყო.

შეიხ მანსურის მოძრაობას მიემხრო ყაბარდოელი ფეოდალების ერთი ჯგუფი მცირე ყაბარდოელ თავად დოლის მეთაურობით. ფეოდალთა ნაწილი თავად კასაევებისა და ხამურზინების მეთაურობით პრორუსულ ორიენტაციაზე დარჩა. ნეიტრალიტეტის მომხრენი თავს იყრიდნენ უფროსი თავადის ბამატოვის გარშემო.

შეიხ მანსური ყაბარდოელებს ვერ ენდობოდა. მართლაც, როგორც კი მალკაზე რუსეთის ჯარი გამოჩნდა პ. პოტიომკინის სარდლობით, მრავალი ფეოდალი ჩამოშორდა მანსურის მოძრაობას. ეს უკანასკნელი იძულებული გახდა მიეტოვებინა ყაბარდო. ტატარტუფთან გადამწყვეტი დამარცხების შემდეგ მანსურს ყაბარდოში მომხრენი აღარ აღმოაჩნდა. 1787 წ. ივლისში იგი ყუბანსგაღმა გაიქცა თურქებთან, რომლებიც რუსეთთან ახალი ომისათვის ემზადებოდნენ.

პოტიომკინის 1786 წ. 24 დეკემბრის ბრძანებით უნდა შექმნილიყო 6 ასეულისაგან შემდგარი ჯარი დიდი ყაბარდოდან და 3 ასეული მცირე ყაბარდოდან ჩრდილო კავკასიის დასაცავად. ყუბანისგაღმელი ჩერქეზებისა და თათრების თავდასხმებისაგან. ამ რაზმებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს რუსების ჯარების საბრძოლო ოპერაციებში ჩრდილო კავკასიაში მთელი ომის მანძილზე 1787-92 წწ. თურქეთის აგენტების ცდებს — აემხედრებინათ ყაბარდოელები რუსეთის წინააღმდეგ — წარმატება არ ჰქონია. თურქეთმა, ფარული იმედით, რომ ზო-

გი ყაბარდოელი ფეოდალი მაინც გამოვიდოდა მის მხარეზე. 1790 წ. ბატალ-ფაშას სარდლობით ყაბარდოში გამოგზავნა 30 ათასიანი არმია 30 ზარბაზნით. სექტემბერში, მდ. ტახტამიშთან რუსებმა სასტიკად დაამარცხეს ეს არმია, ბატალ-ფაშა კი ტყვედ ჩაიგდეს.

თურქები და შეიხ-მანსური ყაბარდოში რუსეთის საწინააღმდეგო ქმიანობას განაგრძობდნენ მანამდე, ვიდრე რუსეთის ჯარებმა ანაპა ალეს. შეიხ-მანსური დატყვევებულ იქნა.

ყაბარდოში თავისი ხელისუფლების საბოლოოდ განსამტკიცებლად რუსეთის მთავრობამ 1791 წ. შექმნა „გვაროვნული სასამართლოები" და „გვაროვნული რასპრავები". 1793 წ. მათ ორივე ყაბარდოში დაიწყეს მოქმედება: ერთიცა და მეორეც კლასობრივი ხასიათის დაწესებულებები იყო, რომელთაც ფეოდალებისაგან ირჩევდნენ. ამათ გარდა, მოზდოკში შეიქმნა „ზედა საზღვრო სასამართლო" 6-6 ყაბარდოელი თავადისა და უზდენის და ერი მოზდოკელი მცხოვრების (ქართველი და სომეხი) მონაწილეობით. „ზედა სასაზღვრო სასამართლოს" თავმჯდომარე მოზდოკის სიმაგრის კომენდატი იყო. მასვე ემორჩილებოდნენ გვაროვნული სასამართლოები და „რასპრავები". სისხლის სამართლის საქმეები რუსული კანონების საფუძველზე უნდა გაერჩიათ.

ყაბარდოელებმა მაშინვე დაიწყეს მღელვარება. ამით ისარგებლეს ფეოდალებმა თავის ვიწრო კლასობრივი ინტერესებისათვის.

მოძრაობის ჩასახშობად გაგზავნილ იქნა რუსთა ჯარი. 1795 წ. ყველაზე ოპოზიციურად განწყობილი თავადები იზმაილი და ადილგირეი ატაჟუკინები და ატაჟუკ ხამურზინი კაიტუკინების გვარიდან დააპატიმრეს და ეკატერინოსლავში გადაასახლეს.

მაგრამ არც ამის შემდეგ შეწყვეტილა ყაბარდოელი თავადების ანტირუსული გამოსვლები.

რუსეთის მთავრობა დარწმუნდა ყაბარდოს სამხედრო ზომებით დამორჩილების შეუძლებლობაში და მის მიმართ მოქნილი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაში. 1800 წ. 28 მაისს პავლე I-მა გამოსცა ბრძანება ყაბარდოსა და სხვა ჩრდილო კავკასიელ ხალხთა საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, სანამ ისინი არ დაესხმიან რუსთა საზღვრებს, რადგანაც „მთის ხალხები უფრო ვასალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ვიდრე ქვეშევრდომობაში".

ყ ა ბ ა რ დ ო ე ლ ე ბ ი ს ურ თ ი ერ თ ობ ა კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ხ ვ ა ხ ა ლ ხ ე ბ თ ა ნ XVIII ს. ყაბარდოელები ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ თავის კავკასიელ მეზობლებთან.

ყაბარდოს სამხრეთით, ცენტრალური კავკასიის მთიან ხეობებში

ცხოვრები ოსები ნაწილობრივ ყაბარდოელი თავადების დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. XVIII ს. ეს დამოკიდებულება უფრო განმტკიცდა იმასთან დაკავშირებით, რომ ოსეთიდან მოზდოკსა და ყიზლარში მიმავალი სავაჭრო გზები მცირე ყაბარდოს ტერიტორიაზე გადადიოდა.

ოსი გლეხობა — საკუთარი და ყაბარდოელი ფეოდალების ორმაგი უღლის ქვეშ მყოფი — წინააღმდეგობას უწევდა თავის ექსპლოატატორებს. ოსი ფეოდალები (ალდარები), როგორც ყაბრდოელ-ფეოდალთა ვასალები და თვითაც გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, მონაწილეობდნენ მათ პოლიტიკურ ინტრიგებში, ნათესაურ ურთიერთობას ამყარებდნენ მათთან.

ყაბარდოელ ფეოდალთა ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ აბაზინების ნაწილი, ნაწილობრივ ინგუშები, ბალყარები და ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი სხვა ხალხები. ყაბარდოელ და ჩრდილო დაღესტნელ ფეოდალთა ურთიერთობა ჩვეულებრივ მტრული იყო, რადგან ისინი ჩრდილო კავკასიაში პოლიტიკურ მეტოქეებს წარმოადგენდნენ. რუსეთის მთავრობა ყოველთვის იყენებდა ამ მომენტს. მაგრამ XVIII ს. მეორე ნახევარში ყაბარდოსა და დაღესტანს შორის ურთიერთობა საერთოდ ეკონომიური ინტერესების საფუძველზე ერთგვარად გაუმჯობესდა. ყიზლარისა და ჩრდილო კავკასიის სხვა რუსულ ქალაქებში ისინი ურთიერთშორის ვაჭრობდნენ. ბევრი დაღესტნელი ხელოსანი სახლდებოდა ყაბარდოელთა აულებში.

ყაბარდოელებს ყველაზე მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსთან ჰქონდათ. უკანასკნელის პოლიტიკური მესვეურები ყოველთვის დაინტერესებულნი იყვნენ ყაბარდოსთან მეგობრული ურთიერთობით. ეს გასაგებიცაა. საქართველოსათვის საჭირო იყო რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიური კავშირის განმტკიცება, რუსეთიდან საქართველოში მომავალი ძირითადი გზა კი მცირე ყაბარდოს ტერიტორიაზე გადიოდა.

საქართველოს მმართველი წრეები ყაბარდოსთან ურთიერთობის განსამტკიცებლად მიმართავდნენ დინასტიურ ქორწინებებსაც. ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703—1724) დაქორწინდა ყაბარდოელ თავადის ასულზე, რომელსაც საქართველოში რუსუდანი ეწოდა.

დიდად აფასებდნენ რა ყაბარდოელთა საბრძოლო თვისებებს, ქართველი მეფეები ხშირად იწვევდნენ მათ ცხენოსან რაზმებს თავის სამსახურში. 1752 წელს მეფე თეიმურაზ II მოწვევით საქართველოში ჩამოვიდა 500 კაციანი რაზმი დიდი ყაბარდოდან თავად ყურგოკოს მეთაურობით და 1500 კაციანი რაზმი მცირე ყაბარდოდან ყაზისა და

კონჩოკოს მეთაურობით. ამ რაზმების დახმარებით ერეკლე II საქართველოში შემოჭრილი ირანელი დამპყრობლები სასტიკად დაამარცხა.

1778 წ. ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე ცდილობდა საქართველოში გადმოესახლებინა ყაბარდოელთა ნაწილი, რომელთა დასახლებასაც ის ეარაუდობდა იმერეთისა და თურქეთის სამფლობელოთა საზღვარზე. ასეთ ცდას ის შემდეგაც მიმართავდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლები ხელს უშლიდნენ ყაბარდოელთა საქართველოში გადასახლებას.

საქართველოსა და ყაბარდოს შორის ეკონომიური კავშირიც არსებობდა. ქართველები მაღალ შეფასებას აძლევდნენ ყაბარდოულ ცხენებს. ყაბარდოში ცხენების დიდი რაოდენობით შესყიდვას მოწმობს ის ფაქტი, რომ დუშეთში, რომელიც წარმოადგენდა დიდი მნიშვნელობის პუნქტს საქართველოდან ჩრდილო კავკასიაში მიმავალ გზაზე, ყაბარდოულ ცხენებზე სპეციალურ ბაჟს ახდევინებდნენ. მოზდოკსა და ყიზლარში ვაჭრობა-ხელოსნობას ეწეოდა არაერთი ქართველი და სომეხი, რომლებთანაც ყაბარდოელებს მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ.

XVIII ს. დამლევს და XIX ს. დამდეგს ყაბარდოს ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი კავკასიის ხალხებსა და რუსეთთან განმტკიცდა და გაფართოვდა. რუსეთ-თურქეთის 1787—1791 წწ. ომისა და ამიერკავკასიაზე აღა მაჰმადხანის (1795 წ) შემოსევის შემდეგ კავკასიის ხალხთა ლტოლვა რუსეთისაკენ უფრო გაძლიერდა.

§ 4. ~~ჩრდილო~~-ოსეთი XVIII ს.

ჩრდილო ოსეთი XVIII საუკუნეში მოიცავდა ცენტრალური ჩრდილო კავკასიის ოთხ ხეობას — თაგაურს, ქურთათს, ალაგირსა და დიგორს. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების შესაფერისი იყო მისი მეურნეობაც.

მ ე უ რ ნ ე ო ბ ა. XVIII ს. პირველი ნახევრის ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგნაირად გვიხასიათებს თავის თანამედროვე ოსეთის სამეურნეო ვითარებას: „ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი, ვინათგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თვნიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრიისა, სიციის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათვის. გარნა ამასაც ვერ სთესავენ მრავლად უმიწობისა და კლდოვახების გამო. გარნა რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკუეთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა მოყმდებიან (დაიმშევიან. — გ. თ.) ძლიერად. კვალად არარაი მოვალს და არა უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი და ხილნი".

როგორც ამ აღწერიდან ვხედავთ, ოსთა მიწათმოქმედების ბაზა

ვიწრო იყო მთაგორიანობისა და კლიმატური პირობების არახელსაყრელობის გამო.

თვით სახნავ-სათესად ვარგისი მიწების დამუშავებაც დიდ შრომას მოითხოვდა. ისინი უპირატესად შეფენილი იყო მთების ციცაბო კალთებზე და ქვა-ღორღისაგან სისტემატურად გაწმენდას საჭიროებდა. ხშირი ზვავები და ნიაღვრები რეცხავდა ნიადაგს და საჭირო ხდებოდა მისი აღდგენა, გაპატივება, მორწყვა. პრიმიტიული სამიწათმოქმედო ტექნიკის პირობებში (კავი თოხი და სხვ). ეს მძიმე და უაღრესად შრომატევადი საქმე იყო.

1755 წ. თაგაურელი ფეოდალები იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულს წერდნენ უმიწობის გამო მთებში თავის ცხოვრების მძიმე პირობებზე და ველზე გადასახლების ნებართვას სთხოვდნენ. ასეთი ნებართვა მათ უფრო მოგვიანებით მიიღეს.

ჩრდილო ოსეთის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მესაქონლეობასაც. ვახუშტის აღწერით: „პირუტყვნი არიან ცხოვარნი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, არამედ ფრიად გემოიანნი სხვა ადგილებთაგან უმეტეს და ვინათგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთვს ვერ ინახავენ ცხოვართა თვინიერ კ (20), მ (40)და რ (100) კიდე. აგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი (10), კ (20) და მ (40) და უფროსი არღარა“.

მესაქონლეობის მცირე მასშტაბი სათიბ-საძოვართა სიმცირითაა ახსნილი.

მონადირეობა XVIII ს. რჩებოდა მეურნეობის ერთ-ერთ დამხმარე დარგად, რასაც განაპირობებდა მდიდარი ფაუნა. ჩრდილო ოსეთში გავრცელებული იყო ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი, კურდღელი და სხვ.

ოსებს კარგად სცოდნიათ ხელოსნობის რიგი დარგები. ვახუშტი წერდა, რომ „უწყიან ხელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისი, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა ჰუშაკობა, სახლთ შენება... გამოიღებენ მიწიდან ბრპენსა (ტყვია. — გ. თ.) გვარჯილასა, გოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმიდა—და კეღილნი“.

ოსი მჭედლები ამზადებდნენ რკინის სახნისებს, თოხებს, ნამგლებს, ცულებს და სხვა სამეურნეო ინვენტარს, საბრძოლო იარაღს და სხვ. ხის დამუშავება მაღალ დონეზე მდგარა, ჯამ-ჭურჭელი და სხვა საგნები უპირატესად ხისგან მზადდებოდა. ამზადებდნენ უნაგირებს, ცხენის აკაზმულობას და სხვ.

ხელოსნობის აღნიშნული დარგები საოჯახო ხასიათს ატარებდნენ. ისინი მიწათმოქმედებისაგან ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოყოფილი

და ნატურალური მეურნეობის ფარგლებს ვერ გასცდნენ იმის მიუხედავად, რომ წარმოების ნაწილი გაცვლის ობიექტად იქცეოდა.

ოსეთის მეურნეობის მოკლე დახასიათებიდანაც კი ნათელია, რომ ოსები გაცვლა-გამოცვლის გარეშე ვერ იარსებებდნენ. მათ არც მარცვლეული ჰყოფნიდათ და ბევრი სხვა აუცილებელი საგნებიც მეზობლებისაგან უნდა შეეძინათ.

საშინაო გაცვლა-გამოცვლის შესახებ მოკლე ცნობას გვაწვდის ვახუშტი: „არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრის წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა აწ(ით". მაგრამ ასეთი ნატურალური ხასიათის შინაგანი გაცვლა-გამოცვლა ქვეყნის სამეურნეო პირობების თითქმის ერთგვაროვნობის გამო ფართო ხასიათის ვერ იქნებოდა.

შედარებით განვითარებული იყო საგარეო ვაჭრობა. იგი წარმოებდა მეზობელ ხალხებთან — ყაბარდოელებთან, ქართველებთან რუსებთან. უკანასკნელებმა კავკასიის ხაზზე თავის სიმაგრეები მთიელებთან გაცვლა-გამოცვლის პუნქტებად აქციეს.

ვახუშტი ხაზს უსვამს ეკონომიურ ფაქტორს, როგორც ოსთა მეზობელ ხალხებზე (ქართლზე, იმერეთზე, ყაბარდოზე) დამოკიდებულების განმსაზღვრელს, როცა აღნიშნავს, რომ „ამისთვისცა მორჩილებენ თვის თვისთა მხარეთა და კვალად უმეტესად საზრდელთათვისცა".

ოსები ქართლში, იმერეთში, ყაბარდოში, რუსებისაგან ყიზლარსა და მოზდოკში იძენდნენ მარცვლეულს, მარილს, თევზს, სხვადასხვა სახის ქსოვილებს, რკინის ნაწარმს და სხვ. გიულდენშტედტის ცნობით (XVIII ს. 70-იანი წლები), ჩრდილო ოსები ონისა და ხონის იარმარკების ხშირი სტუმრები ყოფილან, სადაც თავის პროდუქციას — შალს, შალის ჩოხებს, ნაბდებს და სხვ. ჰყიდდნენ ან ცვლიდნენ მათთვის საჭირო საქონელზე.

ქართველი პოლიტიკური მესვეურები კარგად გრძნობდნენ ჩრდილო-ოსების ეკონომიურ დაინტერესებას საქართველოსთან ურთიერთობით და მათ აქ სავაჭრო მიზნით თავისუფალი მიმოსვლის ნებართვას აძლევდნენ. ასეთ ნებართვებს ხშირად მთელი ხეობები (მაგ. ლაგაურლები, ზარამაგელები), ან ცალკეული პიროვნებები ღებულობდნენ.

არის ცნობები, რომ ვახტანგ VI და ერეკლე I ცდილობდნენ ალაგირის ხეობაში არსებული ვერცხლისა და ტყვიის საბადოებით ესარგებლათ. ოსებთან თანამშრომლობის გზით ისინი ერთხანს ღებულობდნენ მადანს ნახევრად დამუშავებული სახით. მაგრამ ეს მხოლოდ ცდა იყო, რომელმაც პოლიტიკური ვითარების არახელსაყრელობის გამო ვერ გაშალა ფრთები

საქართველოში ჩრდილო ოსები ადრიდანვე უბაჟო ვაჭრობის უფლებით სარგებლობდნენ. ეს მათთვის უაღრესად დიდი შეღავათი იყო.

საქართველოში ოსთა ვაჭრობის და აქედან საქონლის მიღების საქმეში გარკვეულ როლს ასრულებდნენ ჯამაგირები, რომელთაც ქართველი მეფეები უნიშნავდნენ ჩრდილო ოსეთის წარმომადგენლებს გაწეული სამსახურის სანაცვლოდ. ასეთი ჯამაგირების ანგარიშში, საბუთების მინაწერების თანახმად, უპირატესად ფარჩეულს იღებდნენ.

ოსთა ვაჭრობა საქართველოსთან, ყაბარდოსთან და რუსებთან ნატურალური მეურნეობის ფარგლებში თავსდება. ეს იყო მთის ეკონომიკის ბარის ეკონომიკასთან ურთიერთობა, რომლის მასშტაბი და ინტენსივობა კონკრეტული ისტორიული პირობებით იყო განსაზღვრული.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. ოსური საზოგადოების სოციალური განვითარება XVIII ს-ში ფეოდალურ ხასიათს ატარებდა. საზოგადოება იყოფოდა გაბატონებულ და დამოკიდებულ კლასებად.

ფეოდალური კლასი ოსეთის სხვადასხვა ხეობაში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი. საერთოდ კი „ალდარების" სახელწოდებას ატარებდა. ეს ძველი სოციალური ტერმინია. ამავე სახელწოდებით იცნობდნენ ოსები ქართველ და ყაბარდოელ თავადებს.

ვახუშტი მათ შესახებ აღნიშნავდა, რომ „უწყიან გვარნი, და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი.

ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გვარად: სიდამონად, ჭახილიძედ, თაგაურად, ქურთაულად, ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხვათა ზედა".

ოსეთის გაბატონებული კლასის წარმომადგენლებია 1748—52 წწ. პეტერბურგში ოსთა პირველი ელჩობის მონაწილენი: ზურაბ ელიხანოვი, ელისე ლუკას ძე ხეთაგოვი და პატერმირზა ქურთათელი. ამათგან პირველს, ოსეთის კომისიის მასალების მიხედვით, 3 ათასი, მეორეს 2 ათასი, მესამეს 1500 ყმა ჰყავდა. ზურაბი ვახტანგ VI კარზე დაწინაურებული პირი ყოფილა, მისი ხაზინადარი გამხდარა და რუსეთშიც გაჰყოლია. რუსეთიდან იგი სამშობლოში დაბრუნდა. იგი ოსთა შორის დიდი გავლენით სარგებლობდა.

XVIII ს. ქართულ საბუთებში არაერთხელ იხსენიებიან ოსი აზნაურები ნარიდან, თაგაურიდან. კონსტანტინე მეფე ანუ მაჰმად ფაშა (1722—33) წყალობის წიგნს აძლევს ნარელ აზნაურს ყიდახან ხეთაგურს. ვახტანგ ბატონიშვილი 1776 წ. თაგაურელ ქუნდუხიშვილს აზნაურის პატივით იხსენიებს. „აზნაურებისა" და „თავადების" მთელ

ჯგუფს ასახელებს ალექსანდრე ბაქარის ძე 1780 წელს. იგი მათ ჯამაგირებს უნიშნავს, რათა დახმარება აღმოუჩინონ ქართლის ტახტისათვის ბრძოლაში.

ოსეთის სოციალურ ზედაფენებს რუსული ოფიციალური დოკუმენტები სტარშინებს უწოდებდნენ. ოსებთან ურთიერთობას ისინი ამ სტარშინების მეშვეობით ახორციელებდნენ.

ოსეთის სხვადასხვა ხეობაში სოციალური განვითარების დონე ერთნაირი არ იყო. ამის მიზეზი ოსეთის ცალკეული ნაწილების სამეურნეო-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა დონე იყო.

ოსეთის ფეოდალური წრეები მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ყაბარდოელ ფეოდალებთან, მათში ხედავდნენ დასაყრდენს ლავის კლასობრივი ბატონობის დასაცავად და განსამტკიცებლად. ქართულ ფეოდალურ წრეებთან ურთიერთობაც მათ კლასობრივ პოზიციებს ამტკიცებდა.

როგორი იყო დამორჩილებული კლასის სოციალური სურათი? დიგორიაში დამოკიდებული კლასი ანუ ე. წ. „შავი ხალხი" იყვნენ ადამიხატები, კუმაიაგები და ქოსაგები.

ადამიხატები — დამოკიდებული კლასის ძირითადი ნაწილი მემკვიდრეობით ამა თუ იმ ფეოდალური გვარის ხელისუფლების ქვეშ იყოფებოდნენ. ეს მდგომარეობა არ იცვლებოდა მაშინაც, თუ ასეთი პირი სხვა აულში გადავიდოდა.

ფეოდალს ხელი მიუწვდებოდა მის ქონებაზე. უმემკვიდროდ გარდაცვლილი ადამიხატის უძრავ-მოძრავი ქონება ბატონის ხელში გადადიოდა, ცოლი კი მის მოსამსახურედ იქცეოდა. თუ ადამიხატი დიგორიიდან წავიდოდა, მისი მიწის ნაკვეთიც მებატონის ხელში გადადიოდა. მიწის გაყიდვისას იგი ჯერ ბატონისათვის უნდა შეეთავაზებინა. ბატონს შეეძლო ადამიხატის დაუკითხავად ესარგებლა მისი ცხენით, ხარით და სხვ.

ადამიხატებს თავისი ბატონისათვის განსაზღვრული გამოსაღებები უნდა ეხადათ. ქალის გათხოვებისას — ხარი, გასამყრელო — ხარი, მებატონის ოჯახში ქორწინების ან ქელეხის დროს — ცხვარი. ამ ვალდებულებებს, ჩვეულების მიხედვით, „საჩუქარს" უწოდებდნენ. მთაში სამიწო გამოსაღებები არ არსებობდა, რადგან ადამიხატები თავის მიწის მესაკუთრეებად ითვლებოდნენ. ველზე პირადი გამოსაღებების გარდა სამიწო გამოსაღებებსაც ახდევინებდნენ, რადგან ველის მიწების მესაკუთრეებად ფეოდალები ითვლებოდნენ. ველზე განსახლება XVIII ს. დამლევს იწყება და XIX ს. პირველ ნახევარში გრძელდება.

დამოკიდებული კლასის შემდეგი საფეხური დიგორიაში იყვნენ

კუმაიაგები. ოსეთის ფეოდალურ წრეებს შეეძლოთ კანონიერი ცოლის გარდა ჰყოლოდათ მხევლები, ე. წ. ნომილუსები სოციალურად უფრო დაბალი წრის ქალებიდან. მათ ურვათის გადახდის გზით იძენდნენ. ასეთი მხევალი საჯინიბოში ან მსახურებისათვის განკუთვნილ სადგომში ცხოვრობდა. მისი შვილები კუმაიაგებად იწოდებოდნენ. მათი მდგომარეობა თითქმის მონური იყო, თუმცა ადათი მათ მონებზე მაღლა აყენებდა. მათ ევალებოდათ ყველანაირი სამუშაოს შესრულება „მაქის“ — ბატონის ოჯახსა და მინდორში. ბატონის სიკვდილის შემდეგ ვაჟებს ცალკე გამოყოფა შეეძლოთ — მიიღებდნენ მიწის ნაკვეთს, უღელ ხარს, ქვაბს, ცულს და თოკს თავისი მეურნეობის მოსაწყობად. გამოყოფის შემდეგაც განსაზღვრულ გამოსაღებებს უხდიდნენ მებატონეს. კუმაიაგების ყოლის უფლება მხოლოდ ფეოდალური კლასის პრივილეგია იყო.

დამოკიდებული კლასის შემდეგი საფეხური იყო ქუსაგები („მუშა“) ანუ მონები. მონების წყარო ტყვეობა ან ყიდვა იყო. მონა სავსებით უუფლებო იყო, მისი გაყიდვა, დასჯა შეეძლოთ. იგი მესაკუთრის მეურნეობაში ყოველგვარ სამუშაოს ასრულებდა, მონას უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა შეეძლო. მონის ყოლის უფლება ყველას ჰქონდა, თვით მონასაც კი.

დიგორიაში იყო დამოკიდებული კლასის ერთი ჯგუფი — ხეხესები. ისინი სხვადასხვა ადგილებიდან იყვნენ გამოსული, უპირატესად მესისხლეობის ნიადაგზე, და სახლდებოდნენ რა ფეოდალთა მიწაზე, მათ სამიწო გამოსაღებებს უხდიდნენ. პირადად თავისუფალნი იყვნენ.

ფეოდალური დამოკიდებულების აღნიშნული სურათი მცირეოდენი განსხვავებით გვხვდება თაგაურსა და ქურთათში. თაგაურში ადამიხატებს ფარსაგლაგები შეესაბამებოდა, კუმაიაგებს — ქავდასარდები, ქუსაგებს — ცაგაირაგები. მათ შორის არსებითი განსხვავება არ იყო.

ოსეთის საადათო სამართალი კარგად ასახავს საზოგადოების კლასობრივ-წოდებრივ სტრუქტურას. იგი კარგად ჩანს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სისხლის ფასისა და ურვადის ოდენობაში. გაბატონებული კლასი სარგებლობდა სხვა პრივილეგიებითაც — მისთვის საპატიო სამსახური უნდა გაეწიათ, მის სასარგებლოდ დაწესებული იყო მრავალფეროვანი ჯარიმები.

XVIII ს. ოსეთში ჩვენ ვხედავთ, რომ უშუალო მწარმოებლები ადამიხატები და ფარსაგლაგები ფლობდნენ წარმოების საშუალებებს და მიწას. ამ მიწების ნომინალური მესაკუთრე იყო ფეოდალი. მათი ეს უფლება პატრონალური ურთიერთობიდან წარმოიშვა, რიგ შემთხვევაში კი მათ მიწებზე გარედან მოსულთა დასახლებით. უშუალო

ძწარმოებლები თავის მფლობელთა პირად დამოკიდებულებაში იყვნენ. ესენი ჯერ არ იყვნენ ყმები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან ერთი მფლობელიდან მეორესთან გადასვლა შეეძლოთ, მაგრამ ეს ნებადართული მათ მდგომარეობას ვერაფრით ვერ აუმჯობესებდა. გადასვლით პირადი დამოკიდებულება არ ისპობოდა, ხოლო თუ საზოგადოებიდან წავიდოდა, მიწასაც და კარმიდამოსაც კარგავდა.

ოსური საზოგადოების განვითარება XVIII ს. კლასობრივი ბრძოლის ნიშნით ხდებოდა. ფეოდალური ზედაფენა თავისი კლასობრივი ბატონობის განხორციელებაში აწყდებოდა დამოკიდებული მოსახლეობის ძლიერ წინააღმდეგობას. თემურ-გვაროვნული ტრადიციების სიმყარე ერთგვარად ანელებდა ამ ბრძოლას ოსურ საზოგადოებაში, მაგრამ იგი მაინც იჩენდა თავს.

ოსურმა ფოლკლორმა შემოგვინახა მრავალი ისტორიული ლექსი და თქმულება, რომლებიც კარგად გვიხასიათებენ ამ ბრძოლის სიმძაფრეს. „სიმღერა ჩერმენზე" მოგვითხრობს ალდარ თულათოვებისა და მათი ქავდასარდის ჩერმენის მტრობაზე. თულათოვებმა გაყრისას თავის ქავდასარდს ჩერმენს მიწის უვარგისი ნაჭერი არგუნეს. მან არ დაუთმო, შეებრძოლა და ამ ბრძოლაში დაეცა. ოსი ხალხის ცნობიერებაში ჩერმენი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ დარჩა.

თქმულებაში „ბათას შვილები" ლაპარაკია ქავდასარდი ძმების — ასლანბეკისა და ბუძის უთანასწორო და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაზე ალდარ კანუკოევებთან. ისინი ამ ბრძოლაში დაიღუპნენ.

თაგაურში კლასობრივი ბრძოლის სიმწვავეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ XVIII ს. დამლევს თაგაურიდან დიდი რაოდენობით იყრება მოსახლეობა და გიორგი XII ნებართვით ქართლში სახლდება. თაგაურელ ალდარების პროტესტზე გიორგი მეფემ განაცხადა, რომ ისინი თავის ნებით მოდიან, ჩვენ არ ვაქეზებთ, მაგრამ ვერც ძალით დავაბრუნებთო.

XVIII ს. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ერთი მიზეზი იყო ოსების სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობების გამოცოცხლება საქართველოსთან, რუსეთთან, ყაბარდოსთან. ამას ერთგვარი რღვევა შეჰქონდა ოსების ნატურალურ მეურნეობაში. ფეოდალების მოთხოვნილება იზრდებოდა, ისინი უფრო და უფრო მეტი გადასახადების გადახდას მოითხოვდნენ, რაც იწვევდა ხალხის უკმაყოფილებას. ამ ნიადაგზე 1781 წ. გაიშალა ის ბრძოლა, რაზეც რუსეთის სამსახურის ოფიცერი შტედერი მოგვითხრობს.

შტედერის თანახმად, დიგორიაში მღელვარება 10 წელზე მეტი გრძელდებოდა. ფეოდალები მოითხოვდნენ გამოსაღებების გადახდას

„მათი მამების მიერ დადგენილი წესით“ (ე. ი. უკვე გადიდებულს). ეკლესია კი თანხმდებოდა გადაეხადა ეს გადასახადები „პაპების დადგენილი წესის“ მისედვით (ე. ი. გადიდებამდე).

ფეოდალების წინააღმდეგ ადამიანებთან ერთად კომაიაგებიც გამოვიდნენ. ორივე მხარე შეიარაღდა. შტედერმა მათ შორის შუამავლობა იკისრა. ხანგრძლივი დავის შემდეგ, ხალხის რისხვის შიშით, ფეოდალები დათანხმდნენ ძალით წართმეული მიწები, საქონელი, იარაღი დაებრუნებინათ, გაეთავისუფლებინათ მონად ქცეული დიგორელები და გამოსაღებებიც ძველი წესით აეღოთ.

ოსთა კლასობრივ ბრძოლას, როგორც გლეხთა გამოსვლებს საერთოდ, ახასიათებდა არაორგანიზებულობა, სტიქიურობა. ისინი იბრძოდნენ ექსპლოატაციის უღლის დამძიმების წინააღმდეგ, მამა-პაპური პატრიარქალური ურთიერთობების შესანარჩუნებლად. ოსი გლეხი ხშირად სხვაგან გადასახლებაში, ან მებატონესთან ინდივიდუალურად ანგარიშის გასწორებაში ეძებდა ხსნას. ოსეთის რუსეთთან შეერთებამ, რაც XVIII ს. მეორე ნახევრიდან დაიწყო, ოსი ფეოდალების კლასობრივი პოზიციები საგრძნობლად განამტკიცა.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. XVIII ს. ჩრდილო ოსეთი წარმოადგენდა ცალკეულ ხეობა-საზოგადოებათა მექანიკურ კრებულს. ამ ხეობებს არავითარი პოლიტიკური ხელისუფლება არ აკავშირებდა ერთმანეთთან. თითოეული თავის დამოუკიდებელი ცხოვრებით ცხოვრობდა. არც ადგილებზე არსებობდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ხელისუფლება. ალდარები ანუ ე. წ. „სტარშინები“ წყვეტდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს. მათთან კავშირს ამყარებდდნენ მეზობელი ხალხების მმართველი წრეები.

ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში განსაზღვრულ როლს თამაშობდნენ გვაროვნული უხუცესები. ვახუშტი ამ გარემოებას საგანგებოდ უსვამს ხაზს: „კვალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი, და უვისთ, ვითარცა პატრონნი თვისნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა და ზავსა, და ყოველსავე სამჭირნოსა თვისთა განაგებენ მათით“.

რა თქმა უნდა, ყველა მოხუცს არ ჰქონდა ასეთი დიდი პატივი. მათ მნიშვნელობას განსაზღვრავდა ის, თუ რამდენად ძლიერი გვარის უხუცესი იყო ესა თუ ის პირი. პირველ რიგში ეს დიდი როლი ხელთ ეპყრა სოციალური ზედაფენის უხუცეს წარმომადგენლებს.

XVIII ს. ჩრდილო ოსები მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან საქართველოსთან, რუსეთთან, ყაბარდოსთან. ამ ქვეყნებთან ურთიერთობაში გამოკრთის ოსთა პოლიტიკური ვითარების დამახასიათებელი მოვლენები.

ყაბარდოელებმა მონღოლთა შემოსევების შემდეგ დაიკავეს ჩრდილო-კავკასიის ცენტრალური ველები, რომელებიც ადრე ოსებს ეკავათ. დიდი ყაბარდო მოიცავდა ტერიტორიას მდ. კუმიდან თერგამდე, მცირე ყაბარდო — თერგიდან მდ. სუნჯამდე. ყაბარდოც ფეოდალურ სამფლობელოთა კრებული იყო.

ყაბარდოელმა ფეოდალებმა ისარგებლეს ველზე თავის გაბატონებული მდგომარეობით და ოსთა მიმდგომი რაიონების დამორჩილება და დახარკვა შეძლეს. ყაბარდოელი ფეოდალები ადგენდნენ რაზმებს და ესხმოდნენ ოსებს, იტაცებდნენ საქონელს, ხალხს. თავის მხრივ ოსებიც ესხმოდნენ ყაბარდოელთა სოფლებს და დიდ ზარალს აყენებდნენ.

ყაბარდოელ ფეოდალებზე ოსების დამოკიდებულება იყო შიშველ ძალადობაზე დამყარებული დამოკიდებულება, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მუდმივად წარმოებდა. ეს ბრძოლა რომ წარმატებითი ვერ იყო, აიხსნება იმით, რომ ოსთა სოციალურმა ზედაფენებმა საერთო ენა გამონახეს ყაბარდოელ ფეოდალებთან და მათი მხარდამჭერნი გახდნენ. სამაგიეროდ ზურგი გაიმაგრეს თავისი კლასობრივი ბატონობის განსამტკიცებლად. მრავალი ოსური ისტორიული გადმოცემა მოგვითხრობს ყაბარდოელ ფეოდალთა სამხედრო დახმარების შესახებ ოსი ფეოდალებისათვის მათივე ქვეშევრდომების წინააღმდეგ. ოსი ფეოდალებიც ყაბარდოელ თავადთა ურთიერთბრძოლაში ხშირად მონაწილეობდნენ.

მაგრამ უბრალო ხალხი და სტარშინების ნაწილი (ალაგირ-ქურთათიდან) ებრძოდა ყაბარდოელ ფეოდალების უღელს. ისინი უშუალო ბრძოლის გარდა მიმართავდნენ რუსეთის მთავრობას ყაბარდოელ ფეოდალთა ძალადობისაგან თავის დასაცავად.

XVIII ს. მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ჩრდილო ოსთა პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსთან. ვახტანგ VI 1711 წ. ზარამაგამდე ილაშქრა და დაიმორჩილა ამ პუნქტის სამხრეთით მცხოვრებნი.

ქართლ-იმერეთის მმართველ წრეებს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ნარ-მამისონის ხეობის ოსებთან. აქაურ ოსებს ქართველი მეფეებისაგან მრავალი წყალობისა და ჯამაგირების წიგნები მიუღიათ.

ჩრდილო ოსები მრავალგზის მონაწილეობდნენ ქართლ-კახეთის მიერ უცხოელ დამპყრობლებთან წარმოებულ ბრძოლაში. XVIII ს. 40-იან წლებში სპარსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გივი ამილახვართან „მოვიდა ჯარი ოსისა და ჩერქეზისა, რომელნი მოსულიყვნენ ამილახორთან მოსახმარებლად“.

თეიმურაზ II და ერეკლე II მეზობელ მაჰმადიანურ სახანოებთან

ბრძოლაში სისტემატურად მიმართავდნენ ოსთა სამხედრო დახმარებას. 1750 წ. ოსები მათი დროშის ქვეშ იბრძოდნენ. ასევე, 1751 წ. აზატხანის, 1752 წ. აჯი-ჩალაბის, 1754—55 წწ. ნურსალბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ და უხვ საჩუქრებს იღებდნენ თეიმურაზისა და ერეკლესაგან.

ოსები მონაწილეობდნენ 1770 წ. ასპინძის ბრძოლაში ერეკლეს მხარეზე, ასევე, 1771 წ. ხერთვისის აღების ოპერაციებში. 1785 წ. ქართლ-კახეთში ომარხანის შემოსევასთან დაკავშირებით ჩრდილო კავკასიიდან ერეკლესთან 400 ოსი და ინგუში მეომარი მოვიდა.

ჩრდილო ოსები ხშირად ყოფილან გამოყენებულნი შინაფეოდალურ ბრძოლებში. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, 1791 წ. თაგაურელი და ქურთათელი ოსები ერეკლემ თავის ჯართან ერთად მიაშველა იმერეთის ტახტისათვის მებრძოლ თავის შვილიშვილს — დავით არჩილის ძეს, რომელიც გამეფდა სოლომონ II სახელით.

ქართული დოკუმენტური მასალები გვამცნობენ, თუ როგორ ხდებოდა ჩრდილო ოსებისაგან სამხედრო ძალის გამოყენება. საჭიროებისას იქ იგზავნებოდა მეფის წარმომადგენელი, რომელიც მოიწვევდა ჯარს და ქირაზე შეუთანხმდებოდა. ასეთ ფუნქციას XVIII ს. დამლევს ხშირად ასრულებდნენ სტეფანწმინდელი ახალი აზნაურის ყაზიბეგ ჩოფიკაშვილის ძე გაბრიელი და მისი ძმები.

ის ფაქტი, რომ თაგაურის ხეობაზე გადიოდა ჩრდილო კავკასიასა და რუსეთთან ქართლ-კახეთის დამაკავშირებელი თითქმის ერთადერთი მაგისტრალი, აიძულებდა ამ უკანასკნელის პოლიტიკურ მესვეურებს თაგაურელ ოსებთან კეთილგანწყობილებაში ყოფილიყვნენ. ამიტომ მათს თავკაცებს წყალობა-ჯამაგირების წიგნებს აძლევდნენ.

ჩრდილო ოსეთის დასავლეთი რაიონები (მაგ. დიგორი) უპირატესად რაჭა-იმერეთთან იყვნენ დაკავშირებულნი.

რუსების კავკასიაში დამკვიდრებას ჩრდილო ოსები დიდი ინტერესით შეხვდნენ. ოსები მათში ხედავდნენ ძალას, რომელსაც შეეძლო ისინი ყაბარდოელი ფეოდალების თვითნებობისაგან დაეცვა და ველზე გადმოსახლების პირობები შეექმნა.

რუსეთი, თურქებთან ურთიერთობის გამწვავების შიშით, ოსების საქმეებში აშკარად ჩარევისაგან თავს იკავებდა, მაგრამ მიმართავდა ღონისძიებებს, რათა ოსებში განემტკიცებინა რუსული ორიენტაცია და დასაყრდენი გაეჩინა ადგილობრივ წრეებში. ოსეთის ცენტრალური მდებარეობა კავკასიაში მის სტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთის ამერკავკასიასთან დაკავშირების საქმეში განუზომლად ზრდიდა. ოსეთზე გადიოდა ისეთი მაგისტრალები, როგორიც იყო საქართველოსა და ოსეთის სამხედრო გზები.

ოსებს რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებით ველის მიწებზე დასახლება, ყაბარდოელთაგან დაცვა და რუსეთთან ვაჭრობის გაფართოება სურდათ.

ოსეთ-რუსეთის ურთიერთობის განმტკიცების საქმეში დიდი როლი შეასრულა „ოსეთის კომისიამ". იგი რუსეთის მთავრობამ ვახტანგთან ერთად რუსეთს გადასახლებული ქართველი სასულიერო პირების ინიციატივით შექმნა 1744 წელს. ოსეთის კომისია რუსეთის მთავრობის საჯარგებლო პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა ოსებსა და ინგუშებში ქრისტიანობის ქადაგების გზით. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით რუსეთის მთავრობამ კომისია მთლიანად ქართველ სასულიერო პირთაგან დააკომპლექტა.

ოსეთის კომისიის წევრები სწავლობდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ ვითარებას, ხალხის პოლიტიკურ განწყობილებას, ზნე-ჩვეულებებს, შრომა-საქმიანობას, რელიგიას, მეზობელ ხალხებთან დამოკიდებულებას, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეებს და სათანადო ინფორმაციას აწვდიდნენ რუსეთის მთავრობას.

კომისიის წაქეზებით ოსებმა ელჩობა გაგზავნეს რუსეთში. ოსეთის ელჩობა არქიმანდრიტ პახომისთან ერთად 1749 წ. 25 სექტემბერს ზარამაგიდან გავიდა რუსეთში. ელჩობის მეთაური იყო ზურაბ ელიხანოვი. მათ 1750 წ. 9 თებერვალს პეტერბურგს მიაღწიეს. ელჩობის მიზანი იყო: 1) რუსეთის შემადგენლობაში ოსეთის შეყვანა, 2) ოსეთის საგარეო უშიშროების უზრუნველყოფა, 3) მიწის ნაკლებობის გამო ოსთათვის მთისწინა ველებზე გადმოსახლების უფლების მიცემა.

პოლიტიკური მოსაზრებებით რუსეთის მთავრობამ ელჩობის თხოვნა ვერ დააკმაყოფილა. მათ მხოლოდ ასტრახანსა და ყიზლარში უბაჟო ვაჭრობის უფლება დართეს.

1763 წ. მოზდოკის ციხე-სიმაგრის აგების შემდეგ ოსები სახლდებიან მის გარშემო. რუსეთის მთავრობა გადმოსახლებულთ გარკვეულ შეღავათებს აძლევდა: სტარშინებს 10, უბრალო მოსახლეებს კი 5 მანეთს, აგრეთვე თესლს, სახნავ, სათიბსა და საბოსტნე მიწებსა და ტყეს.

60-იანი წლებიდანვე რუსეთის მთავრობამ დიდი ინტერესები გამოიჩინა ოსეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესასწავლად. 1768—74 წწ. ოსეთის მთებში სამი ექსპედიცია მოეწყო ვერცხლ-ტყვიის მადნების ბაზაზე ქარხნის აგების საკითხის, აგრეთვე პოლიტიკური ვითარების შესასწავლად.

1768—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებამ მას ხელები გაუხსნა ოსეთის მიმართაც აქტიური პოლიტიკა გაეტარებინა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავით ყაბარდოს ნეიტრალიტეტი გაუქმდა და რად-

ჯან ოსეთის რიგი საზოგადოებები მასზე დამოკიდებულად ითვლებოდნენ, ოსეთიც ფორმალურად რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. ფაქტიურად რუსეთის იმპერიის ნაწილად ოსეთი უფრო მოგვიანებით იქცა.

რუსეთის მთავრობა სოციალური ზედაფენების მოსყიდვა-მოფერების პოლიტიკას შემდეგაც ატარებდა. პ. პოტიომკინის ამალაში მრავალი ოსი სტარშინა შედიოდა, რომელთაც სამხედრო ჩინები და ჯამაგირები ჰქონდათ.

კ ულ ტ ურ ა. ოსური საზოგადოების კლასობრივი უთანასწორობა მათს მატერიალურ კულტურაშიც იჩენდა თავს. ფეოდალები ცხოვრობდნენ ციხე-სახლებში—გალავნებში ეს კი იყო საბრძოლო კოშკისა და საცხოვრებელი სახლის კომპლექსი. გალავანი იგებოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილზე, საიდანაც ადვილად შეიძლებოდა ეტრის მოძრაობაზე მეთვალყურეობა. ჩრდილო ოსეთში ყველაზე მნიშვნელოვანი საბრძოლო-თავდაცვითი ნაგებობა იყო კოშკები: დუდაროვებისა — ლარსში, კანუკოვებისა — ყობანში, აბისალოვებისა — მახჩესკში, ტუგანოვებისა — ძინაგაში და სხვ.

ყველა მეტნაკლებად ძლიერ გვარსა თუ ოჯახს ჰქონდა საკუთარი კოშკი, სადაც საშიშროებისას თავს აფარებდნენ. კოშკები 3—5 სართულიანი იყო. კოშკებთან იყო დაკავშირებული საცხოვრებელი ნაგებობაც თავისი ვიწრო სარკმელებით. ისინი საშიროებისას სათოფურებად გამოიყენებოდა. საცხოვრებელი ნაგებობა მოკლებული იყო ყოველგვარ არქიტექტურულ გაფორმებას და მისი კონსტრუქცია თავდაცვის ინტერესებს ემორჩილებოდა.

უბრალო ხალხი ცხოვრობდა ე. წ. „ხაძარებში". ისინი ფიქალქვის მშრალი წყობით იყო ნაგები. სახურავი ხაძარს ბანიანი ჰქონდა, სადაც დატანებული იყო ერდო კვამლის გასასვლელად. ერდოდან კერაზე ჩამოშვებული იყო კაუჭებიანი ჯაჭვი ქვაბების დასაკიდად.

მთის კალთებზე ოსთა აულები იარუსებად იყო შეფენილი, ისე რომ ერთის ბანი მეორისათვის დერეფნის როლს ასრულებდა.

ხაძარს კერა ორ ნაწილად ჰყოფდა. მამაკაცთა მხარეზე იდგა ხის გრძელი სკამი, კედელზე კი ეკიდა ხმალი, თოფი, დამბაჩა, ჯიხვის რქები, ფანდური. ქალთა ნახევარზე სკამი არ იყო. იქ თაროებზე გამწკრივებული იყო წვრილი საოჯახო ნივთები, კედელს გაყოლებით ძირს კი სპილენძის სხვადასხვა ზომის ქვაბები, თიხის კოკები, გოდრები, ვარცლები, ხის ვედროები და სხვ. ელაგა.

შეძლებულ ოსებს ხაძარების გარდა ჰქონდათ საწოლი ოთახები, ცალკე ჰქონდათ ბოსლები და საჯინიბოებიც. მათი საოჯახო მოწყობილობაც მეტი და უკეთესი იყო.

ოსთა ტანსაცმელიც საერთოდ კავკასიური იყო. ვახუშტი დაწვრი-

ლებით აღწერს მათ ტანსაცმელს და იმ მასალას, რისგანაც იგი მზადდებოდა. ტანსაცმლის მასალა მათი ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრებოდა.

XVIII ს. ჩრდილო ოსების რელიგიაზე ვახუშტი შემდეგ ცნობას გვაწვდის: „თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მოჰმადიანნი, და დაბალნი გლეხნი ქრისტიანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი... ყოველთავე უწყიან მზგავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირავენ ელიას თხასა... ტყავსა გასჭიმენ მაღალ ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასა რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყანისანი“.

როგორც ამ აღწერიდან ვხედავთ, ოსთა რელიგია იყო მაჰმადიანობის, ქრისტიანობისა და წარმართობის ნარევი.

XVIII ს. 40-იან წლებში ოსეთში ქრისტიანობის ქადაგებას იწყებს ოსეთის სამისიონერო კომისია. მასში შედიოდნენ ქართველი სასულიერო პირები არქიმანდრიტ პახომის მეთაურობით. კომისიის წევრები თავის ხარჯზე ასწავლიდნენ ოს ბავშვებს ქართულ წერაკითხვას, ქადაგებდნენ ქრისტიანობასა და ნათლავდნენ ოსებს, ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნიდნენ საღვთისმეტყველო წიგნებს.

სულ 1745—1791 წწ. კომისიას 8199 კაცი მოუნათლავს.

განსახილველი ხანის ჩრდილო ოსეთს არ ჰქონდა დამწერლობა, კულტურულად ჩამორჩენილი იყო. ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა იქ რაიმე სახის კულტურულ მოღვაწეობას გამორიცხავდა. ერთადერთი ოსეთის კომისია იყო, რომელიც პოლიტიკურ-სამისიონერო მიზნებით გარკვეული სახის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. კომისიის წევრების მიერ აღზრდილი ოსები სწავლის დასრულებისას დიაკვნებად და მღვდლებად ეკურთხებოდნენ და შემდეგ თვითაც ეწეოდნენ განსაზღვრულ კულტურულ საქმიანობას.

ჩრდილო ოსთა სოციალური ზედაფენების შვილები ქართლშიც ახერხებდნენ განათლების მიღებას. XVIII ს. პირველ ნახევარში ასეთები იყვნენ ზურაბ ელიხანოვი, ვახტანგ VI კარზე აღზრდილი და ოსეთის ელჩობის მეთაური; ასევე, ქართლში დაბალი სასულიერო განათლება მიუღია ამ ელჩობის წევრს ხეთაგოვს. ვახუშტი წერდა, რომ ოსების ის ნაწილი, რომელიც ქართლსა და რაჭაში დადის, ფლობს ქართულ ენას.

ოსებში ბევრს სცოდნია ყაბარდოული და ბალყარული ენები. ყაბარდოელი არისტოკრატიის ზნე-ჩვეულებები ფართოდ იყო გავრცელებული ოსეთის სოციალურ ზედაფენებში.

1764 წელს მოზდოკში ოსეთის სოციალური ზედაფენების შვილებისათვის გაიხსნა სამისიონერო სკოლა. მასში მოსწავლეთა რიცხვი

მცირე იყო. სწავლების მეთოდებიც მანკიერი, მაგრამ ამის მიუხედავად იგი იყო ოს ხალხში წიგნური განათლების შეტანის პირველი ცენტრი.

1798 წლისათვის მოსკოვის სინოდალურ კანტორაში დაიბეჭდა მოზდოკის ეპისკოპოზ გაიოზისა და ოსი მღვდლის პავლე გენცაუროვის მიერ შედგენილი ოსური ანბანი და საკითხავი წიგნი. ეს უკვე ოსი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისი იყო.

§ 5. ჩეჩნეთ-ინგუშეთი XVIII ს.

მ ე ურ ნ ე ო ბ ა. XVIII საუკუნეში ძირითადად მთავრდებოდა ჩეჩნეთ-ინგუშების მიერ მთიანი რაიონებიდან ბარის რაიონებში გადმოსახლების ადრე დაწყებული პროცესი. ველზე გადმოსახლებულთათვის მეურნეობის ძირითადი დარგი მიწათმოქმედება ხდება.

XVIII ს. ბოლოსათვის სუნჯისა და თერგის ბასეინებში დასახლებულმა ჩეჩნებმა მეზობელთაგან გადაიღეს გაუმჯობესებული შრომის იარაღები, აითვისეს ფართო სახნავი მიწები, მდელოები, საძოვრები. მათ ჰქონდათ ვენახები, ბოსტნები. მთიდან გამოსულ ჩეჩნებს ისინი ღებულობდნენ და აძლევდნენ მიწას.

1761 წელს, თებერვლის თვეში ასტრახანის გუბერნიის კანცელარიაში მიღებულ იქნა არქიმანდრიტ პახომის მოხსენება, რომელსაც ახლდა ოსი და ქისტი სტარშინების წერილები. ისინი აცნობდნენ, რომ ყაბარდოელი და ჩეჩენი მფლობელები აპირებენ ჩვენზე თავდასხმას და დაგვიცავითო. ისინი ითხოვდნენ თერგის ჯარის როტმისტრის კირეევის გამოგზავნას, რომელიც მათთან იქნებოდა ხვნის დროს მარტ-აპრილში და მკის დროს ივლის-აგვისტოში, რათა მათზე თავდასხმები არ დაეშვა. ეს ცნობა ინგუშებში მეშინდვრეობის დიდ როლზე მიგვითითებს.

მთაში სხვა ვითარება იყო მიწათმოქმედებისათვის. მიწის დამუშავება აქ მძიმე შრომას მოითხოვდა — იგი უნდა გაეწმინდათ ბუჩქნარისაგან, ქვებისაგან, მოესწორებინათ, გაეშაგრებინათ, გაეთხარათ რუები წყლის გასასველელად, გაეპატივებინათ. ძირითადი სახნავი იარაღი მთაში იყო კავი. მთიელებს არ ჰქონდათ საკუთარი პური და მას ბარში იძენდნენ.

ჩეჩენ-ინგუშთა ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მესაქონლეობა. პირუტყვი ზაფხულობით მთაში ჰყავდათ, გაზაფხულშემოდგომაზე ღია ადგილებში — ველზე, ზამთარში კი სოფლებში. ისინი სპეციალურად ამზადებდნენ საქონლისათვის საზამთროდ თივას. რუსეთის დამსჯელი ექსპედიციები XVIII ს. ჩეჩნების დასათრგუნავად მიმართავდნენ მათთვის თივის მოსპობას, ყანის გათელვას, საცხოვრებლის დაწვასა და დანგრევას.

მესაქონლეობის დარგებიდან ყველაზე განვითარებული იყო მეცხვარეობა.

ხელოსნობა XVIII ს. კვლავ ნატურალურ-მოხმარებით ხასიათს ატარებდა. მისი მხოლოდ ცალკეული დარგების პროდუქციის ნაწილი გადიოდა ბაზარზე.

ჩეჩნები იყენენ ცივი იარაღის კარგი ოსტატები. ცივი იარაღის კარგი ხელოსნობით ცნობილი იყო აული აუხო.

ჩეჩენ-ინგუშებში იყენენ ცხენის აკაზმულობის დამამზადებლები, თიხის ჭურჭლის ოსტატები. განვითარებული იყო ხის იარაღისა და ჭურჭლის დამზადებაც.

ამზადებდნენ კარგ ნაბდებს, შალს, ხალიჩებს, ფარდაგებს და სხვ. ამ პროდუქციას უმთავრესად ოჯახში მოიხმარებდნენ, ნაწილი კი იცვლებოდა.

ჩეჩენ-ინგუშების საშინაო ვაჭრობის შესახებ XVIII საუკუნისათვის წერილობითი წყაროები არა გვაქვს. გარკვეული სახის გაცვლა-გამოცვლა მათ შორის არსებობდა. მთიელები პურსა და მარილს ბარის მცხოვრებლებისაგან ყიდულობდნენ, სამაგიეროდ კი თავის მეურნეობის პროდუქტებს აძლევდნენ.

გაცილებით უფრო ინტენსიური ჩანს ვეინახების საგარეო ვაჭრობა. იგი მყარდებოდა გრებენელ კაზაკებთან, რომელთაც უშუალოდ ემეზობლებოდნენ ისინი თერგსა და სუნჯაზე. XVIII ს. 10-იან წლებში გრებენელ კაზაკთა სამოსახლოებმა თერგის მარცხენა ნაპირზე გადაინაცვლეს. 1735 წელს აღდგენილ იქნა ყიზლარის ქალაქი და სიმაგრე — ჩრდილო კავკასიის მთავარი ეკონომიური ცენტრი XVIII ს-ში და XIX ს. პირველ მესამედში. ყიზლარის მოსახლეობა იზრდება XVIII ს. დასაწყისში ამიერკავკასიიდან გამოსული მოსახლეობის (ქართველები, სომხები), აგრეთვე მთიელი მოსახლეობის ხარჯზე. 1725 წ. ხანძარმა შთანთქა იგი, მაგრამ 1735 წ. კვლავ აღადგინეს. 1798 წ. იგი უკვე 5,5 ათასიან მოსახლეობას ითვლიდა.

ყიზლარის, როგორც სიმაგრის დაარსების შემდეგ თერგის მარცხენა ნაპირზე გაჩნდა დონელ კაზაკთა სტანიცები — ბოროზდინსკაია, დუბოვსკაია, კარგალინსკაია. 30-იან წლებიდან ყიზლარი მჭიდრო ეკონომიურ ურთიერთობას ამყარებს დაღესტნისა და ჩეჩენ-ინგუშეთის წალხებთან. მოზდოკის დაარსებამდე (1763 წ.) ოსებიც ყიზლარში ვაჭრობდნენ.

ინგუშთათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოზდოკსა და ვლადიკავკაზს (1784 წ. დაარსდა როგორც ციხე-სიმაგრე).

მასალები ვერ გვაძლევენ წარმოდგენას ჩეჩენ-ინგუშთა ვაჭრობის მოცულობაზე. იგი, უპირველეს ყოვლისა, გაცვლის სახეს ატარებ-

და. გრებნელი კაზაკები თერგს გაღმა ცელიდნენ მარილს, თევზს, შინაურ ტილოს, ბოსტნეულ კულტურებს, მთიელთაგან კი ღებულობდნენ ნაბდებს, ყაბალახებს, ურმებს, ურმის თვლებს და ცხენებს.

ახლანდელი სოფ. ტოლსტოვ-იურტი განთქმული იყო თოხების, ნამგლების, დანების და სხვ. იარაღების დამზადებით. ამით იგი არამარტო მეზობელ სოფლებს, არამედ ყიზლარის ბაზარსაც ამარაგებდა. სოფ. ბრაგუნი სპილენძის ჭურჭელს ამზადებდა გასაყიდად. ძველი ატაგელების დამზადებული ცივი იარაღი კაზაკთა ფოლკლორშიც იყო შექებული. იჩქერია განთქმული იყო ნაბდებით.

ჩეჩნებს XVIII ს. 30-იანი წლებიდან ყიზლართან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. მიჰქონდათ შეშა, მარგილები ვენახებისათვის, სამშენებლო ხე-ტყე დაცურებით (ტივებად). ტივები მზადდებოდა ზამთარში და წყალუხვობისას სუნჯითა და თერგით ყიზლარამდე აცურებდნენ.

ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა. ველის ათვისებამ, საწარმოო ძალთა განვითარებამ ვეინახური საზოგადოების კლასობრივი დიფერენციაცია დააჩქარა.

საზოგადოების სოციალური დაშლა მიმდინარეობდა გვართა შორის უთანასწორობის გაჩენის ნიშნით. ძლიერი გვარები იწყებენ სახნავი და საძოვარი მიწებისათვის ბრძოლას, სუსტი გვარების დამორჩილებას. ტყვე თანამოძმეებს ჰყიდდნენ უცხოელებზე. „წარჩინებული“ და „სახელოვანი“ ბიაჩჩები — სამხედრო ბელადები ადგენდნენ რაზმებს, ესხმოდნენ და არბევდნენ აულებს, მიჰყავდათ საქონელი და ტყვეები. ბიაჩჩები ფეოდალდებიან, ამაყობენ თავისი ძალაუფლებით და სიმდიდრით.

XVIII ს. რუსულ ოფიციალურ საბუთებში ხშირად ფიგურირებენ ინგუში სტარშინები და ჩეჩენი მფლობელები.

არქიმანდრიტ არსენს გრიგოლთან ერთად 1756 წ. აგვისტოში მოუნათლავთ ქისტებიდან „начальных людей 5, остальных 30“.

ქისტი სტარშინა აბრამ პახომიევი (პახომის მონათლული) ყაბარდოელ ფეოდალთაგან დაცვას სთხოვდა რუსეთის მთავრობას. ქისტებზე ყაბარდოელი და ჩეჩენი მფლობელების თავდასხმის საშიშროებაზე წერდა თავის მოხსენებაში პახომი ასტრახანის გუბერნატორის კანცელარიაში 1761 წ.

ინგუში სტარშინები და ჩეჩენი მფლობელები საზოგადოების პრივილეგირებული წევრები არიან, რომლებიც საზოგადოების სახელით გამოდიან ამა თუ იმ საგარეო-პოლიტიკური საკითხის გადაჭრისას. ჩვენ სათანადო მასალა არა გვაქვს კარგად წარმოვიდგინოთ მათი ადგილი ვეინახების სოციალურ ცხოვრებაში, მათი იურიდიული უფლებამოსი-

ლება, მაგრამ მათი ძალაუფლების ფეოდალურ ხასიათში ეჭვის შეტანისათვის საფუძველი არ არსებობს. ამას ნიშნავს სტარშინათა თანამდებობის არჩევითობიდან მემკვიდრეობითად გადაქცევა. ამასვე გვაფიქრებინებს უფრო გვიანდელი ჩანაწერი მაგ. ინგუში ოფიცრის ბაზორ მამილოვისა, რომელიც მან „პირადი და საადგილმამულო უფლებების განმხილველ კომიტეტს“ წარუდგინა 1859 წელს. იგი წერს თავის წინაპრებზე, რომ ისინი ქისტებს შორის იყვნენ პირველნი, რომელნიც იეჩკიელად (მფლობელ თავადად) იხსენიებოდნენ. არც ერთი საკითხი, რომელი გვარისაც არ უნდა ყოფილიყო, მათ გარეშე არ გადაწყდებოდა. რაზმს ისინი კრეფდნენ. ისინი მეცხოვრებლებს განსაზღვრულ ადგილებში ნადირობას უკრძალავდნენ. თუ რამეს მოკლავდნენ ასეთ ადგილას, 12 ძროხას ჯარიმად გადაახდევინებდნენ. ისინი უნათესავდებოდნენ ყაბარდოელ თავადებს. მათ ჰქონდათ მიწები და კოშკები.

ვეინახების სოციალური ზედაფენები ადგილებზე თავისი სოციალური მდგომარეობის განმტკიცებისათვის იყენებდნენ თავის კავშირს ქართველ მეფეებთან, ყაბარდოელ და დაღესტნელ ფეოდალებთან.

მე-18 ს. შუახანებში იხსენიება ჩეჩენი მფლობელი აიდემიროვი, რომელსაც ჰყავს უზდენები. 1767 წ. ვინმე ჩეჩენი მაგომა ყაზიევი ყიზლარში აცხადებს, რომ ჩეჩენი მფლობელის ალიბეკ ყაზბულატოვის „ხოლოპია“ ს. ალდიში.

ეს ფრაგმენტული მასალები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ უზდენთა (თავისუფალი ფენა) ნაწილი ფეოდალთა მეტნაკლებ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა.

ჩეჩნებსა და ინგუშებს ჰყავდათ მონები, რომელთაც იყენებდნენ როგორც სამუშაო ძალას. ისინი საკუთრებით უუფლებონი იყვნენ. ინგუშებში მათ ჰქონდათ პერსპექტივა განთავისუფლებულიყვნენ, მიეღოთ მიწა და სახლის აშენების უფლება, რის შედეგადაც დამოუკიდებელ პირებად იქცეოდნენ. ძლიერი და წარჩინებული პირები თავის მეურნეობაში მონის შრომის გარდა იყენებდნენ ღარიბ თანასოფლელთა შრომას.

მონის შრომის გამოყენება იწვევდა გვაროვნული თემის რღვევას, ყალიბდებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმები—ტერიტორიული ანუ სასოფლო თემები. მართალია, ჯერ კიდევ არსებობდ კოლექტიური საკუთრება ტყეზე, საძოვარზე, გაუყოფელ სახნავ მიწებზე, მაგრამ მტკიცდებოდა მიწის ნაყოფის კერძო მითვისება.

ტერიტორიული თემი დიდხანს შემორჩა ჩეჩნეთ-ინგუშეთში. იგ მრავალრიცხოვან პატრიარქალურ-გვაროვნულ გადმონაშთებთან ერთა მოსახლეობის დაყმევების წინააღმდეგ ბრძოლის ძლიერ იარაღს წარ ნოადგენდა.

ბარში გადასახლებული ჩეჩნებისა და ინგუშების ნაწილი ყაბარდოელ. ყუმიკ და დაღესტნელ ფეოდალთა დამოკიდებულებაში მოექცა.

XVIII ს. პირველ მეოთხედში დაღესტნელი მფლობელები აიდემირ და მუსალ ჩაპალოვები ფლობდნენ „ჩეჩნეთის მნიშვნელოვან ნაწილს". ყუმიკთა მფლობელმა აიდემირ ბარდიკანოვმა ხელთ ჩაიგდო აული დიდა ჩეჩენი და დიდი ატაგი. ბრაგუნელ ჩეჩნებს ფლობდა მუდარი. ყაბარდოელი დევლეთ-გირეი ჩერკასკი ფლობდა ჩეჩნების სოფლებს — შალს, გერმენჩუკს.და სხვ. უცხოელ მფლობელებზე ინგუშთა და ჩეჩენთა დამოკიდებულების კონკრეტულ ფორმებზე მასალა არა გვაქვს. ვიცით, რომ მაგ., ყაბარდოელ ფეოდალებს იასაკს უხდიდნენ მსხვილფეხა საქონლითა და ცხვრებით.

ვეინახური საზოგადოების სოციალური ბუნება XVIII ს. შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც ადრეფეოდალური ურთიერთობის საფეხური, რომელშიც ფეოდალური ურთიერთობანი თანაარსებობდა პატრიარქალურსა და მონათმფლობელურ ურთიერთობებთან. ეს უკანასკნელნი ვერ ვითარდებოდნენ, პირიქით, ფეოდალიზმის მიმართულებით ხდებოდა მათი ტრანსფორმაცია. ამიტომ მასში უნდა დავინახოთ ე. წ. „მთური ფეოდალიზმის" განსაზღვრული ტიპი.

ვეინახური საზოგადოების განვითარება XVIII ს. კლასობრივი ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. სასოფლო თემებში ორგანიზებული ჩეჩენ-ინგუშები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ადგილზე წარმოშობილ ფეოდალიზებულ ელემენტებს დაეყმევებინათ ისინი. უფრო ძაფრი იყო მოსული უცხოელი ფეოდალების წინააღმდეგ გაშლილი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ამავე დროს განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა.

ინგუშები მაგ. ყაბარდოელი ფეოდალთა შევიწროებისაგან თავის დასახსნელად XVIII ს. 50-იან წლებიდან იწყებენ ქრისტიანობის მიღებას და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას. ბუტკოვის ცნობით, ინგუშებმა 1769 წ. ყიზლარის კომენდანტს მიმართეს თხოვნით გაენთავისუფლებინა ისინი ყაბარდოელ ფეოდალთაგან და რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღო. 1773 წ. ინგუში სტარშინები რუსებს ყაბარდოელ ფეოდალთა შევიწროებისაგან დაცვას სთხოვენ.

1757 წ. ჩეჩნები აჯანყდნენ მოსული ფეოდალების წინააღმდეგ და გააძევეს, მაგრამ რუსეთის ცარიზმი ჩაერია ამ ბრძოლაში, დასაჯა ჩეჩნები და აიძულა კვლავ დამორჩილებოდნენ ყუმიკ, ყაბარდოელ და დაღესტნელ ფეოდალებს. ასეთივე აჯანყება სასტიკად ჩაახშეს 1774 წელს.

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ო რ ი ა. XVIII ს. ჩეჩენ-ინგუშთა ში-

ნაგან პოლიტიკურ სტრუქტურაზე მსჯელობა ძალიან ძნელია. არ იყო რაიმე პოლიტიკური ძალა თუ ორგანიზაცია, რომელიც შეაკავშირებდა ამ ხალხებს სახელმწიფოებრივად. თითოეული საზოგადოება თავის ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე ცხოვრებას ეწეოდა. ამის გამო იყო, რომ ისინი ადვილად ვარდებოდნენ მეზობელ ფეოდალთა ბატონობის ქვეშ. უხუცესთა საბჭო („მეკხელ") არ წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს.

XVIII ს. ინგუშებს და ჩეჩნებს მეზობელ ხალხებთან — ოსებთან, ყაბარდოელებთან, ყუმიკებთან, დაღესტნელებთან, საქართველოს მთიელებთან განსაზღვრული სამეზობლო ურთიერთობანი ჰქონდათ. ხშირად ეს ურთიერთობანი შეიარაღებულ შეჯახებაშიც გადადიოდა, რაც მათი განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც მაშინ იდგნენ, კანონზომიერ მოელენად გამოიყურებოდა.

მაგრამ მეტნაკლებად რეგულარული ურთიერთობა ჩეჩენ-ინგუშებს XVIII ს. რუსებთან და ქართლ-კახეთთან ჰქონდათ. რუსეთი ამ დროისათვის უშუალოდ მოადგა ჩეჩენ-ინგუშთა სამოსახლოებს. კაზაკთა სტანიცების სახით მან ვეინახების უშუალო მეზობლად მძლავრი დასაყრდენი გაიჩინა მხარის კოლონიზაციის მიზნით. ოსეთის კომისიის მეშვეობით, რომელიც XVIII ს. 40-იანი წლების შუა ხანებში შეუდგა მოღვაწეობას, ცარიზმი ეწეოდა ქრისტიანობის ქადაგებას ინგუშთა შორის და ამით, აგრეთვე იმ ილუზიის შექმნით, რომ იგი დაიცავდა მათ ყაბარდოელ და სხვა მფლობელთა მხრივ ჩაგვრისაგან, მათ შორის რუსულ ორიენტაციას ნერგავდა. რუსეთი ერეოდა ჩეჩნურ-ინგუშური საზოგადოებების შინაურ ცხოვრებაში. მიმართავდა იარაღს მათი დამორჩილებისათვის, ხშირად მათ ერთმანეთს უსევდა, ბრძოლაში აბამდა. 1758 წ. ჩეჩენთა წინააღმდეგ მოწყობილ რუსთა ლაშქრობაში მონაწილეობდა 100 მონათლული ინგუში.

ჩრდილო კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების ცდები თურქეთისა და მისი ვასალის ყირიმის ხანის გააფრთებას იწვევდა. მუსლიმანობის გაძლიერებული პროპაგანდითა და უშუალო ლაშქრობებით ისინი ცდილობდნენ ჩრდილო კავკასია, მათ შორის ჩეჩნეთ-ინგუშეთიც თავის ბატონობაში მოექციათ და რუსეთისათვის შემდგომი წინსვლის საშუალება არ მიეცათ. 1735 წელს ყირიმის ხანი შემოიჭრა ჩრდილო კავკასიაში და ჩეჩნეთის ხეობით უნდოდა გასვლა. ჩეჩნებმა სასტიკად გაანადგურეს იგი.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან ვეინახებთან ქართლ-კახეთის ურთიერთობა რამდენადმე გააქტიურდა. 50-იანი წლებიდან დარიალის გზაზე სავაჭრო-საქარავნო მიმოსვლა აღდგა. ამას არ შეიძლებოდა გზის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ინგუშებთანაც, რომელთაც ქარ-

თული წყაროები ქისტებს უწოდებდნენ, ურთიერთობა არ ვამოეცოცხლებინა.

ქართლ-კახეთის მეზობელ ყიზილბაშურ სასანოებთან ურთიერთობის გაშწვავებისას 1750 წ. თეიმურაზ-ერეკლემ შეკრიბეს თავისი ჯარი, იმერლები, ჩერქეზები, ოსნი და „კავკაზისანი" (ვეინახები). 1751 წელსაც მოწვეული იქნენ ჩერქეზები, ოსები და სხვა მთიელები („მთების ქვეყნებიდან").

XVIII ს. ისტორიკოსის პაპუნა ორბელიანის ცნობით, 1754 წელს ნურსალბეგის ქართლ-კახეთში შემოჭრასთან დაკავშირებით თეიმურაზსა და ერეკლესთან ჩრდილო კავკასიიდან „ჩამოვიდნენ ანანურს ჯარი ჩერქეზისა, ყალმუხისა, ჯიქისა, ქ ი შ ტ ი ს ა, ღ ლ ი ღ ვ ი ს ა, ნოღისა და ოსისა. ამ ქვეყნების ჯარები თავ-თავის უფროსითა კაცითა იყვნეს... დააყენეს დიდუბეს, დააყენეს მემანდარნი და უბოძეს ულუფა კმა საყოფელად მათდა". როცა ამ ლაშქრის გასტუმრების საკითხი დადგა, „უბოძეს უფროსთა კაცთა ოქროსა და ვერცხლის იარაღნი და ლარნი ტურფანი და ჯარისკაცთა ყოველთა მისცეს თვის-თვისად შესაფერნი ლარნი და იარაღნი... აღავსეს ეს ჯარები საბოძვრითა და გაისტუმრეს ქვეყანათა თვისთა. მისცეს პირობა მეფეთა ჩვენთა: „როდესაც ბრძანება თქვენი მოგვივიდეს, ვითა ყმანი ეგრე სწრაფად შეგეყარნეთო და თქვენსა სამსახურებში დავიხოცნოთო".

რუსეთ-თურქეთის 1769—74 წ. ომში ერეკლე II და სოლომონ I ჩაებნენ. კაპიტანი ლვოვი ბრაფ პანინს 1773 წ. 8 ნოემბრის მოხსენებაში სწერდა, რომ ერეკლესთან ინგუშებიც იყვნენ.

ქისტების რაზმი ჰყავდა ერეკლეს 1778 წელსაც, ერევანზე ლაშქრობის წინ.

ნ. დუბროვინის ცნობით, ომარხან ავარიელის 1785 წლის შემოსევასთან დაკავშირებით ერეკლესთან 1784 წ. 20 სექტემბერს იმყოფებოდა 400 ოსი და ინგუში მეომარი.

ერეკლე II თავის წერილში პოტიომკინისადმი 1784 წ. ნოემბერს აღნიშნავს, რომ „რათგან ყოველთვის როცა დამჭირნეობა გვქონი ამ გვარს დროებში ჯარისა, ყოველთვის ჩერქეზებიდამ, ოსეთიდამ და ინგუშიდამ ჯარი დაგვიბარებია, ახლაც იმისათვის დავიბარეთ და წიგნები მივწერეთ და მოველი რომ თქვენმა მაღალმსველელობამაც ნება მისცეს იმათ, რათგან დია დამჭირნეობა გვაქვს ჯარისა ზემოხსენებული მიზეზებით (სულეიმან ფაშას მტრობისა და მის მიერ ლეკების გამოყვანის გამო — გ. თ.)".

დაცულია ერეკლე II სიგელები ქისტ ბალდუკ ჩიჩისშვილისადმი (1786 წ.), ღლიღვების ალხაზ და შოლუღ ჩიჩისშვილებისადმი. პირველში ის ანახლებს ჯამაგირს, რომელიც ბალდუკს ერთგული სამსა-

სურისათვის ყოველწლიურად უნდა მიეღო. ასეთი ჯამაგირის წიგნები სხვებსაც ჰქონდათ და მათი მეშვეობით ქართლ-კახეთის პოლიტიკური მესვეურები საჭიროებისას სამხედრო ძალას ღებულობდნენ.

1791 წ. ერეკლე გაბრიელ ყაზიბეგიშვილს წერს წერილს, რითაც ავალებს, რომ უზრუნველჰყონ თაგაურების, ა ნ გ უ შ ტ ი ნ ე ლ ე ბ ი ს, ქ ი ს ტ ე ბ ი ს, ღ ლ ი ღ ვ ე ბ ი ს და „ჩეჩენს აქეთ“ ხალხის მომზადება და გადმოსვლა საქართველოში სამხედრო მიზნით. დაქირავებულ ჯარს ულუფა და ქირა ეძლეოდა მთელი იმ ხნის მანძილზე, რა ხნითაც ისინი აქ იქნებოდნენ.

ამრიგად, XVIII ს. ვეინახების ქართლ-კახეთთან ურთიერთობის მოყვანილი ფაქტების საფუძველზე შემდეგი დასკვნები შეიძლება გაკეთდეს:

1) ქართლ-კახეთი იყენებს ვეინახებს თავის თავდაცვით ბრძოლებში უცხო დაპყრობელთა წინააღმდეგ.

2) ვეინახების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები განსაზღვრული ზომით, მიმართული იყო ქართლ-კახეთისაკენ, რაც განაპირობებდა მათ მონაწილეობას მის პოლიტიკურ აქციებში. სამაგიეროდ ისინი ქირას, საჩუქრებს და ნადავლს ღებულობდნენ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვეინახების ქართლ-კახეთთან ურთიერთობაში ადგილი ჰქონია არამშვიდობიან ურთიერთობასაც, რაც გამოიხატებოდა ქართველ მთიელებზე თავდასხმებში საქონლისა და ტყვეებისათვის. ასეთივე თავდასხმებს ეს უკანასკნელნიც მიმართავდნენ. ეს მოვლენა ფართოდ აისახა ორივე მხარის ხალხთა ფოლკლორში. ამ ფოლკლორული მასალების საფუძველზე შეიქმნა ისეთი ბრწყინვალე პოეტური ნაწარმოებები, როგორიცაა ვაჟა-ფშაველას პოემები „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, თუშური ბალადა თინა ფარსმელის შესახებ.

XVIII ს. გრძელდებოდა ვეინახთა ინფილტრაცია კავკასიონის გადმოღმა ადგილებში. ბაცბები ანუ წოვა-თუშები, მოგვიანებით პანკისელი ქისტები, ეს არის მოსახლეობის დიდი ჯგუფების გადმოსახლება. დროთა განმავლობაში მოხდა მათი კულტურულ-ეთნოვრაფიული ასიმილაცია ქართველი ხალხის მიერ. ეთნიკური გაცვლა-გამოცვლა ანუ მიმოქცევა კავკასიის მთიანეთისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა და ეს ამ რაიონშიც კარგად ჩანს. ვეინახებში გვხვდება ქართული წარმოშობის გვარები და პირიქით.

კ უ ლ ტ უ რ ა. ვეინახების მატერიალური და სულიერი კულტურის შესახებ XVIII ს-ში სისტემატური ცნობები არა გვაქვს. ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათებით ვეინახებით დასახლებულ ადგილთაგან

ქისტეთი არის „დაბნებიანი, შენობიანი“, ძურძუკი — „შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანი“. სუნჯის ხეობა ღლიღვეთი ასევე არის „დაბნებიანი, შენობიანი“.

ამ დახასიათებიდან, ასევე სხვა მონაცემებიდანაც ჩანს, რომ ვეინახები მსხვილ დაბებში ცხოვრობდნენ. ასეთი დაბები სხვადასხვა გვარებისაგან შედგებოდა. თითოეული გვარი ცდილობდა კოშკი ჰქონოდა, რომელსაც თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა. გავრცელებული იყო ციხესახლებიც. როგორც საცხოვრებელი, ასევე საფორტიფიკაციო ნაგებობანი ქვიტკირისაგან შენდებოდა.

ინგუშური არქიტექტურიდან ყველაზე დამახასიათებელი და ორიგინალური არის კოშკები. ისინი გარეგნულად ძალიან წააგავს ოსურ აკლდამებს და ანალოგიები მოეძებნებათ საქართველოს მთიანეთში, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში.

ვახუშტი მოკლედ აღნიშნავს, რომ ქისტ-ძურძუკ-ღლიღვები თავის ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო პირობებით არის „ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი. ეგრეთვე კაცნიცა რჯულითა, სარწმუნოებითა, ზნითა, ქცევითა, ჩვეულებითა სცან ოსთაებრ. არამედ აქუსთ ენა თვისი საკუთარი და ქალნი ეოსილნი სხვებრ. არცა უწყიან კვლა და მესისხლეობა ურთიერთა, გარნა თუ შეიმთხვეს, მოხუცებულთა მათთა განბრჭობითა ზავ ჰყოფენ“.

ვახუშტის აღწერის მიხედვით ვეინახების რელიგია წარმოგვიდგება წარმართობის, ქრისტიანობისა და სუნიტური მაჰმადიანობის სახით. მაჰმადიანობა ჩეჩნებში ამ დროს გაბატონებული იყო, აქედან ინგუშებშიც ვრცელდებოდა, მაგრამ ქრისტიანობის გადმონაშთები ჯერჯერობით ძლიერი იყო. ამ გადმონაშთების გააქტივება-გაძლიერებას და ამ გზით ინგუშებზე რუსეთის გავლენის განმტკიცებას ენერგიულად ცდილობდა ოსეთის სასულიერო კომისია, რომელიც XVIII ს. 40-იან წლებში რუსეთის მთავრობამ საქართველოდან გადახვეწილი ქართველი სასულიერო პირებისაგან შექმნა. მათი მოღვაწეობის შედეგად ინგუშებში ქართული ენისა და დამწერლობის ელემენტების გავრცელება გააქტიურდა. ყაბარდოელი ფეოდალები და მოლები ხელს უშლიდნენ კომისიის საქმიანობას.

ვეინახებში მტკიცედ იყო დაცული სტუმარმასპინძლობის ადათი, მოხუცებულთა პატივისცემა, რომელთა მეშვეობით ხდებოდა სასიძოლო და სხვა საქმეების გადაწყვეტა.

ვეინახები XVIII საუკუნეებშიც უდამწერლობო ხალხად რჩებოდნენ, მაგრამ მათ შექმნეს მდიდარი ფოლკლორი, რომელშიც აისახა მათი ცხოვრების მრავალი მხარე.

ინტენსიური იყო მათი კულტურული ურთიერთობა კაზაკებთანაც. რომელთაგან ბევრი რამ აითვისეს, ისევე როგორც პირუკუც.

ვეინახების მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარება მიმდინარეობდა ქართველებთან, ოსებთან, კაზაკებთან, ყაბარდოელებთან და დაღესტნელებთან მჭიდრო ურთიერთობის პირობებში.

§ 6. დაღესტანი XVIII ს.

XVIII საუკუნის დაღესტანი მსგავსად წინარე საუკუნეებისა მდ. თერგიდან სამხრეთით მდ. სამურამდე და კასპიის ზღვიდან დასავლეთით საქართველოს საზღვრებამდე იყო გადაჭიმული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის კახეთის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც ე. წ. ჭარ-ბელაქანი ფაქტიურად უკვე მასთან იყო შეერთებული.

XVIII—XIX საუკუნეების წყაროების შეჯერებით, შეიძლება ითქვას, რომ მისი მოსახლეობა დაახლოებით 450—500 ათასს სულს შეადგენდა.

შინაფეოდალურმა და საგარეო ომებმა, მართალია, რამდენადმე შეაფერხეს დაღესტნელთა სამეურნეო განვითარება, მაგრამ მათ იგი საერთოდ არ შეუწყვეტიათ. შედარებით მშვიდობიანობამ ნაწილობრივ XVII ს. დასასრულიდან XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე და ნაწილობრივ კი ნადირ-შაჰის შემოსევების შემდეგ თითქმის საუკუნის დამლევამდე, დაღესტნის ეკონომიკა საკმაოდ გამოაცოცხლა და იგი ამასთან ერთად უფრო მრავალდარგობრივიც გახადა. თუმცა სამეურნეო ცხოვრების წამყვან დარგებად კვლავინდებურად მიწათმოქმედება და მესაქონლეობა დარჩა.

დაღესტნელებმა ხორბალთან და ქერთან ერთად საკმაო ადგილი დაუთმეს აგრეთვე ბრინჯის, სიმინდისა და სხვა კულტურების წარმოებას. განვითარდა მებაღეობა, მევენახეობა და მებოსტნეობაც. ასე რომ, დაღესტნელები წინარე საუკუნეებთან შედარებით მიწათმოქმედების პროდუქტებით თავის საშინაო მოთხოვნილებებსაც უფრო იკმაყოფილებდნენ და ამასთან ერთად გარკვეულ ნაწილის გატანასაც კი ახერხებდნენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ, მაგალითად, ყიზლარში.

აღნიშნულ საუკუნეში მესაქონლეობაშაც შეინარჩუნა წამყვანი როლი და ისიც მიწათმოქმედებასთან ერთად არანაკლებ დაწინაურდა.

განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია დაღესტანში სამთო მრეწველობამ. დაღესტნელები უხვად იპოვებდნენ სპილენძს, ტყვიას, ვერცხლს, გოგირდსა და გვარჯილას. თითქმის გაორმაგდა მარილის მოპოვებაც.

შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარებამ აღნიშნულ საუკუნეებში კიდევ უფრო გააღრმავა ცალკეული სოფლებისა თუ რაი-

ონების სპეციალიზაცია ამა თუ იმ ხელოსნური ნაწარმის დამზადებისას და კიდევ უფრო გაადიდა მის შესაბამისად მაღალხარისხოვანი ნაწარმის გატანა საგარეო ბაზარზე. სპეციალიზაცია ამასთან წავიდა ისეთი მიმართებით რომ ერთი როელიმე სამკაულისა თუ იარაღის შექმნისას მის ცალკეულ ნაწილებს ამზადებდა რამდენიმე ხელოსანი-პროფესიონალი.

მიუხედავად სამეურნეო საქმიანობის საერთო აღმავლობისა, დაღესტნელთათვის გარეთ საშოვარზე წასვლა მაინც შემოსავლის ერთ მნიშვნელოვან წყაროდ რჩებოდა. ასე, მაგალითად, მათი ერთი ნაწილი დროებით სამუშაოდ მიდიოდა ბაქოში, შემახაში, ყიზლარში, ნუხაში, მოზდოკში და ქართლ-კახეთის სხვადასხვა ქალაქ-სოფლებში. ხოლო ერთი დიდი ნაწილი კი მეზობელ მხარეთა მმართებლების სამხედრო სამსახურში დგებოდა. ასე იყვნენ ისინი, მაგალითად, ყუბელ ფათალი ხანთან, ყარაბაღელ იბრაგიმ-ხანთან, ერეკლე II, გიორგი XII და სხვ. ისინი ასე რიგად ექირავებოდნენ აგრეთვე თურქ ფაშებსა და სპარსელ ხანებსაც.

XVIII ს. დაღესტნის ეკონომიკის განვითარებამ მის საშინაო და საგარეო ვაჭრობასაც მეტი გასავალი მისცა. ასე, მაგალითად, საგრძნობლად გაფართოვდა ვაჭრობა ამიერკავკასიასა, ჩრდილო-კავკასიასა, რუსეთთან და მახლობელ-აღმოსავლეთის ქვეყნებთან. დაღესტნიდან უმეტესად გადიოდა საქონელი და მესაქონლეობის პროდუქტები — ტყავი, მატყლი, ყველი, კარაქი და სხვ. მშრალი ხილი, ენდრო, სხვა დასხვა კუსტარული ნაწარმი და სხვ. შემოჰქონდათ ბრინჯი, პური, რკინა, ფერადი ლითონები, ქსოვილები, ბამბეული, ჩითეული, აბრეშუმის ძაფი, სარკე და სხვ.

XIII ს. დაღესტანში ადგილი ჰქონდა მონათა ვაჭრობასაც. მონათვაჭრობის ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრები იყო დერბენტი, ტარკი, ენდერი და სხვ.

მიუხედავად ვაჭრობის საერთო განვითარებისა XVIII ს. დაღესტანში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა მაინც დაბალ დონეზე იყო. საშინაო და საგარეო ვაჭრობას დიდად უშლიდა ხელს მეურნეობის ნატურალური ხასიათი, ხშირი ომიანობა, კარგი კეთილმოწყობილი სამიმოსვლო გზების უქონლობა და ფეოდალური თითქმის განუსაზღვრელი ბაჟები. ასე, მაგალითად, ვაჭარს ყიზლარიდან დერბენტამდე თავის საქონელში სულ მცირე 4—5-ჯერ მაინც უნდა გადაეხადა ბაჟი.

XVIII ს. საწარმოო ძალებისა და ამის შესაბამისად წარმოებითი ურთიერთობათა შემდგომი განვითარების წყალობით დაღესტნურ საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაცია უფრო ღრმად წავიდა — ანტაგონისტური კლასების უფრო რელიეფურად ჩამოყალიბებისა და თვითეულ მათგანში გარკვეული სოციალური კატეგორიების გა-

ფორმების თვალსაზრისით. ფეოდალური იერარქიის სათავეში იმჯერადაც შამხლები, ხანები და უცმიები იდგნენ, რომლებიც უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენდნენ თავიანთ სამფლობელოებში. მათ შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვან და ძლიერ წოდებას შეადგენდნენ ბეგები, რომელთა ერთი ნაწილი შამხლების, ხანებისა და უცმიების შთამომავალნი ან უახლოესი ნათესავნი იყვნენ, ხოლო მეორე ნაწილი კი თავის წარმოშობას მათზე ადრე მიიჩნევდნენ. ბეგების ხელში იყო მოქცეული სახნავ-სათესი და საძოვარ-სათიბი მიწების დიდი რაოდენობა. მათ ამასთან ერთად გარკვეული წილიც ჰქონდათ სათემო მიწების განაწილებისას და სხვ. ბეგების ძირითად მოვალეობას სამხედრო სამსახური შეადგენდა.

ბეგების მომდევნო წოდებას მსხვილ ფეოდალთა უკანონო ქორწინების შედეგად შობილი პირები ჩანკა-ბეგები წარმოადგენდა. ჩანკა-ბეგი „მამისეულ" სიცოცხლეში იღებდა მიწის გარკვეულ ნაწილს — „ჩანკა-პაის" მემკვიდრეობით მფლობელობაში და ამაზე დაყრდნობით ეწეოდა იგი აქ მოსახლე ყმა გლეხთა ექსპლოატაციას.

ფეოდალური იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურს სალა-უზდენები ანუ პირველხარისხოვანი აზნაურები შეადგენდა. სალა-უზდენების ფენა ფეოდალური იერარქიის ძირითად საყრდენს წარმოადგენდა.

გაბატონებულ კლასს განეკუთვნებოდა აგრეთვე მუსლიმანური სასულიერო წოდება მოლების, ყადიებისა და ბუდუნების სახით, რომლებიც მეტნაკლები უფლებებით სარგებლობდნენ და რომლებიც ამასთან ერთად მიწის არანაკლებ ფეოდალურ მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ.

დაღესტნური საზოგადოების ძირითადი მწარმოებლური მასა ეს პირადად თავისუფალი გლეხობა-უზდენები იყვნენ. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთისა და მთისძირობა რაიონების უზდენები ძირითადათ ორ კატეგორიად იყოფოდნენ; ასე, მაგალითად, ერთი მხრივ კატეგორია საერთო მასიდან დაწინაურებულებისა, რომლებიც მეტნაკლები რაოდენობითა ფლობდნენ მიწის ნაკვეთებს, თანამდებობებსა და ამასთან ექსპლოატაციასაც უწევდნენ სხვის შრომას, ხოლო მეორე მხრივ კი იმათი, რომლებიც საერთოდ უბრალო მასას შეადგენდა. მაღალმთიან რაიონებში უზდენები, მიუხედავად მიწის მფლობელობისა და მათ მიერ დაკავებული თანამდებობებისა, ერთმანეთისაგან განცალკევებულად რამდენიმე კატეგორიად მაინცდამაინც არ იყოფოდნენ. სულ სხვა მდგომარეობა იყო ველის რაიონებში, მაგალითად, ყუმიკეთში. ამ უკანასკნელში უზდენები, რომლებიც იურიდიულად პირადად თავისუფალნი იყვნენ, ფაქტიურად ფეოდალურ დამოკიდებულებაში იყვნენ მოქცეულნი და ძირითადად სამ კატეგორიად იყოფოდნენ. ასე, მაგალითად,

ებრალო ანუ მეორეხარისხოვან უზდენებად, დოგერეკ-უზდენებად და აზატ-უზდენებად.

ექსპლოატირებულ მასაში ყველაზე დაბლა იდგნენ ყმები-ჩაგარები, რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი უფლება არც მოძრავ ქონებაზე და მით უფრო წარმოებით საშუალებებზე. ყმურ მდგომარეობაში იყვნენ აგრეთვე რაიატები. XVIII საუკუნეში კვლავაც განაგრძობდა არსებობას პატრიარქალური მონობა, მაგრამ მონობის კატეგორიას ახლა თითქმის მთლიანად უცხოელი ტყვეები შეადგენდნენ.

XVIII ს. სათემო კავშირებშიც გარკვეული კლასობრივი დიფერენციაცია არსებობდა, მაგრამ საკმაო განსხვავებულობით. ასე, მაგალითად, მთელ რიგ თემთა კავშირებში იყვნენ შამხლებისა და ხანების შთამომავლები, ბეგები, ჩანკა-ბეგები, მაგრამ იყო ისეთი თემთა კავშირებიც, სადაც მთელი მისი მოსახლეობა იურიდიულად თავისუფალ უზდენებს შეადგენდა. მცირეოდენი სოციალური დიფერენციაციით.

XVIII საუკუნის დაღესტანიც კვლავინდებურად რამდენიმე მსხვილ, წვრილ და უმცირეს პოლიტიკურ ერთეულებად იყო დაქუცმაცებული. შედარებით მსხვილ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ ენდერის, აქსაისა და კოსტეკის გაერთიანებები, ტარკის საშამხლო, კაიტაღის საუცმიო, ტაბასარანის სამაისუმო, მეხტულის, ავარიის, დერბენტისა და ყაზი-ყუმუხის სახანოები. ამათ გარდა იყო კიდევ 60-მდე ავარულ, დარგიულ და ლეზგიურ სასოფლო თემთა კავშირ-გაერთიანებები, რომელთა შორის თავის სიძლიერით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ისეთი სასოფლო თემების კავშირები, როგორებიც იყო, მაგალითად, აკუშა-დარგო, სალატავი, გუმბეტი, ხინდატლი, კოისუბუ, ანდალალი, გიდატლი, მუკრატლი, კარახი, ახვახი, დიდო, ტომსი, კუიადა, ანტლ-რიტლი, ხვარში, ბოგულალი, ჩამალალი, უნკრატლი, ტეხნუცალი, ჩარბილი, ტლოხი, ახტ-პარა, დოკუზ-პარა, რუთული და სხვ. აღნიშნული სასოფლო თემების კავშირები და ე. წ. „საზოგადოებები" თავისთავში აერთიანებენ საშუალოდ 20–25 აულსა თუ სოფელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგი ასეთი სასოფლო თემთა კავშირებისა ფეოდალთა მძლავრების შედეგად ნაწილობრივ კიდეც იყო მოქცეული ამ ფეოდალთა გავლენის ქვეშ და უხდიდნენ მათ გარკვეულ გადასახადს როგორც სახხავ-სათესი მიწით, ასევე საძოვარ-სათიბებით სარგებლობისათვის. განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ატარებდა ბრძოლა ფეოდალებსა და სასოფლო თემთა კავშირებს შორის. ძძიმე ფეოდალური ექსპლოატაცია არანაკლებ ამწვავებდა მდგომარეობას გაბატონებულ კლასსა და უშუალო მწარმოებლებს შორის. კლასობრივი ბრძოლის ყველაზე გავრცელებული ფორმა ყმა გლეხთა

აყრა და გაქცევა იყო. ეს უკანასკნელნი მაღალმთიან რაიონებში ცალკე სოფლებს აარსებდნენ და ამდენად ერთგვარ თავისუფლებას აღწევდნენ. უფრო ხშირად კი ისინი რუსეთის მოსაზღვრე რაიონებში გარბოდნენ და იქ რუსულ ციხე სიმაგრეებთან სახლდებოდნენ. განსაკუთრებით გაინტენსიურდა ასეთი აყრა-გაქცევა და დასახლება XVIII ს. შუა ხანისათვის. ასე, მაგალითად, 1752 წელს მდ. სულაკის გაღმამხრის ყუმიკეთში, რომელიც იმ ხანად რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. კაიტაღიდან 1000 ოჯახამდე გადასახლდა. XVIII ს. 70—80-იან წლებში დაღესტნის მთავრები მეფის რუსეთს დაჟინებითა სთხოვდნენ. გაქცეული გლეხები უკლებლივ დაებრუნებია, რის საფასურადაც რუსეთის მფარველობაში თავიანთ მესვლასაც კი სთავაზობდნენ.

XVIII საუკუნეში წინა საუკუნეებთან შედარებით უფრო ფართო ხასიათი მიიღო კლასობრივი ბრძოლის ისეთმა ფორმამ, როგორიც შეიარაღებული აჯანყება იყო; ამ მხრივ აღსანიშნავია 1736 წელს ყუბელებისა და ლეზგების, 1779 წელს ენდერისა და 1795 წელს საშამხლოს სოფ. გუბდენის გლეხობის აჯანყებები. მსგავს აჯანყებებს, მაგრამ შედარებით მცირე მასშტაბით, ადგილი ჰქონდა აგრეთვე დაღესტნის სხვა რაიონებშიც. ასე, მაგლითად, ყიზიყუმუხის სახანოში სოფ. ტულიზმაში, ტაბასლში, უნჩუკატლში და კარაშში, ავარიის სახანოში და და სხვ. რუთულის საზოგადოებაში საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ ყმა გლეხებმა სანდუსარიარების გაბატონებული გვარის წარმომადგენლები სანადიმოდ დაპატიჟეს და შემდეგ თითქმის ყველა ცეცხლში ამოწვეს.

XVIII ს. პირველ მესამედში დაღესტანი რუსეთ-ირანისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ორბიტაში მოხვდა. მოყოლებული 1707 წლიდან თურქეთი და მისი ვასალი ყირიმის სახანო დაჟინებით ცდილობდნენ ადიღე-ჩერქეზეთის, ყაბარდოსა და დაღესტნის ხელში ჩაგდებას, რაც მათ ერთი მხრივ საშუალებას მისცემდა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის, ხოლო მეორე მხრივ კი ასეთივე ბრძოლისათვის ირანის წინააღმდეგ. მართალია, ირანმა თავის დერბენტელ მმართველებს სპეციალური განკარგულებები გაუგზავნა თურქეთ-ყირიმხანის წინააღმდეგ დაღესტნის სხვა მთავრებისა და ხანების თავისთან მომხრობისათვის, მაგრამ თვით ირანის შიგნით შექმნილი კრიზისი მის განხორციელებას მეტად არარეალურს ხდიდა. ამიტომაც ამხანად აღმ. კავკასიაში ფაქტიურად თურქეთისა და რუსეთის ინტერესები შეეჯახნენ. ასეთ სიტუაციაში კი დაღესტნის მთავრების ნაწილი თურქეთ-ყირიმხანს მიემხრო, ნაწილი კი რუსეთს. ასე, მაგალითად, რუსეთის მხარეზე აღმოჩნდნენ ტარკის შამხალი ადილ-გირეი, კაიტაღის უცმი, აქსაის, კოსტეკის და სხვა გაერთიანებათა მთავრები, რომელთა სამფლობელოები რამდენადმე ემიჯნებოდნენ რუსეთისას

და ამასთან ჰქონდათ ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობები თერგქალაქთან, ასტრახანთან და რუსეთის სხვა მრავალ ქალაქთან. ირანის ხვედრითი წონა საერთო კავკასიურ პოლიტიკაში კიდევ უფრო იმიტომ შემცირდა, რომ დაღესტნის სამხრეთ-აღმოსავლეთი და მასთან ერთად თითქმის მთელი აზერბაიჯანიც ირანის საწინააღმდეგო აჯანყებამ მოიცვა ჯერ 1707—1712 წწ., ხოლო შემდეგ 1720—1721 წწ., რომლებმაც საფუძვლიანად შეარყიეს სეფევიდების გავლენა.

შექმნილ სიტუაციაში პეტრე I თურქეთ-ყირიმხანისათვის დასწრება და კასპიისპირეთის პროვინციების შემოერთება სცადა. 1722 წლის ივლის-აგვისტოში პეტრე I დაღესტანში შემოვიდა და ჩქარა ბაქო-დერბენტიც იგდო ხელთ. 1722 წელს კარგად დაწყებული ლაშქრობა, მარცალია, პეტრემ მომავალ წელს მოშალა, მაგრამ ლაშქრობის შედეგები მაინც მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, რომლის მანუფაქტურული მრეწველობა აუცილებლად მოითხოვდა ისეთი ნედლეულით დაკმაყოფილებასაც, როგორიც იყო ნედლი აბრეშუმი, ბამბეული, სხვადასხვა მადნეული, ნავთობი და სხვ.

მიუხედავად კასპიისპირეთში ლაშქრობის მოშლისა, რუსეთმა ჯერ ირანთან პეტერბურგის 1723 წლის, ხოლო შემდეგ თურქეთთან 1724 წლის კონსტანტინეპოლის საზავო ხელშეკრულებით შეძლო კასპიისპირეთის დაღესტნური და აზერბაიჯანული პროვინციების თავისთან შეერთება, განსაკუთრებით დერბენტისა და შემახას მიმდგომი რაიონები. შემოერთებული მხარის უკეთ ათვისების მიზნით რუსეთმა რამდენიმე ციხე-სიმაგრე ააგო, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი 1724 წელს აგებული „სვიატოი კრესტი" იყო, რომელშიც ფაქტიურად გადაინაცვლა შემდეგ თერგქალაქმა. ჩქარა „სვიატოი კრესტის" ახლო მიდამოებში დასახლდნენ სომხები, რუსები, დონელი კაზაკები და კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა ხალხები. შამხალ ადილ-გირეის „სვიატოი კრესტი" მთლად არ აწყობდა და იგიც რამდენჯერმე შეეცადა მის მოშლას, მაგრამ თვით დაღესტნის რიგი მთავრების მხარდაჭერით რუსეთმა შეძლო მისი შენარჩუნება და ამდენადვე თავისი გავლენის გაზრდაც. პირველი შედეგი ის იყო, რომ ერთი-მეორეზე მიყოლებით დაღესტნის დიდ ქალაქებში ტარკსა, ენდერსა და აკსაიში გაჩნდნენ რუსული სავაჭრო რიგები, ხოლო საერთოდ კი დაღესტანი რამდენადმე თავდაცული აღმოჩნდა თურქეთ-ყირიმხანის აშკარა ხელყოფისაგან.

XVIII ს. 30-იან წლებში ირანის მომძლავრებამ ძალთა თანაფარდობა კვლავ შეცვალა კავკასიაში. ირანის ფაქტიური მმართველის ნადირის მიერ თურქეთის დამარცხებამ და 1733 წელს ბაღდადის საზავო ხელშეკრულებამ ირანს თითქმის კვლავ დაუბრუნა თურქეთის მიერ კავკასიაში წართმეული ტერიტორიები, თუმცა აქვე უნდა აღი-

ნიშნოს, რომ მათ გარიგებას არც თუ ისე ადვილად იღებდნენ ადგილობრივი პოლიტიკური ძალები.

რაც შეეხება პეტრე პირველის მონაპოვარს კასპიისპირეთში, ირანმა ჯერ 1732 წელს რეშტის, შემდეგ კი 1735 წელს განჯის ხელშეკრულებით ფაქტიურად კვლავ შეძლო თავისი გავლენის ქვეშ მოექცია ჩრდილო აზერბაიჯანი და დაღესტნის ზღვისპირა რაიონები. ასე რომ 13 წლის ყოფნის შემდეგ რუსეთი იძულებული იყო ზემოაღნიშნული ტერიტორიები ირანისათვის დაებრუნებია. დაიწყო ირანის სასტიკი მომძლავრება ამიერკავკასიაში და განსაკუთრებით კი დაღესტანში, რამდენადაც ირანის მმართველ წრეებს მიაჩნდათ, რომ დაღესტანში გაბატონების გარეშე შეუძლებელი იყო საერთოდ მთელს ამიერკავკასიაშიც გაბატონება. ამ მხრივ აღსანიშნავია 1741—1743 წლების პერიოდი, როდესაც დაღესტნის ცეცხლითა და მახვილით დაპყრობას უშუალოდ ნადირ-შაჰი ხელმძღვანელობდა. გამარჯვების შემთხვევაში შაჰი დაღესტნელთა აყრასა და მათ ირანის შიდა პროვინციებში გადასახლებას აპირებდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ბოლოს ბოთიელთა გამარჯვებით დამთავრდა და იმდროინდელი „სამყაროს რისხვა" ნადირ-შაჰი იძულებული შეიქმნა დაღესტანს გასცლოდა. დაღესტნელ ხალხთა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ თავგამოდებულ და წარმატებით ბრძოლას ობიექტურად ხელი შეუწყო აგრეთვე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ბრძოლამაც ირანის გაბატონების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მორალურ მხარდაჭერასაც იმის გარდა, რომ რუსეთმა შაჰს უარი განუცხადა დაღესტანზე ერთობლივ ლაშქრობაში მონაწილეობაზე.

1747 წელს ნადირ-შაჰი შეთქმულების მსხვერპლი შეიქნა და მის მიერ შეკოწიწებული სახელმწიფო მაშინვე დაიშალა. კავკასიის ხალხებისათვის შედარებით შვიდობიანი ხანა დადგა, რამაც ცხოველმყოფელი გავლენა იქონია თვით ამ ხალხებს შორის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე. განსაკუთრებით ეს ისეთ საქალაქო და საავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში შეიმჩნეოდა, როგორიც იყო, მაგალითად, ბაქო, დერბენტი, შემახა, ნუხა, ყუბა, კაბალა, შუშა, განჯა, შაქი, ყიზლიარი, ასტრახანი, მოზდოკი, თელავი, თბილისი, სუხუმი, ფოთი, ბათუმი, კუბაჩი, კუმუხი, ტარკი, ენდერი, ბრაგუნი, აქსაი, კოსტეკი და სხვ.

კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის გვერდით დროდადრო ადგილი ჰქონდა აგრეთვე შედარებით გამწვავებულ პოლიტიკურ ურთიერთობებსაც, რამდენადაც იგივე დაღესტანი, აზერბაიჯანი, ყაბარდო, საქართველო და სხვ. თავის მხრივ წარმოადგენდნენ ერთი მხრივ, ფეო-

დალურად დაქუცმაცებულ და ცალკე ერთეულებს ან გაერთიანებებს. ხოლო მეორე მხრივ კი ნახევრად დამოკიდებულ ფეოდალურ სახელმწიფოებს, რომელთა მმართველები თუ მფლობელები დროისა და ძალის შესაბამისად ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელოების გაფართოებას, რაც თავის მხრივ, რასაკვირველია, იწვევდა თითქმის გაუთავებელ ურთიერთთავდასხმებს. ამ მხრივ XVIII ს. მეორე ნახევარში განსაკუთრებით გამოირჩეოდა დაღესტნური გაერთიანებების—ტარკის საშამხლოს, მეხტულის, დერბენტის, ავარიისა და ყაზიყუმუხის სახანოების, ტაბასარანის სამაისუმოსა და ყაიტაღის საუცმიოს დამოკიდებულება აზერბაიჯანულ ფეოდალურ გაერთიანებებთან, პირველ რიგში ყუბის, ყარაბაღის, შაქის, ნუხისა და სხვ. სახანოებთან.

ამ გააფთრებულ ფეოდალურ ომებში რუსეთი უმეტესად ყუბის ძლიერ სახანოს უჭერდა მხარს, რამდენადაც იგი რუსეთის ორიენტაციაზე იდგა და იგი რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო, ერთი მხრივ, დაღესტნის ფეოდალებზე ზემოქმედებისათვის, ხოლო მეორე მხრივ კი თურქეთისა და ირანისათვის აღმოსავლეთ კავკასიაში გზის მოსაჭრელად. მაგრამ რუსეთი ამ ორი მხარის მშვიდობიან მორიგებასაც ცდილობდა. ასე იყო, მაგალითად, 1776 წელს, როდესაც ეისი ინიციატივით სოფ. დერბში ორგზის მოხერხდა ყუბის მმართველის ფათალი-ხანის შეხვედრა შამხალ მურთუზალისთან, ბოინაკელ ბამატთან, უცმ ამირ-გამზასთან, მაისუმ რუსტამთან, ყაზიყუმუხელ მაჰომედ-ხანთან და სხვ. მაგრამ, როგორც წესი, ასეთი შეთანხმებებით მიღწეული მშვიდობა მეტად პირობითი იყო და იგი სულ მალე ირღვეოდა. გამწვავებული იყო აგრეთვე ურთიერთობა ქართლ-კახეთსა და ავარიის სახანოს შორის, რომლის მდგომარეობა სტრატეგიულად კიდევ უფრო იმით იყო მოხერხებული, რომ თითქმის მთლიანად მის გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ჭარ-ბელაქანი, კახეთის ყოფილი ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე, რომელიც წახურ-ავარული „ლეკებისაგან“ ძირითადად XVII ს. 80-იან წლებიდან, ვიდრე XVIII ს. 20—30-იან წლებამდე იქნა დასახლებული.

თურქეთის წაქეზებით დაღესტნელ ფეოდალთა თავდასხმებს შორის საქართველოზე აღსანიშნავია 1752—1753 და 1755 წლებში ავარიის ხანის ნუცალის თავდასხმები, ხოლო 1785 წ. და შემდეგ კი ომარ-ხანისა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ქართლ-კახეთის მეფეები თეიმურაზი და ერეკლე აკლებდნენ ხელს დაღესტნურ ფეოდალურ გაერთიანებებს, ხოლო იყო ისეთი მომენტებიც, როდესაც ერეკლე და სოლომონ იმერთ მეფე ცალკეულ „ლეკურ“ რაზმებს არცთუ წარუმატებლად იყენებდნენ თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ ბრძოლებში.

XVIII ს. შუახანებისათვის მდგომარეობა ჩრდილო კავკასიაში დაიძაბა კავკასიაში თურქეთის აგრესიის მზადებასთან დაკავშირებით. თურქეთ-ყირიმხანი არცთუ უიმედოდ ვარაუდობდა დაღესტნის დაპყრობას. რუსეთი, რომელსაც არანაკლები ინტერესები გააჩნდა დაღესტნის მიმართ, საათანადო მზადებას შეუდგა. საქმე ისაა, რომ რუსეთის მიერ დასახული ე. წ. „სპარსული ვაჭრობა", რომელიც ძირითადად კასპიის ზღვის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო, პირველ რიგში დაღესტანს მოიცავდა და შემდეგ კი ამიერკავკასიასა და შუა აზიის მხრივ კასპიისპირეთის პროვინციებს. ასტრახან-დერბენტ-ყიზლიარი და ასტრახან-დერბენტ-ბაქო, შეიძლება ითქვას, ამ ხანისათვის რუსეთისათვის უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ არტერიებს წარმოადგენდნენ და, რასაკვირველია, თურქეთ-ყირიმხანის სწრაფვას მათ ხელში ჩასაგდებად რუსეთი მთლად გულგრილად ვერ შეხვდებოდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ყიზლარის გაძლიერება და ე. წ. ყიზლარის ხაზის შექმნა ანუ დონელი კაზაკობის მიერ თერგის მარცხენა მხარეზე მთელი რიგი ციხე-სიმაგრის მსგავსი სტანიცების დაარსება — ბოროზდინის, დუბოვის, კარგალინის, ჩერვლენის, ნოვოგლადკოვის, შჩედრინის, კორდიუკოვისა და სტაროგლადკოვისა. 1763 წელს ჩაეყარა საფუძველი ისეთ დიდ ციხე-სიმაგრესაც როგორც მოზდოკი იყო.

1768 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც არცთუ ისე უმნიშვნელოდ შეეხო კავკასიას და მის მომავალ განვითარების ბედის საკითხსაც. ამ ომში, როგორც მოსალოდნელი იყო, რიგი დაღესტნური ფეოდალური გაერთიანებებისა და მუსლიმანური სასულიერო წოდების წარმომადგენლები ეჭიდროდ დაუკავშირდნენ თურქეთს, განსაკუთრებით, ისინი, ვინც დიდი მასშტაბით ეწეოდნენ ტყვე-მონებით ვაჭრობას. ერთ-ერთი ცდა თურქეთისა აემხედრებინა რუსეთის წინააღმდეგ ყაბარდო-დაღესტნისა და აზერბაიჯანის ხალხები, პრინციპში მარცხით დამთავრდა. 1774 ომი დამთავრდა თურქეთის დამარცხებით. ამავე წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა შეიერთა აზოვი, ქერჩი, ენიკალე, კინბურნი და დნეპრსა და ბუგს შორის მდებარე ტერიტორიები. ამავე ზავით ყაბარდო საბოლოოდ იქნა რუსეთთან შეერთებული, ხოლო ყირიმი დამოუკიდებლად გამოცხადდა. ამის შემდეგ რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა ე. წ. კავკასიის ხაზი მოზდოკიდან აზოვამდე, დაარსა რა ერთმანეთის მიყოლებით კაზაკური სტანციები ეკატერინოგრადის, პავლოვის, მარინის, გეორგიევსკის, ალექსანდროვისა და სხ. ამიერიდან რუსეთმა ნელ-ნელა, ფრთხილად დაიწყო ჩრდ. კავკასიაში თავისი კოლონიური პოლიტიკის გატარება.

ყირიმის რუსეთთან შეერთებამ და 1783 წელს კი რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამ ობიექ-

ტურად დიდი პროგრესული როლი შეასრულა კავკასიის ხალხებისათვის. დაღესტნის ფეოდალური გაერთიანებები 1787—1789 წლებში ერთიმეორის მიყოლებით შევიდნენ რუსეთის მფარველობაში. ასე, მაგალითად, ტარკის შამხალი ავარელი ომარ-ხანი, ენდერის, კოსტეკის, აკსაის ბატონები, ანდიელთა ე. წ. „თავისუფალი" საზოგადოება და სხვ. მფარველობაში მიღება მოითხოვეს აგრეთვე კაიტაღის უცმიმ, ყაზი-ყუმუხის ხანმა და ტაბასარანელმა რუსტემ ყადიმაც. მოვლენების ასე წარმართვა, რასაკვირველია, არ აწყობდა თურქეთს და მან დააჩქარა თავისი საომარი მზადება რუსეთის წინააღმდეგ. ამ გარემოებამ კი იმდენად იმოქმედა რუსეთზე, რომ მან თავი შეიკავა მთელი დაღესტნის შეერთებაზე, მით უფრო, რომ ინგლისი და საფრანგეთიც არც თუ წარუმატებლად უმხედრებდნენ ევროპისა და, ახლო აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებს.

მართალია, დაღესტნელი მთავრების განწყობა რუსეთისადმი იმდენად კეთილმყოფლური იყო, რომ გენერალ-მაიორი გორიჩი 1788 წელს იმედსაც კი გამოთქვამდა დაღესტნელთა შორის რუსეთის დასახმარებლად ჯარის შეგროვებაზეც, მაგრამ რუსეთმა მიუხედავად ამისა მაინც ამჯობინა თავის შეკავება. 1787 წელს დაიწყო რუსეთ-თურქეთის მეორე დიდი ომი. 1790 წელს თურქეთის სულთანის 30-ათასიანი არმია ბატალ-ფაშას სარდლობით ჩრდილო კავკასიაში შემოვიდა და ყიზლარისაკენ გაიჭრა, მაგრამ მდ. თოხთამიშთან სასტიკად დამარცხდა და უკუიქცა. ომი დამთავრდა 1791 წელს იასის ზავით. დამარცხებულმა თურქეთმა საბოლოოდ ცნო ქუჩუკ-კაინარჯის სახელშეკრულებო პირობები — ყირიმის, ყუბანისა და ბუგ-დნესტრს შორის მდებარე ტერიტორიების რუსეთთან შეერთება. თურქეთი ხელს იღებდა აგრეთვე საქართველოს მიმართ პრეტენზიაზე.

1793—1796 წლებში კავკასიის ხაზზე განმტკიცების მიზნით ეკატერინე II სპეციალური რესკრიპტით გაშენებული იქნა დამატებით კიდევ ექვსი სიმაგრე-სტანიცა ძირითადად კაზაკური მოსახლეობით. ასე, მაგალითად, შელკოვოდის, კავკასიის, უსტლაბინსკისა და სხვ. ნელ-ნელა მთელი კავკასიის ხაზზე მდებარე სტანიცების მახლობლად გარდა რუსი და უკრაინელი ხალხებისა დაიწყეს დასახლება აგრეთვე თვით კავკასიის ხალხებმაც — ყაბარდო-ბალყარლებმა, ჩეჩენ-ინგუშებმა, ყარაჩაელებმა, ოსებმა, დაღესტნელებმა, ქართველებმა, სომხებმა და სხვ.

XVIII საუკუნის დასასრულისათვის რუსეთმა თანდათან და თანმიმდევრულად დაიწყო თავისი მოქნილი კოლონიური პოლიტიკის გატარება. ასე, მაგალითად, ეკატერინე II კავკასიის გუბერნატორისაგან 1792 წელს მთიელების მორჩილებაში მოყვანას მოითხოვდა არა იარა-

ღის ხალითა, არამედ კეთილგონიერების, სამართლიანობისა და ძათი ნდობის მოპოვების გზით მოეგოთ მათი გული და შეეჩვიათ ისინი რუსებთან ახლო ურთიერთობისათვის. ალბათ ამის შედეგი იყო, რომ 1793 წელს რუსეთს სამუდამოდ ერთგულება შეფიცეს და ქვეშევრდომობა სთსოვეს ყუმიკელმა თავადებმა და ტარკის შამხალმა, შემდეგ დერბენტის მმართველმა შიხაი-ხანმა და სხვ.

კ ულ ტ უ რ ა. XVIII საუკუნეში დაღესტნის ხალხთა კულტურა კიდევ უფრო განვითარდა და გამდიდრდა.

წინა საუკუნეების დაღესტნურმა აულებმა დიდი ცვლილებები არც XVIII ს. განიცადეს.

რამდენიმე სართულებად ერთიმეორეზე შელაგებული ბანიანი სახლები, თავიანთი ეიკიბულ-მოკიბული ვიწრო გასასვლელებითა თუ ასასვლელებით, ნაგებობათა რთულ კოპლექსს წარმოადგენდა და მთლიანობაშიც ციხე-სიმაგრის საერთო შთაბეჭდილებასა სტოვებდა. ძირითადი საშენი მასალა კვლავაც ბზენარევი თიხის აგურები იყო და იშვიათ შემთხვევაში კი ქვა. ამ უკანასკნელით მხოლოდ მეჩეთები და დიდ მთავართა სარეზიდენციო სასახლეები იგებოდა. მაგალითად, ავარიის ხანისა — ხუნძახში, ყაზიყუმუხელი ხანისა — ყუმუხში, შამხლებისა — ტარკში დ სხვ. XVIII ს. ხუროთმოძღვრების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ფათალიხანის ცოლის თუთი-ბიკეს მავზოლეუმი, აგებული 1787—1788 წლებში.

სრულყოფის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ქვის, ლითონისა და ხის მხატვრული დამუშავების ხელოვნება. აღნიშნულ საუკუნეებში, განსხვავებით წინარე საუკუნეებთან, ქვაში გამოყენებულ და გაბატონებულ ე. წ. გეომეტრიულ ორნამენტს ცვლის მცენარეული ორნამენტი. ქვის დამუშავების ხელოვნებით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დერბენტი, ყუბაჩი, სუტბუკი, მულებკი, რუგუჯა, ჩოხი, კუითა და სხვ. ხის დამუშავებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დარგიელი, ლაკი და ავარიელი ხელოსნები.

XVIII ს. თავისებურ აყვავებას მიაღწია მხატვრულმა კერამიკამ, რომელშიც გამოირჩეოდნენ ბალხარი, სულევკენტი, ისპიგა. შეიქმნა დაღესტანში ლითონის დამუშავებისა და მზა ნაწარმის მოვარაყების ტექნიკა, როგორც საბრძოლო იარაღებისა, ისე საოჯახო-სამეურნეოსი და სხვადასხვა სამკაულ-მოსართავებისა.

XVIII საუკუნეშიც ამ მხრივ მთელ დაღესტანს ტონს კვლავ ყუბაჩი აძლევდა, ხოლო შემდეგ კი მას მოსდევდნენ ყუმუხი, უნცუკული, რუგუჯა, გამსუტლი, გოცატლი, ხუნძახი, ბოთლიხი და ახტი.

კიდევ უფრო გამრავალფეროვანდა და ხარისხიანი გახდა დაღეს-

ტნური ნოხების, ფარდაგებისა და ხალიჩების წარმოება, რომელზედაც მეტად დიდი მოთხოვნილება იყო მთელს კავკასიაში.

XVIII ს. დაღესტანში განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ხალხურმა შემოქმედებამ — ფოლკლორმა, ლიტერატურამ და მეცნიერებამ. შეიქმნა ბრწყინვალე ნიმუშები ლირიკული, ეპიკური და ისტორიული სიმღერებისა. ისტორიულ სიმღერებში უმეტესად გადმოცემულია დაღესტნელი ხალხების ბრძოლა უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ. ასე, მაგალითად, ავარულ სიმღერაში „ნადირ-შაჰის განადგურება", ლაკურ სიმღერაში „მუროაზალი-ხანი" და სხვ. საგმირო სიმღერებიდან აღსანიშნავია მთელს დაღესტანში მეტად გავრცელებული „სიმღერა ხოჩბარზე" და სხვ. კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებითაა გამსჭვალული მთელ რიგი სიმღერა-ლექსების ციკლიც. ასე, მაგალითად, „ხუნანელი სულთანი", „ყუმუხელი საიდი" და სხვ.

სიმღერების მთელი წყებაა მიძღვნილი აბრაგთა ცხოვრებასა და მათ ლაშქრობებზე, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი ადგილი ჰქონდა სწორედ XVIII საუკუნეში.

ხალხურ შემოქმედების გვერდით მეტად საპატიო ადგილი ეჭირათ აგრეთვე პოეტებს და ე. წ. პოეტ-მეცნიერებს, რომლებიც უმეტესად არაბულ ენაზე წერდნენ, რის გამოც ძალზედ დიდი იყო საერთოდ დაღესტანში არაბული ლიტერატურისა და კულტურის გავლენა.

XVIII ს. დაღესტნელ პოეტ-მეცნიერებს შორის ყველაზე ცნობილი იყვნენ ყუმუხელი მოჰამედ-ეფენდი, მოჰამედ უბრინელი და ხუნძახელი დიბირ-ყადი. დაღესტნელი პოეტი-მეცნიერები საკუთრივ დაღესტნურ ენებზეც წერდნენ.

დაღესტნური ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ლეკი პოეტი საიდ კოჩჩიურელი (1767—1812 წწ.). მის ლექსებში ყველაზე პოპულარული ლექსი იყო „ნურსალ-ხანის შეჩვენება".

XVIII საუკუნის დაღესტანში ისლამის შემდგომ განმტკიცებასთან დაკავშირებით გაიზარდა აგრეთვე მუსლიმანური სკოლების — მაკტაბებისა და მედრესების რაოდენობაც. აღნიშნული სკოლები ძირითადად მეჩეთთან და ფეოდალთა რეზიდენციებთან იყო შემოკრებილი. სკოლებში ისწავლებოდა არაბული, სპარსული, თურქული და სხვა აღმოსავლური ენები. ისწავლებოდა ნაწილობრივ მუსლიმანური სამართალი, ფილოსოფია, ისტორია, გეოგრაფია, ასტრონომია. კულტურისა და განათლების ამ ცენტრებთან ნელ-ნელა იქმნებოდა შესაბამისი ბიბლიოთეკებიც. ყველაზე დიდი ბიბლიოთეკები იყო ყაზიყუმუხის, ხუნძახის, ჩოხის, უსიშის, კუდალისა და ტპიგის მეჩეთებთან. იყო აგრეთვე

კერძო ბიბლიოთეკებიც. ასე, მაგალითად, მოჰამედ უბრინელის, იბრაჰიმ-ჰაჯი ურადინელისა და სხვა.

XVIII ს. დაღესტნის საზოგადოებრივ-რეაქციულ აზროვნებაში ძირითადად ორი მიმართულება შეიმჩნეოდა: რელიგიურ-იდეალისტური და მეორე, — პროგრესულ-რაციონალური. პირველის წარმომადგენლები შაპბან ობდინელი, მოლა მოჰამედ კატრუზინელი და სხვ. გამოხატავდნენ ფეოდალურ-კლერიკალური ზედაფენის ინტერესებს, ხოლო მეორენი — უფრო ფართო მასების პროგრესულ და დემოკრატიულ ინტერესებს. ასეთები იყვნენ მოჰამედ კუდატლელი და დამადან ბუღინელი.

XVIII ს. დაღესტნის მეცნიერთა შორის, რომელთა სახელებიც გასცდნენ დაღესტნისა და კავკასიის ფარგლებს, იყვნენ მოჰამედ უბრინელი, დაუდ უსიშელი, ჰასან-ეფენდ კუდატლელი, საიდ-იბრაჰიმ გიდატლელი, სალიხ კულინელი, დიბირ-ყადი ხუნზახელი, აბუბექრ აიმაკინელი და სხვ.

XVIII ს. საბოლოოდ დამთავრდა არაბულ გრაფიკაზე დაყრდნობით ავარელთა, ლაკთა, ყუმიკელთა, დარგიელთა და სხვათა დამწერლობის აკადემური სისტემის შექმნა.

XVIII ს. დაღესტანში არაერთი ისტორიული ქრონიკა იქნა შედგენილი, რომლებიც გადმოგვცემენ ხანების, უცმიების, მაისუმებისა და ყადიების ყოფა-ცხოვრებასა და სხვ. ისტორიულ მოვლენებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „ჭარის ომების ქრონიკა", რაშიც ძირითადად მოთხრობილია დაღესტნელი ხალხების ბრძოლა ნადირ-შაჰის წინააღმდეგ.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

ჩრდილო კავკასიის ხალხები და ენები 4

თავი I

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა ძველ ხანაში 6

§ 1. წინაგვაროვნული საზოგადოება (ადრეპალეოლითი) . . . 6
§ 2. მატრიარქალურ-გვაროვნული თემი 9
§ 3. პატრიარქალურ-გვაროვნული თემი 13
§ 4. ჩრდილო კავკასია ანტიკურ ხანაში 23

თავი II

ჩრდილო კავკასიის მოსახლეობა V—X სს. . . . 32

§ 1. ადიღეელები V—X სს. 33
§ 2. ალან-ოსები V—X სს. 41
§ 3. ვეინახები V—X სს. 57
§ 4. დაღესტანი V—X სს. 63

თავი III

ჩრდილო კავკასიის ხალხები XI—XV სს. 71

§ 1. ადიღეელები XI—XIV სს. 71
§ 2. ალან-ოსები XI—XV სს. 81
§ 3. ჩრდილო კავკასიის თურქულენოვანი ხალხები 95
§ 4. ვეინახები (ჩეჩენ-ინგუშები) XI—XV სს. 104
§ 5. დაღესტანი XI—XV სს. 112

თავი IV

ჩრდილო კავკასიის ხალხები XVI—XVII სს. 125

§ 1. ადიღე-ჩერქეზეთი XVI—XVII სს. 125
§ 2. ყარაჩაი-ჩერქეზეთი XVI—XVII სს. 136
§ 3. ყაბარდო-ბალყარეთი XVI—XVII სს. 145
§ 4. ჩრდილო ოსეთი XVI—XVII სს. 162
§ 5. ჩეჩნეთ-ინგუშეთი XVI—XVII სს. 172
§ 6. დაღესტანი XVI—XVII სს. 179

თავი V

ჩრდილო კავკასიის ხალხები XVIII ს. 193

§ 1. ადიღეელები XVIII ს. 193
§ 2. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ხალხები XVIII ს. 206
§ 3. ყაბარდო-ბალყარეთი XVIII ს. 212
§ 4. ჩრდილო ოსეთი XVIII ს. 225
§ 5. ჩეჩნეთ-ინგუშეთი XVIII ს. 230
§ 6. დაღესტანი XVIII ს. 247

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი ზ. ანჩაბაძე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ლ. ჯვებენავა
კორექტორი ი. დონაძე

გადაეცა წარმოებას 21. 5. 69. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 10. 1969;
ქაღალდის ზომა 60×90; ნაბეჭდი თაბახი 16,38; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14,50; უე 01366; ტირაჟი 800; შეკვეთა № 1516
ფასი 1 მან. 23 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук Груз. ССР, Тбилиси 60, ул. Кутузова 15